მანანა
მიჩიტაშვილი

საციციანოს ისტორია

წიგნი I

2016

მანანა მიჩიტაშვილი

საციციანოს ისტორია

წიგნი I

გამომცემლობა „უნივერსალი“

თბილისი 2016

ნაშრომში, ქართული და უცხოური წერილობითი წყაროების, მდიდარი სამეცნიერო ლიტერატურისა და სამეცნიერო მიმოქცევაში ჩვენს მიერ შემოტანილი ახალი საარქივო დოკუმენტური მასალების საფუძველზე მონოგრაფიულად არის შესწავლილი საციციანოს ისტორია XV საუკუნიდან XVIII საუკუნის მეორე ნახევრამდე. ნაჩვენებია სათავადოს ისტორიული როლი ქართლის სამეფოს საზოგადოებრივ - პოლიტიკურ ცხოვრებაში.

წიგნი განკუთვნილია სპეციალისტებისა და საქართველოს ისტორიით დაინტერესებული ფართო მკითხველისათვის.

რედაქტორი **მიხეილ ბახტაძე**

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

რეცენზენტი **მერაბ ვაჩნაძე**

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ა ვ ტ ო რ ი ს ა გ ა ნ

მონოგრაფია მიზნად ისახვს საციციანოს ისტორიის შესწავლას. საციციანოს ისტორიის კვლევას დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან უშუალოდ უკავშირდება, ავსებს და აზუსტებს ფეოდალური საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური მნიშვნელობის ძირითად საკითხებს. სათავადოს წარმოშობა მჭიდროდ უკავშირდება საქართველოს ფეოდალური მონარქიის პოლიტიკური დაშლის პროცესს. ცენტრალური ხელისუფლების სისუსტის პირობებში საციციანომ მართალია შეუვალობას მიაღწია, მაგრამ ქართლის სამეფო ხელისუფლებაზე დამოკიდებულ ფეოდალურ სამფლობელოდ რჩებოდა. აღნიშნული საკითხი დღემდე მონოგრაფიულად შეუსწავლელი იყო. საციციანოს ისტორიის შესახებ მასალათა სიმცირე და შინაარსობრივი ღირსება, წყაროთა ინფორმატიულობის კვლევის ხარისხის გაზრდის მიუხედავად, არ იძლეოდა შესაძლებლობას ისტორიული პროცესები ქრონოლოგიური თანამიმდევრობით, ერთნაირი სისრულით წარმოგვედგინა. საციციანოს ისტორიის კვლევა თავისი აქტუალური მნიშვნელობიდან გამომდინარე ნაკლებად იყო შესწავლილი, თუმცა მკვლევარების ყურადღების მიღმა არ დარჩენილა.

ქართულ ისტორიოგრაფიაში მის შესახებ პირველი კვლევა დავით გვრიტიშვილის სახელს უკავშირდება. ისტორიკოსის 1955 წლის მონოგრაფია, „ფეოდალური საქართველოს სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან (ქართლის სათავადოები) „ემყარება მხოლოდ ქართულენოვან დოკუმენტურ მწირ მასალას და ნარატიულ წყაროებს, რომელიც ძირითადად მოიცავდა XVII საუკუნის შუა ხანებამდე პერიოდს. ამის შემდგომი პერიოდის საციციანოზე ისტორიკოსი წერდა: „XVII საუკუნის 40-იანი წლებიდან და მთელი XVIII საუკუნის მანძილზე ციციშვილები ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში უფრო ამა თუ იმ თანამდებობით არიან ცნობილნი,

ვიდრე თავიანთი, ე.ი. საციციანოს მამულის სამსახურით, როგორც სათანადო ადგილზე გამორკვეული გვქონდა, საციციანო დანაწილდა ციციშვილებს შორის და...როგორც სათავადომ, თავისი მნიშვნელობა დაკარგა.“ ამის შემდგომი პერიოდის საციციანოს ისტორიის ზოგიერთ მნიშვნელოვან საკითხს მოკლედ და ფრაგმენტულად იხილავდა ქართლის სხვა სათავადოების გვერდით.

საციციანოს დაარსების შესახებ მნიშვნელოვანი მასალები, შენიშვნებითა და ახსნა-განმარტებებით გამოაქვეყნა ნ. ბერძენიშვილმა. ამ დოკუმენტების ჩვენეულმა კომპლექსურმა კვლევამ საფუძველი მოგვცა ისტორიული მოვლენების ახლებური ანალიზის და ინტერპრეტაციის. ტაოსა და შავშეთის ერისთავთ-ერისთავების, ზაზა და ციცი ფანასკერტელების ქართლში გადმოსახლების და საციციანოს დაარსების შესახებ საინტერესო მოსაზრება აქვს გამოთქმული დევი ბერძენიშვილს ნაშრომში, „ფანასკერტელთა ფეოდალური საგვარეულოს ისტორიიდან (წერაქვის უცნობ წარწერასთან დაკავშირებით)“. მკვლევარი გ. აკოფაშვილი თავის მონოგრაფიაში, „სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან XV-XVIII სს. ქართლში.“ ქართლის სათავადოების აზნაურობასთან ერთად მოკლედ ეხება საციციანოს აზნაურთა საკითხს.

წინამდებარე მონოგრაფიაში განხილული პერიოდის ფანასკერტელ-ციციშვილთა მიღწევებს კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობაში, სრულად წარმოვადგენთ მონოგრაფიის მეორე წიგნში, XVIII საუკუნის მეორე ნახევრისა და XIX საუკუნის საციციანოს სოციალურ-ეკონომიკურ, კულტურულ და პოლიტიკურ ისტორიასთან ერთად.

თავი I

საციციანოს დაარსება

ქვეყნის პოლიტიკური დაშლის შედეგად წარმოშობილ სამეფო-სამთავროებისა და სათავადოების ისტორია, მეტად მნიშვნელოვანია ამ პერიოდის ისტორიის სიღრმისეულად შესწავლისათვის. ქართლის სათავადოებიდან ყველაზე მეტად საციციანოს ისტორიაა დაუმუშავებელი და დღემდე მონოგრაფიულად შეუსწავლელი. ისტორიული წყაროების ნაკლებობით აიხსნება, რომ ფანასკერ-ტელების ქართლში გადმოსვლასა და საციციანოს დაარსების თაობაზე, დღემდე ისტორიკოსებს შორის აზრთა სხვადასხვაობაა.

ფანასკერტელთა ფეოდალური საგვარეულო სახლი ისტორიულ ტაოს უკავშირდება. IX–X საუკუნეებში ფანასკერტელები ტაოს მფლობელნი არიან და „ერისთავთერისთავებად” იწოდებიან. საგვარეულოს სახელწოდება „ფანასკერტი”, ფანასკერტის ციხის მფლობელობის გამო ჰქონდათ მიღებული. ფანასკერტის ციხე ბაგრატ III-ის დროს მეფის განკარგულებაშია და შემდგომ, სავარაუდოდ, დამსახურების გამო ებოძათ ფანასკერტელებს.

პირველი ცნობები სამეფო კართან ფანასკერტელთა საგვარეულო სახლის ურთიერთობის შესახებ თამარის მეფობის დროს ჩნდება. ტაოს მფლობელი გუზან აბულასანის ძე, რომელიც იმავდროულად კლარჯეთისა და შავშეთის მფლობელიცაა, მეფის მოღალატეთაგან პირველი მხარდამჭერია საქართველოში შემოჭრილი გიორგი რუსისა. 1191 წლის აჯანყების დამარცხების შემდეგაც პატიების ნაცვლად „…გამტანელი ტაოსკარისა, ვაშლოვა-ნისა და სხუათა ციხეთა მრავალთა, წარვიდა ქუეყანასა შაჰ-არმენისასა”. თამარის ანონიმი ისტორიკოსი პირველად ახსენებს მეფის ერთგულ ზაქარია ფანასკერტელს: „…ზაქარია ფანასკერტელი და ძინიელნი, კალმახელნი, ყრმანი კარგნი და პატრონისაგან

შეწყალებულნი”.[1] სწორედ ზაქარია ფანასკერტელის სარდლობით კოლის მთაზე შებმიან მრავალრიცხოვან მტერს, ხელთ უგდიათ მოღალატე გუზანის ცოლ-შვილი და შაჰ-არმენისათვის გადაცემული ციხეებიც დაუბრუნებიათ ქვეყნისთვის.

თამარის მეორე ისტორიკოსი, ბასილი ეზოსმოძღვარი, სამეფოს მონაპირეთა -„რომელნი იყვნეს, ღამეთა დღეთავე ზედა დართვიდეს შეუსუენებლად”, ჩამოთვლისას ხაზგასმით აღნიშნავს ზაქარია ფანასკერტელის დამსახურებას და ერთგულებას სამეფო კარისადმი „შავშეთით სპერით კერძო ფანასკერტი იყო...გამოჩნდა ვინმე კაცი ასპაანის-ძე, გუარითა არა უაზნო და ქცევითა...ამას ზაქარია ერქუა სახელი. არცა სახელსა არცხვინა, არცა პატრონისა წყალობა აუქმა ...იქმოდა მრავალთა და დიდთა საქმეთა: აიღო ბანა, ხახული და სხუანი მრავალნი სახელოვანნი ციხენი და ადგილნი.”[2] ერთგულებისა და თავდადების სანაცვლოდ, ზაქარია ფანასკერ-ტელის ხელში გადადის, მოღალატე გუზანის სამფლობელოები -ტაო, კლარჯეთი და შავშეთი, რომლის რეზიდენცია ფანასკერტია.

ამდენად, XII საუკუნეში ფანასკერტელები თამარის კარზე მონაპირე ერისთავთ-ერისთავები, საკმაოდ გავლენიანნი და თამარის ერთგულებით გამორჩეულნი არიან.

XIII საუკუნის მეორე ნახევრიდან ფანასკერტელები თავიანთ გავლენას კარგავენ, რასაც 1259 წლის რკონის სიგელიც ადასტურებს: „... მე კახამან და ხათუთამან შვილი არ გუესვა და ვიყიდეთ ხოვლე თქუენთვის მემამულეთა აღბუღასაგან... ხოვლესთან ნურცა რაი: ეგრე საქმე უც: და რა გინდა ვალი ანუ დაჭირება დაემართოს: ჩემსა გუარის კაცსა, ვითა გიშელთა და ფანასკერტელთა მამულსა თანა.”[3]

---

[1] ქართლის ცხოვრება, ტ. II, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელ-ნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ.,1959, გვ. 55.

[2] იქვე, გვ.130.

[3] ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა, შეკრებილი, ქრონოლოგიურად დაწყობილნი, ახსნილი და გამოცემული თ. ჟორდანიას მიერ, წ.II, ტფ.,1897, გვ. 135.

ბუნებრივია, ისმის კითხვა, რატომ კარგავენ ფანასკერტელები მამულებს და თავიანთ გავლენას საკუთარ სამფლობელოებზე.

ამ პერიოდში ჯაყელთა საგვარეულოდან დაწინაურებულმა სარგის ჯაყელმა, დავით ულუს ერთგულების სანაცვლოდ ადვილად შეძლო სამცხის სამთავროს მოქცევა თავის გავლენის ქვეშ. დავით ულუს აჯანყების შემდგომ, ყაენმა 1266 წელს ხასინჯუდ „სარგის ჯაყელსა კარნუქალაქი და მიმდგომი მისი ქუეყანა უბოძა იერალიყითა", რის გამოც ჩამოვარდა უსიამოვნება მეფესა და სარგის ჯაყელს შორის. სარგისის ძემ ბექამ საბოლოოდ „დაიპყრა ქუეყანა ტასისკარითგან კარნუ ქალაქამდის, სამცხე, აჭარა, შავშეთი, კლარჯეთი და უმრავლესი ტაო, ვაშლოვანი, ნიგალისჴევი, არტანუჯი, თორმეტნი უდაბნონი, კოლა, კარნიფოლა და ორნივე არტაანი, და მრავალნი სოფელნი ჯავახეთს. და ესრეთ დღითი-დღე განდიდნებოდეს და მსახურებდეს ყაენს აბაღას და მორჩილობდეს მეფესა დიმიტრის".[1] როგორც ჩანს, მთელი ტაოს ხელში ჩაგდება ჯაყელებს მაინც ვერ მოუხერხებიათ, თუმცა „უმრავლესი ტაო" კანონიერ მფლობელებს-ფანასკერტელებს დაუკარგავთ. სწორედ ამით აიხსნება რკონის სიგელში ფანასკერტელთა მამულის „დაჭირება". გაორგულებულმა ქვეშევრდომმა სარგის ჯაყელმა, ყაენის ქვეშევრდომობა ამჯობინა და მამული „ხასინჯუდ" აქცია, რითაც მეფისაგან უფრო შეუვალი გახდა. განდგომილი ათაბაგი დიდი ძალისხმევით შეეცდებოდა „მთლიანი ტაო"დაესაკუთრებინა და საათაბაგოდან განედევნა მეფის ერთგული ფანასკერტელები, თუმცა, ფანასკერტელები, ათაბაგთა წინააღმდეგობის მიუხედავად, ტაოს მფლობელობას მაინც ინარჩუნებენ.

ამის შემდგომ, ფანასკერტელთა შესახებ მცირე ცნობები მოგვიანებით ჩნდება, საქართველოში თემურ-ლენგის შემოჭრისას. თემურ-ლენგის მეორე შემოსევისას სამცხის გზით, 1387 წელს,

---

[1] ქართლის ცხოვრება, ტ. II, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ.,1959, გვ. 312.

„...ათაბაგმან ბექამ იხილა რა ძლიერება თემურისა, შეუშინდა, უარ-ჰყო მეფე თჳსი და მივიდა თემურის წინაშე; ხოლო მან პატივითა შეიწყნარა, მოსცა ნიჭნი და განუტევა, რათა არღარა მიერთნეს მესხნი ბაგრატ მეფესა. ამის მსმენელი მეფე დამძიმდა ფრიად.” [1]

ვფიქრობ, სწორედ ამის გამო, პოლიტიკური და ეკონომიკური მოსაზრებით, მეფეს გაორგულებულ, სეპარატისტულად განწყობილ, ათაბაგისგან შევიწროებული ფანასკერტელებისათვის, მამულები საათაბაგოს საზღვრისპირა შიდა ქართლში მიეცა საზღვრის დაცვისა და ქართლში გადმოსასვლელი გზების გაკონტროლების მიზნით.

XIII საუკუნის ბოლოსა და XIV საუკუნის პირველი ნახევრის ფანასკერტელთა საგვარეულოს ისტორიიდან განსაკუთრებით საყურადღებოა, იერუსალიმის ჯვრის სვინაქსარის აღაპებში და ტიშენდორფისეულ ნუსხაში მოხსენიებული გრიგოლ ფანას-კერტელის პიროვნება. ე. მეტრეველის მოსაზრებით, „აღაპი განწესე-ბულია XIII საუკუნის დამლევს, არა უგვიანეს XIV საუკუნის პირველი წლებისა.”[2] მას დიდი მატერიალური დახმარება აღმოუჩენია ჯვრის მონასტრისათვის წართმეული მამულების დასაბრუნებლად, რის გამოც მონასტრის კრებულმა სვინაქსარში ხუთი აღაპი გაუჩინა. როგორც ჩანს, სიცოცხლეში გაწეული შემოწი-რულებისათვის დაუმსახურებია აღაპის განწესების უფლება. #123 აღაპიდან ვგებულობთ, რომ: „მოსცა და შემოსწირა ჯუარისა მონასტერსა აქიას ადგილი, რვაას დრაჰკნად ნასყიდი...მამასვე დღეს შჳდი ათასი თეთრი გავიყავით იჷრუსალემს მყოფთა ქრისტიანეთა ქართველთა. მივეცით პატრიარქსა და მისთა მონასტერთა ორი ათასი თეთრი ამასვე დღეს.” გრიგოლ ფანასკერტელს კვლავ გაუგზავნია დახმარება მურვანის ხელით: „მეორედ გამოეგზავნა მურვანის ჴელითა ოცდა ათჯერ ათასი და ვიყიდეთ აქაიას მამული ოცდაოთხი

---

[1] ქართლის ცხოვრება, ტ.II, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ.,1959, გვ.263.

[2] ე. მეტრეველი, მასალები იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიისათვის, თბ.,1962, გვ.19,23.

ათასად. და სხუაჲ სალოცავად გავეცით.”[1] ამ დროს დრაჰმა უკვე ვერცხლის მონეტაა და იერუსალიმს გაგზავნილი ფულიც საკმაოდ დიდ თანხას შეადგენდა. მონასტრის არსებობის მატერიალური შეწირულობანის ისტორიისა[2] და გრიგოლ ფანასკერტელის გაწეული დახმარების მიხედვით, ჩანს, იგი დიდი სიმდიდრის მფლობელი და საკმაოდ გავლენიანი პოლიტიკური ფიგურაა, რომელმაც იცოდა იერუსალიმის ჯვრის მონასტრის პოლიტიკური და კულტურული მნიშვნელობა საქართველოსა და მთელი ქრისტიანული სამ-ყაროსათვის.

ამდენად, გაჩნდა ინტერესი, ხომ არ იყო გრიგოლ ფანას-კერტელი ფანასკერტელთა შტოდან გიორგი ბრწყინვალის სამეფო კარზე გადმოსული პირველი ფანასკერტელი.

კვლევითი მუშაობის მიუხედავად, მის შესახებ წერილობით წყაროებში ჯერ-ჯერობით დამატებით ცნობებს დღემდე ვერ მივაკვლიეთ, რაც ფანასკერტელთა საგვარეულო სახლის XIV საუკუნის პირველი ნახევრის ისტორიას ნათელს მოჰფენდა.

ფანასკერტელების ქართლში დამკვიდრების ისტორიისათვის მეტად საინტერესო დოკუმენტია თაყა ფანასკერტელის სიგელი კათალიკოზ ელიოზისადმი (1399-1419წწ.). სიგელი შედგენილი უნდა იყოს არა უგვიანეს 1419 წელს, კათალიკოსის გარდაცვალე-ბამდე. სიგელში მოხსენებული თაყა ფანასკერტელის და, სითიხათუნი უკვე დედოფლად არის მოხსენიებული. სითიხათუნზე ტახტის მემკვიდრის, ვახტანგ ალექსანდრეს ძის ქორწინება 1442 წელსაა მოხსენიებული ქართლის ცხოვრებაში „...დასუა მეფე ქართლსა და იმერეთს პირველი შვილი ვახტანგ და შერთო ფანასკერტელის ქალი და დაჲ თაყას ფანასკერტელისა დედოფალი

---

[1] ე. მეტრეველი, მასალები იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორი - ისათვის, თბ.,1962, გვ.90,91.

[2] ე. მამისთვალიშვილი, იერუსალიმის ჯვრის მონასტრის ისტორია, თბ.,2002, გვ.48,49.

სითიხათუნ”.[1] ვფიქრობ, ქართლის ცხოვრებაში ქორწინების თარიღი მცდარია, რადგან ზემოთ აღნიშნული სიგელი მხოლოდ1419 წლამდე, კათალიკოსის გარდაცვალებამდე შეიძლებოდა დაწერილიყო, რაც არსებითად ცვლის ფანასკერტელების ქართლში დამკვიდრების ისტორიას. სიგელი მრავალ საყურადღებო ცნობებს იძლევა:„...ქ᾽კზსა ელიოზს...მოგახსენეთ სააღაპეთ პატრონისა ჩუᲑნისა დიდისა დედოფლისა სითიხათუნისათვის ატენს ლუსმალაური მამული, ასე რომე ფერიცვალება დღე პატრონისა ჩუᲑნისა დისა, დედოფლისა სითიხათუნისათჳს გარდაიხდებოდეს კარგაღებული აღაპი და ფერისცვალების მეორე დღე ჩემთვის ...შემოგწირეთ მეფეთ-მეფე ალექსანდრეს ბრძანებითა და ნება-დართჳთა ატენს ლუსმალაური მამული...მე ფანასკერტელმა თაყამან პატრონისა ჩუᲑნისა დისა სათიხათუნის სააღაპედ, ასე რომე მატანელთა არა-საქმე დააგდონ მას გუერც არა ყალანსა, არა კულუხსა თანა.“ აღაპთა ნუსხაში ჩაწერილია:„ატენს ლუსუას მამული სააღაპოდ თაყასი.“[2]

აღაპთა ნუსხის ამ ჩანაწერიდან ნათელია, რომ თაყა ფანასკერტელი ლუსუას, სააღაპე მამულის, მწირველადაა დადგენილი „მეფის ბრძანებითა და ნება-დართჳითა”. შუა საუკუნეებში მწირველად დადგენის წესის მიხედვით[3] ცნობილია, რომ მწირველი გვევლინება მისთვის ჩაბარებული სამწირველოს მეპატრონედ, მოურავად.* შემწირველები მწირველებს თვითონვე ადგენდნენ. მწირველი, რომელსაც სამწირველო ჰქონდა ჩაბარებული შეიძლებოდა სასულიერო პირი არ ყოფილიყო. შეწირულობის

---

*მოურავი, განმგებელი მხარის, ქალაქის, სოფლის - დანიშნული სამეფო ხელისუფლების მიერ.

[1] ქართლის ცხოვრება, ტ.II, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელ - ნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ; თბ.,1959, გვ. 475.

[2] ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა, შეკრებილი, ქრონოლოგიურად დაწყობილნი, ახსნილი და გამოცემული თ. ჟორდანიას მიერ, წ.II, ტფ.,1897, გვ.223.

[3] ბ.ლომინაძე, სამწირველო XIII საუკუნეში, მიმომხილველი, თბ.,1949, გვ. 321.

სიგელების მიხედვით მწირველისაგან შემწირველი ძირითადად ერთგულებას ითხოვდა და მხოლოდ ერთგულებით გამორჩეულთ გადასცემდა, რადგან სამწირველო ყმა-მამული ეკლესია-მონასტრის-თვის მხოლოდ პირობით გადაცემულ ქონებას წარმოადგენდა და არა მათ კერძო საკუთრებას. შემწირველი დაინტერესებული იყო შეწირულების გარიგება შემდეგშიც არასდროს არ შეცვლილიყო მონასტრის ინტერესებიდან გამომდინარე.

მწირველის დადგენის წესების მიხედვით ირკვევა, რომ სამწირველოს პატრონისათვის სასურველი იყო სამწირველო შემდეგშიც ერთხელ დადგენილი, პირველი მწირველის გვარის წევრთა, ან მასთან სულიერად დაახლოებულთა ხელთ ყოფილიყო. ე.ი. პირდაპირი მემკვიდრეობით გადასულიყო გვარის წევრებზე, მწირველთა დამსახურების და ერთგულების შესაბამისად, რათა შეწირულება მუდამ თავის კონტროლს ქვეშ ჰქონოდა. მწირველის ვალდებულება იყო, შემწირველის სულის შესავედრებელი წირვა-ლოცვა და აღაპი გადაეხადა. ამ სამსახურისათვის მწირველს სარგოც ეძლეოდა, შესაძლოა თვით სამწირველოს საერთო შემოსავალში ჰქონოდა წილი, ან ცალკე დამოუკიდებელი წყარო ჰქონოდა გამოყოფილი.

ამდენად, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ თაყა ფანასკერტელი ლუსმალაურის ყმა-მამულის მწირველია, ე.ი. შემოსავლის განმკარგველია და დაწესებულ წირვა-აღაპს იხდის. ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ მხოლოდ საკუთარი დის, დედოფალ სითი-ხათუნის ნება-სურვილით არ მიუღიათ ეს გადაწყვეტილება. ეს გვაძლევს საფუძველს დავასკვნათ, რომ ჯერ კიდევ მეფე ალექსანდრეს მიერ 1412 წლის მცხეთისადმი შეწირული სააღაპე მამულების, „მრავალფერად ვალდადებულისა და ჭირნახულისა რუსასა სულისათვის სააღაპედ ატენს”[1] მწირველად, თაყა ფანასკერტელი ყოფილიყო. რადგან, თამარ მეფის დროიდან, მეფის

[1] ს. კაკაბაძე, ისტორიული საბუთები, III, თბ.,1913, გვ.8.

სამწირველოში არსებობდა მწირველების დადგენის მემკვიდრეობის წესი, როცა სამწირველო ერთი და იმავე გვარის ხელში იყო. ამ წესის მიხედვით მწირველის პატრონისათვის უმჯობესი იყო შემდგომშიც სამწირველო ერთხელ დადგენილი პირველი მწირველის გვარის წევრთა ხელში ყოფილიყო.

ყოველივე ამის გათვალისწინებით, მცხეთისადმი შეწირული 1412 წლის სიგელი და რკონის სიგელზე გვიანდელი მინაწერიც, გვაძლევს საფუძველს ვიფიქროთ, რომ სამეფო კარის სააღაპედ გაცემულ მამულებს, ტანასა და თეძმის ხეობაში, მეფე ალექსანდრეს გამეფებისთანავე, პატრონობდა თაყა ფანასკერტელი. „..მეფეთა მეფესა ალექსანდრეს და ძეთა ჩემთა: ვახტანგს და დემეტრეს და ჩემთა ძმათა ბაგრატს და გიორგის... მოგვიხსენებია...რკონისა ღმრთის მშობელისათჳს...ვნახეთ ხოვლისა სიგელი...ახლად ჩუენ შემოგვიწირავს სამლოცველოდ სულისა ჩუენისა და წარსამარ-თებლად მეფობისა ჩუენისა...არა ეთხოვებოდეს და არა ეწერებოდეს არასთანა სათხოვარი და გამოსაღები, სათათროს ულუფისაგან მეტი...არა გორიდაღმან და არა ატენით...აღაპი ჩემთვის გარდაიხ-დებოდეს ყოვლითურთ უნაკლოდ". ე.ი. ტანასა და თეძმის ხეობის სააღაპე მამულების მწირველს და მოურავს, ჩანს ხოვლეს მამულისგან სათხოვარი და გამოსაღები დროთა განმავლობაში მაინც მოუთხოვია. რაზედაც მეორე მინაწერი მიგვანიშნებს: „...ჩუენ, აფხაზეთისა და ქართლის მეფეთა-მეფემან გიორგი...მოგუიჴსენებია ...ჟამთა ვითარებისაგან ატენის ციხის სათხოვარი რაიმე შესრულიყო".[1] ქართლ-კახეთის საკათალიკოსო მამულების 1392 წლის და 1447 წლის ნუსხების შედარებისას ირკვევა, რომ საეკლესიო მამულების რაოდენობა 1447 წლის ნუსხის მიხედვით, იმდენადაა შემცირებული, რომ ამ ხეობებიდან დარჩენიათ მხოლოდ „ჴუედურეთს რაცა ძუელითგან მცხეთისა ყოფილა და არის, სარკე

[1] ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, I, თბ.,1984, გვ. 157.

მისითა შესავლითა... ატენის მხოლოდ წინუბნელი."[1] ერთულებით მსახურება ყმა-მამულის და ქონების წყალობასაც გულისხმობდა და სამეფო კარის მხარდაჭერით ვფიქრობთ, აღნიშნული მამულების მფლობელნი დროთა განმავლობაში ფანასკერტელები ხდებოდნენ.

წყაროთა მიხედვით, მეფე ალექსანდრეს გამეფებისთანავე ფანასკერტელები საკმაოდ გავლენიანი თავადები არიან. ქართლის ძლიერ თავადებთან-ამილახვრებთან და გამრეკელ-ჯავახიშ-ვილებთან ნათესაურ კავშირში იმყოფებიან. სამეფო კარის მხარდაჭერით იმდენად შეუვალნი ჩანან, რომ ქართლის უძლიერესი თავადები მათთან ნათესაურ კავშირს ამჯობინებენ. თაყა ფანასკერტელის მეორე და, თაყა ამილახორის მეუღლეა, ხოლო გამრეკელ-ჯავახიშვილის ცოლი, გულსურაბ - ციციშვილების გვარიდანაა."[2]

თაყა ფანასკერტელის სწრაფი დაწინაურებისა და აღზევების საფუძველი, ჩვენი ვარაუდით, დემეტრე ალექსანდრეს ძის ასულთან ქორწინებით შეიძლება აიხსნას. იერუსალიმის ჯვრის მონასტრის აღაპებში მოხსენებულია მეფე დემეტრეს ასული რუსუდანი, თაყა ფანასკერტელის მეუღლედ: „...ხ´რებად და დიდსა ხუთ შაბთსა გაგჯჩენია რუსუდანესთ´ს და თაყა ფ´ნასკერტლის´თს...დიდსა და ჭირბ´სა შიგან დემ´ტრე მ´ფისა ას´ლსა რუსუდნ´ს და თაყა ფანასკერტელსა". იქვე გარკვევით იკითხება აღაპი „რუსუდ´ნისთ´ს გ´რდაიჯდბ´დეს შ´ბთს" და თაყასთვის კვირას.[3]

---

[1] ქართული სამართლის ძეგლები, ტ.III, საეკლესიო საკანონმდებლო ძეგლები (XI--XIXსს.), ტექსტი გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ი. დოლიძემ, თბ., 1970, გვ. 176,187.

[2] ნ. ბერძენიშვილი., ფეოდალური ურთიერთობიდან XV საუკუნეში, მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. I, თბ.,1937, გვ.67.

[3] ნიკო მარი, აღაპნი ჯვარის მონასტრისანი იერუსალიმსა შინა, ს.პეტერ - ბურგი, 1914, გვ.15.

ამის თაობაზე განსხვავებულ ვარაუდს გამოთქვამდა ს. კაკაბაძე.[1] ვფიქრობ, მკვლევარს დაშვებული აქვს გარკვეული უზუსტობანი, როგორც დათარიღებაში, ასევე პირთა იდენტიფიცირებაში. ნ. მარის იერუსალიმის ჯვრის მონასტრის აღაპების მიხედვით თმოგველ-უჯარმელთა ასული მამქან, ყოფილი მარინე მას მიაჩნდა მეფე ალექსანდრეს თანამედროვე, თაყა ფანასკერტელის მეუღლედ:„მე ცოდვითა დაღონებ´ულმ´ნ და ყ´თა მონაზონთა უნარჩევესმ´ნ თმოგველ´თა უჯარმელთა ასლმ´ნ მამქან ყოფილმ´ნ მარინე ჴელ-ვყავ და აღვაშენე ჯი´ს პტი´სნისა გალავნისა ბურჯი სამამოსაკენ და გამოვიღე სამოცი ფლური ჩ´ნისა ც´დვილისა სლ´ისა საჴსრად. ჯრ´ო პატი´სნო შეიწყალე სული ფანასკერტელისა თაყასი და მისისა მეუღლისა მარინესი და მისისა ძმისა როინისა და მისთა დედა-მ´მთა…”[2] ერთი შეხედვით იგივე აზრს ადასტურებდა ყოფილი საეკლესიო მუზეუმის #193 სვინაქსარის მინაწერიც: „აწ სულსა სულკურთხეულსა ფანასკერტელსა თაყასა შეუნდოს ღმერთმან. მათსა მეუღლესა მამქანს შეუნდოს ღმერთმან. თმოგველ-უჯარმელსა თაყედინ-ყოფილსა თეოდოლეს შეუნდოს ღმერთმან, მათსა მეუღლეს ესტანჯარ...” [3] მინაწერი პალეოგრაფიული ნიშნების მიხედვით XVI საუკუნისაა. აღაპში მოხსენიებულ პირთა ვინაობის დაზუსტება შესაძლებელი გახდა სინას მთის სულთა მატიანეში შეტანილმა მამქან-ყოფილი მარინეს მოსახსენებელმა:„ციციშვილს ფარსადანს შ´ს ღ´ნ ან...თანამეცხედერსა გულდამს შ´ს ღ´ნ, ან კს´ნი და მათშა ძმასა ამილღაბარ შ´ს ღ´ნ ან; და მათ რძალსა მამქან ყოფილსა მარინეს შ´ს ღ´ნ...”[4] მატიანით გაირკვა თაყა ფანასკერტელის ძმები, ფარსადან-

---

[1] ს. კაკაბაძე , თორელთა გვარეულობის შესახებ, წერილები და მასალები საქართველოს ისტორიისათვის, ტფ.,1914, გვ. 11.

[2] ნიკო მარი, აღაპნი ჯვარის მონასტრისანი იერუსალიმსა შინა, ს.პეტერბურგი, 1914, გვ.53.

[3] ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, კ. კეკელიძის ხელნაწერთა ინსტიტუტი, რედ. მეტრეველი ელ., ტ. 1₂, თბ., 1976, გვ.330.

[4] ივ. ჯავახიშვილ,სინის მთის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, თბ.,1947, გვ. 243, 241.

თანამეცხედრე გულდამი და ამილღაბარ. გერგეტის სულთა მატიანის (მე-8 გვერდის 12-15 სტრიქონებში ჩაწერილი) მოსახსენებელით: „სულსა უჯარმელის ძისა თაყიადინისსა შᲔნს ღᲔნ. სულსა მათისა მეუღლისა ვახუშტის ასულსა ნესტანჯარს ...ძესა მათსა როინს შᲔნს ღᲔნ". ეს სტრიქონები ჩაწერილია ერისთავ-შაბურის ძეთა მოსახსენებლის ნუსხაში.[1] ამავე პერიოდის აღაპებით დადგინდა მამქან-ყოფილი მარინეს ძმის - როინის და მშობლების ვინაობა და მათი მოღვაწეობის პერიოდი: „როინ არის ძე თაყიადინ უჯარმელის ძისა და ვახუშტის ასულის ნესტანჯარისა". [2] მეფე გიორგი VIII-ის ასულის, ქეთეონ - ქრისტინეს (გარდაიცვალა 1515წ.) ოჯახზე მიანიშნებდა ქ. შარაშიძე და კითხვაზე. „ხომ არ არის ეს როინ, ძე თაყიადინ უჯარმელის ძისა და ვახუშტის ასულის ნესტანჯარისა? ხომ არ არის თაყიადინის მეუღლე ნესტანჯარ იმ ვახუშტის ასული, რომელსაც ჩვენ ქეთეონ- ქრისტინეს ქმრობით ვიცნობთ?"- პასუხს სცემს თვითონ ქეთეონის სრული ტიტულატურა შეტანილი ლოცვაში: „ღმერთო ...შეიწყალე ორსავე შინა ცხოვრებაჲსა დიდისა და წარჩინებულისა მეფეთ-მეფისა ასული[დიდებული] დედოფალი, ყოვლისა დაბადებულისა უპირატესი პატრონი ქეთაონ". ქეთეონთან ერთად მოხსენიებულია მისი ქმარი და შვილები: „წᲔოეფრემ! შეიწყალე პატრონი ქეთაონ და პატრონი ვახუშტ, აქასა ამას ყოფასა და მერმესა დაუსრულებელსა ნათელსა პირისა შენისასა ღირს ყავნ და ძენი და ასულნი მათნი მშჯდობით და ამოდ ამყოფე."[3] მისი ქმრის სახელია ვახუშტი, ძეთა და ასულთა სახელები ტექსტში მოხსენებული არ არის. შეწყალების ვედრება კი იმას გვეუბნება, რომ ხელნაწერის დროს ცოცხლები ყოფილან. ქეთეონის ცოცხლად ყოფნას ისიც ადასტურებს, რომ ტექსტის გარკვეულ ადგილებში ქეთეონი პირველი პირითაც გვესაუბრება:

---

[1] ქრ. შარაშიძე, საქართველოს ისტორიის მასალები(XV-XVIIIსს.), მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 30; თბ.,1954, გვ.236.

[2] იქვე, გვ.236,206.

[3] იქვე, გვ.206.

„დამიფარე ცოდვილი და უღირსი მონა შენი ქეთაონ". სამხრეთ საქართველოს ძეგლებში და ხელნაწერთა მინაწერებში პატრონი, ქეთეონის სიძე სფირიდონი არაერთხელ იხსენიება. მათ შორის კლარჯულ სვინაქსარში". [1]

ამრიგად, იერუსამის ჯვრის აღაპების, სინას მთის სულთა მატიანესა და გერგეტის სულთა მატიანის მოსახსენებელთა შედარებით განისაზღვრა მათი მოღვაწეობის პერიოდი- XV საუკუნის მეორე ნახევარი და XVI საუკუნის პირველი ნახევარი.

მეფე ალექსანდრეს თანამედროვე თაყა ფანასკერტელი იმდენად აღზევებული და ძლიერი პოლიტიკური ფიგურა ჩანს სამეფო კარისათვის, რომ ფანასკერტელთა საგვარეულო სახლთან „დამოყვრებას", ე.ი. თაყა ფანასკერტელის დაზე ვახტანგ ბატონიშ-ვილის ქორწინებას, არ თაკილობენ. ჩვენამდე მოღწეული არც ერთი წყარო არ აფასებს „უგვარო" ქვეშევრდომზე ქორწინებად, მაშინ როცა მეფე კონსტანტინე მეორე, ბარათაშვილის ქალზე ქორწინებას დიდ ცოდვად მიიჩნევს:„ამას გარეთ ჩვენთაიცა ცოდვითა სიმრავლისა და სოფლის ვითარებისგან ცოდვისა საქმესა შეესწრა ჩუენი შვილი დავით და უხვედრი ბარათაშვილისა ასული შეირთო."[2] „უხვედრობა", აქ იმას უნდა ნიშნავდეს, რომ მეფეს სამეფო გვარის ქალი უნდა შეერთო და არა ქვეშევრდომისა. ფანასკერტელები კი სამეფო კარის ერთგულ, გამორჩეულ საგვარეულოდ ითვლებოდა.

ამრიგად, ეს ქორწინება კიდევ ერთხელ ადასტურებს სამეფო ოჯახთან მათ განსაკუთრებულ სიახლოვეს და საბოლოოდ ამყარებს ვარაუდს, რომ ფანასკერტელები სამეფო ოჯახთან მჭიდრო კავშირში გაცილებით ადრე, ალექსანდრე დიდის გამეფებამდე უნდა ყოფილიყვნენ. ამ მოსაზრებას ადასტურებს ნ. ბერძენიშვილის

---

[1] ქრ.შარაშიძე, საქართველოს ისტორიის მასალები (XV-XVIIIსს.), მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 30; თბ.,1954, გვ. 214.

[2] ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა,შეკრებილი, ქრონოლოგიურად დაწყობილნი, ახსნილი და გამოცემული თ. ჟორდანიას მიერ, წ.II, ტფ.,1897, გვ.306.

მიერ გამოქვეყნებული დოკუმენტი,[1] სადაც ვკითხულობთ: „გაუწყრა მეფე კონსტანტინი შვილსა, მეფესა ალექსანდრეს და ალექსანდრე მეფე ათაბაგსა ივანესთანა წავიდა [და მამა] ჩემი თან წაჰყვა ღარიბობასა. ხუთსა წელიწადსა ღარიბობას იახლა. კონსტანტინე მეფემან ჩალაღანს გაილაშქრა და იქი მოკლეს. მოვიდა მეფე ალექსანდრე და მის ტახტზედა დაჯდა...მაშინდელი აღარავინ ცოცხალა ზაქარიას მეტი და ზაქარიას ჰკითხეთ, როგორა ჰყვა მეფესა ალექსანდრეს მამაჩემი. მერმე თაყაც (ამილახვარი) მოიწიფა და ორნივე გამყოლად ჰყვეს და მსახურებდეს ამავე ჩუენითა მკუიდრითა მამულითა. მერმე დაჯდა ვახტანგ ბატონად და ბიძა ჩემი ამილახორი მისი ქუისლი იყო და ჴელთა შეიპყრა ვახტანგ მეფემან.

დოკუმენტის შემდგენელი, ზევდგინისძე იმოწმებს ამ ამბების, თვითმხილველს და უშუალო მონაწილეს ზაქარიას, რადგან დოკუმენტის დაწერისას მხოლოდ ზაქარია ყოფილა ცოცხალი. ნ. ბერძენიშვილის ვარაუდით: „აქ მომთხრობელი იმოწმებს „ვინმე" ზაქარიას, რომელიც თურმე „მაშინდელია" და ახსოვს, თუ როგორა ჰყვა მეფესა ალექსანდრეს, მამა მისი (ზევდგინ)".

ავტორისეული ინტერპრეტაციისაგან, განსხვავებით, მიმაჩნია, დოკუმენტში ნახსენები „ვინმე ზაქარია"-ზაქარია ფანასკერტელია. თუ ზაქარიას ფანასკერტელად მივიჩნევთ, ბუნდოვანი ამ დოკუმენტიდან აღარაფერი რჩება. მისი შვილია ალექსანდრე დიდის თანამედროვე, თაყა ფანასკერტელი. ზემოთ განხილული დოკუმენტების მიხედვით კი თაყა ფანასკერტელის ერთი და - სითიხათუნი მეფე ვახტანგის მეუღლეა, მეორე და, თაყა ამილახორის მეუღლეა და ვახტანგ მეფის „ქუისლია". პირველწყაროდან ჩანს - მეფე კონსტანტინეს დროს ზაქარია უკვე საკმაოდ გავლენიანია, სამეფო კარზე მეფესა და ტახტის მემკვიდრეს

---

[1] ნ. ბერძენიშვილი, ფეოდალური ურთიერთობიდან XV საუკუნეში, მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. I, თბ.,1937, გვ.40, 41.

შორის ჩამოვარდნილი განხეთქილების მომსწრე და მომრიგებელია. რაც ხაზგასმით აღნიშნავს ზაქარიას დამსახურებას, მის გავლენას სამეფო კარზე მეფე კონსტანტინეს დროს (1407-1412წწ.) და საბოლოოდ ამტკიცებს მოსაზრებას XIV საუკუნის მეორე ნახევარში, ფანასკერტელთა ქართლში გადმოსახლების შესახებ.

ვფიქრობ, მეფისგან ზაქარიას ევალებოდა მშობლიურ მხარეში უფლიწულზე მეთვალყურეობა და ჩანს განსაკუთრებულ მზრუნველობასაც იჩენდა უფლისწულისადმი, „ხუთსა წელიწადსა ღარიბობას" ყოფნისას. არ გამოვრიცხავთ უფლისწულ ალექსან-დრესთვის, თავისი შვილიც გაეყოლებინა საათაბაგოში, რადგან ისინი ჯერ კიდევ ტაოს ერისთავთ-ერისთავები, შავშეთსა და ტაოში მამულის მფლობელნი არიან და სამცხე-საათაბაგოს კათალიკოზის სამწყსოში მოიხსენიებიან.[1] ვარაუდის საფუძველს სწორედ ის გვაძლევს, რომ ალექსანდრე დიდის ტახტზე ასვლისთანავე სწრაფად დაწინაურდნენ ფანასკერტელები და მოულოდნელიც აღარ არის მწიგნობართათვის, სამეფო ოჯახთან კავშირს დინასტიური ქორწინებით რომ ამყარებენ.

ეს პირველწყარო ნათელს ჰფენს ზაქარია ფანასკერტელის დიდ გავლენას, აღზევებას სამეფო კარზე XIV საუკუნის მეორე ნახევარში და იოანე ბატონიშვილის ცნობის სანდოობასაც ადასტურებს. ბატონიშვილი პირველ ციციშვილს ბაგრატ მეფის (1360-1393 წწ.) დროს მოსულად ასახელებს და ზაქარიას, ანუ ზაზას უწოდებს, მაგრამ სამწუხაროდ წყაროს არ უთითებს: „თავადი ციციშვილი. ამათნი წინაპარნი არიან ურიასტანიდგან მოსრულნი ...უკანასკნელ დროსა მეფისა ბაგრატისასა იყო წარჩინებული მხედართა წინამძღომი ზაქარია ფანასკერტელი, რომელსა უწოდნენ ზაზად და ამან უკჳ დიდად მსახურა დროსა მოსვლისა ლანგ თემურისასა, რომელიცა ბრძოდა მეფესა და ვინაიდგან იქმნა ზაზა

[1] ქართული სამართლის ძეგლები ტ.III; საეკლესიო საკანონმდებლო ძეგლები(XI--XIXსს.). ტექსტი გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ი. დოლიძემ, თბ., 1970, გვ. 242.

ფანასკერტელი აიძულა მეფემან და გარდმოასახლა საქართველოსა შინა და მიუბოძა მძოვრეთისა ხეობასა შინა სოფლები და განაყოფდა ამათთა უბოძა ნიჩბისის ხეობაზედ სოფელნი და დაასახლნა მუნ. შემდგომად ამისა მოკუდა რა ზაზა დაშთა ძე ციცით წოდებული ...ჯილდოდ ამისა მეფემან (კონსტანტინემ) უბოძა შვილთა ამისთა და თვით მას გუარად ციციშვილობა..” [1]

ამილახვართა საგვარეულო გუჯრებიც ადასტურებს ამ პერიოდში ფანასკერტელების ქართლში გადმოსვლას: „თურქები მალე გამოჩნდნენ ჭოროხის ხეობისაკენ. მიიბირეს სამცხე-საათაბაგოს მრავალი თავად-აზნაურნი, სამღვდელონი და ბოლოს თვით ათაბაგებიც. ხოლო ვინც არ დაემორჩილა, აიყარნენ და ქართლში ჩამოვიდნენ: ფანასკერტელ-ციციშვილები, დიასამიძენი, ავალისშვილები, კავკასისძენი, ზევდგინისძენი და სხვ.”[2] გუჯრებში მოხსენიებული თავად-აზნაურები სამცხის თავადთა XVI საუკუნის პირველი ნახევრის ნუსხას ეყრდნობა. ამის შესახებ საინტერესოა ს. კაკაბაძის მოსაზრება: „ის ძველი სია სამცხისა და მესხეთის თავადებისა, რომელიც საფუძვლად უდევს საკათალიკოზო სამწყსო თავადების XVI საუკუნის ნუსხას, შედგენილი უნდა იყოს არა უადრეს 1356 წლისა და არა უგვიანეს 1443 წლისა”.[3] შესაბამისად ამისა, შესაძლებლად მიგვაჩნია ამავე პერიოდში ფანასკერტელებთან ერთად სამცხის თავად-აზნაურთა ერთი ნაწილის ქართლში გადმოსვლა.

ჩვენი საკვლევი თემიდან გამომდინარე მეტად საყურადღებოა იერუსალიმის ჯვრის მონასტრის #136 აღაპში მოხსენიებული ზაქარია ფანასკერტელი. „ამასვე დღესა გაუჩინეთ მე, ჯუარის მამან პიმენ მოძღუარმან, ოქროპირმან კანდელაკმან, ერთსულობით კრებულმან, აღაპი ფანსკერტელსა ზაქარიას და მისსა დასა მარიხს

---

[1] ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი,ფ. S, საბ.# 3729

[2] ძველი საქართველო, II; თბ.,1913, გვ.102.

[3] ს.კაკაბაძე, კვლევა-ძიებანი საქართველოს ისტორიის საკითხების შესახებ, XIV-XVI საუკუნის მესხეთის თავადების სია, ტფ. 1920, გვ.11.

საუკუნოი აღაპი, შეუნდვნეს ღმერთმან...”[1] აღაპში მოხსენებული ზაქარია ფანასკერტელი და მისი და მარიხ უკვე გარდაცვლილები არიან. მამა პიმენის მოღვაწეობის დათარიღება სინას მთის სულთა მატიანის ჯვრის მამათა მოსახსენებლითაც დასტურდება.[2] ”პიმენი იერუსალიმს მისულა 1400 წელს და ჯვრის მონასტრისთვის ცვილი და ზეთი შეუწირავს. პირველ ხანებში ის, როგორც ჩანს, რიგითი ბერი იყო, შემდეგ ჯვრის წინამძღვრად აურჩევიათ... აღაპებში მონასტრის წინამძღვრად მამა პიმენი უკვე XV საუკუნის დამდეგიდან მოიხსენიება”.[3] ეს კიდევ ერთი სანდო წყაროა, რომელიც ზაქარია ფანასკერტელს XIV საუკუნის მეორე ნახევრის მოღვაწედ ათარიღებს.

ფანასკერტელების ქართლში დამკვიდრების ამავე პერიოდზე მიგვანიშნებს 1467 წლის მეფე კონსტანტინე II-ის განახლებული სიგელი, სადაც ვკითხულობთ: „...სახლის ჩუენისა თავადსა ფანასკერტელსა ზაზას და თქვენთა შვილთა ქაიხოსროს, გიორგის, სიაოშს, მერაბსა და ზაქარიას, მას ჟამსა ოდეს ჩუენის სიყ-ვარულისთუის შავშეთს თქვენი მკვიდრი მამული დასთმეთ და ჩუენად საერთგულოდ მოხუედით და ჩუენ მოგაჯხენეთ ჴვედურეთს ორბოძლეულისეული მამული ...ორბოძლეულისეული მამული მაშინაც თქვენ გმართებდა, ამად რომე ორბოძლელსა პაპისა თქუენისათვის ეღალატა და მისი მამული ნასისხლად მოეცა და განაღამცა თქვენ გქონდა სამკვიდროდ, ამას გარეთ მოგაჴსენეთ და დაგიმტკიცეთ სრუ ... მამული ქვაჴვრელი, უფლისციხე და კარალეთი ... და ჩუენგან თქვენთვის სამკვიდროდ ბოძებულსა მამულსა მართებს, აგრე ვერავინ დაგეცილოს და თუ ვინ დაგეცილოს მისი პირი და პასუხის გამცემნი ჩუენ ვართ და გქონდეს თქვენ ჩუენსა

---

[1] ე. მეტრეველი, მასალები იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორი - ისათვის, თბ.,1962, გვ.92.

[2] ივ.ჯავახიშვილი, სინის მთის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, თბ.,1947, გვ. 245.

[3] ე. მამისთვალიშვილი, ქართველები და ბიბლიური სამყარო, თბ., 1998, გვ.133.

ერთგულსა ჩუენისა თავადსა ფანასკერტელსა ზაზას და თქვენთა შვილთა ქაიხოსროს, გიორგის, სიაოშს, მერაბსა და ზაქარიას, შვილიშვილთა და მომავალთა სახლის თქუენისათა ყოველთა ჴვედურეთს ორბოძლეულისეული თქვენი ნასისხლი მამული, რაცა ხოსაშვილსა ბაღათარს, ანუ ჴვედურეთს ქონარა და ანუ კეხისჯუარს და ამა სიგელშიგა გოწერია, სრულად და უკლებლად."[1]

სწორედ ამ მნიშვნელოვან სიგელზე და იოანე ბატონიშვილის დაუზუსტებელ ცნობაზე დაყრდნობით გამოითქვა პირველი ვარაუდი ფანასკერტელ-ციციშვილების ქართლში გადმოსახლების შესახებ, XIV საუკუნის მეორე ნახევარში.[2] ისტორიული საბუთებიდან ცნობილია, რომ ორბოძლელები მართლაც ფლობდნენ მტკვრის გაღმა მხარის მიწა-წყალს. დავით ულუს ორბოძლელისათვის მიუცია სვეტიცხოვლის მამულები, მათ რიცხვში ხვედურეთი, სამწევრისი, კეხიჯვარი, ზოვრეთი და სხვ. მეფე დავითს (1346-1360წწ.) ეს მამულები 1355წ. ორბოძლელისთვის გამოურთმევია და კვლავ მცხეთისათვის შეუწირავს „რაიც ჴუედურეთს და იმერჴევს მცხეთისაჲ არის და ყოფილა ალაგები."[3] ორბოძლელთა მამული ნასისხლად მიუღია ზაზა ფანასკერტელის პაპას ე. ი. თაყა ფანასკერტელის მამას, რაც მხოლოდ XIV საუკუნის მეორე ნახევარში შეიძლებოდა მომხდარიყო.

მართლაც, აღნიშნული მამულები 1392 წლის მცხეთის საეკლესიო მამულების ნუსხაშია შეტანილი.[4]

---

[1] საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი (შემდეგში სცსსა), ფ.1448, აღწ 1; საქმე # 64;

[2] დ.გვრიტიშვილი, ფეოდალური საქართველოს სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან,თბ.,1955, გვ.121.

[3] ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა, შეკრებილი, ქრონოლოგიურად დაწყობილნი, ახსნილი და გამოცემული თ. ჟორდანიას მიერ, წ.II; ტფ.,1897, გვ.184,196.

[4] ქართული სამართლის ძეგლები ტ.III; საეკლესიო საკანონმდებლო ძეგლები (XI-XIXსს.). ტექსტი გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ი. დოლიძემ, თბ., 1970, გვ.176.

ფანასკერტელების გადმოსვლა და დამკვიდრება მტკვრის მარჯვენა მხარეს, ზემო ქართლის თავადების, ჩიჟავაძეთა და ჯავახიშვილების შევიწროების ხარჯზე უნდა მომხდარიყო. თუმცა, წყალობის სახით ტანასა და თეძმის ხეობაში თემურ-ლენგის ლაშქრობებისაგან გაუკაცრიებულ სოფლებს და „საჭელო" დაკარგულ ფეოდალთა მამულებსაც ღებულობდა. მაგალითად, მეფე გიორგის VII-ეს გარდაცვალებამდე (1393-1407წწ.) დაწერილ მცხეთისადმი შეწირულ სიგელში ვკითხულობთ: „ მეფეთა-მეფის გიორგის დამან ულუმპია და ჩემმა შვილმა საზუერელმან ...შემოგწირეთ ჩიჯავაძის ამირეჯიბისა სულისა სააღაპოდ ხუედურეთს ბუკისძისეული მამული მისითა სამართლიანითა სამზღვრითა და თუ თქვენ კათალიკოზმან ელიოზ კაცი დაასახლოთ ამას ბუკისძისეულსა მამულსა ზედა, არავინ იყოს შემცილე...და არავინ რაჲ საქმე დაგიგდოს...და ვინ კაცი დაასახლოთ, მუშაობისაგან მეტი არა ეთხოვებოდეს..."[1] შემწირველნი პირობას დებენ, რომ თემურ-ლენგისაგან აოხრებულ და დაუსახლებელ შეწირულ მიწებზე დასახლების შემთხვევაში, მხოლოდ „მუშაობას" (თითო დღე ხვნა, თესვა, მკა, ლეწვა) ითხოვენ და არა მიწის შემოსავალს. დოკუმენტიდან ჩანს კახაბერ ჩიჯავაძე გარდაცვლილია და მისი „საჭელო" ამირეჯიბობა XV საუკუნიდან გაბელისძეთა[2] საგვარეულოში მკვიდრდება. რაც შეეხება თორელთა საგვარეულოს, მათი ძირითადი შტო -კახა გამრეკელებისა, შიდა ქართლში XIV საუკუნის დასაწყისიდან გადმოსახლებულან ჯავახეთიდან და გამრეკელ - ჯავახიშვილები ხდებიან.[3] ქართლის ცხოვრების მიხედვით ძამის ციხის მფლობელობა დაკარგეს ჯერ კიდევ როცა „მძლავრობდენ

---

[1] ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა, შეკრებილი, ქრონოლოგიურად დაწყობილნი, ახსნილი და გამოცემული თ. ჟორდანიას მიერ, წ.II; ტფ.,1897, გვ.213.

[2] ე.მეტრეველი, მასალები იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიისათვის, თბ.,1962, გვ.140

[3] ნ.შოშიაშვილი, თორელთა ფეოდალური სახლის ისტორია და შოთა რუსთაველი, კრებ.შოთა რუსთაველი, თბ., 1966, გვ.45.

ოვსნი ქართლს...უმძვინვარესად აოხრებდა ბაყათარ ქართლსა და მეფე დავით ვერ წინააღუდგებოდა...მაშინ ბაყათარ წარუღო გამრეკელსა კახას ძესა, ციხე ძამისა".[1] გიორგი ბრწყინვალემ „განასხა ძლიერებითა თჳსითა".[2] XIV საუკუნის მეორე ნახევრიდან ძამის ციხეს უკვე ფანასკერტელ-ციციშვილები ფლობენ. ყოველივე ამის სანაცვლოდ მეფე ფანასკერტელებისაგან ერთგულებით მსახურებას მოითხოვდა. კერძოდ, ქართლის სამეფოს საზღვრისპირა მხარის მოვლა-პატრონობასა და დაცვას, ჯავახეთიდან და თრიალეთიდან შიდა ქართლისაკენ მომავალი გზების გაკონტოლებას და მთავარ სავაჭრო მაგისტრალის საბაჟო გადასახადზე პასუხისმგებლობას." [3]

ალექსანდრე დიდის მეფობის ბოლო წლებში (1412-1442წწ.) სამეფო კარზე შეინიშნება უთანხმოება. ჩანს, მეფე იძულებულია სამეფო საუფლისწულოებად დაუყოს და მისცეს მემკვიდრეებს. შესაძლებელია განდგომილ, სამცხე საათაბაგოსა და სათავადოებად დაყოფილ, სეპარატისტულად განწყობილ ქვეყანაში ამ გზით ფიქრობდა კიდეც ქვეყნის ერთიანობის შენარჩუნებას. ჩვენამდე მოღწეულ სიგელებში,[4] ალექსანდრე დიდის სიცოცხლეშივე დემეტრე მეფედ იხსენიება თავისი ძმების, ვახტანგისა და გიორგის გვერდით.[5] დემეტრემ ჯერ კიდევ მამის სიცოცხლეშივე, ალექსანდრე დიდისაგან მიიღო სამეფო „დომენის" მნიშვნელოვანი ნაწილი - „მტკვრის გაღმა მხარის"სრული ბატონ-პატრონობა. „შვილებისათვის

---

[1] ქართლის ცხოვრება, ტ. II, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ; თბ.,1959, გვ. 317.

[2] ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა, შეკრებილი, ქრონოლოგიურად დაწყობილნი, ახსნილი და გამოცემული თ. ჟორდანიას მიერ, წ.II; ტფ.,1897, გვ.178.

[3] ქართული სამართლის ძეგლები ტ.II; საერთო საკანონმდებლო ძეგლები(X-XIXსს.). ტექსტი გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ი. დოლიძემ, თბ., 1965, გვ.225.

[4] ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა, შეკრებილი, ქრონოლოგიურად დაწყობილნი, ახსნილი და გამოცემული თ. ჟორდანიას მიერ, წ.II; ტფ.,1897, გვ.241,257.

[5] ს. კაკაბაძე, ისტორიული საბუთები, წ. III, თბ., 1913,გვ.15, 20, 28.

მინებებული საგანმგებლოები დროთა განმავლობაში „პროვინციის მეფეთა” სამფლობელოებად გადაიქცნენ, სადაც „ჯერეთ არ კურთხეულნი” უკვე მეფეებად მოგვევლინნენ.”[1] ფანასკერტელ-ციციშვილები და ქართლის მსხვილ ფეოდალთა გარკვეული ნაწილი ჯგუფდება „პროვინციის” მეფე-დემეტრესთან, რათა მისი მხარდა-ჭერით უზრუნველყონ ყმა-მამულების გაზრდა, უფლებრივი მდგო-მარეობის გაუმჯობესება და დაცვა.

ამრიგად, მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე, „პროვინციის” მეფის მხარდაჭერითა და თანადგომით „გაღმა მხარეში“, ციხე-სიმაგრეების, ეკლესია-მონასტრის და ყმა-მამულების დაუფლებით იწყება საციციანოს, როგორც სათავადოს ისტორია. ამ მოსაზრებას ამყარებს პალეოგრაფიული წარწერებიც.[2]

XV საუკუნის პირველ ნახევარში მამულების მოურავობიდან აღზევებული ფანასკერტელთა ეკონომიკური და პოლიტიკური მდგომარეობა იმდენად გაზრდილია, რომ ვახტანგ მეფისაგან (1442-1446წწ.) სრულიად შეუვალნი ხდებიან. ამასთან დაკავშირებით საინტერესოა ნ. ბერძენიშვილის მიერ გამოქვეყნებული XV საუკუნის დოკუმენტი თუმანიშვილების კოლექციიდან. დოკუმენტი იმდენად მნიშვნელოვანია საციციანოს ისტორიისათვის, რომ საჭიროდ მივიჩნიეთ ტექსტის მნიშვნელოვანი ნაწილის გაცნობა. მემატიანე მართალია ტენდენციურია საკუთარი გვარის დამსახურების წარმოჩინებისას და ფანასკერტელების საგვარეულო „ვალებისადმი”, მაგრამ მისი ცნობები ისტორიული რეალობას მოკლებული არაა და ამ პერიოდის წყაროთაგან სანდოობით გამოირჩევა: „ვიკდრებთ პატრონსა თაყას და მისსა შვილსა ზაზას ჩუენგან ვალი სძეს. ვახტანგ მეფობა დაიჭირა, წყალსა იქით მისსა ძმასა პატრონსა დემეტრეს

---

[1] დ.ნინიძე, ბაგრატიონთა სამეფო სახლის განშტოებათა ისტორია, თბ., 2004, გვ.113.

[2] დ. ბერძენიშვილი, ფანასკერტელთა ფეოდალური საგვარეულოს ისტორიიდან, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული, ტ.I; თბ.,1960, გვ.98.

მიანება თაყას გარეთ და თაყა ამისთუის არა მიანება, რომე მისი მამული და ციხე ჩიჟავასძისათვის უნდოდა და ამაზედა თაყა დიდად შეწყინდა და ესე მოაჴსენა პატრონსა დემეტრეს, ვითა: „წასაჴდენლად უნდივარ და ჩემი თავი და მამული მისთვინ არა მოგანებაო. ამაზედან გამრეკელმან აზდომიანთა საქმე მოაჴდუნვა, რომე მისი თავი და მამული ვახტანგისად შექმნა და თაყა პატრონსა დემეტრესად დაარჩუნვა და მოარჩინა წაჴდენასა...

მესამე ვალი ესე: პატრონი ბაგრატ მეფე ქართლს ჩამოვიდა და ციციშვილსა ლაშქარი გაუძახა. გიორგი მეფესა დავეთხოვენით და არა გაგუშუნა და მისად უნდომად მამა ჩუენი და სამნივე ძმანი წავედით და ჩუენითა ლაშქრითა უშუელეთ. ერთსა დღესა შუიდჯერ შევიბენით და დავაყრევინეთ მისისა მამულისა ალაფი და კენეღარა ჩუენითა ლაშქრითა გამრეკელი და სამნივე ძმანი შევეჴოცენით თაყას გულისათვის და თუ არა, ჩემსა მამულსა შორს იახლნეს...

მეხუთე ვალი ესე: გიორგი მეფემა ატენისა მოურაობა მისცა გამრეკელსა და თაყამან ატენი სთხოვა მეფესა და მეფემან გამრეკელისა საკითხავად დაუდვა. ჰკითხა გამრეკელსა, ვითა: „ თაყა ატენსა მთხოვს, მოურავი შენ ხარ და რას მივაზირებ, მივსცე თუ არაო, სიმაგრე სხუაცა აქუს და ამასცა კიდევე ითხოვსო. გამრეკელმან ფიცხლა მიცემა გაუპირა და ესე მოაჴსენა, ვითა:„ ატენსა მის უკეთესსა რას აქნევ, რომე მისთანა კაცი მოიმადლო”. თაყას გულისათვის მოურაობაცა დასთმო და მიცემასაცა გაუპირდა, თუმცა გამრეკელი არა, მეფე ატენსა თაყას არა მისცემდა, მაგრა მან აქნევინა და მეფე დია დაღონდა ატენისა მიცემასა.

მეექუსე ვალი ესე: ვახტანგ მეფე თაყას ჴელთა შეპყრობასა აპირობდა. ბადაბეთს იდგეს. თაყა და ჩუენ მუდამად ერთ მესადგომენი ვიყვენით. თუით მეფესა ვახტანგს აბჯარი შეეცო და ზედ დასხმასა და ჴელთ შეპყრობასა აპირობდა. ზედა წითელაშვილი ივანე შემოესწრა და ასრე მოაჴსენა, ვითა: „ რა საქნელია, რასაც აპირობთ: ჯავახიშვილი და იგი ერთად დგანან და, თუ არ მათცა კიდე დაჰჴოც, თაყას ჴელთ შესაპყრობლად არ დაგანებებსო. გამრეკელისა ბედითა

დაშალეს და ვერა გაბედეს ჴელთა შეპყრობა და თუ არა, შეიპყრობდეს ჴელთა და, რაცა უარესი იყო, მას უზემდეს...”[1]

დოკუმენტი ნათელს ხდის ერთიანი საქართველოს დაშლის პროცესს, თუმცა დასუსტებული ცენტრალური ხელისუფლება განაგრძობს არსებობას. ვახტანგ მეფემ ვერ შეძლო გაორგულებული ფანასკერტელისთვის ყმა-მამულები და ციხე ჩამოერთმია და ჩიჟავაძისათვის გადაეცა. ჩიჟავაძეების მცდელობა, ბრძოლით დაიბრუნონ XIV საუკუნის მეორე ნახევრიდან დაკარგული მამულები მარცხით მთავრდება. მეფეთ-მეფე ვერც ძალით ბედავს ქვეშევრდომის „ჴელთა შეპყრობას” რადგან იცის, „შეიპყრობდეს ჴელთა და, რაცა უარესი იყო, მას უზემდეს,”ამიტომ იძულებულია მისი „მინებება”. უფრო მეტიც, მეფის წინააღმდეგ ბრძოლაში, საკუთარი ძმა, „პროვინციის მეფე”- დემეტრე და მისი სოციალური დასაყრდენი ძალა, ქართლის გავლენიანი თავადები: გამრეკელნი, თუმანიშვილები, ჯავახიშვილები „წყლის იქითელნი დარბაზის ერნი” ფანასკერტელების მხარეს არიან. მაშინ როცა ისტორიული წყაროების მიხედვით მეფე ვახტანგი თაყას სიძეა. „პროვინციის მეფისათვის” ასეთი მნიშვნელოვანი სამფლობელოს „მინებება” არ უნდა იყოს შემთხვევითი რადგან ისინი სწორედ ასეთ „ქვეყნებში” პოულობენ ან ღებულობენ ერთგულ დასაყრდენ ვასალებსა და შემოსავლის წყაროს და თუ ჩვენს მოსაზრებასაც გავითვალისწინებთ, რომ თაყა ფანასკერტელი დემეტრეს სიძეა, მაშინ ასეთი კავშირი და ერთსულოვნება დემეტრესა და თაყას შორის ბუნებრივია.

ფანასკერტელები მეფე გიორგი VIII-ს (1446-1465წწ.) დროსაც ინარჩუნებენ ძლიერებასა და გავლენას. მეფე გიორგი VIII არ ეხმარება საკუთარ „ყმას”, როცა „ბაგრატ მეფე ქართლს ჩამოვიდა და ციციშვილსა ლაშქარი გაუძახა”. მეფე გიორგი, როგორც ჩანს, შეეცადა ფანასკერტელებისათვის შეეზღუდა მამულების შეუვალობა. ამით

---

[1] ნ. ბერძენიშვილი, ფეოდალური ურთიერთობიდან XV საუკუნეში, მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. I , თბ.,1937,გვ. 50,52.

სურდა ტახტის კანონიერ მემკვიდრეს, თავის უფროს ძმას დემეტრეს (ალექსანდრე დიდის უფლისწულს პირველი ქორწინებიდან) დასაყრდენი ძლიერი ძალა მოუშალოს. როგორც ჩანს საციციანოს დამორჩილებით ფიქრობდა ტახტის დაკარგვის მოსალოდნელი საფრთხე თავიდან აეცილებინა. თუმცა მეფის დახმარების გარეშეც ახერხებენ დამხმარე ძალების გამოყვანას და გამარჯვების მიღწევას. უფრო მეტიც, სათავადოს ძლიერების სიმბოლოდ ქცეული ატენის ციხე-სიმაგრის წართმევას ცდილობს, თანაც იძულებულია ქვეშევდომებთან, თავისი ქმედება გაამართლოს იმით, რომ „სიმაგრე სხუაცა აქუს". მეფეს ატენის ციხის მოურავობა გამრეკელისათვის სდომებია. გამრეკელისვე რჩევით, რაც ძნელი დასაჯერებელია დოკუმენტის ავტორისგან, მეფეს ამიტომ აუღია განზრახვაზე ხელი. ფაქტია მეფეს არ შესწევს ძალა ციხის წართმევით დასაჯოს და სრულ მორჩილებაში იყოლიოს სათავადოს მფლობელი ფანასკერტელები. წყაროში პირდაპირი მინიშნებაა ფანასკერტელთა ძლიერებასა და შეუვალობაზე. მეფეს ისღა დარჩენია „რომე მისთანა კაცი მოიმადლოს", მიუხედავად იმისა, რომ „სიმაგრე სხუაცა აქუს და ... მეფე დია დაღონდა ატენისა მიცემასა". მეფეს ისღა დარჩენია სათავადოს სახელოს მნიშვნელოვანი ატრიბუტი ატენის ციხე ფანასკერტელებს „მიანებოს" და ასეთი „წყალობის" გზით დაავალდებულოს მეფის ერთგულებით სამსახური.

რაც შეეხება სათავადოს, საციციანოს სახელწოდებას, მასთან დაკავშირებით ფაქტობრივი მასალების სიმწირის გამო სამეცნიერო ლიტერატურაში განსხვავებული მოსაზრება არსებობს. ფაქტობრივ მასალებზე დაყრდნობით, ფრიად საინტერესოა ისტორიული ტაოს ტერიტორიაზე ვაჩიძორის მონასტრის ნანგრევების მახლობლად, მღვიმეში ნაპოვნი საბუთები, რომელიც გამოცემულ იქნა ექვთიმე თაყაიშვილის მიერ 1907 წელს. საბუთების აღმოჩენის ისტორიას ასე გადმოგვცემს ექვთიმე თაყაიშვილი. „ჩვენს ვაჩიძორის მისვლის წინა დღეებში, ერთ მონადირეს ამ ნანგრევების მახლობლად, კლდის წვერზე მოეკლა გარეული თხა. თხა ძირს აღარ ჩამოშვებულიყო, შუა

ნაპრალზე კლდისა დასცემოდა ერთი მღვიმის ამოშენებულ კედელს, ჩაენგრია შერყეული კედელი და ჩავარდნილიყო მღვიმეში. მონადირე ასულა ზევით თხის ჩამოსატანად და მღვიმეში უპოვნია მთელი შეკვრა საბუთებისა: ზოგი დამპალი იყო, ზოგი ნაწილობრივ გადარჩენილიყო და ზოგი – მთელად. მონადირემ საბუთები მიართვა უჩასტკის უფროსს, ფეოდორ ინჟავეტსკის, რომელიც ჩვენთან იყო...“[1] თაყაიშვილის დროს მონასტერს ვანქად ასახელებდნენ, ძველი სახელი ვაჩეძორის მონასტერს, (იგივე ვაჩიძორი) არსებობას ტაოში ადასტურებს ყოფილი საეკლესიო მუზეუმის #73 ხელნაწერზე მინაწერი:„სრულ იქმნა...დიდსა ლავრსა შატბერდს ...ჴელითა გრიგოლ ვაჩეძორელისათა“[2].

ჩვენი საკვლევი თემისთვის მეტად საყურადღებოა პირველი და მეორე საბუთი, „დაწერილი ვაჩიძორის მონასტრის კრებულისა „...მისი შვილების, ერითავთ-ერისთავის მეჭურჭლეთუხუცესის ზაზა ფანასკერტელისა და ციცისადმი.“ თაყაიშვილის დაკვირვებით, საბუთი „პირია იმ დადგენილებისა, რომელიც მონასტრის კრებულს ზაზასათვის მიურთმევია“ ვაჩიძორის მონასტრის მოძღვარ კანდელაკისაგან. ამ დადგენილებით მოძღვარს და კრებულს უთხოვიათ ერისთავთ-ერისთავისა, მეჭურჭლეთუხუცესის ზაზა ფანასკერტელისა და მისი ძმისთვის - ციცისათვის, რათა მას მონასტერი ვაჩიძორი გაეთავისუფლებინა სამონასტრო გადასახადის ალავისაგან. ზაზას თხოვნა შეუწყნარებია და მათთვის მიუცია გუჯარი. კრებულს სანუქფოდ გაუჩენია ექვსი წირვა დღესასწაულთა დღეს წელიწადში ზაზასათვის. საყურადღებოა კიდევ ერთი გარემოება. კრებული პირობას იძლევა, თუ ერისთავმა შემდეგში რაიმე ახალი გადასახადი შემოიღო, ისინი ვალდებულნი არიან ეს

---

[1] ე.თაყაიშვილი, არქეოლოგიური ექსპედიცია კოლა-ოლთისა და ჩარ-გალში, თბ.,1907,გვ.61.

[2] ქართული დოკუმენტური საბუთების კორპუსი, II,(XIV-XVსს.), შეად-გინეს და გამოსაცემად მოამზადეს თ.ენუქიძემ, ნ. თარხნიშვილმა, ბ. ლომინაძემ, თბ.,2013წ. გვ.239, დოკ. #83.

გადასახადი შეკრიბონ და ერისთავებს დროზე წარუდგინონ და ალავის* აღმოფხვრა ამ ახალ გადასახედზე უარის სათქმელად არ გამოიყენონ. სახელოვანი მეცნიერი, ექვთიმე თაყაიშვილი საბუთებს ათარიღებს XV საუკუნის პირველი ნახევრით და დათარიღების საფუძველზეც მიუთითებს: „ჩვენი საბუთი და სხვა ამას ქვემოთ მოყვანილი წერილებიც XV საუკუნის პირველ ნახევარს უნდა ეკუთვნოდეს. ამას ეთანხმება მხედრული ხელის ხასიათიც წერისა.“[1] საკვლევი საკითხისათვის აღნიშნული საბუთები მეტად საინტერესო ცნობებს გვაწვდიან: „ქ. თქუენ : პატრონთა : ნათელსა : და თქუენთა : შვილთა : მეჭურჭლეთა : უხუცეს : ერისთავთა :ერისთავსა :ფანასკერ-ტელს : ზაზასა : და თქუენსა : ძმასა : ციცის : კადრეთ : ესე : წიგნი : და პირი : მტკიცე : მიზეზე შემოუღებელი : კადრე : და მოგაჴსენეთ :ჩუენ :ვაჩიძორისა : მოძღურმან : კანდელაკმან : დაერთსულობით:კრებულ-მან : მოვედით: კართა: ზედა: ვიჩივლეთ: რომე: რაცა: დროსთა ნაცა: სათხოარი: შემოვიდის : მონასტრისა : შესავალშინა : ალავთა : ამოსა წყუედლად: დაგსხონან : მოიკლეთ : რომე: ვერა: ამოვიდოდით: დი დი : მისჭირდის : ალავთაგან : ქუეყანას : მოიკლეთ : დაშეგუიწყალეთ :თქუენად: სამლოცველოდ: და ალავისა: მოსღა : ამოგუიგდეთ: რომე ერთ : ტეზოლისა: ალავთა მეტი : ალავი : არა : შემოვიდეს : რაცა: ქუეყანასა: უკანა: სათხოარი:იყოს: რასთანაცა: მისა: წიგნსა გუიბოძებ დეთ : ვინცა : მოძღრად : ვიყნეთ: და მონასტერსა: ჩუენ: მოვკრეფ დეთ: ჟამიერად : ქუეყანას : უკანა: მოგაჴსენებდეთ: დაუყონებლად: რომე: არა: შეგეცილნეთ: რაც :კართა: ზედა: თქუენითა ნებითა: არა:

---

*ალავი, სამონასტრო გადასახადი ტაოში.შდრ. ძველი ქართული საქორწილო ჩვეულება, სასიძო საპატარძლოს მიართმევდა ძღვენს. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ.1,თბ.,1975, გვ.262. ალვა, თაფლის სანუკვარი; ნ. ბერძენიშვილი,მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის, I, II, III წიგნების ლექსიკონი და საძიებლები შეადგინა მამისა ბერძნიშვილმა, თბ.,1957, გვ.7.

[1] ე. თაყაიშვილი, არქეოლოგიური ექსპედიცია კოლა-ოლთისა და ჩარ-გალ ში, თბ.,1907,გვ.62.

გუირვთ : და გუიბედნეთ: საურავითა : თქუენითა : საპირნოყედ: სხუა: არად: დაგიყოვნოთ: ჟამიერად : მოგაკსენოთ : რასთანაცა: ისი: პირი : სათხოარი: იყოს: არა: მიზეზი:სხუა : არად: დაგიყოვნოთ: ჟამიერად : მოგაკსენოთ: რასთანაცა: ისი: პირი: სათხოარი: იყოს: არა: მიზეზი: შემოვიღოთ : უ(ა)ლაობითა: დაკლებული : არა ვქნათ : თუ: ესე: პირი: და წიგნი : არა : გავათავოთ : თქუენ: პირადნი : უბრალონი: იყუნეთ: და ჩუენ: ვიყუნეთ : ამა :ფიცისა: და პირისა: გამტეხელი: ამისი: სიმტკიცე: თავსა: და ბოლოსა: თქვენ:უკუ(ე)ფიცით: ექსი: წირვა: დღესასწაულთა : თავად : გარიგონ : ჩუენთა : შემდეგომთა : საუკუნოდ: ზაზასათუის.“

ვაჩიძორის კრებული ერისთავთ-ერისთავებს, ზაზა და ციცი ფანასკერტელებს ერთად მიმართავენ თხოვნით, პირობას დებენ ალავის გარდა გადასახადებს ერთად მოკრებდნენ და მიართმევდნენ, რაც ძმების გაუყრელობაზე, ისტორიული საგვარეულო, სამკვიდრო მამულების გაუყოფლობაზე უნდა მიუთითებდეს.

მეორე საბუთი წერილია ანტონისა ვაჩიძორის მონასტრის მოძღვარის აბრაამისადმი. იგი ერითავთ-ერისთავ, ზაზა ფანასკერტელის კარისკაცის ანტონის მიერაა მიწერილი ვაჩიძორის მონასტრის მოძღვრის აბრაამისადმი. ის აფრთხილებს აბრაამს, თუ თავისთვის ავი საქმე არ უნდა, ზაზას უნახავად ციცი არ ინახულოს. როგორც ჩანს, ზაზას ის ამოურჩევია შუა კაცად მასსა და მის ძმას ციცის შორის. ეტყობა, ძმათა შორის რაღაც დავა, ან უსიამოვნება ყოფილა. ცხადია, ვაჩიძორის მოძღვრის ავტორიტეტი დიდი ყოფილა, რადგან ერისთავი ზაზა მხოლოდ მას ირჩევს შუაკაცად და სხვა კაცი არ უნდა შუა შემოიყვანოს, ასკვნის თაყაიშვილი:„ქ : მ¯იწა : წმიდათა : მადლთა: თქუ¯ნთა : შემთხუვის : მონატრი: ანტონი: გრძლად : კადრებითა : არ : დაგრჯი: მოძღუარის : აბრამის: მადლმან: ჩე¯მგან : არ გეკადრების : მოკსენება : და სხუად: ეზომს : მოგაკსენებ: რომე: თ¯უ :ანუ : პატრონი : ზაზა : არ მოგიმდურვებია: და¯ნუ: შენის: თავის : ჰავი : არ გინა : პატრონისა : ზაზას : უნახავად : ციცის : ნუ : ჰნახავთ : აქა : მოუკსენებია : და ნუღარას : დაიყოვნი: წამოდით : შე-

ნითა: პირითა : ეპრიანების : პატრონს : ზაზას : ციცის : საუბარი : და უთქუენს : კაცს : არ შემოიყვანს : შუა : და წამოუვალობას : ნუ იქთ : სხუას : ნუვის : მოუცდი : შენ : წინათ : გამოისწრაფე : და დღე : და ღამე : წამოდი : საქმე : აქეთ : არის: ნუღარ სდგა: წამოდი.“ მასალების სიმწირის გამო გვიჭირს ავხსნათ ძმებს შორის ჩამოვარდნილი უსიამოვნების მიზეზი. მაგრამ ერთი, ხაზგასმით შეიძლება ავღნიშ-ნოთ, რომ საბუთი მათ შორის დიდი ხნის ურთიერთ მტრობას ნამდვილად გამორიცხავს.[1]

საბუთებში დაცული ცნობების მიხედვით თაყას გარდაცვა-ლების შემდეგაც მის მემკვიდრეებს ციცი და ზაზა ფანასკერტელებს არ შეუწყვეტიათ კავშირი მშობლიურ მხარესთან, იწოდებიან ერითავთ-ერისთავებად, პარალელურად იძენენ და აფართოებენ ქართლში სამეფო კარისგან ნაწყალობევ სამკვიდრო საგვარეულო მამულებს. მეორე დოკუმენტი ძმებს შორის უთანხმოებაზე ამახვილებს ყურადღებას. შესაძლოა სწორედ ძმებს შორის უთან-ხმოებით ისარგებლა ათაბაგმა და ქართლის მეფის ერთგული ერისთავების წინააღმდეგ ბრძოლაში : „ეზრახა გურიელს კახაბერს, და მისცა აჭარა, ჭანეთი, რათა მწე ექმნეს ერისთავთა ზედა ამის ქუეყნისათა ...მოსრნეს, ვიეთნიმე დაიმორჩილეს და ვიეთნიმე ივლტოდნენ, ვითარცა ზაზა ფანასკერტელი, წავიდა ქართლს წინაშე გიორგი მეფისა და სხუანიცა. ხოლო ყვარყვარემ დაიპყრა ქვეყანანი და ციხენი სამცხე-კლარჯეთისანი თუისად და უწოდა სახელითა თუისად და უწოდა...საათაბაგო. ეს მოხდა 1463წ.“ [2]

ამ საკითხთან დაკავშირებით, საინტერესო მოსაზრება აქვს გამოთქმული დ. ბერძენიშვილს: „ძმებს შორის ურთიერთობა შეიძლება სწორედ მეფესა და ათაბაგთან დამოკიდებულების გამო გამწვავებულიყო. ზაზა მეფის მომხრეა და მისი „ამოდყოფისა მოცადე-მომჭირნეა. ციცი კი საამისო ხალისს არ უნდა იჩენდეს-ო.“

---

[1] ე. თაყაიშვილი, არქეოლოგიური ექსპედიცია კოლა-ოლთისა და ჩარგალში, თბ.,1907,გვ.62.

[2] დ. ჩუბინიშვილი, ქართლის ცხოვრება, II, თბ.,1894, გვ.154.

არ გამოვრიცხავთ ამ მოსაზრების მართებულობას. ფაქტობრივი მასალების უქონლობის გამო ვფიქრობთ, რომ შესაძლოა ძმებს შორის არსებული უთანხმოების მიუხედავად ციცი ფანასკერტელმა საკუთარი სიცოცხლის ფასად შეძლო ზაზა ფანასკერტელის და ტაოში დარჩენილ საგვარეულოს წევრთა სიცოცხლის გადარჩენა. ყოველ შემთხვევაში, ციცის ქართლში მოღვაწეობას ზაზას გვერდით, არც ერთი საბუთი არ ადასტურებს. ზაზა ფანასკერტელმა შესაძლოა ამიტომაც, მისი სახელი დავიწყებას არ მისცა და თავისი ძმის სახელი ძირძველ საგვარეულო სახელთან ერთად დაამკვიდრა და იწოდებოდნენ ფანასკერტელ-ციციშვილებად.

გვაქვს განსხვავებული მოსაზრებანი სამეცნიერო ლიტერა-ტურაში. ერთ-ერთი ზაზა ფანასკერტელს, ციცი ფანასკერტელის შვილად მიიჩნევს,[1] თუმცა ამის დამადასტურებელი პირველ-წყაროები არ მოგვეპოვება, უფრო მეტიც, ყველაზე სანდო პირველწყაროში - 1467 წლის სიგელში, ზაზა ფანასკერტელის ხუთი ვაჟიშვილის: ქაიხოსროს, გიორგის, სიაოშს, მერაბსა და ზაქარიას გვერდით არ მოიხსენიება ციცი ფანასკერტელი, შესაბამისად ამ მოსაზრებას მეცნიერული საფუძველი არ გააჩნია. დაუსაბუთე-ბელია მოსაზრება, სახლისკაცთა მიერ ციცი ციციშვილის მკვლელობის შესახებ.

ჩვენს მიერ მოკვლეულ 1783 წლის სარდალ დავით ციციშ-ვილის მიერ დამოწმებულ ერთადერთ სასისხლო სიგელში, „დიდი“ ციცის მკვლელობაა ნახსენები, რომელიც შესაძლოა ნაყალბევი იყოს, რადგან მისი სანდოობის დასადგენად ხანგრძლივი კვლევის მიუხედავად, სამეცნიერო ლიტერატურასა და წყაროებში ხელშესახებ ცნობებს ვერსად მივაკვლიეთ. ვფიქრობთ, „დიდის“ ზედწოდებაში უნდა იგულისხმებოდეს XVII საუკუნის მეორე ნახევრის ცნობილი პოლიტიკური მოღვაწე, ციცი ციციშვილი,

---

[1] ზაზა ფანასკერტელ-ციციშვილი, სამკურნალო წიგნი, ტექსტი მოამზადა, გამოკვლევები, შენიშვნები, საძიებლები დაურთო მ.შენგელიამ, თბ., 1978, გვ.13

რომელიც საგვარეულოს სახლისკაცთა მიერ იქნა მოკლული და ადვილი შესაძლებელია, დავით ციციშვილს პაპად მოეხსენებინა. მასში ვკითხულობთ:[1] „...დიდი ციცი რომ პაპაჩვენს მოეკლა და ჩვენი ყმა და მამული ატენის წყალს ზეითი რომ სისხლში მიეცა ჩვენის განაყოფებისათვინა, ის სისხლის განაჩენი გამოიტანეს ლეკებმა სურამსა და შენ გეყიდნა და დაგეხსნა და გქონდა ოჯახში...ამ სისხლის განაჩენში ასე ეწერა, რომ ატენს ზეით ჩვენი ყმა და მამული, რუისის ღთაების მესამედს სასაფლაოს და ყმასა და მამულს გარდა და არადეთს მუჩათიძეებს გარდა, ჩვენის განაყოფებისათვის დიდის ციცის სისხლში მიეცათ. მე ალექსის ძეს დავითს პაატა ციციშვილმა მითხრა და დავსწერე. ...ამის დამსწრე და მცოდნე ვარ პაატა.“

განხილული საბუთების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ აშკარაა, ტაოდან ფანასკერტელ-ციციშვილები საბოლოოდ ქართლის სამეფოში მკვიდრდებიან. სარგებლობენ შეუვალობით (იმუნიტეტით) და თავიანთ მამულში უმაღლესი სამოქალაქო და სამხედრო ხელისუფალნი ხდებიან.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ლოგიკურად გამომდინარეობს დასკვნა, რომ XV საუკუნის 60-იან წლებში სათავადო-საციციანო ჩამოყალიბებულია და ქვეყნის პოლიტიკურ პროცესებში ანგარიშგასაწევ, ერთ-ერთ აქტიურ, ძლიერ ძალად გვევლინებიან.

---

[1] საქართველოს სიძველენი, ტ. III, საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების გამოცემა, რედაქტორი ექვთ.თაყაიშვილი, 1910, გვ,11-12.

თავი II

საციციანოს პოლიტიკური ისტორიის საკითხები

1. მეფის სადროშოს და სარდლის სახელოს ისტორიულ - ქრონოლოგიური საკითხები

ერთიანი საქართველოს მონარქიის სამეფო-სამთავროებად დაშლის შედეგად, მოიშალა ძველი სამხედრო ორგანიზაცია და ქართლის სამეფოში იქმნება სადროშოები, რომელიც სწორედ მსხვილ სათავადოებზე(საციციანო, სომხით-საბარათიანო და საამილახვრო) დაყრდნობით შეიქმნა. ცნობილია, რომ ვახუშტი ბატონიშვილი სადროშოების შექმნას კახეთში გიორგი VIII-ის (1466-1476წწ.) სახელს უკავშირებს, ქართლში კი XVI საუკუნეში, დავით X-ის მეფობას (1505-1525წწ). რაც შეეხება საკითხს არსებობ-და თუ არა XVI საუკუნის დამდეგამდე ქართლის სამეფოში სადროშოები, ამ საკითხზე ა. კლიმიაშვილს მართებული მოსაზრე-ბა აქვს გამოთქმული, რომელიც ძირითადად ეფუძნება დავით რექტორის ცნობას, იოანე ბატონიშვილის მოსაზრებას და რამოდენიმე ისტორიულ დოკუმენტს,[1] თუმცა არ ვეთანხმებით ვერსიას მემარჯვენე სადროშოს XV საუკუნის 70-იან წლებში შექმნასთან დაკავშირებით. მეფის სადროშოში სარდლის სახელოს ძირითადად ციციშვილები იღებდნენ. დღემდე შეუსწავლელია მეფის სადროშოში სარდლის სახელოს ქრონოლოგიური რიგი და გასარკვევია, როგორი იყო ფანასკერტელ-ციციშვილთა როლი მეფის სადროშოს შექმნაში. ამასთან დაკავშირებით ავღნიშნავ, რომ წყაროთა მიხედვით, მეფე ალექსანდრეს გამეფებისთანავე (1412-1442წწ.) ფანასკერტელები საკმაოდ გავლენიანი თავადები და

---

[1] ა.კლიმიაშვილი, მასალები XV-XVIII საუკუნეები ქართლისა და კახეთის სადროშოების ისტორიისათვის, კრ.: XIV-XVIII საუკუნეები რამდენიმე ქართული ისტორიული დოკუმენტი, თბ., 1964, გვ.123.

სამეფო კართან მოყვრობა - ნათესავობით დაკავშირებულნი არიან.

ჩემს მიერ წარმოებული კვლევით სინის მთის სულთა მატიანის მოსახსენებლის, იერუსალიმის ჯვრის მონასტრის აღაპების, საეკლესიო მუზეუმის №193 სვინაქსარის მინაწერის და გერგეტის სულთა მატიანის მოსახსენებელის შედარებითი ანალიზით, შესაძლებელი გახდა თაყა ფანასკერტელისა და მისი მეუღლის, დემეტრე მეფის ასულის, რუსუდანის იდენტიფიცირება. ეს ერთის მხრივ პირდაპირ მიანიშნებს შიდა დინასტიური ქორწინების პოლიტიკურ საფუძველზე და მეორეს მხრივ, სამეფო კარის და ციციშვილების ინტერესთა თანხვედრაზე. დემეტრემ ჯერ კიდევ მამის სიცოცხლეშივე, ალექსანდრე დიდისაგან მიიღო საუფლისწულოდ სამეფო „დომენის" მნიშვნელოვანი ნაწილი- „მტკვრის გაღმა მხარის" სრული ბატონ-პატრონობა. ვახტანგ IV-ის (1442-1446წწ.) უმემკვიდრეოდ გარდაცვალების შემდეგ ტახტის მემკვიდრეობის წესის მიხედვით ლეგიტიმური უფლებები მეფობაზე ჰქონდა ვახტანგ IV-ის მომდევნო ძმას, კონსტანტინე II-ის მამას, დემეტრე უფლისწულს, რადგან ცნობილია, რომ გიორგი VIII, დემეტრეს უმცროსი ძმა იყო, ალექსანდრე დიდის მეორე ქორწინებიდან.

აშკარაა, სამეფო კარზე განხეთქილება სწორედ გიორგი VIII-ეს უნდა წამოეწყო და გამარჯვებულმა მძლავრობით იგდო ხელთ სამეფო ტახტი 1446 წელს. ასეთ ვითარებაში კანონიერ ტახტის მემკვიდრე დემეტრეს, ისღა დარჩენოდა მამისაგან ბოძებულ მამულში - „გაღმა მხარეს"გამაგრებულიყო. მოეპოვებინა ადგილობრივ ძლიერ თავადთა მხარდაჭერა, რაც ამ საგვარეულო სახლების შეუვალობის უფლებების დაცვის პირობებით ადვილად შეძლო და მათ შორის ფანასკერტელ-ციციშვილთა უძლიერეს საგვარეულო სახლის წინამძღოლ თაყას, თავის ასულს-რუსუდანს ცოლად აძლევს. ამ ქორწინებამ კიდევ უფრო დაახლოვა სამეფო კარისა და სათავადოს შიდა პოლიტიკური ინტერესები. მათი ალიანსი

ცუდად ენიშნა მეფეს და ხელსაყრელ შემთხვევისთანავე ცდილობდა გაეტეხა, დაესუსტებინა ფანასკერტელ-ციციშვილთა სეპარატისტული მისწრაფებები, წაერთმია ციხე-სიმაგრეები, ყმა-მამული და დაემორჩილებინა ცენტრალური ხელისუფლებისათვის. სწორედ ამ მიზნით არ ეხმარება საკუთარ ყმას, როცა ბაგრატი ქართლში გადმოდის და საციციანოს ესხმის თავს:„... მესამე ვალი ესე: პატრონი ბაგრატი მეფე ქართლს ჩამოვიდა და ციციშვილსა ლაშქარი გაუძახა. გიორგიმ მეფესა დავეთხოვენით და არა გაგუიშუნა...მეხუთე ვალი ესე: გიორგი მეფემან ატენისა მოურაობა მისცა გამრეკელსა და თაყამან ატენი სთხოვა მეფესა...მეფე ატენსა თაყას არა მისცემდა, მაგრა მან[გამრეკელმა-მ.მ] აქნევინა და მეფე დია დაღონდა ატენისა მიცემისა“.[1]

1452 წელს დემეტრეს გარდაცვალების შემდეგ მისი მემკვიდრის, კონსტანტინე II-ის მეფობის ლეგიტიმურობის უფლების მიუხედავად, იძულებულია ბიძის ხელყოფისაგან დაიცვას საუფლისწულო მამული, მისივე მხარდამჭერ თავადებზე ციციშვილებზე, ჯავახიშვილებზე და ბარათაშვილებზე დაყრდნობით. კონსტანტინე დემეტრეს ძე თავის მხრივ წყალობასა და მფარველობას არ აკლებს ერთგულ საგვარეულო სახლებს.[2] ნაწყალობევი ყმა-მამული ამ ეპოქაში განიხილება, როგორც მემკვიდრეობითი ქონება. ფანასკერტელ-ციციშვილთა ერთგული სამსახური გაცემული წყალობის აუცილებელი პირობაა, იმავდროულად მიზეზიც და მეფის გაცხადებული მიზანიც.

სწორედ ამ მოკავშირე, ანგარიშგასაწევ ძალებით შეინარჩუნა ქართლის სამეფო ტახტი მეფე კონსტანტინემ 1463 წელს ჩიხორის ბრძოლის შემდეგ. სრულიად იმერეთის მეფე ბაგრატ VI (1466-

---

[1] ნ.ბერძენიშვილი, ფეოდალური ურთიერთობიდან XV საუკუნეში, მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. I, თბ.,1937 გვ.51-52.

[2] სცსსა, ფ. 1448, ს. 64; კაკაბაძე ს., ისტორიული საბუთები, წ. III, ტფ., 1913, გვ.21.

1478წწ.) ალექსანდრე I, დიდის ძმისწული, თავს ორივე ტახტის ლიხთ-იმერისა და ლიხთ-ამერის კანონიერ მემკვიდრედ მიიჩ-ნევდა. როგორც ჩანს, სამეფო საგვარეულოს გვერდითი შტოს ჩამომავლობა აძლევდა ქართლის სამეფო ტახტის დაუფლების ამბიციებს.[1] „ორიანობის“ შეთანხმებულ მმართველობის პერიოდ-ზე მიგვანიშნებს თვით მეფე კონსტანტინეს სიტყვები 1468 წლის დოკუმენტში: „ ჩვენ, ორისავე ტახტისა და სახელმწიფოსა ლიხთ იმერისა და ლიხთ ამერისა ღვთივ გვირგვინოსანმან, მეფეთ-მეფემან ბაგრატ და ძმამან ჩვენმან პატრონმან კონსტანტინე...“[2]

1466-1468 წლებში მათი შეთანხმებული თანამეფობიდან გამომდინარე ვერ შეძლო გიორგი VIII-ემ ქართლში დამკვიდრება, რის გამოც იძულებული გახდა კახეთში გადასულიყო. თუმცა მშვიდობიანი თანამეფობა ბაგრატსა და კონსტანტინეს შორის დიდხანს არ გაგრძელებულა[3] „ხოლო გიორგიმ ზავ-ჰყო ბაგრატის თანა და დაიპყრნა კერძონი კახეთისანი... წელსა ხუთსა მათ შორის შფოთი. ვინაჲთგან კოსტანტინეს ეპყრა ტფილისი, მთიულ-მოჴევენი, სომხითი და ლორე, ხოლო ბაგრატს ქართლი და კახნი ერჩოდენ ნებასა მისსა, განათუ მეფენი არა იბრძოდენ, არამედ სპანი მარადის.“[4] „სპანი მარადის“- ჩემი მოსაზრებით მიანიშნებს არა მარტო, მეფეთა სპის გამუდმებულ ბრძოლას, არა-მედ ჯარის მუდმივ საბრძოლო მზადყოფნაზეც. კახეთიდან საფრთხე მოითხოვდა საპასუხო მუდმივ საბრძოლო მზადყოფნას ქართლის სამეფო ტახტის დასაცავად. ასეთ ქმედით ნაბიჯად

---

[1] ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ფ. Hd საბ. 14903; ბერძენიშვილი ნ. ფეოდალური ურთიერთობიდან XV საუკუნეში, მასალები საქარ-თველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. I, თბ.,1937, გვ.43.

[2] ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა. შევსებულია, ქრონოლოგიურად დალაგებული და ახსნილია თ. ჟორდანიას მიერ. ტ. II. ტფ. 1897, გვ.280.

[3] ქართლის ცხოვრება, ტ. IV, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. თბ.1973, გვ. 383.

[4] იქვე, გვ. 384; კაკაბაძე ს., ისტორიული საბუთები,წ. III, ტფ.,1913, გვ.21.

სწორედ სადროშოების შექმნა უნდა ყოფილიყო. რაც შეეხება მტკვრის მარცხენა მხარეს, ბაგრატ VI ფლობს მტკვრის ჩრდილო და მარცხენა სანაპიროს, ლიახვამდე.

ისტორიულ დოკუმენტებზე დაყრდნობით ჯერ კიდევ XV საუკუნის 60-იან წლებიდან, მისი მოკავშირე და დასაყრდენი ძალა ზევდგინიძე - ამილახვრები არიან: „შეიპყრა ათაბაგმან გიორგი მეფ[ე] და გარდმოვიდა მეფე ბაგრატ. მე ბატონსა დავითს (დავით დემეტრეს ძე) ასრე [მოვახ]სენე: „თუ შენ ბაგრატ მეფისა ყმა არ შეიქნები, მე ჩემსა მამულსა არავინ მამცემს“. წაუვიდა მ[ის] ძმასა ჩემის მამულის გულისათუის და ბაგრატ მეფისა ყმა შეიქნა. თუმცა ყმა არ შექნილიყო ჩემსა მამულსა არავინ მოგუცემდა. ამისი მოწამე ბატონი დავით არის“.[1] მათთან მოკავშირეობა ბაგრატ VI-ემ გაამყარა შიდა დინასტიური ქორწინებით ამაზე სამთავისის „მეორედ აღმშენებლის“ წარწერაც მიგვანიშნებს. თავისი და - გაიანე ცოლად ჰყავს გორის მოურავ ამირინდო ზევდგინიძეს. უზუნ ჰასანის შემოსევისას 1477 წელს მეფე კონსტანტინეს ამირინდოსთვის გორის დაცვა უბრძანებია, მაგრამ მისივე ძმების ნების გათვალისწინებით მტერს ქალაქი დანებდა. ამ ღალატის გამო იძულებული გამხდარა კონსტანტინეს გარიდეოდა და ცოლ-შვილით სამცხეს გადახვეწილიყო, სადაც 1481 წელს კონსტანტინესა და მანუჩარ ათაბაგის ბრძოლისას დაიღუპა.[2] მიუხედავად ზემოთ აღნიშნული ფაქტისა, ქართლში ბაგრატ VI-ეს სხვა მომხრეებიც უნდა ჰყოლოდა, მათ შორის მოკავშირე იმ 7 დიდებულთაგან... რომლებიც თან ახლდნენ ბაგრატს უზუნ ჰასანთან ზავის დადებისას, რომელთა ვინაობა

---

[1] ნ.ბერძენიშვილი, ფეოდალური ურთიერთობიდან XV საუკუნეში, მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. I, თბ.,1937, გვ.14-15, 51.

[2] ე.მამისთვალიშვილი, ამილახვრები, თბ., 1996, გვ.11.

წყაროებში არ ჩანს.[1] ბაგრატის შორს მიმავალი გეგმები მიანიშნებდა შემხვედრი ნაბიჯების გადადგმას მეფე კონსტან-ტინესაგან, რაც მუდმივ საბრძოლო მზადყოფნას უზრუნ-ველყოფდა სადროშოების შექმნით.

ჩვენს მიერ ზემოთ აღწერილი ზედგინიძე ამილახვართა და ბაგრატ VI-ის ურთიერთობა, საშუალებას გვაძლევს დავაზუსტოთ სამეცნიერო ლიტერატურაში დამკვიდრებული მოსაზრება, რომ ქართლის სამეფოში XV საუკუნის 70-იან წლებში მემარჯვენე სადროშო, რომელიც ზემო ქართლს მოიცავდა, ამილახვრებით სათავეში ვერ შეიქმნებოდა. ამ პერიოდში „გაღმა მხარის“ მეფის ერთგული, სტრატეგიული მდებარეობით გამორჩეული სათავადოებიდან, საციციანო ქმნის მეფის სადროშოს და სომხით-საბარათიანო კი მეწინავე სადროშოს. რაც შეეხება მემარჯვენე სადროშოს, სავარაუდოდ XV საუკუნის 80-იანი წლებიდან ბაგრატ VI-ის გარდაცვალების შემდეგ უნდა შექმნილიყო. ისტორიული დოკუმენტებით ამ წლებიდან ჩანან ამილახვრები ქართლის მეფის მხარდამჭერნი და ახალ სამოკავშირეო ძალებთან, ციციშვილებთან მოყვრობა-ნათესაობით დაკავშირე-ბულნი. 1513 წლის სამთავისის და 1523 წლის შიომღვიმის სიგელებში თაყა ზედგენიძის თანამეცხედრედ მოხსენიებულია, ზაზა ფანასკერტელის ასული ულუმპია. მეორე სიგელში ვკითხულობთ: „ძეთა ჩნ˜თა მონაზონმან თომა, ბარზი, ავთანდილ, ფარემუზ და იოთამ...მას ჟამსა ოდეს...ბეჟანისგან ჩ˜ნთჳს ღ˜თი გარისხდა და ...მიიცვალა...“[2] ეს ქორწინება ამიერიდან ამილახ-ვრების ქართლის მეფის ქვეშევრდომობის გაცხადებასაც მიანიშნებდა და მეფის მემარჯვენე სადროშოს სახელოს მიღება

---

[1] ე. მამისთვალიშვილი, საქართველოს საგარეო პოლიტიკა და დიპლო-მატია, I, (XV-XVIსს.) თბ.,2009, გვ. 92.

[2] ქრონიკები და სხვა მასალა საქარველოს ისტორიისა და მწერლობისა. შევსებულია, ქრონოლოგიურად დალაგებული და ახსნილია თ. ჟორდა-ნიას მიერ. წიგნი II, ტფ., 1897, გვ.333, 356.

მათთვის მხოლოდ ამ პერიოდში იყო შესაძლებელი. სწორედ შინაპოლიტიკური ვითარებით აიხსნება, რომ ქორწინება ამ პერიოდისათვის ერთგულების ერთგვარ გარანტად გადაქცეულა დასუსტებული სამეფო კარისთვისაც. ამ მხრივ საინტერესო და მრავლისმთქმელია მეფე კონსტანტინე მეორის სიტყვები მისი მემკვიდრის, დავით X-ის (1505-1525) ბარათაშვილის ქალზე, ბარათა ქაჩიბაძის ასულ, ნესტან-ჯარზე დაქორწინების შესახებ, რომელიც იმ ეპოქის რეალობის ანარეკლია: „...ცოდვისა საქმესა შეესწრა ჩუენი შვილი დავით და უხვედრი ბარათაშვილისა ასული შეირთო"[1] ასეთივე კავშირით იყვნენ შეკრულნი ციციშვილები და ბარათაშვილები. 1506 წელს კათალიკოზ დოროთეოზსს აძლევენ სიგელს აბაში და დავით ბარათაშვილნი: „მას ჟამსა, ოდეს ციციშვილს ქალი მივეცით და თქუჱნ გამოგუჱნახენით (ნათესავო ბისა და უჯერობის გამო)...საკანონოდ... შემოგწირეთ (მცხეთას)...ორი კუამლი ქალაქს მამული ავეტიზაშვილნი".[2]

ამრიგად, ქვეყანაში შექმნილი პოლიტიკურ ძალთა ბალანსი, აიძულებდა მეფე კონსტანტინეს მოკავშირე თავადებთან სიმტკიცე შეენარჩუნებინა, თუნდაც არასასურველი შიდა დინასტიური ქორწინებით. ფაქტიურად ამით წყდებოდა არა მარტო გაღმა მხრის თავადთა შეუვალობის და კონსტანტინეს მეფობის საკითხი, არამედ ქართლის სამეფოს ბედიც. XV საუკუნის 70-იან წლებში საგარეო პოლიტიკური ვითარება მკვეთრად გაუარესდა. ანტიოსმალურ კოალიციაში 1474 წელს ევროპიდან რეალური დახმარების მიღება ვერ მოხერხდა. უზუნ-ჰასანის „მოკავშირეობის" საფრთხე აშკარად უფრო დიდი საშიშროების მომტანი აღმოჩნდა ჩვენი ქვეყნისათვის. ქართული და ევროპული წყაროების ცნობები თითქმის იდენტურია 1477 წლის

---

[1] ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა. შევსებულია, ქრონოლოგიურად დალაგებული და ახსნილია თ. ჟორდანიას მიერ. წიგნი II, ტფ., 1897, გვ.306.

[2] იქვე, 325

უზუნ-ჰასანის საქართველოზე თავდასხმის გეგმასთან დაკავშირებით. უზუნ-ჰასანი საკმაო სიფრთხილეს იჩენს და ასაიდუმლოებს საქართველოზე თავდასხმას. მხოლოდ კარგად მოფიქრებული მოულოდნელობის ტაქტიკით შეძლო დედა-ქალაქის აღება.[1] როგორც ჩანს სათანადოდ აფასებდა კონსტანტინეს ძალებს და თბილისის აღების შემდეგ არჩია კიდეც დაზავებოდა მეფეს.

მიუხედავად მძიმე შიდაპოლიტიკური ვითარებისა, აწარმოებდა აქტიურ საგარეო პოლიტიკას ანტიოსმალური კოალიციის საკითხით დაინტერესებულ სახელმწიფოებთან, ეგვიპტის მამლუქ მბრძანებელ ალ-აშრაფ საიდ ად-დინ კაიტბეისთან (1468-1496წწ.), ესპანეთის მეფესთან და რომის პაპთან.[2] მისი მგზნებარე მამულიშვილობა, საბრძოლო პათოსი და საკუთარი ლაშქრით ანტიოსმალურ კოალიციაში მონაწილეობის პირობა, საფუძველს ნამდვილად იძლევა ქართლში სადროშოების არსებობის შესახებ.

ამდენად, სადროშოების შექმნის აუცილებლობას XV საუკუნის 70-იან წლებში, ქვეყნის საშინაო და საგარეო მდგო-მარეობა მოითხოვდა.

მეფის სადროშოს საზღვრების შესახებ საყურადღებო ცნობებს გვაძლევს ვახუშტი ბატონიშვილი: „ხოლო არს მეოთხე სასპასპეტო ტფილისიდამ ვიდრე ტაშისკარამდე“. „აღმოსავლით ლილოს საზღვრით ...აღმოსავლეთ - სამჴრითკენ ლოჭინამდე... მუ-ნით განვლის სამგორსა და ...მიადგების...ჴევ-ძმარს, და ჴევ-ძმარი მტკვარს მოადგების, და მტკვრის კიდე მცხეთამდე. სამჴრით ლოჭინის -ჴევი და გამოღმართ კრწანისის გორა, შინდისისა და წავკისის გორა, და წყნეთის გორა, და სკჴრეთის ჩრდილოდ კერძი სხალ - დიდამდე, და სხალ - დიდიდამ დიდგორის მთამდე

---

[1] ე.მამისთვალიშვილი, საქართველოს საგარეო პოლიტიკა და დიპლო-მატია, I, (XV-XVIსს.) თბ.,2009, გვ. 89-90.

[2] იქვე, გვ.97-98.

მიყოლით: ერიქალის მთა „კლდეკარი, ერჯევანი, თორის მთა და გაყოლით ნარიანის ხაზი ტბის -ყურამდე; ჩრდილოდ მტკვარი და დასავლით დამჩხერალოდამ სადგერსა და თორს შუა ბაკური-ანის მთამდე და ტბის ყურამდე“.[1] ე.ი. გუჯარეთი მეოთხე სასპასპეტოშია, რაშიც უფრო გვარწმუნებს აღწერა თბილისიდან მტკვრის მარჯვნივ მყოფი ხევებისა, რომელიც მთავრდება გუჯარეთის აღწერით:“ მძოვრეთის სამჴრით არს მდინარე და ჴეობა თორისა, რომელი გამოსდის ჭვარებსა ... მიდის დასავლით ...ჩრდილოთ სადგერს ზეით და მიერთვის მტკვარს სამჴრიდამ, და აწ განყოფილი არს სადგერად და გუჯარეთად. აღწერის დამთავრებისას მოკლედ შენიშნავს: „ სამწყსონი კათალიკოზისანი“ არიანო.[2]

XVI საუკუნის დასაწყისისათვის შავწყალას ხეობაში დაწინა-ურებული სადგერი სადროშოს საზღვრებშია, ამაზე მიგვნიშნებს 1569-1578 წლის დაუთ-ხანის სიგელი ბოძებული სადგერის წმ. გიორგის ეკლესიის დეკანოზის გიორგის და მისი შვილებისადმი: „საბატონო საბრძანებელში დიდისა წმიდის გიორგის მამულს არავინ შეცოდოს რა...თუ ვინმე აწყენთ და ავნებთ, ჩვენდა სისხლად და შეცოდებად ვიკითხავთ იცოდეთ. „ ოსმალთა მიერ, 1578 წელს ლალა ფაშას ლაშქარი“ ქართლს ვერ ჩაუვიდეს და ამოსწყუიდეს სადგერი.[3] 1595 წლის „გურჯისტანის ვილაიეთის დიდ დავთარში“ თორი უკვე პეტრეს ლივად მოიხსენიება. 1647-1650წწ. საბუთით ქაიხოსრო ფანასკერტელ-ციციშვილს უშვილოდ, მიუსაფრად დარჩენილი გაურჯულოების შიშით შეპყრობილი პაატა გოგიბასშვილი თხოვს ფანასკერტელ-ციციშვილს დახმარებას სადგერის დასაბრუნებლად, დიდი ქრთამის გაღების ფასად მალე

---

[1] ქართლის ცხოვრება, ტ.IV, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ.,1973, გვ.333.

[2] იქვე, თბ.,1973, გვ.347.

[3] ქრ. შარაშიძე, სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასალები, თბ.,1961, გვ.51,94.

მოჰყვა ურჯულოთაგან დაბრუნება: „...როსტომ ფაშის ჴელი ედვა. მოგახსენეთ და გალაპარაკეთ, როსტომ ფაშას მრავალი მიართვით, რომ სასყიდლად გაგჭირებოდა და კიდეც იყიდდი და სხვა ღონე არა გვქონდა და პატრონი... ვითაცა უშვილონი და უძეონი ვიყავი გათათრებისა და გაურჯულოებისა გვეშინოდათ. თქვენის მაგდენი ქრთამითა და ჩვენის ხვეწნითა როსტომ ფაშისაგან ნება დავირთევით და მოგართვით ჩვენი მკვიდრი, უჩხუბარი და უცილობელი მამული სოფლათ სადგერი, სასახლე, სასაფლაოდა გარშემო სოფლები და ნასოფლარები ...მოგენათ-ვლივნენით და ჩვენი სული და ხორციცა თქვენს ჴელთ ჩამოვაგდევით.“[1] რაც შეეხება ახალდაბას XVI საუკუნის დასაწყისში 1526 წლიდან ქართლის სამეფოს შემადგენლობაშია.[2] ამაზე მიუთითებს „მესხური მატიანე“[3] და სიმონ მეფის 1591წლის განჩინება.[4] 1747 წელს მეფე თეიმურაზს ამილახვრების ნაქონი ახალდაბა სარდალ ქაიხოსრო ორბელიანისათვის მიუცია.[5] ახალდაბასთან ტაშისკარს, ყოველთვის მნიშვნელოვან და კარგად გამაგრებული პუნქტს და საბაჟოს სამეფო კარი განაგებდა. აქედან ახალციხისაკენ მიმავალ გზას კორტანეთთან მდგარი სამეფოს მცველნი ამაგრებდნენ ხეობას.“აქ კვეთდა ორი გზა ტაშისკარ-პატარა ახალდაბაზე მომავალი და მტკვრის ნაპირით

---

[1] ს. კაკაბაძე, შოთა რუსთაველი და მისი ვეფხისტყაოსანი, თბ.,1966, გვ.63.

[2] ქართლის ცხოვრება, ტ. II, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელ-ნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1959,გვ. 493.

[3] ქრ. შარაშიძე, სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასალები, თბ., 1961, გვ.415.

[4] ქართულ-სპარსული საბუთები, ვლ.ფუთურიძის რედაქციით, თბ.,1955. გვ.38-40.

[5] პ.ორბელიანი, ამბავი ქართლისანი, ტექსტი დაადგინა, შესავალი, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო ე. ცაგარეიშვილმა, თბ.,1981, გვ. 91,121.

კორტანეთზე.“[1] სწორედ აქ გადიოდა საზღვარი მეორე და მეოთხე, სადროშოებს შორის.

ვახუშტი ბატონიშვილი ხეობას და სადგერს მეორე სასპასპეტოში აღწერს. ეს ის პერიოდია, როცა ყველა სახელო ციციშვილებს დაკარგული აქვთ. დასტურლამალის მიხედვითაც: „მეფის მდივანი წავიდოდეს ზემო ქართლში, ჴეობას აქეთ, ნეძვი და კორტანეთი და ტაშისკარიც დავთარში ჩავარდების. იმას აქათაც საამილახვრომდი და ამილახორის მამულიც.[2] რა თქმა უნდა, საუკუნეების განმავლობაში, მეფის სადროშოს საზღვრები იცვლებოდა, მეზობელ მოწინავე და მემარჯვენე სადროშოების სამეფო კართან და ციციშვილებთან დამოკიდებულების, ასევე ქართლის სამეფოში პოლიტიკური ვითარების მკვეთრი ცვლილებების შესაბამისად.

მეფის სადროშოში შედიოდა მცხეთის ეკლესიის სასარდლო ერთეულიც, რომლის სათავეში იდგა მეფისა და კათალიკოსის მიერ დადგენილი სამცხეთოს ყმათა სარდალი. სარდალი ემორჩილებოდა კათალიკოსსა და მეფეს. 1746 წლის მეფე თეიმურაზის და ერეკლეს მცხეთის სასარდლოს განწესების წიგნით, სხვა სარდლებს მათთან ხელი არ მიუწვდებოდათ: „...რასაც ალაგს სვეტის ცხოვლის ყმა არის: ზემო ქართლს, თუ ქვემო ქართლს, საციციანოს მხარეს, მუხრანს, სომხითს, საბარათიანოს, თრიალეთს, ქალაქს, თუ გორს, ქცხილვანს, მთასა თუ ბარს რასაც ალაგს, სვეტის ცხოვლის ყმა იყოს და ესახლოს, არას სხვას სარდრებს ჴელი არა აქვსთ, თავისი დარბაისელი აზნაურიშვილი, მსახური და გლეხნი, დიდნი და მცირენი ყოვლის თავისის ადგილიდამ კათალიკოზს იახლებოდნენ და შემოეყრებოდნენ,

---

[1] დ. ბერძენიშვილი, ნარკვევები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიიდან, ზემო ქართლი-თორი, ჯავახეთი, თბ.,1985, გვ. 55,58.

[2] ქართული სამართლის ძეგლები, ტექსტები გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევები, ლექსიკონები და საძიებლები დაურთო ი. სურგულაძემ, თბ.,1970, 515.

ლაშქრობასა და ნადირობაში ჩვენს დროშაზედ იქნებოდნენ .....სხვას სარდრებს საქმე ნუ აქვსთ“.[1]

სადროშოს უმთავრეს სამხედრო ფუნქციის გარდა, სარდალი ადმინისტრაციულ და სასამართლო ფუნქციასაც ასრულებდა. განსაკუთრებული საჭიროების შემთხვევაში სარდლის გარეშე ზოგიერთი საქმე არ გაირჩეოდა, რადგან თავის მხრივ ვალდებული იყო მეფისთვის მოეხსენებინა თავის სადროშოში არამარტო საგვარეულო სახლის გაყრის, არამედ მიმდინარე სასამართლო საქმეების პროცესის შესახებ: „რომლისაც დროშის კაცისა გაიყრებოდეს, და ან დიდი ბჭობა და სამართალი იქნებოდეს, თავისი სარდალი უნდა დაესწრებოდეს-ო“. სარდალი აწარმობდა ხალხის აღწერას, რაც მიზნად ისახავდა მოლაშქრეთა და სახელმწიფო გამომღებთა სიის დადგენას. სწორედ სადროშოს სარდალს ეკისრებოდა პასუხისმგელობა ჩაეტარებინა სადროშოს აღწერა 7 წელიწადში ერთხელ. „საციციანოს მხარეს, სადგერს აქეთ, ბატონის დროშისა არის. ვისაც ბატონი უბრძანებს, ის წავა და ერთი მეფისა მდივანი წაჰყვება. მდივანი ასწერს და დავთარს დაიჭერს მეფის მდივანი. ეს სარდლები და მდივნები რომ წავლენ, ამათი რიგი და წესი ასრე არის: რომელსაც სოფელში რომ ჩადგებოდენ, იმ სოფელმანსაკომლომ ორი შაური და ბოგანომ ერთი შაური ასამწერლოდ უნდა გამოიღონ, და ეს სარდალმა და მდივანმა შუა უნდა გაიყონ.“[2] სარდალს ასევე ევალებოდა მეფის მოწოდებისთანავე საბრძოლო მზადყოფნა სადროშოდან ლაშქრის გამოყვანა, საზღვრის დაცვისა და სადაზვერვო ოპერაციები, მტრის ძალების გადაადგილებაზე რეაგირება, სახელმწიფო გადასახადების აკრეფა.

---

[1] ქართული სამართლის ძეგლები, ტ. II, საერთო საკანონმდებლო ძეგლები (X-XIXსს.), ტექსტი გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ი. დოლიძემ, თბ., 1965 გვ.397-398, 418-419.

[2] ქართული სამართლის ძეგლები, ტექსტები გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევები, ლექსიკონები და საძიებლები დაურთო ი. სურგულაძემ, თბ., 1970, გვ.516-517.

ციხე-სიმაგრეთა საბრძოლო მდგომარეობაზე და დაცვაზე პასუხის-მგებლობა. სარდლობა დიდად გამორჩეული, საპატიო და საპასუხისმგებლო სახელო იყო საციციანოს საგვარეულოსათვის. სარდლის ფუნქციებიდან გამომდინარე. სარდალი იყო უმ-ლიერესი მემამულე, გამორჩეული ყმა-მამულის სიმრავლით დიდი პოლიტიკური გავლენის და სამხედრო უფლებებით აღჭურვილი პირი სადროშოში. სარდლის დროშა მთავარ დროშად ითვლებოდა და მთელი სადროშოს ლაშქარი ერთიანდებოდა მის ქვეშ. როგორც მეფის ნდობით აღჭურვილ პირს სადროშოში, მეფის ბრძანებულების გადაწყვეტილების განხორციელებას აწარმოებდა ადგილზე. სასამართლო გადაწყვეტი-ლებას ხშირად ამტკიცებდა სარდალი ხელმოწერით და უშუა-ლოდ მოახსენებდა მეფეს.

მეფის სადროშოს პირველი სარდალი საციციანოს წინამძღოლი, მეფის წყალობით გამორჩეული, ცნობილი საზოგა-დო მოღვაწე, „დიდი“ ზაზა ფანასკერტელ-ციციშვილია.[1] იგი არადეთის ცნობილ ბრძოლას სარდლობდა 1483 წლის აგვისტოს, სეპარატისტული ამბიციების მქონე, შეუპოვარ ყვარყვარე ათაბაგის წინააღმდეგ.[2] წყაროებში ყველგან [3] ზაზა ფანასკერტელი „დიდ ფანასკერტელად“ მოიხსენიება, ფანასკერტელ-ციციშვილთა ფეოდალური საგვარეულო სახლის ერთიანობის, უძლიერესი სათავადოს ჩამოყალიბების და აღმშენებლობის საქმეში შეტანილი

---

[1] სცსსა, ფ.1448, საქმე 64; ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი ფ.Hd,საბ.1570, ფ. Sd, საბ. 1242.

[2] ქართლის ცხოვრება, ტ. II, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1959, 346-347; ქართლის ცხოვრება IV, გვ.391; ცხოვრება საქართველოსი (პარიზის ქრონიკა). ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო გ. ალასანიამ. თბ., 1980, გვ. 39.

[3] ქრონიკები და სხვა მასალა საქარველოს ისტორიისა და მწერლობისა. შევსებულია, ქრონოლოგიურად დალაგებული და ახსნილია თ. ჟორდანიას მიერ. წიგნი II. ტფ. 1897, გვ.347; ს. კაკაბაძე, ისტორიული საბუთები, წ. II, ტფ.,1913. გვ.29,31.

დამსახურებათა გამო. მის სახელს უკავშირდება სათავადოს გერბის და დროშის შექმნა.

ამის შემდგომ წყაროებში საციციანოს წინამძღოლად ჩანს ზაზა ციციშვილის უფროსი ვაჟი- ქაიხოსრო ციციშვილი, რაც მიანიშნებს, რომ თავიდანვე მეფის სადროშოს სარდლობა სამემკვიდრეო სახელოს წარმოადგენდა. იგი თავგანწირვით იბრძვის 1477 წელს უზუნ-ჰასანის, იაყუბ-ყაენის[1] (1486-88წწ.) წინააღმდეგ.

უზუნ-ჰასანმა თავისი სარდალი, ხალილ-ბეგ ბეგთაში გამოგზავნა 1487 წელს საქართველოში (უზუნ-ჰასანს თბილისის გამგებლად ჰყავდა დანიშნული). ჭანდარს დაბანაკებულ მტერს მოულოდნელად თავს დაესხა მოწინავე და მეფის სადროშოს ლაშქარი ქაიხოსრო ციციშვილის, ჯავახ ჯავახიშვილის და ბარათაშვილთა მეთაურობით. მტერი როგორც ჩანს, არ მოელოდა ასეთ მრისხანე იერიშებს და იმის შიშით, რომ ქართველებს უკან დასახევი გზა არ მოეჭრათ, იძულებულნი გახდნენ თბილისი სასწრაფოდ დაეტოვებინათ. 1488 წელს იაყუბ-ყაენის მრავალრიცხოვანმა ძალებმა პირისპირ მარტოდ დარჩენილი მეფე კონსტანტინე აიძულეს თბილისი თითქმის უბრძოლველად გადაეცა მტრისთვის.

ამის შემდგომ საციციანოს საგვარეულო სახლის წინამძღოლ, „დიდი ფანასკერტელის“ სახელოვანი მემკვიდრე, ქაიხოსრო ციციშვილის ძმა მერაბ ციციშვილია. სამწევრისის ტაძრის სამხრეთის ფასადზე ჩადგმულ ფილაზე ამ ტაძრის განმაახლებლის მერაბ ფანასკერტელის მიერაა შესრულებული წარწერა: „მეორედ მაშენებელსა ფანასკერტელს მერაბს შეუნდვეს ღმერთმან .“[2] სამწევრისის დიდი ციხე-სიმაგრე სტრატეგიულად მნიშვნელოვან

---

[1]ქართლის ცხოვრება, ტ. II, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის თბ., 1959, გვ. 484; ქართლის ცხოვრება, ტ.IV, თბ., 1973, გვ.387-389;

[2] ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა. შევსებულია, ქრონოლოგიურად დალაგებული და ახსნილია თ. ჟორდანიას მიერ. წ. II. ტფ., 1897, გვ.347.

მაგისტრალთან მდებარეობდა და იცავდა ძამის ხეობას მტკვრის შესართავთან. მის მიერაა გაცემული 1520 წლის ქვათახევის მონასტრის სიგელი.[1] დავით და ლუარსაბ მეფეებთან განსაკუთრებული სიახლოვე და მასზე დაკისრებული სარდლის ფუნქციები საფუძველს გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ იგი მეფის სადროშოს სარდალია. 1523 წლის დოკუმენტში ვკითხულობთ:„ ქ. ზეადიდენ ღ˜ნ მეფეთა... მეფობა...პატრონისა დ]ა[ვითსი, რომლისა ბრძანებითა: დავსხედით ჩუენ ბარ[ათ]აშვილთა სახლისა და მამულისა გაყოფად თუით პატრონი მეფეთა მეფე დავით და პატრონი ლუარსაბ, ამილახორი თაყა, ციციშვილი მერაბ, ბარათიანნი იარალ და ორბელი, თურმანისძე როსტევან, ტფილელი ანტონი...საქმისა გასაჩენლად.“[2] ამავე 1523 წლის ტფილისის სიონის გუჯარით მერაბ ციციშვილი თაყა ამილახორთან ერთად წარჩინებულ დარბაისელთა შორის მოიხსენიება მეფე დავით X-ეს თან ახლავს სიონის ტაძრისათვის მამულის გადაცემის დროს: „...პატრონი მეფეთა-მეფე დავით და მისნი თავადნი და დარბაისიერი ამილახორი თაყა და ციციშვილი მერაბ და სხუანი ...ამა საქმისა შიგა დამხდომნი არიან...“[3] ლუარსაბის წყალობის წიგნში დაცული საინტერესო ცნობით, მეფის ერთგულ მერაბ ციციშვილს ყაენის კარზეც უწარმოებია დიპლომატიური მოლაპარაკება: „მერაბ ციციშვილისთვის ბედნიერს ყეენს ხალათი ებოძებინა.“[4] XVI საუკუნის მეფის სადროშოსა და საციციანოზე ქართულ წყაროთა სიმწირეს ერთგვარად ავსებს სპარსულ წყაროთა ფრაგმენტული ცნობები. ირანელი დიდებულების სევინ დუქ ბეგისა და უსტაჯლუ შაჰ ყულუ ბინ ჰამზა მირზას მიერ არზრუმის გამგებლის ფაშა აიასადმი, მიწერილი სპარსული

---

[1] ს. კაკაბაძე, ისტორიული საბუთები, წ. II, ტფ.,1913, გვ.29-31.

[2] ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა. შევსებულია, ქრონოლოგიურად დალაგებული და ახსნილია თ. ჟორდანიას მიერ, წიგნი II, ტფ., 1897, გვ.349.

[3] იქვე, გვ. 352; შდრ. ს. კაკაბაძე, ისტორიული საბუთები, წ. II, ტფ,. 1913, გვ. 56-57.

[4] ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ფ. Ad, საბ.1410.

წერილი, რომელიც დაახლოებით 1554 წელს უნდა იყოს დაწერილი, ირან-ოსმალეთის ამასიის ზავის (1555წ.) დადებამდე.[1] წერილში ვრცლადაა საუბარი საქართველოს საკითხებზე, კერძოდ, შაჰ-თამაზ I-ის (1524-1566წწ.) მრავალგზის ლაშქრობის მიუხედავად, ლუარსაბ I-ის (1527-1556წწ.) ხელში ჩაგდება ვერ შეძლეს, რადგან თავს იმერეთის მეფეს აფარებდა. იმერეთის მეფე მას ეხმარებოდა და სულთანთანაც კი ყოფილა მის შუამავლად. ეს წერილი ჩვენი საკვლევი თემისთვის მეტად მნიშვნელოვანია. სპარსული პირველწყარო ხაზგასმით აღნიშნავს, რომ იმერეთში ლაშქრობა მართალია ოსმალებმა ვეღარ გაბედეს, რადგან მიუხვდნენ მეფე ლუარსაბის ჩანაფიქრს, ირანისა და ოსმალეთის შესაძლო დაპირისპირებისა, სამაგიეროდ მეფის ერთგული სათავადოები და მათ შორის საციციანო დაულაშქრავთ და უძლიერესი ციხე-სიმაგრეები, მიწასთან გაუსწორებიათ:„...როცა საბარათიანოს ველაიეთის ფართობი იმ ბინძურ კერპთაყვანის-მცმელთაგან გაწმენდილ იქნა, ბედნიერი ამალა დაიძრა გორისაკენ, რომელიც ლუარსაბის სატახტო ქალაქი იყო...ის ველაიეთიც უმსგავსო ურწმუნოთა არსებობის ეკლისაგან გაწმინდა. და რადგანაც ქართველ დიდებულთ და აზნაურთ რამდენიმე ციხე გაემაგრებინათ...იმ ციხეებისაკენ გაემართნენ.“[2] შემთხვევითი არ არის, რომ პირველ რიგში მძოვრეთის ციხეზე ციციშვილთა საგვარეულო რეზიდენციაზე იწყება მტრის პირველი შემოტევები, რომელსაც იმერეთში გადასვლამდე თავს ხშირად აფარებდა ლუარსაბ მეფე. ისქანდერ მუნში მნიშვნელოვან ინფორმაციას გვაძლევს საციციანოს ბრძოლებზე და საციციანოს წინამძღოლ

---

[1] დ. კაციტაძე, XVI-XVIIსაუკუნეთა სპარსული დოკუმენტური წყაროები საქართველოს ისტორიისათვის, კავკასიურ-ახლო აღმოსავლური კრებული, II, თბ.,1962, 213-214.

[2] ისქანდერ მუნშის ცნობები საქართველოს შესახებ. სპარსული ტექსტი ქართული თარგმანითა და შესავლითურთ გამოსცა ვლ. ფუთურიძემ, თბ.,1969, გვ.20.

ფარსადან ციციშვილზე: „პირველად მძოვრეთის ციხე გარემოიცვეს, ხსენებული ციხეების სიმტკიცით გათამამებული მეციხოვნენი ბრძოლაში ჩაებნენ. ძლევამოსილი ღაზიები ყოველი მხრიდან უტევდნენ ციხეს და შიგ მყოფნი შეავიწროვეს. ცუდი სარწმუნოების მქონე ქართველებმა დაინახეს თავიანთი სისუსტე და უვნებლობა ითხოვეს. ციხისთავი ფარსადან-ბეგი ციხიდან გამოვიდა და სიმაგრე [ყიზილბაშებს] გადასცა. ხსენებული ციხის დაპყრობის შემდეგ გაემართნენ ატენის ციხისაკენ, რომელიც იქაურ ციხეთაგან უძლიერესი იყო. [ამ ციხეში] იმყოფებოდა ლუარსაბის დედა. ეს იყო ისეთი მაღალი და ძლიერი ციხე, რომ ფრინველსაც უჭირდა მასზე გადაფრენა ... ლუარსაბის დედა მრავალ აზნაურთან ერთად ტყვედ ჩავარდა ... რამდენიმე სხვა ციხე და სიმაგრეც შაჰვერდი - სულთან ზიად ოღლის მეცადინეობით და მამაცობით იქნა დაპყრობილი...30.000-ზე მეტი ტყვე ჩაუვარდა ხელში ზღვასავით მქუხარე ჯარს. მათგან ისინი ვინც დიდებულთა, წარჩინებულთა და აზნაურთა ცოლები, ქალიშვილები და ვაჟები იყვნენ, „ხუთისთავის“ ანგარიშში შაჰის უკეთილშობილეს სარქარის (სპარს. ზედამხედველი, უფროსი) მიაკუთვნეს.[1] ისქანდერ მუნშის ამ ცნობებს უფრო ვრცელ და საინტერესო საბრძოლო დეტალებით ამდიდრებს ჰასან რუმლუ: „ძლევის დროშებმა თვისი ჩრდილი მძოვრეთის ციხეს მოფინეს. ეს იყო ციხე, რომლის გალავნის სიმაღლე სატურნის აპოგეას სცილდებოდა ... არასოდეს მუსლიმანური დროშების სხივებს იმ მთიანეთის ჰორიზონტზე არ გაუნათებიათ ... და ჭეშმარიტი სარწმუნოების მნათობი ... ამ ციხის მიდამოებში არ გათენებულა ... თავისი ციხის სიმაგრით გაამაყებულმა ურჯულო ქართველებმა წინააღმდეგობის გაწევა იწყეს. ბედნიერმა ამირებმა და სახელოვანმა ღაზიებმა ყოველი მხრიდან იწყეს ბრძოლა...“ ამის შემდეგ ფარსადის

[1] ისქანდერ მუნშის ცნობები საქართველოს შესახებ. სპარსული ტექსტი ქართული თარგმანითა და შესავლითურთ გამოსცა ვლ. ფუთურიძემ, თბ.,1969, გვ.21.

მიერ ციხის ჩაბარებას მოსდევს ატენის ციხის აღების აღწერა. „ძლევამოსილმა ლაშქარმა...თოფისა და ზარბაზნების ცემით და სიმაგრეების ქვეშ ნაღმის [შეთხრით]ის ციხე დაანგრია... ქართველების მთელი ბრბოც ღაზიების უკუსაგდებად გამოემართა და იმ ღვთის მტერმა წარმართებმა ბრძოლა გააჩაღეს ისეთი, რომ ცის შორსმჭვრეტელი თვალი გაოცებული დარჩა. კოშკებიდან და გალავნიდან ისე ცვიოდა თავები უტვინოდ და ტვინი უთავოდ, როგორც შემოდგომის ქარიშხალისაგან ცვივა ხეებიდან ნაყოფი... იმ ქვეყანაში გარყვნილი და არამზადა ურწმუნოების ხელში მყოფი ბევრი ციხე...დაიპყრო და ხელთ იგდო მრავალი ტყვე“.[1] სპარსულ წყაროში არ მოიხსენიება საციციანოს სხვა დაპყრობილ ციხეთა სახელები, მაგრამ „ახალი ქართლის ცხოვრების“ ე. წ. პირველ და მესამე ტექსტებში შემონახული ცნობები[2] ვერის და წედისის ციხეებს ასახელებენ, ამასვე ადასტურებს ფარსადან გორგიჯანიძის პირველწყარო. მისი ცნობით „რომელსაც ციხეს ძალად აიღებდიან, თვითანაც ამოსწყვეტდიან, ძალათ აღებულს ციხეში მყოფთ ტყვეთ წასხემდიან. წედისის ციხე ძალათ აიღეს და ვერის ციხე ნებით მოსცეს, ფარსადან ციხოან[ი] უვნებლად მოარჩინა.“[3] როგორც ჩანს ფარსადან ციციშვილმაც იმ „ხუთისთავის“ ტყვეთა შორის ბედი გაიზიარა.

ჩვენამდე მოღწეული 1552 წლის დოკუმენტით, ფარსადან ციციშვილი მეფეს ახლავს მნიშვნელოვანი საკითხების გადასაწყვეტად, რაც სარდლის მოვალეობაზე უნდა მიგვანიშნებდეს. მეფე ლუარსაბის გვერდით ფარსადანი იხილავს მნიშვნელოვან საკითხებს „ბატონი კათალიკოზი და ბატონი წილკნელი მუხრა-

---

[1] ჰასან რუმლუს ცნობები საქართველოს შესახებ. სპარსული ტექსტი თარგმანითა და შესავლით გამოსცა ვლ.ფუთურიძემ, შენიშვნები დაურთო რ. კიკნაძემ, თბ.,1966, 33-34.

[2]. ქართლის ცხოვრება, ტ. II, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1959, გვ. 365,506.

[3] ფარსადან გორგიჯანიძის ისტორია, სარგის კაკაბაძის გამოცემა, საისტორიო მოამბე, წ. II, თბ., 1925,გვ.215

ნულსა სამზღუარზედ ირჩეოდეს, მოვიტანეთ მცხეთის დიდი გუჯარი...“.[1] ზემოთ აღნიშნული მნიშვნელოვანი სპარსული და ქართული წყაროებით თუ ვიმსჯელებთ, იგი მეფის სადროშოს სარდალი უნდა ყოფილიყო.

1558 წლის მცხეთის სიგელით ზაზა ფანასკერტელ-ციციშ-ვილი სიმონ მეფის სახლთუხუცესი და მეფის სადროშოს სარდალია.[2] 1561 წელს ციხედიდთან ბრძოლაში ყიზილბაშების ტყვეობაში ჩავარდა მსხვილი თავადი ზაზა-ბეგი „საქართველოს ერთი პატივცემულ ამირათაგანი“, რამდენიმე აზნაურთან ერთად შაჰის კარზე გაგზავნეს.[3] დატყვევებულ ქართველ დიდებულს ისქანდერ მუნში ჯაჯანა-ბეგად მოიხსენიებს: „ჯაჯანა ბეგი, გამოჩენილი ქართველი ამირა, დაეჭირათ და ქვეყნის საფარ-ველის კარზე გაგზავნეს.“[4] მას წყაროები შემთხვევით არ მოიხსე-ნიებენ „დიდ ფანასკერტელად.“ მისი გავლენა და სახელი, როგორც ჩანს ყიზილბაშებსაც არ დარჩათ შეუმჩნეველი, ამიტომაც აგზავნიან შაჰის კარზე, რაც ქვეყნისათვის მართლაც დიდი დანაკლისი იყო.

სიმონ მეფის თავგანწირულმა საბრძოლო წარმატებებმა, ლორეს ციხის აღებამ და ოსმალთაგან გამაგრებული გორის ციხის ალყამ, იმდენად შეაშფოთა ოსმალეთის სულთანი მეჰმედ III (1595-1603წწ.), რომ საგანგებო მობილიზაციით საქართველოში მრავალრიცხოვან ჯარს აგზავნის 1599 წლის აპრილის შუა

---

[1] ქრონიკები და სხვა მასალა საქარველოს ისტორიისა და მწერლობისა. შევსებულია, ქრონოლოგიურად დალაგებული და ახსნილია თ. ჟორდანიას მიერ, წ. II. ტფ. 1897, გვ.395.

[2] იქვე, გვ. 399.

[3] ჰასან რუმლუს ცნობები საქართველოს შესახებ. სპარსული ტექსტი თარგმანითა და შესავლით გამოსცა ვლ.ფუთურიძემ, შენიშვნები დაურთო რ. კიკნაძემ, თბ.,1966, გვ.36.

[4] ისქანდერ მუნშის ცნობები საქართველოს შესახებ. სპარსული ტექსტი ქართული თარგმანითა და შესავლითურთ გამოსცა ვლ. ფუთურიძემ, თბ., 1969, გვ.23.

რიცხვებში ჯაფარ-ფაშას მეთაურობით. მის მიერ გამოცემული ფირმანით ნათელია, რამდენად საშიშ ძალად მიაჩნიათ სვიმონ მეფის დაწყებული ანტიოსმალური აჯანყებანი და მის მიერ ოსმალთათვის მიყენებული აუნაზღაურებელი დანაკარგი.[1] ამ ბრძოლაში მეფის გვერდით აქტიურად იბრძვის საციციანო, რომლის წინამძღოლი და მეფის სადროშოს სარდალი წყაროების მიხედვით ფარსადან ციციშვილია.[2] 1599 წელს ფარსადანმა ციციშვილმა და სულხან თურმანიძემ თავიანთ მამულებში მეფის დავალებით ციხის ასაღებად კიბეები დაამზადეს და ლაშქარიც საბრძოლო მზადყოფნაში მოიყვანეს. შეთანხმებისამებრ დათქმულ დროს ფარსადანმა გორის ციხის კედლებს ჯარი შეუმჩნევლად მიუახლოვა და კიბეებით ციხეში გადასვლაც სწრაფადვე შეძლო. ოსმალებმა გვიან შეამჩნიეს ციხის შიგნით მებრძოლი ქართველები, რამაც გადაწყვიტა კიდეც ციხის აღების საკითხი.[3]

XVII საუკუნის დამდეგს მეფის სადროშოს სარდალ, ზაზა ციციშვილზე პირველი ცნობები ნარატიულ წყაროებში გვხვდება. მათ შორის, 1609 წელს ტაშისკართან ბრძოლის დროს გამოჩენილ თავგანწირულ სიმამაცეზე მიუთითებენ. იგი გიორგი სააკაძის ერთგულთა დასის წევრია და გიორგი სააკაძის ბრძოლების ავანგარდში მოიხსენიება.[4]

---

[1] ე. მამისთვალიშვილი,საქართველოს საგარეო პოლიტიკა და დიპლომატია, (XV-XVIსს.) I, თბ., 2009, გვ.24,325.

[2] ქრონიკები და სხვა მასალა საქარველოს ისტორიისა და მწერლობისა.შევსებულია,ქრონოლოგიურად დალაგებული და ახსნილია თ. ჟორდანიას მიერ. წ. II. ტფ. 1897, გვ.386, 393, 395.

[3] ე.მამისთვალიშვილი, საქართველოს საგარეო პოლიტიკა და დიპლომატია, I, (XV-XVIსს.)თბ., 2009, გვ.325.

[4] ქართლის ცხოვრება ტ.IV, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. თბ.,1973, გვ.422-423; შდრ. ცხოვრება საქართველოსი (პარიზის ქრონიკა), ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო გ. ალასანიამ. თბ., 1980, გვ.67-68.

როსტომის გამეფების შემდგომ (1633-1658წწ.) საციციანოს წინამძღოლი და სარდალი პაპუნა ციციშვილია (1633-1663წწ.).[1] იგი ირანთან როსტომისეული, კომპრომისული პოლიტიკის აქტიური მხარდამჭერია და შაჰის წყალობასაც უხვად იმსახურებს.[2]

XVII საუკუნის 60-იან წლებში ქვემო ციციშვილები „სარდალ-პალატ-უხუცესები“ არიან. ვასილ არჩილის ძე ციციშვილის შემოწირულ 1661 წელს გადაწერილ ჟამ-გულანის #342 ტექსტში[3] და 1671 წლის დომენტი კათალიკოსის წიგნში დაცული ცნობით, თავად კათალიკოსი ხაზგასმით საუბრობს თავის დისწულებზე: „ჩემს დისწულს ზაზასა და ზაალსა. ასრე რომ როდესაც კურთხეული ჩემი და, დედათქვენი, დედისიმედი მიიცვალა და თქუენ ყინცვისს წასასვენებლად მოინდომეთ და ასე მოგუახსენეთ ...ჩუენ ეს მოვინდომეთ, რომ ნიჩბისს თქუენის სასახლის სიახლეს აგე-შენებინათ საყდარი და იქ მიგეღოთ მიწათ ... თქუენც დაგუიჯერეთ. საყდრის აშენების საფიცრის წიგნი გამოგართვით, რომ ავაშენებთ და საძირკველი ვაკურთხეთ და ჩუენვე გავაჭრევინეთ.“[4]

დოკუმენტის მნიშვნელოვანი ცნობით მეფის სადროშოს სარდალი, სარდალ პაპუნა ციციშვილის მემკვიდრე, კათალიკოს დომენტის დისწული ზაზა ციციშვილია- მუხრანბატონთა სამეფო შტოს გავლენიანი, უძლიერესი პოლიტიკური მოღვაწე (1660-1673წწ.), რომელიც იმავდროულად სპარსული ფირმანის მიხედვით შაჰ სულეიმანის ნდობითა და წყალობით დიდად სარგებლობდა,[5]

---

[1] სცსსა, ფ.1448, ს.2316; ფ.1449, ს.1055; ქართული სამართლის ძეგლები ტ. IV, სასამართლო განჩინებანი (XVI-XVIII სს.), თბ., 1972, გვ.89, დოკ.145.

[2] ცხოვრება საქართველოსი (პარიზის ქრონიკა),თბ.,1980.გვ.107; საქართველოს სიძველენი, III, ე.თაყაიშვილის რედაქტორობით, თბ.,1910, გვ.145.

[3] ძველი საქართველო II, რედაქტორი ექ. თაყაიშვილი, თბ,1913, გვ.73-74.

[4] ქართული სამართლის ძეგლები ტ.III, საეკლესიო საკანონმდებლო ძეგლები (XI--XIXსს.). ტექსტი გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ი. დოლიძემ, თბ., 1970, გვ.569.

[5] სპარსული ისტორიული საბუთები საქართველოს წიგნთსაცავებში, ტექსტები დაადგინა, თარგმანი და შენიშვნები დაურთო ვლ. ფუთურიძემ, წიგნი 1, ნაკვ. I_2,თბ., 1962,გვ.19-20, 40-42, 44-45.

რაც გიორგი ბატონიშვილის მიერ მისი მკვლელობის საფუძველი გახდა, ქართლის სამეფო კარის ანტისპარსული პოლიტიკური გეგმებიდან გამომდინარე.

XVIII საუკუნის დამდეგიდან ქვემო საციციანო ვახტანგ VI-ის მიერ გაუქმებული იქნა. ციციშვილები კარგავენ არა მარტო სარდლის სახელოს, არამედ სხვა სამოხელეო თანამდებობებსაც. „ოსმალობის“ დროს სადროშოთა სისტემა მთლიანად მოიშალა. რაც შეეხება ყიზილბაშობის პერიოდს, გვინდა ავღნიშნოთ, რომ ქართულ ისტორიოგრაფიაში გამოთქმული მოსაზრება ყიზილბა-შობის დროს სადროშოთა სისტემის არარსებობასთან დაკავში-რებით ვერ გავიზიარებთ, რადგან, სპარსული და ქართული წყაროებით სადროშოები აღდგენილია, მათ შორის სარდლად ქაიხოსრო ციციშვილი მოიხსენიება,[1] რაც მხოლოდ ნადირ-შაჰის პოლიტიკური გეგმებით აიხსნება. ამაზე ნათლად მიგვანიშნებს 1735 წლის 19 იანვრის ნადირ-შაჰის ფირმანი. მასში სარდლობისა და აღმოსავლეთ საქართველოს მცხოვრებ ქართველთადმი საინტერესო მიმართვაა:„...ჯარის სარდლებმა, უხუცესებმა, წინამძღოლებმა, თავადებმა და აზნაურებმა ქართველთა ტომებისამ-მცხოვრებლებმან საბარათიანოსა, საციციანოსა, საადალოღლოსა, ტახტის ციხესა და ბორჩალოს მიმდგომ სხვა მხარეებისამ, უმაღლესი კეთილგანწყო-ბილების შეწევნითა და ყურადღებით აღჭურვილებმა, უწყოდნენ: რადგანაც ...ასლამაზ-ხანმა, ტფილისისა და საქართველოს სარდალმა მოგვახსენა ... ვინაიდან მოხსენებული მაღალადგილოვანი მდგომა-რეობით შორს იმყოფება, ხოლო საგანგაშო ყოფისას...ვეღარ მიაწვდენს მათ შველა-გამოქომაგებას, ამიტომ დადგენილ იქნა ...ჯარის სარდლებმა და ემისრებმა ბორჩალოსა და [მიმდგომ მხარეებში] აახლონ მათ საგანგებოდ კაცი და დაამყარონ მისვლა-

[1] სცსსა, ფ.1448, საქმე 5715; ს. კაკაბაძე, ისტ. საბუთები, წ. V, ტფ., 1913, გვ.51. დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან I, ბატონყმური ურთიერთობა (XV-XIXსს.) ნ.ბერძენიშვილის რედაქციით, თბ.,1940. გვ.329, დოკ. #465.

მოსვლა ურთიერთი მდგომარეობის გასაცნობად და გასაგებად და იმ შემთხვევაში თუ მოწინააღმდეგე ტომები გამოჩნდებიან ...გაერთიანებული ქმედობით ....გამოიჩინონ სიმამაცე..."[1]

ქაიხოსრო ციციშვილის მამა, ედიშერი 1717-1719 წლებში ქართლის სამეფო კარის სახლთუხუცესია. ვახტანგ მეფის სპარსეთიდან დაბრუნების შემდეგ შევიწროებული ციციშვილები და მათ შორის ედიშერი საბოლოოდ თავს აფარებს კახეთის მეფეს კონსტანტინე იმამყული ხანს. ჩვენს მიერ სამეცნიერო მიმოქცევაში შემოტანილი დოკუმენტიდან[2] ცნობილია, რომ მისი სპარსეთის შაჰთან შუამავლობით მეფე კონსტანტინემ მიიღო ქართლის სამეფო ტახტი, რომლის შესანარჩუნებლად ერთგულად ემსახურებოდნენ მეფე თეიმურაზე II-ეს ედიშერ და ქაიხოსრო ციციშვილები. „ყიზილბაშობის" დადგომისთანავე თეიმურაზის ერთგული მსახურის, სპარსოფილი ედიშერის მემკვიდრის დანიშვნა სარდლად, საქართველოსა და ჩრდილო კავკასიისადმი ნადირშაჰის პოლიტიკური ინტერესებიდან გამომდინარე, მისაღები კანდიდატურა უთუოდ იქნებოდა. 1737 წლის ტფილისის სიონის სიგელებზე (№86, №103) მოწმედ შეწირულებისა ხელს აწერს სარდალი ქაიხოსრო.[3] ქართლის ქალანთარი და სარდალი ქაიხოსრო ციციშვილი მოწმეებად არიან ასევე ყმისა და მამულის ნასყიდობის წიგნებში. [4]

ციციშვილების სარდლის სახელოზე ყველაზე მეტი მასალები XVIII საუკუნის მეორე ნახევრიდან გვაქვს. თეიმურაზ II-ის მეფედ კურთხევის ცერემონიალის აღწერისას (1745წ.) პაპუნა ორ-

---

[1] სპარსული ისტორიული საბუთები საქართველოს წიგნთსაცავებში, ტექსტები დაადგინა, თარგმანი და შენიშვნები დაურთო ვლ. ფუთურიძემ, წიგნი 1, ნაკვ. 4 თბ., 1977, გვ.15.

[2] სცსსა, ფ.1448, საქმე 5546.

[3] ისტორიული საბუთები, ს. კაკაბაძე, წ. V, ტფ., 1913, გვ.51, 63.

[4] დოკუმენტები საქ-ოს სოციალური ისტორიიდან I, ბატონყმური ურთიერთობა (XV-XIXსს.) ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, თბ.,1940 დოკ. #465, დოკ.#466; გვ.413, დოკ.#578, გვ.329-330.

ბელიანი საგანგებოდ აღნიშნავდა, რომ სადროშოები კვლავ აღადგინეს ძველი რიგის, ქართული ეროვნული დროშის და მეფედ კურთხევის ქართული ტრადიციის მიხედვით: „ბრძანა მეფემ დროშათა გაკეთება, გააკეთეს ვითაც ძველად რიგი ყოფილიყო, დროშა ოთხი ჯვარითა მოცული. ერთი უბოძა ორბელიანს ქაიხოსროს, მეორე - მუხრან ბატონს კონსტანტინეს, მესამე - ამილახორს დიმიტრის და მეოთხე ბატონის კერძო ვლიდა, გაემართნენ მცხეთას მეფენი ორნი... ვინ ვისა დროშაზე ჯარი ყოფილიყო, ისევ ძველსა რიგზე განაწესეს და შემოეხვივნეს თვის თვისი ჯარი დროშათა...“[1] ე. თაყაიშვილს უნახავს კონსტან-ტინე მუხრანბატონისათვის გადაცემული თეიმურაზისეული დროშა. პ. უმიკაშვილს კი ორბელიანების სახლში 1745 წლის მეწინავე სადროშოს სარდლის, დავით ორბელიანის დროშა. პაპუნა ორბელიანი არაფერს ამბობს მეფის სადროშოს სარდლის ვინაობის შესახებ, თუმცა სარდლის არსებობას ნამდვილად გვიდასტურებს.

XVIII საუკუნის 50-60-იანი წლების მრავალი ისტორიული დოკუმენტი სარდლად ალექსანდრე ციციშვილს მოიხსენიებენ.[2] აქედან, გორის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის ფონდში[3] მოძიებული არზა, სარდლად ალექსანდრე ციციშვილს 1750 წელს მოიხსენიებს.

მეოთხე სადროშოში იშვიათად, მაგრამ ვხვდებით ორი დიდი სახელოს გაერთიანების ფაქტებს. 1773წლის დოკუმენტებში დავით

---

[1] პ. ორბელიანი, ამბავი ქართლისანი, ტექსტი დაადგინა, შესავალი, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო ე. ცაგარეიშვილმა, თბ.,1988, გვ.102.

[2] სცსსა, ფ.1448, საქმე 7; საქ სიძველენი, ტ. II, რედაქტორი ექ. თაყაიშვილი, თბ., 1909, გვ.17, 555. საქართველოს სიძველენი, ტ. III, რედაქტორი ექ. თაყაიშვილი, თბ.,1910, გვ.14, 23.

[3] სერგი მაკალათიას სახ. გორის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის ხელნაწერთა ფონდი(გსიემ) #7486/ 146.

ალექსანდრეს ძე ციციშვილი ქალაქის მოურავად მოიხსენიება.[1] 1783 წლიდან მემკვიდრეობით იღებს სარდლის სახელოსაც.[2] 1784 წელს ერეკლეს ბრძანებით „ქალაქის მოურავის სარგოს გარიგების წიგნი“ განუახლებია იმ უთანხმოებასთან დაკავშირებით, რომელიც XVIII საუკუნის 80-იან წლებში ატეხილა: „ჩვენის სახასო ყმისაც და ქალაქში ვისაც ყმა ჰყავს, იმათი მოურავი სარდალ-ქალაქის მოურავი, ჩვენი სიძე დავით არის“, ეს მიანიშნებდა, რომ ამიერიდან მოსპო „მრავალმოურავიანობა“, მათ შორის საეკლესიო ყმა-მოქალაქეთა მოურავის დამოუკიდებლობის უფლებებიც. ეს იყო ცენტრალური ხელისუფლების გაძლიერებისაკენ გადადგმული ნაბიჯი, როგორც ჩანს ამ ნდობას იმსახურებდა მეფე ირაკლის ასულის, ბატონიშვილ მარიამის მეუღლე დავით ციციშვილი, თუმცა ზოძებული სარდალ-მოურავის სახელოს მოვალეობისგან, მეფე საგანგებო 1784 წლის 25 თებერვლის სიგელით მოითხოვს: „ ჩვენი ბრძანება არის ჩვენო სიძევ ციცისშვილო, სარდალ ქალაქის მოურავო დავით! მერე როგორადაც ბატონის პაპის ჩვენის მეფის ირაკლის დროს და მეფის ვახტანგის დროს და სანატრელის ბატონის მამის ჩვენის დროს ქალაქის მოურავები ყოფილან და ქალაქში უმოურავნიათ, ჩვენთვისაც იმავ წესით გვიბოძებია მოურავობა, იმ გზით და იმ რიგით იმოურავეთ. თავაზასა და ხათრს წესიერსა და კანონიერს საქმეზედ ნურავის შეუნახავთ ჭეშმარიტს სამართალსა...“[3] ამ სახელოს ვალდებულებებისა და სარგოს შესახებ, ექვთიმე თაყაიშვილის მიერ გამოქვეყნებულ „ქალაქის მოურავის გარიგების“ წიგნების გარდა მეტად საინტერესოა პავლე ციციანოვისათვის გადაცემული დავით ციციშვილს ძის, ევსტათი ციციშვილის მიერ შედგენილი დოკუმენტი „ქალაქის მოურავის

---

[1] საქართველოს სიძველენი III, თბ.,1910 გვ. 9,10.

[2] საქართველოს სიძველენი, ტ. III, რედაქტორი ექ.თაყაიშვილი, თბ., 1910, გვ.11.

[3] იქვე, 9,12,13.

სარგოს“ შესახებ, რომელიც მნიშვნელოვანი შესწორებებით და მანამდე უცნობი დეტალებით ავსებს, სრულყოფს ამ სახელოს სარგოს და ნათელ წარმოდგენას გვიქმნის სარდალ-მოურავის შემოსავლებსა და უფლება-მოვალეობაზე.[1]

&.1.პ˜ქ. პირველად ჩელიექისა მქონდა ოთხმოცი თუმანი.

&.2. პ˜ქ. მეორე ჭაშნიკი ჩემი საკუთარი იჯარა იყო, ამას გავცემდი ხოლმე ხან სამოც თუმნათ და ხან ოთხმოც თუმნათა. უფრო ოთხმოც თუმნათ გავცემდი ხოლმე.

&.3. კ˜ქ.სატარუღო იყო ჩემი განწესება, ოც თუმანს ავიღებდი.

&.4. ი˜ქ. თევზი, ზეთის ხილი და ზეთი-ამასაც გავცემდი იჯარით ათ თუმნათ.

&.5. ა˜ხ.აღდგომისა და ნათლისღების დღეს მესანთლეები მომართმევდნენ ხოლმე ოთხ ლიტრას წმიდას სანთელს, თექვსმეტი მინალთუნი.

&.6. ბ˜წ. ახალწლის შაქარი მამერთმეოდა ასნაფიდან, ოცდა ოთხი მინალთუნი.

&.7.დ˜ქ.აღდგომას ბატკანს მამგვრიდა ყოველი ასნაფი, ამის ფასი ოთხი მინალთუნი.

&.8.კ˜ქ.პირველი იანვარი რომ დადგებოდა, სამი დღე ქალაქის კარები მე მეჭირა; რაც ბაჟი შემოვიდოდა ნახევარს მე ავიღებდი ნახევარი სამეფო იყო. ამას რაოდენობა არ ერქო,ბევრ[ჯელ] ბევრს ავიღებდით, ბევრჯელ ცოტასა. აქედამაც ოცი თუმანი მომივიდოდა.

&.9.ა˜ჭ ქ. წელიწადში ყასბებს ნიხრს რომ გადაუჭრიდით, ამათგან გვერგებოდა, რამდენჯერაცა, ორმოცდაათი ლიტრახორცი. რომ იქს ამისი ფასი, თითო გადაჭრისა, თხუთმეტი მინალთუნი.

---

[1] მასალები ქართლ-კახეთის სამეფოს სამოხელეო წყობის შესახებ, მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის,შესავალი წერილი, შენიშვნები და საძიებელი დაურთო შ. მესხიამ, ნაკვ. I, (26), თბ., 1948, 91-92.

&.10. ა˜ც ქ. დიდმარხვა რომ დადგებოდა, ბაყლები მომართმევდნენ სამარხოს, თავისის ნიგვზით, ორმოცდა ათას ლიტრას. ამისი ფასი თორმეტი მინალთუნი.

&.11. ა˜ჯ ქ.შობასა, ნათლისღებასა და ყველიარში ბრინჯს მამცემდენ ოც ლიტრას თავისის ერბოთი. აგრევე, ყასბები შობასა დანათლისღებას მომცემდენ ოთხ ჭედილს. ამის ფასი თვრამეტ მინალთუნს.

&.12. გ˜ქ.ძროხის ქონსა და ღორის ქონსმამცემდენყასპები და მეღორეები. აქედამ მერგებოდასამი თუმანი.

&.13. ა˜წ ქ.ღვინის ნიხრს მივცემდი-სარაჯები მამცემდნენ თოთხმეტ მინალთუნს

&.14. ა˜ქ. წვრილმანი შემოსავალი მერგებოდა აქედამ-იქიდამ ერთი თუმანი.

&.15. ი˜ქ. მოქალაქე რომ იჩივლებდა ჩემთან, აქედამ სადიანბეგო მერგებოდა თუმანზედ ხუთი აბაზი. არც ამას დაედება ფასი. ბევრჯელ ბევრი მოვიდოდა, ბევრჯელ ცოტა. აქედამაც ათი თუმანი მერგებოდა.

&16. ე˜ქ. ბატონი ვისაც გაუწყრებოდა და ჯარიმას წაართმევდა, იმისი ათის თავი ჩვენი იყო. აქედამაც მერგებოდა თუმანი უთი.

&17. ი˜ქ სხვარიგათ ჯარიმას ვისაც წავართმევდით, ბევრჯელ ბევრი იქნებოდა და ბევრჯელ ცოტა და ამისი ფასი არ დამიწერია (ათი თუმანი)

&.18. ი˜ქ.თავი რომ გაუტყდებოდა ჩხუბში კაც(ს), იმისი ჯარიმა ჩემი იყო, ბატონს საქმე არა ქონდა(ათი თუმანი).

&19. ე˜ქ. ჩემის ნაცვალისაც იყო სარგო ხუთი თუმანი.

აღნიშნული მოურავის სარგო იმავდროულად მიანიშნებს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ პროგრესზე, სასაქონლო ურთიერთობის განვითარებაზე, საშინაო ბაზრის გაფართოებაზე და სარდალ-მოურავის ფუნქციებში არსებითი ხასიათის ახალ ცვლილებებზე.

სარდალ-მოურავის, დავით ციციშვილის საპასუხისმგებლო, მნიშვნელოვან ფუნქციაზე მიუთითებს მეფე ერეკლე II-ის 1791

წლის მეტად საინტერესო წერილი, რომელშიც ვკითხულობთ: „...ჩეზნს სიძეს, ბატონს სარდალ ქალაქის მოურავო დავით... „საქუზყნო საქმეები გვაქვს და ვინც თავადები გვყუანან დიდნი კაცნი, ყველანი დაშორებულნი არიან რომ ჩვენთან უნდა ჩამოვიდნენ და შენც ამასა გწერთ... ფერისცვალების მესამე დღეს აქ, ჩვენთან უნდა გამოსცხადდეთ ჰალბათ რომ შენი ჩამოუსვლელობა არ იქნება და ამ ვადაზე უნდა ჩამოხვიდე. მანდ რომ იასაულები გამოვგზავნეთ, იმისი გარიგების ბინა უნდა მისცე. ერთ-ერთი ძმა მანდ უნდა დააგდო, რომ ეგ გაარიგონ და ეგ საქონელი მოიკრიბოს და შენ კი უნდა წამოხვიდე. ჩვენი შვილის იულონისათვისაც მიგვიწერია, რომ ისიც ამ ვადაზედ წამოვა სხვა დიდი კაცნიც ჩვენთან შეიყრებიან და შენც აქ უნდა იყო, რომ უამისობა არ იქნება ... მსუბუქი საქმე არ არის რა, დიაღ, კარგი მოდიდო საქმეები გვაქვს.”[1]

იულონ ბატონიშვილის 1790 წლის წყალობის სიგელი დავით ციციშვილს თავგანწირულ მებრძოლად და ერთგულებით გამორჩეულ სარდლად ახასიათებს:„...როგორც თანამდებობა გქონდა ისე მოიქეც და დიდ ერთგულად ირჯებოდი. ჩემზე და იმათგან გამოგზავნილი ჯაშუშებიც დაიჭირე და დაჭერილები მოგვგვარე და მათგან მრავალი ოხრება ჰქონდა ქართლსა... შენი განაყოფი ზაქარია გამოსძღოლოდნენ ოსმალოსა...ორიათას ხუთასი კაცი მოეყვანათ ატენის ხეობაზე ... მცირე ჯარი გვყვანდა...ხუთას კაცი ძლივ ჯყავით... იმათის სიმრავლისათჯნ, მრავალნი ჯნმე იმ დღეს ომსა შლიდნენ...შენ არ დაიშალე და ჩვენც შენს რჩევას დავემოწმენით და ზედაველაზე წავედით ... ვახსენეთ ღმერთი და შევებენით...სამს საათადინ ასეთ ომი იყო, რომ თოფს კომლისაგან კაცი არ გაირჩეოდა და შენ იმ დღეს ლომურად იყავ და ჩვენს წინ თოფიც მოგხვდა და კაცისაგან მეტობა აღარ იქნებოდა...

---

[1] საქართველოს სიძველენი, ტ. III, საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების გამოცემა, რედაქტორი ექ.თაყაიშვილი, თბ., 1910, გვ. 9, დოკ.#14.

გამარჯვების მიზეზი უფრო შენ იყავ... ჩვენც ეს წყალობა გიყავით... ნამსახურობის სამუქფოდდა საჯილდაოთა.“[1]

ჩვენამდე მოღწეულია 1781 წლის მეფის სადროშოს აღწერის დავთარი, მიუხედავად იმისა, რომ თავ-ბოლო ნაკლულია, მეტად საყურადღებო წყაროა XVIII საუკუნის მეფის სადროშოს და დავით სარდალ-მოურავის „საჭელოსა“ და სარგოს შესახებ. დავთარში აღწერილია საციციანოს სოფლები: ქარელი, რუისი, თვალათუბანი, ქვახვრელი, დოესი, ხოვლე, ყარაღაჯი, გრაკალი, სასირეთი, ხანდაკი. გამოქვეყნებული დავთარი[2] იწყება სოფელ ქარელის აღწერით, სადაც 57 კომლია. მამაკაცის, ანუ კომლის უფროსის „თავის“[3] რაოდენობა-74-ია, რუისში-66, თვალათ უბანში-19, ქვახვრელში-5, დოესში-30, ხოვლეში-39, ყარაღაჯში-19, გრაკალში -19, სასირეთში-42, ხანდაკში -19 კომლი მოსახლე ყოფილა. სულ 1781წლის ნაკლული დავთრით, მეფის სადროშოში -472 კომლი, თავია. აქედან სარდალ-მოურავს დავით ციციშვილს ყმები ჰყავს, რუისში-38 თავი; თვალათუბანში სარდალ მოურავის ყმა-16 თავია; დოესში-20 თავი; სულ-74;

დავით ციციშვილის ადმინისტრაციული ფუნქციის შესახებ მნიშვნელოვან ცნობებს გვაწვდის დამოწმების, მორიგების და ნასყიდობის წიგნები.[4]

საინტერესოა ის ფაქტი, რომ სახელმწიფო გადასახადები სადროშოების მიხედვით კი არ ნაწილდებოდა არამედ სათავადოების და საერისთავოების მიხედვით.

საციციანოს საქვეყნო ხარჯს, დამტკიცებულს ერეკლე მეორის მეფობის დროს პასუხისმგებლობას ამოღებაზე აკისრებდა მეფის სადროშოს სარდალს, თუმცა მეფის მოხელე თავილ-

---

[1] ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ფ. Hd, საბ.1818.

[2] ა. თაბუაშვილი, „მეფის სადროშოს აღწერის დავთარი XVIII საუკუნის II ნახევარი, თსუ შრომები V, 2012. გვ.174,177.

[3] ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიური ისტორია,თბ.1930, გვ.20.

[4] საქართველოს სიძველენი III, რედაქტორი, ექ. თაყაიშვილი, თბ., 1910, გვ. 15,16, 17-18;

დარისთვის უნდა ჩაებარებინა. ამის საფუძველს გვაძლევს 1784 წლის საინტერესო დოკუმენტი, იგი მეტად დაზიანებული და თავნაკლულია, თუმცა ირკვევა საციციანოს მხარის გადასახადი, „...საციციანოს მჯარეს სარდალ ქალაქის მოურავ...ს) ასარდლო[ს] შესწერდა....სულ ჯამი გადასახადისა „იქნა ქულუჯამი თეთრისა ნზჭფ (ორმოცდაჩვიდ- მეტთუმან ნახევარი და ათი შაური). სხვა ხელით ... ეს რომელიც საქვეყნო გაწერიათ, ეს ასე მთლად უნდა გამოიღოთ, ახლავ მოიტანოთ და თავილდარს მოაბაროთ მთლად...“[1]

სარდალი პასუხისმგებელია მდევრობის განწესებაზე, მეფისაგან მიღებული დავალების შესრულებაზე, სალეკო გადასახადის გადახდაზე. მეფე ერეკლე II-ემ ზემო ქართლის მდევრობის შესახებ, ჯერ კიდევ 1772 წელს შეადგინა განწესება, სადაც საციციანოს სარდალს თავი კარგად გაურთმევია: „ეს იცოდეთ: თავადისშვილებმაც, აზნაურიშვილებმაც, გლეხმა კაცმაც, ამის უკეთესს ვერცა რას ქვეყანას შეემატებით, რომ ქრისტეს მტერნი თქვენის ცოლისა და შვილის დასატყვევებლად დარბიან, ამათ პასუხი მისცეთ. და ღმრთის მოწყალებით დაჰჭოცოთ და სირცხვილეულნი დააბრუნოთ ...გაღმა მხრის გარიგებულია, ოქმი გვიბოძებია და კარგადაც მდევრობენ, მადრიელიც ვართ და წყალობასაც დავმართებთ...“ [2]

1799 წლის სალეკოს გაწერის სიით სარდალ-მოურავის გიორგი ციციშვილის (მეფე გიორგი XII-ის სიმამრი) სასარდლოს გამოღმა მხარეს კომლზედ თოთხმეტი შაური სალეკო აქვს შეწერილი. დაანგარიშებული აქვს საერთო თანხა, თან ბრძანება ახლავს: „ამაში თარხნობა და პატივება არავისი იქნება ... ყველამ

---

[1] მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის, წიგნი III, (აღმშენებლობა, სახელმწიფო ეკონომიკა, ქონება),მასალები შეარჩია და გამოსაცემად მოამზადა ნ. ბერძენიშვილმა, თბ., 1955, გვ.77-80.

[2] ქართული სამართლის ძეგლები ტ. II, საერთო საკანონმდებლო ძეგლები (X-XIXსს.) ტექსტი გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ი. დოლიძემ, თბ., 1965, გვ.428.

უნდა მოგვცენ ლეკებისათვის მისაცემათ... დაგვიანება არ იქნება. ახლავ, საჩქაროთ და უკლებრად აიღოთ, მოიტანოთ და მოაბა-როთ, დაგვიანება არ იქნება, იცოდეთ.“[1] საციციანოს სარდლის მიერ ჯარის გამოყვანაზე ზოგად წარმოდგენას გვიქმნის 1800 წლის დოკუმენტი, სადაც ვკითხულობთ: „ ამ სიით გამოღმა მხარს სათარხნოს საციციანოს გიორგი სარდლის (სასა)რდლოს ჯარი შესწერდა და ასე უნდა გამოიყვანოთ.“ ჩამოთვლილია საციციანოს თავად-აზნაურები, ვის რამდენი ყმა უნდა გამოეყვანა, სულ 49 კაცი. თან ახლავს ბრძანება მეფე გიორგის: „ ქ. ბატონო სარდალ-მოურაო ციციშვილო გიორგი!...კარგი ჭელ-გამომღები კაცნი უნდა გამოიყვანოთ, თოფით, იარაღით გაწყობილნი და რომელსაც ცხენი ჰყვანდეს-ცხენითა, და რომელსაც ცხენი არა ჰყვანდეს, ქვევითათ წამოიყვანეთ. ე]რთის თავის ნუზლითა და აქ ქალაქს უნდა შემოგვიყაროთ... დაგვაკლდა ვინმე, კაცზედ ორ თუმანს წავარ- თმევთ და ორას ჯოხს დავკრამთ ... რომელიც თავადისშვილი არის და აზნაურშვილი ძმიანი და შვილიანი, იმათის სახლიდამ ერთი უნდა წამოიყვანოთ. ეს ჯარი ლეკისთვის გვინდა. მადამდისინ ისინი ამოივლიდნენ, მაგათ რომ ჩამოუსწრონ, ისა სჯობს.“[2]

წარმოდგენილი ისტორიული მასალები ხაზგასმით აღნიშ-ნავენ ფანასკერტელ-ციციშვილების გარკვეულ როლს მეფის სადროშოს შექმნაში. ამ საგვარეულო სახლის სარდლები, მიუხედავად თავადური მსოფლმხედველობისა, ერთგულად ემსახურებოდნენ სამეფო კარს და ქვეყნის სახელმწიფოებრივ ინტერესებს.

---

[1] საქართველოს სიძველენი, ტ. III, საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების გამოცემა, რედაქტორი ექ. თაყაიშვილის რედაქტორობით, თბ., 1910, გვ. 258-260.

[2] იქვე, დოკ.#273, გვ. 260-262.

2. XVII საუკუნის საციციანოს პოლიტიკური ისტორიიდან

XVII საუკუნის ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში მიმ-დინარე რთული ისტორიული პროცესების გამო საციციანოს დამოკიდებულება სამეფო კართან ხშირად რადიკალურად იცვლებოდა. ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში ციციშვილები განსაკუთრებული აქტიურობით გამოირჩევიან, უკავიათ საკმაოდ მაღალი სამოხელეო „საჴელოები" სამეფო კარზე. მათი პოლიტიკუ-რი მოღვაწეობა ავსებდა და ხშირად მნიშვნელოვნად ცვლიდა კიდეც ქვეყანაში მიმდინარე რთულ პოლიტიკურ პროცესებს. 1609 წლის ივნისში ოსმალებისა და ყირიმელი თათრების მოულოდნელი შემოსევისას, ლუარსაბ მეფისა და გიორგი სააკაძის გვერდით ცხირეთში მყოფი, სარდალი, ზაზა ციციშვილი თავგანწირვით იბრძვის: „ მეფიდამ წარვიდა მოურავი და ციციშვილი ზაზა ... მაშინ ზაზამ მოჰკლა ფაშა და თავის ჭრასა შინა მოერტყნენ თათარხანნი, იპყრა ზაზამ კბილით წვერი თავისა მის, შეჯდა ცხენსა და გამოვლო ბრძოლით თათარხანნი ... და დადგნენ ტაშისკარის ბოლოს... ეკუეთნენ ფიცხელად და იქმნა ბრძოლა ძლიერი ...მოსცათ ღმერთმან ძლევა და მოსწყჴდნეს ურიცხუნი"[1] თითქმის იდენტურია ბერი ეგნატაშვილის[2] და პარიზის ქრონიკის ცნობები, „მუხრანი ბატონი, ერისთვები, ამილახორი გაღმა იყვნენ მტ[კ]ვარს ვერც ერთი გამოუვიდა. კაცი გაუგზავნეს ყველასა: „ზემო ქართლს შემოგვე-ყარენითო"... მეფე და ჯარი ატენს მივედით და უკან ჯარი გვემატება და საციციანოზედ წავედით. გაღმა მჴარს შეყრილან ჯარი, სრულ გაღმა მჴარი და უკან მოსდევენ..." პარიზის ქრონიკის ეს

---

[1] ვახუშტი ბაგრატიონი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, ტ. IV, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ.,1973, გვ.422-423.

[2] ქართლის ცხოვრება, ტ. II, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1959, გვ.117.

საინტერესო დეტალები აზუსტებენ საციციანოს ერთგულებას და თავგანწირვას [1].

შაჰ-აბასის შემოსევების დროს ქართლის სამეფოს პოლიტიკურ ცხოვრებაში გარკვეულ როლს თამაშობს მეფისადმი დაუმორ-ჩილებელი, თავნება ფეოდალი, ფარსადან ციციშვილი. სარგებლობს განუსაზღვრელი უფლებებით, არ ინდობს საკუთარ სახლისკაცებს, იტაცებს ქვემო საციციანოს ყმა-მამულს. ამ მხრივ საინტერესოა ჩვენს მიერ მეცნიერულ მიმოქცევაში შემოტანილი 1615 წლის დოკუმენ-ტი, სადაც ვკითხულობთ:„ესე წყალობის წიგნი და ნიშანი შეგიწყალეთ და გიბოძეთ ჩუენ მეფემან პატრონმა ლუარსაბ თქუენ ციცისშვილისათვის ქაიხოსროს და მერაბს შჳლითა და მომავალთა სახლის თქუენისათა ... თქუენი კერძო მამული ფარსადანს ნაქდეჳ ქონდა და მოკითხული ვქენით; ზოგი თქუენი სამკვიდრო და ზედ სანაცლოდ მოგეცით ნიჩბისი, უ́ფლისა, დოესი, ავკეთი, ახალდაბა, ქვენაფლიჳ, ღვ́ვს [ღვლევი]. აზნაურშვილი შენმაზარ უზნაძე, დაჳით სიხარულისძე, ივანე ალექსიძე, მერაბა მთიელი, ესეებითა და სახლ-მამულითა მქონებელნი ყოფილან და ანუ არიან.”[2] ლუარსაბ მეფის რამოდენიმე საბუთი მოგვეპოვება. მამულის მფლობელობასთან დაკავშირებულ საბუთებს მოსდევს განმარტება, „რა რიგაცა ბედ-ნიერის ყაენის ფარვანა გქონდეს, ჩუენცა ისრე გაგუითავებია“.[3] ამ დროისათვის ლუარსაბ II-ის ბედი ჯერ კიდევ არ იყო გარკვეული. მამულისა და ყმის მფლობელობის სიმტკიცისათვის შეიძლებოდა მიემართათ შაჰის საპატიო ტყვისათვის, რომელიც ჯერ კიდევ მეფედ ითვლებოდა. დოკუმენტიდან ხაზგასმით ჩანს შაჰ-აბასთან ქართლში

---

[1] ცხოვრება საქართველოსი (პარიზის ქრონიკა), ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო გ. ალასანიამ, თბ., 1980, გვ.67-68.

[2] ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ფ. Ad, საბ.1410.

[3] საქართველოს სიძვლენი, ტ. II, საქართველოს საისტორიო და საეთ-ნოგრაფიო საზოგადოების გამოცემა, რედაქტორი ექვთ. თაყაიშვილი, თბ., 1909, გვ.228.

გადმოსული მეფე ლუარსაბი მცირე ხანს მცხეთას მყოფი ცდილობს შეზღუდოს დაუმორჩილებელი თავადის შეუვალობის უფლებები, ფარსადანისაგან გამოეხსნა ქვემო საციციანოს სახლისკაცების მიტაცებული ყმა-მამულები, თუმცა მხოლოდ შაჰთან შეთანხმებით. ამ დასტურით შაჰ-აბასი ფიქრობდა, ერთი მხრივ, სამუდამო მტრობა ჩამოეგდო სამეფო კარსა და გავლენიან ციციშვილს შორის, მეორე მხრივ გაემწვავებინა დაპირისპირება საგვარეულოში და სამუდამოდ მოეშალა საციციანოს ერთიანობა და სიძლიერე. ქართლის მეფის, ლუარსაბ მეორის სპარსეთში მოტყუებით წაყვანის შემდგომ, რაც განაწყენებული ფარსადან ციციშვილის გეგმებში მეფის თავიდან მოცილება უდავოდ შედიოდა და მასში ფარსადანის ხელიც ერია, ქართლის ფაქტიურ გამგებლობას ფარსადანი დაეუფლა. ბაგრატ-ხანი (1616-1619წწ.) ფაქტიურად, მხოლოდ ქვემო ქართლს ფლობდა „ვერ-ცა ეუფლა ქალაქს ზეით ზემო ქართლსა“ და ქართველები დაცინვით „უჴმობდნენ საბარათიანოს ბატონსა“.[1] ქართლის ძლიერი სათავა-დოს, საციციანოს სამოკავშირეო ძალას ანტიირანულ კოალიციაში, სათანადოდ აფასებდა მეფე თეიმურაზიც, რაც ცხადად ჩანს 1616 წლის უვნებლობის პირობის წიგნში, რომელიც მიუცია თეიმურაზ მეფეს, ბაადურ და მანუჩარ ციციშვილებისათვის.[2]

1619 წელს შაჰ-აბასმა მას შემდეგ, რაც ქართლის მმართველის, სიმონ ხანის „ვექილად” და ხელმძღვანელად დანიშნა მოურავ-ბეგი,[3] საკაძე ქართლის ფაქტიური გამგებელი გახდა. ძალაუფლების, გავლენის და მიტაცებული ყმა-მამულის დაკარგვის შიშით შიდაკლასობრივი ბრძოლა ფარსადანსა და გიორგი საკაძის პოლიტიკურ დასს შორის კიდევ უფრო გამძაფრდა. იგი ბრალს

---

[1] ვახუშტი ბაგრატიონი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, ტ. IV, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ.,1973, გვ. 428.

[2] ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ფ. Ad საბ.1410; Ad საბ.1292.

[3] ისქანდერ მუნში, აბასის ქვეყნის დამამშვენებელის ისტორიის გაგრძელება, ტექსტი სპარსულიდან თარგმნა, გამოკვლევა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ნ. გელაშვილმა, თბ.,1981, გვ.115.

სდებდა ფარსადანს იმაში, რომ ყაენისგან ნოსტეში დაბრუნების შემდეგ ქაიხოსრო ჯავახიშვილისთვის სამასი კაცი მიუცია ააკაძის მოსაკლავად.[1] მიუხედავად ამისა, ააკაძემ მოხერხებულად ისარგებლა ფარსადანის უკმაყოფილებით შაჰ აბასის პოლიტიკის გამო და ქვეყნის სამომავლო ინტერესებიდან გამომდინარე თავის დაუძინებელ მტერს ფარსადან ციციშვილს, შეურიგდა კიდეც საკუთარი ინიციატივით, მაგრამ უშედეგოდ.[2]

XVII საუკუნის 40-იანი წლებიდან, ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში ციციშვილები კვლავაც მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ. გიორგი ააკაძის ქვეყნიდან განდევნის შემდეგ, მეფე თეიმურაზის ანტიირანულ უკომპრომისო ბრძოლაში აქტიურ მხარდამჭერთა შორისაა ფარსადანის შვილი, მასშტაბური პიროვ-ნება, ცნობილი საზოგადო მოღვაწე, პოეტი და მეფე თეიმურაზის თანამოაზრე ნოდარ ციციშვილი. რაც შეეხება ქვემო საციციანოს წინამძღოლს პაპუნა ციციშვილს და მათ შთამომავლებს, ქართლის გამაჰმადიანებულ მეფეთა ერთგულებით გამოირჩევიან, ირანთან კომპრომისული პოლიტიკის მხარდამჭერნი არიან და შაჰის წყალობასაც უხვად იმსახურებენ.

ამდენად, საციციანოს წინამძღოლთა განსხვავებულმა პოლიტიკურმა ორიენტაციამ კიდევ უფრო გააღრმავა შინა-ფეოდალური დაპირისპირება, რაც თავის მხრივ აისახებოდა საციციანოს სოციალ-პოლიტიკურ და ეკონომიკურ მდგომარეობაზე.

როსტომის გამეფებით (1633-1658წწ.) ირანისა და ქართლის პოლიტიკურ ურთიერთობაში დროებით მშვიდობიანობა დამ-ყარდა. ყიზილბაშთა შეიარაღებულ ძალებთან ერთად მეფე როსტომს თან მოჰყვებოდა შაჰის კარზე მყოფი ქართველ დიდგვაროვანთა ამალა, რომელთა შორისაა პაპუნა ციციშვილი.[3] ამავე ცნობას მცირე

---

[1] ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ფ. Hd, საბ.6259.

[2] ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ფ. Hd, საბ. 14 1442.

[3] ფარსადან გორგიჯანიძის ისტორია, ს. კაკაბაძის გამოცემა, საისტორიო მოამბე, თბ.,1925, წიგნი II, გვ.240;

სხვაობით ადასტურებს პარიზის ქრონიკაც.[1] ისტორიკოს ფარსადან გორგიჯანიძის ცნობით: „ქართველთა თავადნი და აზნაურნი სრულ მიუვიდნეს და როსტომ მეფეს ფეხს აკოცეს ციციშვილის ფარსადანის მეტი და იმას სარდრისა ეშინოდა, ამისათვის რომ ძველით მტერობა აქონდათ. ეს სარდარმან იწყინა საციციანოს ლაშქარი გაუძახა, დარბევინა და მრავალი ტყვე მოასხეს.”[2] ეს როსტომ მეფე იწყინა და სარდარს კაცი მიუგზავნა: „თავად საქართველო აოხრებული არის, რაც დარჩომილა, იმასაც თქვენ ამიოხრებთო, მაშ მე რისიღა ბატონი ვიქნებიო”. როსტომ მეფის მოთხოვნით შაჰმა საქართველოდან როსტომ სააკაძე გაიწვია:” რა სარდარი საქართველოს გაეცალა, ფარსადან ციციშვილი და ან სხვანი საცა დახიზნულიყვნენ, ყველანი მოვიდნენ.”[3]

ჩვენი საკვლევი თემისთვის გასარკვევია, თუ რა გახდა სარდალ როსტომ სააკაძის და ფარსადან ციციშვილის მტრობის მიზეზი. ახალგაზრდა იაპონელი მკვლევარის, ჰიპოტაკე მაედას ყურადღების ცენტრში მოექცა ვინმე ყარა ბეჟანის უსათაურო სპარსული ქრონიკა, რომელზე დაყრდნობით გამოიკვლია როსტომ სააკაძის ცხოვრების ისტორია და ქართულ ენაზე გამოსცა წიგნი: „ქართველები სეფიანთა ირანში.“[4] ქართული წყაროებიდან მართალია პარიზის ქრონიკა პირთა იდენტიფიცირებას ვერ იძლევა, როსტომ მეფეს და როსტომ

---

[1] ცხოვრება საქართველოსი (პარიზის ქრონიკა). ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო გ. ალასანიამ. თბ., 1980, გვ.92.

[2] ფარსადან გორგიჯანიძის ისტორია, ს. კაკაბაძის გამოცემა, საისტორიო მოამბე, თბ.,1925, წიგნი II, გვ.24; შდრ. ცხოვრება საქართველოსი (პარიზის ქრონიკა). ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო გ. ალასანიამ. თბ., 1980, გვ.94.

[3] ფარსადან გორგიჯანიძის ისტორია, საისტორიო მოამბე, თბ.,1925, წიგნი II, გვ. 240-241.

[4] ჰიპოტაკე მაედა, ქართველები სეფიანთა ირანში, თბ.,2008, გვ. 29-30.

სააკაძეს ერთმანეთთან აიგივებს,[1] მაგრამ ფარსადან გორგიჯანიძის და პარიზის ქრონიკის ფრაგმენტული ცნობები როსტომ სააკაძის და ფარსადან ციციშვილის ძველი მტრობის შესახებ ერთმანეთს საინტერესოდ ემთხვევა და ავსებენ კიდეც, რაც მათი მტრობის თაობაზე ინტერპრეტაციის საფუძველს იძლევა.

ამ საკითხზე ჩვენი ინტერესი გამოიწვია სამეცნიერო მიმოქცევაში მკვლევარ ვ. ფუთურიძის შემოტანილმა საინტერესო ცნობამ, სადაც ვკითხულობთ: „როსტომ სპასალარის ცხოვრება-მოღვაწეობის ვრცელი აღწერა წარმოდგენილია ვინმე ბეჟანის უსახელო საისტორიო ნაწარმოებში, რომელიც როსტომ ხანის (როსტომ სააკაძის) და ირანის იმ პერიოდის ისტორიას მოიცავს. ბრიტანეთის მუზეუმში (Catalogue of the persian Mss in the British Museum, london, 1895. Add. 7655. ტ.I, gv.188 b) დაცული ხელნაწერი[2] დათარიღებულია 1692-1693 წლებით („თარიხ-სეფევი- ხან)“ რაც „სეფიანთა მატიანის მთხრობელს უნდა ნიშნავდეს“. [3]

ხელნაწერის მიხედვით როსტომ სააკაძის მამა, მას შემდეგ „რაც ოსმალთა ხელმწიფის საკუთრება გახდა და საქართველოში არეულობა დაიწყო წარჩინებული აზნაურების უმრავლესობამ და-ტოვა საქართველო,“ მათ შორის როსტომ სააკაძის მამა, ყარა- ბეჟან ბეგიც ტოვებს ქვეყანას და ყიზილბაშთა სამსახურში ჩამდგარა, როცა შაჰი თავისი ამალით ფარსიდან დაბრუნებულა (1590-1591წწ.) იგი სასახლეში ქეშიკად (მცველად) დაუნიშნავს. ავტორი განაგრძობს როსტომ-ხან სპასალარის ცხოვრების ამბებს. მოგვიანებით საქართვე-ლოში „წასვლის ნება“ მიუღია შაჰისგან, რაც შაჰ-აბასის ინტერესებში უთუოდ შედიოდა. ყარა-ბეჟანს გორის სანახების ერთ სოფელში,

---

[1] ცხოვრება საქართველოსი (პარიზის ქრონიკა). ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო გ. ალასანიამ. თბ., 1980, გვ.49,50,51,92; შდრ. ფარსადან გორგიჯანიძის ისტორია, ს. კაკაბაძის გამოცემა,საისტორიო მოამბე, თბ.,1925, წიგნი II, გვ.240.

[2] htts ://archive.org/stream/ catalogueofpersi01brituoft#page/188/mode/2up

[3] ვლ.ფუთურიძე, ირანის სპასალარი როსტომ-ხან სააკაძე, წიგნში: კავკასიის ხალხთა ისტორიის საკითხები, თბ.,1966, გვ.290.

მდინარე მტკვრის პირას, დარბაზი -„თალარი“ აუშენებია საცხოვ-რებლად. ურუმნი და ზოგი ქართველნიც განაწყებულნი ყოფილან მასზე, რადგან არ ემორჩილებოდა აქაურ მმართველებს, რაც რასაკვირველია გაანაწყენებდა ქართლის ფაქტიურ გამგებელს, ფარსადან ციციშვილს. ვფიქრობ, მისი დასჯა და სამშობლოდან განდევნა ფარსადანის ინტერესებს უნდა უკავშირდებოდეს. ყარა ბეჟანის ოჯახს მოულოდნელად მტრები დასხმიან თავს, მოუკლავთ ბეჟან-ბეგი, სახლ-კარი დაურბევიათ, გაუტაციათ ყველაფერი რაც ებადათ. მკვლევარ ვ. ფუთურიძის გამოკვლევით ობლად დარჩენილი, როსტომ სააკაძე მაშინ ათი-თორმეტი წლის იქნებოდა, როცა ირანში ჩასულა და შაჰის სამსახურში შესვლით „მოუპოვებია დიდება“.[1] თუ ფარსადან გორგიჯანიძის ცნობასაც გავითვალის-წინებთ, რომ „სარდლის სახლზედა ძალი და უსამართლო მიუძღოდა-ო,“ სრული საფუძველი გვაქვს ვივარაუდოთ, რომ ამაში სწორედ ფარსადან ციციშვილის ხელი ერია და ამიტომ ეშინოდა მეფე როსტომთან და სარდალ, როსტომ სააკაძესთან გამოჩენის, თუმცა არც იმას გამოვრიცხავთ, რომ მათ შორის სამამულო, თუ სამეზობლო დავა გაცილებით ადრე შეიძლებოდა დაწყებულიყო. საბოლოოდ ოჯახის განადგურება და ქვეყნიდან განდევნა, სწორედ ფარსადან ციციშვილის გაუკუღმართებული ცხოვრების გზას უკავშირდება.

ქართლის თავადაზნაურობასთან ერთად, თეიმურაზის მოკავშირე ციციშვილებმა როსტომს ერთგულება შეჰფიცეს. შეშინებულები ერთგულების დასამტკიცებლად მზად ყოფილან თეიმურაზი შეეპყროთ და მისთვის გადაეცათ.[2] არქანჯელო ლამბერტი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ფარსადან ციციშვილი „ერისთავთა ტოლი იყო” ქსნისა და არაგვის ერისთავების მსგავსად

---

[1] ვლ. ფუთურიძე, ირანის სპასალარი როსტომ-ხან სააკაძე, წიგნში: კავკასიის ხალხთა ისტორიის საკითხები, თბ.,1966,გვ.290-293.

[2] ავიტაბილე დონ პიეტრო, ცნობები საქართველოზე, (XVII საუკუნე) შესავალი, თარგმანი და კომენტარები ბეჟან გიორგაძისა, თბ., 1977, გვ.26.

არ დახმარებია მეფე თეიმურაზს. ევროპული წყაროს ეს ცნობა მიგვანიშნებს, რომ ფარსადანი მათთვისაც ძალზე გავლენიანი და ცნობადი სახე უნდა ყოფილიყო. ჩანს, ფარსადანმა სწორად შეაფასა შექმნილი ვითარება, ყიზილბაშთა მრავალრიცხოვანი ჯარით, ყაზახის, შამშადილუს და ლორეს ხანების დამხმარე სარეზერვო ძალებით და ქართლის თავადთა მხარდაჭერით გაძლიერებულ მეფე როსტომთან ბრძოლა სასიკეთოს არაფერს უქადდა. ამის შემდეგ მეფე როსტომმა თეიმურაზის დანიშნული მოხელეები თანამდებობებიდან გადააყენა და თავისი ერთგული ქვეშევრდომებით განიმტკიცა ძალაუფლება. პაპუნა ციციშვილს მაღალი „საჭელო" მიუღია. მას სარდლად მოიხსენიებს პარიზის ქრონიკა[1] და როსტომ მეფის 1650 წლით დათარიღებული სიგელი.[2]

შაჰის სპარსული ფირმანით ცნობილი ხდება, რომ ანტისპარსული ორიენტაციის მქონე ფარსადან ციციშვილის ყმა-მამული, ჯერ კიდევ 1632 წელს ერთგულ ქაიხოსრო ციციშვილისათვის გადაუცია:„ხუთი ოჯახი აზნაური და ორმოცდაათი ოჯახი გლეხი ქართლის ოლქის მცხოვრებ აზნაურთა და გლეხთაგანი, რომელნიც წინათ ფარსადან ციციშვილს ეკუთვნოდნენ, ბოძებულ იქნენ ქაიხოსრო-ბეგ ციციშვილისათვის."[3] შაჰი პაპუნა ციციშვილის შტოს სამსახურის სანაცვლოდ თიულებს ურიგებს. 1641 წლის შაჰ-სეფის ფირმანის მიხედვით პაპუნა ციციშვილი შაჰის პირადი ღულამის წევრია და სამსახურის სანაცვლოდ თიულს დროებით მფლობელობაში გადასცემს, მაგრამ არა საქართველოში, რადგან XVII

---

[1] ცხოვრება საქართველოსი (პარიზის ქრონიკა),ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო გ. ალასანიამ, თბ., 1980, გვ.107.

[2] საქართველოს სიძველენი, ტ.III, საქართველოს საისტორიო და საეთნოგრა ფიო საზოგადოების გამოცემა, რედაქტორი, ექვთ. თაყაიშვილი, თბ., 1910, გვ.145.

[3] სპარსული ისტორიული საბუთები საქართველოს წიგნთსაცავებში, ტექსტები დაადგინა, თარგმანი და შენიშვნები დაურთო ვლ. ფუთურიძემ, წიგნი 1, ნაკვეთი I2; თბ., 1962, გვ.40-42.

საუკუნის ქართველი მაჰმადიანი მეფეების დროსაც, მიწის-მფლობელობის ქართული სისტემა იქნა შენარჩუნებული, არამედ შირვანის ოლქში, სადაც აღმოსავლური მიწისმფლობელობა იყო დამკვიდრებული. ამ ფირმანის მიხედვით როსტომ მეფის კეთილშობილთა ამალის წევრ პაპუნა ციციშვილისათვის ჯამაგირიც დაუნიშნავთ: „11 თავრიზული თუმანი და 7300 დინარი ... გამოვიდა უავგუსტესი ფირმანი, მასზე, რომ ვაზირობისა და სიდიადის საფარველმა, მზისებრმა მოჰამედ სალეჰ-ბეგმა, შირვანის ვაზირმა გველის წელიწადის დასაწყისიდან თერთმეტი თავრიზული თუმანი და შვიდიათას სამასი დინარი იმ ადგილის ვოჯუჰათის (ფულადი გადასახადი მოსახლეობიდან-მ.მ.) თანხებიდან, რომელიც იმ ვაზირობის საფარველის გამგებლობაშია (ზაბთში-წიგნში ჩაწერა-აღრიცხვა) მისი უდიდებულესობის პირადი ღულამის (შაჰის ცხენოსანი გვარდიის მეომრები (უმთავრესად ძალით გამუს-ლიმანებულ ქართველ და სომეხ ყმაწვილებისაგან შედგებოდნენ) პაპუნა-ბეგ ციციშვილის ყოველწლიური ჯამაგირად არის დაწესებული, როგორც თვით მან ითხოვა. ღულამების დავთრიდან მოიწერეს, რომ ის [პაპუნა-ბეგ ციციშვილი] ხელმწი- ფობისა და სიდიადის საფარველთან ... დიდებული ხელმწიფის შთამომავალ, სიქველით გამოჩენილ ჩემ ძმასთან, საქართველოს ვალისთან როსტომ-ხანთან იმყოფება და, თანახმად ხსენებული მაღალ-ადგილოვანის მიერ დადასტურებისა, რაც დავთარშია შეტანილი, ის [პაპუნა] საქართველოში იმყოფება, იქ ასრულებს საჭირო სამსახურს...“[1] პაპუნა ციციშვილი ბოლომდე ერთგული დარჩა როსტომის კომპრომისეული პოლიტიკის. 1649 წლის შაჰ-აბას II ფირმანით კვლავაც ინარჩუნებდა სოლიდურ ჯამაგირს და მა-მულებს შირვანში:„... დაუდგინეს ჰამასალად თანხა თერთმეტი

[1] სპარსული ისტორიული საბუთები საქართველოს წიგნთსაცავებში, ტექსტები დაადგინა, თარგმანი და შენიშვნები დაურთო ვლ. ფუთურიძემ, წიგნი 1, ნაკვეთი I; თბ.,1961, დოკ.#18, გვ.41-42.

თუმნის და 7600 დინარის [ოდენობით] შირვანის ოლქის ვოჯუჰათის თანხებიდან.”[1]

როსტომის გარდაცვალებისთანავე კი მარიამ დედოფალი სწორედ ერთგულებით გამორჩეულ სარდალს, პაპუნა ციციშვილს აგზავნის შაჰის კარზე, მისი მდგომარეების გასარკვევად: „თმაცა და წიგნიც ციციშვილს პაპუნა სარდალს მისცეს, ჩაფრად გაისტუმრეს. პაპუნა სარდალი ადრე მოსულიყო, ყაენს სწყენოდა როსტომ მეფის სიკვდილი, დედოფლისა დიაღ ბევრი დედაკაცობა უამბო-ო.” [2] შესაძლოა ამ დროს გადაწყდა კიდეც დედოფალ მარიამის მომავალი ქორწინების საკითხი.

როსტომ მეფისა და თეიმურაზის შორის პოლიტიკურმა დაპირისპირებამ ციციშვილებიც ორ მტრულ, შეურიგებელ ბანაკად გაყო, „სარდლისშვილებსა“ და ფარსადანის შთამომავლებს შორის ბრძოლა თითქმის მთელი საუკუნის განმავლობაში გრძელდებოდა.[3]

პაპუნა ციციშვილი ირანის შაჰისგან როსტომ მეფის გარდაცვალების შემდეგაც, შაჰის ერთგულად მსახურების სანაცვლოდ, კვლავაც რეგულარულად იღებს წყალობას. 1658 წელს შაჰ-აბას მეორე, ფირმანით უმტკიცებს მამამისის, ქაიხოსრო ციციშვილისთვის ადრე მიცემულ თიულს, ხუთ ოჯახ აზნაურს და ორმოცდაათ კომლ გლეხს, რომელიც მანამდე ფარსადან ციციშვილს ეკუთვნოდა. „...გამოვიდა უავგუსტოესი ფირმანი, მასზე, რომ რადგანაც სიდიადის საფარველმა, პაპუნა-ბეგმა, ქაიხოსრო-ბეგ ციციშვილის შვილმა, წარმოადგინა პირი (1632წ. 11/ II)თარიღით

---

[1] სპარსული ისტორიული საბუთები საქართველოს წიგნთსაცავებში, ტექსტები დაადგინა, თარგმანი და შენიშვნები დაურთო ვლ. ფუთურიძემ, წიგნი 1, ნაკვეთი I; თბ.,1961, დოკ.#29, გვ.60-61.

[2] ცხოვრება საქართველოსი (პარიზის ქრონიკა). ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო გ. ალასანიამ. თბ., 1980, გვ.109; ფარსადან გორგიჯანიძის ისტორია, ს. კაკაბაძის გამოცემა, საისტორიო მოამბე, თბ.,1925, წიგნი II, გვ.269.

[3] ქართული სამართლის ძეგლები, ტ. VI, ტექსტი გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ი. დოლიძემ, თბ., 1977, გვ. 76, 144, 607, 610, 634.

გამოცემული უკეთილშობილესი ბრძანებულებისა, შემდეგი მოკლე შინაარსით: ქვეყნის დამპყრობელის, სამოთხეში დაბინავებული[შაჰ-სეფის] ბრძანებულება გამოცემულა მასზე, რომ ოდენობით ხუთი ოჯახი აზნაური და ორმოცდაათი ოჯახი გლეხი ქართლის ოლქის მცხოვრებ აზნაურთა და გლეხთაგანი, რომელნიც წინათ ფარსადან ციციშვილს ეკუთვნოდნენ, ბოძებულ იქნენ ქაიხოსრო-ბეგ ციციშ-ვილისათვის იმ პირობით, რომ ხსენებული ოლქის აზნაურები და გლეხები ცნობდნენ, რომ ეკუთვნიან აღნიშნულ მსგავსთა შორის რჩეულს, [ქაიხოსრო-ბეგს] არ გადაუხვევენ მის სამართლიან და ჯეროვან სიტყვებს და აუცილებლად აღიარებენ მის მფარველობას და მზრუნველობას. ხოლო უმაღლესი მოხელეები...დაწერილის თანახმად დადგენილად იცნობენ ... ჩვენ დავადგინეთ, რომ განსვე-ნებულმა როსტომ-ხანმა, საქართველოს ვალიმ, ქვეყნის დამ-პყრობელის, სამოთხეში დამკვიდრებული[შაჰის] ბრძანებულება თავიდან ბოლომდის ჩვენ მიერ დამტკიცებულად იცნოს. და ამჟამად კი ითხოვა ჩვენი ხელმოწერა საქართველოს ახლანდელი ვალის მეშვეობით...საქართველოს ვალიმ შაჰნავაზხანმა დაწერილის თანახმად დადგენილად იცნოს [ეს] ხსენებული ბრძანებულება ... დამტკიცებულად აღიაროს და ამის მიხედვით იმოქმედოს...ყოველ წელიწადს ახალ ბრძანებულებას ნუ მოითხოვენ.“[1] ქართლის სამეფო ტახტის ხელში ჩასაგდებად თეიმურაზის 1636წ. 1637წ. 1638წ. 1642წ. ბრძოლებში მეფის გვერდით თავგანწირვით იბრძვის, ერთგულე-ბით გამორჩეული ნოდარ ფარსადანის ძე ციციშვილი.

სეფიანთა ირანის ცნობილი ისტორიკოსი, მირზა მოჰამედ თაჰერე ვაჰედი ურჩი „ქვეშევდომის“ ატეხილი შფოთის შესახებ აღშფო-თებული წერს:„თეიმურაზის სახელზე გამოვიდა შემწყალებელი რაყამი...რომ მან თავი აარიდოს ხსენებულ საქმეებს...უსაზღვრო უმეცრებისა და უვიცობის გამო გარეგნულად მორჩილება გამო-

---

[1] სპარსული ისტორიული საბუთები საქართველოს წიგნთსაცავებში, ტექსტები დაადგინა, თარგმანი და შენიშვნები დაურთო ვლ. ფუთურიძემ, წიგნი 1, ნაკვეთი I; თბ.,1961, დოკ.#29, გვ.73-74;

ხატა...ხოლო იდუმალ კი უფრო გააღვივა შფოთის ცეცხლი და ზაალ ერისთავთან, ნოდართან და ქართლის კათალიკოზთან ერთად ...გადასწყვიტა რომ, როსტომ ხანი მოეკლათ.“[1] შორსმჭვრეტელ როსტომს ნოდარ ციციშვილის თავის მხარეზე გადასაბირებლად, წყალობა და მფარველობა არ დაუკვლია, თუმცა უშედეგოდ. მეფე მისი უმადურობით დიდად აღშფოთებულა, რაზედაც საინტერესო ცნობას გვაძლევს ისტორიკოსი ფარსადან გორგიჯანიძე: „ბედნიერს ყაენს გამოეპარა და მთხოვა და არ მივეცო, ფარსადან მამამან მისმანო მრავალი მაძლიაო, რომ საციციანო მისის შვილისშვილის პაპუნა ყორჩიბაშისათვის მთხოვაო და არ მივეცო და მაგას უქრთამოთ მივეცო და ახლა ამდენის სიკეთის მაგიერათო ჩემთვის უმუხანათებიაო და სხვას ბატონს ჰბირებია-ო.”[2] ამ საინტერესო ფაქტის სანდოობის დადგენა სხვა წყაროებით ჯერ-ჯერობით არ დასტურდება. ნოდარ ციციშვილს, სპარსული მწერლობის საუკეთესო მცოდნეს, „ბარამგურიანის“ ავტორს, თეიმურაზის ლიტერატურული სკოლის მიმდევარსა და მის მეხოტბეს, ვფიქრობ, ბედმა მართლაც არგუნა სპარსეთის კარზე მძევლობა. ფარსადან გორგიჯანიძის ცნობით, 1636 წელს მეფე როსტომი ქართლის თავადთა თხოვნას დათანხმდა, იმერეთის მეფის გიორგი III-ის ძე მამუკა ბატონიშვილი ახალციხიდან ჩამოეყვანა და იშვილა „მოატყუეს მეფე როსტომ, მამუკა ბატონიშვილი ჩამოიყვანეს თავის ჯარითა ...ღმერთი ჰგმეს და პატრონ ყმობა სწვალეს და მეფის როსტომის სიკვდილი გაჰბედეს და მამუკა ბატონის შვილის გამეფება მოინდომეს ქართლშია და მეფეს როსტომს ქალაქის სასახლის აბხანაში [აბანოში] მოღალატები ჩაუსხეს.[3]” როსტომმა სისხლისღვრის გარეშე მოლაპარაკებით შეძლო მამუკა ბატონიშვილი

---

[1] მოჰამედ თაჰერის ცნობები საქართველოს შესახებ. ტექსტის თარგმანი და შენიშვნები ვლ. ფუთურიძისა, მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 30. თბ., 1954, 381.

[2] ფარსადან გორგიჯანიძის ისტორია, ს, კაკაბაძის გამოცემა, საისტორიო მოამბე, თბ.,1925, წიგნი II, გვ.248.

[3] იქვე, 246.

ისევ ახალციხეს გადასულიყო, თუმცა მისი მხარდამჭერი „ჩხეიძენი და ზოგნი საბატიოს კაცის შვილები ქართლს დადგნენ, ზოგი ციციშვილი ნოდარისასა და ზოგნი სხვაგან.”

ნოდარ ციციშვილი აშკარად უპირისპირდება როსტომს, მისი პოლიტიკური მიზნები გაცხადებულია, რომ არა როსტომის შორსმჭვრეტელობა: „მეფემან აუჩქარებელმან ათის ათასის მარჩილის საჩუქარი სომანეთის ჭალაში მჯდომს, მამუკა ბატონისშვილს გაუგზავნა და მისწერა...რაც ჴელით გამოგვივაო, აქიდამაც მოგიმართავთო ჴელსაო.”[1] ვეთანხმებით გ. ჟორჟოლიანს, რომ მამუკა ბატონიშვილის ქართლის ტახტის მემკვიდრედ აყვანის შემდეგ ქართლის ვალის მიზანი მოკავშირეთა დახმარებით იმერეთის სამეფოს ქართლთან შეერთება უნდა ყოფილიყო.[2] თუმცა, შეთქმულნიც ქვეყნის გაერთიანების მიზანს ისახავდნენ ანტისპარსულ ძალთა კოალიციით. მიუხედავად ორივე მხარის მცდელობისა, საქართველოს მაშინდელი საშინაო და საგარეო მდგომარეობა არ იძლეოდა მყარ საფუძველს ქვეყნის გაერ-თიანებისა და გათავისუფლებისათვის.

1637 წელს როსტომის წინააღმდეგ აჯანყებულ იოთამ ამილახვრის, იასე და ზაალ ერისთავის გვერდით ნოდარ ციციშ-ვილია: „საქართველოს არევა მოინდომეს და თავადები შეიფიცნეს და ბატონს თეიმურაზს საფიცრები გაუგზავნეს, რომ თვითან ლაშქრით ცხეთას მობძანდეს და გაღმით ერისთავი და ამილახორი ლაშქრით მოვიდნენ და გაღმართი მჴრის ლაშქარი ნოდარ შემოიყაროს, ჩხეიძენიც თან იახლოს და როსტომ მეფეს მტრობა გაუცხადონ და ძალით ბატონობა წართვან.”[3] ჩანს, მდგომარეობა იმდენად მძიმე და საშიშროების მომტანი შეიქმნა როსტომისათვის, რომ მეფემ კვლავ

---

[1] ფარსადან გორგიჯანიძის ისტორია, ს, კაკაბაძის გამოცემა, საისტორიო მოამბე, თბ.,1925, წიგნი II, გვ. 247.

[2] გ. ჟორჟოლიანი, საქართველო XVII საუკუნის 30-50-იან წლებში, თბ.,1987, გვ. 65,66.

[3] ფარსადან გორგიჯანიძის ისტორია, საისტორიო მოამბე, თბ.,1925, წიგნი II, გვ.247.

ამჯობინა დათმობაზე წასულიყო, ამილახორად ბეჟანი დანიშნა, კარალეთი ნოდარ ციციშვილს და ქსნის ერისთავობა ელიზბარს უბოძა. კახეთს გადახვეწილი იოთამ ამილახვარი და იასე ქსნის ერისთავი დედოფლის შუამდგომლობით კვლავ შეიწყნარა. შერიგება კვლავაც ხანმოკლე გამოდგა. იმავე 1637 წელს ახალი აჯანყების ერთ-ერთი ორგანიზატორი ნოდარ ციციშვილია. ის იმდენად დარწმუნებულია გამარჯვებაში, რომ „სამარტოთ გამარჯვება მოინდომა, არც ბატონი თეიმურაზი მოიცადა და არც ერისთავი და არც ამილახორი. ვითაც ჩხეიძენი და სხვა იმერეთის საბატიოს კაცის შვილები მასთან იყვნენ და ყველანი ომნაცადნი კაცნი იყვნეს და საციციანოს მხრისაკენ თავისი და სხვის ლაშქარი შემოჰყროდა. მოვიდა ხოვლეთს ჩამოჴდა. თავისის კერძოს ლაშქარი ვინც არ შემოეყარა, მამულები (დაურბივა) და ეს ანბავი იორამ მოვრავისშვილს მეფისათვის მოეწერა: მალე წამობრძანდიო”.[1] როსტომმა შეძლო დედაქალაქსა და მცხეთაში ძალების სწრაფი მობილიზება, საბარათიანოსა და ყიზილბაშთა ლაშქრით გამთენიისას ხოვლეში გამაგრებულ ნოდარ ციციშვილს შეებრძოლა: „ძალმიცემით ომი გარდიხადეს და მეფემ გაიმარჯვა.”[2] გორგიჯანიძის ცნობით „ნოდარ ომს არ მოსრულიყო და უწინვე ვერის ციხისაკენ წასულიყო და ჩხეიძეებს ზურგი არ მოაბა...ნოდარ ვერის ციხეში შეიხვეწა”აქაც როსტომმა შემწყნარებლობა გამოიჩინა. რაც შეეხება საციციანოს, „უფროსი ერთთ საციციანო დაუყვეს და კაცები უჩინეს, რომ გაქცეულთ კაცთ უკან ნურვინ აედევნების და ვისაც საციციანოს კაცი დაეჭიროს, გაუშვანო.”[3] ნოდარ ციციშვილს ბოლოს მტკიცე ზოვრეთის ციხისათვის შეუფარებია თავი, „ნოდარ ზოვრეთის ციხეში გამაგრდა. მეფემ გორიდამ ლაშქარი გაუძახა და სკრას ზეითი საციციანო დაარბევინა. „შაჰის წინაშე თავის

---

[1] ფარსადან გორგიჯანიძის ისტორია, ს. კაკაბაძის გამოცემა, საისტორიო მოამბე, თბ.,1925, წიგნი II, გვ. 247.

[2] იქვე, გვ. 248.

[3] იქვე, გვ. 248

მართლების მიზნით, მისწერა:„ქართველნი ჩემის უშვილობისათვის და უნათესაობისათვინ ურჩობენ და ავკაცობენო, რომ ჩემს საბოლოს ვერა ჴედვენო.”[1] ნოდარის მომხრეები როსტომის ლაშქარში ხმას ავრცელებდნენ, ნოდარის მოსაშველებლად თეიმურაზი მოდისო. ამ ხმებმა ვერ გატეხა როსტომი, მან ბრძანება გასცა, რომ „ხონთქარიც მოეშველოსო, სიდამდისინ ნოდარს ციხიდამენ არ გამოვიყვანო, აქითგან არ დავიძვრიო” ალყა დიდხანს გაგრძელდა. ბოლოს ციხე შიგნიდან გატყდა. გამჭრიახმა და მოქნილმა პოლიტიკოსმა, „ჩათრეულს ჩაყოლილი აჯობინა.” ნოდარმა თავისი დედის პირით როსტომს „გაცლის გზა სთხოვა. ვითაც ნათესავი იყო მეფისა” როსტომი დათანხმდა. მან ნოდარს „უვნებლობის საფიცარი მისცა, რომ საცა უნდა წავიდეს თავისი მხლებლებით და ქონებით არაუშავდეს რა და ამდენი ცხენი, ჯორი ათხოვეს ზოვრეთიდამენ, რომე თავიანთ ქონებით ახალციხემდისინ მიასხან.”[2] ცხადია, როსტომს შეეძლო საბოლოოდ გაენადგურებინა თეიმურაზის უძლიერესი მომხრე, მაგრამ ამჯერადაც როსტომმა სავსებით სწორად შეაფასა პოლიტიკური სიტუაცია. ძმათა შორის სისხლისღვრას მოერიდა და არა მარტო ზოვრეთიდან ახალციხეში გადასვლის შესაძლებლობა, არამედ სიმდიდრის გატანის საშუალებაც მისცა, თუმცა ამ შეთქმულების მონაწილეთა ნაწილი და მათ შორის დედოფლის სახლთუხუცესი ქაიხოსრო ბარათაშვილი, მკაცრად იქნა დასჯილი:„ციხეში აიყვანეს და ღამით კოშკიდამენ გარდმოაგ-დეს და თქუეს: დამთვრალა და თვითან გადმოვარდნილაო.”

1642 წლის შეთქმულების მონაწილეთა შორის ერთ-ერთი ცენტრალური ფიგურა, კვლავაც ნოდარ ციციშვილია. წყაროები მეტ-ნაკლები სიზუსტით შეთქმულებას უკავშირებენ როსტომ მეფის შვილად და მემკვიდრედ გამაჰმადიანებული ლუარსაბ ბატონიშ-ვილის ქართლში ჩამოსვლას. შეთქმულების მიზანი კვლავ

---

[1] ფარსადან გორგიჯანიძის ისტორია, ს. კაკაბაძის გამოცემა, საისტორიო მოამბე, თბ.,1925, წიგნი II, გვ.249.

[2] იქვე, გვ. 249.

როსტომის მოკვლა და თეიმურაზის ქართლში გამეფება იყო. მოჰამედ თაჰერის ცნობით: „ხოლო რაზმით თავადებისა და აზნაურებისა, რომელნიც შემკულნი იყვნენ გულწრფელი ერთგულებით, ნოდარის ციხის დასაპატრონებლად გაემართა. ამ ციხის სიმტკიცე და სიმაგრე, გზების სიძნელე ... იქაურ ხალხში ანდაზად არის გადაქცეული...ის ფუძემაგარი ციხე შავ მიწასთან გაასწორეს...ის ბოროტგანმზრახველი, უსაზღვრო სინანულში ჩავარდნილი (ნოდარი), გაიქცა და ახალციხეს მივიდა."[1] როსტომს რადიკალური ზომები მიუღია, მიწასთან გაუსწორებია მიუდ-გომელი, მტკიცე ატენის ციხე, დიდი ნადავლი და ნოდარ ციციშვილის ცოლ-შვილი ტყვედაც ჩაუგდია, თუმცა ნოდარმა თავს უშველა და თავი კვლავ ახალციხისათვის შეუფარებია. მეფემ მალევე მიუტევა:„ საციციანო მისი ნაქონი მასვე უბოძა."[2] თავის ნამოქ-მედარით სინანულში ჩავარდნილებმა, თავის შეცოდებათა და დანაშაულთა პატიება ითხოვეს როსტომ-ხანის შუამდგომლობით".[3]

ამდენად, ბუნებრივია ისმის კითხვა, მაინც რა მიზეზებით აიხსნება მეფის მოწინააღმდეგეთა და მათ შორის ნოდარ ციციშვილისადმი ასეთი ლმობიერება და არაერთგზის დათმობაზე წასვლა? ახალციხის საფაშოში დარჩენილი ფანასკერტელების მეორე ძირძველი საგვარეულო შტო, ათაბაგთა მხარდაჭერითა და ერთგულებით გამოირჩეოდა, რომელთაგან მფარველობა არაერთ-გზის ჰქონდა ნოდარ ციციშვილს. მეფე როსტომმა იცოდა, ციციშვილი და მისი სიძე ზაალ ერისთავი, ქვეყანაში თეიმურაზის ძლიერ მოკავშირეებიდან საკმაოდ გავლენიანი, ანგარიშგასაწევი ძალა იყო. შორსმჭვრეტელი პოლიტიკოსი უთუოდ ითვალისწინებ-

---

[1] გ. ჟორჟოლიანი, საქართველო XVII საუკუნის 30-50-იან წლებში, თბ.,1987, გვ. 381-382.

[2] ფარსადან გორგიჯანიძის ისტორია, ს. კაკაბაძის გამოცემა, საისტორიო მოამბე, თბ.,1925, წიგნი II, გვ.251.

[3] მოჰამედ თაჰერის ცნობები საქართველოს შესახებ. ტექსტის თარგმანი და შენიშვნები ვ. ფუთურიძისა, მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 30. თბ., 1954, გვ.382.

და თეიმურაზის საგარეო ურთიერთობებიდან გამომდინარე საფრთხეებსაც და მათ შორის ციციშვილისთვის შესაძლო დახმარებას ახალციხის საფაშოდან, მიუხედავად 1639 წლის ზოჰაბის ზავისა.

პროფ. ი. ცინცაძის ობიექტური შეფასებით, თეიმურაზის შეურიგებლობამ ირანი აიძულა დათმობაზე წასულიყო და როსტომს საშუალება მისცა მშვიდობიანი გზით ეკეთებინა ის საქმე, რომლის გაკეთებასაც თეიმურაზი იარაღით ცდილობდა.[1] აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ როსტომმა შესანიშნავად იცოდა, შაჰის იძულებით ლოიალურ პოლიტიკაში დიდი წვლილი ნოდარ ციციშვილის გმირულ ბრძოლებსაც უდავოდ შეჰქონდა. როსტომის შემრიგებლური პოლიტიკა საციციანოზეც დადებითად აისახა და დროებით შეწყდა სახლისკაცთა შორის დაპირისპირება.[2]

1648 წელს მეფე თეიმურაზის განახლებულ ომში ქართლის თავადები, მათ შორის ციციშვილი ნოდარი მეფეს აღარ ეახლა. უფრო მეტიც, 1658 წელს ბანძასთან ბრძოლაში ქართლის მეფის მხარესაა. გავლენიან ნოდარ ციციშვილთან დანათესავებას ამჯობინებდა მეფე შაჰნავაზიც: „ნოდარის ქალი თავის არჩილს უთხოვაო"- წერს ანონიმი ავტორი.[3] მართალია, ნათესაობა ხშირად საბოლოოდ ვერ სპობდა შუღლს, მაგრამ ის მაინც ერთგულების ერთგვარი საწინდარი იყო, რაც ესოდენ სჭირდებოდა ქართლის ტახტზე ასვლისას. ნოდარ ციციშვილის გარდაცვალების შემდეგ კი ზემო ციციშვილებთან

---

[1] ი.ცინცაძე, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიის წარსულიდან. ისტორიის ინსტიტუტის შრომები, ტ. I, თბ.,1955, გვ. 212.

[2] ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ფ._Ad, საბ.1080; შდრ. ქრონიკები და სხვა მასალა საქარველოს ისტორიისა და მწერლობისა. შევსებულია, ქრონოლოგიურად დალაგებული და ახსნილია თ. ჟორდანიას მიერ. წ. II. ტფ. 1897, გვ.464.; ქართული სამართლის ძეგლები ტ. IV. სასამართლო განჩინებანი (XVI-XVIII სს.) ტექსტი გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ი. დოლიძემ, თბ., 1972, გვ.76.

[3] ცხოვრება საქართველოსი (პარიზის ქრონიკა). ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო გ. ალასანიამ. თბ., 1980, გვ. 108.

დამოკიდებულება აშკარად იცვლება, გორგიჯანიძის ცნობით: „ნოდარ ციციშვილი მიცვალებულიყო, იმისი ქალი ბატონისაგან არჩილისათვინ ნათხოვნი იყო. იმ ქალის დაგდება და ქეთევან დედოფლის შერთვა უნდოდა და საბოლოთ ციციშვილის სისხლს ერიდებოდა. ტყვილი ზრახვა თქვეს, უქადეს და გასწირეს სული და ჰგმეს ღმერთი ... ახალციხის ფაშას ქეთევან დედოფალი სთხოვეს და მანც...თავისი ქალი ...მოსცეს".[1] სპარსოფილი ფარსადან გორგიჯანიძისგან ქორწინებაზე ასეთი მინიშნება შემთხვევითი არ არის, ყველა აშკარად ხვდებოდა ამ ქორწინების პოლიტიკურ მიზნებს.

XVII საუკუნის 60-იან წლებში ქვემო ციციშვილები „სარდალ-პალატ - უხუცესები არიან"[2] საციციანოს წინამძღოლი, მეფის სადროშოს სარდალი ზაზა ციციშვილია. ზაზა საკმაოდ გავლენიანი, უძლიერესი პოლიტიკური მოღვაწე ჩანს ქართლის სამეფოში. მეფე ვახტანგმა (1658-1675წწ.) გარდაცვლილი კათალიკოზ ქრისტეფორეს შემდეგ კათალიკოსობა, თავის ბიძაშვილს დომენტის უბოძა 1660 წელს. ქართლის სამეფო ტახტზე მეორე გამაჰმადიანებული ბაგრატიონ მუხრან-ბატონთა შტოს გამეფებით, ირანის შაჰმა უფრო მოქნილ პოლიტიკას მიმართა. ქართველი ხალხის საბოლოოდ დასამორჩილებლად საუკეთესო გზა, ქვეყნის დაქსაქსვა, დასუსტება და მტრობის ჩამოგდება იყო. შაჰს სურდა ქართლის დიდებული ფეოდალები მისი დასაყრდენი ძალა გამხდარიყო, მათი გულის მოსაგებად ირანის მესვეურნი ძალ-ღონეს ამისათვის არ იშურებდნენ. შაჰის ინტერესებს რადიკალურად ეწინააღმდეგებოდა ნიჭიერი სახელმწიფო მოღვაწე ვახტანგ V. ვახტანგი სწორად აფასებდა ირანში დაწყებულ საშინაო და საგარეო პოლიტიკურ სირთულეებს და ცდილობდა საქართველოს ცალკეული სამეფო-სამთავროების გაერთიანებას. მისი პოლიტიკური გეგმები სრულიად ეწინააღმდეგე-

---

[1] ფარსადან გორგიჯანიძის ისტორია, ს. კაკაბაძის გამოცემა, საისტორიო მოამბე, თბ., 1925, წიგნი II, გვ. 273.

[2] ძველი საქართველო ტ. II, საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების კრებული, რედაქტორი ე.თაყაიშვილი, თბ.,1913, გვ.73-74.

ბოდა შაჰის კარის მიზნებს. მისი იმერეთში ლაშქრობა საქართველოს გაერთიანებისა და განთავისუფლებისაკენ გადადგმული ნაბიჯი იყო. მართალია, ქართლის მეფე თავს ერთგულად აჩვენებდა, მაგრამ ამგვარი „იდუმალი ზრახვები“ შაჰს შეუმჩნეველი არ დარჩებოდა, მათ შორის, არც რუსეთთან დაკავშირების გზების ძიება. ამის შესახებ საინტერესო ცნობას გვაწვდის პავლე ალეპოელი.[1]

1671 წლის ისტორიული დოკუმენტის მიხედვით კათალიკოს დომენტის დისწული სამეფო კარის სახლთუხუცესი, საციციანოს სარდალი, ზაზა ციციშვილი-მუხრანბატონთა სამეფოს გვერდითი შტოს მემკვიდრეა: „...თქუენ ციციშვილს, ჩემს დისწულს ზაზასა და ზაალსა...როდესაც კურთხეული ჩემი და, დედათქვენი, დედისიმედი მიიცვალა და თქუენ ყინცვისს წასასვენებლად მოინდომეთ...“[2] კათალიკოს დომენტის მხარდაჭერამ და ზაზა ციციშვილის პიროვ-ნულმა თვისებებმა განსაზღვრა კიდეც მისი სწრაფი დაწინაურება შაჰნავაზის კარზე. იგი აქტიურად მონაწილეობს ერეკლე ბატონიშ-ვილის წინააღმდეგ 1663-64წწ. წარმოებულ ბრძოლებში, რამაც მისცა ვახტანგ V-ს შესაძლებლობა, კახეთის ტახტზე არჩილის გამეფებით აღმოსავლეთ საქართველოს ფაქტობრივი გაერთიანების. მეფის გვერდით შემდგომშიც თავდაუზოგავად იბრძვის, მეფის ხელისუფ-ლების განმტკიცების და ქვეყნის გაძლიერებისათვის.1658-1662წწ. საბუთის[3] მიხედვით განხეთქილება მომხდარა სარდალ ზაზა ციციშვილსა და ციცი ციციშვილს შორის. ციცი სამეფო კარზე საკმაოდ მაღალი სახელოს, სახლთუხუცესობის მფლობელია, რაზეც მიუთითებს სახლთუხუცეს, ციცი ციციშვილის ბეჭდით და-

---

[1] ნ. ასათიანი, მასალები XVIIს. ისტორიისათვის, საქართველოს აღწერილობა შედგენილი პავლე ალეპოელის მიერ, თბ.,1972, გვ.15.

[2] ქართული სამართლის ძეგლები ტ.III; საეკლესიო საკანონმდებლო ძეგლები (XI--XIXსს.). ტექსტი გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ი. დოლიძემ, თბ., 1970, გვ.569.

[3] სცსსა, ფ. 1449, საქმე 328.

მოწმებული 1634 წლის სითარხნის წიგნი.[1] შევიწროებული ზაზა ციციშვილის განაყოფი, ციცი ციციშვილი იძულებული გახდა ქართლიდან იმერეთში გადასულიყო. ციციშვილთა საგვარეულო სახლის შიგნით დაპირისპირებას მოხერხებულად იყენებს ირანის შაჰი, იგი ხან ერთ, ხან მეორე დაპირისპირებულ მხარეს უჭერს მხარს, თავისი ინტერესების მიხედვით, თუ რომელი მათგანი სჭირდებოდა თავისი მზაკვრული გეგმებისათვის. ამჯერად, სარდალ ზაზა ციციშვილს ანებივრებს წყალობით. იმერეთის სამეფო კარზე ციცი ციციშვილი კი მალევე დაწინაურებულა და წყალობად საკმაო ყმა-მამულებიც მიუღია.

შაჰნავაზმა შეძლო შემოერიგებინა იმერეთის სამეფო კარზე მყოფი ციცი ციციშვილი, იმერეთის შემოერთების სამომავლო გეგმების გამო.[2] მეფემ ადვილად მოახერხა მთელი არგვეთის დაკავება მდ. ბუჯისწყლამდე, რომლის ზემო წელზე სკანდის ციხეში მყოფი თეიმურაზიც დაატყვევა. შაჰ-აბას მეორე დიდად გაახარა საპატიო ტყვემ, რამაც დროებით გადაფარა ზაზა ციციშვილის და მის მომხრეთა მასობრივი დასჯის გამო განაწყენება და მისი გული მოიგო. ასევე გამოცხადდნენ ირანის შაჰთან კახეთის აჯანყების მეთაურები, ბიძინა ჩოლოყაშვილი, შალვა და ელიზბარ ქსნის ერისთავები და ქვეყანას ააცილეს ყიზილბაშთა თავდასხმები, რასაც გვამცნობს მოჰამედ თაჰერი,[3] შაჰ-ნავაზმა ზაალ არაგვის ერისთავიც საკუთარ ბიძაშვილებს მოაკვლევინა და განიმტკიცა ტახტი. წყაროები მხოლოდ შაჰ-ნავაზის და დადიანის ურთიერთშეთანხმე-ბაზე მიუთითებენ: „არგვეთს აქეთ ქართველს მეფესა და იმას იქით

---

[1] ქართულ-სპარსული ისტორიული საბუთები, ვლ.ფუთურიძე, ტექსტები დაადგინა, თარგმანი და შენიშვნები დაურთო ვ. ფუთურიძემ. თბ., 1955, დოკ.#50, გვ.112.

[2] ნ.ასათიანი, მასალები XVIIს.ისტორიისათვის, საქართველოს აღწერი-ლობა შედგენილი პავლე ალეპოელის მიერ, თბ.,1972, გვ.48-49.

[3] მოჰამედ თაჰერის ცნობები საქართველოს შესახებ. ტექსტის თარგმანი და შენიშვნები ვლ. ფუთურიძისა, მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 30. თბ., 1954, გვ.395.

დადიანსა და მასუკან დადიანმა თავისი ქალი მეფის შვილს არჩილს მისცეს და იმერეთში გააბატონონ.“[1] ამ ცნობას ადასტურებს ვახუშტიც: „განიყვეს იმერეთი მეფემან ვახტანგ და დადიანმან ვამიყ და ბუჯის წყლის აღმოსავლეთის კერძი დარჩა ვახტანგს, დასავლეთის კერძი დადიანს.“[2] ვახუშტისვე ცნობით ვამიყ დადიანმა დაარღვია შეთანხმება და თავისი ასული ბეჟან ღოღობერიძეს მიათხოვა. მის წინააღმდეგ ბრძოლაში 1661 წელს ვახტანგის მოკავშირეები არიან იმერეთის საკმაოდ ძლიერი თავადები, პაატა აბაშიძე, რაჭის ერისთავი პაპუნა, ლაშხიშვილი ხოსია, რომლებიც ვამიყ დადიანის მიერ იმერეთის ტახტის ხელში ჩაგდების წინააღმდეგნი არიან. იმერეთის ტახტზე თავისი შვილის, 14 წლის არჩილის გამეფებით, ვახტანგის ძალუფლება თითქმის მთელ საქართველოზე გავრცელდა.

ვფიქრობთ, იმერეთის სამეფო კარიდან საიდუმლო ცნობების მიღებასა და ცალკეულ თავადთა საგვარეულოს ქართლის მეფის მხარდასაჭერად გადმობირება-მოსყიდვაში სერიოზული წვლილი ციცი ციციშვილს უნდა მიუძღოდეს. რაზეც ნათლად და ხაზგასმით მიანიშნებს საარქივო დოკუმენტი: „ცოტა რამე საქმე მოხდა და შემოგვწყერით და იმერეთს წახველ და მანდიდამე ჩვენსა ერთგულობას ეცადე და იმერეთის დაჭერას ეცადედ, თუ ჩვენ დავიჭიროთ იმერეთი შენის საქმითა ჩვენცა ეს პირობა და საფიცარი გაგითაოთ, ასე რომე რასაც მქონებელი ამ ქვეყანას იყვე და ან მანდ ახლა მანდ მამული გაქვს ყოვლითურთ უკლებლად დაგიმტკიცოთ, ჭელშეუალად გიბოძოთ შენი სამკვიდრო მამული...”[3] როგორც ცნობილია, ვახტანგ V-მ მართლაც დაიჭირა იმერეთი და ამის შემდეგ შეუსრულებია კიდეც ციცისადმი მიცემული პირობა. ამას მოწმობს

---

[1] ფარსადან გორგიჯანიძის ისტორია, ს. კაკაბაძის გამოცემა, საისტორიო მოამბე, თბ.,1925, წიგნი II, გვ.63.

[2] ქართლის ცხოვრება, ტ. II, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. თბ., 1959, გვ.51.

[3] სცსსა, ფ.1449, საქმე 328.

ხელნაწერების ეროვნული ცენტრში დაცული შაჰნავაზის ხელრთვით გაცემული დავთრიდან, ფ.Hd საბ. 14534,[1] ამონარიდი, სადაც ციცის ნაწყალობევი მამულები კოდის პურისაგან თარხნობის პირობით მიუღია. აღნიშნული დოკუმენტი დღემდე არ ყოფილა გამოქვეყნებული და ვფიქრობთ, მისი სამეცნიერო მიმოქცევაში შემოტანა ამ მხრივაც საინტერესო იქნება. მეფის გადახდილი ასეთი დიდი „საფასური“ ნათელს ჰფენს ციცი ციციშვილის შაჰნავაზთან საიდუმლო ურთიერთობის ასპექტებს, „ აქვს: დღეს: ბრბონას: ციცის: სახასო: ყმა: კომლი: ექვსი: მისგან: ორი: კოდისპურის: თარხანია: და: საურჯ: ყველამ: უნდა: გამოიღოს: ჴალებს: კუამლი: თორმეტი: თაგნეთს: კუამლი: ოთხი: ჴალებს: თაგნეთს: და: ყრჯსის: ხევს: ომანასი: კუამლი: ხუთი: ყრჯსის: ხევს ქურდევანიძისა: ოხუნასი: კუამლი: ორი: ყრჯსის: ხევს: თუთუშიძის: ოთარასი ორიჯ, იქითვე აფრასიონისა :ორიჯ: ყრჯსის :ხევს: და სადაცა: ჰყაჯს: მამუკასი: კუამლი: ხუთი: გედიაშჯლის: დათუნასი: მიწობს: კუამლი: ხუთი: წიმოეთს: ორიჯ: იესესი: ყველგან : კუამლი ოთხი: მიწობს: ციცისა: ჩუდმეტი: მიწობს და თხილნარს: კიდევ მამუკასი: ორიჯ: როინისა: შჯლის: ყრის კუამლი ოთხი: და: ყრისის ხევს: ორიჯ: ციცისა: წიმოეთს:კუამლი: ოთხი: ციხის: თაჯ: კოდის: პურის: თარხანია: და: საურავი:უნდა: გამოიღოს: ოთხი: ადამიანისა: ყრიცის: კუამლი: ხუთი: იქით ჩავასი: კუამლი: სამი იქით: ფარემუზისა: კუამლი: ოთხი: წიმოეთს: მაზიტასი: კუამლი ორი: გუერდ:წითლის: გიორგისა: კუამლი სამი: უზნაძის: ოთანასი: ყრცის: ერთი: წრომს: სახასო: ციცისა: კუამლი: რვაა : წრომს: ალექსისა: კუამლი: შჯდი: ბოსლეთს : ციცისა: ორიჯ: ცუქითს: და მაწლეთს: კუამლი: თხუთმეტი: სწინარს [წინარეხს]:კუამლი: ერთი: გუძინეთს: კუამლი თოთხმეტი: ყელეთს: კუამლი: სახასოორიჯ: მძოვრეთს: ვაჭარჯ: ოცდა: ხუთი: დარვა: კუამლი: თორმეტი: ბატონისშჯილის: ქორაზნას: კუამლი: თორმეტი: ბუღუტაურისა: ორიჯ: იქით: მანუნიძისა: კუამლი: ორი:

[1] ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ფ. Hd საბ. 14534,

საყდრის: ყმა: ბასაძე: იქით: ერთი: კეხიჯვარს: სახასო: და: პატასი: კუამლი: ხუთი: [ყ]ჯნცჯს: პატასი: ერთი: და ბერუასი: კუამლი: ორი: [ყ]ჯნცჯს: ბანკანა: შვილი: და: ზაქარია[ს]: სახასო: კუამლი: ორიჯ: და: იმერხევს: კუამლი: ოთხი: ჭალის: უბანს: კუამლი: სამი: სანებელს: მოსაურე: სახასო: კაცი: კუამლი: ექვსი: თადულას: ყმითა: იქით: ღჯძლიმწუარა: შვილი: პატა: ხატის: ყმა: მოსაურე: ერთი: სამწევრისს: მაზმნიშვილი: კუამლი: ერთი: [ყ]ჯნცჯს: ციხისთჯს: შჯლის: ნაყმეჯ: ერთი: აფნის: კუამლი: ექვსი: იქით: მამუკასი: ორივ: აფნის: მამუკასი: ერთი: ჴვედურეთს: ერთი: აფნის: გამომღები: უფლისა: ერთი: სანებელს: როსებისა: და: პატასი: კუამლი: ოთხი: კლდუს: იესესი: ერთი: [ყ]ჯნცჯს: კოდისპურის: თარხანი: ბერუა: ერთი: აგარას: ციცისა: კუამლი: ერთი : ყელეთს: ალაისბეგის :შჯლისა: კუამლი: სამი: ლეთეთს: ბატონის: შვილისა: კუამლი: თერთმეტი: იქით: ფრანგის: შჯლის: სეხნიასი: და: გოდერძისა: კუამლი: ორი: [ყ]ჯნცჯს: საყდრის: ყმა: კუამლი: ხუთი: ჭალის: უბანს: მოღალე: მოსაურე: ლომიტა: ერთი: ჴვედურეთს: კუამლი: ოცდა: ცხრა: თრეღუს[თრეღჯს]: კუამლი: ექვსი: იქით: ჴვედურეთს: ლარაძისა: კუამლი: ორი: ღუიჯს: ხევს:კ უამლი:შუდი: ბის: კუამლი: სამი: თხილნარას: კუამლი: ოთხი: აჯნევს: ერთი: ციცისა: ატენს: კვამლი: კუამლი: ხუთი: ბარამათ: უბანს: კუამლი: ოთხი: გარდატენს: კუამლი :ორი.“ მეფისაგან აღნიშნული დიდი წყალობის მიღებას სხვა საარქივო მასალაც ადასტურებს.[1]

ირანის შაჰი სულეიმანისთვის მიუღებელი იყო ქართლის მეფის ასეთი გაძლიერება და დაუმორჩილებლობა. ვახტანგი იძულებული გახდა არჩილი იმერეთიდან გაეყვანა: „მოუწერია ყეენმან ვახტანგ მეფესა და მან წარიყვანა ძე თვის არჩილ.“[2] ადვილი შესაძლებელია განაწყენებულ შაჰს სამეფო კარის წინააღმდეგ მრავალგზის ნაცადი პოლიტიკური მანევრი გამოეყენებინა და მასთან მყოფი

---

[1] სცსსა, ფ. 1449, საქმე 328.

[2] ქართლის ცხოვრება, ტ. II. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. თბ., 1959,გვ. 203.

გამაჰმადიანებული უფლისწულის ტახტზე ასვლა დაეგეგმა. ამის საფუძველს ირანიდან ალექსი მიხეილის ძისადმი ბატონიშვილ ერეკლე პირველის წერილში დაცული ცნობაც იძლევა, „უსათუოდ ყაენთან წავალ, რომ ეგების ჩემი მისვლით...საქართველო არ წაახდინოს-ო.“[1] ჯერ კიდევ ირანის შაჰმა, სულეიმანმა ტახტზე ასვლისთანავე, (1666-1694წწ.) ვახტანგს V-ს მოსთხოვა ისფაჰანს გაეგზავნა მისთვის მძევლები. შაჰნავაზმა შაჰს აახლა უფლისწულები. მეფის ასული ანუკა ცოლად შეირთო შაჰ აბას II-მ, ალექსანდრე ბატონიშვილს კი სეფიანთა სახელმწიფოს სატახტო ქალაქის გამგებლობა ამ წელსვე მიუღია, რაც სწორედ შაჰის შორსგამიზნულ გეგმებს უნდა უკავშირდებოდეს. ამ ცნობას ადასტურებს სეხნია ჩხეიძე: „რა ისპაანს ჩავიდა მიაპყრა ყაენმა უშურველი წყალობა ალექსანდრეს, მისცა ისპაანის ტარუღობა.“[2]

კ. კუცია ალექსანდრე ბატონიშვილის ტარუღის სახელოს ათ წელზე მეტ ხანს ვარაუდობს.[3] სატახტო ქალაქის ისპაჰანის ტარუღას, ანუ ქალაქის თავის მოვალეობას ასრულებდნენ ქართველები. შაჰ აბასის მიერ შემოღებული წესის თანახმად 1618 წლიდან.[4]

ბატონიშვილმა გიორგიმ, როგორც ჩანს, კარგად გათვალა ისფაჰანის ტარუღის როლი ირანის პოლიტიკურ ცხოვრებაში. მართლაც მოულოდნელი არ იქნებოდა, მისი გამოგზავნა შაჰისგან ქართლის სამეფო ტახტის დასაკავებლად. მათი ნათესაური კავშირიდან გამომდინარე, სავარაუდოდ ახლო ურთიერთობა უნდა ჰქონოდათ დომენტი კათალიკოსის დისწულს, სარდალ ზაზა ციციშ-ვილს ალექსანდრე უფლისწულთან ჯერ კიდევ ირანში წასვლამდე,

---

[1] Переписка на иностранных языках грузинских царей с русскими государями, СПБ., 1861,стр. 90.

[2] ს. ჩხეიძე საქართველოს ცხოვრება,ზ.ჭიჭინაძის გამოცემა, თბ.,1913,გვ.83.

[3] კ. კუცია, ისპაჰანის ქართველი ტარუღები (1618-1722), მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიის საკითხები, II, თბ.,1972გვ.99.

[4] კ. კუცია, კავკასიური ელემენტი სეფიანთა ირანის პოლიტიკურ სარბიელზე, მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიის საკითხები, თბ.,1963გვ. 68.

რაც შესაძლოა გრძელდებოდა კიდეც ისფაჰანის ტარუღთან. ეს საეჭვო კავშირი ბატონიშვილ გიორგის გამეფებას სერიოზულ საფრთხეს უქმნიდა. შესაძლოა სწორედ ამიტომ გადაწყვიტა მოვლენებისთვის დაესწრო, მის გვერდით მყოფი სპარსოფილი სარდალი, ზაზა ციციშვილი მოეცილებინა თავიდან. ადვილი მისახვედრია, ირანის შაჰს არ გამოეპარებოდა ამ მკვლელობის პოლიტიკური მოტივი. ცხადია, ისპაჰანს მიმავალი მეფის მოულოდნელი სიკვდილი, მის პოლიტიკურ გეგმებს და ირანის შაჰისადმი დაუმორჩილებლობას უნდა უკავშირდებოდეს. ვახტანგის მოულოდნელი გარდაცვალება ხოშკარის ქარვასლაში, ქართველებს ისპაჰანს მყოფი ალექსანდრესთვის უცნობებიათ. კუცია იმოწმებს ფრანგი მოგზაურის, ჟან შარდენის ირანში მეორედ მოგზაურობის (1671-1677წწ.) დროინდელ ცნობას.[1] ვახუშტის შეფასებით, სამეფო კარზე პოლიტიკური გავლენით და ძლიერებით თავგასული ზაზა, შაჰნავაზ V-ეს აღარ ემორჩილებოდა, რაც გამხდარა მისი დასჯის მიზეზი.[2] ვფიქრობთ, ავტორი ტენდენციურია, მეფის სინანული შაჰის რისხვის თავიდან აცილების მცდელობა უფროა და მხოლოდ სამეფო კარის ანტისპარსული პოლიტიკური გეგმებით აიხსნება. მკვლელობის ფაქტი ბუნდოვანია ქართულ ისტორიოგრაფიაში, მოტივი კი ნათელია. ამ ისტორიული წყაროების შედარებისას შესაძლებელი ხდება შემდეგი დასკვნების გამოტანა :

1. შაჰ -სულეიმანისათვის (1666-1694წწ.) აშკარა გახდა, რომ ქართლის მეფის პოლიტიკური ზრახვები ირანის ქვეშევრდომობას ეწინააღმდეგებოდა, ამიტომ ისპაჰანის ტარუღის, ვახტანგ V-ის მემკვიდრის გამაჰმადიანებული ალექსანდრეს გამეფება ირანის შაჰის ინტერესებში შედიოდა. შაჰისთვის ცხადი იყო, მეფე და ტახტის მემკვიდრე

---

[1] კ. კუცია, ისპაჰანის ქართველი ტარუღები (1618-1722), მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიის საკითხები, II, თბ.,1972,გვ.99.

[2] ვახუშტი ბაგრატიონი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, ტ.IV, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. თბ.,1973, გვ.455.

მას აღარ ემორჩილებოდა და მათი ავტორიტეტი საშიშროებას ქმნიდა საქართველოზე ირანის გავლენის დაკარგვისა.

2.ქართლის სამეფო კარის სამომავლო გეგმებისათვის, მთავარ საშიშროებად, სპარსული ორიენტაციის ძლიერი ძალა, გავლენიანი სარდალი, ზაზა ციციშვილი მიიჩნიეს და ამიტომ საჭირო გახდა მისი თავიდან მოცილება.

3.სამეფო კარზე წინასწარ დაგეგმილ, ზაზა ციციშვილის გასაიდუმლოებულ პოლიტიკურ მკვლელობაში თვით მეფის მონაწილეობას ადასტურებს სარდლის მომხრეთა განადგურების მასშტაბები:„ როდესაც სარდალი ზაზა მოკლესო, მაშინ შანავაზ მეფემ ჩვენი ქონება აიკლო და სიგლები და მისი საპასუხო წიგნები მაშინ წაგვიხდაო...სარდალის შვილებისა წიგნები აღარ ჩნდა და ზემო ციციშვილს წიგნებიც ჰქონდა და ეს მამულიც დღეს ჴელთ ეჭირათ, ამიტომ ფიცი ამათი იყო.”[1]

საციციანოში ატეხილი შინაფეოდალური დაპირისპირებულობა მოხერხებულად გამოიყენა შაჰ-სულეიმანმა და ქვემო საციციანოზე გავლენის შენარჩუნების მიზნით გარდაცვლილი ზაზა ციციშვილის ქონება, მის ძმას - ზაალს გადასცა, რასაც ნათლად მოწმობს მის მიერ გამოცემული სპარსული ფირმანი:„ გოგჩა-დენგიზის ხსენებული ადგილებისა, რომლებიც თიულად, ინამად და ჰამასალად ჰყავდნენ დამტკიცე ბული ღულამ პაპუნა-ბეგ ციციშვილის შვილს ზაზა-ბეგს.[ის] გარდაიცვალა... თიულად და ჰამასალად დაუმტკიცდა ზაალ-ბეგ ქართველს ამ წლების წილის მიხედვით...8 თუმანი 6404 დინარი სოფელი ჰასანქენდი, სოფელი ქარმუჯი...7 თუმანი 8450 დინარი.”[2]

---

[1] ქართული სამართლის ძეგლები, ტ .IV, სასამართლო განჩინებანი (XVI-XVIII სს.), ტექსტი გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ი. დოლიძემ, თბ., 1972, გვ.206. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი ფ.Sd,ს.647.

[2] სპარსული ისტორიული საბუთები საქართველოს წიგნთსაცავებში, ტექსტები დაადგინა, თარგმანი და შენიშვნები დაურთო ვლ. ფუთურიძემ, წიგნი 1, ნაკვეთი I2 ; თბ., 1962, გვ.44-45, 70-71, 74-75.

ამრიგად, საციციანოსთან სამეფო კარის მკვეთრი დაპირისპირების მიუხედავად, ვფიქრობთ იმერეთის შემოერთების სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის პოლიტიკურ პროცესებშიც ციციშვილებს აქტიური მონაწილეობა და განსაკუთრებული დამსახურება უნდა მიუძღოდეს. როგორც ჩანს, შედეგმაც არ დააყოვნა, ქართული და სპარსული წყაროები თითქმის იდენტურია და ერთხმად მიუთითებენ ქართლის სამეფო კარზე დაწინაურებული ციცი ციციშვილის აქტიურ მოღვაწეობაზე.[1] მეფე გიორგი თავად იცავს მას სახლისკაცთა მტრობისაგან: „მაშინ ციცი წამოვიდა ტფილისს აბანოდ და დახუდენ იშიშუტრუქის ჯიდს ზეით ფარსადან, პაატა, ვახტანგ, ნოდარ და ამილღაბარ ძმანი, მოჰკლეს ციცი და ივლტოდემ მამულსა თჳისსა. განრისხებული მეფე მიუჴდათ, არამედ გაესწრნენ იგინი. ხოლო აზნაურნი, შემზრახნი მათ თანა მოსწყჴდნა და მისცნა მამულნი ციცის, ძესავე ციცისასა.”[2] მალე ცნობილი გახდა, რომ: „ ქუეგანმხედელ ექმნა გიორგი მეფესა ციცი ციციშვილი და აცნობებდა ყოველსავე ნაზარალიხანს, რამეთუ ლოპინა მის თანა. ამისთჳს შეიპყრა გიორგი მეფემან ციცი, მოაშთო იგი და მისცა საციციანო ფარსადანს ნოდარის ძეს.”[3]

გიორგი მეფის სწაფვას ქვეყნის დამოუკიდებლობისაკენ, ხელს უშლიდა იმდროინდელი არახელსაყრელი საშინაო და საგარეო პირობები, რასაც მოჰყვა შინაფეოდალური ბრძოლები და ანარქია, ამას დაემატა ირანის შაჰის მომხრე ქართლის თავადების, მათ შორის ციციშვილთა აწიოკება, დასჯა, იძულებით გაერთიანება.

---

[1] ქართული სამართლის ძეგლები, ტ. IV, ტექსტი გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ი. დოლიძემ, თბ., 1972, გვ 132, 134; ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ფ. Hd, საქმე 801; ქართულ-სპარსული ისტორიული საბუთები, ტექსტები დაადგინა, თარგმანი და შენიშვნები დაურთო ვლ. ფუთურიძემ. თბ., 1955 , გვ.112.

[2] ვახუშტი ბაგრატიონი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება IV, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. თბ.,1973, გვ.458.

[3] იქვე, გვ. 470.

„ორიანობის“ ხანაში,[1] ქაიხოსრო ციციშვილი ერეკლე ნაზარალი-ხანის (1688-1703წწ.) აქტიური მხარდამჭერია. სახლისკაცთა შორის ბრძოლაში გამარჯვება საბოლოოდ მას დარჩა: „მეორე დღეს წარმოავლინეს ქაიხოსრო ლოპინა სპითა. ამან გარდმოვლო მთა თორისა გუჯარეთსა ზედა და დადგა გვეძინეთს. ამისმან მცნობელმან მეფემან გიორგი წარავლინა ფარსადან ციციშვილი და ზურაბ ერისთვისშვილი. არამედ ვერარად ავნეს ქაიხოსროს და დაიპყრა საციციანო მან.”[2] გიორგი მეფეს მაინც მოუხერხებია ქაიხოსრო ციციშვილის გადმობირება, რასაც 1680 წლის გიორგი მეფის ჯამაგირის ბრძანება ადასტურებს:„....განსვენებული მამაჩემის წესისამებრ, ვუბოძეთ ქაიხოსრო-ბეგ ციციშვილს ჯამა-გირი 4 თავრიზის თუმნის სახით. გავხადეთ რა მუდმივი [სარგო მისთვის], მაღალი გამგებლის მუსტოფიებმა დაწერილის თანახმად შეიტანონ [სააღრიცხვო] დავთარში და მსგავსი წესისამებრ წლიდან წლამდის გაიღონ თანხა და ყოველწლიურად აღარ მოითხოვონ ახალი ბრძანება. [3]

ამდენად, ანტიირანულ, უკომპრომისო განმათავისუფლებელი ბრძოლის მხარდამჭერი ზემო საციციანოსა და ირანთან კომპრო-მისული პოლიტიკის ერთგული, ქვემო საციციანოს ხანგრძლივი ბრძოლები, მართალია აფერხებდა ქვეყნისა და სათავადოს სოციალურ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ განვითარებას, მაგრამ ერთმანეთს პოზიტიურად ავსებდა ქართული სახელმწი-ფოებრიობის შენარჩუნების თვალსაზრისით.

---

[1] ქართულ-სპარსული ისტორიული საბუთები, ვლ.ფუთურიძე, ტექსტები დაადგინა, თარგმანი და შენიშვნები დაურთო ვ. ფუთურიძემ. თბ., 1955, გვ. 67, 355, 462.

[2] ვახუშტი ბაგრატიონი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, ტ. IV. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. თბ.,1973, გვ.473.

[3] მ. ხუბუა, საქართველოს მუზეუმის სპარსული ფირმანები და ჰოქმები, თბ.1949, დოკ.#11, გვ.22.

3. ვახუშტი ბატონიშვილი საციციანოს შესახებ

XVIII საუკუნის გამოჩენილი მეცნიერი და სახელმწიფო მოღვაწე ვახუშტი ბაგრატიონი, საყურადღებო ცნობებს გვაწვდის საციციანოს ისტორიისა და ისტორიული გეოგრაფიის საკითხებზე. მისი ნაშრომი „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ მეტად ფასეულია ჩვენი საკვლევი თემისათვის. ასევე მნიშვნელოვანია ვახუშტი ბატონიშვილის 1735-1745 წლებში შედგენილი გეოგრაფიული ატლასები,[1] რომლებიც გვეხმარება საციციანოს საზღვრებისა და სოფლების დასადგენად. მის მეცნიერულ შრომებს დღესაც არ დაუკარგავთ მნიშვნელობა. იუნესკომ ვახუშტი ბაგრატიონის ეს ნაშრომი და გეოგრაფიული ატლასი მსოფლიო მემკვიდრეობის საერთაშორისო რეესტრში შეიტანა.

ვახუშტი ბატონიშვილი საციციანოს საზღვრების აღწერას იწყებს „ხვედურეთ ზეით, დამჩხერალომდე ... დასავლით გორიჯვრისა არს ჴევი სკრისა, და მიერთვის სამჴრიდამ მტკვარს...ხვედურეთის დასავლეთით არს მონასტერი ყინცვისს წმიდის ნიკოლოზისა... ამის სამჴრით, მთასა შინა, არს სარკეს მონასტერი...და აწ უქმი. ყინცვისის დასავლით არს ძამის ჴეობა. გამოსდის თორის მთასა...“[2] ამის შემდეგ მეცნიერული სიზუსტით აღწერს „თორისა და აწ. გუჯარეთის“ მხარეს: „ხოლო ჭვარების დასავლით და მძოვრეთის სამჴრით არს მდინარე და ჴეობა თორისა, რომელი გამოსდის ჭვარებსა... მიდის დასავლით, მერმე მომგრგუალდების ჩრდილოთ სადგერს ზეით და მიერთვის მტკუარს სამჴრიდამ, და აწ განყოფილი არს სადგერად და გუჯარეთად.“[3] მიანიშნებს გუჯარეთიდან საციციანოში გამავალი სტრატეგიული გზის შესახებ, „ძამის ხევს გვეძინეთის დასავლით

---

[1] სცსსა, ვახუშტის გეოგრაფიული ატლასი (ავტოგრაფი), ფ.1446, ანაწ.1, საქმე 105.

[2] ვახუშტი ბაგრატიონი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, ტ. IV, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1973,გვ.344.

[3] იქვე, გვ.346.

მოერთვის ჯევი აბუხალოსი.“ ამრიგად, ვახუშტი ბატონიშვილი საციციანოში აერთიანებდა: ხვედურეთის ხეობას, ძამის ხევს, გვერდისძირსა და გუჯარეთს, ე.ი ზემო საციციანოს. ვახუშტი ბაგრატიონი საციციანოში შემდეგ სოფლებს ჩამოთვლის: ხვედურეთის ხეობაში -ღვლევი, დრისი, აფნისი, ლეთეთი, ხვედურეთი, თრეხვი; ძამის ხევში -ქარელი, კლდუ, გომი, სამწევ-რისი, აგარა, ყინცვისი, ციხია, ქორაზანი, სანებელი, წივწივა, იმერხევი, ძამის მონასტერი, მძოვრეთი, გვერძინეთი, ქვათეთრისი, სხლები, მუხალეთი, ოსი(ოსთუბანი), კრკონი; გვერდისძირში-ყელეთი, სოინარი, ცუქეთი, ბოსლები, წრომი, მიწობი, წვიმეთი, კრისის ხევი, ხალები, ჯცისი, თხილოვნა, მშვლის-ყური, თაგოეთი, ბრბონა, ღართა, დამჩხერლო; გუჯარეთის ხეობაში -ბაგინეთი, გულსუნდა, გუჯარეთი, ედოთი, კუწათუბანი, ჩრდილისუბანი, სხალნარი, მომწვარა, სარბიელა, გომარეთი, წყაროსუბანი, მიტარბი, მეკოჟური, რუისი, ლელისუბანი, ღინტური.[1] ქვემო საციციანოს არ თვლიდა სათავადოდ. მის საზღვრებში არ მოიხსენიებდა ქვემო საციციანოს თემებს ნიჩბისის, კავთისხევის, თეძმის და ტანას ხეობას. ამ ხეობათა სოფლები, რომლებიც ვახუშტის მოსაზრებით საციცი-ანოს გარეთ მდებარეობდნენ, მეცნიერს სათანადო ხეობებში აქვს დასახელებული. ისტორიკოსის დუმილი მამის, ვახტანგ VI-ის პოლიტიკის მხარდაჭერაზე მიანიშნებს და, ბუნებრივია იწვევს ლოგიკურ კითხვას, რით იყო მნიშვნელოვანი სამეფო კარისთვის ქვემო საციციანო, შეეძლო თუ არა გავლენა მოეხდინა ცენტრალური ხელისუფლების სიძლიერესა და ქვეყნის ეკონომიკურ და პოლიტი-კურ მდგომარეობაზე. ამ მიზეზების კვლევამდე თავდაპირველად განვიხილოთ ქვემო საციციანოს ზოგიერთი ისტორიულ-გეოგრაფი-ული საკითხი, რათა გავარკვიოთ რამდენად სტრატეგიული მდება-რეობა ეკავა და მნიშვნელოვანი იყო სამეფო კარისათვის. ცნობილია, რომ სათავადოს გავლენას სამეფო კარზე განსაზღვრავდა არა მარტო

[1] სცსსა, ვახუშტის გეოგრაფიული ატლასი (ავტოგრაფი), ფ.1446, ანაწ.1, საქმე 105, გვ. 11-13.

ქონებრივი მდგომარეობა, ყმა-მამულთა სიმრავლე, გზები, ციხე-სიმაგრეები, არამედ სტრატეგიული მდებარეობაც.

ნიჩბისს ციციშვილები ჯერ კიდევ 1615 წლიდან[1] იღებენ სამკვიდრო მამულად. ხოლო XVII საუკუნის მეორე ნახევრის დოკუმენტებით ქვემო საციციანოს სარეზიდენციაო მამულია, რაზეც საინტერესო ცნობა შემოგვინახა 1671 წლის დომენტი კათალიკოზის სიგელმა."[2] ხოლო XVIII საუკუნის დამდეგს, ციციშვილთა გაყრის დოკუმენტებით,[3] ნიჩბისს კვლავ ციციშვილები ფლობდნენ.

ნიჩბისზე გადიოდა მნიშვნელოვანი გზები, რომლებიც შიდა ქართლს თრიალეთთან აკავშირებდა. ნიჩბისის ხევი სათავეს თრიალეთის ქედის ჩრდილო კალთებიდან იღებს და მტკვარს უერთდება. ნიჩბისის ხევს კვეთდა სატრანზიტო მაგისტრალი, რომლითაც მცხეთა უკავშირდებოდა მტკვრის მარჯვენა სანაპიროს. „ნიჩბისის ხევს რამდენიმე გზა მიუყვებოდა: 1.თრიალეთის ქედზე, 2.ქვათახევის მონასტრისაკენ და 3.ნიჩბურას სათავეებისაკენ, თრიალეთიდან...გადადიოდა ვერეს ხეობის სოფ. ღვევში."[4] ნიჩბისის ხევის მნიშვნელობას ხაზგასმით აღნიშნავს ვახუშტი, „ამ ნიჩბისის-წყლის შესართავზედ, მტკუარზედ, არს კოწახურას ფონი, მუხრანს გამსვლელი...ნიჩბისის დასავლით ჴევი კავთისა, გამოსდის დიდგორს, დის ჩრდილოთ, ერთვის მტკვარს სამჴრიდამ...კავთას ქვეით ერთვის ამავ ჴევს გუდარეხისა."[5] დიდგორის სტრატეგიულ მნიშვნელობაზე ხაზგასმით მიუთითებს ისტორიკოსი დ.

---

[1] ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ფ. Ad, საბ.1410.

[2] ნ.ბერძენიშვილი, გზები რუსთაველის ეპოქის საქართველოში, თბ., 1966 გვ.569.

[3] ქართული სამართლის ძეგლები, ტ. IV, სასამართლო განჩინებანი (XVI-XVIII სს.),ტექსტი გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ი. დოლიძემ, თბ.,1972,გვ.313, 634.

[4] ჯ. გვასალია, აღმოსავლეთ საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ნარკვევები (შიდა ქართლი), თბ.,1983, გვ.123.

[5] ვ.ბაგრატიონი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება ტ. IV, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1973, გვ.340.

მუსხელიშვილი: „დიდგორიდან იღებენ სათავეს ვერის ხეობა, ნიჩბისის ხეობა, ხეკორძულას ხეობა და კავთურას წყალი. აქ იყრის თავს ამ ხეობებიდან ამომავალი გზები და ამდენადვე დიდგორი ფრიად მნიშვნელოვან გზასაყარს წარმოადგენდა და სტრატეგიულად ამ მხრივაც დიდად მნიშვნელოვანი ადგილია.[1] ნიჩბისის მოსახლეობის გულის მოგების მიზნით, მეფე ვახტანგ მეექვსეს გაუთარხნებია ციციშვილთა ყმანი საგანგებო ოქმით: „საციციანოს მებალახენო, მერმე ნიჩფის სარდლისშვილების ყმანი თარხანია და სითარხნის წიგნიც აქვს და, როგორც იმ წიგნში ეწეროს, ისრე გვითარხნებია-ო“.[2]

დიდგორის ქედი გვიანფეოდალურ ხანაში წარმოადგენდა ორი სადროშოს საზღვარს „ამის ჩრდილოთ კერძი მეოთხე სადროშოსი, ხოლო სამჴრით კერძი ამის სადროშო (ე.ი.პირველი)“. ცნობილი ისტორიკოსი მეცნიერული სიზუსტით აღწერს მეფის სადროშოსთან ქართლ-კახეთის საზღვრს: თუმცა ვახუშტი არსად მოიხსენიებს ამ საზღვრის პირას, მეოთხე სადროშოში ქვემო საციციანოს. ამის შესახებ დამატებით ცნობას არც დასტურლამალი იძლევა, ეს მიგვანიშნებს, რომ იგი საკათალიკოსო მამულია.

ღვთაების გუჯარი (1722 წლის) მოწმობს, რომ ეს საზღვარი პოლიტიკური სიტუაციის გართულების შედეგად არის შეცვლილი და, რომ ძველად ასე არ ყოფილა:„ ლილონი გლდანი და ჯაჭვნი ანგარებით და მძლავრობით მიეტაცათ ქართლის კათალიკოზთა და თბილელთა ... რაოდენ ესე ეკლესია აღუმართებიათ მეფეთა, მასვე ჟამსა ესე სამწყსონი ღმრთაებისა საყდრისა არს და ვინცა შიში

[1] დ.მუსხელიშვილი, “მთა ქართლის“ ისტორიულ-გეოგრაფიული შესწავლისათვის, წიგნში: სამეცნიერო სტატიები, წერილები და პუბლიცისტიკა, თბ., 2014,გვ.163.

[2] დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან ბატონყმური ურთიერთობა (XV-XVIIIსს), ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, I, თბ.,1940, გვ.124, დოკ.#171.

ღმრთისა გქონან, კუალად ამასვე აგენით თვისნი სამწყსონი.“[1]

თეძმის ხეობაში, ციციშვილების მნიშვნელოვანი სოფლებიდან, სტრატეგიულობით გამოირჩევიან სოფლები-კლიკიჯვარი და სახორცე. სახორცედან გზა გადადიოდა გუჯარეთში, არჯევანის მთის გადავლით გზა მიემართებოდა წალკაში. კლიკიჯვრიდან გზა ჩადიოდა ატენის ხეობის ორმოცასთან, საიდანაც გზა მიდიოდა წალკისაკენ. ორმოცადან, ბოშურის და ზემო ბოშურის გავლით გადადიოდა ძამის ხეობაში. ვახუშტის აღწერით: „მდინარე თეძმისა გამოდის ჭვარებსა და თორს საშუალს მთასა... მერე დის ჩრდილოთკენ და მიერთვის მტკვარს სამხრიდამ.“[2] ჯერ კიდევ შუა საუკუნეებში, თრიალეთ-მანგლისიდან შიდა ქართლში თეძმის ხეობით მომავალი გზების ისტორიულ მნიშვნელობას საგანგებოდ აფასებდა ცნობილი ისტორიკოსი ნ. ბერძენიშვილი.[3] ამ ხეობით მომავალი სტრატეგიული გზების შესახებ მეფის საგანგებო განკარგულებაც მრავლისმთქმელია. თეძმის ხეობით მომავალი გზების შენახვას ვახტანგ VI საჯავახიანოს ავალებს და არა ციციშვილებს: „უნდა შეინახონ საჯავახიანომ მელესის და თავიანთ გზა“.[4] ე.ი. თეძამი აღარ არის ციციშვილების. ეს უაღესად მნიშვნელოვანი ცნობაა, თუ გავითვალისწინებთ, რომ დასტურლამალი 1707-1709 წლებშია შედგენილი, გამოდის ციციშვილებს ამ პერიოდში უკვე დაკარგული აქვთ ქვემო საციციანო. ჩვენს მიერ მოკვლეული საარქივო მასალა ადასტურებს, რომ ზემო საციციანოს მნიშვნელოვანი ყმა-მამულები

---

[1] ქართული სამართლის ძეგლები, ტ. II, საერო საკანონმდებლო ძეგლები (X-XIXსს.), ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ი. დოლიძემ, თბ.,1966, გვ.364.

[2] ვახუშტი ბაგრატიონი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, ტ. IV, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1973, გვ.341.

[3] ნ. ბერძენიშვილი, გზები რუსთაველის ეპოქის საქართველოში, თბ.,1966 გვ.49.

[4] ქართული სამართლის ძეგლები, ტ. II საერო საკანონმდებლო ძეგლები, (X-XIXსს.),თბ.,1966, გვ. 532.

და ციხე-სიმაგრეები მეფის სახასო საკუთრება გამხდარა. 1712 წლის ყმა-მამულის წყალობის წიგნით მეფე ვახტანგ მეექვსე ერთგულებით გამორჩეულ, გიორგი ალექსიშვილს აძლევს ციციშვილების კუთ-ვნილ წედისის ციხეს და ყმა-მამულს სოფლებში: „საქართველოს მპყრობელმან ვახტანგ და თანამეცხედრემან დედოფალმან რუსუდან, პირმშომან და სასურველმან ძემან ჩუენმან პატრონმან ბაქარ ....შეგიწყალეთ და გიბოძეთ თქუენ ჩუენს ერდგულს..თავდადებით ერთგულად ნამსახურსა, აზნაურიშვილს ალექსიშვილს გიორგის შვილსა შენსა...და მომავალთასახლისასა თქუენისა...მას ჟამსა ოდეს მამულის წყალობას გუაჯენით ჯსმინეთ აჯა და მოხსენება თქუენი და გიბოძეთ წედის ბარამაშვილი ბერუა დღეს რისაც მქონებელი იყოს, გრაკალს ზურაბა სომეხი, იქივ გრაკალს ტატიაშვილი პაპა თავის შვილებითა დღეს რისაც მამულის მქონებელი იყოს და აწ სახლობდეს ეს სამი კომლი გლეხი მათის მთითა და ბარითა წყლითა და წისქვილითა...საყდრითა, სასაფლაოთი, სახნავითა და სათიბითა გზითა შესავალ გასავალითა...კიდევ შენთვის სასახელოდ საყდარი და ციხე წედისის გალავნის შიგნით, რაც ნატამალი აქვს იმიანად გვიბოძებია..“[1]

ვახუშტი ბატონიშვილი 1721 წელს მეწინავე სადროშოს სარ-დალია. როგორც სარდალს, მეფისაგან დაევალა ამ სადროშოს ტერიტორიის, დასახლებული პუნქტების და მოსახლეობის აღწერა. დასტურლამალში ამილახორის გარიგების მიხედვით, ამილახვრებ-საც შენარჩუნებული აქვთ სარდლობა და დავალებული აქვთ ამირახორის გარიგებაში (კარი 63)„როდესაც თემი აიწერებოდეს ერთის ჩვენის კარის მდივნითა, თქვენს სასარდლოს თქვენ ასწერდეთ.“[2] ზემო საციციანოს სარდლად მეფე ციციშვილებს არ მოიხსენიებს: „საციციანოს მხარეს, სადგერს აქეთ, ბატონის დროშისა

---

[1] სცსსა, 1449, ანაწ,1 საქმე 814

[2] ქართული სამართლის ძეგლები, ტექსტები გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევები, ლექსიკონები და საძიებლები დაურთო ი. სურგულაძემ თბ., 1970, გვ.698.

არის, ვისაც ბატონი უბრძანებს, ის წავა და ერთი მეფის მდივანი წაჰყვება."[1] კიდევ უფრო საინტერესოა, ცნობა იმის შესახებ რომ არა მარტო თეძმის ხეობით მომავალი გზების დაცვას აღარ ანდობს ციციშვილებს, არამედ ატენის ხეობის მოურაობაც დაუკარგავთ. ხეობა გომარეთით, თრიალეთზე გადასასვლელი იყო და იმავდროულად მთავარი სავაჭრო მაგისტრალური გზაც. თრიალეთიდან ტანას ხეობაში და აქედან გადმოსვლა შიდა ქართლის ცენტრში ყველაზე მარჯვე და მოხერეხებული გზა იყო. სწორედ ქართლის სამეფოსათვის ასეთი სტრატეგიული მნიშვნელობის გამო გადაეცათ ატენის ხეობა სამოურაოდ ციციშვილებს, ჯერ კიდევ XV საუკუნის დასაწყისიდან. ვითარება კი რადიკალურად შეცვლილია, ციციშვილებს გავლენა ხეობაზე სრულიად დაუკარგავთ. დასტურლამალის მიხედვით, ატენის მოურავი-ამირეჯიბი ქაიხოსროა: „ამირეჯიბ ქაიხოსრო... ატენის ხევზედ სამართალს იქმოდე,... ჩვენს სარგოს ჩვენთვის მოაბარებდეს. ამ ატენის ხევზედ, რაც ციციშვილისა, ან სააკაძე, გლურჯიძის ყმა სახლობს, ყუელაყას ხევისთავი ეს არის და როგორც დაგვიწერია, იმგვარად იხევისთავოს.[2] იგი იმავდროულად ყულარაღასია. მისი ჯამაგირი თორმეტი თუმანი ყოფილა. ტანას ხეობის გზა ბართლომის გზად მოიხსენიება დასტურლამალაში.[3]

დასტურლამალით განსაზღვრული იყო, როგორც მეფის ხელისუფლების, ისე მმართველობის ცენტრალური და ადგილობრივი ორგანოების ფუნქციები, ქვეყნის სასამართლო ორგანიზაცია, საპოლიციო აპარატი, საფინანსო ორგანოების მოხელეები და მათი საქმიანობანი, სადაც ციციშვილები არსად მოიხსენებიან. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ სამეფო მოურავები მეფის სახლთუხუცესს

---

[1] ქართული სამართლის ძეგლები,ტექსტები გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევები, ლექსიკონები და საძიებლები დაურთო ი. სურგულაძემ თბ.,1970, გვ.698. გვ.515.

[2] იქვე, გვ.603.

[3] იქვე, გვ. 484, 532.

ემორჩილებოდნენ, ადგილზე ასრულებდნენ მეფის განკარგულებას, ახორციელებდნენ სამართალს თავისი კომპეტენციის ფარგლებში, უძღვებოდნენ მეურნეობას, ეწეოდნენ მოსახლეობაზე ადმინისტრაციულ მეთვალყურეობას და სხვ. სამეფო კარისათვის მიუღებელ ციციშვილებს ცხადია აღარ ანდობდნენ ამ სტრატეგიული გზების კონტროლს.

რაც შეეხება თრიალეთის სოფელ რეხას, ციციშვილების სამკვიდრო მამულს, აღმოსავლეთ საქართველოს სტრატეგიულ გზაჯვარედინზე მდებარეობით გამოირჩეოდა, აქედან მიემართებოდა გზები:

1.რეხა- ხანდო- მჟავეწყალი- გუჯარეთი- ოდეთი -ღთისმშობელი-გვერდისუბანი-წინუბანი-მაჭარწყალი--კიმოთესუბანი-წაღვერი.

2.რეხა- კუსირეთი- ჯამჯამა- თხინალა- ორმოძალა- იმერხევი ზღუდერი- კეხიჯვარი- ქარელი.

3.რეხა- ავრალო- გუმბათი- წინწყარო- ბეშთაშენი - კლდეკარი- საჯასახორცე- კლიკიჯვარი.

თრიალეთი მანგლისის მხარესთან ერთად მთელი აღმოსავლეთ საქართველოს გზასაყარი იყო, რასაც ეკონომიკური და პოლიტიკური მნიშვნელობა ჰქონდა არა მარტო საციციანოსთვის, არამედ მთელი ქვეყნისათვის. აქედან გამომდინარე, გასაგები ხდება ის წინააღმდეგობრივი ბრძოლები, რაც, ერთის მხრივ, ჰქონდათ ციციშვილებს თრიალეთის სოფლების ხელში ჩაგდებისათვის, მეორე მხრივ, სამეფო კარის მცდელობას, არ დაეშვათ საციციანოს შემდგომი გაძლიერება, თავად დაპატრონებოდნენ ამ სტრატეგიულ გზებს.

მართლაც, ქვემო ქართლის მკვლევარ ი. ლორთქიფანიძის ცნობით თრიალეთის სოფელი რეხა, ბატონიშვილ ბაქარის სახასო მამულადაა მოხსენიებული.[1] მაშინ როცა ბაქარს აქ ჰყავდა 7 კომლი, ციციშვილ ედიშერს - 12, ციციშვილ, ზაზას -7, ციციშვილ პაპუნაშ-

[1] ი.ლორთქიფანიძე, ქვემო ქართლი, XVIII საუკუნის პირველ მეოთხედში, III-IV ნაწ. თბ.,1938, გვ.121.

ვილ ზაზას-5; [1]

ამრიგად, სამეფო კარმა შეძლო თრიალეთში გადასასვლელი გზების კონტროლი სამეფო ოჯახს და მათ ერთგულთ ჰქონოდათ. ჩანს, იმდენად დიდი მნიშვნელოვანი იყო მათთვის, რომ 1731 წელს რუსეთში წასული ბაქარ ბატონიშვილი, წყალობის წიგნით თრიალეთის სოფელ თეზს უბოძებს მელქისედეკ კავკასიძეს: „..ჟამსა ვითარებისაგან რუსეთს წავედით ...მელქისედეკ თან გვიახელ... დიდად ერთგულად გვმსახურეთ. ..სანუფქოდ ...გიბოძეთ თრიალეთ-ზედ ჩვენის სახასოს თეზის მოვრაობა“.[2] აღნიშნულ სოფელს, 1721 წლის აღწერით ბატონის რძლის სოფლად მოიხსენიებდა ვახუშტი ბატონიშვილი.

ბუნებრივია, ჩნდება კითხვა, რა ძალების მხარდაჭერით სარგებლობდა სამეფო კარი ასეთი რადიკალური ნაბიჯების გადასადგმელად და რამდენად სწორად იყო გათვლილი მოსალოდნელი შედეგები, განმათავისუფლებელი ბრძოლის დაწყების წინ ქვეყანაში ასეთი შინადაპირისპირება. დაქვეითების გზაზე მყოფი ირანის პოლიტიკური მდგომარეობა და შაჰის კარის მაღალ თანამდებობზე გამაჰმადიანებული ქართველების დაწინაურება, მათ შორის ციციშვილების, ქართლის მეფის მაღალი თანამდებობა და ავტორიტეტი ხელსაყრელ მომენტად იქნა მიჩნეული ჯანიშინის მიერ, რათა დაუყოვნებლივ შეეტია ირანის შაჰის მხარდაჭერის გარეშე დარჩენილი გაძლიერებული სათავადოებისა და საერისთავოების დასამორჩილებლად.

---

[1] ე.თაყაიშვილი, მასალანი საქართველოს სტატისტიკურის აღწერილობისა მეთვრამეტე საუკუნეში, გამოცემული ექვთიმე თაყაიშვილის რედაქტორობით, ქართველთა შორის წერა კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამოცემა, თბ.,1907, 29-31.

[2] ქრონიკები და სხვა მასალა საქარველოს ისტორიისა და მწერლობისა. შევსებული, ქრონოლოგიურად, დაწყობილი და ახსნილია თ. ჟორდანიას მიერ, წიგნი მესამე, გამოსაცემად მოამზადეს გ. ჟორდანიამ და შ. ხანთაძემ, თბ., 1967.

გადამწყვეტ შეტევამდე სამეფო კარმა განახორციელა მნიშვნელოვანი ღონისძიებანი:

1.სათავადო სახლის ორგანიზაციის საკითხების მოწესრიგება, მიმართული იყო არა მარტო სათავადოს წინამძღოლთა თვითნებობის აღსაკვეთათ, არამედ ამით მხარდაჭერას უცხადებდა საგვარეულოს დანარჩენ წევრებს. „...საუმცროსოს აღება არავისგან იქნება, არც ჩვენს დროში და არც შემდგომათ ჩვენსა“ უდავოდ ეს იყო თავადიშვილების გადაბირების მცდელობა და გათვლილი იყო „მცველთა ჯარის“ სარეზერვო წყაროდ.

2.„მცველთა ჯარი“ სახელმწიფო ხაზინიდან ფინანსდებოდა, ჰქონდათ გარკვეული პრივილეგიები და სწორედ მეფის ერთგულებით გამორჩეული თავადიშვილების, აზნაურიშვილების და მსახურებისაგან შედგებოდა.

3.ასევე გატარებული იქნა მნიშვნელოვანი ღონისძიება “მყრელობა“, რომელიც სამეფო კარისგან მიმდინარეობდა მიზანმიმართულად. მეფის მხარდაჭერით გახიზნული მოსახლეობის ჩამოსახლება ძირითადად მეოთხე და მეწინავე სადროშოს, თრიალეთის გაუკაცრიელებულ სოფლებში ხდებოდა, რასაც მხოლოდ ეკონომიკური და პოლიტიკური მიზნები ჰქონდა. საყაფლანიშვილოს გაზრდილ სამფლობელოებში „მყრელობით“ შესაძლებელი იყო არა მარტო შეევსოთ „მცველთა ჯარი“, არამედ გაეზარდათ მეწინავე სადროშოს ლაშქარი რაოდენობრივად და თვისობრივად. მეფის ძირითადი დასაყრდენი ძალა კათალიკოს პატრიარქი დომენტი და ძლიერი სასულიერო ხელისუფლება გახდა. მეფესთან შეთანხმებით კათალიკოს პატრიარქმა, 1707-1709 წელს შაჰის ხელისუფლებისგან „მისრულსა კათალიკოზს პატივ-სცა ყეენმან და მისცნა ყოველნი მამულნი თჳსნი ...მერმე შთავიდა კათალიკოზი კახეთს, იმამ-ყული ხანისა თანა და აუფლეს მამულსა თჳსსა და იყოფებოდა მოსრული მცხეთას.“[1]

---

[1] ვ. ბაგრატიონი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება ტ. IV, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1973, გვ.483,487

შაჰ-სულთან ჰუსეინი ქართლისა და კახეთის ვალებს მოუწოდებდა ამიერიდან დომენტი კათალიკოსის იქნებოდა:„ ეკლესიისათვის შეწირული მამულები, მართვის საქმეში საქართველოს წესჩვეულების თანახმად, მისი კუთვნილი იქნება, მას დაანებონ და არ დაუშვან, რომ ვინმემ არევ-დარევა შეიტანოს მის საქმეებში“.[1] სპარსულ ტექსტში შემთხვევით არ გვგონია მინიშნებული წარწერა: „უმაღლესი ზეპირი ბრძანების თანახმად“, რითაც დაპირისპირებული მხარეებისადმი მხარდაჭერას გამოხატავდა. ბუნებრივად იბადება კითხვა, მაინც რითი აიხსნება შაჰის ასეთი „მზრუნველობა“ კათალიკოსისა და ქართული ეკლესიის გაძლიერებაზე. ასეთი „კეთილგანწყობის“ გამოხატვით ფიქრობდა, ერთის მხრივ, მომთაბარე ავღანთა წინააღმდეგ მებრძოლი გამაჰმადიანებული ქართველი მეფეების გულის მოგებას, მეორე მხრივ, ქვეყნის შიგნით სამეფო კარის მოწინააღმდეგეთა დასის დაპირისპირების გაძლიერებას. ეროვნული გათიშულობა კი ირანის სამეფო კარისათვის ყოველმხრივ ხელსაყრელი იყო. მართლაც, ქვეყნის მმართველობაში აქტიურად ჩაბმულმა გაძლიერებულმა სასულიერო ხელისუფლებამ საციციანოსაგან ამ გზით ადვილად დაიბრუნა არა მარტო საეკლესიო მიწები, არამედ XV-XVII საუკუნეებში მეფეთა მიერ ნაწყალობევი სოფლები. სწორედ ამ დროს დადგა ქვემო საციციანოს ფაქტიურად გაუქმების საკითხი, რაც კარგად იქნა შენიღბული.

რაც შეეხება საკითხს, ქვემო საციციანოს სოფლები როგორ აღმოჩნდა საკათალიკოსო მამულების ჩამონათვალში, ამაზე ვახუშტი ბატონიშვილი თავის ფუნდამენტულ გამოკვლევაში „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“, მხოლოდ ფრაგმენტული აღწერით შემოიფარგლება. ნიჩბისის ხევს მცხეთის აღწერაში ათავსებს და ჩამოთვლის მცხეთის სოფლებს: შინდისი, მუხადგვერდი, კარსანი, მცხეთა, კოდმანი, არმაზი, ციხედიდი, ძეგვი, ხეკორდი, სასხორი, თუმცა ეს

---

[1] სპარსული ისტორიული საბუთები საქართველოს წიგნსაცავებში, I3 თბ., 1965, გვ.88.

უკანასკნელი ნიჩბისის ხევის სოფელია, ამას მოსდევს ნიჩბისის სოფლების ცალკე ჩამონათვალი: ნიჩბისი, ოჯერა, თელათ გორი, გომიჯვარი, ლავრა. ეს არ არის საკათალიკოსო მამულების სრული ჩამონათვალი.

აღნიშნული სოფლები რომ საკათალიკოსო მამულებია, ამას ნათლად ადასტურებს დომენტი კათალიკოსისაგან ამ სოფლების მაღალაძეთათვის და სხვა ეპისკოპოსთათვის ბოძებული მოურაობის წყალობის წიგნები. მაღალაძეებმა ჯერ კიდევ ზაზა და ზაალ ციციშვილების დახმარებით, მათი ბიძის (დედის ძმის), ქართლის კათალიკოზ დომენტისაგან 1671 წელს მიიღეს მცხეთის სახლთუ-ხუცესის სახელო.[1] 1709 წელს ამ სახელოს მფლობელი ამილბარ მაღალაძეა და მისი პირველი წყალობა „ ლურჯსაყდრის ნასოფლარის მოურაობა“ ამ პერიოში მიუღია, მეტეხის მოურაობა კი შემდეგი პირობით და „აგრევე იქავ მეტეხს სხვა ნასყიდობა რაც რამ გქონდეს-ო“.[2] ეს დოკუმენტი იმ მხრივაცაა საინტერესო, რომ მოწმეთა შორის პირველადაა დასახელებული თავისი ძმა, მდივანი სოლომონი და სარდალი გედევანიშვილი გაბრიელი. ამდენად, საკათალიკოსო ლაშქრის სარდალობა გედევანიშვილების ხელთაა, ჩვენი მოსაზრება ემყარება 1723-1741 წლის გედევანიშვილთა გუჯარს, რომლითაც გედევანის ძეს პეტრეს, მის ძმას და შვილებს მიუღიათ „...მცხეთის მამული და სახელო, ერთობილთ მცხეთელთ ნება დართვით... იყუნეთ ტახტისა და ხარისხისა ზედან აღწევნულნი“ მოწმეთა შორისაა, სარდალი გედეონის ძე გაბრიელ.[3] კათალიკოსის მხარდაჭე-რით საკმაოდ დიდძალი ქონება დაუგროვებია, არა მარტო ამილბარს,

---

[1] ქართული სამართლის ძეგლები, ტ. III, საეკლესიო საკანონმდებლო ძეგლები (XI-XIXსს.), ტექსტი გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ი. დოლიძემ, თბ.,1970, გვ.570.

[2] იქვე, გვ. 653, 707.

[3] ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა. შევსებული, ქრონოლოგიურად, დაწყობილი და ახსნილი თ. ჟორდანიას მიერ, წიგნი მესამე, გამოსაცემად მოამზადეს გ. ჟორდანიამ და შ. ხანთაძემ. თბ., 1967, გვ.168.

არამედ მის საგვარეულოს. ისტორიული დოკუმენტებით მაღალა-ძეთა ხელშია საციციანოს სოფლები, გომი, გომის ციხე და სოფელი აშენდა.[1] 1722 წლის წიგნით დომენტი კათალიკოზი, პაპუა მაღალაძეს წყალობას აძლევს, „გიბოძეთ თრიალეთს რაც ჩვენი სახასო სოფლები არის იმისი ხასადრობა“. მასვე განუახლა 1723 წლის წყალობის წიგნით ციციშვილების სამკვიდრო მამულის, ბარეთის მოურავობა, რომელიც ადრე ვახტანგ მეფისაგან მიუღიათ: „...ბარეთის მოურაობა ყოვლის მისის სამოურაოს წესითა...სარგო ქონოდეს...გვიბოძებია-ო“.[2] 1726 წლის დომენტი კთალიკოსის წყალობის წიგნით„..პავლე თბილელსაც მოეცა ხევორდის (ხეკორდი-მ.მ.) მოურაობა. ახლა ჩვენც წყალობა გვიქნია, როგორც მართებული იყოს, იმგვარად მოუარე“.[3] 1721 წლის დოკუმენტით საკათალიკოსო სოფლებადაა მოხსენებული ციციშვილების მამულები და მოურავობას წყალობად გასცემს მანგლელი ეპისკოპოზი არსენ დოლენჯისშვილი ზაკვს, ფიცესა, კრკონსა და ქვენადრის.[4] ბრეთის ვერცხლის ხატზე 1722 წლის ეპიგრაფიკული წარწერა კი სადგერის ხეობის მოურავად გოგიბასშვილს ბიძინას მოიხსენიებს.[5] ზემოთ ჩამოთვლილი სოფლები, რომ ციციშვილთა სამკვიდრო მამულები იყო, ამას ციციშვილთა გაყრის წიგნები, სვეტიცხოვლისა და კათალიკოსის ყმების ნუსხებიც მოწმობენ.[6] მეფისგან სასულიერო ხელისუფალთათვის გადაცემული მამულების სიგელებიდან საინტერესოა 1712 წლის სიგელი:„...ჟამთა ვითარებით...გუჯრები

---

[1] ქართული სამართლის ძეგლები, ტ.III, საეკლესიო საკანონმდებლო ძეგლები (XI-XIXსს.), ტექსტი გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ი. დოლიძემ, თბ.,1970, გვ.702, 709, 750.

[2] იქვე, გვ. 704-705.

[3] იქვე, გვ. 711.

[4] იქვე, გვ. 70.

[5] ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა. შევსებული, ქრონოლოგიურად, დაწყობილი და ახსნილი თ. ჟორდანიას მიერ, წიგნი მესამე, გამოსაცემად მოამზადეს გ. ჟორდანიამ და შ. ხანთაძემ. თბ.,1967, გვ. 87.

[6] სცსსა, ფ.1448, საქმე 1050, 5546, 5069; ფ.1449, საქმე 814; ფ.1450, საქმე 51.

დაჰკარგოდა. მოგვადგა კართა დარბაზისა ჩ˜ვენისათა ჩ˜ვენგანვე დადგინებული...ურბნელ ეპისკოპოსი ელისე და გუჯრის განახლებას გვეაჯა...აწ ამ გუჯრით შეწირული ძველად ნაქალაქევი ურბნისი ...აგრეთვე ავკეთს გლეხები...მათის ყ˜ის მამულითა..იქივ რუისს რაც ურბნელის ნასყიდი მამულები იყოს...აზნაურნი მსახურნი და გლეხნი თავეთის საყდრით სასაფლაოთი. აგრევე ტინისხიდი, თედოწმინდა, ახალდაბა, აშენდა ვარიანი, საქაშეთი, თვალათუბანი, ლომსათუბანი, გორისჯვარი, შინდისი, ძლევისჯვარი, ყელქცეული, ქრცხილვანი დგვრისი, კიდევ დგვრისი... მონასტერი, წუნარი, ბრეთი...ამაებს გარეთ ახლად ჩ˜ნ შემოგვიწირავს თრიალეთზედ სოფლები ნადვალეთი ქვეით და ზეით, ავლაბარს იქით ღომელაური მამული. კიდევ გუჯარეთს ერთი ნასოფლარი გვეძინეთიდამ... ციხესთან...ერთის ლაშქარ ნადირობისა და საურისაგან კიდე არა ეთხოებოდეს რა.“[1] მეფე საამილახვრო და საციციანოს სამკვიდრო სოფლების ჩამორთმევას და ურბნისის ეპისკოპოსს, იმ მამულების განახლების სიგელს აძლევს, რომლის გუჯრებიც დაკარგულია, არ მოიხსენიებენ მოწმეებს, ისე აკმაყოფილებს მის თხოვნას, ათავისუფლებს ლაშქარ-ნადირობისა და საურის გარდა ყველა სახელმწიფო გადასახადებისაგან. ხაზგასმით ჩანს მეფისათვის მთავარია ერთგულება, მორჩილება და „დარბაზისა ჩ˜ვენისათა ჩ˜ვენგანვე დადგინებულის“ წევრობა, მაშინ, როცა დოკუმენტური მასალით თავად ციციშვილებს ისე დაუკარგავთ გავლენა, რომ ყმა-მამულის ყიდვასაც ვეღარ ახერხებენ ნებართვის გარეშე.[2]

ამდენად, დომენტი კათალიკოსის მხარდაჭერით, რასაც ადასტურებს მცხეთის სასარდლოს განწესების 1720 წლის წიგნი,

---

[1] ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა. შევსებული, ქრონოლოგიურად, დაწყობილი და ახსნილია თ. ჟორდანიას მიერ, წიგნი მესამე , გამოსაცემად მოამზადეს გ. ჟორდანიამ და შ. ხანთაძემ, თბ., 1967, გვ. 45-46.

[2] დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან, I, ბატონყმური ურთიერთობა (XV-XVIIIსს), ნ. ბერძენიშვილის რედაქ-ციით, თბ.,1940, გვ.195-196, 223.

მეფემ საბოლოოდ განიმტკიცა პოზიციები საციციანოზე. მეფის სადროშო მთლიანად ვახტანგ მეექვსემ კათალიკოზ დომენტის დაუქვემდებარა:„....ხელმწიფემ პატრონმან ვახტანგ და თანამეცხედ-რემან ჩვენმან ...დედოფალთ დედოფალმან რუსუდან ...სასურველმან ძემან ჩვენმან პატრონმან ბაქარ და ბატონმან გიორგიმ....ლაშქრობის პირი და პირი და სიგელი დავსდევით და განვაწესეთ და მოგართვით...სანატრელსა ძმასა ჩვენსა კათალიკოზ პატრიარქსა დომენტის რომე ძველთ ხელმწიფეთაგანც წიგნი გქონდათ...და აწ კუალად ჩვენცა აგრევე გავარიგეთ და დავამტკიცეთ: რასაც ალაგს სვეტის ცხოვლის ყმა არის ზემო ქართლს, თუ ქვემო ქართლს, გაღმა, გინა გამოღმა, მუხრანს სომხითს თუ საბარათიანოს, გინა თრიალეთს, ქალაქს გორს ქრცხინვალს. მთას თუ ბარსა, რასაც ალაგს სვეტის ცხოველის ყმა ესახლოს, არას სარდალს ხელი არ აქვს. თავისი აზნაურიშვილი მსახურ-გლეხნი, დიდნი და მცირენი, ყოვლის ალაგიდამ ბატონს კათალიკოზს უნდა შემოეყრებოდნენ. ლაშქრობას თუ ნადირობას ჩვენს დროშაზედ უნდა იქნებოდენ.“[1]

გასარკვევია, რა ბედი ეწია ქვემო საციციანოს იმ სამფლობელოებს, რომლებიც საკათალიკოსო მამულებში არ მოიხსენიება. ამის გასარკვევად საინტერესო ცნობებს იძლევა 1721 წლის მეწინავე სადროშოს სარდლის, ვახუშტი ბატონიშვილის აღწერა, სადაც ციციშვილების სამკვიდრო მამულების ნაწილი მეწინავე სადროშოს შემადგენლობაშია და მოიხსენიება სახასოდ, ეს სოფლებია: ბევრეთი, მწყნეთი, წოდორეთი, წავკისი, კრწანისი. ვახუშტის რუკის მიხედვით ეს სოფლები ეკუთვნოდა არა მოწინავე სადროშოს, არამედ მეოთხეს.

ქვემო ქართლის მკვლევარ ი. ლორთქიფანიძის მოსაზრებით, ამ სოფლებიდან, მხოლოდ წავკისი შეიძლება მივაკუთვნოთ ქვემო ქართლს, რადგან იგი მდებარეობს ქვემო ქართლსა და მეოთხე

---

[1] დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან, II, ბატონყმური ურთიერთობა(XV-XIXსს.), ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, თბ., 1953, გვ.22.

სადროშოს საზღვარზე, იმ მთების სამხრეთით, რომელიც ჰყოფს სოლოლაკის წყლის სამხრეთის ორ შტოს. კრწანისი და პაწისი კი ამ მთების ჩრდილოეთით მდებარეობენ, ამიტომ მათი ადგილი მეოთხე სადროშოში უნდა ყოფილიყო.[1] ასევე ითქმის მეოთხე სადროშოს სოფ. ქარელზე, სადაც ბაშინჯაყიდან გადაუსახლებიათ დედოფლის ყმები და შესაბამისად სადედოფლო სოფლადაა აღწერილი მეწინავე სადროშოში. სწორედ ვახუშტის ცნობით გახდა შესაძლებელი დაგვედგინა, რომ მეწინავე სადროშოში ციციშვილებმა შეძლეს შეენარჩუნებინათ მამულები სოფლებში: წავკისს, მწყნეთას, ვეძის, თრიალეთის რეხას, საპონაურს, ცხვარეთს (ცხოირეთი) სამღერეთს, სამღერეთის ახალშენს, სამღერეთის მონასტერს, დაღეთს, დიდი დაღეთს, წერაქვს. საინტერესოა, რომ ჩამოთვლილი სოფლები, სახასო მამულებად შეუტანია ბატონიშვილს თავის სასარდლოში. ციციშვილების ყმებისა და მოლაშქრეთა რაოდენობა ზემოაღნიშნულ თითოეულ სოფელში მნიშვნელოვნად აღემატებოდა სახასოს, ამაზე ნათლად მიუთითებს 1721 წლის მეწინავე სადროშოს სტატისტიკური აღწერილობა :

1.წავკისში-ციციშვილი უთრუთ, შანავაზხანის დარბაისელი-20 კომლი, 27თავი, 4კომლი ბოგანო და 3 მოლაშქრე. მისი აზნაური ამ სოფელში, ფრიდონაშვილი შავერდა.

2. ციციშვილი-ნოდარიშვილი ზაზა- 24 კომლი გამომღები, თავი 38, ბოგანო-3, მოლაშქრე- 3; მისი სოფლებია: ვეძისი, მწყნეთი, რეხა თრიალეთისა.

3. ციციშვილი სახლთუხუცესი ედიშერი-17 გამომღები კომლი, თავი 28, ბოგანო-5, მოლაშქრე- 4; მისი სოფლებია: მწყნეთი, რეხა, საპონაური,ცხვარეთი (ცხოირეთი).

4.ციციშვილი-პაპუნაშვილი ზაზა- 12 გამომღები კომლი, თავი 18, ბოგანო-2, მოლაშქრე- 2; მისი სოფლები: მწყნეთი, რეხა, საპონაური.

---

[1] ი.ლორთქიფანიძე, ქვემო ქართლი, XVIII საუკუნის პირველ მეოთხედში, I-II, ნაწ.თბ.,1935, გვ.252.

5. ციციშვილი-ბადურაშვილი ზაალი, სახასო-40, გამომღები კომლი, თავი 59, ბოგანო-6, მოლაშქრე-3; მისი სოფლები: ვეძისი,სამღერეთი, სამღერეთის ახალშენი, სამღერეთის მონასტერი, დიდი დაღეთი მისი 1 აზნაური, გიორგი სამღერეთის ახალშენი.

6. ციციშვილი- შიგამდეგი ზაზა- კომლი გამომღები-10 თავი -14; მოლაშქრე- 2 , ბოგანო-2; სოფლები: სამღერეთი, ახალშენი, დაღეთი.

7.ციციშვილი ვარამი, დიდი დაღეთი, კომლი გამომღები-1 თავი -2; მოლაშქრე- 2 , ბოგანო-,2;

8.ციციშვილი რევაზ, დიდი დაღეთი, კომლი გამომღები-1 თავი -2; მოლაშქრე-0 , ბოგანო-0;

9. ციციშვილი, ზაალიშვილი ქაიხოსრო, სამღერეთი, სამღერეთის ახალშენი, დიდი დაღეთი, გამომღები კომლი -8, თავი -12; მოლაშქრე- 0 , ბოგანო-0;

10. ციციშვილი ლიპარა, დიდი დაღეთი, გამომღები კომლი -1, თავი -2; მოლაშქრე- 1, ბოგანო-0;

11.ციციშვილი, მერაბიშვილი მანუჩარ, ვეძისი,დიდი დაღეთი, გამომღები კომლი -3, თავი -5; მოლაშქრე- 2 , ბოგანო-2;

12.ციციშვილი ყაია და ლუარსაბი -ვეძისი, დიდი დაღეთი, გამომღები კომლი -3, თავი -5; მოლაშქრე- 2 , ბოგანო-,2;

13.ციციშვილი იესე -ვეძისი, გამომღები კომლი -1, თავი -2; მოლაშქრე- 0 , ბოგანო-,0;

14.ციციშვილი ვახტანგ, დაღეთი, გამომღები კომლი -1, თავი -2; მოლაშქრე- 0 , ბოგანო-,0

15.ციციშვილი ადამ, დაღეთი, გამომღები კომლი -2, თავი -3; მოლაშქრე- 0 , ბოგანო-,0;

16.ციციშვილი, სარდლიშვილი პაპუნა, წავკისი გამომღები კომლი -7, თავი -11; მოლაშქრე- 2 , ბოგანო-1; მისი აზნაური ფრიდონა, გამომღები კომლი -1, თავი-2, ბოგანო-0, მოლაშქრე-0;

17. ციციშვილი, სარდლიშვილი ზაზა, წავკისი გამომღები კომლი -11, თავი -19; მოლაშქრე- 1 , ბოგანო-1; მისი აზნაური თამაზა, ბოგანო-1, მოლაშქრე-1;

18.ციციშვილი, ბადურაშვილი ზაალ- ჩიტალა,გამომღები კომლი-4, თავი-5, ბოგანო-მოლაშქრე-;
19.ციციშვილი პაპუნა- წერაქვი, გამომღები კომლი -3, თავი -3; მოლაშქრე-0 , ბოგანო-0;
20.ციციშვილი ზაზა- წერაქვი, გამომღები კომლი -2, თავი -2; მოლაშქრე- 0 , ბოგანო-0; [1]

სულ მეწინავე სადროშოში ციციშვილებს ჰყავთ: 199-კომლი, ბოგანო -39, მოლაშქრე-28. მიუხედავად საციციანოს წინააღმდეგ გატარებული რადიკალური ღონისძიებებისა, სამეფო ხელი-სუფლება ისევ სათავადო სისტემას ემყარებოდა. ამის ნათელი მაგალითია 1721 წლის ვახუშტის აღწერის სტატისტიკური ცნობები მეწინავე სადროშოში საყაფლანიშვილოს გაძლიერებაზე, სადაც სახა-სო ყმები სულ 2770 კომლია, აქედან მეფესა და მის ოჯახზე გაცი-ლებით მეტი ყმა ჰყავდათ ყაფლანიშვილებს: მეფეს- 503, დედოფალს-368, ბაქარ ბატონიშვილს-176, იესეს-50, სვიმონს-94, ვახუშტი ბატონიშვილს- 60, ყაფლანიშვილებს- 1899.[2]

საყაფლანიშვილოს ძღვენისა და გარიგების დავთრისა[3] და მკვლევარ ი. ლორთქიფანიძის ცნობით ყაფლანიშვილებს 1701-1711 წლებში ყმები 120 სოფელში ჰყავდათ, 1721 წლის აღწერით- 160 სოფელში.[4] „1701-11 წლების აღწერით გამომღებთა რიცხვი შეადგენდა მოსახლეობის 97%-ს, ბოგანოთა-3%, აყრილების რიცხვი 1%-აც არ შეადგენდა. 1721 წლის აღწერით გამომღებთა რიცხვი შეადგენდა მხოლოდ 55-ს, მეწინავე სადროშოში მთელი

---

[1] ე.თაყაიშვილი, მასალანი საქართველოს სტატისტიკურის აღწერილობისა მეთვრამეტე საუკუნეში, გამოცემული ექვთიმე თაყაიშვილის რედაქტორობით, თბ.,1907, 29-36, 249,259;

[2] ი. ლორთქიფანიძე, ქვემო ქართლი, XVIII საუკუნის პირველ მეოთხედში, III-IV ნაწ. თბ.,1938, 305-306.

[3] ივ.ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიური ისტორიის ძეგლები, XIII-XIX, წ.II,თბ., 1974, 56-82.

[4] ი.ლორთქიფანიძე, ქვემო ქართლი,XVIII საუკუნის პირველ მეოთხედში, III-IV ნაწ. თბ.,1938, გვ.109.

მოსახლეობის 18%-ს ბოგანოები შეადგენდნენ, რომლებიც ძირითადად მოლაშქრეებად მოიაზრებოდნენ და სადროშოში მთელი ყმების -13%-ს შეადგენდა, აყრილთა რიცხვი 30%-ს. გამომღებთა რიცხვი დაკლებულია 42%-ით, მაგიერად გადიდებულია ბოგანოთა რიცხვი 12%-ით და აყრილთა რიცხვი გამხდარა 30%."[1] ეს ყოველივე მიუთითებს სამეფო გადასახადების და სამხედრო ბეგარის შემცირებაზე, ასეთი შეღავათები ყმა გლეხების არა მარტო დამაგრებას, არამედ „ნებიერი" ყმების, მათ შორის ციციშვილთა ყმების მისვლაზეც იქნებოდა გათვლილი. საციციანოს წინააღმდეგ მეფის დამოკიდებულებას კარგად წარმოაჩენს სათავადოებზე შეწერილი სახელმწიფო გადასახადების რაოდენობა. 1721 წლის აღწერით „საგადასახადო იმუნიტეტით" საყაფლანიშვილოს ყმა-გლეხთა მხოლოდ მეათედი იხდიდა სახელმწიფო გადასახადს, დანარჩენი გათავისუფლებული იყო გადასახადისგან. მაშინ როცა, „დასტურლამალით" საციციანოს 601 გამომღები იხდის სახელმწიფო გადასახადს, ქსნის საერითავოში- 94, საამილახვროში - 204, საყაფლანიშვილოში 300-მდე გამომღები იხდის გადასახადს. ამდენად მეფე კი არ ებრძვის სათავადო სისტემას, არამედ მისთვის ერთგულებით გამორჩეულ სათავადოს ეყრდნობა, აძლევს პრივილეგიებს, სტრატეგიული და პოლიტიკური მიზნების მიხედვით.[2]

ცხადია, მეწინავე და მეფის სადროშოს სტრატეგიულ მხარეს სამეფო კარის მტკიცე კარიბჭის როლი უნდა შეესრულებინა, ერთი მხრივ, გზას უკრავდა სამხრეთიდან შემოსეული მტერი, ქვეყნის შიდა რაიონებში არ შემოჭრილიყო, მეორე მხრივ, მეფის მოწინააღმდეგეთაგან ღალატს და კახეთის სამეფოსთან ძალების გაერთიანების საშიშროებას გამორიცხავდა. თუმცა ვახუშტისავე

---

[1] ი.ლორთქიფანიძე, ქვემო ქართლი,XVIII საუკუნის პირველ მეოთხედში, III-IV ნაწ. თბ.,1938, 108, 118.

[2] ი.ლორთქიფანიძე, ქვემო ქართლი, XVIII საუკუნის პირველ მეოთხედში, I-II, ნაწ.თბ.,1935, გვ.138.

ცნობით ამან ვერ იხსნა ქართლის სამეფო მოსალოდნელი საშიშროებისაგან. [1] ჯერ კიდევ ვახტანგის ირანში ყოფნისას (1712-1719წწ.), მამისაგან განსხვავებით ბაქარმა ამჯობინა ფრთხილი, კომ-პრომისული პოლიტიკა ეწარმოებინა შაჰის ხელისუფლებასთან. 1714 წელს სიმონ ბაგრატიონის შეცვლა გამაჰმადიანებული ალი ყული ხანით და ხოლოფას გამოჩენა ქართლში, ვახუშტის შეფასებით, „უკეთუ იცეს ჟამი, თჳთ დაიპყრას ქართლი“[2] და ქართლის მეფობის პრეტენდენტთა სიმრავლე მოითხოვდა წინდახედულობას და პოლიტიკურ გამჭრიახობას, ანგარიში გაეწია შექმნილი მდგომარე-ობისათვის. ამიტომ სახლთუხუცესად არჩია მისი მომხრე, ირანის კართან დაახლოვებული „სპარსოფილი“, ედიშერ ციციშვილი დაენიშნა ბაქარის მოწინააღმდეგე დათუნა ქსნის ერისთავის ნაცვლად. ერისთავთა განდგომა მოჰყოლია 1711 წელს დვალეთსა და ოსეთს ლაშქრობას: „მიუწერეს ყეენსა: არა გვნებავს ვახტანგ, არამედ მოგვივლინე იესე-ო“.[3] ბაქარმა სწორედ ედიშერის შუამავ-ლობით შეძლო შაჰის გულის მოგება, რომ დაუფლებოდა ქართლის ტახტს. რა თქმა უნდა, ამ გადაწყვეტილების მიღებას შაჰის კარზე ვახტანგის აქტიურობაც თავის მხრივ ხელს უწყობდა.

1719 წელს ირანიდან დაბრუნებულმა ვახტანგმა, რუსეთის მოკავშირეობით დაიმედებულმა, კიდევ უფრო მეტი სისასტიკით შეუტია მოწინააღმდეგეთა დასს. მათ შორის ციციშვილებს, რომელთა შაჰის კარის მაღალ ნდობასა და მრავალწლიან კეთილ-განწყობილ ურთიერთობებს კარგად იცნობდა. ასეთი რისხვა ჩანს სამეფო კარის სახლთუხუცესსაც დაატყდა თავს. ამას მოწმობს, დღემდე გამოუქვეყნებელი 1723 წლის დოკუმენტი, რომლის მიხედვით კახეთის კარს შეკედლებული ედიშერ ციციშვილის

---

[1] ვ. ბაგრატიონი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, ტ. IV, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1973, გვ.504.

[2] იქვე, გვ.494

[3] იქვე, გვ.492.

შუამავლობით, მეფე კონსტანტინე ირანის შაჰისაგან იღებს დიდ წყალობას, ქართლის სამეფო ტახტს, თავის მხრივ არც მეფე დარჩენილა ვალში: „...მეფეთ მეფემან და თჳთ ჴელმწიფემან ქართლისა და კახეთისა მპყრობელმან, ერევნის ბეგლარბეგმან და შამაშადილუსა და ყაზახის ხანმან პატრონმან კოსტანტინემ და თანამეცხედრემან ჩვენმან ...დედოფალთ დედოფალმან, პატრონმან ფერიჯან ბეგუმ და ძმამან ჩვენმან, კახეთის ნაიბმან, ბატონიშ-ვილმან თეიმურაზ და, ჩვენისა ძმის მეფის იმამყულიხანის ძეთა ლევან მირზამ და ალექსანდრე მირზამ, ერეკლემა და დაჳთ...მტკიცე და უცვალებელი წყალობისა წიგნი და ნიშანი შეგიწყალეთ და გიბოძეთ თქვენ, ჩვენთა ერთგულთა და წესისაებრ მრავალფერად თავდადებით ნამსახურთა...დიდგვართა და დიდებულთა ჩვენთა ციციშვილ ედიშერს, შვილსა თქვენსა ქაიხოსროს, ელიზბარს, დავითს და მომავალთა სახლისა...მას ჟამსა ოდეს დიდმან ერანის ხემწიფემ ესე დიდნი ხუთნი საპატრონონი მოგვიბოძა გამო-გვისტუმრა დიდებითა დიდითა... და დაჴპყარით ესე ქვეყნები, ქართლი მკჴრი მამა პაპითურთ ... რა დავემყარენით ტახტსა ამა ქართლისა ...მას ჟამსა ოდეს მოგვადექ კართა ზედან დარბაზისა ჩვენისათა და თქვენის სამკვიდროს მამულების წყალობას დაგჴაჯენით, ვისმინეთ... ჴიდეც ჴცოდით, შენი დიდი მრავალჯერ თავგაწირვი ერთგულება... მრავალფერი ნამსახური დაგედვათ და რომ შენის საჯოს მამულების წყალობა ექმნათ და მერმე ამ ყიზილბაშების ქვეყნებში მრავალფერად გვემსახურეთ და რა ხემწიფემ ეს ჩვენი სამკვიდრო ქართლი გჴბოძა, დიდათ გიამა და ყოვლის კაცისაგან უწინ შეგიყვარეთ...აწ ჩვენი მისანდობელი კაცი შეიქენ და ამ შენის ერთგულობისა და სიკეთის სანუფქოდა რაც მამის ჩვენისაგან წყალობა გჭირვებოდათ სრულ გაგითავეთ და გიბოძეთ შენი სამკვიდრო სადგერი გუჯარეთი, ბაგინეთი რეჴა, სკრა და ზენაფლაზი, წედისი, ვეძისი, ოძისი და ჩრდილოვეთი, სახორცე

თავყელიშვილები ოფრეთი და სამწევრისი და ატენს ტლაშაძეები, ესეები თქვენთჳს და შვილთა თქვენთათჳს გჳბოძებია...“[1]

ეს დოკუმენტი ნათელი მაგალითია, საშინაო პოლიტიკაში სასტიკი ანგარიშსწორება როგორ ართულებდა ქვეყნის საგარეო მდგომარეობას და ეროვნული ერთიანობის სულისკვეთებას. მრავალსაუკუნოვანი საბრძოლო გამოცდილება და დარბაზის წევრთა გარკვეული ნაწილი, სამეფო კარს მიანიშნებდა განსაკუთრებული მოქნილი პოლიტიკის აუცილებლობას, რუსეთზე აღებული კურსის გამო კიდევ უფრო გართულებული საშინაო და საგარეო პირობების გათვალისწინებით ლავირებას და მტერთან საბრძოლველად, მხოლოდ ხელსაყრელი პოლიტიკური მომენტის შერჩევას, რაც, სავალალო შედეგებიდან გამომდინარე, სწორად არ იქნა გათვალისწინებული.

ამდენად, საციციანოზე ფრაგმენტული ცნობების მიუხედავად, დიდია ვახუშტი ბატონიშვილის ცნობათა მეცნიერული ღირებულება, სამეფო კართან ციციშვილთა საგვარეულო სახლის პოლიტიკური ურთიერთობის ისტორიის სიღრმისეულად შესწავლისათვის.

---

[1] სცსსა, ფ.1448,საქმე 5546.

თავი III

საციციანო ოსმალობის პერიოდში

1.საციციანო ოსმალობის პერიოდში

XVIII საუკუნის დამდეგიდან ციციშვილები კვლავ წარჩინებულ საგვარეულოდ ითვლებოდა. სამეფო კარი სათანადოდ აფასებდა ციციშვილთა ერთგულებას და საკმაოდ დიდ მამულებსაც აძლევდნენ ერთგულების ნიშნად: „წიგნი დაგიწერეთ ჩვენ ბატონიშ-ვილმან ლევან, შვილმან ჩვენმან ქაიხოსრომ, ვახტანგ, და დომენტიმ, იესემ, სჯმონ, თეიმურაზ შვილთა და მომავალთა ...სახლთხუცეს ბატონს ქაიხოსროს შვილთა...ბევრს გარჯილნი იყვენით...სადგერი მის გარშემო მრავალი ნასყიდობა გარჯილობა გექნათ...თქვენი სახლის კაცი ქართლში ჩამოსულიყვნენ, მას აქეთ გუჯარეთი, ბაგინეთი... ძველთაგან თქვენი ყოფილიყო ჩვენც ხელი აჯღევით და დაგანებეთ რომ ხელი აღარ გვქონდეს...“[1]

ვახტანგ VI-ის ჯანიშინობის პეროდში ციციშვილები კარგავენ ძალაუფლებას ქვემო საციციანოზე. ქართლის გამგებელ ბაქარ ბატონიშვილთან ზემო საციციანოს სიახლოვეზე კი მიგვანიშნებს 1717 წლის წყალობის წიგნი, ბოძებული სახლთუხუცეს ედიშერ ციციშვილისადმი: „ქ. ნებითა და შეწევნითა ჩვენ...მეფეთ-მეფემან და თვით ხელმწიფემან პატრონმან შაჰნავაზ... მტკიცე და შეუც-ვალებელი, სამკვიდროდ და საბოლოოდ გამოსადეგი მამულის წყალობის წიგნი და ნიშანი შეგიწყალეთ და გიბოძეთ თქვენ, ჩვენთა დიდად ერთგულთა და წესისებრივ მრავალფერად ერთგულად და თავდადებით ნამსახურსა... ჩვენის მორჭმა-გამდიდრებისა და გაბატონებისათვინ ... ყმასა დიდებულსა, დიდგვარ თავადსა ზემო ციციშვილს ქაიხოსრო[ს] შვილს სახლთუხუცესს ედიშერს, ბიძაშვილიშვილსა ზაზას, შვილსა შენსა ნოდარს, სხვათა სახლისა წულთა შენთა ყოველთავე; მას ჟამსა, ოდეს მოგვიდეგით კართა დარბაზისა ჩვენისათა და სამსახურისა თქვენისა სანაცვლოდ

[1] სცსსა, ფ.1449, საქმე 2225.

წყალობას გვიაჯენით. ვისმინეთ აჯა და მოხსენება თქვენი და მოკითხული ვქენით და ძველითგანვე ჴემწიფეთ ნაბოძები სიგლებიც გინახეთ, ერთი კონსტანტინე მეფისა, მეორე- განაჩენი როსტომ მეფისა, მესამე - წიგნი პაპა-მამისა ჩვენისა, სულბრწყინვალის პატრონის მეფის შაჰნავაზისა. ამას უწინცა და ამ წიგნებშიაც კარალეთი თქვენთვინ სამკვიდროთ - სამამულედ ეწერა, ამისთვინ ჩვენცა შეგიწყალეთ და გიბოძეთ თქვენი სამკვიდრო სოფელი კარალეთი ყოვლის მისის სამართლიანის სამძღვრითა, მთითა, ბარითა, ველითა, ვენახითა წყლითა, წისქვილითა, სახნავითა, უხნავითა, ჭალითა, სანადიროთა, ყოვლითურთ თქვენთვინ გვიბოძებია. გქონდესთ და გიბედნიეროს ღ[მერ]თ[მა]ნ ჩვენთა ერთგულად სამსახურსა შინა და აროდეს არ მოგეშალოს არა ჩვენგან და არა შემდგომად ჩვენთა მეფეთა და მეპატრონეთაგან...“[1] ამავე დოკუმენტის სპარსულმა ტექსტმა მეტად საინტერესო ცნობა შემოგვინახა: „...გამოიჩინა წრფელი ერთგულება და მოსაწონი ქცევა, ხოლო მისი საუკეთესო დამსახურებათაგანია, ის რომ მან იტვირთა ბრწყინვალე თაჯის მოტანა...მდიდარი ხალათების მორთმევა [შაჰისაგან] ამ საქებარი საქმეებით მან დაიმსახურა ბედნიერება და მეფესთან დაახლოებულ პირთა დასში ჩაირიცხა ...ასეთი სამსახურის სანაცვლოდ ჩვენ გამოვარჩიეთ და განვადიდეთ ის ჩვენი კარისა და ქართლის ვექილობის და ციცის-შვილის დიდებული საპატიო სახელის [ბოძებით].“[2]

ამდენად, სახლთუხუცესი ედიშერ ციციშვილი შაჰის კარზე მოლაპარაკებას აწარმოებდა ვახტანგ VI-ის მიერ ქართლის გამგებლად დანიშნული გამაჰმადიანებული ძმის, ანტიქართული პოლიტიკის გამტარებელი იესეს(ალი ყული-ხანი 1714-1716წწ.) ნაცვლად, ბაქარ ბატონიშვილის ქართლის გამგებლობაზე(1717-

---

[1] ქართულ-სპარსული ისტორიული საბუთები, ტექსტი დაადგინა, თარგმანი და შენიშვნები დაურთო, ვლ. ფუთურიძემ, თბ.,1955, დოკ.#178, გვ. 426.

[2] იქვე, გვ.428,429.

1719წწ.) შესათანხმებლად. იმდენად წარმატებულად შეუსრულებია მისია, რომ შაჰისაგან ქართლის ვექილობაც დაუმსახურებია.

1719 წელს ქართლში დაბრუნებულ ვახტანგს, გამაჰმადიანებულ იესეს შეუვალობის უფლებებით განებივრებულ თავადთა ნაწილი მისადმი მტრულად განწყობილი დახვდა. მათ შორის ციციშვილებიც, თუმცა წყაროებმა მხოლოდ ვახტანგის ჯანიშინობის დროს რუისის მოურავობით ნაწყალობევი[1] ბაგრატ ციციშვილის სახელი შემოგვინახა:„...კუალად ბაგრატ ციციშვილი...იჴსნა კათალიკოზმან სიკუდილისაგან და განყიდეს ოსეთს თხებთა ზედა.“[2] დაპირისპირებაზე მიანიშნებს ვახუშტი ბატონიშვილის ცნობა საციციანოს საზღვრების შესახებ:„ხვედურეთ ზეით, დამჩხერალომდე“. ე. ი.ხვედურეთის ხეობას, ძამის ხევს, გვერდისძირსა და გუჯარეთს, მხოლოდ ზემო საციციანოს სთვლის სათავადოდ. რაც შეეხება ქვემო საციციანოს, მას მცხეთის აღწერაში ათავსებს.[3] სახელოვანი ისტორიკოსის ცნობებს ერთი ახსნა აქვს, სათავადოს სეპარატისტული მისწრაფებები, შაჰის კართან სიახლოვე, ამასთან ერთად საციციანოს სტრატეგიული მდებარეობა, ეკონომიკური და პოლიტიკური სიძლიერე მიუღებელი იყო ქვეყნის გაერთიანებისა და გათავისუფლების პოლიტიკური გეგმებისათვის. ამიტომ არ არის გამორიცხული ვახტანგის მიერ შევიწროებული, დასჯილი და ქვეყნიდან განდევნილი ციციშვილები კახეთის მეფე კონსტანტინესთან მისულიყვნენ „...გიორგი არაგვის ერისთავი, შანშე ქსნის ერისთავი, ბარათაშვილები, ციციშვილები კონსტანტინეს მიუვიდნენ, მხოლოდ ზემო ქართლი ერთგულობდა ვახტანგს“.[4] ასე აფასებს

---

[1] სცსსა, ფ. 1448, საქმე 345.

[2] ბატონიშვილი ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, ტ.IV, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითად ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1973, გვ. 497.

[3] ე.თაყაიშვილი, მასალანი საქართველოს სტატისტიკური აღწერილობისა მეთვრამეტე საუკუნეში, თბ., 1907, გვ.132.

[4] ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, ტ.IV თბ., 1973, გვ. 504.

ვახუშტი სამეფო კარზე შექმნილ ვითარებას. ნაშრომის მიზანს არ წარმოადგენს ამ დაპირისპირების მიზეზების კვლევა და მათი შეფასება. ავღნიშნავთ, მხოლოდ იმას, რომ გამწვავებული შიდადაპირისპირებით, ვახტანგ VI-ის მარცხიანი საშინაო და საგარეო პოლიტიკური მდგომარეობით ისარგებლეს ოსმალებმა და 1723 წლის 11 ივნისს დედაქალაქი კახთა ბატონ კონსტანტინესგან (მაჰმად ყული-ხანი), უბრძოლველად ჩაიგდეს ხელთ. ბაქარი, როგორც ჩანს, მამის რადიკალურ პოლიტიკას მთლიანად არ იზიარებდა, „ამისათჳს მოუგზავნა, რათა წარუვლინოს ქრთამი ოსმალთა...“[1] იბრაჰიმ ფაშასთან შეთანხმებას მალე მოჰყვა სულთან აჰმედ III-ის ფირმანი ბაქარის ქართლის გამგებლად დანიშვნის შესახებ.[2]

ქართულ და ოსმალურ წყაროებში გამაჰმადიანებული ბაქარის, იბრაჰიმ ფაშას, ოსმალთაგან განდგომის სხვადასხვა ვერსიების მიუხედავად[3] ავღნიშნავთ მთავარს, რომ ბაქარ ბატონიშვილი ვერ შეეგუებოდა ოსმალთა ბატონობას და მათ ქვეშევრდომობას ამჯობინა სათავეში ჩადგომოდა ანტიოსმალურ განმათავისუფ-ლებელ მოძრაობას, რაზეც ხაზგასმით მიუთითებს ოსმალური წყარო: „აწ ლტოლვილი ვახტანგის შვილს - შაჰნავაზს, მოსაჩვენებლად რომ ეზიარა ჭეშმარიტ სარწმუნოებას და განდიდდა, ოსმალეთის სახელმწიფომ ხანობასთან ერთად საგანგებოდ უბოძა ოჯაკლიკის (მუდმივი სამემკვიდრეო უფლებით ბოძებული სანჯაყი) წესით

---

[1] ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, ტ. IV, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითად ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1973, გვ.505.

[2] ს.ჯიქია, აჰმედ III-ის ფირმანი ბაქარ ბაგრატიონს, ქართული წყაროთმცოდნეობა III, თბ.,1971, 278-284.

[3] მ.სვანიძე,საქართველო-ოსმალეთის ისტორიის ნარკვევები, თბ., 1990, გვ.19; შდრ.გურჯიზადე, თბილისის დაპყრობის წიგნი, თურქული ტექსტი ქართული თარგმანით და შენიშვნებით გამოსცა ც.აბულაძემ, თბ., 1975,გვ. 18; შდრ. Peyssonel M., Essai sur les troubles actuels de Perseet de Georgie,Pariz,1754, 63.

თბილისი...ხსენებული კი გაიქცა, რათა გულის სიღრმეში მინე-ლებული სჯულგანდგომილების მწველი ცეცხლი გაეჩაღებინა.“[1]

დედაქალაქიდან გამოქცეული ბაქარი საბოლოოდ ყველაზე დაცულ და სტრატეგიულ მხარეს, საციციანოსა და გუჯარეთს აფარებს თავს. ამ ამბების თვითმხილველი მემატიანე არ ახსენებს საციციანოს, მაგრამ კარგად იცის, რომ ოსმალების მხარდამჭერნი, მხოლოდ საბარათიანოა: „კიდევ ერთი ნაჰიჲეა, საბარათიანოდ სახელდებული, რომელიც ყაფლანისშვილების საცხოვრებელი და ადგილსამყოფელია, ქალაქის სანახებთან ახლოს მდებარეობის გამო ლაშქრის ფეხის საცვეთ ადგილად რომ არ ქცეულიყო, ამიტომ შიშველი მორჩილების სამოსი ჩაიცვეს და...ნდობის ხალათში გამოწყობილებმა მოისვენეს.” რაც შეეხება საამილახვროს, მის წინამძღოლ, გივი ამილახვარს თურქი მემატიანე[2] და სხვა ოსმა-ლური დოკუმენტები[3] მათ მხარდამჭერ პიროვნებად წარმოგვიდ-გენენ.[4] ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში ამილახვრის ერთგულება ოსმალებისადმი შეფასებულია მათთან ბრძოლისა და „ქართველობის დაცვის“ მოხერხებულ საშუალებად.[5] ასეთ შემ-თხვევაშიც კი ბაქარი ვერც საამილახვროს შეაფარებდა თავს.

ამდენად, ქართული და ოსმალური წყაროების შედარებითმა შესწავლამ ცხადყო, რომ ბაქარ ბატონიშვილის დაწყებული განმა-თავისუფლებელი ბრძოლების ერთ-ერთი მთავარი დასაყრდენი ძალა ზემო საციციანო და გუჯარეთია. სათავადოს 1723 წლის

---

[1] გურჯიზადე, თბილისის დაპყრობის წიგნი, თურქული ტექსტი ქართუ-ლი თარგმანით და შენიშვნებით გამოსცა ც.აბულაძემ, თბ., 1975, გვ.18.

[2] გურჯიზადე, თბილისის დაპყრობის წიგნი, თბ.,1975, გვ. 21, 67.

[3] ც. აბულაძე, ოსმალობის ხანის სამი თურქული ფირმანი, აღმოსავლური ფილოლოგია, III, თბ.,1973,გვ.296-299.

[4] ს.ჯიქია, ოსმალური იურიდიული დოკუმენტები XVIII საუკუნის პირველი ნახევრის ქართლში, აღმოსავლური ფილოლოგია,I, თბ., 1969, გვ.159.

[5] ნ.ბერძენიშვილი, XVIII ს.საქართველოს ისტორიიდან, საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. II, თბ.,1965,180.

ბოლოსა და 1724 წლის დასასრულს მკვეთრად გამოხატული ანტიოსმალური პოზიცია აქვს. ოსმალთა წინააღმდეგ საბრძოლველად ბაქარ ბატონიშვილმა ამჯობინა ძველი ცოდვები და ღალატი მიეტევებინა კახეთის მეფე კონსტანტინესთვის, რომელიც თავად ბაქარმა გააპარა თბილისის ციხიდან,[1] რათა შეთანხმებულად ებრძოლათ ოსმალების წინააღმდეგ.

1724 წლის იანვარში კახეთის მეფის ინიციატივით, მცხეთაში ბაქარისა და კონსტანტინეს შეხვედრაზე შეთანხმებას მიაღწიეს: „...წარავლინა მაჰმად-ყული ხან თეიმურაზ ბაქარისა თანა, ვინაადგან ეზრახოდნენ ურთიერთს, და შემდგომად მივიდა თჳთცა მცხეთას, ჰყვეს პირი ერთობა-სიყვარულისა“.[2] როგორც ჩანს, აქვე შეათანხმეს არაგვის, ქსნის ერისთავების და საციციანოს მოკავშირეობა და ანტიოსმალური საბრძოლო გეგმები. აქვე ავღნიშნავთ, რომ საციციანოსა და არაგვის საერისთაოს „საუკუნოვან“ პოლიტიკურ კავშირს ამყარებდა ახლო ნათესაური ურთიერთობა, რასაც ადასტურებს 1701 წლის ყმის შეწირულების წიგნი მიცემული ოთარ არაგვის ერისთავის ასულის და ვახტანგ ციციშვილის მეუღლის თინათინის მიერ წმ. ნიკოლოზის ეკლესიისადმი. [3]

ამ შეხვედრების შესახებ თურქი მემატიანე გურჯიზადეც მიუთითებს:„...არ წყვეტდა ხსენებულ მის აღმატებულებასთან მეგობრულ მიმოწერასა და პირად შეხვედრებს. ბატონი იგი, ყარაკალკანისა [არაგვის საერისთაო] და ქსნის ერისთავებთან ერთად,

---

[1] ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა. შევსებული, ქრონოლოგიურად, დაწყობილი და ახსნილია თ. ჟორდანიას მიერ, წიგნი მესამე გამოსაცემად მოამზადეს გ. ჟორდანიამ და შ. ხანთაძემ, თბ.,1967, გვ.94.

[2] ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, ტ. IV, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1973, გვ.622.

[3] დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან ბატონყმური ურთიერთობა (XV-XVIIIსს), ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, თბ.,1940, გვ.11

მაცდურად და ფარულად, დღენიადაგ აგებდა მზაკვრობისა და ღალატის შენობას ... იყვნენ ურჩები და ფანატიკურად ქედუდ-რეკენი.“[1] დედაქალაქში ოსმალთა მძიმე მდგომარეობის შესახებ გურჯიზადე დაუფარავად გადმოგვცემს: „...ქალაქი თბილისი ისე იყო გარშემორტყმული სარწმუნოების მტრებით...დანებების კეთილი სურვილი არც ქალაქიდან მოდიოდა და არც ქალაქის კედლებს მიღმა იყო გადაწყვეტილი დამორჩილების საქმე.[2] ავტორი 1723 წლის იბრაჰიმ ფაშას წარუმატებელი ლაშქრობებზე ამიერკავკასიაში, ოსმალების განჯასთან დამარცხებაზე და რუსეთის მიერ ბაქოს დაკავების შესახებ არ საუბრობს, თუმცა აშკარად მიანიშნებს: „უმჯობესი იყო მანამ ეღონათ რამე, ვიდრე გამოუვალ მდგომარეობაში აღმოჩნდებოდნენ.“[3] სწორედ ამით უნდა აიხსნებოდეს ის ფაქტი, რომ 1724 წლის მარტში რეჯეფ ფაშა დაინიშნა თბილისის მუჰაფიზად* მის დამხმარედ ახალციხიდან იხმეს ისჰაკ-ფაშა:„რადგანაც იმ მიდამოების ვითარების სრულ-ყოფილი ცოდნითა და იქ საქმეთა წარმართვით მან სახელი გაითქვა და მოიხვეჭა“ როგორც ჩანს, ბაქარმა თბილისის გასათა-ვისუფლებლად ძალების სიმცირის გამო ხელსაყრელი მომენტით ვერ ისარგებლა. ამიტომ გადაწყვიტა „ისლამის ლაშქრის შემო-სასვლელ და გასასვლელ გზას“, სომხით-საბარათიანოს გზებს, თვითონ დაუფლებოდა. გუჯარეთი, თრიალეთი და მანგლისი სტრატეგიული მნიშვნელობის ყველაზე მარჯვე და უმოკლესი გზა იყო, რომლითაც შიდა ქართლი ქვემო ქართლს და ჯავახეთს უკავშირდებოდა. აქედან ბაქარს ადვილად შეეძლო დაკავშირებოდა

---

*კომენდანტი, სამხედრო ძალების უფროსი. რეჯეფ ფაშა წარმოშობით ალბანელი, დაქორწინებული იყო სულთან აჰმედ III-ის ასულზე, ემინე ხანუმზე.

[1] გურჯიზადე, თბილისის დაპყრობის წიგნი, თურქული ტექსტი ქართუ-ლი თარგმანით და შენიშვნებით გამოსცა ც.აბულაძემ, თბ.,1975,გვ.3

[2] იქვე, გვ.19.

[3] იქვე, გვ.26-31

ყარაბახ-ყაზახში მებრძოლ კონსტანტინეს, განჯა-ყარაბაღის გამგებელს და სომეხთა საბრძოლო გაერთიანებებს, რომელთანაც მას კავშირი ჰქონდა დამყარებული.[1] მეორეს მხრივ მთიანი და ვიწრო ხეობები ოსმალებთან ბრძოლის მოხერეხებული პირობებით გამოირჩეოდა. რეჯეფ ფაშა ჩანაფიქრს მიუხვდა, ლაშქარი დაადევნა შიიტურიდან, სუნიტურ მაჰმადიანობაზე გადასული იესე-მუსტაფა ფაშას მეთაურობით, რათა არ მისცემოდა ბაქარს ანტიოსმალური ძალების გაერთიანებისა და დედაქალაქთან დამაკავშირებელი სტრატეგიული გზების ხელში ჩაგდების საშუალება. მტრის მრავალრიცხოვან ძალებთან ბრძოლას, ბაქარმა ამჯობინა ატენიდან სამხრეთ-დასავლეთ თრიალეთში გადასულიყო და იქიდან გაეგრძელებინა ბრძოლები ოსმალთა წინააღმდეგ. ბაქარის წარმატებული ბრძოლების შესახებ საინტერესო ცნობებს გვაწვდის გურჯიზადე თავის საისტორიო თხზულების ცალკე თავში: „გუჯარეთის ხალხი...განაგრძობდნენ ურჩობას...როცა ორი ათასი თავდადებულის ქარავანი გაეშურა არზრუმიდან ერევნისაკენ და სოფელ ფოკაში შეჩერდა...დაესხნენ თავს, ვაჭრები გაძარცვეს... ათასეულში მყოფ ყველა თავდადებულ გმირს თავი წააგდებინეს.“[2] ავტორი აღშფოთებას ვერ მალავს ბაქარის მიერ თრიალეთის მმართველის იბრაჰიმ აღას ტყვედ ხელში ჩაგდებისა და „მოწამებრივი“ სიკვდილის შესახებ. იმდენად საშიშ და სარისკოდ მიაჩნდა მტერს ამ მხარეში ბრძოლების გამართვა, რომ იძულებულნი გახდნენ საგანგებოდ მომზადებულიყვნენ. რეჯეფ ფაშას გაგზავნილმა მრავალრიცხოვანმა ლაშქარმა იესესა და ისჰაკ ფაშას სარდლობით სასტიკად დაამარცხეს ქართველები 1724 წლის აგვისტოს.[3] სიამაყით გადმოგვცემს გურჯიზადე, რომ თემურ-

---

[1] მ.სვანიძე, საქართველო-ოსმალეთის ისტორიის ნარკვევები, თბ.1990, გვ.324.

[2] გურჯიზადე, თბილისის დაპყრობის წიგნი, თურქული ტექსტი ქართული თარგმანი და შენიშვნებით გამოსცა ც.აბულაძემ, თბ., 1975,გვ.30.

[3] ც.აბულაძე, ოსმალობის ხანის სამი თურქული ფირმანი, აღმოსავლური ფილოლოგია, III, თბ., 1973, შენიშვნა, #65- 65.

ლენგის შემოსევა და აოხრება ამ მხარისთვის სანატრელი გამხდარა: „ეს იყო სანიმუშოდ ჯოჯოხეთური ხეობა...ისლამის ლაშქრით ნაბრძანებ მხარეში გაიგზავნა და როცა უძნელესი გზები, ჯამბაზის სავალი თოკის მსგავსი აღმართები და დაღმართები გადალახეს, ერთ დღეს, დილით მათ მთავარ სადგომ სოფელში ავიდნენ. მოსახლეობა ვისაც კი ბრძოლის და ომის ძალა შესწევდა, ყველა შურისძიების მახვილის ქვეშ გაატარეს. ცოლ-შვილი დაუტყვევეს და, სახლ-კარსა და მამულს ცეცხლი წაუკიდეს. ქვეყანა ისე დააქციეს და გაანადგურეს, რომ ამის შემდეგ თემურ-ლენგის შემოსევა და აოხრება ამ მხარისთვის სანატრელი გახდა. ნაგებობათა ნაშთსაც კი ვერ აგნებდნენ, რომ იქ რაიმე ემოქმედად...მუსლიმთა ლაშქარი ძვირფასი ნადავლით გამდიდრებული და მტერზე სრულყოფილი შურის-ძიებით გამარჯვებული გამობრუნდა.“[1]

ამდენად, ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე ვერ დავე-თანხმებით სამეცნიერო ლიტერატურაში დამკვიდრებულ მოსაზ-რებას: „1723 წელს ოსმალობა დამყარდა და ოსმალობა ციციშვილებმა ერთი პირველთაგანებმა იცნეს“-ო.[2]

ბაქარის სასტიკად დამარცხებისა და მეფე ვახტანგთან ერთად რუსეთში წასვლის შემდეგ ოსმალთა წინააღმდეგ ბრძოლას სათავეში კახთა მეფე კონსტანტინე ჩაუდგა. აჯანყების მასშტაბების გამო თბილისის ციხის დამცველი ოსმალები პანიკაში ჩავარდნილან. ოსმალეთის ოფიციალური ისტორიკოსი ქუჩუქ ჩელები ზადე აჯან-ყებულთა შესახებ წერს:“...მასხარა ქართველები ოთხივე მხრიდან რომ გარს ედგნენ, მასთან მივიდნენ და კავშირი შეკრეს. ყარაკალკანისა და ქსნის ერისთავები 10 000-ზე მეტი მოლაშქრით

---

[1] გურჯიზადე, თბილისის დაპყრობის წიგნი,თურქული ტექსტი ქართული თარგმანი და შენიშვნებით გამოსცა ც.აბულაძემ, თბ., 1975,გვ.31.

[2] დ.გვრიტიშვილი, ფეოდალური საქართველოს სოციალური ურთიერ-თობის ისტორიიდან, (ქართლის სათავადოები), თბ.,1955, გვ.446.

...გორის ციხის ასაღებად წამოვიდნენ.[1] თითქმის იდენტურია თურქი მემატიანის, გურჯიზადეს ცნობებიც: „თბილისის აღარც მეციხოვნე ასქერებს და აღარც მცხოვრებლებს თავდაცვის იმედი აღარ შერჩათ, სულიერად დაეცნენ.“[2] საგზლისა და სამხედრო საჭურვლის მდგომარეობა, ისეთი მცირე ყოფილა, რომ თუ გარემოცვა 3 დღის მანძილზე გაგრძლდებოდა, სურსათიც გათავდებოდა სამ დღეში. სომხურ წყაროს თუ დავუჯერებთ ოსმალებს გორში 15-ზარბაზანი ჰქონიათ, დედაქალაქში კი მხოლოდ -2.[3] სამწუხაროდ მათთვის არ იყო ცნობილი ოსმალთა მძიმე სამხედრო მდგომარეობა, ხელსაყრელი მომენტი ვერ გამოიყენეს და ხელიდან გაუშვეს გამარჯვების შესაძლებლობა, თუმცა ფაქტიურად საქართველოს ბედი უკვე გადაწყვეტილი იყო რუსეთის თურქეთთან გარიგებით და 1724 წლის 12 ივლისის კონსტანტინოპოლის ხელშეკრულებით.

აჯანყებულებმა ამჯობინეს ოსმალთა წინააღმდეგ შეტევა გორის ციხის აღებით დაეწყოთ, რაც გამორიცხავდა ზურგიდან ოსმალთა თავდასხმის საშიშროებას. ამის შემდეგ, გაერთიანებული ძალებით დედაქალაქიდან განდევნიდნენ ოსმალებს. ვახუშტის ცნობით: „ეზრახნენ ქართველნი მაჰმად ყული-ხანს ... განაძიონ ოსმალნი და იყოს მეფედ მათდა ... შეკრბნენ ქართველნი, მოიყვანეს მაჰმადყულიხან კახით, თუშით, ფშაველ-ხევსურითა და დადგნენ თედოწმინდას.“[4] რეჯეფ ფაშას ურჩევდნენ ლაშქრობაზე ხელი აეღო, მაგრამ

---

[1] ცნობები ქუჩუკ ჩელები ზადეს ისტორიიდან, თარგმანი ცისანა აბულაძისა, წიგნში გურჯიზადე, თბილისის დაპყრობის წიგნი, თბ.,1975, გვ.47.

[2] გურჯიზადე, თბილისის დაპყრობის წიგნი, თურქულიტექსტი ქართული თარგმანით და შენიშვნებით გამოსცა ც. აბულაძემ, თბ., 1975, გვ.63

[3] Армяно-русские отношение в первой трети XVIII в.,сборник документов, т.II,ч,2, под. Ред.А. Иоанесияна,1964,стр. 103.

[4] ვახუშტი ბატონიშვილი,აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, ტ. IV, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1973, გვ.506-508.

მან მტკიცედ გადაწყვიტა გორის ციხეში გამაგრებულ უსუფ-ფაშას დახმარებოდა. მისი ბრძანებით ლაშქრის სარდლებად ისჰაკ ფაშა, ალი ფაშა და გამაჰმადიანებული იესე დაინიშნა. 1724 წლის 22 სექტემბერს ოსმალები თბილისიდან გამოემართნენ და შედარებით მოხერხებული გზა აირჩიეს მანგლისის გზით ატენის ხეობა „..ატენის ხეობად წოდებულ ადგილს განლაგდნენ, სწორედ იქ, სადაც შაჰნავაზმა[ბაქარმა] გაქცევის ჟამს შეისვენა.“[1]

კონსტანტინეს მებრძოლებს, კახელებსა და თუშებს მუხრანში შემოუერთდა ანანურიდან მისივე ძმა თეიმურაზი მთიულების, ფშაველებისა და ხევსურების საბრძოლო რაზმებით, ასევე არაგვისა და ქსნის ერისთავები. შემთხვევითი არაა რომ, აჯანყებულები კონსტანტინეს მეთაურობით სოფელ ხელთუბნიდან ციციშვილთა მამულში კარალეთთან ახლოს, თედოწმინდაში დაბანაკდნენ, სადაც შეუერთდნენ მებრძოლები საციციანოსა და შიდა ქართლიდან, ჩანს აქ მიიღეს ცნობა საციციანოში ოსმალთა მრავალრიცხოვანი ლაშქრის გამოჩენის შესახებ, ამიტომ გორის ციხეზე შეტევის ნაცვლად კოწახურას ფონით გადალახეს მდინარე მტკვარი და ზედაველაზე ატენის ხეობის ბოლოს განლაგდნენ საბრძოლველად. ატენთან გადამწყვეტი ბრძოლის ადგილისა და დროის შესახებ განსხვავებული მოსაზრებებია გამოთქმული წყაროებსა[2] და სამეცნიერო ლიტერატურაში.[3] გ. ნატროშვილის მიერ თურქული და ქართული წყაროების ანალიზით და სავარაუდო ტერიტორიაზე

---

[1] ცნობები ქუჩუკ ჩელები ზადეს ისტორიიდან,თარგმანი ცისანა აბულაძისა, წიგნში გურჯიზადე, თბილისის დაპყრობის წიგნი, თბ.,1975, გვ.47.

[2] ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, ტ. IV, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1973,გვ.508; შდრ.ქრონიკები და სხვა მასალა საქარველოს ისტორიისა და მწერლობისა. შევსებული, ქრონოლოგიურად, დაწყობილი და ახსნილია თ. ჟორდანიას მიერ, წიგნი მესამე, გამოსაცემად მოამზადეს გ. ჟორდანიამ და შ. ხანთაძემ, თბ., 1967, გვ.93.

[3] ნ. ბერძენიშვილი, XVIII ს.საქართველოს ისტორიიდან, საქართველოს ისტორიის საკითხები, წიგნი II, თბ.,1965, გვ.162.

საველე კვლევა-ძიებაზე დაყრდნობით გამოთქმული მოსაზრება დადებითად შეაფასა მ. სვანიძემ, [1] რომელსაც სრულიად ვიზიარებთ. ბრძოლა მოხდა იმ ზედაველაზე, რომელიც ატენის ბოლოსა და ხიდისთავს შუა მდებარეობს 1724 წლის 23-24 სექტემბერს.[2] ამ ადგილზე მიანიშნებს აქაური მკვიდრის, იესე ტლაშაძის საყურადღებო ცნობებიც. [3]

ვახუშტი ბატონიშვილის ცნობით პირველსავე შეტევისას ქართველებმა ოსმალეთის ავანგარდი დაამარცხეს და გააქციეს: „ქართველნი ეკვეთნენ და ივლტოდნენ ურუმნი“, მაგრამ ოსმალთა დამხმარე ძალის მიღებამ, იესე-მუსტაფას და ერასტი ყაფლანიშვილის თავგანწირვამ, რომლებმაც მოაბრუნეს გაქცეული ოსმალო მებრძოლები და შეტევა განაახლეს, მტერი დამარცხებას გადაარჩინა. „მოუჴდა იესე, მოაქცია ოსმალნი, ეკუეთა კუალად მოსრნა...რამეთუ თავნი ურმებითა წარიღო ერასტი ყაფლანიშვილმან ტფილისს რაჯაბ ფაშასა, თანა.“[4] ომის მსვლელობას თურქი ისტორიკოსების ქუჩუქ ჩელები ზადეს და გურჯიზადეს ცნობები იდენტურად გვიხატავენ ატენის ბრძოლის მსვლელობას რიგ დეტალებში ერთმანეთს კიდევაც ავსებენ და სიღრმისეულად გადმოგვცემენ: „მთებში მხედრები დაბინავდნენ... ფერდობებზე კი-ქვეითები. გასასვლელებში... მეთოფეები ჩააყენეს ...ცხენოსნები საძულველი ლაშქრის წინააღმდეგ გაემართნენ ...ცხენოსნებმა ისლამის ფიცხ მხედრებს ვერ გაუძლეს და, ერთურთის გაძლიერების მიზნით, ქვეითებთან შეერთება მოინდომეს, მაგრამ ავღანელმა მეთოფეებმა გზა გადაუჭრეს. იძულებული გახდნენ ...მთებისაკენ გაქცეულიყვნენ. მაჰმადიანი

---

[1] მ.სვანიძე, ატენის ბრძოლის ზოგიერთი საკითხის დაზუსტებისათვის თურქული წყაროების მიხედვით, საქართველოს ისტორიის აღმოსავლური მასალები, წიგნი II,თბ.,1979, გვ.125.

[2] გ.ნატროშვილი, ისტორიულ-ლიტერატურული ძიებანი, „მნათობი“, #1, 1976,გვ. 150-151.

[3] ი. ტლაშაძე, „ბაქარიანი“ მოამზადა ს. ყუბანეიშვილმა, თბ.,1963, გვ.35.

[4] ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, ტ.IV , თბ., 1973 , გვ.508.

მოსახლეობისათვის გამზადებული გასასვლელები მათივე ყელსაბელი გახდა... ვინ მტკვარში ჩაყარეს და წყალმა დაახრჩო 3000 წყეული....ამას მოჰყვა ერევნის აღების სასიხარულო ცნობა.[1] „ერევნის ციხის აღება 29 სექტემბრით თარიღდება. სრულიად ლოგიკურია მკვლევარ, ც. აბულაძის ვარაუდი, რომ გამარჯვებული ოსმალების დედაქალაქში დაბრუნება უნდა მომხდარიყო 29 სექტემბრამდე, როგორც ჩანს ოსმალები თავს უსაფრთხოდ მაინც ვერ გრძნობდნენ, ღამე გორის ციხის წინ გაათიეს და თბილისში მეორე დღეს დაბრუნდნენ. ერასტი ყაფლანიშვილის მიერ მოკლულთა თავებით დატვირთული 50-60 ურემი თან წამოიღეს საჩუქრად რეჯებ-ფაშასთვის. ვახუშტის ცნობით ფაშას 30 დრაჰკანითაც დაუჯილდოებია.[2] ატენის ომის მნიშვნელობა თვით სულთანმა საგანგებო ფირმანით შეაფასა „როგორც დიდი გამარჯვების დასაბამი“ და საგანგებო წყალობაც უბოძა. „ რეჯებ-ფაშას 20 000ყურუში, ისჰაკ ფაშას - 5000 ყურუში და ას-სეიჰ მუსტაფა ფაშას-1000 ყურუში.“[3] წყაროებიდან ჩანს, რომ ენით აუწერელი სისასტიკე თავს დაატყდა არა მარტო მებრძოლებს, არამედ საციციანოს ადგილობრივ მოსახლეობას. ფაქტიურად ეს იყო საციციანოს უკანასკნელი გაბრძოლება ოსმალთა წინააღმდეგ. ამის შემდეგ, სათავადო მხოლოდ 30-იანი წლების ბოლოს უერთდება გივი ამილახვრის დაწყებულ ანტიოსმალურ აჯანყებებს[4] და ლეკიანობის წინააღმდეგ მიმართულ ბრძოლებს. [5]

---

[1] ცნობები ქუჩუკ ჩელები ზადეს ისტორიიდან, თარგმანი ცისანა აბულაძისა, წიგნში გურჯიზადე, თბილისის დაპყრობის წიგნი, თბ.,1975, გვ.47.

[2] ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, ტ. IV, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1973 , გვ.508.

[3] გურჯიზადე, თბილისის დაპყრობის წიგნი, თურქული ტექსტი ქართული თარგმანი და შენიშვნებით გამოსცა ც.აბულაძემ, თბ., 1975, გვ.68-69.

[4] ე.მამისთვალიშვილი, გორის ისტორია, I, თბ.,1994, გვ.92-93.

[5] საქართველოს ისტორიის ქრონიკები, XVII-XIX სს., ტექსტები გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევები, შენიშვნები და განმარტებები დაურთო ავთ. იოსელიანმა, თბ., 1980, გვ.63-65.

ატენის ბრძოლა, მიუხედავად დამარცხებისა დიდი ისტორიული მნიშვნელობის მოვლენაა ქართულ ისტორიოგრაფიაში. უმეფოდ დარჩენილი ქართველი ხალხი განსხვავებული სოციალური მდგომარეობისა და ფეოდალური ინტერესებისა ანტიოსმალური განმათავისუფლებელ ბრძოლის იდეამ გააერთიანა. თურქი ისტორიკოსებიც ხაზგასმით აღნიშნავდნენ, რომ მოღალატე ქართველთა დახმარების გარეშე გამარჯვებას ვერ აცნობებდნენ სულთნის კარს, ამიტომ ამჯობინეს 1727 წელს მეფობის გაუქმების ხარჯზე, ერთგვარი კომპრომისული პოლიტიკით ქართველთა გავლენიანი თავადების და ერისთავების გულის მოგება. ამის ერთი ნათელი მაგალითია მცხეთის სიონის ღვთისმშობლის ტაძრის მეჩეთად გადაკეთების მცდელობა, მაგრამ გივი ამილახვრისა და „ვინცა ვინ ქართველ დარბაისელნის“[1] თხოვნით და საჩუქრებით ოსმალებს ამ სურვილზე ხელი აუღიათ. ქართლის თითოეული ნაჰიე ქართველებს ჩააბარეს, მათ შორის საციციანოს ნაჰიეს მმართველობა, მცხეთას ზევით ე. წ. „გაღმა მხარი“, რომელიც მოიცავდა მდინარე მტკვრის მარჯვენა მხარეს მცხეთიდან ტაშისკარამდე ბაგრატ ციციშვილს უბოძეს.

ომის მძიმე შედეგები ყველაზე მეტად სწორედ საციციანოზე აისახა, რასაც მოწმობს მკვლევარ ნ. შენგელიას მიერ სამეცნიერო მიმოქცევაში ახლად შემოტანილი წყარო „1728 წლის თბილისის ვილაიეთის დიდი დავთარი“. დავთარი ხაზგასმით მიუთითებს ოსმალური სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური სისტემის დამკვიდრებას. აღწერა ტარდებოდა ფისკალური მიზნით. დავთრის მიხედვით საციციანოს ნაჰიეში სულ 134 სოფელი შედიოდა. მათ შორის მოსახლეობისაგან დაცლილია-19 სოფელი, ამ სოფლებზეც შეწერილია საკმაოდ მაღალი გადასახადები, რაც ნათლად მიგვითითებს, რომ აღნიშნული სოფლები ახალმიტოვებული,

---

[1] ქართული სამართლის ძეგლები, ტ. III, საეკლესიო საკანონმდებლო ძეგლები (XI-XIX), ტექსტი გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ი. დოლიძემ, თბ., 1970, დოკ. №228, გვ.712.

გაუკაცრიელებულია და მხოლოდ სათესველად გადაქცეულა ოსმალთა ხელში. მოსახლეობისაგან დაცლილი სოფლების მიწებს მეზობელი სოფლებიდან მოსულნი დღიური მფლობელობით თანამონაწილეობის საფუძველზე ამუშავებენ. მაგ.სოფელი მიჰათი, ცარიელია რეაიასაგან და ხსენებული სოფლის ტერიტორიაზე ოზსელისა და თუსის სოფლების რეაიას დაუწყია ამ ადგილების დამუშავება.[1] დავთარში რეგისტრირებული სათესველები, ბერხო, ბნავისი, დანასირი - სოფლებადაა მოხსენიებული კარგი მოსავ-ლიანობის გამო. ამიტომ ხშირად სოფლებს სათესველებიც აქვს მითითებული. არის მცირეკომლიანი სოფლებიც: საჯიე-1კომლი, 2-5კომლიანი-12 და 6-10 კომლიანი 22 სოფელია. არის გამონაკლისი როცა სოფლის ცალკეული უბანი სოფლად მოიხსენიება. მაგ. სოფ. ქონსხოს მოსდევს თელეუბანის დასახლება სოფელ ქონსხოში.[2] ვენახების მქონე სოფლის აღწერისას, ზუსტადაა აღწერილი ვენახის დღიური მფლობელის სახელები და გადასახადთა რაოდენობა.[3] ჩამოთვლილია თითოეული სოფლისა და დასახლებული პუნქტის მეურნეობის დარგები. დავთრიდან ადვილად შესამჩნევი ხდება, ოსმალობის შემოღებით როგორ ქრებოდა, ან იცვლებოდა, ისტორიული სოფლების სახელწოდებები და ქართული გვარ-სახელები.

ოსმალებმა თითოეულ კომლს დააკისრეს მძიმე ოსმალური გადასახადები: ისფენჯი, უშრის გადასახადი ხილზე, ვენახზე, ბოსტანზე; გადასახადები: ერბოზე, სკაზე, თივაზე, ღორზე, ცხვარზე, წისქვილზე, დეშთიბანისა და მიწაზე თაფუს გადასახადი, ბადიჰავას, რესმი არუსანე, ჯურუმ ჯიბაიეთის, იავასა და კაჩკუნის, ბეითალმალის ამესა და ხასეს გადასახადი. საგადასახადო სისტემის

---

[1] 1728 წლის თბილისის ვილაიეთის დიდი დავთარი, ოსმალური ტექსტი ქართული თარგმანით, შესავლით, გამოკვლევებითა და ფაქსიმილეებით გამოსაცემად მოამზადეს აკად. ს. ჯიქიამ და პროფ.ნ.შენგელიამ, თბ.,2009, გვ.147.

[2] იქვე, გვ.141-143.

[3] იქვე, გვ.154,158,172.

არსი მდგომარეობდა, იმაში რომ რაც შეიძლება მეტი გადასახადები ამოეღოთ დაპყრობილი მოსახლეობის მიერ წარმოებული მეურნეობის თითოეული დარგიდან.

გადასახადების სიმძიმით გამოწვეული მდგომარეობის შესახებ მნიშვნელოვანი ცნობები შემოგვინახა ვახუშტი ბატონიშვილმა [1] და პაპუნა ორბელიანმა.[2]

ოსმალური დავთრის მიხედვით საციციანოს ნაჰიეს დაკარგული აქვს სტრატეგიული მნიშვნელობის მხარეები და სოფლები. როგორც ჩანს, ნაჰიებად დაყოფის პრინციპი ითვალისწინებდა არ დაეშვათ ანტიოსმალური ბრძოლების გაგრძელების შესაძლებლობა. სწორედ ამით აიხსნება, რომ ცალკე ნაჰიედ გამოყვეს საციციანოს სამკვიდრო მამულები, განმათავისუფლებელი ბრძოლებით ცნობილი მხარე გომარეთი და გუჯარეთი. ჯავახეთ-თრიალეთიდან შიდა ქართლში გადმოსასვლელ გზაზე მდებარე საციციანოს სამკვიდრო მამული სადგერი[3] კი პეტრეს ნაჰიეს მიაკუთვნეს. თრიალეთ მანგლისის მხარის და მთელი აღმოსავლეთ საქართველოს გზაჯვარედინზე მდებარე საციციანოს სოფელი თრიალეთის რეხი[4] საამილახვროს ნაჰიეს მიაკუთვნეს. რაც შეეხება ნიჩბისს, არც ერთ ნაჰიეში არ არის მოხსენიებული. სტრატეგიული მნიშვნელობის გამო ვფიქრობთ, ვაკუფია და ისჰაკ ფაშას დაქვემდებარებაშია. დაპყრობილი ქვეყნის აღწერა და მისი დავთრებში გატარება ადგილობრივი სოციალურ-ეკონომიკური სისტემის გაუქმებას ნიშნავდა, ამიტომ ციციშვილები,

---

[1] ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, ტ. IV, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1973 , გვ.508

[2] პ.ორბელიანი, ამბავი ქართლისანი, ტექსტი დაადგინა, შესავალი, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო ე. ცაგარეიშვილმა, თბ.,198, გვ.45-46.

[3] 1728 წლის თბილისის ვილაიეთის დიდი დავთარი, ოსმალური ტექსტი ქართული თარგმანით, შესავლით, გამოკვლევებითა და ფაქსიმილეებით გამოსაცემად მოამზადეს აკად. ს. ჯიქიამ და პროფ. ნ. შენგელიამ, თბ., 2009, გვ.229-230.

[4] სცსსა, ფ.1448, საქმე 5010-ბ

ისევე როგორც ქართლის ფეოდალები მოვალენი იყვნენ თავიანთ მამულებზე მფლობელობის უფლება მიეღოთ ოსმალთა ხელისუფლებისაგან, მფლობელობის უფლების განახლება უზომო ხარჯებს ითვალისწინებდა. ფეოდალური სახლის გაღატაკებული წევრები, ხშირად ჰკარგავდნენ საგვარეულო ქონებაში მონაწილეობის უფლებას, რაზეც ხაზგასმით მიუთითებენ თურქული დოკუმენტები.[1]

დავთარი დიდი მეცნიერული ღირებულებისა და საინტერესო ცნობების შემცველია, ოსმალურ დოკუმენტებთან ერთად მეტად მნიშვნელოვანი წყაროა ოსმალობის პერიოდის საციციანოს მძიმე სოციალურ-ეკონომიკური, რელიგიური, ისტორიულ-გეოგრაფიული და დემოგრაფიული მდგომარეობის შემდგომი კვლევისათვის.

[1] ს.ჯიქია, ოსმალური იურიდიული დოკუმენტები XVIII საუკუნის პირველი ნახევრის ქართლში, აღმოსავლური ფილოლოგია, I, თბ.,1969, გვ. 185-188.

2.ოსმალური გადასახადები და სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა საციციანოს ნაჰიეში

1728 წლის თბილისის ვილაიეთის დიდი დავთარი, დიდი მეცნიერული ღირებულებისა და ყველაზე ფასეული წყაროა ამ პერიოდის საციციანოს ნაჰიეს შესასწავლად. იგი მდიდარ და მრავალმხრივ საყურადღებო მასალას შეიცავს ნაჰიეში ოსმალური საგადასახადო სისტემის შესახებ. მისი მნიშვნელობიდან გამომდინარე საკვლევი თემა ასევე რეალურ საფუძველს იძლევა „ოსმალობის“ ხანის საციციანოს ნაჰიეს მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შესასწავლად. მუშაობისას ვხელ-მძღვანელობდით ს. ჯიქიას, ნ. შენგელიას, მ. სვანიძის, გ. გაბაშ-ვილის, ც. აბულაძის საინტერესო კვლევებით, თუმცა ზოგჯერ ოსმალურ საგადასახადო ტერმინოლოგიის შინაარსსა და შეფასე-ბებში მათი განსხვავებული, მაგრამ საინტერესო დასკვნები, მოითხოვდა ფართოდ გავცნობოდით XVIII საუკუნის მეორე მეოთხედის ქართულ და ოსმალურ დოკუმენტურ მასალებსაც, რომლებშიც ასახული იყო ოსმალური მიწისმფლობელობის და მიწათსარგებლობის წესები, გადასახადები და საგადასახადო სისტემა.

ამდენად, ოსმალურ და ქართულ წყაროთა კრიტიკული და შედარებითი ანალიზი ამ საკითხების ჩვენეული ინტერპრეტაციის საფუძველს იძლეოდა. „დავთარი“ მეტად მნიშვნელოვანი პირველ-წყაროა, მასში დაცული ცნობები სანდოობით გამოირჩევა, რადგან ოსმალური დავთრები შედგენილია ადგილზე მომუშავე კომისიის მიერ, რომლის მონაცემები სულთნის კარზე ზუსტად მოწმდებოდა. მათი მხრიდან დაპყრობილი ქვეყნის აღწერა და მისი დავთრებში გატარება, მკვიდრი მოსახლეობის დაბეგრა ოსმალური გადა-სახადებითა და ვალდებულებებით, ადგილობრივი სოციალურ-ეკონომიკური სისტემის გაუქმებას და ოსმალური სოციალურ-

პოლიტიკური სისტემის შემოღებას ნიშნავდა.[1] მართლაც, საციციანოს (სისის- როგორც ოსმალები მოიხსენიებდნენ) პირველივე 51 კომლიან სოფელ სახდინეთში მოიხსენიება სახასო (სულთნის), სავაკუფო და ცარიელი მიწები. [2]

აღწერის ჩასატარებლად და დავთრის შესადგენად სულთნის მთავრობის მიერ ინიშნებოდა სპეციალური კომისია. მათი ხარჯების დაფარვა ,,ჩილდირის ვილაიეთის ჯაბა დავთარის" (1694-1732წწ.) მიხედვით ადგილობრივ მოსახლეობას უნდა გაეღო, ერთი ახჩა თითოეულ კომლზე, რაც საფუძველს გვაძლევს ვივარუდოთ, რომ 1728 წლის თბილისის ვილაიეთის დიდი დავთრის შედგენის ხარჯებსაც ადგილობრივი მოსახლეობიდან ამოიღებდნენ. გარდა ამისა „ოსმალო მოხელეთა დიდი ნაწილი, როგორც სამოქალაქო, ისე სამხედრო ხელფასს არ ღებულობდა ცენტრალური ბიუჯეტიდან. ასეთ კატეგორიას ნება ეძლეოდა აენაზღაურებინა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულება ადგილობრივი მოსახლეობის მიერ გაღებული გადასახადებიდან. დამპყრობლების საგადასახადო სისტემის მძარცველურ მიზანს წამოადგენდა, დაპყრობილი მოსახლეობიდან დიდძალი სიმდიდრე ამოეღოთ, თავიანთი მზარდი იმპერიული მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად. სწორედ ამას ემსახურებოდა სულთნის მრავალრიცხოვანი ადმინისტრაციული აპარატიც. ასეთი ფისკალური პოლიტიკა, ხელსაყრელ პირობებს უქმნიდა გადასახადის ამკრეფთა თვითნებობას და ძალმომრეობას.

დავთრის მიხედვით, ოსმალური გადასახადებისა და საგადასახადო სისტემის შედეგად მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის საილუსტრაციოდ წარმოვადგინეთ დანართი, (იხ. N1)

---

[1] ც. აბულაძე, ჩილდირის ვილაიეთის დიდი დავთარი, (1694-1732წწ.) თბ.,1979, გვ.29.

[2] 1728 წლის თბილისის ვილაიეთის დიდი დავთარი, წ. I, ოსმალური ტექსტი ქართული თარგმანით, შესავლით, გამოკვლევით და ფაქსიმილეებით გამოსაცემად მოამზადეს, ს. ჯიქიამ და ნ. შენგელიამ, თბ., 2009, გვ. 132.

საციციანოს ნაჰიეს გადასახადები ცხრილის სახით, საიდანაც კარგად ჩანს ოსმალებს, როგორ დეტალურად ჰქონდათ აღწერილი სოფლების მიხედვით კომლობრივი გადასახადები. დაანგარიშებულია ნაჰიეს სოფლების გადასახადთა საერთო ჯამი. დავთრიდან ჩანს ყველა ადგილობრივი რესურსი, რომლის გადასახადებით დაბეგვრა შეიძლებოდა, მათ შორის გაუკაცრიელებული ე. წ. „ცარიელი რეაია“. საციციანოს ნაჰიეს ცხრილიდან შკარად ჩანს, ცარიელი სოფლებია -19, მცირეკომლიანი სოფლები 1-დან 10-11კომლიანი - სულ 43 სოფელია. ერთი და იგივე რაოდენობის კომლიანი სოფლები გადასახადების განსხვავებულ რაოდენობას იხდიან, გადასახადის რაოდენობის საფუძველი ერთის მხრივ ამა თუ იმ სოფლის განსხვავებული რესურსებია, თუმცა არ გამოვრიცხავთ დევთერდარის პირად ინტერესებსაც.

დავთარში ხაზგასმით ნაჩვენებია საციციანოს მოსახლეობაზე დაწესებული მძიმე ოსმალური გადასახადები სოფლების მიხედვით, ჩამოთვლილია საციციანოს თითოეული სოფლის, დასახლებული პუნქტების, სათესველების მეურნეობის დარგები, გადასახადები მოყვანილი პროდუქტებიდან (მაგ.ხორბალი, ქერი, ფეტვი, ხილი, ბოსტნეული, თაფლი და სხვ.) ჯამში მითითებულია ამ პროდუქტების ფულადი ღირებულება სოფლების მიხედვით ახჩებში. ცნობილია, რომ თურქულმა საკადასტრო დავთრებმა განიცადეს ცვლილება სულეიმან კანუნის გამეფების შემდეგ (1520-1566წწ.) მისი ბრძანებით ნატურალური შემოსავლის აღნიშვნაში შეტანილი იქნა ყოველ- გვარი გადასახადის ფულადი ღირებულება ახჩებში. ყადის დამხმარე გადასცემდა ემინს ჰუჯათს (სასამართლოს გადაწყვეტილება) თითოეულის ნომინალური ღირებულების შესახებ, რომელსაც პორტა ამტკიცებდა და ემინს უგზავნიდა დავთარში შესატანად. საციციანოს ნაჰიეს სოფლების გადასახდის ნუსხა „ისფენჯით“ იწყება. ისფენჯი - გადასახადი იყო ქრისტიანთათვის. ვ.

გაბაშვილის განმარტებით.[1] ისფენჯს იხდიდნენ, როგორც დაქორწინებული, ისე დაუქორწინებელი მოსახლეობა, ნებართვაში მეურნეობის საწარმოებლად. ამ გადასახადის გარეშე მიწაზე მეურნეობის მოწყობას ვერავინ გაბედავდა. დავთრის მიხედვით თითოეული კომლი 120 ახჩას იხდიდა. ისფენჯის რაოდენობა იმდენად დიდი იყო, რომ მათ ეკარგებოდათ მეურნეობის წარმოების ინტერესი და ხშირი იყო საციციანოს ნაჰიეს ისედაც მცირე მოსახლეობის აყრა -გაქცევა და სოფლების გაუკაცრიელება. ამდენად, ხშირია საციციანოს ნაჰიეს სოფლების ჩამოთვლისას ფორმულირება, „ცარიელია რეაიასაგან“.

დავთარში ოსმალურ გადასახადთა შორის, გვხვდება „დეშთიბანის და მიწაზე თაფუს“[2] გადასახადი. XVI-XVII საუკუნეებში ამ გადასახადების შესახებ ვ. გაბაშვილის და ნ. შენგელიას მიერ გამოთქმულია საინტერესო მოსაზრებები. მიუხედავად იმისა, რომ ამ პერიოდის ოსმალეთის იმპერიაში მიწის ფეოდალური საკუთრების ზოგიერთი ფორმა შინაარსობლივად განსხვავდებოდა, XVIII საუკუნის მეორე მეოთხედის „ოსმალობის“ პერიოდის ფეოდალური მიწისმფლობელობის ფორმებისგან. მაგ. ცალკე „თაფუს“ ნ. შენგელია ყოველწლიურ გადასახადად არ მოიაზრებდა და აღნიშნავდა: „გაიღებოდა მაშინ, როცა მიწის ნაკვეთი ერთი მფლობელიდან, სხვადასხვა მიზეზების გამო მეორის ხელში გადადიოდა“. გამოთქვამდა ვარაუდს, რომ დეშთიბანი, ველზე დაწესებული გადასახადი უნდა ყოფილიყო და მხოლოდ თაფუსთან ერთად დამოწმებული დეშთიბანი შეიძლებოდა ყოფილიყო ყოველ-

---

[1] ვ. გაბაშვილი XVIIIს. მეორე მეოთხედის ქართული დოკუმენტური მასალები, როგორც წყარო მახლობელი აღმოსავლეთის სოციალურ-ეკონომიური ისტორიისათვის, თსუ შრომები ტ. 91, თბ.,1960, გვ. 313-314.

[2] tapu-მოწმობა (ქონების), ქართულ-თურქული და თურქულ-ქართული ლექსიკონი, შემდგნელი, ორჰან მემიში, თბ., 2009წ. გვ.365.

წლიური გადასახადი.[1] მართლაც, დეშთიბანი პირდაპირ თარგმანში ველზე და მინდვრებზე, ანუ ნათესებზე დაწესებული გადასახადია. ვ. გაბაშვილის განმარტებით "თაფუ", მიწათსარგებლობის წერილობითი პირობა და სარგებლობის გადასახდელი იყო."[2] ამ მოსაზრებათა გათვალისწინებით და დავთრის კრიტიკული ანალიზით, დეშთიბანის და თაფუს გადასახადი ყოველწლიური, მიწათსარგებლობისა და მიწის მფლობელობისათვის დაწესებული კომლობრივი გადასახადი იყო და არა მხოლოდ მიწის მფლობელის შეცვლისას ერთდროული გადასახადი. თუ გავითვალისწინებთ, რომ ოსმალური კანონმდებლობით, დაპყრობილი მიწები სახელმწიფო საკუთრება იყო, მიწისმფლობელი კი მხოლოდ იმის მესაკუთრე, რაც ამ მიწაზე იყო მოყვანილი და აგებული, მაშინ, აღნიშნული გადასახადი მიწის მფლობელობის უფლების მიღებასთან დაწესებული ყოველწლიური გადასახადი იყო. სწორედ ამიტომ მამის გარდაცვალების შემდეგ მემკვიდრე მიწას დამატებითი გამოსაღების გარეშე მიიღებდა. მემკვიდრის არ ყოლის შემთხვევაში კი, მათ შორის ძმას ან ქალიშვილს ე.ი. მიწის ახალ მფლობელს მხოლოდ ამ უფლების მიღების შემდეგ გადაეცემოდა. დავთრიდან აშკარად ჩანს დეშთიბანის და თაფუს გადასახადის მკვეთრად განსხვავებული რაოდენობა. განსხვავების საფუძველი იყო მიწის ფართობი, მიწის ვარგისიანობა-მოსავლიანობის ხარისხი, ადგილმდებარეობა და სხვ.

1728 წლის თბილისის ვილაიეთის დიდი დავთრის მიხედვით შევეცადეთ დაგვედგინა კომლზე დეშთიბანის და თაფუს გადასახადის ოდენობა, ეს კიდევ ერთი მძარცველური გადასახადი აღმოჩნდა, რომელმაც გამოკვეთა საციციანოს ნაჰიეს ეკონომიკური

---

[1] ნ.შენგელია, ოსმალური გადასახადები და ვალდებულებანი „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთრის მიხედვით", თსუ შრომები 91, აღმოსავლეთმცოდნეობის სერია II,თბ.,1960, გვ.286-288.

[1] dest- მინდორი, ველი. Ban- საქმიანობის მაწარმოებელი აფიქსი.

[2] ვ.გაბაშვილი, ქართული ფეოდალური წყობილება XVI-XVII სს, თბ., 1958, გვ. 217

სიდუხჭირე, მოსახლეობის გადამხდელუუნარობა, მიწების მოუსავლიანობის სიჭარბე, რაც შემცირებულ მოსახლეობას მიწის დამუშავების და მოსავლიანობის ინტერესს უკარგავდა. მიწების მოსავლიანობიდან გამომდინარე განსხვავდებოდა გადასახადის ოდენობა:

1. კარგ შემოსავლიან მიწებზე 30-40 ახჩას იხდიდნენ, შემდეგი სოფლების თითოეული კომლი: ოქითი-40 ახჩა, ჯოხისი -32,3 ახჩა და სანატრისი- 31,8 ახჩა;

2. საშუალოდან, 10-დან-25 ახჩას იხდიდა ოცი სოფლის მოსახლეობა: ბიჯნისი-25, ქუდირი-20,5, გორაზინა- 21, ახალქალაქი-22,2, თუსი, ახალშენი და კაბრისუბანი ერთად-20 ახჩას, ვანითა-15,2, ოდნისი-15, ესქიჯა-14,9, ბურბუთი და საჯიეს უბანი ცალ-ცალკე -13,3 ახჩას, ბოსლეთი-12,9, ორბიუთი-12,6, მაქვითი-12,1, ანსაკიმი-11,3, ღულუ-10,8 ახჩას. რაც შეეხება სოფლებს: ქაღდო, ამირხო, ზემოვეთი, კალიბი იხდიდნენ 10-10 ახჩას.

3. დანარჩენი მოუსავლიანი სოფლები იხდიდნენ 0,5-1,2 ახჩადან, 10 ახჩამდე.

დავთრის მიხედვით შევეცადეთ დაგვედგინა მარცვლეულის (ხორბალი, ქერი, ჭვავი, ფეტვი) მოსავლიანობა საციციანოს ნაჰიეში, რომელმაც შეადგინა ქილებით -28 663 ქილა (716575კგ). ახჩებით - 500 235 ახჩა. მიუხედავად საციციანოს რელიეფური მდებარეობისა საკმაოდ მაღალპროდუქტიული ჩანს აღნიშნული ტრადიციული დარგი. დავთრის მიხედვით ყველაზე მეტ მარცვლეულს აწარმოებდა- სოფ. სანატრისი, ახლოსაა სათესველ გომთან, სანატ-რისში-110 კომლია, დავთრის მიხედვით სოფელს უნდა გადაეხადა 830 ქილა მარცვლეული. თუ ჩავთვლით, რომ 1 სტამბოლური ქილა 25კგ-ია.[1] (830x25= 20750კგ.) ე. ი. 20750 კგ-ს იხდიდა სოფელი. 1 კომლი კი იხდიდა დაახლოებით 190კგ. მარცვლეულს. შესაბამისად 1კგ. ხორბლის ფასმა დაახლოებით შეადგინა -1,25 ახჩა.

---

[1] ნ.შენგელია, XVI-XVIII საუკუნეების ოსმალური დოკუმენტური წყაროები, წიგნი I, თბ.,1987, გვ.285.

დავთრის მიხედვით საციციანოს ნაჰიეს 46 სოფელშია წისქვილი. წისქვილზე გადასახადის რაოდენობა მისი სიმძლავრით განისაზღვრებოდა. მთელი წლის განმავლობაში დაწესებული გადასახადი შეადგენდა 120 ახჩას, ამის შესაბამისად წისქვილის ყოველ დამატებით თვალზე ემატებოდა 120 ახჩა. გვაქვს გამონაკლისი შემთხვევებიც, როცა დაწესებულ გადასახადზე ნაკლებს ახდევინებდნენ, მაგ. 13 კომლიანი სოფელი ხიდისთავი ერთთვლიან წისქვილზე სრული წლით იხდიდა 60 ახჩას, მაშინ როცა მეზობელ სოფ. ქვახვრელშიც წისქვილი არ ფუნქციონირებდა, ასევეა სოფ. სასხორში.[1] ე.ი. გადასახადზე დამატებით აისახებოდა წისქვილის გამართული მუშაობის ხანგრძლივობა, მდინარის სიდიდე, აღწერისას წისქვილის ტექნიკური მდგომარეობა, მფლობელის და დავთარდარის ინტერესები. წისქვილის გამართულ მუშაობაზე პასუხისმგებლობა რეალურ მფლობელს ეკისრებოდა, თუ თიმარზე იქნებოდა მიწერილი-მის მფლობელს. დავთრის მიხედვით სახასო წისქვილი მხოლოდ სოფ. აზანში ფუნ-ქციონირებდა, სოფელ ზნადიქში კი „გავერანებულია“. საციციანოს ნაჰიეში წისქვილზე შეწერილი გადასახადის საერთო რაოდენობა 19660 ახჩაა.

დავთრის მიხედვით უშრის გადასახადს იხდიდნენ აგრარული მეურნეობის ყველა დარგზე, ვენახზე, ბოსტნეულზე, ხილზე, ყველა სახის მარცვლეულზე, თაფლზე და სხვ. რომელიც მოსავლის მეათედს ითვალისწინებდა. გაწერილი იყო იმ დარგებზეც, რომლებსაც ოსმალები არ მისდევდნენ. ვენახები ზუსტად იყო აღრიცხული სოფლების მიხედვით და მისი დღიური მფლო-ბელებით და მასზე საკმაოდ დიდ გადასახადს იხდიდნენ -174 780 ახჩას. ჩანს მათზე უფლება ოსმალებთან „დამსახურების“ და

[1] 1728 წლის თბილისის ვილაიეთის დიდი დავთარი, წ. I, ოსმალური ტექსტი ქართული თარგმანით, შესავლით, გამოკვლევით და ფაქსიმილეებით გამოსაცემად მოამზადეს, ს. ჯიქიამ და ნ. შენგელიამ, თბ., 2009, გვ. 168,135.

გარიგების წყალობით მიიღებოდა, მათ შორის გავლენიანი ციციშვილები ბაგრატი, ქაიხოსრო და ფარსადანი ამ პრივილეგიებით სარგებლობდნენ. მათ შორის ვენახის დღიურ მფლობელებად გვხვდება სხვა ნაჰიებიდან გადმოსული და გამაჰმადიანებული ქართველები.[1] დავთრის მიხედვით 10 დონუმ ვენახზე გადასახადი- 40 ახჩა იყო. (1დონუმი - 40 ნაბიჯია.) 20 დონუმზე შესაბამისად- 80 ახჩა და ა.შ. მაშინ როცა XVI საუკუნის კანონ-ნამეების მიხედვით ორ დონუმ მიწაზე ერთი ახჩა გაიღებოდა.[2]

სკებზე გადასახადს საციციანოს ნაჰიე იხდიდა 8 870 ახჩას. ჩვენი გამოანგარიშებით თითო სკაზე იღებდნენ 2-დან -2,5 ახჩას, რამოდენიმე სოფელში- 3,5ახჩას, ფუტკრის პროდუქტიულობიდან გამომდინარე. სკების რაოდენობა საციციანოს ნაჰიეში დაახლოებით 4 435-ცალ სკას შეადგენდა. დავთრის მიხედვით გაურკვევლი რჩება თაფლის და მეფუტკრეობის არანაკლებ მნიშვნელოვანი პროდუქტის ფუტკრის ცვილის ფასი, რომელიც ძველთაგანვე ფართო მოხმარების საგანს წარმოადგენდა. ყოველ სოფელზე დაახლოებით 40 სკა მოდიოდა. მეფუტკრეობის განსაკუთრებული პირობების მქონე საციციანოს მთიანი გაპარტახებულ-გაუკაცრიელებული სოფლები-სათვის, მძიმე ოსმალური გადასახადის გამო შემოსავლიანი დარგი არ უნდა ყოფილიყო.

ამას ვერ ვიტყვით მეცხვარეობაზე. იგი მეცხოველეობის ყველაზე ფართოდ გავრცელებული, ერთ-ერთი ტრადიციული დარგია. საციციანოს ნაჰიედან ჩანს, რომ ცხვრის გადასახადი ყოველ სოფელზეა შეწერილი და მეცხვარეობის განვითარებას განსაკუთრებული ყურადღება, მომთხოვნელობა ჰქონდა ოსმალთა მხრიდან და დაბალი გადასახადით გამოირჩეოდა. ჯერ კიდევ XVI

---

[1] 1728 წლის თბილისის ვილაიეთის დიდი დავთარი, წ. I, ოსმალური ტექსტი ქართული თარგმანით, შესავლით, გამოკვლევით და ფაქსიმილეებით გამოსაცემად მოამზადეს, ს. ჯიქიამ და ნ. შენგელიამ, თბ., 2009, გვ. 142, 151, 154,172, 190, 203.

[2] ნ.შენგელია, გადასახადები და საგადასახადო სისტემა XVIსაუკუნის ოსმალეთში, თსუ შრომები ტ.VI, ნაკვ.2, თბ.,1962.გვ.124-127.

საუკუნეში ცხვრის გამოსაღები გამიზნული იყო სულთნის ლაშქრის შესანახად. დანართის მიხედვით საციციანოს ნაჰიეში ცხვრის გადასახადი შეადგენდა 38 015 ახჩას. მკვლევარ ნ. შენგელიას მოსაზრებაზე დაყრდნობით აღნიშნული ცხვრის გამოსაღების ტრადიციული წესის მიხედვით „ორ ცხვარზე -1 ახჩა“[1] გაიღებოდა. აქედან გამომდინარე შევძელით გამოანგარიშება, რომელმაც შეადგინა 19 000 სული ცხვარი საციციანოს ნაჰიეში, თუ ბატკნების რაოდენობასაც გავითვალისწინებთ აშკარაა მეცხოველეობის ამ დარგის რენტაბელობა, რასაც ვერ ვიტყვით მესაქონლეობაზე.

საციციანოში მესაქონლეობის განვითარებაზე ძნელია რაიმეს მტკიცება ფაქტობრივი მასალების ნაკლებობის გამო. ოსმალურ პირველწყაროში, 1728 წლის თბილისის ვილაიეთის დიდ დავთარში, არსადა არის ნახსენები გადასახადი მსხვილფეხა საქონელზე: ძროხაზე, ხარზე, კამეჩზე, თუ არ ჩავთვლით ძირითად გადასახადად ერბოს, რომლის ფასს ნაჰიეში შეადგენდა 18 239ახჩას. თითოეულ კომლზე 5, 3 ახჩა მოდიოდა, აქედან გამომდინარე მესაქონლეობა მეცხვარეობას მნიშვნელოვნად ჩამორჩებოდა და ვფიქრობთ არარენტაბელური დარგი უნდა ყოფილიყო. თუმცა მიწის დამუშავების მთელი სიმძიმე ამ დარგს ემყარებოდა და ვფიქრობთ ოსმალური მიწათმფლობელობის დამკვიდრებაში მნიშვნელოვან როლსაც ასრულებდა, რადგან გადასახადების გარდა ნაჰიეს მოსახლეობა დაბეგრილი იყო ათასგვარი ვალდებულებებით[2]. ავალდებულებდნენ შეესრულებინათ სხვადასხვა სამუშაოები, გაეწმინდათ და მოეწესრიგებინათ სარწყავი სისტემა, აეშენებინათ

---

[1] ნ. შენგელია, ოსმალური გადასახადები და ვალდებულებანი „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთრის მიხედვით“, თსუ შრომები 91, აღმოსავლეთმცოდნეობის სერია II,თბ.,1960, გვ.296-297.

[2] დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან, ბატონყმური ურთიერთობა(XV-XVIIIსს.), ნ. ბერძენიშვლის რედაქციით, თბ.,1940, გვ.229,დოკ#320; გვ.259, დოკ.#370.

ოსმალო მოხელეთა საცხოვრებლები, შეეკეთებინათ გზები და ხიდები, მოემარაგებინათ შეშით, გადაეზიდათ ტვირთი (მათ შორის სამხედრო), ევალებოდათ საგანგებო გადასახადების გაღება საომარი ოპერაციების დაწყებამდე საბრძოლო გზების გაყვანის, მათი უსაფრთხოების და მოლაშქრეთა სხვა შესანახი ხარჯისთვის. ამის საილუსტრაციო დოკუმენტია, ჩვენამდე მოღწეული ყაფლანიშ-ვილების მამულის 1724-1735 წწ. მირისა და სარდლის გზის ხარჯის ნუსხა. საათაბაგოსაკენ გამავალი სტრატეგიული მნიშვნელობის გზების გამო, ვფიქრობთ, საციციანოს ნაჰიესთვისაც ასეთი ხარჯები, სავალდებულო უთუოდ იქნებოდა.[1] კოჩიბეი გორიჯელის მეორე რისალეში სურსათის გადასახადის შესახებ ვკითხულობთ: „ეს გადასახადი გაიწერება რეაიაზე ომის დროს. სურსათი გაიღება ქერის, ხორბლის, ფქვილის, შეშის სახით იმ ზომით, რა ზომითაც არის განსაზღვრული. რაიას მიაქვს დანიშნულ ადგილზე ... თუ ომი არ არის, რაიასგან სურსათის გადახდევინება არ შეიძლება.“[2]

აღნიშნული დოკუმენტები საფუძველს იძლევა ვივარაუდოთ, რომ იხდიდნენ არა მარტო სურსათის გადასახადს, ოსმალთა ხშირი ლაშქრობებისას, იმ ადგილობრივი მოსახლეობისაგან, სადაც ლაშ-ქარი გაჩერდებოდა, არამედ ამას ემატებოდა ფეშქაში და სამას-პინძლო - გადასახადის ამკრეფთათვის, საფინანსო მოხელეების დაბინავება -გამასპინძლებისთვის, რომელთა ნაწილის გადახდის სიმძიმე მსხვილფეხა საქონელზე მოდიოდა.

საციციანოს ნაჰიეში ყველაზე ნაკლებად არის განვითარებული მეღორეობა, ცხრილიდან ჩანს, რომ 37 სოფელში გადასახადების ჩამონათვლის სიაში არ არის გადასახადი ღორზე. სამაგიეროდ სხვა სოფლებში ღორზე გაცილებით მეტს იხდიდნენ -11856 ახჩას. დარგი

---

[1] მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის, წიგნი III, (აღმშენებლობა, სახელმწიფო ეკონომიკა, ქონება) მასალები შეარჩია, და გამოსაცემად მოამზადა ნ.ბერძენიშვილმა, თბ., 1955წ.დოკ.#26. გვ.37-39.

[2] А .Тверитинова , Второй трактат Кочибея „Учебные записки института Востоковедения“ VI,М. 1953,стр.245;

მნიშვნელოვნად ჩამორჩებოდა მეცხოველეობის სხვა დარგებს. მეღორეობის განვითარებას წინააღმდეგობა უთუოდ ექნებოდა ოსმალთა რელიგიური დოგმების გამო.

ოსმალეთის ხელისუფლება დიდ ყურადღებას აქცევდა სათიბების და საძოვრების მოვლა-პატრონობას, რომელთა შემოღობვა და დათესვა აკრძალული იყო. მათი დაცვის მიზნით საკმაოდ დიდი გადასახადებით იბეგრებოდნენ დამნაშავენი ბადიჰავას ჯგუფის გადასახადებით. საციციანოს ნაჰიე თივაზე - 2985 ახჩას იხდიდა.

საციციანოს ნაჰიეში მოსახლეობის პირადი ცხოვრების განკარგვის უფლება ოსმალო დამპყრობლების ხელთ იყო. არუსანე კომლობრივი საქორწინო გადასახადი იყო. ზოგიერთი სოფლის გადასახადის ჩამონათვალში არუსანეს მაგიერ პირდაპირ საქორწილო გადასახადი გვხვდება და განსაზღვრულია ყველგან 120 და 180 ახჩით. სულ ნაჰიე იხდის 9955ახჩას, გამომდინარე კომლთა გადამხდელუნარიანობის და დავთარდარის პირადი სარგებლის გათვალისწინებით. როგორც დავთრიდან ჩანს რამოდენიმე მცირე-კომლიანი სოფელი გათავისუფლებულია ამ გადასახადისგან, ესენია: ვანდათუბანი, ბილი, მილსი, ზათათრისი, ძამა, აგარა, ხანდისი, ქარბუდეთი. აღნიშნული სოფლები მცირეკომლიანია, როგორც ჩანს ძირითადად ხანდაზმული ადამიანების ამარა დარჩენილი, გაუკაცრიელების პირას მისული სოფლებისთვის საქორწილო გადასახადისგან გათავისუფლების შეღავათი ამჯობინეს.

დავთრის მიხედვით ბადიჰავა გაერთიანებულია სხვადასხვა გადასახადების ჯგუფში.[1]

---

* ბადიჰავას ჯგუფის გადასახადებზე დახმარებისათვის მადლობას ვუხდი რეჯეფ ტაიფ ერდოღანის უნივერსიტეტის პროფ. ჰარუმ ჩიმქეს.

[1]„ბად“ სპარსულად ნიშნავს ქარს. არაბ. ჰაერი, ჰავა. თურქ. ჰაერი, ამინდი, ქართულ-თურქული და თურქულ-ქართული ლექსიკონი, შემდგნელი, ორჰან მემიში, თბ. 2009, გვ.5.

1728 წლის თბილისის ვილაიეთის დიდი დავთრის მიხედვით ამ გადასახადთა ჯგუფიდან ბადიჰავა[1] პერიოდული და შემთხვევითი არ არის, პირიქით იგი ყოველწლიური გადასახადია საციციანოს ნაჰიეში. მართალია, ცალკე ბადიჰავაზე რამდენი ახჩა მოდიოდა დაანგარიშებული არ არის. სამაგიეროდ 58 კომლიან სოფ. ავნუზში მითითებულია, რომ სოფელი იხდიდა, მხოლოდ „ნახევარ ბადიჰავას -120 ახჩას“.

ამრიგად, მარტო ბადიჰავზე ამ გადასახადთა ჯგუფიდან მოდიოდა ყოველწლიური გადასახადი -240 ახჩა.

ბადიჰავასთან ერთად გაერთიანებული იყო სრულიად სხვადასხვა კატეგორიის გადასახადები ესენია: ჯურუმ[2] ჯიბაიეთის, იავასა და კაჩკუნის, [3] (დაკარგული საქონლის, აყრილ - გაქცეული რაიას პოვნის შემთხვევაში დაკისრებული გადასახადი). ბეითალმალის ამესა და ხასეს, [4] დიმე დიეთის,[5] თაიარეთ საირე,[6]

---

[1] 1728წლის თბილისის ვილაიეთის დიდი დავთარი, წ. I, ოსმალური ტექსტი ქართული თარგმანით, შესავლით, გამოკვლევით და ფაქსიმილეებით გამოსაცემად მოამზადეს, ს. ჯიდა ნ. შენგელიამ, თბ., 2009, გვ. 168,133-222. შდრ. ნ.შენგელია, გადასახადები და საგადასახადო სისტემა XVIს. ოსმალეთში, თსუ შრომები ტ.VI, ნაკვ.2, თბ.,1962.გვ.142.

[2] cürüm-დანაშაული. ქართულ-თურქული და თურქულ-ქართული ლექსიკონი, შემდგნელი, ორჰან მემიში, თბ., 2009, გვ.269. ჯურუმ ჯიბაიეთი-გადასახადი დანაშაულზე.

[3] იქვე, 1) გაქცევა, 2) დაკარგვა, გვ.332

[4] „ოსმალეთის სინამდვილეში ბეიათ -ულ -მალი ორნაირი იყო : ბეიათ -ულ -მალი ჰასსა და ბეიათ -ულ -მალი `ამმე- ე. ი.ბეიათ -ულ -მალი სამეფო, სახელმწიფო და ბეიათ -ულ -მალი სახალხო, საზოგადო.“ ს. ჯიქია, XVIII საუკუნის თურქული დოკუმენტები ოქროს ციხის შესახებ, თსუ შრომები 91, აღმოსავლეთმცოდნეობის სერია, II, თბ.1960, გვ.178;

[5] ძნა, კონა, ქართულ-თურქული ლექსიკონი შემდგნელი, ორჰან მემიში, თბ., 2009წ. გვ.281

[6] იქვე, (დანაშაულის)საიდუმლოს შენახვა, გვ. 382.

მალი გაიფ ვე მალი მეფკუდი.[1] უპატრონო, ან აყრილ-გაქცეულთა მიწა გადადიოდა სახელმწიფო (სულთნის სახასო) მფლობელობაში. აღნიშნული თარიღიდან სამ თვეში თუ გამოჩნდებოდა მისი მემკვიდრე და ამას დაასაბუთებდა არგუმენტებით მაშინ დაუბრუნ-დებოდა მემკვიდრეს. მკვლევარი ს. ჯიქია აღნიშნავდა: „ამ კატეგორიისათვის ტიპიურია გადახდის არაპერიოდულობა, არარეგულირება...გადასახადი შემთხვევითია, მაგ. საქორწინო გადასახადი, ჯარიმა რაიმე დანაშაულის ჩადენისათვის და ბოროტმოქმედებისათვის, გადასახადი ნაპოვნ ცხოველებზე, გაქცეულ ყმებზე, დაკარგულ ნივთებზე და სხვ.“[2] ვეთანხმებით აკად. ს.ჯიქიას მოსაზრებებს, მაგრამ დამატებით ავღნიშნავ, რომ 1728 წლის თბილისის ვილაიეთის დიდ დავთრის მიხედვით საქორწინო გადასახადი ბადიჰავას ჯგუფისგან სრულიად ცალკეა. აქ ჩანს მხოლოდ სხვადასხვა შემთხვევით ჩადენილ დანაშაულებებზე დაწესებული ერთჯერადი გადასახადები (ჯარიმები). ჯარიმები ჩადენილი დანაშაულის სიმძიმის მიხედვით მკვეთრად შეცვლილია. ისჯებიან დანაშაულის საიდუმლოს შემნახავნი და მფარველნი, თივის, საქონლის, საყოფაცხოვრებო ნივთების, სასოფლო-სამეურნეო ინვენტარის და სხვ. ქურდობისთვის, სხვადასხვა ზარალის მიყენებისთვის, აყრა-გაქცევის მცდელობისთვის და სხვა. დავთარში ნახსენებია აგრეთვე ბეითალმალის ამესა და ხასეს გადასახადი, სადაც გვხვდება ძირითადად ორივე მნიშვნელობით, ე.ი

---

[1] მალი გაიფ-ნიშნავს დაკარგულ საქონელს, ჩამოწერილ თანხას. იგი საფინანსო უწყების მიერ ხშირად იხმარებოდა დოკუმენტების შედგენისას და გარკვეული თანხის უქონლობის, დანაკლისის გამომხატველი ტერმინი იყო. შენგელია ნ., XVI-XVIII საუკუნეების ოსმალური დოკუმენტური წყაროები ნ. შენგელია, წიგნი I, თბ.,1987, გვ.274, მალი გაიფ ვე მალი მეფკუდი-უპატრონო მიწის დასაკუთებისათვის ჯარიმა.

[2] ს. ჯიქია, XVIII საუკუნის თურქული დოკუმენტები ოქროს ციხის შესახებ , თსუ შრომები 91, აღმოსავლეთმცოდნეობის სერია, II, თბ.,1960, გვ.184;

ბეითალმალის ამეს გადასახადი რჩებოდა მიწის მფლობელს, ბეითალმალის ხასეს გადასახადი კი საციციანოდან (სულთნის სახასო) მიწებიდან სახელმწიფო ხაზინაში შედიოდა.

დავთარი მიანიშნებს ოსმალობის შედეგად მომრავლებულ ნასოფლარებს, დაცარიელებული ეკლესიებს, რომლებიც სათეს-ველების, ცარიელი „რეაიას“ მისანიშნებელ პუნქტად გადაქცეულა. კითხვას ბადებს ის ფაქტი, რომ საციციანოს ნაჰიეში მისანიშნებლად არსად სახელდება ციხე-სიმაგრეთა სახელები. რაც პირდაპირ მიგვანიშნებს იმაზე, რომ ოსმალების მიერ ქვეყნის დაპყრობის შემდეგ სტრატეგიული მნიშვნელობის პუნქტებსა და ციხე-სიმაგრეებს ხშირად სულთნის სპეციალური ბრძანებით ანგრევდნენ.

ამდენად, სწორედ საციციანოს ნაჰიეს სტრატეგიული მდე-ბარეობის და ანტიოსმალური აჯანყებების თავიდან აცილების მიზნით ვფიქრობთ, იგივე გავრცელდა ატენის, წედისის, მძოვრეთის, სამწევრისის, აბუჰალოს და სხვ. ციხე-სიმაგრეეზე. ანტიოსმალურ განმათავისუფლებელ ბრძოლებში დაუმორჩილებლობით ცნობილი საციციანოს ბრძოლებიდან გამომდინარე სულთნის მთავრობა ერთის მხრივ, შიშობდა ციხე-სიმაგრეების ხელში ჩაგდებით ადგილობრივ მმართველებს არ მისცემოდათ წინააღმდეგობის გაწევის საშუალება. მეორეს მხრივ, არ გამხდარიყო საჭირო ოსმალეთის სამხედრო ძალების დიდი ნაწილის უმოქმედოდ დაბანდება. მაშინ, როგორც წესი, სიფაჰებს (მხედრები) ოსმალური კანონმდებლობით უნდა მისცემოდათ თიმარები ახლად დაპყრობილ სოფლებში, რაც კიდევ უფრო მტრულად განაწყობდა ადგილობრივ მოსახლეობას მათ წინააღმდეგ, ან უნდა დაექირავებინა ადგილობრივი მოსახლეობა, დამხმარე ძალად, რომლებიც განსაკუთრებულ პრივილეგიებს მოითხოვდა, მათი მომძლავრება კი სულთნის კარის გეგმებში არ შედიოდა და თანაც მათი „ერთგულების“ ოსმალებს არ სჯეროდათ. ამიტომ იძულებულები იყვნენ რეგულარული არმიის მცირე ნაწილი სარეზერვოდ

ჰყოლოდათ, ციხე-სიმაგრეთა დანგრევა კი ბევრად უფრო უსაფრთხო იქნებოდა.

დავთრის მიხედვით ქართული ეკლესიის შესახებ პირდაპირი ცნობები არ ჩანს და ვფიქრობთ არც ფუნქციონირებდა, ნაჰიეში არც მუსლიმურ სალოცავებზეა ცნობები. თუმცა ცნობილი ფაქტია, რომ ოსმალო დამპყრობლები ყოველთვის გამოირჩეოდნენ სისასტიკით ქართული ეკლესიისა და სასულიერო პირთა მიმართ.

ამ მხრივ ყურადღებას იქცევს სოფ. ატენის [1] გადასახადთა ჩამონათვალში, მურახხასიე გაბრანი,* რომელიც შეადგენდა თითოეული კომლიდან 30-30 ახჩას. აქედან ჩანს, რომ მთელ საციციანოს ნაჰიეში მხოლოდ ატენის საეპისკოპოსოში ფუნ-ქციონირებდა ქრისტიანული ეკლესია, რომელიც მცირე მამულებს ინარჩუნებდა.

სახეზე გვაქვს მძიმე გადასახადი სასულიერო პირზე და სოფლის მრევლზე. ყმა-მამულის, საეკლესიო სიმდიდრის ჩამორთმევით, ცდილობდნენ ეკონომიკურად ისე დაესუსტებინათ ქრისტიანული ეკლესია, რომ ანტიმაჰმადიანური მოძრაობის პროპაგანდა ვეღარ შეძლებოდა. „ანტიმაჰმადიანური პროპაგანდა კი გულისხმობდა არა მარტო ქრისტიანობის განმტკიცებას, არამედ უპირველეს ყოვლისა, ქართული მიწისმფლობელობის დაცვას, რამდენადაც გამაჰმადიანებას უშუალოდ თან სდევდა არსებითი

---

*მურახხასიე გაბრანი - ოსმალეთის იმპერიაში ეპისკოპოსებისათვის დაწესებული ოსმალური გადასახადი. შენგელია ნ., XVI-XVIII საუკუნეების ოსმალური დოკუმენტური წყაროები ნ. შენგელია, წიგნი I, თბ.,1987, ტერმინოლოგიური შენიშვნები, გვ. 276.

[1] 1728 წლის თბილისის ვილაიეთის დიდი დავთარი, წიგნი I, ოსმალური ტექსტი ქართული თარგმანით, შესავლით, გამოკვლევით და ფაქსიმილეებით გამოსაცემად მოამზადეს, ს. ჯიქიამ და ნ. შენგელიამ, თბ., 2009, გვ.173.

ხასიათის ცვლილებები საადგილმამულო ურთიერთობაში და მიწათსარგებლობის წესებში.“[1]

ამრიგად, ოსმალო ხელისუფლება გამიზნულად ყველაფერს აკეთებდა, რათა ეკონომიკურად დაესუსტებინა ქრისტიანული ეკლესია, მისი მფარველობის და სიძლიერის რწმენა ისე შეერყიათ, რომ ადვილად განდგომოდნენ ქრისტიანობას, რათა დამორ-ჩილებულ, გაძარცულ, დამცირებულ მოსახლეობაში ადვილად შეემზადებინათ ნიადაგი ისლამის გასავრცელებლად და „ოსმალობის“ (ოსმალური სოციალურ-პოლიტიკური სისტემის) დამკვიდრებისათვის. ყოველივე ამის გათვალისწინებით სასუ-ლიერო პირებს უჭირდათ ყადის სასამართლოში სამართლიანი ჰუჯათი მიეღოთ. 1734 წელს სოფელ ატენის მცხოვრები, ვინმე მარიამ მოლოზანი და მისი შვილი ვახტანგი სამი წლის წინ...ორმოცდახუთ ყურუშად დაგირავებული საკუთარი ბაღ-ვენახის დაბრუნებას ითხოვდა „ზიმმის პაპუნა დოქიძესგან... აღნიშნული წლების გან-მავლობაში მოწეულ მოსავალს თვითონ იღებს და... პაპუნასაგან დაგვიბრუნდეს[ო] ...მომჩივნებს საბოლოოდ უარი ეთქვათ საჩივარზე.“[2]

ოსმალო დამპყრობლების ხელში აღმოჩნდა საციციანოს ნაჰიეს მნიშვნელოვანი ადგილ-მამულები, რასაც ნათლად წარ-მოგვიდგენს აჰმედს ხან მეჰმედის ძის თურქული ფირმანი: „...ამას წინათ გორის სანჯაყსა და გორის ნაჰიეში ატენ და წედისად წოდებული სოფლების სარჩო-საკვების წესით მფლობელი მუსტაფა ფაშა გარდაიცვალა და ეს მამული გათავისუფლდა. ამიტომ ახალი აღწერის შესაბამისად [1727წ.11.V]…დიდებული მუშრიბის... ჩილდირის ვილაიეთის მფლობელის, თბილისის ციხისთავისა და

---

[1] ვ. გაბაშვილი XVIIIს. მეორე მეოთხედის ქართული დოკუმენტური მასალები, როგორც წყარო მახლობელი აღმოსავლეთის სოციალურ-ეკონომიური ისტორიისათვის, თსუ შრომები ტ.91, თბ.,1960, გვ. 346.

[2] ს.ჯიქია, ოსმალური იურიდიული დოკუმენტები XVIII საუკუნის პირველი ნახევრის ქართლში, აღმოსავლური ფილოლოგია, I, თბ., 1969, გვ. 187.

ჩემი ვეზირის ისჰაკ ფაშას მიერ...იჯმალის (მოკლე) დავთრის სათანადო შესწორებით, ეს ოცდაერთი ათასი ახჩა შემოსავლის მქონე ზეამეთი[1] ებოძა წყალობის მაძიებელს მის შვილს...ალის.... ამიტომ აღნიშნული ოცდაერთი ათასი ახჩიანი ზეამეთი...ახალჩატარებული აღწერის შესაბამისად ვუბოძე ზემოხსენებულ ალი მუსტაფას ძეს.... იმ პირობით, რომ თავის სანჯაყში იცხოვროს და თავისი ალაიბეგის[2] დროშის ქვეშ ლაშქრობაში გამოვიდეს, და, ზემოხსენებული ვეზირის თეზქერეს საფუძველზე მივეცი, რაც აქვე იხსენიება: სოფ. ატენი უბნებითურთ ... შემოსავალი 15 000ახჩა. სოფ. წედისი სოფელ ბნავისითურთ და სათესველით...შემოსავალი 6 000ახჩა. ჯუმალი - 21 000 ახჩა....მის მფლობელობაში იყოს, ისე, რომ... საფადიშაჰო სამსახურებრივი მოვალეობანი და სამადლობელი სამსახური

---

[1] ზეამეთი- სამხედრო სამსახურის სანაცვლოდ გაცემული მიწის ნაკვეთი. საკარგავი, რომლის წლიური შემოსავალი შეადგენდა 20 000-დან 100 000 ახჩამდე. აკრეფილი გადასახადი ზიამეთის მფლობელის იყო. თიმარი- სამხედრო სამსახურის სანაცვლოდ გაცემული მცირე მოცულობის მიწის ნაკვეთია, რომლის წლიური შემოსავალი 2-3 ათასი ახჩიდან 19 999 ახჩას შეადგენდა. უფრო დიდი სახელმწიფო მიწების კატეგორია ხასი სამხედრო, ან ადმინისტრაციული სამსახურის პირობით ეძლეოდათ სულთნის საგვარეულო წევრებს, ვეზირებს, ბეგლარბეგებს, სანჯაყბეგებს, რომლის წლიური შემოსავალი 100 000 და მეტი ახჩა იყო.

[2] ალაი-ბეგი - სანჯაყბეგისადმი დაქვემდებარებული სიფაჰიების ლაშქრის მეთაურთა უმაღლესი ჩინი. მისი მოვალეობა იყო შეეყარა და სანჯაყის ბეგთან მიეყვანა მთელი სანჯაყის თიმარის მფლობელი სიფაჰიების ლაშქარი, რომელსაც უშუალოდ მეთაურობდა. ზოგჯერ სანჯაყში რამდენიმე ალაი (ჯარის ნაწილი) იყო, ფეოდალური ლაშქრის ერთეული. მისი ხელქვეითი იყო რამდენიმე სუბაში, რომლებიც 250-300 სიფაჰის მეთაურობდნენ ომში და მშვიდობიან დროს ყაზაში(სანჯაყში შემავალი მცირე ადმინისტრაციული ერთეული) წესრიგს იცავდნენ და გადასახადის ასაკრეფად იგზავნებოდნენ. ალაი-ბეგს დიდი ზიამეთი ეძლეოდა სამსახურისათვის. ევლია ჩელები, მოგზაურობის წიგნი, თურქულიდან თარგმნა, კომენტარები და გამოკვლევა დაურთო გ. ფუთურიძემ, ნაკვ. II, თბ.,1973, გვ.130;

სამეფო და ძლევამოსილი ჯარისადმი სახელმწიფო დავთრის შესაბამისად უნაკლოდ და მტკიცედ შესრულოს. ზეამეთზე მობინადრე მოსახლეობამ ზემოაღნიშნული სუბაში'ად იცნონ სასუბაშოსადმი განკუთვნილი საქმეების გამო ზემოხსენებულს მიმართონ. ამ საქმეში არავინ ჩაერიოს და არავინ ხელშემშლელი და წინააღმდეგობის გამწევი არ იყოს."[1]

დავთრის მიხედვით უშუალოდ არ არის მითითებული ზიამეთების, თიმარებისა და სხვა მიწისმფლობელობის კატეგორიები, თუმცა მასზე აშკარად მიუთითებს ოსმალური გადასახადები. აღნიშნული დოკუმენტი თვალსაჩინო მაგალითია „ოსმალობის" დამკვიდრების რეალური ცდებისა, ქართული მიწები ერთი სულთნის ფირმანით, როგორ უვარდებოდათ ხელთ მის მემკვიდრეებს ზიამეთების სახით, სამაგიეროდ შემოსავალი -21000 ახჩა მთელ რიგ ვალდებულებებს აკისრებს. შემოსავლის ყოველ 5 000 ახჩაზე ვალდებული იყო ერთი შეიარაღებული მხედარი - ჯებელი* გამოეყვანა. სიფაჰიების ლაშქრის მეთაურის, ალაიბეგის დროშის ქვეშ ლაშქრობისას გამოსულიყო თავის მხედრებიანად. ზეამეთის მფლობელობასთან ერთად მასვე ევალებოდა ზეამეთის მოსახლეობაზე გადაწყვეტილების აღსრულება, საპოლიციო სამსახურის, „სუბაშის" საქმეების აღსრულება. ე.ი. ადგილობრივ მოსახლეობაზე ზედამხედველობა და ყადის სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებაც მიწის მფლობელის ხელში იყო.

საციციანოს ნაჰიეს მამულებზე ოსმალური გადასახადების დაწესების შემდეგ, ქართლის ფეოდალების მსგავსად მოითხოვეს ციციშვილთა საგვარეულოს თავიანთი ყმა-მამულის მფლობე-

---

*ჯებელი, ბრძოლის დროს თიმარის, ზიამეთის სიფაჰიებისათვის იარაღის მიმწოდებელი ცხენოსანი ლაშქარი. შენგელია ნ., XVI-XVIII საუკუნეების ოსმალური დოკუმენტური წყაროები ნ. შენგელია, წ. I, თბ.,1987, ტერმინოლოგიური შენიშვნები, გვ.288.

[1] ს.ჯიქია, მაწევანი და ატენი თურქულ საბუთებში, II, აღმოსავლური ფილოლოგია, თბ., 1972, გვ.215.

ლობის უფლება ახლიდან მიეღოთ ოსმალთა ხელისუფლებისაგან, რა თქმა უნდა ქრისტიანობის შენარჩუნებით. გადატანილი ანტიოს-მალური განმათავისუფლებელი ბრძოლების ექო და შეუპოვარი წინააღმდეგობა აიძულებდათ პირველ ხანებში ფრთხილი, შენიღ-ბული პოლიტიკით ჯერ თავის მხარეზე გადაებირებინათ ქართველ დიდგვაროვანთა ნაწილი, მათი გული მოეგოთ ქრისტიანობის შენარჩუნებითაც, მიეცათ გარკვეული პრივილეგიები და შეღავათები, ამით გაეთიშათ ქართველთა ერთიანობა. რაც ოსმალთა მხრიდან მხოლოდ დროის მოგების ფაქტორით აიხსნებოდა. ამით ასევე ცდილობდნენ ქართველ თავად-აზნაურობას ეცნო ოსმალური მიწისმფლობელობის და მიწათსარგებლობის წესები და ეცნო მათი ქვეშევრდომობა, ამასთან აეღოთ ვალდებულება ოსმალური გადასახადების გადახდაზე.

1728 წლის საბუთით, თბილისის დავთარდარი აბდურრაჰმანი თავად ქაიხოსრო ციციშვილს უდასტურებს სოფ. მონასტერში მდებარე ვენახი გადაეცეს მას უშურისა და გადასახადების გაღების პირობით. მასვე მოეთხოვებოდა ამავე ქართულ მიწებზე მცხოვრებ გლეხებზე პასუხისმგებლობა გადასახადების გადახდაზე და სამართლებრივ საკითხებზე. გადასახადის გადაუხდელობის შემთხვევაში იგი დაკარგავდა ამ უფლებას და სხვას გადაეცემოდა.[1] ოსმალთა ამ პოლიტიკას მართლაც მოჰყვა დაწინაურებულ ციციშვილთა მიერ სახლისკაცთა ყმა-მამულების დასაკუთრება. ხშირად ბევრი მათგანი საერთოდ ჰკარგავდა საგვარეულო ქონებას. ოსმალური ხარკის გადახდაზე, აყრილ - გაქცეული გლეხების ადგილებზე დაბრუნების პასუხისმგებლება, სწორედ მებატონეებს ეკისრებოდათ ბადიჰავასთან გაერთიანებული გადასახადით. ამის დამადასტურებელი ცნობები გვხვდება დოკუმენტებსა და იჰსაყ-

[1] ნ.შენგელია, XV-XIX საუკუნეების საქართველოს ისტორიის ოსმალური წყაროები, თბ.,1974 გვ.226.

ფაშას ოქმებში.[1] აყრილ-გაქცეულები თავს აფარებდნენ, როგორც ძლიერი ფეოდალების მამულებს, ასევე შემორჩენილ სამონასტრო მიწებს.[2] მძიმე სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას საციციანოს ნაჰიეს მოსახლეობა ზოგჯერ ოსმალო დამპყრობლების წინააღმდეგ აქტიური ბრძოლის სხვადასხვა მეთოდებსაც მიმართავდნენ. გასაგები მიზეზების გამო ფაქტობრივი დოკუმენტები მწირია, მაგრამ შევძელით ამ მხრივ საინტერესო 1725 წლის ნასყიდობის წიგნის მოკვლევა, სადაც მეკურტნე იოსება კუდაშვილი, ბაგრატ ციციშვილს მიმართავს: „ორ კაცს თათარი შემოგვაკვდა და იმის სისხლში მოვიდნენ და მამა და ჩვენ მივყავდით ფაშასთან და სისხლსა გვთხოვდენ. ახლა ჩემდა წილათ თეთრიც თქვენ გაიღევით და კიდეც დამიხსენით...სხვა ღონე რომ არა მქონდა და არც თეთრის გადაჯდა შემეძლო, ავიღე და ჩემი თავი ჩემის ცოლითა და შვილით ნასყიდობით მოგართვი...“[3] უმძიმესი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობიდან თავის დაღწევის იშვიათი გზა გამაჰმადიანება იყო. შანშე ერისთავი, რომელიც ატენში ვენახებს ფლობდა და ამის თაობაზე ჯავახიშვილებთან სამამულო დავაც ჰქონია, მანუჩარ გლურჯიძისადმი მიწერილ წერილში აღიარებდა: „ერთი ჩემ[ი]ს აზნ[ა]ურიშვილის ბუში გათათრდა აგერ უწინვე, ვინ იცის, კაცი დაეჭრა, თუ მოეკლა. სტანბოლს იყო. ახლა იქიდამ გორის ფაშასთან მოსულიყო. აქ ჩემთან მოვიდა ორი კვირა დაყო ორი ტყვე მამპარა და მაშინვე წამოვიდა [ატენს]“. შანშეს ტყვეების დაბრუნება თავადაც სურდა, მაგრამ პასუხისმგებლობას მკაცრად სთხოვდნენ მებატონეს. ილაჯგაწყვეტილი სინანულით აცხადებს:„თათარმ[ა] მოკლას ვინმე, სისხლი მე უნდა გ[ა]ვიღო, ქ[ა]რთველამა მოკლას და სისხლი მე

---

[1] დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან ბატონყმური ურთიერთობა (XV-XVIIIსს), ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, I, თბ.,1940, დოკ.290, #291, გვ.207; დოკ.#292, გვ.208.

[2] იქვე,დოკ.#300,გვ.211; დოკ.#301,გვ.212;დოკ.#294,გვ.208; დოკ.#319.გვ.223.

[3] იქვე, დოკ.#302, გვ.213.

უნდა გავიღო, მაგ სასამართლოს არ შეიწყობს...ოცდაათი თუმანი მიმიცია, თავის წიგნს მივსცემ და ჩემს თეთრს გამოვართმევ.“[1]

აღნიშნული დოკუმენტი ამყარებს დავთარის ცნობებს საციციანოს ნაჰიეზე. შანშე ერისთავი შეგუებულია იმ აზრს, რომ ვენახის მფლობელობის უფლებას აღარ მისცემდნენ, რადგან ცნობილი იყო, რომ ყოველგვარი პასუხისმგებლობის შეუსრულებლობის შემთხვევაში მებატონეები კარგავდნენ ყმა-მამულის მფლობელობის უფლებას. ასევე ნათელი ხდება, რომ ოსმალებისგან ვენახის მფლობელობის უფლების მისაღებად საკმაოდ დიდი საფასურის გადახდა უწევდათ.

დავთარში გამუსლიმანების 14 ფაქტი გვხვდება. დავთარდარი განსაკუთრებულ აქცენტს აკეთებს ახლად გამუსლიმანებულებზე: „სოფ. ქუდირში მეჰმედ ძე აბდულლაჰისა და მისი შვილი ახლად გამუსლიმებულია.“ 26 კომლიან სოფ. ღულუში მიუთითებენ ახლად გამუსლიმებულ - ალი ძე აბდალლაჰის შესახებ. [2]

საინტერესოა რომ ოსმალობა არ სცნობდა ქართული ფეოდალური საზოგადოების სოციალურ ფენებს. ამის განურჩევლად მძიმედ იბეგრებოდა ქართველი თავად-აზნაურობა. დავთარში ისინი შეყვანილი ჰყავთ რიგით გადამხდელთა შორის სახელებითა და მამის სახელებით, რომელთა იდენტიფიცირება საკმაოდ რთულია. ფაქტიურად სახეზეა არსებული სოციალური ფენების ლიკვიდაციის მცდელობა. დროთა განმავლობაში მათი დიდი ნაწილი ღატაკდებოდა, მიწები დაუმუშავებელი რჩებოდათ, გაურბოდნენ ყმა-გლეხები, ამას ემატებოდა დაღესტნელთა

---

[1] დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან ბატონყმური ურთიერთობა (XV-XVIIIსს), ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, I, თბ.,1940, გვ.210, დოკ.#297.

[2] 1728 წლის თბილისის ვილაიეთის დიდი დავთარი, წ. I, ოსმალური ტექსტი ქართული თარგმანით, შესავლით, გამოკვლევით და ფაქსიმილეებით გამოსაცემად მოამზადეს, ს. ჯიქიამ და ნ. შენგელიამ, თბ., 2009, გვ. 195, 197.

გახშირებული თავდასხმები.[1] მოსახლეობის სოციალური ფენები უკმაყოფილონი იყვნენ „ოსმალობით“, როგორც ჩანს არ გამოჰპარვია პორტას ქართველთა ასეთი განწყობა. სულთანი ფირმანითაც მოითხოვდა მათგან მორჩილებას და ქვეშევრდომობის ვალდებულების დაცვას: „...ყველა თავადი აზნაური ჩემს მაღალ სამსახურში ზემოხსენებული ვეზირების განკარგულებებსა და ბრძანებებს დაემორჩილეთ და შეასრულეთ და როგორც ლეკთა ბრბოებისაგან თავდაცვასა და (მათთან) ბრძოლებში, ისე სხვა საქმეებშიც სულითა და გულით მთელი თქვენი ძალ-ღონე ბრძოლისუნარიანობა და შესაძლებლობა არ დაზოგოთ...იმოქმედეთ ფირმანის შესაბამისად ... შესრულება და მორჩილება სავალდებულოა...“[2]

ოსმალურ გადასახადებზე პასუხისმგებლობა ხშირად ნასყიდი ყმა-გლეხების გაყიდვით მთავრდებოდა:„პაპუნა როჭიკაშვილი „ოსმალობაზე“ ყმების ნასყიდობის წიგნში აღნიშნავდა ... მე ძალი დამადგა საჴემწიფოს ხარჯის გასაღებად. გლეხის კაცის ჭირი მე გამომართვეს ოსმალებმა. ვალიც მემარ[თა], ავდექ და მოველ და შემოგეხვეწე და გამოგართვი ფასი სრული...მოგყიდე ჩემი ნასყიდი... ყმები.[3]“

ხშირად იძულებულნი ხდებოდნენ, მიწები დაეგირავებინათ და ამ გზით როგორმე შეენარჩუნებით სამკვიდრო მამულები, რადგან მძიმე ოსმალური გადასახადების გადაუხდელობის შემთხვევაში მამულებსაც დაკარგავდნენ და შესაძლოა ტყვეებადაც გაეყიდათ. მამულების გირავნობის საკითხი კი ხშირად სასამართლო დავამდე მიდიოდა. ვილაიეთის ცენტრის - თბილისის გარდა ყადი იჯდა გორსა და თრიალეთში. ყადი მართლმსაჯულებას შარიათის

---

[1] საქართველოს ისტორიის ქრონიკები XVII-XIXსს, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა ავთ. იოსელიანმა, თბ.,1980, გვ. 61-63.

[2] ს.ჯიქია, XVIIIს ორი თურქული დოკუმენტი, თსუ შრომები, ტ.99, აღმოსავლეთმცოდნეობის სერია, III, თბ.,1962, გვ.154-155.

[3] დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან ბატონყმური ურთიერთობა (XV-XVIIIსს), ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, I, თბ.,1940, დოკ.#578. გვ. 412.

მიხედვით აწარმოებდა, ხოლო მისი განაჩენი სისრულეში მოჰყავდათ სუბაშებს. ამ მხრივ სინტერესოა 1733წლის 23 იანვრის ჰუჯათი. რომელიც პირველ რიგში მიანიშნებს, ოსმალური მიწისმფლობელობის და მიწათსარგებლობის წესების შემოღებაზე: „...სოფელ ძოვრეთის მცხოვრებმა, ამ საბუთის წარმომდგენმა ზიმმიმ* ფარსადან ზაზას ძე ციციშვილმა (სისიოღლიმ)... შარიათის(მუსლიმანურ) სასამართლოში აღძრა საჩივარი ქალაქ თბილისში სტუმრად ჩამოსულმა ახალციხის მცხოვრებზე ვინმე ჰასან `აბდულ-ლა~ჰის ძეზე და მასთან პირისპირ განაცხადა შემდეგი... ერთი წლით ადრე კანონიერი გზით აღნიშნული პირისაგან ასი ყურუში ვალი ავიღე. როდესაც მე სოფელ კეხიჯვარში ჩემდამი კუთვნილ ყანაზე დათესილი ხორბლისა და ქერის მოსავალი იმ დროს მოქმედი ნიხრის მიხედვით ორმოცი სომარი ხორბალი და ოცდაათი სომარი[1] ქერი ჩემი ვალის ასი ყურუშის* ანგარიშში გადავიხადე, ზემოაღნიშნული პირი... ჩემი თამასუქის [დაბრუნებას] თავს არიდებს და უნდა რომ წამართვას ხსენებულ სოფელში მდებარე ჩემი მამულის კიდევ ერთი წლის მოსავალი... მოპასუხემ... განაცხადა: ხსენებული (ციციშვილის) სოფელ კეხიჯვარში მდებარე მამულიდან ორმოცი სომარი ხორბალი და ოცდაათი სომარი ქერი. მასზე გაცემული სესხის თანხაში იქნა ნაანგარიშევიო. ვინაიდან ....დავთქვით ჩემს განკარგულებაში ყოფილიყო [ეს მამული]ორი წლის განმავლობაში

---

* ზიმმი - ზეამეთის მფლობელი. ოსმალეთის იმპერიის ქრისტიანი ქვეშევრდომი, რომელიც იხდიდა გადასახადს.

* ყურუში- ვერცხლის ფული, რომელმაც ოსმალეთში 1687წლიდან შეცვალა გაუფასურებული ახჩა. 1ყურუში 80 ახჩას უდრიდა. მანამდე ყურუში(გროში) ეწოდებოდა ევროპის სახელმწიფოთა ვერცხლის ფულს, რომელიც ოსმალეთშიც ტრიალებდა. ევლია ჩელები, მოგზაურობის წიგნი, თურქულიდან თარგმნა, კომენტარები და გამოკვლევა დაურთო გ. ფუთურიძემ, ნაკვ. II, თბ.,1973, გვ.167.

[1] სომარი- 16 კოდს, ან 288 კგ-ს შეადგენდა. გ. ჯაფარიძე ნარკვევები ქართული მეტროლოგიის ისტორიიდან, თბ., 1973. გვ.117.

ამიტომ, მინდა ...დავეუფლო კიდევ ერთ წელიწადს ... საამისოდ ...მან საბუთი ვერ წარმოადგინა... წინადადება მისცეს [ციციშვილს] დაეფიცა, რომ აღნიშნული პირობა ერთი წლით იყო და არა ორი წლით. დასმული კითხვის შესაბამისად დაიფიცა: ვფიცავ ღმერთს, რომელმაც ჩვენ მოგვივლინა სახარება იესოსი იყოსმცა მასზე მშვიდობა. ამის შემდეგ...თამასუქი ზემოხსენებულ [ციციშვილს] გადასცეს...“[1]

წარმოდგენილი დოკუმენტიდან ჩანს რომ სასამართლო საქმეები თურქულ ენაზე წარმოებდა, რაც თავის მხრივ ოსმალური სამართლის ნორმების დამკვიდრებას ისახავდა მიზნად და ხელს უწყობდა გამუსლიმანების საფრთხეს, თუმცა ფარსადან ციციშვილი ქრისტიანი დარჩენილა. რაც შეეხება, ახალციხიდან მაჰმადიანი ქართველების გადმოსვლას საციციანოს ნაჰიეში დავთრის მიხედვით იშვიათი არ უნდა ყოფილიყო. როგორც ჩანს, ფიქრობდნენ ადგილობრივი მოსახლეობისათვის სამაგალითო და მისაბაძი გაეხადათ მაჰმადიან ქართველთა პრივილეგიები და შეღავათები, მეორეს მხრივ ხელს შეუწყობდა მათ ურთიერთობა- დანათესავებას, რაც მათი აზრით ერთგვარ სტიმულს მისცემდა გამუსლიმანებით თავი დაეღწიათ, მძიმე გადასახადებისაგან, ხოლო ახალგადმო-სულებს ინფორმატორებად გამოიყენებდნენ ვითარების გასაკონ-ტროლებლად. მიუხედავად ამისა ოსმალებმა საბოლოოდ მაინც ვერ შეძლეს გამუსლიმანება და ქართული ტრადიციული მიწათმფლო ბელობის სისტემის გაუქმება. პოლიტიკური ვითარების ცვლილებე-ბისთანავე ქართული სახელმწიფოს აღდგენას საფრთხე არ ემუქრებოდა.

---

[1] ს.ჯიქია, ოსმალური იურიდიული დოკუმენტები XVIII საუკუნის პირველი ნახევრის ქართლში, აღმოსავლური ფილოლოგია, I, თბ., 1969, გვ.165.

ამდენად, 1728 წლის თბილისის ვილაიეთის დიდი დავთარი ძირითადი პირველადი წყაროა, რომლის შესწავლით და დოკუმენტებთან შედარებითი ანალიზით ირკვევა, როგორ შემოჰ-ქონდათ ოსმალური მიწისმფლობელობის და მიწათსარგებლობის წესები და როგორ ამკვიდრებდნენ ოსმალურ საგადასახადო სისტემას. რაც მძიმედ აისახებოდა საციციანოს ნაჰიეს სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაზე.

თავი IV

საციციანო XVIII საუკუნის 40—50-იან წლებში

1.საციციანო ყიზილბაშობის ხანაში

XVIII საუკუნის 30-იანი წლებისათვის ოსმალო დამპყრობელთა განდევნისათვის ქვეყანაში როგორც საშინაო, ისე საგარეო პოლიტიკური ვითარებიდან გამომდინარე მეტად ხელსაყრელი პირობები შეიქმნა. ირან-ოსმალეთის ომის გამო ოსმალეთის მთავრობამ გაიყვანა ჯარები, რაც ქვეყნის განთავისუფლების იმედს იძლეოდა. თავადთა ფეოდალური სეპარატისტულ ინტერესებზე მაღლა დადგა ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის ენთუ-ზიაზმი. ძლიერდება განწყობა რუსეთიდან მეფე ვახტანგისა და ბაქარ ბატონიშვილის დაბრუნების. ანტიოსმალურ განმათავისუფ-ლებელ მოძრაობას ერთგვარად ხელი შეუწყო რუსეთში მყოფი მეფე ვახტანგVI-ის დარუბანდში ჩასვლამ 1734 წლის სექტემბერ-ოქტომბერს. XVIII საუკუნის პირველ ნახევარში აშკარად შეიმჩნევა რუსეთის, ირანის, და საქართველოს ინტერესთა თანხვედრა ოსმალების წინააღმდეგ. რუსეთს ირანის მოკავშირეობა ოსმალეთის წინააღმდეგ ჭირდებოდა. მიუხედავად თეიმურაზის რუსეთთან დაახლოებისა, მისგან მოკავშირეობის მიღების მცდელობისა, საქართველო მოკავშირის გარეშე დარჩა და ქვეყანა მხოლოდ საკუთარ ძალებს უნდა დაყრდნობოდა, რაც კარნახობდა მეფეს მოქნილი და გონივრული პოლიტიკური კურსის განხორციელებას. ისტორიული რეალობა მოითხოვდა ტაქტიკური უკანდახევით, ლავირებით, მოჩვენებითი ერთგულებით, შაჰის მხარდაჭერა მოეპოვებინა.

ჩვენს ხელთ არსებული პირველწყაროების მიხედვით ანტიოსმალურ განმათავისუფლებელ ბრძოლებში მეფე თეიმურაზის გვერდით აქტიურად ჩაბმულნი ჩანან ციციშვილები, რასაც ადასტურებს XVIII საუკუნის ქრონიკის უცნობი ავტორი: „ქარ-

თველებმა და ყიზილბაშებმა მისცეს გზა ურუმებს და წარვიდნენ თბილისიდან ოსმალნი მკათათვის ლ (30 ივლისი) ოთხშაბათ დღეს."[1] თეიმურაზ მეფის მიერ გურგენიძეებისათვის მიცემული წყალობის წიგნით[2] წავკისთან და გორის ციხის გათავისუფლებისას გივი ამილახვრის და მეფე თეიმურაზის გვერდით [3] აქტიურად იბრძიან ციციშვილები.

1735 წლის ივლისის ბოლოს ოსმალებისგან თბილისის გათავისუფლების შემდეგ ყიზილბაშებმა თავიანთი ჯარი ჩააყენეს და მალევე ცხადი გახდა ყიზილბაშთა დამპყრობლური მიზნები. ოსმალთა ბატონობა, არანაკლებ მძიმე „ყიზილბაშობამ" შეცვალა. ოსმალების წინააღმდეგ ბრძოლაში, ქართველების ყიზილბაშთა მხარეზე ბრძოლის მიუხედავად, ირანის სარდალი ქართველ მოკავშირეებს ეჭვის თვალით უყურებდა. ნიჭიერ და სივერაგით გამორჩეულ ნადირს უთუოდ ექნებოდა ცნობები იმ მიმოწერის შესახებ, ქართლის ფეოდალები ვახტანგ მეფესთან რომ აწარმოებდნენ და რუსეთის დახმარებით მის კვლავ გამეფებას ცდილობდნენ. აქვე შევნიშნავთ, რომ თეიმურაზის „რუსთ-მომხრეობაც არ უნდა ყოფილიყო საიდუმლო ნადირისთვის".[4]

ნადირი ღრმად იყო დარწმუნებული, რომ განმათავისუფლებელ ბრძოლებს ქართველები არ შეწყვეტდნენ, რადგან ირანთან მათი კავშირი ოსმალთა ბატონობისაგან თავის დაღწევით იყო განპირობებული. სწორედ ამიტომ ერევანში თავისთან დაიბარა კახეთის მეფე თეიმურაზი და ქართლ-კახეთის დიდებულები. მასთან გამოცხადებული მეფე თეიმურაზი, გამაჰმადიანებაზე უარის

---

[1] სცსსა,ფ.1446, საქმე 703.

[2] სცსსა,ფ.1448, საქმე 9662.

[3] ა.იოსელიანი, დოკუმენტები რუსეთ-საქართველოს დიპლომატიური ურთიერთობის ისტორიიდან, კახეთის სამეფოს ელჩობა რუსეთში თავად როსებ გიორგის ძის მეთაურობით, საქ.სსრ.შსს საისტორიო მოამბე, #2, თბ., 1946 გვ.397;ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, წიგნი II, თბ.,1965, გვ.397.

[4] იქვე, გვ.167.

მოტივით ყველა დააპატიმრებინა. 1735 წლის აგვისტოში შაჰ-თამაზმა ქართლ-კახეთის მმართველად (ვალად) კი თეიმურაზის ძმის, დავითის (იმამ-ყული-ხანის) ძე ალექსანდრე (ალი-მირზა) დანიშნა, მის თანაშემწეებად ასლამაზ-ხანი (ორბელიანი) და ალი - ყული-ბეგი (ამირეჯიბი). „ნადირის ბრძანებით ალექსანდრემ თბილისს რვა ათასი თუმანი ხარკი შეაწერა. ამას გარდა სამი ათასი ხარვალი ხორბალი (75000 ფუთი) გლეხობას გადაახდევინა. მთელი ეს ხარკი და ორი ათასი მოლაშქრე ალესანდრემ ნადირს გაუგზავნა“[1] ისინი ემორჩილებოდნენ ნადირის ძმას, აზერბაიჯანის ბეგლარბეგს იბრეიმ ხანს. 1735 წლის ოქტომბერს ნადირი ერევნიდან თბი-ლისისაკენ დაიძრა, მეფე თეიმურაზი და დიდებულები თან იახლა, რომლებმაც ტყვეობიდან გაქცევა მოახერხეს. სამწუხაროდ, არც ერთი პირველწყარო არ ადასტურებს მეფის გვერდით გავლენიან ციციშვილთა საგვარეულოდან ყოფნას. ვფიქრობთ, ქართლის დიდე-ბულთა შორის უთუოდ იყვნენ გავლენიანი ციციშვილები, რადგან სეხნია ჩხეიძის ცნობით ნადირი მოსალოდნელი აჯანყების საშიშროების თავიდან ასაცილებლად გაქცეულთა მამულებს შეესია: „...დააქცია ციხე გორისა... გაუსივა ჯარი არაგვის ერისთავს ბარძიმს, ოთხი ათასი ზემო ქართლს, ოთხი ათასი საციციანოს...“ [2]

1735 წლის ოქტომბერში თბილისში მოსულ ნადირს უბრძანებია თეიმურაზ მეფისათვის ცოლ-შვილითა და ორას ორმოცი დარბაისელით ყიზილბაშთა ჯარში მისვლა. ქართველთა რჩევით არ ენდო ნადირს თეიმურაზი და ფშავში გაიხიზნა.[3] არავითარი შედეგი არ მოჰყოლია თეიმურაზის მიერ რუსეთში გაგზავნილ ელჩობასაც. მეფისათვის ნათელი გახდა, რომ რუსეთის მოკავ-

---

[1] ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, წიგნი III, თბ., 1965 გვ.167.

[2] ს. ჩხეიძე, საქართველოს ცხოვრება, ჭიჭინაძის გამოცემა, თბ.,1913, გვ.47

[3] ქრონიკები და სხვა მასალა საქარველოს ისტორიისა და მწერლობისა. შევსებული, ქრონოლოგიურად, დაწყობილი და ახსნილია თ. ჟორდანიას მიერ, წიგნი მესამე,(1700 წლიდან XIXს. 60-იან წლებამდე), გამოსაცემად მოამზადეს გ. ჟორდანიამ და შ. ხანთაძემ, თბ., 1967, გვ.152-153.

შირეობის იმედი არ უნდა ჰქონოდა და საკუთარი ძალების ამარა დარჩენილმა ამჯობინა ირანთან კომპრომისული, მოჩვენებითი „ერთგულების“ გზა აერჩია.

ნადირის შაჰად არჩევის შემდეგ 1736 წლის 26 თებერვალს, მუღანიდან ქართლ-კახეთის მეფე ალექსანდრეს ყიზილბაში სარდალი სეფი-ხანი ჯარით თან გამოატანა. ამჯერად ალექსანდრეს (ალი-მირზას) მხოლოდ კახეთის მმართველობა ჩააბარა, ქართლი სამართავად ყიზილბაშ სეფი-ხანს გადასცა. ალექსანდრემ ნადირის ბრძანებით თბილისს 8000 თუმანი შეაწერა, გარდა ამისა სამი ათასი თუმანი ფული და 75 ათასი ფუთი ხორბალი(3000ხარვარი) გლეხობას გადაახდევინა. მთელი ეს ხარკი და ორი ათასი მოლაშქრე ალექსანდრემ ნადირს გაუგზავნა.[1] რასაც ქართლში სეხნია ჩხეიძის ცნობით აჯანყება მოჰყვა. ყიზილბაშებს განუდგნენ უძლიერესი თავადები, შანშე ქსნის ერისთავი, გივი ამილახვარი, ვახუშტი აბაშიძე. სეფი-ხანმა თავადებს მარბიელი ლაშქარი გაუსია, მაგრამ ქსნის ერისთავმა და გივი ამილახვარმა მარბიელები დაამარცხეს და სეფი-ხანი აიძულეს თბილისში ჩაკეტილიყო.

სეფი-ხანმა აჯანყებულები ყაენთან ხარკის შემცირების შუამდგომლობის და უვნებლობის პირობით მიიტყუა გორს მყოფი მეფე და დიდებულები, დააპატიმრა და ნადირ-შაჰს ისპაჰანში გაუგზავნა 1736 წელს. მეფის დაპატიმრებას 1736 წლით ათარიღებს სეხნია ჩხეიძე.[2] ვახუშტი ბაგრატიონი -1737წლით.[3] დაპატიმრება უნდა მომხდარიყო 1736 წლის ბოლოს, რადგან სექტემბერში მეფეს გაცემული აქვს საბუთი. ბრძანების წიგნი მიცემული თეიმურაზ მეფის მიერ მოურავ ქაიხოსროსათვის.[4] ნადირ-შაჰმა ამჯერად ურ-

---

[1] საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ.IV, თბ., 1973, გვ. 447.

[2] ს. ჩხეიძე, საქართველოს ცხოვრება, ზ.ჭიჭინაძის გამოცემა, თბ.,1913, გვ.50-51.

[3] ვახუშტი ბაგრატიონი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, ტ. IV, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ.,1973, გვ.628.

[4] სცსსა, ფ. 1449, საქმე 1881.

ჩობა აპატია „ვინაითგან ნებითა თჳსითა მისრულ იყო და ღალატით შეეპყრა ხანსა“ და წაიყვანა ყანდაარში სალაშქროდ. ქართლში არ წყდებოდა ბრძოლები სეფი -ხანსა და აჯანყებულთა შორის. სახეზე გვაქვს ადმინისტრაციული მმართველობის შეცვლა ყიზილბაშურით, თუმცა ეს ცვლილება არ შეიმჩნევა სოციალურ სტრუქტურაში.

1737 წელს ყიზილბაშთა ახალი, დიდი ლაშქარი შემოიჭრა ქართლში. ნადირ-შაჰი დარწმუნდა, რომ სასტიკი ზომების მიუხედავად ქართ-კახეთის დაშოშმინება შეუძლებელი იყო და მდგომარეობის გამოსწორება დაყვავებით სცადა. 1737 წელსვე მასთან პატიმრად მყოფ თეიმურაზს კახეთიდან ქალ-ვაჟი დააბარებინა და ქეთევანი თავის ძმისწულს ალი-ყული-მირზას შერთო ცოლად, ერეკლე ინდოეთის ლაშქრობაში თან წაიყვანა და თეიმურაზს სამმართველოდ კახეთი დაუბრუნა. ყანდაარში ნადირ-შაჰთან ტყვეობაში ყოფნისას შეცვალა თავისი დამოკიდებულება მისადმი. ცდილობდა, სიტუაციით ნაკარნახევი მორჩილება ძლიერისადმი, ქართლ-კახეთის პოლიტიკური ინტერესებისათვის გამოეყენებინა.[1] 1738 წელს დააბრუნა შაჰმა მეფე თეიმურაზი და ქართველი დიდგვაროვნები. თეიმურაზი კახეთის სამეფოს განაგებდა სარდალთან და ვექილთან შეთანხმებით. სამხედრო საკითხში ემორჩილებოდა აზერბაიჯანის სპასალარ იბრეიმ ხანს და ლაშქარი მისი ბრძანებით გამოჰყავდა. 1739 წელს ჭარის ბრძოლაში მასთან ერთად იბრძვის. ამ საკითხში ირანისა და საქართველოს ინტერესები ერთმანეთს ემთხვეოდა, მაგრამ ყიზილბაში მთავარსარდლობის შეცდომების გამო, მარცხით დამთავრდა, ამ ბრძოლებს შეეწირა იბრეიმ-ხანიც.

ინდოეთზე გამარჯვებული ნადირ-შაჰი (1741-1742წწ.) გაჭიანურებული ბრძოლის მიუხედავად, დაღესტნის დამორჩილებას ვერ ახერხებს. ომის ხარჯები, მათ შორის ყიზილბაშთა მრავალრიცხოვანი არმიის შენახვა, მძიმე ტვირთად დააწვა მოსახლეობას.

---

[1] საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ.IV, თბ., 1973, გვ. 601.

გადასახადების შეწერას წინ უძღოდა მოსახლეობის აღწერა. აღწერა ნადირი-შაჰის ბრძანებით ჩაუტარებია 1741 წლის ივლისის თვეში. პაპუნა ორბელიანის ცნობით აღუწერიათ ქართლი: „ძველად ნასოფლარი სადმე იყო, ყველგან ზომეს მიწები საბელითა, ხრევი დასდვეს...ხრევი დასდვეს ვაზს ერთი ბისტი დასდვეს...რაც ხე ნახეს თითო შაური დასდვეს, კაცს ორი მინალთუნი, ყმაწვილზე ასაკოვანსა ხუთი აბაზი და შემდგომ ამისათ ათს წლამდის ხარჯში დაწერეს. ყმაწვილზე, პირუტყვზე ...ბოსტანსა, წისქვილსა, ყოველსფერს... ასეთი ხარჯი დასდვეს, რომ ყოვლის კაცისაგან დიდად შეუძლებელი იყო...ამ ხარჯის გამოისათ მრავალი სული აიყარა, ბევრი ადგილი უმეტესად აოხრდა, მრავალი კაცი ვენახსა და ბაღებსა თავისის ხელით კაფდის და აოხრებდის.“[1] ქართლი აღუწერიათ მუმეიზებს მირზალი ბეგს და მირზა თურაბას.[2] საკვლევი თემი-სთვის საციციანოს სოფლებზე დამატებით ცნობებს იძლევა საკა-თალიკოსო ყმების აღწერის ფრაგმენტი.[3] 1741-1742წწ. პურის მოუსავლიანობის გამო ხარკის ანგარიშში პური მოითხოვა 3 მლნ. ლიტრის ოდენობით. ომის გახანგრძლივების გამო გამო ნადირ-შაჰს: „ებრძანა ...რაც ქართლის ქვეყანას ჩემი ხარჯი აქვსო, იმისი სულ ლიტრა ერთ ბისტად პური მომეცითო. ქვეყანაში პური ასე ძვირად იყო, რომ თქვენმა მზემა, ბევრჯელ ვნახეთ, ბალახის კურკას გაახმობდიან, დაფქვიდიან და იმას სჭამენ. დაუწყეს თხოვნა პურისა. ეკიდა კაცი და დედაკაცი. მრავალი სული ჯოხით მოკუდა. თუ პურს სადმე იშოვნიდნენ, თავისის ხელით შვილებს აძლევდნენ. მრავალი სული აიყარა ამ ქვეყნით და უცხოთა ალაგთა გარდაიხვეწა. ურუმის ქვეყანა ქართლის კაცით აივსო.“[4] ყიზილბაშთა ჯარისათვის სურსათი ქართლიდან მოსახლეობას თავიანთი ურმებით უნდა მიეტანათ, რის

---

[1] პ. ორბელიანი, ამბავი ქართლისანი, ტექსტი დაადგინა, შესავალი, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო ე.ცაგარეიშვილმა, თბ.,1981, გვ45-46.

[2] ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ფ. Hd, საბ.508.

[3] ს. კაკაბაძე, საისტორიო კრებული IV, თბ.,1929, გვ.23-24.

[4] პ. ორბელიანი, ამბავი ქართლისანი, თბ.,1981, გვ.47.

გამოც ქართლის გლეხობა გამწევის ძალის გარეშე დარჩა. ამის გამო მიწები დაუმუშავებელი რჩებოდა. გახარაბებულ მიწებზე კი დამპყრობლები „მალუჯათის“ გადახდას ითხოვდნენ. ასეთი გამო-უვალი მდგომარეობის გამო ქართლი კვლავ აჯანყების ალში გაეხვია. შექმნილი ხელსაყრელი მდგომარეობა სათანადოდ შეაფასა გივი ამილახვრმა და აჯანყებას სათავეში ჩაუდგა, მოკავშირეობაზე უარი მიიღო კახეთის მეფე თეიმურაზისაგან, პოლიტიკური მოსაზრების გამო. მეფე თეიმურაზი გონივრულად აფასებდა ქვეყანაში მიმდინარე პროცესებს, თუ აჯანყების მხარეს არ დაიჭერდა, მაშინ კახეთის ბაგრატიონებს შაჰის „ერთგულების“ გამო ქართლის ტახტის მიღების შესაძლებლობა ეძლეოდათ, რადგან მისი ქორწინება ვახტანგ VI-ს ასულ თამარზე, შესაძლებლობას იძლეოდა არა მარტო პრეტენზია ჰქონოდა ქართლის ტახტზე, არამედ შაჰისგან მიეღო კიდეც და ქართლ-კახეთის გაერთიანების სურვილი, ისტორიულ სინამდვილედ ქცეულიყო.

დაღესტნელი ხალხის წინააღმდგობამ, ყიზილბაშთა მარცხიანმა ბრძოლებმა და ქართლში დაწყებულმა აჯანყებამ აიძულა შაჰი ქართველ დიდგვაროვანთა წინაშე დათმობაზე წასულიყო. დერბენდში მყოფმა შაჰმა თავისთან ქართლ-კახეთის თავადებიც დაიბარა, მათ შორის იმყოფებოდა სარდალი ქაიხოსრო ციციშვილი: „მოვიდა ჩაფარი ჴელმწიფისა, [ნადირს] დაებარებინა ქართლის ხანი და ჩინებულნი თავადნი. მაშინვე წავიდა იმამ-ყული-ხან, აბდულა-ბეგ ბატონიშვილი, მდივან-ბეგი ქაიხოსრო, ამილახვორი, ერისთავი გივი და სხვანი თავადნი. რა მიიწივნეს დარუბანდს, მოდგომოდა ჴელმწიფე შაჰანშაჰ დაღისტანს თვესა აგვისტოსა, აოჴრებდა და მოდიოდის თავი ურიცხვი ანუ ცოცხალი კაცი უთვალავი. ნახეს ქართველთ ჴელმწიფე[ნადირი], დახვდა მხიარულის პირითა და დაუმადლა ერთგულობა...უბრძანა „თქვენს შეძლებას ყველას შევიტყობ და იმით გიმსახურებო“, განუახლა ყველას ჯამაგირი, განუწესა ბატონიშვილს აბდულაბეგს სამასი თუმანი და ქვეყნის იხტიარობა, ორბელიანს მდივანბეგს ქაიხოსროს-ორასი თუმანი და

ქართლის ვექილობა, მეორე ვექილობა, ერისთაობა ქსნისა- გივი ამილახვარს ...ოცდაათი თუმანი -ციციშვილს ქაიხოსროს და მილა-ხორბაშობა...ვის რა შეეფეროდა ...სახელო და ჯამაგირი განუწესა ... რადგან ქაიხოსრო ორბელიანს მდივანბეგობა ჰქონდა და ვექილობაც ახლა უბოძა, სომხით - საბარათაშვილოს ჯარი მის ძეს რევაზს მიაბარა და ასი თუმანი ჯამაგირი განუწესა."[1]

1742 წლის 11 ივლისს ქართლში აჯანყების დაწყების შესახებ საინტერესო ცნობებს გვაწვდის პაპუნა ორბელიანი[2] აჯანყებულთა კონსპირაციულ გეგმებზე საუბრობს პ.გელეიშვილი[3] გივი ამილახ-ვარი ძმისწულისადმი მიწერილ წერილში 12000 თანამებრძოლს ასახელებს. ბაქარ ბატონიშვილთან კავშირზე კი მიუთითებს მისი გაგზავნილი წერილები.[4] ბაქარ ბატონიშვილის ასტრახანში მივლინებამ ამილახვარს გამარჯვების იმედს აძლევდა. ამ დროს აჯანყებულთა მხარეს იყო ქსნის, არაგვის, ბორჯომის ხეობები, მთლიანად შიდა ქართლი, სურამი და ახალციხისკენ გადასავლელი გზები, რომელთა ნაწილი სწორედ საციციანოზე გადიოდა. ზემო საციციანოს აჯანყებაში მონაწილეობაზე მიუთითებს პაპუნა ორბელიანი: „ალი-ხანმა დაიჭირა ციცისშვილები ალექსანდრე, დავით და ოთარი: „ამილახორს ელაპარაკებითო". იწყინეს ეს საციციანოს, მისცეს მართლად ციხეები ამილახორს აბუხალ და მმოვრეთისაისა. შეაყენეს კაცნი ამილახორისანი, დადგა თითონ ამილახორი სურამის ციხეში და მოუმატა გალავანი და ეცადა

---

[1] პ. ორბელიანი, ამბავი ქართლისანი, ტექსტი დაადგინა, შესავალი, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო ე. ცაგარეიშვილმა, თბ.,1981, გვ.49.

[2] იქვე, გვ.350.

[3] პ.გელეიშვილი, ერთი აჯანყების კლასობრივი სახე, მეცნიერების მოამბე, I, თბ.,1936, გვ.120-121.

[4] პ.გელეიშვილი, ერთი აჯანყების კლასობრივი სახე, თბ., 1936 გვ.122; დ. ლომიძე, მასალები რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვისXVIII ს. მეორე მეოთხედში, მაცნე, თბ.,1978, #1, გვ.124-142.

სიმაგრესა.“[1] 1743 წლის მარტის ბოლოს ქართლში ხოჯა-ხანი შეცვალა ალი-ხანმა, რომელიც ტომით ხვარასნელი ყოფილა[2] ალი-ხანის ქართლის ხანად ყოფნის პერიოდად მიიჩნევს დ.ლომიძე 1743 წლის მარტიდან 1744წ. იანვრამდე. როგორც ჩანს ციციშვილები გივი ამილახვართან ურთიერთობისას ფრთხილობდნენ, ყიზილბაშ-ებისაგან ინსპირირებულად მოქმედებდნენ, რადგან ქართლის ქალანთარის ცნობით, საციციანოს მოვლა-პატრონობა მეფე თეიმურაზის ბრძანებით მას ევალებოდა: „წადი თქვენს ქვეყანაში, შენობა ჩამოაგდეო, მეც წყალობას გიზამო,“[3] მაგრამ როგორც ჩანს შეუმჩნეველი არ დარჩენია ალი-ხანს ყიზილბაშთა მძიმე უღელქვეშ მყოფი საციციანოს გარკვეული ნაწილი ფარულად რომ უჭერდა მხარს განმათავისუფლებელ ბრძოლებს. „ციციშვილი ოთარი დაჭერილი ჰყავდა ალი-ხანსა, გაიპარა და მივიდა ამილახორთან. მოუხდა იქიდამ მძოვრეთის ციხესა, ღალატით აიღო, აიკლო თავისი სახლისკაცები. სეხნია შვილებით დაატყვევა, ელენე ბატონიშვილი, რომელი ჰყვანდა ზაზა ციციშვილსა, საქონლით სულ აიკლო, შეაყენა ციხეში თავისი მისანდო კაცნი. შეიტყო ალი-ხან, ცოლშვილი ქალაქში ყვანდა, დაუჭირა და პატიმარყო, მაგრამ მან არად თავს შეიდვა.“[4]

სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, გივი ამილახვრის მიერ საციციანოს დარბევის შესახებ. ჩვენს ხელთ არსებული არც ერთი ნარატიული წყარო და ისტორიული დოკუ-მენტი არ ადასტურებს გივი ამილახვრის მიერ საციციანოს დაპ-ყრობის ფაქტს, მაგრამ საციციანოში, ისევე როგორც მთელს ქართლში, დაპირისპირება თეიმურაზის და გივი ამილახვრის

---

[1] პ. ორბელიანი, ამბავი ქართლისანი, ტექსტი დაადგინა, შესავალი, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო ე. ცაგარეიშვილმა, თბ.,1981, გვ.66.

[2] პ. ორბელიანი, ამბავი ქართლისანი, თბ.1981, გვ.65; შდრ. დ. ლომიძე, ყიზილბაშობა 1735-1749 წლების აღმოსავლეთ საქართველოში, თბ.,2007, გვ.90.

[3] სცსსა,ფ.1448 საქმე 5048-a.

[4] პ. ორბელიანი , ამბავი ქართლისანი, თბ.,1981, გვ. 68.

მომხრეებს შორის გრძელდებოდა. ციციშვილთა ერთი ნაწილი შექმნილი მდგომარეობით „ხელს ითბობდა“, ოსმალებთან ტყვეთა ვაჭრობის სამარცხვინო გარიგებით.[1] 1743 წელს ნადირ-შაჰი ოსმალეთთან ომში ჩაება. აჯანყებულთა ფართო მასშტაბმა, რუსეთის დახმარებით ბაქარის ქართლში გამეფების მოსალოდნელმა საფრთხემ, პოლიტიკური ინტრიგების საუკეთესო გამოცდილების მქონე ნადირ-შაჰმა ამჯობინა არჩევანი ისევ თეიმურაზზე გაეკეთებინა, რომლის ერთგულებაში ეჭვი აღარ ეპარებოდა. მათთვის ცნობილი გახდა, რომ ბაქარი ასტრახანს მოსულიყო, რომელიც იმედოვნებდა რუსეთიდან სამშობლოში დაბრუნების ნებართვას და დახმარებას აჯანყებულებისაგან მოელოდა ქართლში გამეფების მიზნით. ოსმალეთი მზად იყო ირანის წინააღმდეგ ქართლში დაწყებული აჯანყება თავისი ინტერესებისთვის გამოეყენებინა. ასეთ ვითარებაში შაჰმა აჯანყებულებთან მორიგება ამჯობინა. ნადირ-შაჰი გივი ამილახვარს დანაშაულის პატიებას, შერიგებას და უვნებლობას აღუთქვამდა. ქართლის თავადებმა, რომლებიც ჯერ კიდევ ყოყმანობდნენ ყაენს არზა გაუგზავნეს მუმეიზების უსამართლობის და მძიმე გადასახადების გამო და ხარკის შემსუბუქებას სთხოვდნენ და როგორც მეცნიერი, ნ. ბერძენიშვილი აღნიშნავდა, „ეხლა ასეთი „თხოვნა“, როცა ქართლის ნახევარი აჯანყების ალში გახვეულიყო, მოთხოვნას უფრო ჰგავდა.“[2]

ნადირი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა კახეთის მიუმხრომლობას ქართლისადმი და თეიმურაზის სამფლობელო ყიზილბაშთა ხარკისაგანაც გაათავისუფლა და მხოლოდ 500 ნოქარის (შეიარაღებული მეომრის) გამოყვანა დაავალა. ამით თეიმურაზის გავლენა და მეორე მხრივ ქართლის მოსახლეობასაც ხარკისგან გათავისუფლების იმედი და მხარდაჭერა მოუპოვა. პარალელურად ამილახვართან და მის მომხრეებთან დაპირისპირების მიზნით აჯი-

---

[1] სცსსა, ფ. 1448, საქმე 5048-a, b. c.

[2] ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, წიგნი II, თბ.,1965, გვ.176.

ხანთან ერთად აგზავნის გივი ამილახვრის წინააღმდეგ საბ-რძოლველად. 1743 წლის დოკუმენტური მასალების მიხედვით თეიმურაზის ფარული დავალებით, რაც ნადირ-შაჰთან შეთანხმებული უთუოდ იქნებოდა, რადგან ორივეს ინტერესებს წაადგებოდა, არაგვის საერისთავოში შეთქმულებმა მოკლეს გივი ამილახვრის სიძე ბეჟან ერისთავი და მისი ძმა ოტია. არაგვის საერითავოს ხელში ჩაგდება სისხლის ღვრის გარეშე საბოლოოდ შეძლო თეიმურაზმა.[1] ქსნის საერისთავოს ხელში ჩაგდება კახეთიდან ერეკლეს დახმარებით გახდა შესაძლებელი: „შევიდა კახი ბატონი თეიმურაზ დაიმონა ჴმლით ქსნის ხევი“[2] ამიერიდან თეიმურაზმა აჯანყებულებსა და რუსეთს თავშეფარებულ ტახტის პრეტენდენ-ტთან კავშირი მოშალა.

ამდენად, გივი ამილახვრის აჯანყების მასშტაბები მნიშ-ვნელოვნად მცირდებოდა, ძალები ილეოდა და ბრძოლისუნა-რიანობას კარგავდა, მას მხოლოდ ოსმალეთის დახმარების იმედიღა რჩებოდა. საქართველოს ანტიირანულ მოძრაობას, ნადირ-შაჰის დამხობის მიზნით, საკმაოდ დიდ დახმარებას უგზავნის ოსმალეთი. 1744 წელს ოსმალეთი უსუფ-ფაშას ჯარითაც აგზავნის, მალე ამილახვარს ლეკების 7000-იანი ჯარი მოუვიდა. გუჯარეთის გზების შეკვრა მეფემ თავის ერთგულ ფარსადან ციციშვილს დაავალა. პაპუნა ორბელიანის საისტორიო თხზულება ორბელიანთა საგვარეულოს-თან შედარებით ციციშვილთა შესახებ მხოლოდ მცირე ცნობებს გვთავაზობს, რაც პირველწყაროს ავტორის ტენდენციურობით აიხსნება: „შეყრილიყვნენ გაღმა მხრის კაცნი: ზაზა თარხნიშვილი და

---

[1] სცსსა, ფ.1448, საქმე 512; დ. ლომიძე, გივი ამილახორის პოლიტიკური მოღვაწეობის დოკუმენტები, საისტორიო მოამბე,#49-50,თბ.,1984, გვ.127-142.

[2] პ.ორბელიანი, ამბავი ქართლისანი, ტექსტი დაადგინა, შესავალი, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო ე. ცაგარეიშვილმა, თბ.,1981, გვ.72.

ქაიხოსრო ციციშვილი, წავიდნენ ჯავახეთზე, დახვდნენ ნაშოვრიანს ლეკს და ურუმს. გაემარჯვათ ამათ, დააყრევინეს ნაშოვარი.“[1]

თეიმურაზის და ერეკლეს შეთანხმებული საბრძოლო გეგმის წყალობით უსუფ-ფაშამ დატოვა ქართლი. სამარცხვინო მარცხის გამო ნერვიულობისგან იგი აწყურშივე გარდაიცვალა. გახარებულმა ნადირ-შაჰმა „მოსცა თეიმურაზს ქართლი, ხოლო ერეკლეს ძესსა მისცა-კახეთი“[2] ნადირის ბრძანებით ქართლი უბოძა თეიმურაზს 1744 წლის მაისს.[3] თუმცა წყაროები განსხვავებულ ვერსიებს გვთავაზობენ, შაჰმა ქართლს ხარკიც შეუმსუბუქა, რამაც აჯანყებაში მონაწილე თავადებში შერიგების სურვილი მკვეთრად გააძლიერა. მკვლევარი ლ. რატიანი ისტორიულ საბუთებზე და ნარატიულ წყაროებზე დაყრდნობით ამტკიცებს, რომ ნადირ-შაჰისაგან თეიმურაზს ქართლის ტახტი პირველად 1740 წელს უნდა ჰქონოდა მიღებული. [4]

1745 წლის 1 ოქტომბერს მცხეთის სვეტიცხოველში ქრისტიანული წესით მამა-შვილი, თეიმურაზ მეორე და ერეკლე მეორე მეფედ ეკურთხნენ. ქართლ-კახეთის მეფეთა წინდახედულმა პოლიტიკამ, აჯანყების საყოველთაო ხასიათმა და გივი ამილახვრის შეუპოვარმა ბრძოლებმა აიძულა ნადირ-შაჰი ხელი აეღო „ყიზილბაშობის“ მზაკვრული გეგმების განხორციელებაზე და ობიექტური პირობები მოამზადა ქართ-კახეთის გაერთიანებისათვის. ციციშვილთა დიდი ნაწილი ზემოთ აღწერილი მძიმე მდგომარეობის გამო ამჯობინებდა

---

[1] პ.ორბელიანი, ამბავი ქართლისანი, ტექსტი დაადგინა, შესავალი, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო ე. ცაგარეიშვილმა, თბ.,1981, გვ.81.

[2] ვახუშტი ბაგრატიონი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, ტ. IV, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ.,1973,გვ.521; სცსსა, ფ.1446, ს.703.

[3] ქრონიკები და სხვა მასალა საქარველოს ისტორიისა და მწერლობისა. შევსებული, ქრონოლოგიურად, დაწყობილი და ახსნილია თ. ჟორდანიას მიერ,წიგნი მესამე, გამოსაცემად მოამზადეს გ. ჟორდანიამ და შ. ხანთაძემ. თბ., 1967გვ.172.

[4] ლ. რატიანი, აღმოსავლეთ საქართველოს შინა პოლიტიკური ვითარება XVIIIს-ის 40-50-იან წლებში,მრავალთავი, ფილოლოგიურ-ისტორიული ძიებანი, VI, თბ.,1978, გვ.208-209.

მეფესთან და ყიზილბაშებთან თამშრომლობას და დანათესავებას. თუ როგორ მოახერხეს ციციშვილებმა ასე ადვილად სამოხელეო სახელოს და ყმა-მამულის მფლობელობის სიგელის მიღება ყიზილბაში მოხელეებისაგან, ამაზე ჩვენს მიერ მოკვლეულ ისტორიულ დოკუმენტებში დაცული ცნობები მოგვითხრობს. სარდლიშვილებს, თეიმურაზ და ფარსადან ციციშვილებს, დიდი წყალობა, სამოხელეო სახელო - მდივანბეგობა ყიზილბაში სპასალარისაგან მიუღიათ. თეიმურაზის მოხერხებულობით, თავისი და ცოლად მიუთხოვებია სპასალარისათვის და მდივანბეგობასთან ერთად ყმა-მამულები, სიძისგან წყალობის გზით მიუღია: „ ქ. მათს უმაღლესობას ბედნიერს ხელმწიფესთან გოსტაშაბიშვილს, უზბაშა ზურაბს ეჩივლათ ციცისშვილის თეიმურაზ მდივანბეგისათვის და ზაზა უზბაშისათვის და ნადირშას დროს მდივანბეგის თეიმურაზის და სპასალარს რომ ქალი მიგვარეს, მაშინ ციცისშვილმა ქაიხოსრომ ერთი ბატონის სახასო თეთრი სოფელი, ერთი ეს ჩვენი სოფელი წერაქვი და ერთი როჭიკაშვილის სოფელი დიაღარა - მაშინ სპასალარისაგან იშოვნაო; მერე თეთრს სოფელზედ ხელი აიღოო, როჭიკაშვილმაც თავისი სოფელი გამოართვაო. ჩვენც სანატრელ მეფეს თეიმურაზთან ფარსადან მდივანბეგს უჩივლეთო, იმან გვიბოძა სამართლითაო ...მაგრამ წერაქვის გლეხები დაეყიდნაო, სოფელზე ხელი აიღოო და გასყიდული გლეხები სადაოდ დარჩაო და განაჩენი იმიტომ ვერ ავიღევითო. ავის დროს მიზეზით ის წერაქვის სოფელი ხარაბა იყოო და ეს საქმეც ასე დარჩაო.“[1]

მეფე ვახტანგის მეფობის დროს დასჯილ-შევიწროვებული, გავლენადაკარგული სპარსოფილი, დიდი სარდლის, ზაზას შთამომავლები, ქვემო ციციშვილები ცდილობენ ძველი გავლენის და სამკვიდრო ყმა-მამულის დაბრუნებას, როგორც ჩანს „მორჩილებენ და თანამშრომლობენ“ ყიზილბაშებს და პრივილეგირებულნი ჩანან.

---

[1] ქართული სამართლის ძეგლები, ტ. V, სასამართლო განჩინებანი (XVIIIს.), ტექსტი გამოსცა, შენიშვნები და შენიშვნები დაურთო ი. დოლიძემ, თბ., 1974, ტ.5, გვ.243-245.

შედეგსაც არ დაუყოვნებია სამკვიდრო, ქვეყნიდან აყრილ-გაქ-ცეულთა და ხარაბა მიწებს ყიზილბაშებისაგან უხვად იღებენ, რასაც მოწმობს ქართული და სპარსული დოკუმენტური წყაროები.

1737 წელს [I.V-30.V] აზერბაიჯანის ბეგლარბეგ, მთავარსარდალ იბრაჰიმ-ხანის ბრძანებით უზბაშ ზაზა ბეგს თავის სამკვიდრო სოფლებს უბრუნებს:„...ხუთი სოფელი უძველეს დღეებიდან კუთვნებია მსგავსთა შორის რჩეულს ზაზა -ბეგს ... ხსენებული პირი გამოცხადდა მის უდიდებულესობის წინაშე და ითხოვა, რომ აღნიშნული სოფლები: ხატითელითი, აყქანდი, დირაყქანდი, ბუხარი ზირაქი[წერაქვი] იქიზირაქ, არასინდა (არაშენდა) ძველისძველ დღეთა წესისამებრ მისდამი კუთვნილი იყო და საჭიროა...დადგენილ იქნეს უკეთუ ხსენებული სოფლები უძველესი დროიდან მას ეკუთვნოდნენ და არ ჰყავს ვინმე მოდავე ან მოქიშპე, გადაეცეს მას, რომ ის აღნიშნულ სოფელთა მფლობელი გახდეს...რომ სხვა ვინმეს არ ჰქონდეს[უფლებრივი] დამოკიდებულება ხსენებულ სოფლებთან. ხოლო უწყებული ზაზა-ბეგი მალუჯეჰათს, მოთავაჯეჰათს* და დივანის ფულად გადასახადს აღნიშნული ხუთი სოფლიდან გადასცემდეს... დანარჩენს ადგილობრივ მოხელეებს.“ [1]

ამას მოსდევს მთავარსარდლის 1737 წლის მაისში, იბრეიმ-ხანის ბრძანება. ავალებს ვექილ ალი ყული ბეგ ამირეჯიბსა და ქაიხოსრო გურჯს, ზაზა ბეგს დაუმტკიცოს კუთვნილი ხუთი სოფელი და გადასახადები შეაგროვოს. „ბრძანება სეფი-ხანისა, რომ ზაზა ბეგმა აღწეროს და ჩაიბაროს (ზავთი ქნას) სეხნია ჩხეიძის სოფლების მიერ ხაზინაში შესატანი გადასახადები. „...მირის თეთრი სეხნია ჩხეიძე მოსაცემს იყო, თითონ გაიქცა და იმისი მამულისა არ ვიცოდით ვინ სჭამდა, ვინ უვლიდა. ახლა ამ ყარარზედ ზაზა-ბეგს მივეცით სეხნია ჩხეიძის სოფლები: იტრია, გვერდის უბანი, ფონა, წიფა, ლუბარმა, ღორისთავი, ჩუმათელეთი, ზაზას უბოძეთ ამისი რაიათი. რაც

---

*თოვეჯი (არაბ.)- აღნიშნავს სიას, ანგარიშს, (გადასახადის).

[1] ნ. დუნდუა, აღმოსავლეთ საქართველოს მეფეების ბატონიშვილების და ხანების მიერ გაცემული სპარსული სიგელები, თბ., 2010, გვ.34, საბ.#5.

მოსავალი არის ამ მამულში, ის სულ მალუჯათისა არის, ან ზავთი ქენით (ჩაიბარონ). რახან ამისი საქმე გაარიგო, ნუსხა გააკეთე ...თითო სოფლის მამასახლისი შენთან მოიყვანე...როგორც გვიბრძანებია, ისე უნდა ქნათ."[1] იგივე რიცხვით დათარიღებულ მეორე საბუთში, #6 ოქმს ხელს აწერს სეფი-ხანი, ზაზა ციციშვილისთვის ხუთი სოფლის გადაცემის თაობაზე [1737წ.I.V-30.V] „ გამოვიდა მაღალი ბრძანებულება მასზე, რომ ამჟამად აღმატებულთა ბურჯმა, ზაზა-ბეგ ციციშვილმა გურჯიმ ... უძლიერესი სპასალარის მაღალადგილოვანი და უკეთილშობილესი ვექილობის სამსახურში ...დამსახურება მიუძღვის, მოგვმართა თხოვნით ... ქვემოთაა ჩამოთვლილი უძველეს დროიდან ზემოთხსენებულის [მფლობელობაში მ.დ.] იყო და ითხოვს...სოფელი ხაჯთალითი, სოფელი აყქანდი (რომელიც მდებარეობს შულავრის ოლქში), სოფელი დირაყქანდი, სოფელი ზემო წარაქვი, ადგილები ზემო და ქვემო წერაქვს შორის...ვავალებთ საქართველოს ვექილს, აღმატებულ ალი-ყული-ბეგსა და რჩეულთა ბურჯს ქაიხოსრო-ბეგ ბარათაშვილს, რომ სიმართლე საბოლოოდ სისრულეში იქნას მოყვანილი ...მაღალადგილოვანმა ალი-ყული-ბეგ ვექილმა და სწორუპოვარმა ქაიხოსრო-ბეგმა ამ საქმეში მაღალი ბრძანების შესაბამისად იმოქმედონ ...რაიმე შეცდომა, ან ზედმეტობა არ დაუშვან." არშიაზე მიწერილია: რაიათსა და სხვა მოსახლეობას საუკეთესოდ მოეპყრას და დიდი ყურადღება გამოიჩინოს მათ მიმართ და ზედმეტი უშრი, ბაჰრა ან სულადობრივი გადასახადი ან ერთი დინარიც კი არ მოსთხოვოს მათ..რომ რაიებმა ზედმეტი დინარი და მარცვალი არ მისცენ.[2]

1738 წლის 7 აპრილს სარდალ უღული ხანის მიერ, სარდლის შვილებისადმი, ქაიხოსრო და ფარსადან ციციშვილებისადმი

---

[1] ქართულ-სპარსული ისტორიული საბუთები, ვლ.ფუთურიძე, ტექსტები დაადგინა, თარგმანი და შენიშვნები დაურთო ვლ. ფუთურიძემ. თბ., 1955, დოკ.#183, გვ.426.

[2] ნ. დუნდუა, აღმოსავლეთ საქართველოს მეფეების ბატონიშვილების და ხანების მიერ გაცემული სპარსული სიგელები, თბ.,2010, გვ36-37.

ბრძანებაში ვკითხულობთ: „ ქ. ჩვენი ბრძანება არის სარდლის შვილი ქაიხოსრო და ფარსადან; მერმე რაც შენი სამკვიდრო მამული და სოფლები ბედნიერს სპასალარს თქვენთვის თალიღა (სიგელი) მოეცა, ჩვენც თქვენთვის მოგვიცემია. რაც ბედნიერის იბრეიმ-ხანის ნაბოძებ რაყამში გიწერია, არას კაცს ხელი არა აქვს".[1]

დოკუმენტებიდან აშკარად ჩანს, სხვა ქართველი ფეოდალების მსგავსად, ციციშვილები ვალდებულნი იყვნენ, მამულის მფლობელობის უფლება ხელახლა მიეღოთ ყიზილბაში ხელისუფლებისაგან. ყიზილბაშობისას მამულების საკუთრების უფლება თავდაპირველად, მხოლოდ ბეგლარბეგის თალიღით განისაზღვრებოდა, ე. ი. ქართული მიწა-წყლის განკარგვის უფლება ყიზილბაშთა ხელში იყო და არა ქართლ-კახეთის მეფის. ციციშვილებს მამულს უმტკიცებდა ჯერ სპასალარი იბრეიმ-ხანი, შემდეგ სეფი-ხანი და ბოლოს უღული-ხანი.

ნადირ-შაჰის ბრძანებით მძიმე ყიზილბაშური გადასახადების გაუქმებამ, რაც დიდი შეღავათი იყო მწარმოებელი მოსახლეობისათვის. მეფე თეიმურაზს საშუალება მისცა მოშლილი ფეოდალური ურთიერთობის ნორმალიზებისათვის პირველ რიგში ბატონყმობის რიგი აღედგინა. საერთაშორისო ვითარების გათვალისწინებით და ირანთან „თნხმობის" მოქნილი შორსმჭვრეტელური პოლიტიკა იძლეოდა საშუალებას ოსმალური და ყიზილბაშური წესები ქართულით შეცვლილიყო. როგორც პაპუნა ორბელიანი აღნიშნავდა: „მოიძიეს სჯულნი ქრისტესნი და სიმართლით და ღუთის მსახურებით წესქცეულებანი ქართლისანი".[2] მაჰმადიან მეფეთა მმართველობაში ბევრი რამ დავიწყებას მისცემოდა, პაპუნა ორბელიანის თქმით: „ამის მიზეზით მრავალრიგათ მართლმადიდებლობის რიგი შეცვლილიყო, რომელიმე ნათესაობის აღრევითა,

---

[1] ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ფ.Hd, ს.848.

[2] პ. ორბელიანი , ამბავი ქართლისანი, ტექსტი დაადგინა, შესავალი, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო ე. ცაგარეიშვილმა, თბ.,1981, გვ.158.

რომელიმე მრუშების მიზეზით ...რომელიმე სამღვდელოთა დასთა, თავისი ქცევა..“[1].

თეიმურაზის მეფობაში, 1744-1749 წლებში, აღდგენილი იქნა ორბელიშვილების სახლისკაცობის რიგი,[2] საამილახვროს სახლის-კაცობის რიგი (1749წ.),[3] სამუხრანოს სახლისკაცობის რიგი.(1758წ.)[4] მეფე თეიმურაზი ითვალისწინებდა ქვეყნის მძიმე საშინაო და საგარეო პოლიტიკურ ვითარებას და სათავადოს, როგორც პოლიტიკური ერთეულის სიძლიერეს თავად ხელს უწყობდა და ინარჩუნებდა, რადგან ქვეყანაში არ არსებობდა სხვა ძალა,რომელსაც დაეყრდნობოდა და ქვეყნის უსაფრთხოებას უზრუნველყოფდა. აღნიშნული დოკუმენტები საფუძველს იძლეოდა გაგვეგრძელებინა ციციშვილთა „სახლისკაცობის რიგის“ საბუთის მოკვლევა, რომელიც უთუოდ იქნებოდა განწესებული მეფე თეიმურაზის მიერ. ამის საფუძველს ისიც იძლეოდა, რომ 1744 წლის „მოშლილი ორბელიშ-ვილების სახლისკაცობის რიგის“ განმწესებელთა შორის მოხსე-ნებული იყო, ქართლის ქალანთარი, მერალიბეგ ციციშვილი.[5]

ინტერესს აძლიერებდა ისიც, რომ ჩვენამდე მოღწეულია მხოლოდ ქართლ-კახეთის მეფის, ერეკლე II-ს მიერ დამტკიცებული 1780 წლის განჩინება „ციციშვილების სახლისკაცობის რიგი, გაჩე-ნილი მოსამართლეთა მიერ“. ფაქტობრივი დოკუმენტის ნაცვლად მივაკვლიეთ მეტად საინტერესო ცნობას, რამაც დაადასტურა მეფე თეიმურაზის მეფობისას აღნიშნული დოკუმენტის არსებობა.

---

[1] პ. ორბელიანი , ამბავი ქართლისანი, ტექსტი დაადგინა, შესავალი,ლექ-სიკონი და საძიებლები დაურთო ე. ცაგარეიშვილმა, თბ., 1981, გვ, 158.

[2] ქართული სამართლის ძეგლები, სასამართლო განჩინებანი (XVIII-XIX სს.) ტექსტი გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ი. დოლიძემ, ტ. VI, თბ., 1977, დოკ.#363 გვ.703-705.

[3] იქვე, დოკ.#362, გვ.702;

[4] იქვე, დოკ.#369, გვ.710-712

[5] ქართული სამართლის ძეგლები, სასამართლო განჩინებანი (XVIII-XIX სს.), ტ. VI. თბ., 1977, დოკ. #359,გვ. 696-698; დოკ. #363გვ. 703-705; დოკ.#364, გვ.705-706.

დოკუმენტი ციციშვილთა „სახლისაცობის რიგის“ შესახებ, 1744 წლის მაისამდე უნდა იყოს შედგენილი, რადგან გოდერძი მღებრიშვილის მიერ დამოწმებული ბატონყმობის განახლების წიგნი ქაიხოსრო ციციშვილისადმი დათარიღებულია 1744 წლის 21 მაისით, სადაც ვკითხულობთ:„ ქ. ესე წიგნი მოგართვით თქვენ ჩვენს ბატონს ქაიხოსრო ციციშვილს, მე მღებრიშვილმა გოდერძიმ ასე რომ ქართლი ა[ი]რივა, ქვეყანა სულ დაიფანტა, ზოგი იმერეთს გარდაცვივდა, ზოგი ჯავახეთს, ზოგი კახეთში ჩამოვიდა, რომ მტ[ე]რმა შეაწუხა. მეც გამიჭირდა საქმე და ავიყარე და კახეთს ჩამოველ, თქვენც ჩამობრძანდით და ჩვენს ჭელმწიფე მეფეს იახელით, ბატონყმობის რიგიც შეიქმნა. ჩემი თავი ისევ ბატონმა გიბოძათ, რომე წინაც თქვენი ყმა ვიყავი. ახლა ჩემს წადილობით ეს წიგნი მოგართვით, რომე ჩემი თავი ყმობით არ დაგეკარგოს: თქვენ ბატონი და მე ყმა.“[1]

მერალიბეგ ციციშვილის ცნობის მიხედვით, მეფეს საციციანოში ბატონყმობის რიგის მოწესრიგების, მშვიდობიანობის ჩამოგდების მიზნით გაუგზავნია საციციანოში. „მეფე თეიმურაზ მიბრძანა: წადი თქვენს ქვეყანაში, შენობა ჩამოაგდე, მეც წყალობას გიზამო.“ [2]

მტრული გარემოცვის პირობები მოითხოვდა მუდმივი ჯარის შექმნას. XVIII საუკუნის 40-იან წლებამდე ქართლ-კახეთის ჯარი წარმოადგენდა ფეოდალური ტიპის ლაშქარს, რომელიც თავადს თავის სათავადოში ჯარის შეკრების თავისუფლებას ანიჭებდა. იგი არ იყო მუდმივი სამხედრო ძალა, მის შეკრებას საკმაო დრო სჭირდებოდა და დამოკიდებული იყო მეფის მიმართ მათ კეთილგანწყობაზე. ერეკლე II-სა და თეიმურაზ II-ს მეფობის დროს შეიქმნა ე..წ.„ლაშქარნივისების" თანამდებობა. მეფე თეიმურაზმა ჩამოაყალიბა ე. წ. „ნოქარი" ადგილობრივი მოსახლეობისგან გამო-

---

[1] დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან ბატონყმური ურთიერთობა (XV-XVIIIსს), ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, I, თბ., 1940, დოკ.#453, გვ.321.

[2] სცსსა, ფ.1448, საქმე 5048-a.

ყვანილი, დაქირავებული სამხედრო შენაერთი, რომელიც თავდაპირველად შაჰის დავალებით შეიქმნა. ამან დასაბამი მისცა მუდმივი ლაშქრის ჩამოყალიბებას. საარქივო დოკუმენტი, XVIII საუკუნის ქრონიკის უცნობი ავტორი, საინტერესოდ აღწერს ქართლისა და კახეთის გაერთიანებული ჯარის საბრძოლო ეპიზოდებს საციციანოში დაღესტნელთა წინააღმდეგ: „1753 წელს შეეპარნენ სამწევრის ციხეს, ნახევარი აიღეს, ნახევარი გაუმაგრდა, შემოადგნენ ციხესა...გამოწვეს შიგნით კოშკი ცეცხლითა...1754წ. ტინისხიდი წაახდინა ლეკს ჯარმა, შემოადგნენ დირბს, მიეშველნენ მეფენი...სძლიეს ლეკთა და გააქციეს.... შემოადგნენ წალკის ციხეს და აიღეს, აქედან იწყეს საციციანოზე თავდასხმა და აკლება ქართლისა. 1755წელს მიუხდნენ კვალად ღამე სამწევრისის ციხეს გადავიდნენ ჯიბეებით შიგ შეუტყეს ადრე ციხოსანთა...“[1] დაღესტნელების პერმანენტური თავდასხმები ანადგურებდა ქვემო საციციანოსაც: „1756 წელს მოჯდა დიდი თარეში ლეკსა, მიუხდა ნიჩბისის ზეჯთ ციხეს, შიგ გამაგრებული იყო ციციშვილი გიჯ ცოლ-შვილით, ბიძაშვილებით და მეზობლებით. აიღეს ციხე, აიკლეს და წაასხეს ცოლ-შვილი გიჯსა და მისი ბიძაშვილები ...წაიყვანეს ყარაიისაკენ. გამოუდგა ერეკლე მეფე და ჩაუსაფრდა უდაბნოებში...შეება და დაამარცხა.“[2] ყიზილბაშობამ, დაღესტნის მხრიდან წვრილ-წვრილმა და ორგანიზებულმა, გახშირებულმა შემოსევებმა გააუკაცრიელა და გააჩანაგა საციციანო, რასაც ემატებოდა ციციშვილთა საგვარეულოში გახშირებული ურთიერთქიშპი, მტრობა, პარვა, ყმათა ტყვეებად გაყიდვა, რაც საფუძველს ამზადებდა სათავადოს ფუნქციების გასაუქმებლად. მიუხედავად ყიზილბაშთა უღლის დამხობისა XVIII საუკუნის 50-იან წლებში ქვეყანა მტრული მაჰმადიანური სახელმწიფოების გარემოცვაში რჩებოდა. ქართლ-კახეთის მეფეებმა იცოდნენ რა რუსეთის ინტერესები კავკასიაში პოლიტიკური ორიენტაცია კვლავ რუსეთზე იქნა აღებული.

---

[1] სცსსა, ფ.1446 საქმე 703.

[2] სცსსა, ფ.1446 საქმე 703.

2. ქართლის ქალანთარი - მერალიბეგ ციციშვილი

„ყიზილბაშობის“ პერიოდის შაჰის სამოხელეო ადმინისტრაციულ-ბიუროკრატიული სისტემიდან დღემდე საგანგებოდ არავის უკვლევია ქალანთარის სამოხელეო სახელო. საკვლევ თემისადმი ინტერესი განაპირობა იმ ფაქტმა, რომ ქართლის ქალანთარი ისპაჰანში გაზრდილი, გამაჰმადიანებული, მერალიბეგ ციციშვილია. ვფიქრობ, აღნიშნული საკითხის შესწავლა „ყიზილბაშობის“ პერიოდის საციციანოს, სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური ურთიერთობის ბევრ საკითხს ნათელს მოჰფენს. რა თქმა უნდა, ქალანთარს არ შეეძლო შეეცვალა ქართული ფეოდალურ ურთიერთობათა შინაარსი. მიუხედავად ამისა იბადება კითხვა, თვითონ როგორ უკავშირდებოდა ქართულ ფეოდალურ ურთიერთობებს, როგორი იყო ირანის შაჰის დანიშნული მოხელის დამოკიდებულება ქართველ დიდგვაროვნებთან და სამეფო კართან. სპარსულ ორენოვან საბუთებში ქალანთარის სამოხელეო სახელოს ვ. ფუთურიძე ასე განმარტავს: „ქალანთარი, (სპარს.) ქალაქის თავი, ქალაქის პოლიციის უფროსი.“[1] მკვლევარი ვ. გაბაშვილი ზოგადად მიუთითებდა, რომ „დროთა განმავლობაში ირანული საქალაქო წყობილების გავლენის შედეგად გაჩნდა მელიქი, ქალაქის ვეზირი, ქალანთარი, ასასი. მაგრამ ამ სამოხელეო სახელების მატარებელი თანამდებობაც თანდათან ქართულ ფეოდალურ სინამდვილეს დაუკავშირდა“.[2] დაახლოებით ასეთივე ცნობას იძლევა შ. მესხია პაპუნა ორბელიანის ნარატიულ წყაროზე დაყრდნობით და დასძენდა, რომ ქართული სამოხელეო წყობისათვის უცხო იყო „ქალაქის, თბილისის ქალანთარის თანამდებობა“, რომელიც ყიზილბაშთა ბატონობის გადაშენებასთან ერთად ქრება. მეცნიერს, როგორც ჩანს, არ ჩაუთვლია მნიშვნე-

---

[1] ვ.ფუთურიძე, ქართულ-სპარსული ისტორიული საბუთები, თბ.,1955 გვ. 474

[2] ვ.გაბაშვილი, ქართული ფეოდალური წყობილება XVI-XVII სს., თბ., 1958, გვ. 374.

ლოვან სახელოდ, ამ მიმართულებით კვლევა აღარ გაუგრძელებია და არც ქალანთარის ვინაობით დაინტერესებულა, რადგან იქვე მიუთითებს, „ჩვენთვის ცნობილ საბუთებში თბილისის ქალან-თარისა და ვეზირის თანამდებობები, ზემოხსენებულ წყაროს გარდა, არსად არის მოხსენებული-ო“.[1]

დავით ბატონიშვილი თავის „Обозрение“-ს &174-ში [2] ქალანთარს შამშადილის პროვინციის უფროს მოხელედ მიიჩნევს, რომელსაც იგივე, სომხეთის მელიქის ფუნქციების მქონედ თვლის, მაგრამ ჩვენთვის აუხსნელი რჩება, რატომ არაფერს ამბობს ქართლის ქალანთარის შესახებ.

ამ თანამდებობის უფრო ფართო არეალის შესახებ პირველი მოსაზრება გამოთქვა ი. დოლიძემ,[3] მოგვიანებით კ. კუციამ: „აღმოსავლეთ ამიერკავკასიის ქალაქებში ასრულებდა ქალაქისთავის ანუ უხუცესის მოვალეობას და პროვინციის გამგებელთა შემდეგ (ბეგლარბეგი, ხანი, სულთანი), ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი და გავლენიანი მოხელე იყო ქალაქისა და ოლქის ბიუროკრატიულ აპარატში.“[4] შედარებით სრულყოფილი ცნობები ქალანთარის ყიზილბაშურ სახელოზე გვხვდება, დ. ლომიძის სადისერტაციო ნაშრომში. ავტორი ქალანთარის სახელოს შესახებ ცნობებს ქართლზე ადრე, 1677-1703წწ. კახეთის სამეფოში ყიზილბაში ხანების გამგებლობას უკავშირებს, რომელიც არსებობდა ყიზილბაშობის დასასრულამდე, რადგან მკვლევარი, ლ. რატიანი[5] წყაროებზე

---

[1] შ.მესხია, საისტორიო ძიებანი II. თბ., 1983, გვ. 430.

[2] Царевич Давид, Обозрение истории грузии по части прав и законоведения, 1813, с.176

[3] ი. დოლიძე, ერთი ეპიზოდი საციციანოს ისტორიიდან, მაცნე, თბ.,1973, #4, გვ.143.

[4] კ.კუცია,აღმოსავლეთ ამიერკავკასიის ქალაქები XVI-XVIII სს, თბ., 1976, გვ.209.

[5] ლ. რატიანი აღმოსავლეთ საქართველოს შინა პოლიტიკური ვითარება XVIII საუკუნის 40-50-იან წლებში, მრავალთავი, ფილოლოგიურ-ისტორიული ძიებანი, VI, თბ.,1978, გვ.207.

დაყრდნობით 1740 წელს სოლომონ გურგენიძეს ქიზიყის ქალანთარად მოიხსენიებს. ჩვენს მიერ მოკვლეული ფაქტობრივი მასალების მიხედვით, ბევრად უფრო ფართოა ქალანთარის სამოხელეო მოღვაწეობის ასპარეზი და უფლება-მოვალეობებანი, ვიდრე დ. ლომიძის საბოლოო დასკვნები აღნიშნული სახელოს შესახებ. მისი განმარტებით „ ქალანთარი, ქალაქის უფროსს, ქალაქის მოურავს ნიშნავს. მისი ერთ-ერთი მთავარი მოვალეობა იყო ქალაქში გადასახადების გაწერა-შეგროვება. ქალანთარი უფლებამოსილი იყო ოფიციალური დოკუმენტების გაცემაში და ...მის შედგენაში, როგორც მოწმე. მის მოვალეობას შეადგენდა ყიზილბაშური ჯარების ქალაქში მიღება-დაბინავება და სურსათით უზრუნველყოფა. ოლქში შექმნილი ვითარების შესახებ იგი მოახსენებდა შაჰს. სამხედრო საქმეში ექვემდებარებოდა პროვინციის გამგებელს. იცავდა ქალაქის უშიშროებას. მონაწილეობდა საგარეო ომებში.“[1]

აღნიშნული სახელოს კვლევისათვის მეტად საინტერესო იყო ქართლ-კახეთის, XVII–XIX საუკუნეების საქართველოს ისტორიის ქრონიკებში დაცული ცნობა: „1750 წელს მოინათლა გათათრებული მეჰრალიბეგ ციციშვილი, უწოდეს დიმიტრი.“[2] ამ ცნობას იმეორებს პაპუნა ორბელიანი.[3] მისი გაქრისტიანება 1750 წლის 20 ივნისის შემდგომ უნდა მომხდარიყო, რადგან ამ თარიღით შედგენილ აზნაურ, როჭიკაშვილებისადმი სოფლის დაბრუნების წიგნში,[4] უკანასკნელად გვხვდება ქალანთარი, მერალიბეგ ციციშვილი.

---

1 მ.ლომიძე, ყიზილბაშობა 1735-1749 წლების აღმოსავლეთ საქართველოში, თბ., 2007, გვ.73.

2 საქართველოს ისტორიის ქრონიკები, XVII-XIXსს. ტექსტები გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევები, შენიშვნები და განმარტებები დაურთო ავთ. იოსელიანმა, თბ., 1980, გვ.94.

3 პ. ორბელიანი, ამბავნი ქართლისანი, ტექსტი დაადგინა, შესავალი, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო ე. ცაგარეიშვილმა, თბ.,1981, გვ. 173.

4 დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან I, ბატონყმური ურთიერთობა (XV-XVIIIსს.), ნ.ბერძენიშვილის რედაქციით, თბ.,1940 დოკ.#489, გვ.346.

შემდგომი პერიოდის საბუთებში ყველგან დიმიტრი ნაზირის სახელით მოიხსენიება.[1]

ქალანთარის შემოღება ქართლის სამეფოში უკავშირდება ნადირ-შაჰის სახელს. ჩვენს მიერ შესწავლილი წყაროებისა და წარმოდგენილი საბუთების მიხედვით, ქალანთარი ყიზილბაშური ადმინისტრაციული აპარატის მნიშვნელოვან საპასუხისმგებლო სამოხელეო სახელოდ ითვლებოდა. შაჰის კარზე ხანგრძლივი ყოფნა და ქალანთარის მაჰმადიანობა ერთგვარი პოლიტიკური სანდოობის მოწმობა ჩანს ნადირ-შაჰისთვის. დოკუმენტების მიხედვით, იგი ქართულ ფეოდალურ საზოგადოებასთან ახლო კავშირშია. მის შესახებ პაპუნა ორბელიანი აღნიშნავდა: „დღეის აქამდისინ ქართლში ქალანთარი არ ყოფილიყო, ახლა ამ ჴელმწიფემ გაარიგა. ესე იყო ციციშვილი, ძე ედიშერისა, რომელი ისპაანს გათათრებულიყო, და ეს ქალანთარი მერალი-ბეგ იქ გაზრდილიყო და ამ ჴელმწიფისათვის ბევრი ემსახურა. სამსახურის სანაცვლოდ ეს წყალობა უყო სამოცი თუმანი ჯამაგირი განუწესა და ქართლის ქალანთრობა მისცა.“[2] ამ ცნობების და დოკუმენტური წყაროების შედარებითი ანალიზით, შევძელით მერალიბეგ ციციშვილის იდენტიფიცირება და მისი გენელოგიური შტოს დადგენა. ქალანთარის მამა, ქართლის სამეფო კარის სახლთუხუცესი, ედიშერ ქაიხოსროს ძე ციციშვილია. ჯერ კიდევ 1717 წელს ტახტის მემკვიდრის, უფლისწულ ბაქარის დავალებით იგი აწარმოებდა მოლაპარაკებას ირანის შაჰთან ბაქარის ქართლის გამგებლობის თაობაზე. სპარსული ტექსტის მიხედვით შაჰისაგან ედიშერი ქართლის ვექილობასაც იღებს: „...მან იტვირთა ბრწყინვალე თაჯის მოტანა და დიდის მოწიწების გამოვლინებით

---

[1] ქართული სამართლის ძეგლები, ტ. IV. სასამართლო განჩინებანი (XVI-XVIII სს.), ტექსტი გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ი. დოლიძემ, თბ., 1972, დოკ.#395, გვ.491. ქართული სამართლის ძეგლები, ტ. VII, სასამართლო არზა-ოქმები, ტექსტი გამოსცა, წინასიტყვაობა და შენიშვნები დაურთო ი. დოლიძემ, თბ., 1981, დოკ.#77, გვ. 83.

[2] პ.ორბელიანი, ამბავნი ქართლისანი, ტექსტი დაადგინა, შესავალი, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო ე. ცაგარეიშვილმა, თბ., 1981, გვ.66.

მდიდარი ხალათების მორთმევა ამ საქებარი საქმეებით დაიმსახურა ბედნიერება და მეფესთან დაახლოებულ პირთა დასში ჩაირიცხა... ჩვენ გამოვარჩიეთ და განვადიდეთ ის ჩვენი კარისა (სარქრისა) და ქართლის ვექილობის და ციცის-შვილის დიდებული საპატიო სახელის [ბოძებით].“ [1]

1719 წელს ირანიდან დაბრუნებული ვახტანგ მეექვსე, პეტრე პირველის მოკავშირეობით დაიმედებული შეურიგებელ ბრძოლას უცხადებს პროირანული ორიენტაციის ციციშვილებს. მეფის რისხვა პირველად თავს დაატყდებოდა სპარსეთის შაჰის გავლენიან მოხელეს, ქართლის ვექილს, სამეფო კარის სახლთუხუცესს, ედიშერ ციციშვილს. არ არის გამორიცხული, თავდაპირველად ოჯახიანად ირანში გაქცეულიყო მოსალოდნელი საფრთხის გამო.

ჩვენს მიერ სამეცნიერო მიმოქცევაში შემოტანილი 1722-1723 წლის საარქივო დოკუმენტის მიხედვით, ქართლიდან გაქცეული ედიშერ ციციშვილი, მოგვიანებით კახეთის მეფე კონსტანტინეს სამეფო კარზეა. როგორც ჩანს, კონსტანტინეს არ გამოჰპარვია ედიშერის სიახლოვე სპარსეთის შაჰთან და სწორედ ედიშერს აგზავნის შაჰთან ქართლის ტახტის თხოვნით. პრორუსული ორიენტაციის გამო მეფე ვახტანგზე განრისხებული შაჰი, რა თქმა უნდა, სიხარულით მიიღებდა ქართლ-კახეთის მესვეურთა მტრობა-დაპირისპირების და ქართლის სამეფოს ხელში ჩაგდების ხელსაყრელ შესაძლებლობას. შაჰი ედიშერის შუამავლობას აკმაყოფილებს, რაც დიდად დაუმადლა მეფე კონსტანტინემ:„ ყიზილბაშების ქვეყნებში მრავალფერად გვემსახურეთ და რა ჴელმწიფემ[შაჰმა მ.მ.] ეს ჩვენი სამკვიდრო ქართლი გვიბოძა, დიად მეამა და ყოვლის კაცისაგან უწინ შეგიყვარეთ აწ ჩვენის სიდიდისა..აწ ჩვენი მისანდობელი კაცი შეიქენ.[2] შაჰის პოლიტიკური მიზნებიდან გამომდინარე არ გამოვრიცხავთ, მოეთხოვა ასეთი „მისანდობელი“ ედიშერის შვი-

---

[1] ვ.ფუთურიძე, ქართულ-სპარსული ისტორიული საბუთები, თბ.,1955 დოკ.#178, გვ. 428-429.

[2] სცსსა, ფ.1449, აღწ,1, საქმე #327; ფ.1448 ,საქმე #5546.

ლის მძევლად გაგზავნას, რათა მოვლენები მის საწინააღმდეგოდ არ შემობრუნებულიყო და შაჰის ღალატი გულში არ გაევლოთ. ცნობილია, რომ გამაჰმადიანებულ ქართველებს ბოლომდე არ ენდობოდნენ და მძევლებად ზოგჯერ ოჯახის სხვა წევრებსაც სთხოვდნენ, რომლებსაც მოგვიანებით იყენებდნენ პოლიტიკური ინტერესებისათვის, მათი შერყეული პოზიციების გასამყარებლად, ან გავლენიანი საგვარეულოს მეფესთან დაპირისპირების, მტრობისა და შუღლის ჩამოსაგდებად. სამწუხაროდ, ჩვენს ხელთ არსებულ სპარსულ წყაროებში, ცნობებს ქალანთარ მერალიბეგ ციციშვილის შესახებ, ვერსად მივაკვლიეთ. აქვე უნდა ავღნიშნოთ, რომ კონსტანტინეს მკვლელობის შემდეგ (1732 წლის დეკემბერი), მისმა ძმამ თეიმურაზმა დაუფასა ამაგი ციციშვილებს და მის ერთგულთა დასში ჩანს ქაიხოსრო ედიშერის ძე ციციშვილი.[1]

ქალანთრის სახელოს მიღებამდე მერალიბეგ ციციშვილი მილახვარბაშია. მილახვარის სახელოს არსებობას ივ. სურგულაძე მხოლოდ XVIII საუკუნის მეორე ნახევარში მოიხსენიებს. მისი მოსაზრებით, მილახვარის ფუნქცია ძირითადად სამეურნეო ხასიათს ატარებდა. რაც შეეხება ქალანთარის სახელოს, მასზე მხოლოდ პაპუნა ორბელიანის ცნობებს იმეორებს .[2] ჩვენს მიერ მოკვლეული XVIII საუკუნის პირველი ნახევრის დოკუმენტური მასალები კი ქაიხოსრო ციციშვილს მილახვარბაშად მოიხსენიებენ.[3] პირველი ცნობები ქართულ დოკუმენტურ წყაროში, მილახვარბაშ, მერა-ლიბეგზე გვხვდება 1735 წელს, პირის სანახავად ყმის მირთმევის წიგნში, სადაც ვკითხულობთ: „ჩვენ ერისთავისშვილმა ივანემ მოგეცით ეს წიგნი შენ, ბატონს მილახორს მერაბს; ასე რომ ბატონმა

---

[1] ს. ჩხეიძე, საქართველოს ცხოვრება,ზ.ჭიჭინაძის გამოცემა, თბ.,1913,გვ.43.

[2] ივ.სურგულაძე, საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ის-ტორიისათვის, ქართლის სახელმწიფოებრივი წყობილება გვიან-ფეოდალურ ხანაში, თბ., 1952, გვ. 224, 226,229.

[3] ქართული სამართლის ძეგლები, ტ. IV. სასამართლო განჩინებანი (XVI-XVIII სს,), ტექსტი გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ი. დოლიძემ, თბ., 1972, დოკ.#420, გვ.529-534.

ჩემმან, სიძემ ალიხ[ა]ნმა, ჩემს დას პირი[ს] სანახავად მოგართვა და წამოსვლის დროს ბატონი მამა ჩემი აქ არა ბრძანდებოდა და შენც დიაღ, გულით მოინდომე და მოგეცით ჩვენი ყმა..“.[1] დოკუმენტიდან ცხადია, ახლო ნათესაური ურთიერთობა აქვთ, (ქვისლები არიან) ვექილი ალი-ყული-ბეგ ამირეჯიბი* და მერალიბეგ ციციშვილი. არაგვის ერისთავის ასულთან მის ქორწინებას ადასტურებს სხვა დოკუმენტური წყაროც.[2] მერალიბეგის ოთხცოლიანობა მისი გარდაცვალების შემდეგ, მდივანბეგთა სასამართლოს დიდი განსჯის საგანიც გახდა.

1736-42 წლებით დათარიღებული დოკუმენტით ირკვევა, რომ მილახვარბაში მერალიბეგი, ყმა-მამულს ნადირ-შაჰისგან იღებს, საათაბაგოს საზღვრისპირა გუჯარეთშიც: „ეს წიგნი მოგეც მე, რევაზასშვილმა პაატამ და ძმამ ჩემმა პაპუნამ თქვენ, ბატონს მილახვარბაშ მერალიბეგს; ასე რომ გუჯარეთს თქვენს მამულში ვესახლე და ავიყარე, ჯავახეთს გადაველ. ახლა ისევ თქვენს მამულში ჩამოველ, ცხვარი ჩამოვასხი, თქვენს მამულში დავაყენე, ცოლ-შვილი ისევ ჯავახეთს მყავს. რა წამს გზა გაიხსნას და მთა გატყდეს, მაშინვე გადმოვიდე, თუ ამაში გაგიმტყუნდე და არ გადმოვიდე ... ცხვარი ღმერთმა მოგახმაროს მე ხელი ამიღია.“[3]

---

[1] დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან I, ბატონყმური ურთიერთობა (XV-XVIIIსს.), ნ.ბერძენიშვილის რედაქციით, თბ.,1940, დოკ.#356, გვ.245.

*ალი-ყული-ბეგ ამირეჯიბი, სარიდან ამირეჯიბის ძმაა. სარიდანი ვახტანგ მეფეს ხლებია გილანში, სადაც გარდაცვლილა. ვფიქრობთ უმცროსი ძმაც თან ახლდა, გადარჩენილმა კი ამჯობინა გამაჰმადიანება და სპარსეთში დარჩენა. შესაძლოა იქ გადაიკვეთა მათი გზები. ნადირმა 1735წ. ბოლოს ალი-ყული-ბეგი საქართველოში ვექილად დანიშნა, ამ თანამდებობაზე იგი 1741 წლამდეა.

[2] ქართული სამართლის ძეგლები, ტ. VI, სასამართლო განჩინებანი (XVIII-XIX სს.), ტექსტი გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ი. დოლიძემ, თბ.,1977, დოკ.#97, გვ.196-198.

[3] დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან I, ბატონყმური ურთიერთობა (XV-XVIII სს.), თბ.,1940, დოკ.#374, გვ.262.

დოკუმენტი საინტერესოა იმ მხრივ, რომ სამკვიდრო მამული გუჯარეთი, რომელიც ვახტანგის მეფობაში ციციშვილებმა დაკარგეს. შაჰისგან შემთხვევითი წყალობა არ უნდა ყოფილიყო მერალიბეგისათვის. ირანის სახელმწიფოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე, მიანიშნებს საათაბაგოსთან საზღვრის გაკონტროლებაზე, საზღვრისპირა მისასვლელ გზებზე მეთვალყურეობასა და დაცვის უსაფრთხოებაზე დაკისრებულ დიდ პასუხისმგებლობას სხვა ყიზილბაშ მოხელეებთან ერთად.

დოკუმენტიდან აშკარად ჩანს, რომ დაკისრებული პასუხისმგებლობით თავადაც დიდად სარგებლობდა და ჯავახეთიდან გადმოსულ მოსახლეობას ძირითადად თვითონ ასახლებდა თავის მამულებში, რაც თავის მხრივ ციციშვილთა განაწყენებას უთუოდ გამოიწვევდა, რადგან საციციანოში „ხარაბა“ სოფლების სიმრავლემ მძიმე მდგომარეობაში ჩააყენა ციციშვილთა საგვარეულო. ამიტომ გასაკვირი არ არის, რომ გარდაცვალებისთანავე, XVIII საუკუნის 60-იან წლებში, მისი ქონების და ყმა-მამულის დასაკუთრების მიზნით სამამულო დავები პირველად სწორედ განაწყენებულმა მისივე სახლისკაცებმა წამოიწყეს.[1] ქალანთარი სამხედრო, სამეურნეო და სამოქალაქო საქმეებს განაგებდა არა მარტო ქალაქში, არამედ მთელ ქართლის სამეფოში.[2] ნადირ-შაჰის ბრძანებით მასვე ევალებოდა ყიზილბაში მოლაშქრეების, 1745 წლიდან კი საქართველოს დასამორჩილებლად შემოყვანილი ავღანთა ჯარების ჩაყენების და მათთვის სურსათით უზრუნველყოფის საკითხები. 1746 წლის დოკუმენტით გორის მელიქი (მამასახლისი) ფარსადანა მეფე თეიმურაზს მოახსნებდა: „ავღანის ჯარი გებოძებინა ორი უზბაში (ასისთავი) თავისის თაბუნებითა, თითოს ორ-ორი ცოლი,

---

[1] ქართული სამართლის ძეგლები ტ. IV. სასამართლო განჩინებანი (XVI-XVIII სს,), ტექსტი გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ი. დოლიძემ, თბ., 1972, გვ.567, დოკ.#445; სცსსა, ფ.1448, საქმე #5047.

[2] საქართველოს სიძველენი, საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების გამოცემა, რედაქტორი ექვ.თაყაიშვილი, წიგნი III, თბ.,1910, გვ.611.

სამ-სამი ტყვე ...ოთხ-ოთხი ცხენი და იაბუ ყავთ. მოგეხსენებათ ამათი საყოფი სახლი გორს არ არის, ზამთარი არის, ოთხი-ხუთი კომლი რიიათი ქეთხუდები თითო სახლში დამიყენებია, სხვა ამათ მივეცი კიდევ არ ეყოფათ. ქალანთარმა ნახა, ახლა კიდევ ყასუმა-ბეგი უზბაში მოვიდა ...ალაგი აღარ არის, რომ ამასაც ალაგი მივსცეთ.... თუ ამათ ერთს წყალობას არ გვიზამთ, ერთს და ერთს უზბაშს სხვაგან არ უბრძანებთ დადგომასა, გორი დიაღ წახდება ...ბზის წყალობაც გვიყავით, ქალანთარს უბრძანოთ რომა სოფლებში ავლა უყოს, დღეში ოთხას ორმოცდა ათი ლიტრას ბზეს თხოულობენ. რასაც სახლის პატრონებისას ხარჯავენ იმას გარდა, ამდენი უნდებათ, ერთი რაყამიც მიბოძეთ, ციხე-ყულები კარები გაამაგრონ და ქეშიკი (მცველი) გასწიონ.“[1] ამდენად, როგორც დოკუმენტიდან ჩანს, ქალანთარს ემორჩილებოდა მელიქი.

ქვეყნაში შექმნილი მძიმე მდგომარეობის გამო, მართლაც დიდ სიძნეეებთან იყო დაკავშირებული ასეთი დავალებების შესრულება. მერალიბეგს „ბეწვის ხიდი“ ისე უნდა გაევლო და უშეცდომოდ მოენახა ისეთი გამოსავალი, რომ ერთი მხრივ მეფე თეიმურაზის საყვედური, ან განაწყენება არ მოჰყოლოდა, რასაც შეეძლო მეფესთან ურთიერთობა გაეფუჭებინა, ან მოსახლეობისგან დიდი სიძულვილი არ დაემსახურებინა, მეორე მხრივ, ყაენის მოულოდნელი რისხვა თავს არ დატყდომოდა.

ხშირი იყო შემთხვევები, როცა ირანის შაჰი თავის მოხელეებს სასტიკად სჯიდა: „ გააკეთა არბაბი ქართლსა და კახეთზე, ორასი თუმანი დააწესა და ქართლის ბატონის ვეზირს მირზა იბრეიმას, ვექილებს, ვეზირს მუსტაფას ყველას თუ რამ ჰქონდა წაართო, თვალების დათხრა ბრძანა; დათხარეს ყველას და ეგრევე ბრმანი

[1] საქართველოს სიძველენი, საქართველოს საისტორიო და საეთნოგრა-ფიო საზოგადოების გამოცემა, რედაქტორი ექვ.თაყაიშვილი , წიგნი III, თბ.,1910, დოკ. #499, გვ.460.

ქართლში გაისტუმრა.“[1] ამ კონკრეტულ შემთხვევაში მოხელენი მხოლოდ იმ მიზნით იქნენ დასჯილნი, რომ შაჰს ქართველების გული მოეგო და ახალი გადასახადის მოთხოვნა მათთვის გადაებრალებინა. ამ სახელოს შენარჩუნება ყიზილბაშთა ბატონობის ბოლომდე გვაფიქრებინებს, რომ სპარსეთში აღზრდილი შაჰის კარის ინტრიგების საუკეთესო მცოდნე და თვითმხილველი მერალიბეგი, გამოირჩოდა გონიერებით, სიფრთხილით, ზომიერებით, ზოგჯერ სიტუაციებს მორგებული თვალთმაქცობით და შეძლო კიდეც ყიზილბაშობის ბოლომდე ამ სახელოს შენარჩუნება, თანაც ისე რომ თეიმურაზ მეფისთვისაც ერთგული და საპატივცემულო ქვეშევრდომად დარჩენილიყო.

პაპუნა ორბელიანი საინტერესო ცნობას გვაწვდის ყაენის წინაშე ქალანთარის კიდევ ერთ მოვალეობაზე „ვეზირი, მელიქი ქალაქისა და ქალანთარი“ ნადირ-შაჰს დაუბარებია მას შემდეგ, რაც მუმეიზის მიერ აღწერილა ქართლი, შეუდგენია ქართლის აღწერის დავთრები 1741 წელს, რადგან შაჰთან დაუბეზღებიათ, „ქართველნი ქრთამს აძლევდნენ და ქვეყანას ხარაბად აწერინებენო“, თავად „ქართველნი ჩივიან, ქვეყანა ხარაბა არისო და მიდი, დაწერე და მართალი მომახსენეო“.[2]

ქართლში პოლიტიკური ვითარების გამწვავებისთანავე ფრთხილი ნადირ-შაჰი მერალიბეგს, ვექილთან ერთად იბარებდა.[3] დოკუმენტების მიხედვით ქალანთარი თან ახლდა ყაენის კარზე მიმავალ მეფესაც. როგორც ჩანს, ზემოთაღნიშნული მოხელენი ირანის შაჰის საგანგებო დავალებების შემსრულებელნი და პასუხისმგებელი პირები იყვნენ, არა მარტო გადასახადების აკრეფაზე, არამედ მოხელეებისგან შაჰის ბრძანების აღსრულების

---

[1] პ.ორბელიანი, ამბავნი ქართლისანი, ტექსტი დაადგინა, შესავალი, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო ე. ცაგარეიშვილმა, თბ.,1981, გვ.395.

[2] იქვე, გვ.65-66.

[3] იქვე, გვ. 66.

კანონიერებაზე. ქალანთარის მოვალეობათა შესახებ ცნობები დაცულია ასევე ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის დოკუმენტებში.[1]

ქალანთარის ცნობების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, წინდახედულმა, შორსმჭვრეტელმა მეფე თეიმურაზმა შეძლო „თანხმობითა და მეგობრობის პირობით“ დაემქვემდებარებინა სამეფო ხელისუფლებისათვის არა მარტო მისი სამოხელეო სახელო, არამედ გაეზარდა მის წინაშე ქალანთარის პასუხისმგებლობა. მეფე ქალანთარს ირანულ გარნიზონთან ერთად მოხერხებულად იყენებდა ლეკთა გამუდმებული თარეშის წინააღმდეგ, რაც მეფე თეიმურაზის წერილიდანაც ჩანს. [2]

საყაენო გადასახადებზე ხანჯალ-ხანის და მერალიბეგ ციციშ-ვილის პასუხისმგებლობის შესახებ ცნობა დაცულია 1739-1742წწ. დათარიღებულ თუმანიშვილების საყაენო ხარჯის ნუსხაში. 1735 წლიდან 1738 წლის მაისამდე ნადირ-შაჰმა ოსმალების წინააღმდეგ ბრძოლების სარდლობა მიანდო ხანჯალ-ხანს (იგივე ასლამაზ-ხანი), წარმოშობით ქართველს, გავლენიან ორბელიანთა საგვარეულოდან. იგი იწოდებოდა თბილისისა და აღმოსავლეთ საქართველოს „მაღალ-ადგილოვან სარდლად.“[3] 1738 წლის მაისიდან კი იღებს ბეგლარ-ბეგის საპატიო წოდებას. დოკუმენტში მერალიბეგი სარდალთან დაახლოვებულ ხანჯალ-ხანის კაცად მოიხსენიება.[4]

ქალანთრი გვხვდება სხვადასხვა იურიდიულ აქტებში მოწმედ,[5] მათ შორის ქალანთარი და სარდალი ქაიხოსრო ციციშვილი

---

[1] ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ფ.Hd, საბ.495; ფ.Sd, საბ.1085.

[2] ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ფ. Hd, საბ.11508; ფ. Qd, საბ.9499.

[3] სპარსული ისტორიული საბუთები საქართველოს წიგნსაცავებში, წ. I, ნაკვ.4, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა ვლ.ფუთურიძემ, თბ.,1977,გვ.127.

[4] მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის, III, (აღმშე-ნებლობა, სახელმწიფო ეკონომიკა, ქონება), მასალები შეარჩია, და გამოსაცემად მოამზადა ნ.ბერძენიშვილმა, თბ., 1955, დოკ.#35, გვ.48.

[5] ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ფ.Hd, საბ.1887; ფ. Hd , საბ.13679; ფ. Hd, საბ.14611.

მოწმეები არიან 1746 წლის 9 აპრილს ყმისა და მამულის ნასყიდობის წიგნში. [1]

ქალანთარი მამულების შეძენის პრივილეგირებული თანამდებობის წყალობით საკმაო მამულებს ფლობდა საციციანოში.

1742-1747წწ. აზნაურშვილებისა და გლეხების მიერ მერალიბეგისადმი მიცემული პირობის წიგნიდან ჩანს მოსავალის ნახევარს ერთიანად მას უხდიდნენ და შემდეგ ისტუმრებდა სათათრო „გამოსაღებელს“: „ესე წიგნი მოგართვით თქვენ, ბატონს ჩემს ქალანთარს მერალიბეგს ჩვენ, თქვენმან ყმამან აზნაურ[ი]ს-შვილმან და გლეხმან; ასე რომე, რაც მოსავალი იყოს ან პური, ან ქერი, ან ფეტვი, ან ტკბილი, ან ნიგოზი, რაც მოსავალი იყოს, სულ იმის ნახევარი თქვენ მოგცეთ და ხემწიფის სათხოვარი თქვენ უნდა მიცეთ. ჩვენ ყველას ნახევარი თქვენ მოგცემთ. ჩვე[ნ]თან ხემწიფის სათხოვარი არა მოგ[ვ]ადგეს -რა წლამდი.“[2]

ეს დოკუმენტი კიდევ ერთხელ დაახლოებით განსაზღვრავს მილახვარბაში, მერალიბეგ ციციშვილის ქალანთარობის წლებს (1742-1743-1750წწ.), აშკარაა შაჰს დაუწინაურებია, რადგან მისი ჯამაგირი მანამდე განისაზღვრებოდა მხოლოდ ოცდახუთი თუმნით, „სამოცი თუმანი ჯამაგირი განუწესა და ქართლის ქალანთრობა მისცა-ო,“ ადასტურებს ისტორიკოსი სეხნია ჩხეიძეც. [3] ჯამაგირს ადგილობრივი მოსახლეობიდან აღებული გადასახადებიდან იღებდა. [4]

ქალანთარი მამულების და სიმდიდრის შეძენის მოსურნე - მოყვარული ჩანს თავისი პრივილეგიური მდგომარეობით არც მცდელობას აკლებდა ყმა-მამულების ხელში ჩასაგდებად, რასაც

---

[1]დოკუმენტები საქართველოსოს სოციალური ისტორიიდან I, ბატონყმური ურთიერთობა(XV-XVIIIსს.) ნ.ბერძენიშვილის რედაქციით, თბ.,1940, დოკ. #465, დოკ.#466, გვ.329-330; დოკ.#578, გვ.413.

[2] იქვე, დოკ.#441, გვ.313.

[3] ს. ჩხეიძე, საქართველოს ცხოვრება, ზ. ჭიჭინაძის გამოცემა, თბ., 1913, გვ.75-76.

[4] ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ფ. Hd, საბ. 495; ფ. Sd, საბ.1085.

ქალანთარის სამამულო დავების ამსახველ დოკუმენტებში ვხდებით, თუმცა ასეთი დოკუმენტები ერთობ მცირეა[1]. მათგან საინტერესოა იასე ბარათაშვილის საჩივარი.[2]

სამამულო დავების განხილვისას ემორჩილებოდა მეფის განჩინებას და ბრძოლას არ უცხადებდა ქართულ მართლმადიდებელ ეკლესიას. მის წინააღმდეგ აღძრულ 1744 წლის 17 სექტემბრის სარჩელის გამო, სხვა გამაჰმადიანებული მოხელეებისაგან განსხვავებით, შურისმაძიებლის როლში არ გამოდიოდა და გაურბოდა სასტიკ ანგარიშსწორებას მოსახლეობისადმი. თვითონ მოსარჩელე მხარისადმი კეთილგანწყობას ინარჩუნებდა, რითაც მეფის გადაწყვეტილებისადმი პატივისცემას და მორჩილებას გამოხატავდა: „მამაცასშვილი ქაიხოსრო ციცისშვილს მერალიბეგ ქალანთარს უჩიოდა: [მ]ღებრისშვილი მუმეიზისაგან თავისის ნასყიდისა და უსყიდის მამულით სამროვლოზე სწერიაო და მერალიბეგ მღებრიშვილს თავისის ნასყიდობის ღალასა და კულუხს სთხოვსო და უსამართლოს გ[ვ]იშვრებაო... პატრონმან მეფეთ-მეფემან თეიმურაზ ესენი ერთად ვალაპარაკეთ და ამათი საჩივარი გავიგონეთ. და მღებრისშვილის ნასყიდობის წიგნები გავსინჯეთ ...დიდი ხნის ამბავი იყო, რომ ციციშვილის ყმას ეს მიწები გაეყიდნა, შვაზე ასოცდათორმეტს წელიწადს გამოევლო და ხელმწიფის მუმეიზსაც მღებრისშვილი თავისის მამულით სამროვლოზე დაეწერა. რადგან დიდი ხნის ნასყიდობა იყო და მუმეიზისაგანაც სამროვლოზე დაწერილიყო და ჯამი ამათზე იყო, მერალიბეგს ამ

---

[1] ქართული სამართლის ძეგლები ტ. IV. სასამართლო განჩინებანი (XVI-XVIII სს.), ტექსტი გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ი. დოლიძემ, თბ., 1972, დოკ.#480, გვ.613.

[2] იესე ბარათაშვილის ცხოვრება-ანდერძი, ტექსტი გამოსცა შესავლით, შენიშვნებით, ლექსიკონითა და საძიებლებით ავთ. იოსელიანმა, მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვეთი 28,თბ.,1950, გვ.120.

ნასყიდობის ღალა-კულუხთან ხელი არა აქვს.[1] მიუხედავად გამოტანილი ქალანთარის გამამტყუნებელი განაჩენისა, მათ შორის ურთიერთობა კვლავაც გაგრძელებულა. 1746 წლის 15 ივნისს ქაიხოსრო მამაცაშვილის მიერ მიცემულ თავდებობის წიგნში ისევ მერალიბეგს მიმართავდა: „ციცისშვილს ბატონს ქალანთარს მერალიბეგს და ძმასა თქვენსა პატასა და ძმისწულსა თქვენსა იოვანეს და დემეტრესა და შვილსა თქვენსა ედიშერს და ნოდარსა; - ასე რომ ჟამსა ვითარებისგან ავი ბატონყმობა და ორგულობა და ღალატი შეიქნა ჩვენს ქვეყანაში და მე ამ მავნელისშვილის პეტრეს მაგიერი თავდები დავდეგ. თუ ამან დაშავოს რამე თქვენზედ ან იმტყუნოს, ან ღალატი შეაჩვდეს, ან ორგულობა, ან ავათ გემსახურნენ და თქვენი უამებელი საქმე ქნას ან სიტყვითა ან საქმითა... მეფეთ-მეფის თეიმურაზის შემცოდე ვიყოთ და სვეტიცხოვლისა უარისმყოფელი და ყოვლად სანატრელის კ~ზ პატრიარქისაგან შეჩვენებული ვიყო.“ [2]

თავად ქალანთარი აქტიურად მონაწილეობდა თავდაცვითი ნაგებობების მშენებლობასა და რესტავრაციაში. ქალანთარი მამულებს ყულის გადახდისა და ციხის აშენების პირობითაც ყიდულობდა.

ბაადურ ციციშვილს აზნაურშვილები „ყიზილბაშჩი გაყიდული“ გვარამაძე ლომის და ბეჟანის მამულები ქალანთრისთვინა მიეყიდა, „ასე ეთქო: გვარამაძისა მამული მამეცო და ყულსა გადაგიხდიო და სხვა რაც ფასი დამედებაო ფასთ მოგცემო. აღარც ყული გადაუხდია, არცა ფასი მიუცია, ასე შევიტყე, რომე ხუთი მინალთუნი მიუცია ... ასე დაპირდა ამ გვარამაძის მამულში გომს ციხეს გაგიკეთებო და ნოქარს დაგიყენებო, ყულსაც მე გადაგიწ-

---

[1] ქართული სამართლის ძეგლები, ტ. IV. სასამართლო განჩინებანი (XVI-XVIII სს,), თბ., 1972, დოკ.#271, გვ. 358.

[2] დოკუმენტები საქართველოსოს სოციალური ისტორიიდან I, ბატონ-ყმურიურთიერთობა (XVXVIIIსს.), ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, თბ.,1940, დოკ.#466, გვ.329-330.

ყვეტო. ვერც ერთი უყო.“[1] ცნობილია, რომ ირანის შაჰებს, მათ შორის ნადირსაც, თავი ქართული მიწების უზენაეს მესაკუთრედ მიაჩნდა და ქართველი ფეოდალები მოვალენი იყვნენ თავიანთი ყმა-მამულის მფლობელობის უფლება ხელახლა მიეღოთ ყიზილბაში მოხელეებისაგან, „მალუჯათის“ გადახდის პირობით.

მოჰამედ თაჰერი ხაზგასმით აღნიშნავდა ამგვარ „წყალობას“.[2] ხარკის სიმძიმის გამო, ცდილობდნენ აუტანელ ტვირთად ქცეული მამა-პაპეული მამული ჩალის ფასად გაეყიდათ, ან მუქთად დაეთმოთ უფრო შემლებული სახლისკაცისთვის, რომელიც ამ მამულზე დადებულ ხარკისათვის პასუხისმგებლობას იკისრებდა. თვით მეფე თეიმურაზის ნაწყალობევი მამულები, ყიზილბაშების ხელში რომ არ აღმოჩენილიყო, ან გლეხთა მასობრივი აყრა-გაქცევა არ მოჰყოლოდა „მალუჯათის“ გადაუხდელობის გამო და ნადირ-შაჰის რისხვა ქვეყანას თავს რომ არ დასტყდომოდა, გადახდისუუნაროთა მამულებს დროებით შემლებულ თავადებს, აზნაურებს ან სანდო მოხელეებს ურიგებდა. ქალანთარს ამიტომაც მისცა დროებით სარგებლობაში როჭიკაშვილის მამული. შაჰის მოხელეობის წყალობით, „მერალიბეგს როჭიკას-შვილის მამულის მალუჯათი არა მიეცა რა.“ როგორც ჩანს, მაღალი თანამდებობის წყალობით, ახერხებდა კიდეც თავისი მამულების გარკვეული ნაწილი „მალუჯათის“ გადასახადისგან გაეთავისუფლებინა.

ყიზილბაშობის დასრულების შემდგომ, 1750 წლის 20 ივნისის სოფლის დაბრუნების წიგნით, ქალანთარი მიბარებულ მამულებს უკან აბრუნებს:„...მეფეთ-მეფემან თეიმურაზ როჭიკასშვილების მამული სკრა ამას წინათ მერალიბეგ ქალანთარს უბოძეთ, ამიტომ რომ ქვეყანას ბევრი სახელმწიფო სათხოვარ ედვა და როჭიკას-

---

[1] დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან, II, ბატონ-ყმური ურთიერთობა (XV-XIXსს.), ნ. ბერძენიშვილის რედაქციით თბ.,1953,დოკ. #92, გვ.62.

[2] ვლ. ფუთურიძე, მოჰამედ თაჰერის ცნობები, საქართველოს შესახებ, მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, თბ.,1954, ნაკვ.30, გვ. 393.

შვილებმა თავეთის სოფლის სკრის მალუჯათისა და სათხოვრის გამოღება ვეღარ შეიძლეს და მერალიბეგს დავანებეთ. ღ˜თით და ჴელმწიფის წყალობით საქართველოს მალუჯათი და სათხოვარი ამოეკვეთა და ისევ ძველ რიგსა და დასტურზე და[ა]ყენეს. მერალიბეგს რა ჩვენ წიგნი უბოძეთ, მას აქათ ამ როჭიკასშვილის მამულის მალუჯათი არა მიეცა რა და როჭიკასშვილებს ოთარსა და ამის ძმისწულს დავითს და სხვათ სკრა, თავეთია მამული, ისევ ამათ უბოძეთ და დავანებეთ. მერალიბეგ ქალანთარს ამ როჭიკას-შვილების მამულთან ხელი არ[ა] აქვს.[1]

დოკუმენტების მიხედვით ქალანთარისა და თავის სახლისკაცებს შორის სამამულო დავებზე ჩამოვარდნილი დაპირიპირება-მტრობის გამო,[2] ქვეყნის პოლიტიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, მათი შერიგებისა და თანხმობის ინიციატორი მეფე გამხდარა, 1744-1750წწ.დათარიღებული, შეყრილობის წიგნით მერალიბეგ და დავით ციციშვილი ძმობასა და ერთობაზე მორიგებულან:„.. ცოტა ხანს მამაჩვენები გაყრილიყვნენ. მას უკან ისევ სახლისკაცობა ექნათ. ავი დროს გულისათვის ერთმანერთში ცოტა რამ სამდურავი გამოგვერია. ბატონის მეფის თეიმურაზის ბრძანებით ისევ ძმობაზე შევრიგდით. რაც ერთმანერთზედ დანაშაულობა გვქონდა, ხელი ავიღევით, ძმობა და სახლისკაცობა მოვინდომეთ და ისევ შევიყარენით ძმათა....სხვა ამას გარდა ჩვენს საერთოს მამულში და ყმაში არც კაცს წაართვათ რამე, არც დაარბიოთ, არც ჩვენი უნებური ქნათ რამე, არც ერთის ფულისა სთხოოთ რამე და არც გამოართვათ რამე. დღეის და დღეის იქით რაც ხემწიფიდამ შემოვიმატოთ, ან რაც მამულიდამ ნასყიდობა შემოვიყიდოთ, საერთო იყოს; რაც სათავნოდამ ვიყიდოთ და შემოვი-მატოთ, ერთმანერთთან ხელი არ გვქონდეს. ჩვენ, სანამ ცოცხალი

---

[1] დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან I, ბატონყმური ურთიერთობა(XV-XVIIIსს.), ნ.ბერძენიშვილის რედაქციით, თბ., 1940, დოკ.#489, გვ.346.

[2] ქართული სამართლის ძეგლები, ტ. IV, სასამართლო განჩინებანი (XVI-XVIII სს.), ტექსტი გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ი. დოლიძემ, თბ., 1972, დოკ.#286, გვ.372-373.

ვიყვნეთ არ გავიყარნეთ. რომელმაც ერთმანერთზე დავაშაოთ რამე და გაყრა მოვინდომოთ, მამულიდამ ხელი ავიღოთ. თუ ჩვენმან შვილებმან გაყრა მოინდომონ, როგორც ქართლის დასტური იყოს იმრიგათ გაიყარონ...“ [1] დიდ დროს არ გაუვლია, დადებული პირობა მალევე დარღვეულა და სახლისკაცთა შორის კვლავ ღალატსა და მტრობას დაუსადგურებია. აღნიშნული დოკუმენტი შედგენილი უნდა იყოს 1744-1746 წლებში, რადგან თეიმურაზის ყაენის კარზე წასვლის წინ, დავით ციციშვილი მოკლული იქნა. ამაზე მიუთითებს ცნობები 1747-1749წწ. ქალანთარის არზიდან: „ღმერთმან შეგვიწ-ყალა, რომ ქართლის ჴელმწიფობა თქვენ და მამათქვენს მოგეცათ. მეფე თეიმურაზ მიბრძანა: წადი თქვენს ქვეყანაში, შენობა ჩამოაგდეო, მეც წყალობას გიზამო. მწყალობელი ბრძანდებოდით მეფეც და თქვენც. წაველ ხარაბას ქვეყანაში, შენობა ჩამოვაგდე, მოგეხსენებათ რა ხარჯი ვქენ და ან რა დავხარჯე. ქარელს ციხე ავაშენე თქვენის დოვლათითა. ამ თარიღში, მირზა ჰუსეინ ვეზირი და კონსტანტინე მუხრანის ბატონი და მე მეფემ თეიმურაზ ზემო ქართლში მალუჯათზე გაგვგზავნა. საავალიშვილოდამ რომ დავბრუნდით, ვეზირსაც დავპატიჟე და მუხრან ბატონსაც, მაგრამ არ მეწვივნენ. მე ერთი დღის დასტური მამცეს და გაველ ქარელში, ჩემი ყმაც და ალექსანდრეს აზნაურიშვილებიც დავპატიჟე ...ამ სმაში დავით და ჩემი აზნაურიშვილები, იმისი მესისხლეები შელაპა-რაკდნენ და ...მესისხლეებმა დავითს უღალატეს.“[2] ე.ი. დავითი საეჭვო ვითარებაში მერალიბეგის აზნაურების ხელით იღუპება.

დოკუმენტის მიხედვით ჯერ „ოსმალობის“, შემდეგ „ყიზილბა-შობის“ მძიმე მდგომარეობაში, გახარაბებულ საციციანოს მოვლა-პატრონობაზე მზრუნველობა და შესაბამისად გადასახადებზე პასუხისმგებლობა ქალანთარს მეფისგან მიუღია, როგორც ჩანს ალღოიანმა მეფემ მეტად გონივრული ნაბიჯი გადადგა, როცა

---

[1] ქართული სამართლის ძეგლები, ტ.VIII, ტექსტი გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ი. დოლიძემ, თბ.,1985, დოკ.#915, გვ.896-898.

[2] სცსსა, ფ. 1448, საქმე #5048 a.

საციციანოს მოვლა-პატრონობაზე ზრუნვა მას დაავალა: „ქვეყანა ასე გაახარაბეს. იმათს მალუჯათს და ჩემს წილს ...ველმწიფე მე მართმევდა. ოთხი წელიწადი ქვეყანა ხარაბა იყო.“ ქალანთარის სიტყვებიდან გამომდინარე, მეფე თეიმურაზს საციციანოს მალუჯათის გადახდაზე პასუხისმგებლობა სწორედ მისთვის დაუკისრებია.[1]

ამონარიდი ასევე აშკარად მიანიშნებს, რომ ქალანთარი ვეზირს ემორჩილება და საკუთარ მამულში დარჩენის დროსაც მასთან ათანხმებს. მეორეს მხრივ, ჩნდება კითხვა ძმობა-ერთობაზე შემორიგებული დავით ციციშვილის საეჭვო ვითარებაში მკვლელობა ქალანთარს ხომ არ უკავშირდება. როგორც ჩანს მერალიბეგი თავად ჩასულა მეფესთან თავის მართლების მიზნით. მეფე თეიმურაზს მართლაც გადაუწყვეტია მისი საკადრისად დასჯა: „მამითქვენის სამართალში კარზე ჩამოველ ... მეფე არ დამჯერდა, გამიწყრა და დამიჭირეს და ქალაქის ციხეში დამაბეს ....იმისი მკვლელები ქარელში იყვნენ და ჩამოაყვანინეს. მეფემ თეიმურაზ მოძღვრით ხალხში სამჯერ-ოთხჯერ გადაიკითხა და ფიცი მოახსენეს - ქალან-თარი იმის სიკვდილში არ ურევიაო ...განაჩენი მომცეს მეფე თეიმუ-რაზ და ბატონიშვილმა პატრიექმა ანტონიმ და დარბაისელთა ...მართალი გამოველ.“[2] სხვა ფაქტობრივი საფუძველი არა გვაქვს, არ დავუჯეროთ მეფისა და პატრიარქის გადაწყვეტილებას, თუმცა არც ის უნდა იყოს უსაფუძვლო, რომ შაჰის კარის ინტრიგებში გამოცდილის ხელი, შესაძლოა მართლაც ერია ამ მკვლელობაში, მაგრამ ვერაგ, ეჭვიან და არაპროგნოზირებად ნადირ-შაჰთან, რომელმაც საკუთარი შვილიც კი მოაკვლევინა, იმ მოტივით რომ წინასწარ ვერავინ განსაზღვრავდა რას მოიმოქმედებდა ამ ფაქტის გამო, იქნებ „ჩათრევას ჩაყოლა“ ამჯობინეს და ამიტომ გაამართლეს. 4 ნაწილიანი მრავალმხრივ საინტერესო საარქივო მასალის ფარული მიზანი ამ ვერსიის უსაფუძვლობაში თავად ერეკლე მეორის

---

[1] სცსსა, ფ. 1448 ,საქმე #5048 a.

[2] სცსსა,ფ.1448 ,საქმე #5048 a.

დარწმუნების მცდელობა შეიძლებოდა ყოფილიყო, რადგან ციციშვილების და ერეკლე II-ს დამოკიდებულება ქალანთარისადმი შეცვლილი ჩანს, მეფე თეიმურაზის ირანში წასვლის შემდეგ (1747-1749წწ.). როგორც ჩანს, სახლისკაცებმა ხელსაყრელი დრო შეურჩიეს შურისძიებისთვის, ნადირ-შაჰის მკვლელობა შეთქმულთა მიერ, არეულობა ყაენის კარზე, მეფე თეიმურაზის ხანგრძლივი ყოფნა ირანში. ისინი არა მარტო მოურიდებლად სდებდნენ ბრალს დავით ციციშვილის მკვლელობაში, არამედ ემუქრებოდნენ ფიზიკური განადგურებით, რის გამოც ქალანთარი ერეკლე მეორეს არზით სთხოვს დახმარებას. გვრჩება შთაბეჭდილება, რომ შესაძლოა ერეკლე ნადირ-შაჰის მოხელისადმი განსაკუთრებულ სიფრთხილეს იჩენდა, უკეთ რომ ვთქვათ, არ ენდობოდა ქალანთარს, რაც არ გამოეპარებოდა შაჰის კარზე გამოზრდილ მერალიბეგის მახვილ თვალს, ამიტომ ნდობის მოსაპოვებლად ფრაგმენტულად აღწერს სათავადოზე მზრუნველობას, ბიძაშვილებთან ურთიერთობას. განსაკუთრებულ აქცენტს აკეთებს მათი მხრიდან მოსახლეობის ტყვეებად გაყიდვის ფაქტებზე იმერეთსა და ახალციხეში, თან დართული აქვს ტყვეთა ნუსხები და ნაძარცვი ქონების ჩამონათვალი:„...აქამდინ კი იყაბულეს ის განაჩენი და ახლა აღარ ყაბულობენ. ახლა თქვენ ჰქენით სამართალი, თუ დანაშაული მაქვს, გადამახდევინეთ...თუ ურევივარ რაშიმე თამბა მიყავით. ეს კაცი მევე მემუქრება ხან თოფით იწევს ჩემზე, ხან ხლმით მკლავს...“[1] თავს დატეხილი საშიშროების გამო ითხოვს ხელმწიფისგან სამართალს. ამას მოსდევს დოკუმენტში ქალანთარის სახლისკაცთა მიერ ქართული ფეოდალური წესისათვის მიუღებელი ტყვეთა სყიდვის სამარცხვინო საქმიანობის ამსახველი, მრავალმხრივ საინტერესო ცნობები, რომელიც ნათელ წარმოდგენას გვიქმნის ყიზილბაშობის პერიოდის საციციანოს მძიმე სოციალურ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ მდგომარეობაზე: „ქ. ყ[ი]ლიჯ[ლი] ალი-ხანს რომ

[1] სცსსა, ფ.1448, საქმე 5048 a.

ბატონობა მისცეს. იმ თარიღში პაპუნა[ს] შვილი დავით და პაატა იმერეთს კიკნაძეებში იყვნენ. იმ ხანათ მე ჭელმწიფის კარზე დამიბარეს ანგარიშისათვინ....დავითმა გვერდწითელს სალთხუცესს მოუნათლა შვილი. ამ ნათლობითა და შერიგებითა მამატყუილეს, სალთხუცესი ნიკოლოზ, ხოსია გულბადიშვილი გაგზავნეს იმერეთს და კიკნაძეები მოიყვანეს, ძამის ციხეს უღალატეს. გვერდწითელი გიორგი სალთხუცესი, თავიანთი ნათლიმამა მოკლეს... ნათლული ციხიდან გადააგდეს და ნადირ-ფრინველმა შეჭამა. იმ ციხეში ახალდაბური სახასო ხუცის შესამოსელი სტეფანაშვილს ებარა. პაატამ სტიხარი ახალუხად შეაკერვინა და ოლარი სარტყლათ შემოირტყა ... თავისი ნათლულის რძალი ხასათ დაისვა. იმითაც არ იქნა:თავისი ნათლიმამა ამირან გვერდწითელი, თავისის ნათლი-დედა, თავისი ნათლული, ის ხასა სულ ყველას მოუსვა ჭელი და თათრებს მიჰყიდა. ამირან დღეს აქ გახლავსთ და ახლაც თათრებსა ჰყავთ. ამითაც კიდევ არ იქნა: წინამძღვიშვილი მოკლეს შიო, დასახოცი დახოცეს, გასაყიდი გაყიდეს; ნახევარი ოსმალოს მიჰყიდეს და ნახევარი იმერლებსა. რაც ჩვილი ყმაწვილი იყო, რომ არავინ იყიდა, ციხიდამ გადაყარეს და ნადირ-ფრინველმა შეჭამა; რაც მონაზონი და ბებერი იყო, რომ არ გაიყიდებოდა, სულ ერთს სახლში შეყარეს, ბოძები გამოუყარეს, სახლი ზედ დააქცივეს და ისე უზიარებელი დახოცეს. ძირს რაც დარჩა, შუა გაიყვეს, დავითმა იმერეთს წაასხა და იქ დაყიდა; და პატამ ოსმალოში წაასხა და იქ დაყიდა.“[1]

ამავე დოკუმენტში წარმოდგენილია ქალანთარის ძმისშვი-ლების, პაატას და დავითის მიერ მის კუთვნილ ძამის ციხეში მყოფი ქალანთარისვე ყმების- 59 კომლი გლეხის და აზნაურიშვილის, ტყვედ გაყიდვის და ამოწყვეტის ამაზრზენი ფაქტები. დართული აქვს ტყვედ გაყიდულთა ნუსხა, თან ერთვის მათ მიერ ნაძარცვ-ნაპარავი ქონების ჩამონათვალი:„ამ აზნაურიშვილების თავეთი...

[1] სცსსა, ფ.1448, საქმე 5048 a.

ცოლ-შვილის და ყმისა ოქრო, ვერცხლი, თვალი და მარგალიტი რაც ქონდათ...თეთრი, სპილენძი, ტანთა, ფეხთა, ქვეშაგები, გუთნეული, ცხვარი, ძროხა, კანბეჩი, ღორი...სარჩო-პური, ღვინო, ყველი, ერბო, ხმელი თუ ნედლი...თოფი, ხმალი, იარაღი, ტყვია და წამალი."

დოკუმენტის მინაწერი verso-ზე იკითხება: „ ქ.. ძამის ციხის ამოწყვეტის დავთარია, დავითისა და პაატასაგან".

ბიძაშვილებს არც ზაზა ციციშვილი ჩამორჩენილა: „ ქ. ჩემი ძმა ქაიხოსრო რომ ცოცხალი იყო, ხანჯან ხანის ბატონობაში(1735-36წწ. სარდალი,1738-1740წწ. ბეგლარბეგია) ციციშვილმა პაატამ ყაზახობა დაიწყო,(როგორც ჩანს შეთანხმებულად მოქმედებდნენ). აქვე თან ერთვის „პაატას საკუთარი გასყიდული ტყვის დავთარი".[1]

ამის შემდეგ ქალანთარი აგრძელებს ზაზა ციციშვილის „ყაზახობის" აღწერას ჯავახეთში. თან ერთვის „ზაზას საკუთარი გასყიდული დავთარი". როგორც ჩანს, გაყოფაზე ბიძაშვილებს დავაც კი მოსდიოდათ, „ზაზა რომ ყაზახობდა, თავისი ბიძაშვილი დავით გამოუდგა და კენაღამ ერთმანერთი დახოცეს-ო."[2] ამის შემდეგ დოკუმენტის ბოლო ნაწილში, პერიოდების თანამიმდევრობის დაცვის მიხედვით აღწერილია პაატას და ზაზას ტყვეებით ვაჭრობის მეორე სამარშრუტო გზა, იმერეთიდან სტამბოლის ბაზრისაკენ.[3]

ძნელია ამ მძიმე ბრალდებების უკრიტიკოდ მიღება, შესაძლოა დავითის მკვლელობაში თავის უდანაშაულობის დამამტკიცებელ საბუთებად იყენებს, რათა ყველა დაერწმუნებინა, რომ დავითს ჩადენილი ცოდვების გამო მიუზღეს, მაგრამ თუ ეს ცილისწამება იყო ქალანთარის მხრიდან, ამ ბრალდებების უარყოფის მცდლობაც არ ყოფილა შემდგომში ამ სახლისკაცთა შთამომავლების მხრიდან. ერთი შეხედვით ჩანს, თითქოს ქალანთარი ტენდენციურია, ან აზვიადებს მომხდარს, შესაძლოა პროტესტსაც იწვევდეს ყიზილ-ბაშთაგან გაყიდულ ქართველ ტყვეებზე დუმილს რომ ამჯობინებს,

---

[1] სცსსა,ფ.1448, საქმე 5048, b .

[2] სცსსა, ფ.1448, საქმე 5048 c.

[3] სცსსა, ფ.1448, საქმე 5048, d.

მაგრამ ფაქტია, ამ პერიოდის ციციშვილთა ნაწილი იოლი გამ-დიდრების მიზნით „ლეკობდნენ“ ჯერ კიდევ 1735 წლიდან: „ესე წიგნი მოგეც მე, ბურდი[ა]სშვილმა ამ[ი]რან თქვ[ე]ნ ციც[ი]სშვილს ოთ[ა]რსა....ასე რომე ჩემი და ბუღუტ[ა]ურის არდაშელის ცოლი გაგეყიდნ[ა]თ. ჩემის ს[ი]ტყვა ერ[ი]ვა იმ საქმეში, მ[ო]ველ გელაპარაკე სიხლთში ჩაგაგდევ. მოხ[ვ]ედით, რ[ა]ც იმ ჩემ დაში აგეღოთ, თამამ[ა]თ მამაბარეთ. თქვ[ე]ნზე არ დარჩომილ[ა]-რა არც ერთის ფარ[ი]სა იმ[ი]სა თქვენზე და სულ მე მამეცით, რაც აგეღოთ, გარდამიწყვ[ი]ტეთ. თქვ[ე]ნზე არ[ა]ფერი ამისი დავა...არ დარ-ჩომილ[ა] თქვ[ე]ნთან. თუ ამაში ჩემი დის საქმეში გედა[ო]ს ვინმე....თუ ან მე გედაო ან სხვა ვინმე, ბედნიერის ვ[ე]ზირ[ი]ს შემცოდე ვიყო...“[1] ქალანთარის აღწერილ მოვლენათა აღნუსხაში ცენტრალური ადგილი უჭირავს სახლისკაცთა ტყვეთა სყიდვის სამარცხვინო საქმიანობას, ერთ დროს გავლენიან საგვარეულოში. ქალანთარის თვალით დანახული და აღწერილი მძიმე ვითარება საციციანოში, ძმისშვილების მიერ საკუთარ ყმა-გლეხთა და აზნაურშვილთა ღალატი და ტყვეებად გაყიდვა, განადგურება, სისხლით ნათესაური წესების დარღვევა, ეკლესიისა და საეკლესიო პირებისადმი უპატივცემლობა, ეს ის საკითხებია, რომელზეც არზით მოახსენებდა მეფე ერეკლეს. დოკუმენტების ანალიზიდან გამომდინარე , ვთვლით, რომ ამ სამარცხვინო საქმიანობას თავად არ კადრულობდა, წინააღმდეგ შემთხვევაში, მისი გარდაცვალების შემდგომ, ქალანთარის მემკვიდრეს, ედიას წინააღმდეგ1766-1800 წლების განჩინებებში ამგვარ ბრალდებებს უთუოდ წაუყენებდნენ.

ყიზილბაშობის პერიოდის ქართულ წყაროებში ძირითადად „ჰელმწიფე“ ირანის შაჰის აღმნიშვნელი ჩანს, თეიმურაზს თითქმის ყველგან ხაზგასმით მეფედ მოიხსენიებენ. ამავე დოკუმენტში ამის გათვალისწინებით ქალანთარის მრავალმნიშვნელოვანი ფრაზა: „ქ.

---

[1] დოკუმენტები საქართველოსოს სოციალური ისტორიიდან I, ბატონ-ყმური ურთიერთობა (XV-XVIIIსს.) ნ.ბერძენიშვილის რედაქციით, თბ.,1940, დოკ.#347, გვ. 240.

ყ[ი]ლიჯ[ლი] ალიხანს რომ ბატონობა მისცეს... ამ თარიღში ქვეიდამ მოველ. ალექსანდრემ მითხრა: წავიდეთო, ჩვენს ქვეყანას ერთი გზა მივცეთო. ჩვემ რომ მძოვრეთს მოვედით, პაპუნა[ს] შვილი დავით და პაატა იმერეთიდან გადმოვიდნენ, ერთმანეთი ვნახეთ და შევრიგდით...პირობა დავდეთ: მე ჭელმწიფის კარიდან უნდა მამევლო და იმათ მამულისათვის..."[1] ვფიქრობთ, პირდაპირ მიანიშნებს, რომ „ქართველობდა" და შაჰის სამოხელო თანამდებობით პირდებოდა გამოდგომოდა სახლისკაცებს და საციციანოს.

პაპუნა ორბელიანს ყურადღებიდან არ გამოჰპარვია მეფე თეიმურაზის და ქალანთარის ახლო ურთიერთობა. მერალიბეგი გულგრილი მოწმე არ ყოფილა მნიშვნელოვანი მოვლენების განვითარებისადმი. იგი ყოველთვის თან ახლდა ბრძოლებში მეფეს:„ წაბრძანდა ბატონი ჯარით და მობრძანდა დმანისის ციხესა: უბრძანა დმანისიდამ ბატონმა ჯარსა, უთავა მერალიბეგ ციციშვილი, რომელი იყო ქალანთარი ქართლისა, გარდაუსივა ჯავახეთს, ახალციხის აქეთ სულ დაარბივის და მოვიდნენ მრავალის საქონლით...ყაენი შაჰანშაჰ ყარსისა ციხესა ადგა და იყო ყოველდღე ომი საშინელი და ხოცდენ ყიზილბაშნი ურუმთა, ვითა კატათა. წავიდის ყარსიდან ყიზილბაშის მარბიელი, მოაოჭრის აზრუმს აქეთი..ასე მოუჭრეს წყალი, რომ ციხესა მყოფნი თითოს ფიალას წყალს თითოს ფლურად ვერა შოულობდნენ."[2] სწორედ მერალიბეგის მეთაურობით მიმდინარეობდა ბრძოლები ჯავახეთში ოსმალების წინააღმდეგ, მისმა საბრძოლო გამოცდილებამ გამარჯვება და დიდძალი ნადავლი მოუტანა ქართლის მეფეს. თეიმურაზ მეფე ქალანთარის და ყაენის გულის მოსაგებად, სწორედ ამ გამარჯვების სულისჩამდგმელს, მერალიბეგს აგზავნის ყაენთან ბრძოლის შედეგების მოსახსენებლად: „ქალანთარი მერალიბეგ აცნობა ჭელმწიფეს, გარდმოსვლა ურუმისა, ბატონიშვილისაგან გამარჯვება, დიდად ეამა ჭელმწიფეს და

---

[1] სცსსა, ფ.1448 ,საქმე 5048 a.

[2] პ.ორბელიანი, ამბავნი ქართლისანი, ტექსტი დაადგინა, შესავალი, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო ე. ცაგარეიშვილმა, თბ.,1981, გვ. 86.

ორმოცდაათი თუმანი ქალანთარს უბოძა...მოვიდა ქალანთარი, მოიტანა რაყამი მადრიელობით წყალობისა,"[1] როგორც დოკუმენ-ტიდან ჩანს თეიმურაზის ქართლში გამეფების შემდეგ არა მარტო ემორჩილებოდა, არამედ შეგვიძლია ვთქვათ, რომ სამეფო კარისთვის ერთგული და სანდო შეიქნა. სწორედ ამაზე მიანიშნებს 1751 წლის 29 ივლისით დათარიღებული მეფე თეიმურაზის წერილი, სადაც მეფე ამაღელვებელი, თბილი სიტყვებით მიმართავს, ქრისტიანად მონათლულ დიმიტრი ციციშვილს, სადაც აზატ-ხანზე ბრწყინვალე გამარჯვებაზე საუბრობს და ლეკების წინააღმდეგ ბრძოლას ავალებს: „...ჩვენს დიდს იმედს, დიდათ იმედათ მისაჩენელს, მისახედავს, არაოდეს არ დასავიწყარს დარბაზ ბატონს ციციშვილს დიმიტრის, მოკითხვა მოახსენეთ. მერმე ჩვენის შვილის გამარჯვების ამბავი მოგვივიდა, თვითონ აზატ-ხანი მოსულა ოცი ათასი კაცით. შებმულან გაუქცევიათ...ღვთის მოწყალებით ამისთანა გამარჯვება მოხდა. ერთი მაგ საციციანოს მხარეს რომ ლეკი არის და ზემო ქართლს არბევს ამილახორის შვილებს და ზემო ქართლელებს მივწერე, მანდეთ წამოვლენ, ერთად შეიყარენით და ღვთით თამბა უყავით თავდასხმით იყოს, თუ ისე ამჯობინოთ შებმა, როგორც ამჯობინოთ..." [2]

ზემოთ განხილული დოკუმენტების ცალკეულმა დეტალებმა ისტორიული მოვლენების ფონზე მერალიბეგის პოლიტიკური პორტრეტის ძირითადი შტრიხები გამოკვეთა, რომელთაგან უმთავ-რესია: 1. მერალიბეგი წარმოგვიდგება ტყვეთა სყიდვის წინააღმდეგ მებრძოლად. 2.ფართო სამოხელეო ასპარეზის და გაზრდილი უფლება-მოვალეობების შესრულებისას იღებდა ყოველთვის ფრთხილ, ზომიერ და კომპრომისულ გადაწყვეტილებებს. 3.ქალანთარი ყიზილბაშურ სახელოს მეფისა და თავისი ქვეყნის

---

[1] პ.ორბელიანი, ამბავნი ქართლისანი, ტექსტი დაადგინა, შესავალი, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო ე. ცაგარეიშვილმა, თბ.,1981 იქვე,გვ. 79.

[2] ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ფ. Hd, საბ.11508; ფ. Qd, საბ. 9499.

წინააღმდეგ საბრძოლველად არ იყენებდა, რითაც მეფე თეიმურაზის ნდობას და ერთგულ დარბაზის დასში იმკვიდრებს ადგილს, მაგრამ ტიპიურ ქართველ მებატონეთა მსგავსად, სწორედ სამოხელეო სახელოს წყალობით ახერხებდა დიდძალი ყმა-მამულის, საციციანოს ციხეების და სიმდიდრის ხელში ჩაგდებას. 4.თავის პოლიტიკურ კარიერაზე წარმოდგენილი ცნობებიდან მცირე, მაგრამ საინტერესო დეტალებზე დაყრდნობით ქალანთარი სიტუაციური მოვლენებისადმი მეტად ჭკვიანი და ალღოიანი ჩანს, საბრძოლო ოპერაციებში კი გამბედავი და უშიშარი მებრძოლია, 5.რჯულით და ცხოვრების წესით მაჰმადიანი იყო 1750 წლამდე, რაც ხელს არ უშლიდა ქრისტიანთათვის მიმტევებელიც ყოფილიყო. ამიტომაც „ღირსყვეს“ პატივი ქრისტიანობის მიღებისა მონათლულიყო კათალიკოსის მიერ. რაც შეეხება მის მტრულ დამოკიდებულებას ქართლში მიმდინარე აჯანყებებთან, ფაქტობრივი მასალების არ არსებობის გამო, დეტალურად რაიმეს მტკიცება ძნელია. ვფიქრობ, მეფე თეიმურაზთან შეთანხმებულად და მისი ბრძანების შესაბამისად მოქმედებდა.

მერალიბეგ ციციშვილის პირად ცხოვრებაზე ცნობები გვხვდება, 1766 წლის განჩინებაში ზაქარია და ედიშერ ციციშვილების მამულის საქმეზე. საბუთი კომპლექსურ შესწავლას მოითხოვდა, რადგან საკმაოდ ცხადი და ფარული, გამიზნულად შეტანილი ინფორმაციების მატარებელია. ფაქტობრივი მასალა, რომელსაც დოკუმენტი გვაწვდის გადასამოწმებელი იყო სხვა წყაროებთან, ისტორიული სინამდვილის ამოცნობის მიზნით, რაც მხოლოდ კრიტიკულ - შედარებითი ანალიზით იქნა მიღწეული.

ქაიხოსრო ედიშერის ძის შთამომავალი, იოანე სალთხუცის შვილი, ზაქარია უჩიოდა ქალანთარის, დიმიტრი ნაზირის შვილს, ედიშერს (ედიას). მერალიბეგ ციციშვილის შვილს ბრალს სდებდნენ, „მამა შენი მხევლის შვილი არის“ და ჩემთან ნაწილი და სამკვიდრებელი არა გაქვსო. „ნაზირის შვილი ედიშერ უპასუხებდა: შენმა მამის დედამ ბატონმა დედოფალმა (ანახანუმმა-მ.მ) მამა ჩემს წიგნი

უბოძა...ყმისა და მამულის გამოსავლიდამ ორი წილი; და მას აქეთ ასე ვარო... მეორეს ამას უჩიოდა ზაქარია ედიშერსა, რომ: პაპაჩემი ქაიხოსრო მილახვარი რომ მოკლესო, მამაჩემი პატარა იყო და მაშინ ქართლში ხანად მჯდომმა იმამყულიხან მამაჩემს მილახვრობა უბოძაო, და იმისი ოქმიც ჴელში ეჭირა ზაქარიას. მერმე ჴელმწიფე რომ ბორჩალოში მობრძანდა, მამაჩემი აჩვენეს, მოახსენესო, რომ მამა ამისი თქვენ სამსახურზედ მოკლესო და თავისი მამის საჴელო ამას აქვსო და თქვენი წყალობა ორმოცდაათი თუმანი ჯამაგირიო. ჴელმწიფემ ბრძანაო, რომ ყმაწვილი არის და ოცდახუთი თუმანი ეყოფაო და იმ დღეს უკან მამაშენმა ჭამა ეს ჯამაგირი, რომ მამაჩემს არა მისცა რაო... ჩვენ იმის ჴელის შეხება არ გვეწადა, რადგან ნადირშაის დროს ანბავი იყო, მაგრამ ერთი ნუსხა მოიტანეს, რომელიც თვითონ დიმიტრი ნაზირს დაეწერინებინა: სამოცდა-ჩვიდმეტი თუმანი და რვა მინალთუნი იოანეს ჯამაგირიდამ საციციანოს მალუჯათში მიმიციაო... ჩვენზედ მეტსაც აიღებდაო... შეიქნა ედიშერისაგან მისაცემელი თეთრი, რომ ზაქარიას უნდა მიეგბაროს ას ექვსი თუმანი.“[1]

დოკუმენტის მიხედვით მეფე თეიმურაზის გარდაცვალების შემდეგ ციციშვილ ზაქარიას საჩივრის გამო, მეფე ერეკლეს მხარდაჭერით საგანგებო გამოძიება უბრძანებია: „...ირაკლი მეფემან გვიბრძანა...მდივანბეგს იოანე ორბელიანს, მდივანბეგს რამაზს, მდივანბეგს სარიდანს, მდივანბეგს ფარსადანს, მდივანბეგს ზაალს, მდივანს გოჯასპის, ედიშერს და იესეს. დავსხედით და გამოვიძიეთ ამათი როგორყოფილობა და ზედმიწევნით შევიტყვეთ მრავალთა მნახავთაგან, რომ ნაზირი დიმიტრი (ქალანთარი) ედიშერ ციციშვილს მეჩანგეს მოახლესთან მისცემოდა ისპაანს თათრობაში“. აშკარად ჩანს, ამ საგანგებოდ გამიზნულ ბრალდებას პოლიტიკური საფუძველი უნდა ჰქონოდა, რადგან სანდო პირველწყაროებში,

---

[1] ქართული სამართლის ძეგლები, ტ. IV, სასამართლო განჩინებანი (XVI-XVIII ს.), ტექსტი გამოსცა, შენიშვნები დაურთო ი. დოლიძემ, თბ., 1972, დოკ.#420, გვ.529-534.

პაპუნა ორბელიანის და სეხნია ჩხეიძის ისტორიულ თხზულებაში ცნობა, „ისპაანს გათათრებულიყო, და ეს ქალანთარი მერალიბეგ იქ გაზრდილიყო“ მიანიშნებს საქართველოში და არა ისპაჰანში დაბადებაზე. ამასთან სახლისკაცების მხრიდან, ზაქარიას ამ ბრალდებას არავინ ემოწმება, მათ შორის არც საციციანოს მეთაური, სარდალი ალექსანდრე ციციშვილი. მერალიბეგის „ბუშობის“ დამტკიცება, ვერც შემდგომი პერიოდის მსაჯულებმა შეძლეს, თუმცა თვითმხილველ მოწმეთა ჩვენებების მიხედვით დიმიტრი ნაზირის შვილის, ედიშერ ციციშვილის „ბუშობა“ დაუდგენიათ 1800 წელს.[1] მეფე ერეკლე მეორის ასეთი ინტერესი ამ საქმისადმი თავისთავად ბევრ კითხვას აჩენს, კერძოდ: 1. რატომ წამოიჭრა ეს საკითხი ასე მწვავედ მაინცდამაინც მეფე თეიმურაზის გარდაცვალების შემდეგ; 2.ასეთი მასშტაბური გამოძიების უკან ხომ არ იმალება მეფის ფარული ინტერესი გავლენიანი, ძლიერი ქალანთარის შთამომავ-ლობისა და საციციანოს შეუვალობის წინააღმდეგ.

ამ კითხვების საფუძველს დედოფალყოფილი, ანახანუმის ჩვენება იძლეოდა: „მართალია, ერთი წიგნი მოვსწერეო, რომ ყმისა და მამულის გამოსავლიდამ ორი წილი შენ ხარჯე და ლაშქარ-ნადირობა შენ გარდიხადე, იოანე პატარა არის, არ შეუძლიან და მესამედი იოანეს შეუნახეთ, ვიდრემდის ლაშქრობას შეიძლებდესო. ხომ არც ულაშქრია და ბატონთან სულ იოანე იყო, ის ლაშქრობდა და ნადირობდაო. მაგრამ ეს წიგნი არა თუ მეფეს უბოძებია, ან რომელსამე მსაჯულს, თვითონ მე მივეც და იმ წიგნის მიმცემი მევე ვშლიო; დამიშავებია ჩემი შვილისათვის შემწედ მინდოდა და მოსამსახურედ, არათუ მოწილედ და მეტოქადო.“[2] უსუსური და ურთიერთგამომრიცხავი არგუმენტებით ცდილობს დედოფალ-ყოფილი, ანახანუმი, თავისთავზე აიღოს ქალანთარისთვის წიგნის

---

[1] ქართული სამართლის ძეგლები, ტ.VI, სასამართლო განჩინებანი (XVIII-XIX სს.), ტექსტი გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ი. დოლიძემ, თბ.,1977, დოკ. #97, გვ.196-198.

[2] იქვე, დოკ.#97, გვ.197-198.

ბოძება და მისი მოშლის გადაწყვეტილება, მაგრამ უნებლიედ მაინც აღიარებს დედოფალყოფილი რომ მეფე თეიმურაზის ნების წინააღ-მდეგ ვერ გაბედავდა, ე. ი. მეფის დადგენილ „საქმის მოშლას“. ამ წიგნის პირი, რომელიც სახლთუხუცესს, წინამძღვრისშვილის იესესათვის ებოძებინათ წინ ედოთ მსაჯულებს. ძნელი წარმოსადგენია ახლადგარდაცვლილი მეფე თეიმურაზის ქვრივს, მეფე ერეკლესთან თანხმობის გარეშე ასეთი კატეგორიულობა გაებედა: „სამი წელიწადი არის რომ ჩივილს ვაპირებდი და იმ ჩემის მიწერილის წიგნით დაჭერილის საქმის მოშლასო, მაგრამ ბატონს მოცლა არა ჰქონდა და ახლაც ამ ბარობაზედ დავაბარებინე ბატონს, მაგრამ გზაზედ მოკვდა და ვეღარ ჩამოვიდაო. ეს წიგნი, რომელიც ბატონს დედოფალს ებოძებინა მერალიბეგისათვის აღარ გამოჩნდა...“[1]

ამრიგად, სახეზე გვაქვს სამეფო კარის ფარული ინტერესი, ციციშვილთა სამკვიდრო მამული და ციხეები სახასო მფლობელობაში დაებრუნებინათ, გავლენა, სიმდიდრე და ძლიერება მოეშალათ და სრულ მორჩილებაში ჰყოლოდათ ქალანთარის შთამომავალი.

დედოფალ თამარის გარდაცვალების შემდეგ (1746წ. აპრილი) მეფე თეიმურაზმა მეორედ იქორწინა, ქაიხოსრო ციციშვილის ქვრივზე ანახანუმზე.[2] იმ მოტივით, „ვაი თუ შახნადირმა თათარი ქალი გამოგიგზავნოსო...ორმოცის დღის შემდეგ ბეჟან იოთამის შვილის ქალი, ანახანუმი დედოფლად მოიწოდა.[3] სავარაუდოდ

---

[1] ქართული სამართლის ძეგლები, ტ.VI, სასამართლო განჩინებანი (XVIII-XIX სს.),ტექსტი გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ი. დოლიძემ, თბ.,1977 , დოკ.#97, გვ.197-198.

[2] სცსსა, ფ.1446, საქმე # 703.

[3] საქართველოს ისტორიის ქრონიკები, XVII-XIXს.ს. ტექსტები გამო-საცემად მოამზადა, გამოკვლევები, შენიშვნები და განმარტებები დაურთო პროფ.ავთ იოსელიანმა, თბ., 1980 გვ.82.შდრ. ვახუშტი ბაგრატიონი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება IV, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს.

ქაიხოსრო ციციშვილი 1746 წელს უნდა იყოს გარდაცვლილი. კამერალური აღწერის დავთრებში მოძიებული ცნობით, მისი შვილი იოანე სამეფო კარზე გაზრდილა და ლეკების წინააღმდეგ გმირული ბრძოლისას დაღუპულა:„...იოვანე ჩვენი გაზრდილი იყო... გაუყ-რელად გვახლდა. ამ ჟამსი უსჯულო ლეკი საქართველოზეთ მძლავრობდა ... სურამს შევიბენით იოვანე გულოვნად წინ მივიდა ... გაგვიმარჯვა იმ დღეს ისიც ჩემს წინ მოკლეს და ამისათვის რაც იმას ჩვენგან წყალობა სჭირდა არც ერთი მოგიშალეთ ...დედოფლის სახლთუხუცესობა და წინწყაროს მოურაობა.“ [1]

ანახანუმზე ქორწინების შემდეგ, მეფის სურვილით და დედოფლის თანხმობით, მეურვეობას ქაიხოსრო ციციშვილის შვილებზე, სახლ-კარზე და ყმა-მამულზე, ბიძას ქალანთარ ედიშერის ძე მერალიბეგს ავალებს . ყაენის მოხელე, დიდი გავლენის და პრივილეგიების მქონე, იმავდროულად თეიმურაზის მორჩილი მერალიბეგი, ამ მამულების მოვლა-პატრონობისა და დაცვისათვის მეტად სანდო და სწორედ შესაფერისი კანდიდატურა იყო, რადგან „საციციანო ასრე გ[ა]ხ[ა]რ[ა]ბებულიყო, ოთხი წელიწადი არც ხ[ვ]ნა იყო, არც თესვა, არცა ცეცხლი ანთებულა, არც კალო გალეწილა და არც მამალს უყივლია.“[2] რა თქმა უნდა ფრთხილი და შორს-მჭვრეტელი მეფე ამ გადაწყვეტილებას ნაჩქარევად არ მიიღებდა. რაც შეეხება ქალანთარის „ბუშობის“ დამადასტურებელ ცნობებს, იმდროინდელ ქართულ და სპარულ წყაროებში არ გვხვდება. გამოთქმული ფრაზა, „ზედმიწევნით შევიტყვეთ მრავალთა მნახავთაგან,“ პირდაპირ მიანიშნებს, რომ ამ მტკიცებულების საფუძველზე დაუმტკიცეს მსაჯულებმა ნაბუშრობა და სასურველი განაჩენიც გამოიტანეს: „აწ რადგან სჯულმან ძველისა და ახლისა აღთქმისამან არ მისცა სამკვიდრებელი ნაზირს დიმიტრის მჴევლის

ყაუხჩიშვილის მიერ, თბ.1973, გვ. 388-389; პლატონ იოსელიანი, ცხოვრება გიორგი მეცამეტისა, თბ.,1978, გვ.169.

[1] სცსსა, ფ. 213,საქმე 252, გვ. 82.

[2] სცსსა, ფ. 1448, საქმე 5048 a.

შვილობისათვის და არღაცა ქართულმან სამართალმან, ჩვენ რა განვჩხრიკეთ წერილნი და აგრევე სამართალნი მრავალჯერ გამოვიძიენით; გარდააყენა სამართალმა სამკვიდროს მამულისაგან ნაზირი დიმიტრი და მისი შვილი ედიშერ...“ გადაწყვეტილების გამართლების მცდელობა ქართული სამართლით სახეზეა: „სხვაც ბევრ ოჯახში ყოფილა, რომ ამგვარად ბუში შვილი კიდეც შეეყვანოსთ შინ, კიდეც ემსახურებინოსთ, მაგრამ გაყრაში რომ გაყრილიყვნენ, წილი კი არ მისცემიათ ძმებისაგან ბუშებსა სამართლის ძალით. თუ ეყმობა ყმობის ალაგს მისცემს, სხვაგან წასვლას ვერ დაუშლიან, ვისთანაც უნდა მივა ბუში.“

განაჩენში საყურადღებოა მსაჯულთა საგანგებო მინიშნება, სამკვიდრო მამულების გარდა ზაქარიას საკუთრებაში დარჩენილა ნაზირი დიმიტრის აშენებული სასახლე თბილისში, ქარელის კოშკი და სასახლე. სასამართლოს გადაწყვეტილებით ამის საფუძველი როგორც ჩანს გამხდარა, „ნაზირს დიმიტრის ქალაქს სასახლე აეშენებინა, ადგილი და ხე ზაქარიასი ყოფილიყო...რადგან ქალაქის სასახლის ადგილიც ზაქარიასი იყო და ქარელისაცა, ამ შენობის ფასი უნდა ზაქარიამ მისცეს; და დარჩა საკუთრად სასახლეები ზაქარიას... სამკვიდრო მამული არადეთსა და რუისში, და დოესი ... ედიშერს წილი არა აქვს... თავისი მამის ნასყიდობა დარჩა ედიშერს...“[1]

რაც შეეხება დედოფალყოფილის მოკრძალებულ და უმწეო მდგომარეობას, ცნობილი ხდება, თავად ანახანუმის 1767 წლის არზიდან. იგი დარჩენილია ორი მსახურის ამარა და მეფეს ევედრება „...ამათი წყალობა მიყოთ, რომ არავინ აწუხებდეს; სანამ ცოცხალი ვიყო ცეცხლი ამინთონ. და როცა თქვენის ჭირის სანაცვლო შევიქნა და მოვკვდე, მიწაში ჩამადგონ.“ ანახანუმის თხოვნის

[1] ქართული სამართლის ძეგლები, ტ. IV, სასამართლო განჩინებანი (XVI - XVIII ს.), ტექსტი გამოსცა, შენიშვნები დაურთო ი. დოლიძემ, თბ., 1972, დოკ.#420, გვ.529-534.

გათვალისწინებით, მეფე ოთარ მდივანს უბრძანებს „საჩვენო გამოსაღები არა გამოერთვას...ნურც ლაშქარს გამოიყვანთ-ო“.[1] ამის შემდგომ ბიძაშვილებს შორის დავა დიდხანს გაგრძელებულა, რასაც ადასტურებს 1800 წლის 12 ივნისის განჩინება, რომლითაც „ედია[ს]შვილი დიმიტრი ამბობდა:...დიდთა და მცირედ იციან ერთბაშად ქართველთაო, რომ პაპაჩემი ქალანთარი ოჯახში უფროსი და მთლად საციციანოს მამულისა დიდად მოჭირნახულე ძმა იყოო ...მოჰქონდათ სიგელი დოესისა საუკუნოდ ნეტარების ღირსისა პაპის ჩვენის მეფის თეიმურაზისა.“ როგორც ჩანს ოჯახის წიგნები კვლავ გაუსინჯავს მეფე ირაკლის და „მეორედ სამართალში შესვლას აცხადებდა...“[2] ეს უნდა მომხდარიყო, მაშინ როცა თავად ზაქარიამ მეფეს, ქვეყანას და ქრისტიანობას უღალატა და ოსმალთა ჯართან ერთად შემოიჭრა ქართლში.

ზაქარია[ს] შვილების მოწმე თომა მეღვინეთხუციშვილია, რომელიც XVIII საუკუნის მეორე ნახევარში ერეკლე II-ის სახასო აზნაური ხდება, ზაქარია ციციშვილის ღალატის გამო. მან „...ფიცით იმოწმა ესრეთ: ქალანთარმა ედიას დედა კონია, თავისი ნარძლევი, თათრობაში ცოლად მოიყვანაო და მე რომ ლეკებში დავიკარგე, ქალანთარი მაშინ მონათლულიყო და კონია ჩემს დაკარგვას უწინვე მკუდარი იყოო.

თარხნიშვილს, ათანასე წინამძღვარს მოეწერა: კათალიკოზს ვახლდი დიაკონად, როდესაც ქალანთარი მონათლა, ედიას დედა კონია ადრევე თათრობაში მოჰკდომოდაო...დამატებით დასძინა:“ კათალიკოზმა ანტონიმ ქალანთარი რომ სვეტსცხოველში მოინათლა ...შემდგომად მონათვლისა უბრძანა: დიმიტრი ქალანთარსო, კონიას

---

[1] ქართული სამართლის ძეგლები, ტ. VII, სასამართლო არზა-ოქმები, ტექსტი გამოსცა, წინასიტყვაობა და შენიშვნები დაურთო ი. დოლიძემ, თბ., 1981, დოკ.#120, გვ. 124.

[2] ქართული სამართლის ძეგლები, ტ. VI, სასამართლო განჩინებანი (XVIII ს.), ტექსტი გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ი. დოლიძემ, თბ.,1977, დოკ.#97, გვ.196-198.

სულს ღმერთს შეავედრებდე, რომ შენთან უსჯულოდ ცხოვრობდაო ...დემეტრე ციციშვილის ჯალაბმა მონაზონმა იმოწმა: ედიას დედა კონია ჩემი მაზლის ზაზას სჯულიერის ქორწინებით მეუღლე იყოო, ზაზა ქალანთრისა ბიძაშვილი იყოო, ქალანთარს თავისი ნარძლევი კონია თათრობაში ცოლად მიეყვანაო, როდესაც ციციანთ რძლად მიმიყვანეს, კონია მკუდარი დამხვდაო და ქალანთარი მერე მოინათლაო.

ნინოწმინდელს მიხაილს მოეწერა: ქალანთარს თავისი რძალი კონია თათრობაში ცოლად შეერთო და თათარს ჯვარს ვინ დასწერდაო. მეფე თეიმურაზ რომ ქვეით წაბრძანდა, კათალიკოზმა სამწყსო დაიარა და მაშინ ქალანთარმა ძამის ციხეში დაჰპატიჟა, შვილი მოანათვლინა; თვითონ თათარი იყო და კონია ქრისტიანე, კონია მოკუდა; და მერე მცხეთას კათალიკოსმა მონათლა და დიმიტრი უწოდეს. და მას უკან ოთარ მდივნის ქალი შეირთოო. ამასვე იმეორებდა ჯვრის მამა ანტონი და დიმიტრის „დედიდა“, ნაიბის ქალი ბეგუმი. მოწმეთა ჩვენებების და ფიცის საფუძველზე დაამტკიცეს ედიშერის ბუშობის საკითხი“, რომელსაც სჯული ეკლესიური...არა უმკვიდრებს ძესა უჯეროსა ძისა თანა სჯული-ერისა.“ გაითვალისწინეს დიმიტრის ოთხცოლიანობა, „წმინდათა კრებათაგან არა რაცხს ჯეროვნად ცოლსაცა მეოთ[ხ]ესა, რომლისათ-ვისაცა უმეტესად ქრისტიანეთა ყოველთაგან უცილებლად სჯული სამღთო და კაცობრივი განაგდებს მემკვიდრეობისაგან მამულისა ხასად მყოფის რძლისაგან ნაშობსა ედიას, რომელსაც არა აქვს წილი ყმისა და მამულისა არცა ერთი ზაქარია[ს] შვილებთან საუკუნოდ, გარდა მონასყიდულისა მამისა ანუ პაპისა თვისისგან.“[1]

ამდენად, ქალანთარის შვილი ედია, ზაქარიას შვილებს ვეღარაფერს შეედავებოდა. დოკუმენტიდან აშკარად ჩანს ასევე,

---

[1] ქართული სამართლის ძეგლები, ტ. VI, სასამართლო განჩინებანი (XVIII ს.), ტექსტი გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ი. დოლიძემ, თბ.,1977, გვ.196-198, დოკ.#97.

ქალანთარის მაჰმადიანურ რჯულზე ცხოვრების წესი. ამგვარად, ზემოაღნიშნულ საბუთებზე დაყრდნობით შეიძლება დავასკვნათ:

1. XVIII საუკუნის 60-იანი წლებიდან, ქართლ-კახეთის მეფე აქტიურად იწყებს ქვეყნის ერთიანობის და ცენტრალური ხელისუფლების გაძლიერების მიზნით მმართველობის სისტემის გადახალისებას. ეს ბრძოლა პირველ რიგში არაგვისა და ქსნის საერისთავოების გაუქმებით და სათავადოთა სისტემის წინააღმდეგ გადამჭრელი ღონისძიებებით აღინიშნა. გატარებული რეფორმები მიზნად ისახავდა, ჩამოერთმია მათთვის ადმინისტრაციული, სამხედრო, სასამართლო და საპოლიციო საქმიანობის განხორციელების უფლებები და ამით მოეშალა სათავადოს სიძლიერის საფუძველი.

2.სათავადოდან სამიზნე გახდა, საციციანოს კვლავაც გავლენიანი საგვარეულო სახლისკაცები, რომლებმაც შეძლეს „ოსმალობასა“ და „ყიზილბაშობაში“, დამპყრობლებთან „თანამშრომლობით“ პრივილეგირებული მდგომარეობის შენარჩუნება, რომელთაც მხარდაჭერა შეეძლოთ ჰქონოდათ ირანსა და ოსმალეთში.

3.საციციანოში ყმა-მამულის სიმრავლით, საციციანოს ციხეების მფლობელობით, მხარდამჭერი ძალებით გამორჩეულ ქალანთარის შთამომავლებში სამეფო კარმა დაინახა მოსალოდნელი საფრთხე. სათავადო სისტემასთან დაწყებული ბრძოლის გზაზე, სპარსოფილი ქალანთარის შთამომავალნი ირანის შაჰისაგან შესაძლოა წაქეზებულნი და მხარდაჭერილნი ყოფილიყვნენ, რაც ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური განვითარების შემაფერხებელ და მეფის ცენტრალური ხელისუფლების მოწინააღმდეგე ძალად შეიძლებოდა გადაქცეულიყო.

4.სპარსოფილი ქალანთარის მემკვიდრეების მხარდამჭერთა ძალების „დასამცრობად“, მათი გავლენის დასასუსტებლად და დასამორჩილებლად, ყველაზე უმტკივნეულო გზა, დიმიტრი ნაზირის „ბუშობის“ დამტკიცება და სახლისკაცთა შიგნით დაპირისპირება იყო. მეფე ერეკლეს გეგმის ნაწილი იყო, რომ ასეთი მასშტაბური

საქმის განხილვაზე საციციანოს სარდალი არ დასწრებია, რაც სარდლის ფუნქციების დაკარგვით და მასთან წინასწარი შეთანხმებით აიხსნება. ამის საფუძველს იძლევა დოკუმენტი, რომლის მიხედვით, 1766 წლის განჩინებამდე მეფე ერეკლეს „თანხმობით“ საციციანოს მეთაური, სარდალი ალექსანდრე ციციშვილი, ქალანთარისგან მორიგების წიგნით იღებს ნახევარ ქარელს და აფნისს.[1] მოგვიანებით კი დოესს.[2] რაც შეეხება სასამართლოს განაჩენს, სხვაგვარი განაჩენი არც იყო მოსალოდნელი გაძლიერებული მეფის ხელისუფლებისაგან, რადგან ჯერ კიდევ დავიწყებული არ უნდა ყოფილიყო ოპოზიციური ძალების სასტიკად დასჯის გადაწყვეტილებანი.მერალიბეგის გარდაცვალებაზე ზუსტი ცნობები არ მოგვეპოვება. ზემოთ განხილულ განჩინებათა საფუძველზე შეიძლება ვივარაუდოთ 1760 წელი, რადგან ამის შემდგომი პერიოდის დოკუმენტებში აღარ მოიხსენიება. გარდაცვალების მიზეზი შესაძლოა ქაიხოსროს შვილებთან დაპირისპირებაც გამხდარიყო, რაზეც 1800 წლის არზაში ედია აცხადებდა: „გახლავარ მწარედ შეწუხებული და ამოწყვეტილი ზაქარიას შვილებისაგან ... მამაც მამიკლეს და მეც მკარგავენ-ო“.

ამრიგად, „გამოხსნა-აღდგომისათვის“ დაწყებულ ბრძოლას, თეიმურაზის კომპრომისულ პოლიტიკას, ნადირ-შაჰისადმი მოჩვენებით ერთგულებას, მერალიბეგი მხარს უჭერდა, მას თანაუგრძნობდა და „ქართველობდა“ კიდეც. კვლევამ აჩვენა, როგორ განიცადა ქალანთარის ყიზილბაშურმა სამოხელეო სახელომ ტრანსფორმაცია მეფე თეიმურაზთან ურთიერთობაში.

---

[1] ქართული სამართლის ძეგლები, ტ. IV, სასამართლო განჩინებანი (XVI -XVIII ს.), ტექსტი გამოსცა, შენიშვნები დაურთო ი. დოლიძემ, თბ., 1972, გვ.491, დოკ.#395.

[2] ქართული სამართლის ძეგლები, ტ. VII, სასამართლო არზა-ოქმები, ტექსტი გამოსცა, წინასიტყვაობა და შენიშვნები დაურთო ი. დოლიძემ, თბ., 1981, გვ. 189, დოკ.#190.

თავი V

საციციანოს მართვა-გამგეობა

XV საუკუნის 60-იანი წლებიდან საციციანოს მეთაურს სათავადოს საზღვრებში ჰქონდა ადმინისტრაციული, საფინანსო და სასამართლო ფუნქცია. დასუსტებული ცენტრალური ხელისუფლება ურიგდებოდა სამოხელეო თანამდებობათა სამემკვიდრეოდ მითვისების ტენდენციას. რაც შეეხება თავადის სამფლობელოს საკუთრების ხასიათს, ჯერ კიდევ ნ. ბერძენიშვილი მიუთითებდა, რომ იგი იყო „სამკვიდრო“ და „ჭელშეუვალი“ მამული, „ერთგულად მსახურების პირობით“.[1] ციციშვილებმა ნაწყალობევი მამულები სწორედ „სამკვიდრო“ და „ჭელშეუვალ“ საკუთრებად აქციეს. 1467 წლის დოკუმენტით მეფე კონსტანტინე მეორე საციციანოს მეთაურს, ზაზა ფანასკერტელ-ციციშვილს უკანონებს მამულს მუდმივ მფლობელობაში, მისი გასხვისების უფლებით და იმავდროულად ანიჭებს განისაზღვრელ უფლებებს, აძლევს აქამდე თითქმის მიუღებელ შეუვალობას: “...როგორც თქვენსა მკვიდრსა მამულსა მართებს, აგრე ჭელგეწიფების გასყიდად, გაზითვებად, შეწირვად, თანაშეტანად და რაცა ფერად გინდა...კიდეცა გვითარხნებია ყოვლის სათხოვარისაგან და გამოსაღებისაგან ...თქვენი მოასილი* ამა თქვენთა მამულთა შიგა ვერსად შევიდეს და ვერცავინ რა საქმე დაიდოს“.[2] ყველაზე საყურადღებოა ის ფაქტი, რომ „ჭელგეწიფების“, „თქვენი მოასილი... ვერსად შევიდეს და ვერცავინ რა საქმე დაიდოს“, ამით მეფე თვითონ უკანონებს შეუვალობას ანუ

---

* მუჰასილი, ადგილებზე გადასახადების შემწერი, ამკრეფი და შემგროვებელი მოხელე. წიგნში, ნ. შენგელია XVI-XVIIIსს. ოსმალური დოკუმენტური წყაროები, წ. I, თბ.,1987, გვ.277.

[1] ნ.ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, წიგნი II, თბ., 1968, გვ 130.

[2] სცსსა, ფ.1448, საქმე 64.

იმუნიტეტს. ხაზგასმით მიუთითებს, რომ მეფის მოხელემ ვერ გაბედოს შესვლა და ჩარევა საგადასახადო, სასამართლო, სამხედრო და ადმინისტრაციულ საქმეებში.

ამდენად, ამ პერიოდის სათავადოს უფროსს, მეფის სადროშოს სარდალს, თავად აძლევს შეუვალობას სათავადოს მართვა-გამგეობაში. სათავადოს არ გააჩნდა მხოლოდ საკანონმდებლო ფუნქცია და არ შეეძლო ფულის მოჭრა.

სანაცვლოდ ეკისრებოდა მნიშვნელოვანი ვალდებულებანი, გადაეხადა სახელმწიფო გადასახადები, გაემაგრებინა და დაეცვა ციხე-სიმაგრეები, სტრატეგიული გზები და საზღვრები, მეფის ბრძანებისთანავე უზრუნველეყო ლაშქრის საბრძოლო მზადყოფნა და მისი ორგანიზების საკითხები. იგი რჩებოდა მეფის ცენტრალური ხელისუფლების ერთგულ, დასაყრდენ, ძლიერ ძალად ქვეყნის თავდაცვისა და უსაფრთხოების საკითხებში.

ნიშანდობლივია, რომ ჯერ კიდევ XV-XVI სს. ციციშვილთა წყალობის წიგნებში საგანგებოდ აღინიშნებოდა მათთვის მამულისა და სახელოს „სამკვიდროდ“ გაცემა, მხოლოდ ერთი უმთავრესი-ერთგულად სამსახურის პირობით. ფეოდალური დაშლილობის პერიოდი აიძულებდა ხელისუფლებას ქვეყნის მართვის ღონის-ძიებანი ადგილებზე თავადთა საშუალებით განეხორციელებინა. დასუსტებული სამეფო ხელისუფლება უფლებას იტოვებდა მხოლოდ ღალატის შემთხვევაში ჩამოერთმია მისთვის მამულიც და სახელოც, რადგან „დაუნაშავებლად წართმა...არაოდეს ყოფილიყო“.[1] მოღალატე ზაქარია ციციშვილს ერეკლემ მის შთამომავლებს მამულები ჩამოართვა, ასევე შეეძლო გამოეყენებინა მეფისაგან წყალობის განახლების და ბეითალმანი მამულის მეფის საკუთრე-ბაში გადასვლის უფლება. თუმცა ეს ორივე უფლება საციციანოში

---

[1] ნ.ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, წიგნი II, თბ., 1968, გვ 130.

ხშირად ირღვეოდა, რაზეც ციციშვილთა აზნაურები ხშირად მიუთითებდნენ დოკუმენტურ მასალებში: „...ციციანი რომ გაიყარ-ნენ, ჩვენ ნიკოლაოზ ციცისშვილს ვერგენით, რაც ბეითალმანი მამული გვეჭირა, ნაქრთამები გვქონდა, ისიც გამოგუართვა, თვითონ უჭირამს-ო.“ მოახსენებდა მეფე ერეკლეს, ციციშვილის აზნაური კლიმიაშვილი 1794 წელს.”[1]

ციციშვილთა შეუვალობის უფლებების აღსაკვეთად და საციციანოს დასამორჩილებლად ყველაზე რადიკალური ზომები გამოიყენა მეფე ვახტანგVI-ემ. სხვა შემთხვევებში, XVIII საუკუნის მეორე ნახევრამდე ამ უფლების ნომინალური ხასიათი აშკარა ჩანს საციციანოს მასალებიდან.

საციციანოს ფეოდალური სახლის გაძლიერება აშკარა დამოუკიდებლობის ზრდას განაპირობებდა და მეფის ხელი-სუფლებისადმი დაუმორჩილებლობის საშიშროებასაც ქმნიდა. თუმცა სათავადოს სოციალური სტრუქტურა, სამეფო კარის მონაწი-ლეობა საციციანოს სახლისკაცთა გაყრაში, რომელიც ემყარებოდა უფროს-უმცროსობის პრინციპს, ხშირად იწვევდა სათავადო სახლის წევრთა შორის ბრძოლას, რაც საციციანოს ხანგრძლივი არსებობის მაძილზე თან სდევდა და სწორედ ეს აძლევდა ხელსაყრელ მომენტს სამეფო კარს სათავადოს მართვის საქმეებში აქტიურად ჩარეულიყო. მოეპოვებინა მხარდამჭერა, შევიწროვებულ სახლისკაცთა შორის და ეს შტო გამოეყენებინა სათავადოს „დამცრობა“ დამორჩილებისათვის.

XVII-XVIIIსს. ციციშვილების საგვარეულო სახლი კიდევ უფრო მრავალრიცხოვანი ხდება და მრავალ, ერთმანეთისაგან დამოუკიდებელ განშტოებებს ქმნის ზემო და ქვემო საციციანოში. დოკუმენტებზე მუშაობამ საფუძველი მოგვცა ავღნიშნოთ, რომ საციციანო პირობითად ჩანს ორად გაყოფილი. არ არის საზღვრები ციციშვილთა შტოებს შორის გაყოფილი. ზემო და ქვემო საციციანო

---

[1] ქართული სამართლის ძეგლები, ტ.VIII, სასამართლო არზა-ოქმები და კერძო-სამართლებრივი აქტები, ტექსტი გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ი. დოლიძემ, თბ., 1985, გვ.304.

არ ითვლება ცალკე საგვარეულო შტოს საკუთრებად. სახლიკაცებს მამულები აქვთ, როგორც ზემო, ისე ქვემო საციციანოში.[1] ზემო და ქვემო საციციანოს საერთო-სახასო და საუფლისწულო ქონება აქვთ და გარიგების საფუძველზე, თუმცა იშვიათად, იყო შემთხვევები როცა ერთმანეთის მამულებსაც კი პატრონობდნენ: „ზემო ციციშ-ვილის ფარსადანისათვინ ქვემო ციციანთ ბადურიშვილს გლახას ყიზილბაშობას თავისი მამული მიებარებინა და ფარსადანს ასე წიგნი მიეცა გლახასათვინ...“ [2] .

სათავადოს საგვარეულო სახლის უფროსი, სოციალურ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ ურთიერთობას წარმართავდა სამეფო კართან, სხვა სათავადოებთან, ხელმძღვანელობდა სათავადოდან ლაშქრის გამოყვანას და ძირითადად იგი სარდლობდა მეფის სადროშოს, სარგებლობდა საგადასახადო შეუვალობით, თავისი საკმაოდ მრავალრიცხოვანი მოხელეებით აწესრიგებდა სახელმწიფო გადასახადების გადახდის საქმეს, იშვიათი გამონაკლისის გარდა თავად განაგებდა სასამართლო საქმეებს, პასუხისმგებლობა ეკისრე-ბოდა სათავადოს საზღვრის დაცვაზე და მასზე გამავალი სავაჭრო-სატრანზიტო გზების უსაფრთხოებაზე, სათავადოში კონფლიქტების მოგვარებაზე, არეგულირებდა თავადაზნაურთა ურთიერთობას. თავად სათავადოს უფროსს მეფე ნიშნავდა, თუმცა სახლისკაცთა ნება-სურვილსაც ანგარიშს უწევდა.

სათავადოს უფროსის თანამონაწილეობით იხილებოდა სათავადოში გაყრის საკითხები, მას ერთგვარი წესრიგი შეჰქონდა სათავადო სახლის წევრებსა და მათს მფლობელობაში მყოფ ყმათა დამოკიდებულებაში, საერთო მამულიდან სახლისკაცებს თავიანთ

---

[1] სცსსა, ფ. 1450 დავთ. 51 ს. 96, ს. 101.

[2] ქართული სამართლის ძეგლები, ტ. IV. სასამართლო განჩინებანი (XVI-XVIII სს.), ტექსტი გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ი. დოლიძემ, თბ., 1972, გვ.418.

კუთვნილ წილს სამართლიანად უნაწილებდა, სარგებლობდა შემოსავლიანი სარგოთი, ხელმძღვანელობდა სათავადოს საერთო მამულების დამუშავებას, მათ მოვლა-პატრონობას და ემორჩილებოდა მეფეს. ვითარება იცვლება XVIII საუკუნის მეორე ნახევრიდან. სახელმწიფო გადასახადების აკრეფის მოვალეობას საციციანოს მეთაური, მეფის სადროშოს სარდალი აღარ ასრულებს. იგი მეფის საგანგებოდ დანიშნული მოხელეების პრეროგატივა გახდა. ამან განდიდების მანტია ჩამოაშორა, გავლენა და შემოსავალი დაუკარგა სათავადოს წინამძღოლს, თავად სათავადოს კი შეუვალობის იმუნიტეტი.

ამდენად, საგვარეულო სახლის უფროსი, უფლებრივი, სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობით მაღლა იდგა თავადიშვილებზე. განაგებდა სათავადოს უძრავ და მოძრავ ქონებას. ერთგვარი წესრიგი შეჰქონდა საგვარეულო სახლის წევრებსა და მათს მფლობელობაში მყოფ აზნაურთა და ყმა-გლეხთა დამოკიდებულებაში, სათავადოს უფროსის მიერ დანიშნული ადმინისტრაციული აპარატის ორგანიზაცია დიდად არ განსხვავდებოდა ქართლის სამეფო კარისაგან. სათავადოს მართავდნენ კარის მოხელენი (სახლთუხუცესი, მდივანი, ზოქაულთუხუცესი, ეშიკაღასბაში, მეღვინეთუხუცესი, ნაზირი, მეჯინიბეთუხუცესი) და საქვეყნოდ გამრიგენი (მოურავი, ნაცვალი, მამასახლისი).საციციანო როგორც სხვა სათავადოები სამორავოებად იყოფოდა. სამოურავოში ჩანს ცალკეული სოფელი, ზოგჯერ რამოდენიმე, ან მთელი ხეობის სოფლები. მამასახლისი კი სავარაუდოდ თითოეულ სოფელს განაგებდა. ჩვენამდე მოღწეულია მეტად მწირი მასალა[1] ამის შესახებ.

---

[1] ქართული სამართლის ძეგლები, ტ. VI, სასამართლო განჩინებანი (XVIII -XIX სს.), ტექსტი გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ი. დოლიძემ, თბ., 1977, დოკ. #87, გვ.177-180; დოკ.#113,გვ.228-229
დ. გვრიტიშვილი, ფეოდალური საქართველოს სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან (ქართლის სათავადოები),თბ., 1955, გვ.277.
ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ფ. Qd, საბ.730 –D; ფ. Ad, საბ. 59; ფ. Ad, საბ. 511; სცსსა, ფ.1448, საქმე 1050-ა; ფ. 1450, დავთ. 52, საქმე 66;

ციციშვილთა ჩუქებისა და ნასყიდობის წიგნებში მოხსენებულნი ჩანან მსახურები: მჭედელი, მეჯინიბე, მეუნაგრე, ხაბაზი, ხურო, მღვდელი, ხუცესი. ამდენად, თავადი საკმაოდ მრავალრიცხოვანი მსახურ-აზნაურებით მართავდა თავის ყმა-მამულს და გამოჰყავდა ლაშქრობაშიც. ვახტაგ მეექვსის სამართლის წიგნის მიხედვით დაზუსტებულია თუ ვინ ითვლებოდა დიდებულ თავადად: „დიდებული თავადი ეს არის:„ როსცა გაუყრელი ყოფილა, - ციციშვილი ამათთან ...ამათ გარდაისად ამათსავ სახლის კაცებს ამათთან სისხლი არა სდის, სხვა უფროსი თავადი რომ დაგვიწერია, დიდებულის ქვეითი, იმათოდენი სისხლი ედინების, ე.ი. შვიდას სამოცდარვა თუმანი.[1]“ იქვე განმარტებულია დიდებული თავადის საფასური: „დიდებულის თავადის მთელი სიკვდილის სისხლი - ათას ხუთას ოცდათექვსმეტი თუმანი ... დიდებულის ქვემოთის, შუას თავადის სისხლი შვიდას სამოცდარვა თუმანი. ამასთან, ასრე, - დიდებულის სახლისკაცის სისხლი. ამას ქვემოთის, მესამეს თავადის სისხლი -სამას ოთხმოცდაოთხი თუმანი.“[2] ო. სოსელიას განმარტებით დიდებული თავადის წოდება მემკვიდრეობით არ გადადიოდა. სათავადოს გაყრის შემთხვევაში მისი მოთავე „დიდებულებას“ კარგავდა.[3] საციციანოს წყაროებში ციციშვილებს ამ პერიოდში მართლაც, დაკარგული აქვთ დიდებული თავადის ხარისხი. ვახტანგ მეექვსის სამართლის მიხედვით დაუდგენიათ განაჩენი 1717 წელს ბაგრატ ციციშვილისთვის: „...ბაგრატს ... ნოდარის სახლთუხუცესი შემოჰკვდომოდა ...ბაგრატ დანაშაულზე თავი დადვა ...ღვინით ვეღარ შევიმაგრეო, ცოდვა მეკითხა შემომაკვდაო ... ასრე გაუჩინეთ. მეფის პატრონის ვახტანგის წიგნში ... თავადი თუ აზნაურშვილი გაუყრელი სხვაა, სხვა სისხლი სდის, გაყრილი სხვა არის, სისხლი

---

[1] სამართალი ვახტანგ მეექვსისა, ტექსტი დაადგინა, გამოკვლევა და საძიებლები დაურთო ისიდორე დოლიძემ, თბ.,1981, გვ.188-189.

[2] იქვე, 189.

[3] ო.სოსელია, ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოს ისტორი-იდან, სათავადოების სისტემა, თბ.,1966, გვ.44.

დაუმცირდების. ეს სახლთუხუცესი რადგან გაყრილი იყო, შუას აზნაურშვილის სისხლი აღარა სდის. ამიტომ შუას აზნაურშვილზედ ოცდაექვსი თუმანი დავაკელითო.“[1]

მრავალშტოებად დაყოფილ ციციშვილთა ფეოდალურ სახლში გახშირდა წინააღმდეგობანი, რასაც ძირითადად ჩვენამდე მოღწეული XVII-XVIIIსს. მასალები ასახავენ. ამის მიზეზი ხშირად მტრის გამანადგურებელი შემოსევები, ქვეყნის შიგნით დინასტიური ბრძოლები, მეფის ხელისუფლების და სათავადოს უფროსის სისუსტე იყო. ყოველივე ეს კიდევ უფრო ამძაფრებდა სახლისკაცთა შორის სამტრო-სასიცოცხლო ბრძოლას. სათავადოში დაპირისპირება უკიდურეს წერტილს აღწევდა, რაც მათ ერთად ცხოვრებას შეუძლებელს ხდიდა. ამდენად „ გაყრა“ საციციანოში ისევე ცნობილი და გახშირებული მოვლენა იყო, როგორც სხვა სათავადოებში. გაყრის დროს ყმა-მამული სახლისკაცთა რიგის მიხედვით ნაწილდებოდა სათავადოს წინამძღოლისაგან. ხშირად გაყრის შედეგად ახლადწარმოქმნილ ოჯახთა შორის ბრძოლა კიდევ უფრო მწვავე ხასიათს იღებდა. „გაყრა-გაყოფა“, ბუნებრივია სათავადოს „საერთო ქონების“, მათ შორის „საუფლისწულო“ მამულის დანაწილების და შესაბამისად საერთო მამულების რაოდენობის შემცირების ხარჯზე ხდებოდა. ეს ყოველივე სახლისკაცთა შორის დაპირისპირებისა და მტრობის გაღრმავების მიზეზი ხდებოდა, რაც ხანგრძლივი დროის მანძილზე გრძელდებოდა. ამიტომაც აღნიშნავდა ვახტანგი „გვარის გაუყრელობის“ დიდი მნიშვნელობის შესახებ. ამ მდგომარეობას და მის სავალალო შედეგებს თვალნათლივ მოწმობს ვრცელი ამონარიდი როსტომ მეფის 1640 წლის განჩინებიდან, სახლთუხუცეს მანუჩარისა, მისი განაყოფის და პაპუნა ციციშვილების სასისხლო საქმეზე: „...მრავალი უპატიური და

[1] ქართული სამართლის ძეგლები, ტ. IV, სასამართლო განჩინებანი (XVI-XVIII სს.), ტექსტი გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ი. დოლიძემ, თბ., 1972, გვ.188.

ავი საქმე დამართებოდათ ერთმანერთისაგან, მას ჟამსა ოდეს...შაჰაბაზ ...მეფე პატრონი ლუარსაბ თან წაიტანა... ამასობაში ერთმანეთს გადაჰკიდებოდნენ და მრავალი საქმე და უპატიურობა იჩივლეს

...სახლისუხუცესი მანუჩარ, ბაადურ და ყაია ამასა ჩიოდეს, რომე: ქაიხოსრომ მცხეთას ზედათი ლაშქარი შეიყარაო და ლეთეთს მოგვიჴდა, თავს დასხმა გაგვიბედესო, შევიტყევით, გარდავე-ხუეწენით და ამით მოურჩითო...

კიდევ სახლისუხუცესი ბაადურ და ყაია ამასა ჩიოდეს, რომე გარდახუეწილნი და დაბალთულნი ბარათასას ვიყუენით, ორი მოღალატე კაცი შემოგვიყენესო... ჩუენთვის ამოსაწყუეტლადო...

... ბაადურ ლაშქარი შეიყარა და თავს დასხმა გაგვიბედაო, ჯაშუშად დივანაშვილი ნაზარა გამოეგზავნა და მამა ჩემმან ქაიხოსრო შეიტყო და ჴელით დაიჭირაო, თორემ სულ დაბოღებულნი და ამოწ-ყუეტილნი ვიქნებოდითო...

კიდევ სახლისუხუცესი ბაადურ და ყაია ამასა ჩიოდეს... ქაიხოსრომ...საყმო შეიყარაო და ჩუენ მაცნე კაცი მოგვივიდაო, ჩუენ გარდავეხუეწენით და ნავსადგომარს დაესხნესო, ჩუენ ამოწყვეტასა და სიკუდილს მოურჩითო და თუ რამ საქონელი გვიახლა, ყუელა ჴელთ დარჩა და აიფორიაქესო...

პაპუნა და ხოხონა ამასა ჩიოდეს, როდესაც მამა-ბიძანი დაგვიხოცესო, იმას არ დამაჯერესო და წავკისს თავს ლაშქარი დამასხესო... თუ ქალაქს არ ჩავსწრებოდით, ამოწყუეტილნი და დაბოლოებულნი ვიქნებოდითო ...

ჩუენს სიკვდილსა და ამოწყუეტას არ დაგვჯერესო... ამ ქუეყანას აღარ დაგუაყენაო, ყიზილბაშთაკენ გაგუყარესო, ერთი ჩემი ძმა და ერთი და თან გავიტანე და გავღარიბდითო, გზაზედ ძმა მომიკდაო. სახლისუხუცესი მანუჩარ, ბაადურ და ყაიამან...აშორო თქუეს ...

სახლისუხუცესი მანუჩარ, ბაადურ და ყაია ამასა ჩიოდეს, რომე: როდესაც ჩუენი განაყოფი ქაიხოსრო ყეენიდამე მოვიდაო... კათალიკოზის ბატონის ზაქარიას შუამავლობით შევრიგდით და შევფიცენით სუეტს ცხოველზედაო და საფიცარიც მივეცით

ერთმანერთასო ...მესამე დღესა შინ დაგუპატიჯაო...ჩემს ძმას ბაადურს უღალატაო...მკუდარ-ცოცხალი ჩუენთავ ყმათ მოიპარესო და ტყისკენ გააცალესო....

კიდევ პაპუნა და ხოხონა ამასა ჩიოდეს... მოჴდომოდნენ მამაჩუენსა, თავსა დასხმოდენო ... და მძინარენი დაეხოცათო. სახლისუხუცესმან, ბაადურ და ყაიამან ამისი უარი ვერა თქუეს...

სახლისუხუცესი, ბაადურდა ყაია ამასა ჩიოდეს, რომე: ჩვენს ძმას ბაადურს რომ უღალატეს ჩუენც იქივ ნიჩბისს ვიყუენით ...ჩემად სასიკუდილოდ და შესარცხვენელად ჯალაბებში მოგუიჴდენო და თავს დაგუესხნესო, მე სასიკუდილოდ გამომიმეტესო... ნეტამც სულ ჴელიერთპირად ამოვეწყვიტენითო და ჩუენის ჯალაბების თრევა და სირცხვილი ჩუენის თვალით არ მოგუენახათო..“.[1] როსტომ მეფის დროინდელი ეს დოკუმენტი ნათელს ჰფენს თუ რა სიმწვავით მიმდინარეობდა სახლისკაცებს შორის ბრძოლა. იმდენად შორს წასულა მათ შორის დაპირისპირება, რომ ერთმანეთს მოსაკლავად არ ინდობდნენ. მალულად თუ ცხადლივ თავს ესხმიან, იტაცებდნენ ერთმანეთის ქონებას. მძლავრობით შეშინებულნი იძულებულნი ხდებიან მიატოვონ სამკვიდრო მამულები. ცოცხლად გადარჩენილთა ოჯახის წევრებიანად გახიზვნა საკუთარი ქვეყნის სხვადასხვა მხარეშიც კი საშიში გამხდარა. დაცულობისა და შურისძიების მიზნით იძულებულნი არიან თავი ყიზილბაშებს შეაფარონ. როგორც ჩანს, არც ამით მთავრდებოდა საგვარეულოს სისხლისღვრა, ხელსაყრელი შემთხვევისთანავე ქვეყნის მტრებით მხარდაჭერილები სამაგიეროს გადახდას იწყებდნენ. საინტერესოა განაჩენში[2] საგანგებოდ ხაზგასმული, მეფის მაღალი სარგო, განაჩენის დარღვევის შემთხვევაში: „ვინც ამ პჭობასა და სამართალს გარდავა,თვითო კარგი სოფელი ჴელმწიფეს დაუდონ-ო.”

---

[1] ქართული სამართლის ძეგლები, ტ. IV, სასამართლო განჩინებანი (XVI-XVIII სს.), ტექსტი გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ი. დოლიძემ, თბ., 1972, გვ.76-81.

[2] იქვე, გვ.83

ამდენად, მეფის განაჩენი ერთის მხრივ თავიდან ააცილებდა მეფე თეიმურაზის მხარდამჭერ ციციშვილებთან დაპირისპირებული შტოს გადასვლას, მეორის მხრივ დარღვევის შემთხვევაში გაზრდიდა სათავადოში მეფის სახასო მამულებს და შესაბამისად როსტომის პოზიციებს გააძლიერებდა სათავადოში. ორივე შემთხვევაში მეფე როსტომის პოზიციებს განმტკიცების გარანტირებული შესაძლებლობა ჰქონდა.

ციციშვილთა ფეოდალურ სახლში, სხვა სათავადოების მსგავსად, ქართული ისტორიული დოკუმენტებიდან სამი სახის ფეოდალური საკუთრება ჩანს: „სახასო", ანუ საერთო, „საუფლისწულო" და "სათავისთავო". საკუთრების თითოეული ამ სახეობის წყარო სხვადასხვა იყო: საკუთრივ საბატონო მამული, ნაწყალობევი, მეფისაგან ერთგულად სამსახურის საფუძველზე მიღებული, „სამამულოდ" და „სამკვიდროდ" მიღებული, ნასისხლ-მონაგები, ნასყიდი, ნამზითვი და სხვ. „სახასო", ანუ სათავადოს საერთო მამული ისეთი ქონებაა, რომელიც ციციშვილთა საგვარეულო ქონებას წარმოადგენდა, რომელიც ძირითადად მეფეთაგან ნაბოძებისაგან შედგებოდა და ფეოდალური სახლის საერთო მფლობელობაში იყო დატოვებული. საერთო მამული შედგებოდა თითოეული სახლის კაცის „კერძო მამულისაგან",[1] რომელიც „სახლის" გაყრის შემთხვევაში „ბარათში ნარგებად" და „გამოყოლილად"ითვლებოდა.[2] სახასო საკუთრებაში შედიოდა სახნავ-სათესი მიწები, საძოვრები, ტყეები, ბაღ-ვენახები, ყმა-გლეხები, მსახურები, აზნაურები, სამღებროები, ციხე-სიმაგრეები, ეკლესია -

---

[1] ვ.გაბაშვილი, ქართული ფეოდალური წყობილება XVI-XVII საუკუნეებში, თბ. ,1958, გვ.149.

[2] ქართული სამართლის ძეგლები, ტ. V, სასამართლო განჩინებანი (XVIIIსს.), ტექსტი გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ი. დოლიძემ, თბ.,1974, გვ.243; ქართული სამართლის ძეგლები, ტ.VIII, სასამართლო არზა-ოქმები და კერძო-სამართლებრივი აქტები, ტექსტი გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ი. დოლიძემ, თბ., 1985, გვ. 13: 243, 374-375, 584.

მონასტრები, საძვალე - სასაფლაო და სხვ. საერთო მამულიდან „სახელმწიფო ხარჯს” აძლევენ მეფეს. დანარჩენს კი საგვარეულო ოჯახებს შორის ყოფდნენ. საციციანოს ყმა-მამულის დიდი ნაწილი სახასო საკუთრებაში იყო. სახლის მეთაური იღებდა ორ წილს, ამ ქონების მითვისების უფლება ვახტანგის სამართლით არავის ჰქონდა. დროთა განმავლობაში, ხშირი გაყრის შედეგად თანდათან მცირდებოდა სათავადოს საერთო ქონება, შესაბამისად ეს აისახებოდა თავადებისა და თავადიშვილების მდგომარეობაზე, რაც ბუნებრივია იწვევდა უკმაყოფილებას.

სათავადოთა სისტემა წარმოადგენდა რა სამეფოს პოლიტიკურ საფუძველს, ამიტომ მეფის ხელისუფლება სახელმწიფო ფეოდალური სამართლით ყოველმხრივ იცავდა სათავადოში საერთო მფლობელობას, სახლის საერთო ქონებას კერძო პირთა და სხვა სახლისკაცთა მიტაცება-მითვისებისაგან. ამის საილუსტრაციო დოკუმენტია მეფე გიორგი XI-ის 1679 წლის განჩინება, ციციშვილების მამულსა და სახლისკაცების სხვა სადავო საქმეზე: „ჴელმწიფემან მეფეთ-მეფემან პატრონმან გიორგიმ ეფისკოპოსნი, მდივანბეგი ბატონი ვახტანგ და დარბაისელნი გუერდს ვიახელით ციციშვილების, ქაიხოსროს, იასეს და მანუჩარის და მისის განაყოფის ზაალის სარჩელი და საჩივარი გავიგონეთ. ერთმანეთს მამულისას და ზოგ-ზოგს წანართმევს უჩივოდნენ; ვითაც ამას წინათ ერთმანერთისათვის საფიცარი მიეცათ, იმის გულისთვის ზოგ-ზოგი ერთმანერთში წანართმევი ერთმანერთს შეუფარდეთ.“[1]

ციციშვილთა ფეოდალური სახლის გაყრის პროცესი ზოგჯერ განსაკუთრებული სისასტიკით და ინტენსივობით მიმდინარეობდა. მიუხედავად ამისა, მოცემულ სოციალურ-პოლიტიკურ პირობებში, ამით სათავადოს დაშლა ფაქტიურად შეუძლებელი იყო. სახლისკაცების ერთობლივი სურვილის შემთხვევაში ინიშნებოდა გაყრის საპასუხისმგებლო პროცესი, გაყრის სარგოთა გამოყოფა

[1] ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ფ. Ad, საბ. 1218;

ხდებოდა სახლის საერთო ქონებიდან.[1] სათავადოს „სახასო“-საერთო ქონება საგვარეულო სახლის სიძლიერის საფუძველი იყო. მის შესახებ პროფ. ვ. გაბაშვილი აღნიშნავდა, რომ ფეოდალური სახლის აღზევება მამულის მომატებაზე იყო დამოკიდებული, დამცრობა-მამულების მოკლებაზე.[2]

„საუფლისწულო“ ციციშვილთა ფეოდალური „სახლის” თავადიშვილთა საკუთრება იყო. ხშირად საუფლისწულოში რამოდენიმე უფლისწულთა ოჯახები ცხოვრობდა. საუფლისწულოს მართვა-გამგეობა, სახელმწიფო გამოსაღების აკრეფა და დანიშნულებისამებრ ჩაბარება, სამართლის წარმოება უფლისწულის განკარგულებაში შედიოდა. 1744 წელს თეიმურაზ მეორე წერდა გარიგების წიგნში, რომ: „რაც საუფლისწულოებს სახელმწიფო ხარჯი აწერია, ყველას თავ-თავისი პატრონები მისცემდენ ხოლმე, სხვას იასაულს ამათს საუფლისწულოში ხელი არა ქონდეს”-ო.[3] სამაგიეროდ სახასო კაცის მიღება - შეფარვის უფლება არ ჰქონდათ საუფლისწულოებს. ჩვენამდე მოღწეულ „სახლისკაცობის რიგის“ დოკუმენტებში ხაზგასმით მიუთითებენ, რომ „საუფლისწულოში სახასო კაცი ნუ დადგება. თუ სადმე იყოს, ავყაროთ და თავის ალაგს დავაყენოთ-ო.[4]“

მიუხედავად ამ უფლებებისა, დოკუმენტებიდან აშკარად შეინიშნება თავადების მხრიდან საუფლისწულოების საქმეებში ჩარევის შემთხვევებიც. 1770 წლის არზით გოგია ციციშვილი თავის სახლისკაც დავითზე აცხადებდა: „ჩემს საუფლისწულოს ჩემმა სახლიკაცმა არ უნდა დასაქმოს. ეს ტვლეპიასშვილი დავითს წაეყვანა

---

[1]. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ფ. Hd, საბ. 2142; სცსსა, ფონდი 1448, საქმე 4486;

[2] ვ. გაბაშვილი ,ქართული ფეოდალური წყობილება XVI-XVII საუკუნეებში, თბ.,1958, გვ.148.

[3] საისტორიო მოამბე , წიგნი I, თბ.,1925, გვ.257.

[4] ქართული სამართლის ძეგლები, ტ. VI. სასამართლო განჩინებანი (XVIII-XIX სს.), ტექსტი გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ი. დოლიძემ, თბ., 1977, გვ.702.

და ლეკებში დაეკარგა და თითონ დაიხსნა. ახლა ის თითონ ჰყავს და შვილისაც წიგნი გამოურთმევია...და მდივანბეგთა განჩინებით შვილიც მას დარჩენია-ო."[1] სახელმწიფო გამოსაღებიდან დარჩენილი წილი უფლისწულთა საკუთრებას წარმოადგენდა, მაგრამ რაც მთავარია საუფლისწულოდან სახლის წევრს ყმა-მამულის არც გაყიდვა შეეძლო და არც გათარხნება სათავადოს უფროსის დაუკითხავად, რადგან საუფლისწულო იყო საგვარეულო სახლის საერთო ქონება. უფლისწულებს სათავადოს საერთო ქონებიდან მიწისა და ყმა-გლეხის განსაზღვრული ნაწილი მხოლოდ დროებით მფლობელობაში ჰქონდათ გადაცემული „სარჩოდ და საცხოვრებლად". საგვარეულო სახლის ხშირი გაყრისას საერთო და საუფლისწულო ქონება იყოფოდა და შესაბამისად თანდათან მცირდებოდა სარგო. ზაალ ციციშვილი ლეკების ტყვეობიდან თავდახსნის მიზნით იძულებული გამხდარა სამწევნელი მკვიდრი ყმა მიჰყიდოს, თავის აზნაურ კლიმიაშვილებს ისიც მხოლოდ სათავადოს უფროსის ნებართვით, საკუთარ ბიძაშვილებთან გაყრის შემთხვევაში მის მიერ გაყიდული ყმის სანაცვლოდ, სთავაზობს სამაგიერო ყმა აიყვანონ საერთოდან: „ ნასყიდობის წიგნი და სიგელი მოგეც მე ზაალ ქვემო ციციშვილმა მერაბის შვილმა მანუჩარის ძმის წულმა შენ რუისელ კლიმიაშვილს დეკანოზ გიორგის და ძმას შენსა ბეჟანს და დავითს... ასე რომ მე ზაალ ლეკისაგან დავსტყვევდი ამ დიდ გაჭირვებაში ამის მეტი სახსრად არა მქონდა რა და მოგყიდე ჩემი მკვიდრი ყმა სამწევრელი დათუნა ყაზარაშვილი.... ეს ჩემი ყმა ამ ჩემს ტყვეობაში სახსრად ასე დამეჭირა და მოვიჴმარე ბატონის ოქმი და ბრძანება მქონდა და თქვენ ჩემს ბიძაშვილებს ბაადურს და ზაალს ეს კაცი გამოგართჳ ვინ იცის ლაპარაკი და გაყრა მოგჴდეს, ამისი მუქაფა საერთოდამ თქვენ ჩემმა ბიძაშვილებმა უნდა

[1] ქართული სამართლის ძეგლები, ტ. IV, სასამართლო განჩინებანი (XVI XVIIIსს.), ტექსტი გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ი. დოლიძემ, თბ., 1972, გვ. 606.

აიყვანოთ.“[1] ქვეყნის შიგნით არსებული დინასტიური დაპირის-პირება ისეთივე საშიშროების მომტანი და დამანგრეველი იყო საციციანოსა და ქვეყნისათვის, როგორც ყიზილბაში და ოსმალო დამპყრობლების შემოსევები. XVII საუკუნის მეორე ნახევრიდან, განსაკუთრებით „ორიანობის“ პერიოდში ერეკლე I-სა და გიორგი XI-ის მომხრე ციციშვილთა შორის გაიზარდა სისხლიანი დაპირისპირება. ქვეყანაში მიმდინარე რთული პოლიტიკური პროცესების შესაბამისად მათი პირადი ინტერესებიდან გამომდინარე ურთიერთობა იცვლებოდა. სახლისკაცები ცალ-ცალკე ჯგუფდებოდნენ თითოეულ პოლიტიკურ ძალასთან, იმ იმედით ვისგან მეტ წყალობას, მფარველობას და იმავდროულად შეუვალობას მიიღებდნენ. ამ მომენტით, მხარდაჭერის სანაცვლოდ მარჯვედ სარგებლობდნენ თავადიშვილებიც და „საუფლისწულო“ ქონების „სათავისთავოდ“ გადაქცევას ცდილობდნენ. ამას ემატებოდა პრინციპული მოთხოვნა საციციანოში სათავადო სახლის გაყრისას, ჩვეულებისამებრ სარჩოთა გამოყოფის დროს სათვალავში არ ჩავარდნილიყო „სახასო” ქონებასთან ერთად მათი საუფლისწულო ყმა-მამული. ამ მდგომარეობიდან გამომდინარე ისინი ყველანა-ირად ცდილობდნენ გაყრის სარგოთა აღება მათი საუფლის-წულოდან არ მომხდარიყო, რაც დაპირისპირების აშკარა საფუძველი ხდებოდა. უფროს-უმცროსობაზე მრავალწლიანი დავის ასეთი სისხლიანი დაპირისპირების ამსახველი დოკუმენტები გაყრის თაობაზე მრავლადაა ჩვენამდე მოღწეული, რომლებიც ძირითადად საგვრეულო სახლის შიგნით არსებული მძაფრი დაპირისპირების ისტორიებს ასახავენ. [2]

ამ დაპირისპირებას თავის მხრივ, კარგად იყენებდნენ ქარ-თლის მეფეები და სათავადოს წინამძღოლის ურჩობისა და

---

[1] სცსსა, ფ. 1450, დავთ. 38, საქმე 70.

[2] ქართული სამართლის ძეგლები, ტ. IV, სასამართლო განჩინებანი (XVI XVIIIსს.), ტექსტი გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ი. დოლიძემ, თბ., 1972, გვ.194-195, 200, 201, 271-272

შეუვალობისათვის. განაწყებებულ უფლისწულებს უპირისპირებდა მეფის მოწინააღმდეგე სახლისკაცებს. მეფე სანაცვლოდ მფარველობას და წყალობას აძლევდა სახლისკაცთა მეორე შტოს და თან სასურველი ძლიერების დემონსტრირებასაც ახდენდა. მათი „დაცვის“ მიზნით აქტიურად ერეოდა სათავადოს სადავო საკითხებში. რათა დაესუსტებინა და საბოლოოდ დაემორჩილებინა მოწინააღმდეგენი. გიორგი ბატონიშვილის მიერ მეფის სადროშოს სარდლის, ზაზა ციციშვილის მკვლელობას მოჰყვა ქვემო საციციანოს აწიოკება და სახლისკაცთა განადგურება, რომელთა ქონება ზემო ციციშვილების ხელში აღმოჩენილა. ერეკლე I-ის ტახტზე ასვლა ხელსაყრელ მომენტად ჩათვალეს მისმა მომხრე ციციშვილებმა და ითხოვდნენ სახლისკაცებისაგან მითვისებული ყმა-მამულის დაბრუნებას: „ ...ქვემო ციციშვილის სარდლის პაპუნას შვილი ზაალ და მისი ძმისწული სარდლის ზაზას შვილი უთრუთ წარმოდგნენ და ეს იჩივლეს: ოდეს თაობით ჩვენი სახლის კაცნი ერთობით ქვემო ციციშვილები მაგათს სახლს გამოვჰყრივართ და დავშორებულვართო, მაშინ აზნაურიშვილი მაღრაძე, მამუკაშვილები და გიორგიშვილები და ხვედურეთს სამწყერაძო თქვენგან გამოგვყოლიაო. და მერმე კიდემ ჩვენ რომ მანუჩარის შვილებს გავყრივართო, იმათგან ჩვენ გამოგვყოლიაო და ამისი ფარდი იმათ ახლაც უჭირავთო ძალად და უსამართლოდ. ეს ჩვენი აზნაურიშვილი მაღრაძე და ხვედურეთს სამწყერაძო მაგათ დაუჭერიათო, ჩვენსას ნუ გაიყოფენ, არას გვემართლებიან. ჩვენ რომ წიგნები ვთხოეთ და სარდლიშვილებს ამად აღარ ჰქონდათ, რომე: როდესაც სარდალი ზაზა მოკლესო, მაშინ შანავაზ მეფემ ჩვენი ქონება აიკლო და სიგლები და მისი საპასუხო წიგნები მაშინ წაგვიხდაო.“ [1]

ჩვენს ხელთ არსებული ფაქტობრივი მასალების სიმცირე, სამწუხაროდ არ იძლევა შესაძლებლობას ციციშვილთა მრავალ-

[1] ქართული სამართლის ძეგლები, ტ. IV, სასამართლო განჩინებანი (XVI XVIIIსს.), ტექსტი გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ი. დოლიძემ, თბ., 1972, გვ.206-207.

რიცხოვანი საუფლისწულო შტოთა რაოდენობის დადგენისა. კამერალური აღწერის დავთრებში მივაკვლიეთ საციციანოს საგვარეულო სახლის გენეალოგიის მხოლოდ არასრულ სქემას. (იხ.დანართი N 2).

1756 წელს საუფლისწულო ქონება, სახლისკაცებთან შეთანხმებით „სათავისთავო“ უცილობელ ქონებად მიუღიათ და მიუღწევიათ, რომ საუფლისწულო ორი სოფელი არც ერთ „ბარათში“ აღარ ჩავარდნილიყო. ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული Hd ფონდის #2141 საბუთი[1] საყურადღებოა, იმ მხრივაც, რომ ამ სოფლების „ფარდი“ სახლისკაცებს სათავისთავო ქონებად ადრევე ჰქონიათ უკვე მიღებული: „ჩვენ ამილახვარი ამირინდო და ჩვენი სახლისკაცები, სახლისკაცობაზე დავლაპარაკდით და ბატონი არაგვის ერისთავი ჯიმშერიც ვიახელით და ციციშვილი ფარსადანიც გვერდს იახლა. საუფლისწულო საქმეზე ვილაპარაკეთ და იმათის ბრძანებით და სიტყვით ასე გაურიგდით მინბაშს რევაზსა და უზბაშს ნიკოლოზს. დავანებეთ საუფლისწულოთ ორჭოშანი და ავაზანი მისის მიწა-წყლითა და სამძღვრითა, და ყოველის მისის სამართლიანის სამძღრითა. დაგვინებებია საუკუნოთ, რომ ამათ ფარდი ყველას სახლისკაცებს უჭირავს. თუ ... გაყრა მოგჯჴდეს ეს საუფლისწულოები არც ერთ ბარათში აღარ უნდა ჩავარდეს. ავაშენებთ თუ წავახდენთ ერთმანეთის საუფლისწულოებთან ჴელი აღარ გვექნება. გაყრაზე ოთხსავ ძმის საუფლისწულო უნდა დაითვალოს და ამათი მაგიერი საუფროსო და საჭირნახულო სხვაგნიდამ უნდა აიღონ...“

„სათავისთავო” ანუ საკუთარი ქონება - სათავადოში თავადთა პირად საკუთრებას შეადგენდა. იგი პატრონის შრომითა და გარჯით შეძენილი ქონება (ნასყიდი, მეფის ნაწყალობევი, ნაჯილდოები, ნამზითვი და სხვ.) იყო. სათავადო სახლის გაყრის შემთხვევაში სათავისთავო ქონება სათვალავში არ ვარდებოდა, ვინაიდან ის არ

[1] ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ფ. Hd, საბ. 2141.

შედიოდა ციციშვილთა საგვარეულო სახლის საერთო ქონებაში. საუფლისწულოდან ყმა-მამულის გაყიდვა სახლის სხვა წევრების ნებართვის გარეშე არ შეეძლოთ, რადგან იგი სახლის საერთო ქონების ნაწილი იყო, სათავისთავოს გაყიდვა და გაჩუქება კი მისგან განსხვავებით სახლისკაცს თავისი სურვილისამებრ შეეძლო, რადგან იგი მის მყარ, ინდივიდუალურ საკუთრებას შეადგენდა.

„სათავისთავო“ ხელშეუხებელი საკუთრება იყო. მხოლოდ საჭირო იყო მფლობელობის უფლებათა სათანადო იურიდიული დოკუმენტით გაფორმება, წინააღმდეგ შემთხვევაში შესაძლოა სახლის საერთო საკუთრებად გამოცხადებულიყო. ვახტანგის სამართალით: „ზოგს ძმაში სათავისთაოდ ნასყიდობა იციან, ან მანდილოსანი თავისის მზითვით იყიდის რასმე მამულსა. ამისი გასინჯვა უნდა. თუ სასახლოსა და მამულის გამოსაღებით არ არის ნასყიდი და წიგნში და სყიდვაში არას გარეულა, არას ემართლებიან; თუ არადა, საერთოდ უყიდნიათ და ერთი იქნების.“[1] სახასოს სათავისოდ მითვისება დაუშვებელი იყო: „თუ ერთს მეორეზედ უფროსი სათავისოდ დაუხარჯავს, იმისი პასუხი უნდა გასცეს“.[2]

ამ მხრივ, ვითარება როგორც ავღნიშნეთ მკვეთრად შეცვლილია მეფე თეიმურაზ II-ის მეფობისას. სათავისთავო ყოველ თავადს და თავადიშვილს შეეძლო ჰქონოდა. სათავისთავო ქონების გაჩენა მიუთითებდა ერთის მხრივ, ციციშვილთა საგვარეულო სახლის ერთიანობის რღვევაზე, განცალკევებისა და ქონებრივი გამოყოფის ტენდენციაზე სახლისკაცებს შორის, მეორის მხრივ, მშვიდობიანობის პირობებში ხელს უწყობდა პროგრესული ინდივიდუალური მეურნეობის ინტენსიურ განვითარებას.

XVII საუკუნის მეორე ნახევრის და XVIII საუკუნის დამდეგის საციციანოს დოკუმენტური წყაროები ციციშვილების „სათავის-თავო“, ინდივიდუალური საკუთრებისაკენ დაუოკებელ სწრაფვაზე

---

[1] სამართალი ვახტანგ მეექვსისა, ტექსტი დაადგინა, გამოკვლევა და საძიებლები დაურთო ისიდორე დოლიძემ, თბ., 1981, გვ.214-215.

[2] იქვე, გვ.215.

მიუთითებენ. საციციანოს დოკუმენტებიდან ტრადიციული ნა-ტურალური მეურნეობის რღვევაზე მიუთითებს, სარდალ ზაზას შვილის, უთრუთ ციციშვილის ინდივიდუალური, ინტენსიური მეურნეობის რაციონალურად მოწყობის ფაქტი. ნასყიდობის წიგნების სიმრავლით გამოირჩევა მისი მამულები წავკისსა და ნიჩბისში.[1] აქტიურად აფართოებდა და ზრდიდა მეურნეობას ამ სოფლებში ზემო ციციშვილებისგან შესყიდული მამულებით და სახლისკაცებისაგან ნასყიდი, სამკვიდრო და ბარათში გამოყოლილი ყმებითურთ: „გლეხნი ყოვლის მათის მიწა-წყლითა, სახლ-კარითა, ქვევრ-მარნითა, სახნავითა და უხნავითა, სატეხითა და უტეხითა წისქვილითა, ბოსტნითა, ბაღითა... ჩვენზედ მოსყიდული ამათი ხოდაბუნები წყალი, საწყლისპირო. “[2] ამას ემატებოდა მამულების გაცვლა მეურნეობის რაციონალურად მოწყობის მიზნით.[3] ყიდულობს წიქვილებს და პარალელურად ახალქალაქში აქტიურად ეწევა გლეხთა მიწების შესყიდვას.[4] სახეზე გვაქვს „სათავისთავო“ საკუთრების, ამ პროგრესული ფორმის გაფართოება. მისი გაფართოება ხშირად საგვარეულო საერთო ქონების ხარჯზეც ხდებოდა, რაც სახლისკაცთა აშკარა დაპირისპირებით და გაყრით მთავრდებოდა. მკვლევარები ო. სოსელია, ვ. გაბაშვილი, მ.ქიქოძე, გ.აკოფაშვილი, დ. გვრიტიშვილი „სათავისთავოში” ხედავდნენ სათავადოების დაშლის ხელის შემწყობ პირობას. გ. ჯამბურიას სათავადოს რღვევის ერთ-ერთ მიზეზად საერთო მამული მიაჩნდა, რომელიც ცენტრალური ხელისუფლების სისუსტისა და ფეოდა-ლური შინაომების პირობებში ვერ იძლეოდა ინტენსიური მეურნეობის განვითარების საშუალებას.[5] ეს მიზეზები ერთმანეთს არ გამორიცხავს, სწორედ საერთო მამულის შემცირების ხარჯზე

---

[1] სცსსა ფ. 1450, დავთ 51, ს.12ა, 14, 14ბ,15ა,16ბ, 23,24,25.

[2] სცსსა ფ. 1450, დავთ 51 , ს. 8ბ, 3, 91, 95, 96,101.

[3] სცსსა ფ. 1450,დავთ 51, ს. 20, 22-22ა, 26.

[4] სცსსა ფ. 1450, დავთ 51, ს. 4, 6, 21.

[5] გ.ჯამბურია,სათავადოების საკითხისათვის , საქართველოს ფეოდალური ხანის ისტორიის საკითხები, წიგნი I, თბ., 1970, გვ.23.

იზრდებოდა საციციანოში სათავისთავო საკუთრება, ამას ემატებოდა გაყრის სარგოთა უთანასწორობის პრინციპი, რომელიც სათავადოს რღვევას ხელს უწყობდა.

საციციანოს, ისევე როგორც ყველა სათავადოს, თავისი „სახლის რიგი“ ჰქონდა. ვეთანხმებით გ. ჯამბურიას მოსაზრებას, რომ „სახლის რიგს“ მეფე ამტკიცებდა.[1] თუმცა საკვლევ თემასთან დაკავშირებით ვფიქრობ, საკითხი დაზუსტებას საჭიროებს. ავღნიშნავ, რომ განხილული დოკუმენტები სწორედ მეფის და „დარბაისელთა“ მიერაა შედგენილი, რომელსაც მეფის მოხელენი ათანხმებდნენ სათავადოს უფროსთან და საგვარეულოს სახლისკაცებთან, საბოლოოდ კი მეფე ამტკიცებდა. ამას მოწმობს ჯერ კიდევ ვახტანგ VI-ის მიერ 1720 წელს, სამუხრანოს „სახლისკაცობის რიგის“ შედგენისას საგანგებო აღნიშვნა, „სახლისკაცობის რიგი და წესი გაუჩინეთ და ამრიგად იქცეოდნენ-ო.“[2] ოსმალობის და ყიზილბაშობის მძიმე ჟამს მოშლილი „სახლისკაცობის რიგის და წესის“ აღდგენა მეფე თეიმურაზის სახელს უკავშირდება. 1744-1749წწ. მეფე თეიმურაზის მიერ ორბელიშვილებისთვის სახლისკაცობის რიგის განწესებაში ამ მხრივ საინტერესო ცნობაა დაცული: „ სამეფონი ჩვენნი ძველსავე წესსა ზედან დავადგინეთ ... და ვიხილეთ ორბელიანთ განთვისებით განკერძოებანი და მათთა მამა-პაპათა განწესებათა შეცვალებანი. და ესე არა ვინებეთ ... გამოვიძივეთ, ვითა ძველათგანვე მათი სახლის რიგი ყოფილიყო, ჩვენც მასსვე წესსა ზედან დავამტკიცეთ.“ ამ კონტექსტის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, აშკარაა მას მეფე ადგენდა და ამტკიცებდა კიდეც. ამ დოკუმენტებთან შინაარსობლივ თანხვედრაშია 1780 წლის მეფე ერეკლესაგან ნაბოძები „ციციშვილების სახლისკაცობის რიგი“, სადაც

---

[1] გ.ჯამბურია, დოკუმენტებიქართლის სათავადოების ისტორიისათვის (XVII-XVIIIსს.). მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათ-ვის, ნაკვ.33, თბ.,1960, გვ.109.

[2] ქართული სამართლის ძეგლები, ტ. VI, სასამართლო განჩინებანი, (XVIII-XIXსს.), ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ი. დოლიძემ, თბ., 1977, დოკ.#355, გვ. 689.

ჩამოყალიბებულია სახლის უფროსისა და სახლისკაცთა უფლება-მოვალეობანი, ყმა-მამულის მოვლის წესი, შემოსავლის განაწილების რიგი, ლაშქარ-ნადირობაში მსახურ-აზნაურიშვილთა თანხლების წესი, „საუფლისწულოების“ უფლება-მოვალეობანი, საუფლისწულო მამულებიდან სახელმწიფო ხარჯის აღების წესი და სხვ. სამეფო კარი თვალყურს ადევნებდა და იმავდროულად აკონტროლებდა კიდეც საციციანოში მიმდინარე მნიშვნელოვან პროცესებს, რასაც მოწმობს ქართლ-კახეთის მეფის, ერეკლე II-ის 1780 წლის განჩინება[1] „ციციშვილების სახლისკაცობის რიგი, გაჩენილი მოსამართლეთა მიერ“.

აღნიშნული დოკუმენტის შესავალი მიანიშნებს, რომ მეფე ერეკლეს მოხელეები ციციშვილებთან ათანხმებენ „სახლის რიგს“: „ციციშვილის ბატონის სარდალ ქალაქის მოურავის[დავითის] და ამის სახლისკაცების გარიგებაში დავსხედით მდივანბეგი თეიმურაზ, ყორიასაულბაში ზაზა, მსაჯული იესე და მდივანი სულხან.“

დოკუმენტში აშკარად შეინიშნება მეფის მხარდაჭერა საუფლისწულოებისადმი. „საუფლისწულო, როგორც განაჩენში სწერია, ისე უნდა თავთავისი ეჭიროსთ... დოესი ციხით საერთო იქნება. კლიმიაშვილის ბეითალმანი საერთო დაიდვა.

იის ციხე, ავკეთი ჯავახიშვილთან ათ თუმანნახევრათ გირაოთ ყოფილა და ალექსანდრე სარდალს დაუხსნია. ეს თეთრი საძმოთ უნდა გამოიღონ და მოურავს მიერთვას... ციხიაზე რომ ლაპარაკობენ, მოურავი ამას ბრძანებს:ორმოც თუმნათ ფარსადანმა და იმის სახლისკაცებმა ბატონიშვილს ელენეს დაუგირავესო. სახლისკაცები ეუბნებოდნენ: ფარსადანმა თავის საქმეზე დაუგირავაო, სახლისკაცები არ ურევიანო და არც სასახლო საქმეზე დახარჯულაო ... თუ თავისი სიტყვა სარწმუნოს მოწმით გაამართლა, ეს ვალი საძმოთ უნდა გაიღონ და მამული საერთო იქნება. და თუ მოწმით არ

[1] სცსსა, ფ. 1448, საქმე 874.

გარდასწყდა, ერთი თავის საუფლისწულო კაცი გოგიამ წააყენოს, ერთი კაცი ივანემ და პაატამ და ერთი ნიკოლოოზმა და ასე შეაფიცონ, რომ ფარსადანს თავის თავისთვის აეღოს და სახლისკაცები აღებაში არ ერივნენ. და თუ ასე ფიცით დაამტკიცონ მოურავი ნუღარ ედავება... საუფლისწულოს სოფლების ღალისა როგორც განაჩენში უწერიათ, ისე აღასრულონ... სახლისკაცობაზე უფროს-უმცროსულათ როგორც განაჩენში უწერიათ, ისე მორჩილნი იყვნენ... სახასოდამ ივანესა და პაატას ახლავს მსახურათ მიხანაშვილი და ხუციაშვილი, ნიკოლოზს და ამილღაბარს ახლავს სახასოდამ გოგიჩაშვილი, ახლაც უნდა მიეცესთ სახასოდამ ერთი მსახური. გოგიასაც უნდა მიეცეს სახასოდამ ორი მსახურით. კლიმიაშვილი კაცია ნიკოლოზს და ამილღაბარს ახლავს, ერთი აზნაურშვილი კიდევ აახლოს. კლიმიაშვილი დათუა და ტერიშვილი იესე ივანესა და პაატას ახლავს. გოგიას აზნაურშვილი როგორც ხლებიან, ისე ახლდნენ.

საუფლისწულო კაცს სახლის უფროსი ნურასა სთხოვს და ნურც სამსახურს უბრძანებს; ძველს განაჩენშიაც ასე უწერიათ.

გუჯარეთსა და სკრაზე რომ ლაპარაკობენ, ამაზე მათს უმაღლესობას მოახსენონ და სამართალი რაც ებრძანოსთ, იმაზე დადგნენ.

მეღვინეთხუციშვილი ზაალ ივანესა და პაატას ხლებოდა და ამათთან დაბერებულიყო. სახლისკაცებმაც ნება დართვეს და ამათვე უნდა ახლდეს.

ხორბალაძე ბერს მოურავის ცხვრის თეთრი რომ დაზდებია, ის იმ გლეხმა კაცმა მოურავს უნდა მიართვას. და ამ კაცის გამოტანაზე ალექსანდრე სარდალი ბევრს გარჯილა და ორი ტივი დაუხარჯავს. ესეც საძმოდამ უნდა გარიგდეს და მოურავს თავისი მიერთვას.“[1]

დოკუმენტი მრავალმხრივაა საინტერესო. საციციანოს სახლის-კაცობის რიგი განუხილავთ და დაურეგულირებიათ მათ შორის

[1] სცსსა, ფ. 1448, საქმე 874.

ურთიერთობის თითქმის ყველა ნიუანსი. მეტი აქცენტები ჩანს რიგ საკითხებზე, საუფლისწულო საკუთრება აშკარაა სათავისთავო საკუთრებად მოიაზრება და არა საერთო საკუთრებად. მათ საქმეებში თავადთა ჩაურევლობა კიდევ ერთხელ მიზან-მიმართულადაა ხაზგასმული - „სათავადოს უფროსი საუფლის-წულო კაცს სახლის უფროსი ნურასა სთხოვს და ნურც სამსახურს უბრძანებს-ო.“ უფროს სახლისკაცთათვის საგანგებოდ აღინიშნა „სახლისკაცობაზე უფროს-უმცროსულათ, როგორც განაჩენში უწერიათ, ისე მორჩილნი ყოფილიყვნენ“[1]. „სახლისკაცთა რიგის და წესის“ მიხედვით განიხილეს და დაადგინეს აზნაურთა თანხლების, მსახურთა და ბეითალმანი მამულის საკითხი. ასევე საინტერესოა, რომ ციციშვილთა შორის საგირავნო სესხი საკმაოდ ფართოდ ფუნქციონირებს, რასაც ამ პერიოდის სხვა წყაროების სიმრავლეც ადასტურებს.[2] საციციანოს ოდესღაც ძლიერი იის ციხე, ავკეთი ათთუმანნახევრად დაუგირავებიათ ჯავახიშვილებთან. მაშინ, როცა მეფე თეიმურაზის 1749 წლის „სახლიკაცთა რიგის“ დოკუმენტებში აღინიშნებოდა, „რაც საერთოს მამულში ციხე იყოს, უფროსის ხელდებული იყოს. თუ რამ შემოსავალი შემოვა რამე ამ ციხეებიდამ, ისიც საძმო იქნება...რადგან უფროსი სახლის ბატონი არის, ციხეები უფროსს უნდა ებაროს-ო.“ [3]

რაც შეეხება საკითხს, რამდენად იყო შესაძლებელი საცი-ციანოში საკუთარი ნებით, ან პოლიტიკური ვითარების გამო, ქვეყნიდან დევნილი, აყრილ-გადახვეწილის, ან ტყვედ ნამყოფი

---

[1] სცსსა, ფ. 1448, საქმე 874.

[2] მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის, წიგნი II, (ვალი, იჯარა, ვაჭრობა), მასალები შეარჩია და გამოსაცემად მოამზადა ნ. ბერძენიშვილმა, თბ., 1955, გვ.103,115,133; ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ფ. Hd, საბ.13700.

[3] ქართული სამართლის ძეგლები, ტ. VI, სასამართლო განჩინებანი, (XVIII-XIXსს.) ტექსტი გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ი. დოლიძემ, თბ., 1977, გვ.704-705.

თავადიშვილის სახლისკაცობის რიგში აღდგენა, ვახტანგის სამართლის მიხედვით ლეკებიდან დაბრუნებული სახლისკაცის შეყვანას ცალკე მუხლი არეგულირებდა.[1] მიუხედავად ამისა, დავის გადაწყვეტა სახლისკაცებს შორის დაპირისპირებას კიდევ უფრო ზრდიდა. ამის საილუსტრაციოდ, ვფიქრობ საკმარისია მცირე ამონარიდი 1783 წლის დოკუმენტიდან: „ფარეშთუხუცესი გივი ამას ამბობდა: ამ უთრუთის მამა გიორგი ლეკიდამ რომ მოვიდა და ჩვენ სახლისკაცათ შევიყვანეთო, რომელიც ბიძაჩემი გიორგი ლეკში დატყვევდა, ეს გიორგი ის ბიძაჩემი არ იყოო. ჩვენი სახლისკაცები მძლავრობით გვექცეოდნენ და იმის მიზეზით შევიყვანეთო, თვარემ ის ბიძაჩემი რომ დაიკარგა, იმას ყური თოფისაგან წასუსხული ჰქონდაო და პირზედაც თოფის წამლისაგან დამწვრობა აჩნდაო... უთრუთას მოწმეები ჰყავდა ამას მოწმობდნენ: გიორგი რომ ლეკიდამ მოვიდაო და ციციშვილებმა სახლისკაცად შეიყვანესო, ყურზედაც ნიშანი ეტყობოდა და პირზედაც თოფის წამლისაგან ნიშანი აჩნდაო...ამათიც საქმის ვითარება გამოვიკითხეთ. როცა უთრუთის მამა გიორგი ლეკიდამ მოსულა და სახლისკაცთ შეუყვანიათ, იმ ჟამად ეს გივი ციციშვილი, ამის ბიძა სარიდან და სვიმონ ციციშვილების ფარსადანისა და ქაიხოსროსი და თეიმურაზის სახლისკაცად შეყრილ ყოფილან და ერთს სახლად მდგარან და თუ ამ უთრუთის მამა გიორგი სწორედ იმათი ძმა და სახლისკაცი არ იყო, ესენი ხომ ყველანი კარგად იცნობდნენ და რათ ეჭირებოდათ, რომ უცხოს ვისიმე შვილი თავის ძმათ და სახლისკაცათ გამოეცხადებინად და მამულში მოწილედ შეეყვანათ....სხვა მიზეზებიც ბევრი ამტკიცებდა... დამტკიცდა, რომ უთრუთის მამა გიორგი სწორედ გივი ფარეშთუხუცესის ბიძათ აღმოჩნდა...ამ წესით უნდა გაიყარნენ: უფროსის ძმის შვილი ფარეშთუხუცესი გივი არის და უმცროსი ძმის შვილი უთრუთ არის. როგორც საქართველოს

---

[1] სამართალი ვახტანგ მეექვსისა, ტექსტი დაადგინა, გამოკვლევა და საძიებლები დაურთო ისიდორე დოლიძემ, თბ., 1981, გვ.141.

განწესებაა უფროს-უმცროსის რიგი და სამართლის წიგნში სწერია, ესენიც ისე უნდა გაიყარნენ“. [1]

სათავადო სახლის გაყრის წესისა და რიგის მიხედვით სარგოს ხუთი სახეობა არსებობდა. „გაყრისა და ერთმანეთის დაშორებაზე, თუ ვით უნდა არეგულირებდა. მასში ვკითხულობთ: „გაყრაში ეს ოთხი არის: საუფროსო, გასამყრელო, საუმცროსო და საშუალო.“[2]

პირველ რიგში უნდა გამოყოფილიყო სახლის უფროსისათვის განკუთვნილი სარგო ”საუფროსო”, რომლის მიხედვით სახლის უფროსს თავის სურვილისამებრ შეეძლო ამოერჩია ყოველი მეოცე კომლი:„ რამდენიც კომლი დადგეს, ოცს კომლზე ერთს უკეთესს, რომელიც უნდა, უფროსი გამოირჩევს და ერთს უარესს - სხვა ძმები, რომელიც იმათ უნდა, იმას მისცემენ. და რამდენიც ოცი კომლი ეყოლების, ყველაზე ასრე იქმონენ-ო.“[3]

მეორე სახის სარგო დგებოდა მეფისათვის, რომელსაც გასამყრელო ეწოდებოდა და რომელიც მეფეს ერგებოდა სათავადო სახლის გაყრის გამო. კომლთა რიცხობრივი რაოდენობით იგი „საუფროსოს” უთანაბრდებოდა: „გასამყრელო ჴელმწიფისა არის. რა რომ უფროსი საუფროსოს გაათავებს, მერმე ოცისთავს, როგორიც ჴელმწიფეს ეპრიანების, იმისთანას გლეხს აიღებს, თუ უნდა ერთს ალაგს, თუ უნდა, დაფანტვით; იქნების, დიდს თავადზედ სოფელიც აიღოს. მაგრამ ეს გასამყრელო ასრე ჴელმწიფისა არის, რომე როგორც თავისი სახასო, ისრე ეს არის. ეპრიანების, თვითონ დაიჭერს; იქნების სხვას უბოძოს; იქნების იმათშივე ერთს და ერთს უბოძოს, იქნების, ორთავ ერთად აქრთამებინოს, ისი სჯობს. აზნაურშვილზედაც

---

[1] ქართული სამართლის ძეგლები, ტ.V, სასამართლო განჩინებანი (XVIIIს.) ტექსტი გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ი. დოლიძემ, თბ.,1974, 236-237.

[2] სამართალი ვახტანგ მეექვსისა, ტექსტი დაადგინა, გამოკვლევა და საძიებლები დაურთო ისიდორე დოლიძემ, თბ. 1981, გვ.211.

[3] იქვე, გვ.212.

აიღებს გასამყრელოსა, და თუ ეპრიანება, არ აიღებს“.[1] ეს პუნქტი სათავადოს შეუვალობაში მეფის აქტიური ჩარევის, სამეფო აზნაურების გამრავლების, თავადიშვილთა გადაბირების და მეფესთან დაპირისპირებული, ურჩი სახლისკაცთა შტოს წინააღ-მდეგობის დაძლევის, დამორჩილების, ან სახლისკაცთა შორის ახალი დაპირისპირებისას, მეფის მხარდამჭერთა გაძლიერების მოხერხებული, ინსპირირებული ჩარევის საშუალება იყო. შემდეგი სახის სარგოს „საშუალო” წარმოადგენდა, რომელიც შუათანა ძმას უნდა რგებოდა: „თუ სამი და ოთხი შუათანა ძმები არიან, ამ გლეხების ოცისთავი იანგარიშონ, რამდენიც კომლი დადგეს, ის შუათანას ძმებს გაუყონ ერთი მეორეზედ, რომელიც უფრო მოჭირნახულე იყოს, ისრე გაუყონ.“[2] საუფროსოსა და გასამყრელოს აღების შემდეგ ყოველ ოც კომლზე აარჩევდნენ ერთ კომლს და მისცემდნენ შუათანა ძმას. უმცროსი ძმა კი იღებდა „საუმცროსოსს”, რომელიც შედგებოდა სასახლისა ან სასახლედ განკუთვნილი ტერიტორიისაგან; „შიგ რაც ბაღი იყოს და დაჰყვების, ისიც იმისი არის და გარეთ - კალო საბძელიცა. კოშკი თუ არის, გასაყოფი არის, მაგრამ უმცროსს ფასი უნდა გამოართვან და დააკსნევინონ.“[3]

ამდენად, გაყრა ქონების საუფროსო-საუმცროსოდ დანაწი-ლების პრინციპით ფორმდებოდა და სამეფო კარის დარბაისელ-თაგან შემდგარი სასამართლო განიხილავდა.[4] ვახტანგ მეექვსის სამართლში გათვალისწინებულია ისიც, თუ „გლეხი ოცი არ ჰყვანდესთ, ან მეტი ან ნაკლები იყოს, და იმისი საუფროსოს მიცემა ან გასამყრელოს აღება, ან საშუალოს აღება გაჭირდების ამას კარგად

---

[1] სამართალი ვახტანგ მეექვსისა, ტექსტი დაადგინა, გამოკვლევა და საძიებლები დაურთო ისიდორე დოლიძემ, თბ., 1981, გვ.212.

[2] იქვე, გვ.212.

[3] იქვე, გვ.213.

[4] ქართული სამართლის ძეგლები, ტექსტები გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევები, ლექსიკონები და საძიებლები დაურთო ი. სურგულაძემ, თბ.,1970, გვ.784.

გასინჯვა და მოსამართლისაგან გარკვევა უნდა, ჩათვლა და ანგარიში უნდა. იქნების, ამდენი გლეხი იყოს გამორჩეული, საუფროსო ერგოს და საუარესო აღარ მისცენ; იქნების არც გამორჩეული მიეცეს და არც უარესი, შუათანა გლეხი მიეცეს, ან არა -ორი: ერთი, რომელიც კაი გლეხია, დააგდონ და ისრე სხვაში აარჩევინონ. ამას კარგი გასინჯვა უნდა.“[1] სამართლის მიხედვით სარგოს ასეთი ფორმულირება უთანასწორობის პრინციპს ემყარებოდა და საგვარეულო ოჯახში მუდმივი უკმაყოფილების და დაპირისპირების მიზეზს აჩენდა.

ვფიქრობ, სწორედ ეს იყო ერთი და არა ერთადერთი შესაძ-ლებლობა მეფის ხელში, რომელ ძალასაც ადვილად გაიერთ-გულებდა და გამოიყენებდა სათავადოს შეუვალობის დასაძლევად. იქვე ხაზგასმით არის საინტერესო მინაწერი მხოლოდ ციციშვილ-თათვის: „ ციციშვილების მეტში ზვრისა და ხოდაბუნის საუფროსო არვისაში არ არის. იმათაც ძველობით, ფიცით გაუტანიათ და მისთვის დარჩომილა“. ზვრისა და ხოდაბუნის გარდა იყოფოდა ყველაფერი: „ზვარსა და ხოდაბუნს გარეთ ბაღი, წისქვილი, ბოსტანი, რაც გლეხის გაუყოლად დარჩების რამე, გლეხზედ არ დადვან, ყველა გასაყოფი არის ...სასაფლაო, ხატი, ჯვარი, საყდრის მამული ერთია. თუ არ გაჰყოფენ, ისი სჯობს, საყდრის ყმასა.“[2]

ჩნდება ინტერესი, თუ რატომ იქნა მხოლოდ საციციანოში დატოვილი ვახტანგ VI-ის მიერ „საუფროსო“ ზვრებსა და ხოდაბუ-ნებზე და არ შეიცვალა მეფე ვახტანგის სამართალში „ძველობით და ფიცით“ გატანილი ზვრისა და ხოდაბუნის საუფროსო? პასუხის გასაცემად დავინტერესდით, რამდენად იყვნენ ჩართულნი ვახტანგ მეექვსის საკანონმდებლო საქმიანობაში ციციშვილები და რამდენად შეეძლოთ „ფიცით“ გაეტანათ. რადგან სამართლის წიგნის შესავალში მეფე ვახტანგი აცხადებდა: „ნურვინ ჰგონებთ, თვით მხოლოდ თავით თვისით რასამე ვყოფდეთ-ო.“ „თანაყოლითა და დამოწმები-

---

[1] სამართალი ვახტანგ მეექვსისა, ტექსტი დაადგინა, გამოკვლევა და საძიებლები დაურთო ისიდორე დოლიძემ, თბ., 1981, გვ.213-214.

[2] იქვე,გვ. 214.

თა“ საკანონმდებლო კომისიის წევრთა შემადგენლობაში შედიოდნენ კათალიკოსი დომენტი, სამეფო საბჭოს, დარბაზის წევრები: „არაგვის ერისთვის შვილი მთავარეპისკოპოზი გრიგოლი, სხვა მიტროპოლიტ -ეპისკოპოზ წინამძღვარნი და საღმართოგანნი, მუხრანის ბატონი ერეკლე, სახლის უხუცესი პაპუა, არაგვის ერისთავი გიორგი, ქსნის ერისთავი დავითი, ორბელიძე სარდარი ლუარსაბ, ამილახორი ავთანდილ, მდივანბეგი ერასტი, სხვა დარბაზის ერნი, ჭკუთა მყოფელი და მოხუცებულნი კაცნი“.[1] ამ საკანონმდებლო, საპატო საქმეში ციციშვილთა მონაწილეობას არ ადასტურებს არც ერთი დოკუმენტი და ნარატიული წყარო. უფრო მეტი, ჯერ კიდევ მეფე ვახტანგის ჯანიშინობიდან, ციციშვილები არც ერთ მაღალ თანამდებობებზე არ ჩანან, მათ შორის კარგავენ მეფის სადროშოს სარდლის სახელოსაც. ირანიდან დაბრუნების შემდეგ კი აუქმებს ქვემო საციციანოს. ყოველივე ეს გვაძლევს საფუძველს ავღნიშნოთ, რომ ამ სარგოს წესის ხელუხლებლად დატოვება მეფის ინტერესებში შედიოდა. ყოველი გაყრის შემდგომ უკმაყოფილო უფლისწულებთან გამძაფრებული დაპირისპირება სახლისკაცთა შორის გარდაუვალი იყო. ვალის გადაუხდელობის სანაცვლოდ სწორედ ხოდაბუნის საუფროსოში ითხოვდნენ წილს უმცროსი ძმები და ბიძაშვილები: „ბედნიერის ჴელმწიფის ჭირი ნიკოლოზ ციციშვილსა მოსცეს. მერმე ამას მოვახსენებ ჩემს მოწყალეს: ბიძის ჩემის ციცის ერთი თუმანი მართებოდა მამა ჩემსა. იმ ერთის თუმნის თამასუქი იმასვე დარჩომოდა. ის თეთრი გადაწყვეტილ ყოფილიყო, რომ ბარათი ხელში მიჭირავს... ახლა ამისმა შვილმა ერთი ხოდაბუნი გამიყო და ამ თეთრის ჯათზე თუ სიტყვა აქვს, სამართალში მომყვეს, თუ არა, ერთის ოქმის წყალობა მიყავით, ჩემი მამული დამნებდეს.“ [2]

---

[1] სამართალი ვახტანგ მეექვსისა, ტექსტი დაადგინა, გამოკვლევა და საძიებლები დაურთო ისიდორე დოლიძემ, თბ., 1981, გვ.175.

[2] მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის, წიგნი II, (ვალი, იჯარა, ვაჭრობა), მასალები შეარჩია და გამოსაცემად მოამზადა ნ. ბერძენიშვილმა, თბ., 1955, გვ.46.

ბუნებრივია ისმის კითხვა რამდენად აძლევდა ხელს აღნიშნული სარგოს დატოვება სამეფო კარს. მეფისა და ციციშვილების დაპირისპირებიდან გამომდინარე, მეფეს ხელსაყრელ შესაძლებლობას აძლევდა, რათა:1.გაეტარებინა მკაცრი ღონისძიებანი შეუვალობით და სიძლიერით გამორჩეული საციციანოს დასამორჩილებლად. 2.აქტიურად ჩარეულიყო სათავადოს მართვა-გამგეობაში „დამცრობილ“ თავადიშვილთა, არა მარტო უფლებების, არამედ მათი ყმა-მამულის „დასაცავად“ და ამით შესაბამისად განემტკიცებინა პოზიციები საციციანოში. მით უფრო, უმცროს თავადიშვილთა უკმაყოფილებას თვით ვახტანგ VI-ის სამართალის აღნიშნული მუხლი განაპირობებდა:„სისხლი ყოველფერზედ ზეით დაგვიწერია, თუ უმცროსს უფროსისთვის უქნია, ის უფრო მძიმეა. და თუ უფროსს უმცროსისათვის უქნია, ის უფრო მსუბუქია, და თუ სწორს სწორისთვის უქნია,ის სწორია, არც აიწევს და არც დაიწევს.“[1] 3.დაპირისპირების გამო ციციშვილთა საგვარეულოს ხშირი გაყრა კი მეფეს დამატებით სახასო სამფლობელოებს მისცემდა სათავადოში. მისი სამართლის მიხედვით შეეძლო გაყრის სარგოდ სტრატეგიულ გზაჯვარედინზე არსებული საციციანოს სოფლები ხელში ჩაეგდო.

ამდენად, დაშლილ-დასუსტებული სათავადოს მართვა-გამგეობაში სამეფო კარის აქტიურად ჩარევა დიდ სირთულეს აღარ წარმოადგენდა.

გვიანფეოდალურ საციციანოს ჩვენამდე მოღწეული დოკუმენტები,[2] მეტად საყურადღებო ცნობებს შეიცავენ საუფროსოს და საუმცროსო ქონების გაყოფის თაობაზე და სიმრავლითაც გამოირჩევიან. 1748 წლის განჩინებით: „მეფე ერეკლეს ბრძანებით ნოდარისშვილი ალექსანდრე და სარდლის შვილი ფარსადან, ედიშერის შვილის იოვანეს და ქალანთრის და პაპუნას შვილის

---

[1] სამართალი ვახტანგ მეექვსისა, ტექსტი დაადგინა, გამოკვლევა და საძიებლები დაურთო ისიდორე დოლიძემ, თბ. 1981, გვ, 201.

[2] ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ფ. Sd საბ. 256; ფ. Ad საბ. 1347.

დემეტრეს გასარიგებლად [დავსხედით] ერთმანეთის ყმასა და მამულზე. დემეტრე ელაპარაკებოდა ქალანთარს დიდ ქარელში ლალიმასშვილს მიწა-წყალსა... ქალანთარი ამას სჩიოდა, რომ მამაჩემი და ბიძაჩემი, რომ გაყრილან, ბიძაჩემს პაპუნას საუფროსო აუღია მამიჩემისათვინ. რომ შვიდი კომლი კაცი საჭირნახულოდ გაუჩენიათ, ერთი მიჭირავსო ძოვრეთსსაო, ექვსი კომლი კი არ მიჭირავსო. ჩვენც მოკითხული ვქენით ექვსი კომლი კაცნი ქალანთარს არ უჭირამს ... ლაპარაკობდა სამი კომლი კაცნი გასაყოფი არისო, რომ შუა უნდა გავიყოთო ... დოესს და ხვედურეთს. ჩვენც მოკითხული ვქენით ამის ფანდი ქალანთარს არ უჭირამს-ო.“[1] სარგოს მეხუთე სახეობას წარმოადგენდა - „საჭირნახულო”. იგი ოჯახის გაყრისას ნაამაგარი პირისათვის მეტი შრომისა და გარჯის ასანაზღაურებლად განკუთვნილი, განსაკუთრებული წილი იყო გასაყოფ ქონებაში. მ. ქიქოძის აზრით „საჭირნახულო”ერგებოდა სათავადო სახლის ღვაწლმოსილ პირს.“ [2]

ჩვენს ხელთ არსებული დოკუმენტებიდან ცნობილი გახდა, რომ აღნიშნულ სარგოს იღებდნენ არა მარტო ღვაწლმოსილი პირები, არამედ მათი შთამომავალნი უფროსი შვილობისათვის,[3] ასევე გავლენიანი და მაღალი თანამდებობის მქონენი და სამეფო კართან დაახლოებული ციციშვილებიც. აღნიშნული „საჭირნახულოს” სარგოს შესახებ ჩვენ მოსაზრებას ამყარებს ედიშერ და პაპუნა ციციშვილების 1701-1703 წლების გაყრის დოკუმენტები, სადაც ვკითხულობთ: „.ქ. საჭირნახულო ასე გავარიგეთ ჩვენ, მდივანბეგმა პა[ა]ტამ და მაღალასშვილმა ნიკოლოზ..ორმოცდა[ა]თს კუამლს

---

[1] ქართული სამართლის ძეგლები, ტ. IV, სასამართლო განჩინებანი (XVI-XVIII სს.), ტექსტი გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ი. დოლიძემ, თბ., 1972, გვ.372.

[2] ქიქოძე მ., ქართლის სათავადოების ისტორიიდან XV-XVIIIსს. (საამილახვრო), მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისათ-ვის, მსკ 35, თბ.,1963, გვ.107.

[3] სცსსა, ფ. 1448, საქმე 2860;

კაცზე ერთი კუამლი კაცი ბატონმა ედიშერს გაუჩინა და უბოძა. მაგრამ ბევრი ჭირნახულობაც ექნა და აჩნდა მამულს. და ჩვენ შვიდის კუამლის კაცის მეტი არ გაუჩინეთ. ერთი კუამლი კარგი სომეხი მმოვრეთს მივეცით; იმას გარდა ექუსი კუამლი კაცი სხვა უნდა მიეცეს ედიშერს გაუყოფელის მამულიდამე. სამი კუამლი დოესს არის გაუყოფელი...ექუსი კომლი კაცი არის სამწყერაძო არის ხვედურეთს გაუყოფელი. ამ ცხრას კვამლში ექუსი კვამლი ედიშერს საჭირნახულეთ ამოერჩიოს და სხვა შუა უნდა გაიყონ. ერთი ხომ მმოვრეთს მივეცით და ექვსი ეს არის. და ამ შვიდის კვამლის მეტი არ გაუჩინეთ. თუ ედიშერ საჩივარი დაიწყოს, მოსამართლემ აღარ უნდა ალაპარაკოს. სამწყერაძო რომ გასაყოფია, ძულიასშვილი შიო, ჯავახასშვილი ბერუკა, კიდევ ჯავახასშვილი ნასყიდა, მოსეშვილი თამაზა, ლაბარისშვილი სეხნია, ძულიასშვილი ბასილა სამწყერაძოს ნაზვრევი, იმას ზეით ნაფუზარი ურწყავი შუა უნდა გაიყონ; ქვევრი, მარანი შუა უნდა გაიყონ; სამწყერაძოს ეკალაური ხოდაბუნი ბორისყურის მრუდი მიწა, ჭალა, სამწყერაძოს მიწა-წყალი - ესეები სულ შუა უნდა გაიყონ პაპუნამა და ედიშერ... რაც ედიშერის დედის ბატონის ანას ნასყიდი იყოს, იმაზედ ედავებოდენ.“[1]

საჭირნახულოდ, საგვარეულო ოჯახიდან გაყრაზე მდგარ პირს შეეძლო მოეთხოვა ეს ქონება, ან სხვა სახის ანაზღაურება მიეღო (ყმა, მიწა, ნივთი), გარდა გაყრისა, საჭირნახულოს მიცემის საკითხს სასამართლოც წყვეტდა, სადავო ქონებაზე გაწეული შრომისათვის (მიწაზე დავისას, ბაღ-ვენახის გაშენებისათვის, ყმაზე ან ნაგებობაზე გაწეული ხარჯებისათვის, ციხის მშენებლობისათვის, სათავადოს დაკარგული, ან ძალმომრეობით წართმეული სოფლების დაბრუ-ნებისათვის და სხვა). გაწეული შრომისა თუ ხარჯის შეფასებისა და საჭირნახულოს ოდენობის განსაზღვრისათვის საქმის მცოდნე პირებს მოწმეთა სახით იწვევდნენ.

---

[1] ქართული სამართლის ძეგლები, ტ. VI, სასამართლო განჩინებანი (XVIII-XIX სს.), ტექსტი გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ი. დოლიძემ, თბ.,1977, გვ.610-612.

საუფროსოს დამტკიცების 1784 წლის დოკუმენტში საუფ-როსოსთან ერთად საჭირნახულოსაც აძლევენ ფარეშთუხუცესს: „...ციციშვილ გივის საუფროსოდ მიეცა კანდელაკიშვილი ბერუა, კვერცხიშვილი იესე....საჭირნახულოდ მიეცა ოთარა შოშიტაშვილი, ესენი საუფროსოთ და საჭირნახულოთ მიეცა გიჯს... გიჯს წილში ერგო ამის ბადლათ ასლამაზაშვილი ფარსადანა. უთრუთს ერგო ამას გარდა რაც გლეხი ყავთ ან მამული აქვსთ ამ ზემო კაცთ გარდა, რაც ან ყმა ყავთ და ან მამული აქვსთ, ამისი გამოსავალი შუაზე უნდა გაიყონ ნახევარი გივის და ნახევარი უთრუთს. ღალაცა და ყმისაგან ნახნავიცა შუა გაიყონ... რადგან გაყრაზე დგანან რაც ღალა აქვს და ან ყმისაგან მოხნული პური სულზე უნდა გაიყონ. რაც ორმოში უყრიათ მოსული, რაც ახლა მოსავალი მოვა, ან ღალა და ან ნახნავი ზემორე მოხსენებულისაებრ უნდა გაიყონ...“ [1]

მრავალწლიანი დაპირისპირება საციციანოში, ზოგჯერ მთავ-რდებოდა, ძმობისა და ერთობის ფიცის და შეყრილობის წიგნების დადებით, სადაც „გაუყრელობის“, „მტერზე მტრისა და მოყვარეზე მოყვარის“ პირობას სდებდნენ. გაყრილი და დაშლილი ციციშ-ვილთა საგვარეულო კვლავ ერთდებოდა, ხშირად მამულებსაც აერთიანებდა, ერთად უძღვებოდნენ მეურნეობას. XVII -XVIIIსს. საციციანოს შეყრილობის წიგნების სიმრავლე, სწორედ ქვეყნისა და სათავადოს მძიმე ეკონომიკური მდგომარეობით აიხსნება. დოკუმენტში, „ძმობისა და სახლისკაცობის წიგნი და პირი“, რომე-ლიც მისცა ბაგრატ ციციშვილმა და მისმა ძმებმა თავის ბიძაშვილს ნოდარს ვკითხულობთ: „ შენის მტრისიც მტერი ვიყოთ და მოყვრისა მოყვარენი. ამ წუთისოფლის ერთმანეთს ვებათ. შენი წილი, რაც საციციანოში გამოვიდოდეს, არასფერის წილი არ დაგაკლოთ. მძორეთში შენი წილი კაცი, რომელიც შენა გჭეროდეს , ისევ ისე დაგვინებებია, შენვე დაიჭირე. ჴემწიფის გამოსაღების გარდა შენ იმსახურე“.[2] დოკუმენტი 1731 წლით არის დათარიღებული, თუმცა

---

[1] სცსსა, ფ. 1450, დავთ. 51, საქმე 1.

[2] ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ფ. Sd, საბ. 256.

ვფიქრობთ აღნიშნული დოკუმენტი მოგვიანებით, ყიზილბაშობის პერიოდში უნდა იყოს შედგენილი. ჯერ ერთი „ჯემწიფის“ გამოსაღებზე ლაპარაკი ვერ იქნებოდა, მეორეც, ოსმალებთან თანამშრომლობით დაწინაურებული ბაგრატი საციციანოს ნაჰიეს თავად განაგებდა და დაუჯერებელია მის მიერ ბიძაშვილებისაგან წართმეულ ქონებაზე თავისი ნება-სურვილით უარი ეთქვა. სავარაუდოდ მხოლოდ ყიზილბაშთაგან, ბეგლარბეგ იბრეიმ-ხანის, ან ქართლ-კახეთის ვალის ალექსანდრე ალი-მირზას (1735წ.) შევიწროებულ ბაგრატს დასჭირდებოდა „ძმობისა და სახლისკაცობის წიგნი და პირი“ მიეცა და დაებრუნებინა მათთვის წართმეული ყმა-მამული, რათა ასეთი „ერთობით“, „ოსმალობისას“ დაგროვილი სიმდიდრის ნაწილი მაინც შეენარჩუნებინა.

„ძმობა-ერთობის პირობა დადეს 1800 წელს სარდლის ალექსანდრეს შვილმა გიორგი მინბაშმა და სარდალ-მოურავმა გიორგიმ.[1]

მსგავსი თანხმობისა და ფიცის წიგნი მიუცია ფარსადან ციციშვილს ქაიხოსრო ციციშვილისათვის:”...მტკიცე და შეუცვლელი პირი და ფიცი დაგიწერე და მოგეც მე ციციშვილმა ფარსადან, ძმამან ჩემმან ვახტანგ, ქრისტეფორე, ამილღაბარ და ნოდარ შვილთა და მომავალთა სახლისა ჩვენისათვის თქვენ ციციშვილს ქაიხოსროს ძმათა თქვენთა... მოყვარენი და თვალის სინათლენი ხართ, კარგიც ვიყვნეთ არც არა სანამდის ცოცხალი ვიყუნეთ არც არა დავაშავოთ ბატონის ჩვენის უზიანოს საქმით. მტერზე მტერი ვიყუნეთ, მოყვარეზე მოყვარე, გაგიჭირდეს კიდეც მოგვმართეთ; არც ჩვენი თავი სასიკუდილოთ დავზოგოთ ამისად ...მოყრობის მეტი ჩვენ არა გვინდოდესრა შენი და სხვისი და საზიანო. “[2]

ჩვენს მიერ ზემოთ განხილული გვიანფეოდალური ხანის ციციშვილთა „ძმობისა და სახლისკაცობის შეყრილობის წიგნები“ ნათელ წარმოდგენას გვიქმნის გვიანფეოდალური ხანის საციციანოს

---

[1] ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ფ. Hd, საბ. 2612.

[2] ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ფ. Ad, საბ. 1080.

მართვა-გამგეობასა და სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაზე. ასეთი „ერთობის“ წიგნებით მშვიდობიანობა დროებით ისად-გურებდა. ეკონომიკური და პოლიტიკური ვითარების ცვლი-ლებასთან ერთად კი რადიკალურად იცვლებოდა ციციშვილთა საგვარეულო სახლის წევრთა ურთიერთობაც. ასეთი ფიცისა და პირობის წიგნების მიუხედავად, ფიცი ხშირად ირღვეოდა და იწყებოდა სახლიკაცთა შორის გაუთავებელი ქიშპობა. არ ერიდე-ბოდნენ ყალბი საბუთებისა და ყალბი ბეჭდების გამოყენებით, მიეტაცებინათ საგვარეულო სახლის საერთო, ან საუფლისწულო ქონება. ხშირად ამის მიზეზი საგვარეულო საერთო მამულიდან, საუმცროსო სარგოთი უკმაყოფილო უფლისწულთა შტოები იყო, რომლებიც თავს პრივილეგირებულ საუფროსოს გვერდით, თავს ყოველთვის დამცირებულად მიიჩნევდნენ და მზად იყვნენ გაერთიანებულიყვნენ და საკუთარი ყმა-მამულისა და შელახული ღირსების დასაცავად ებრძოლად ყოველგვარი მეთოდებით. სწორედ ყალბი დოკუმენტებით შეეცადა ციციშვილი ზაქარია, ნოდარის-შვილებისაგან სათავისთავო საკუთრებად გადაქცეული მმოვრეთის ციხის ხელში ჩაგდებას 1783 წელს: „ მმოვრეთის ციხე რომ ქაიხოსროს შვილს ციციშვილს ზაქარიას დაეჭირა და შიგ თავისი კაცნი შეეყენებინა, ამაზედ ნოდარისშვილი სარდალ-ქალაქის მოურავი დავით ძალგამოღებით ლაპარაკობდა: მმოვრეთის ციხე ჩვენ - ნოდარის შვილების საკუთარია, რომ არც ქაიხოსროს შვილებს და არც პაპუნაშვილებს წილი არა აქვსო... ქალაქში მოურავს დავითს, მის სახლისკაცს პაატას და ნიკოლოზს პირობა შეეკრათ და შეთანხმებულიყვნენ, წავიდეთ, ზაქარიას ავათ მოვეპყრათ და ციხე წავართოთო... ზაქარია დაიჭირეს, მრავალი უპატიური ჰკადრეს და ციხე დააცლევინეს ...მმოვრეთის ციხეზედ, ზაქარიამ დავთარი მოიტანა ბარძიმ მდივანბეგის ბეჭდით დაბეჭდილი; მმოვრეთის ციხე ზაქარიას წილობისათვის ეწერა. მერე წიგნი მოიტანა ბაგრატის მიწერილი, შენი ციხე ნათხოვრად მაქვსო; მერე ფარსადანისა - შენს ციხეში თამასხანის შიშით შეველო. მოსამართლეთ გული ამ წიგნებს

გაფრთხილებით გამოეკიდა და ეჭვი შეუვიდათ ...ეს წიგნები და ბეჭდები სიმართლედ ვერ შევრაცხეთვ ...ციციშვილს ზაზა უზბაშს ზაქარიასაგან წიგნების გაკეთება და ბეჭდების მოჭრა ზედმიწევნით სცოდნოდა ...ზაზა უზბაშს ესეც ეთქვა დავით მოურავისათვის: წიგნების გაკეთება და ბეჭდების მოჭრა მე შემამწამეთ და სამართალში ფიცზე მიმწიეთო ...ზაქარიამ ფიცის დადება რომ სცნა, დაუწყო ზაზას ხვეწნა: ოღონდ დაიფიცე, რომ წიგნებისა და ბეჭდების მოჭრისა არა იცოდი რაო, ორმოცდაჩვიდმეტი თუმანი ნაღდი თეთრი ჯელში მისცა და სხვა მისაცემიც აღუთქვა. ზაზა საფიცრად რომ წაიყვანეს, გამობრუნდა და თქვა: ბეჭდები უბეში მიძევს, როგორ დავიფიცოო. …სიცრუე აღიარა.“[1]

განხილული დოკუმენტებიდან ნათელი ხდება, რომ XVIII საუკუნის დამდეგიდან აშკარად ჩანს ცვლილებები საციციანოს მართვა-გამგეობაში, იწყება ციციშვილთა საგვარეულო სახლის ერთიანობის რღვევა. იკარგება სათავადოს პოლიტიკური ფუნ-ქციები. სახეზეა სათავადოს მეთაურის და იმავდროულად სარდლის ფუნქციების მოშლა. XVIII საუკუნის 70-იანი წლების არზებიდან და სასამართლო განჩინებებიდან აშკარად ჩანს, რომ სასამართლო გადაწყვეტილებების მიმღებნი, მეფე ერეკლე და მისი ხელდასმული მდივანბეგთა სასამართლო გახდა, რაც საციციანოს საგადასახადო იმუნიტეტის გარდა, სასამართლო იმუნიტეტის დაკარგვაზეც მი-გვანიშნებს.

ამრიგად, საციციანო, ისევე, როგორც სხვა სათავადოები, ქვეყნის პოლიტიკური გაერთიანებისა და ცენტრალური ხელისუფლების გაძლიერებასთან ერთად თანდათან კარგავდა თავის შეუვალობას ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში.

---

[1] ქართული სამართლის ძეგლები, ტ. V, სასამართლო განჩინებანი (XVIIIს.) ტექსტი გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ი. დოლიძემ, თბ.,1974, გვ. 209-213.

თავი VI

სოციალური ურთიერთობა

1. სათავადო აზნაურები

XV-XVIIIსს. საციციანოს სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური სიძლიერის ერთ-ერთი ძირითადი საფუძველი აზნაურთა ფენა იყო. მისი მხარდაჭერით, სიმრავლით და ერთგულებით დაინტერესებული იყო, როგორც სამეფო ხელისუფლება ისე სათავადოები. ამ პერიოდის საციციანოს სოციალურ ურთიერთობათა ისტორიის კვლევისას ერთ-ერთ მნიშვნელოვანი საკითხია აზნაურთა ფენის საკითხის შესწავლა. ჯერ კიდევ XV-XVI საუკუნეებში, როგორც ნ. ბერძენიშვილი შენიშნავდა, აღარ იყვნენ დამოუკიდებელი, საკუთარ სამემკვიდრეო მამულებში მსხდომი აზნაურები, „აზნაურები იყვნენ ან სამეფო, ან საეკლესიო, ან სათავადო."[1] თავადების მიერ აზნაურთა დაყმევების პროცესი მნიშვნელოვან საფრთხეს უქმნიდა მეფის ხელისუფლების ძლიერებას, რადგან ხელიდან გამოეცალა საიმედო დასაყრდენი სამხედრო ძალა, რაც მნიშვნელოვნად აფერხებდა, სხვა ხელისშემშლელ მიზეზებთან ერთად, ქვეყნის ეკონომიკურ და პოლიტიკურ სიძლიერეს.

დოკუმენტური წყაროების მიხედვით ციციშვილთა ფეოდალურ სახლში, სამი სახის ფეოდალური საკუთრებაა შესაბამისად აზნაურები სამ ჯგუფად იყოფიან, საერთო, საუფლისწულო და სათავისთავო.

სათავადო აზნაურები შეადგენდნენ იმ სამხედრო ძალას, რომელსაც ეყრდნობოდა თავადი თავისი სიძლიერისა და შეუვალობის შესანარჩუნებლად. ამით თავადი თვითონ გახდა განმსაზღვრელი, შუამავალი ძალა სამეფო კართან ურთიერთობის,

---

[1] Бердзенишвили Н., Очерк из историй развития феодальных отношенй в Грузии XIII-XVI вв. Тб., 1938, с. 38.

სათავადო დავების გადამწყვეტი, იშვიათი გამონაკლისის გარდა თავად ხელმძღვანელობდა სასამართლო საქმეებს. მათ სამხედრო ძალას ციციშვილები თავიანთი სეპარატისტული მიზნებისთვისაც იყენებდნენ. ძირითადად აზნაურებისგან ქმნიდნენ სამოხელეო აპარატს და აზნაურთაგან შემდგარი რაზმებით უზრუნველ-ყოფდნენ მათ ბატონობას თავიანთ ყმა-გლეხებზე. მკვლევარები, გ. აკოფაშვილი,[1] შ.ხანთაძე[2] ო.სოსელია,[3] ჯამბურია[4] ერთხმად მიუთი-თებენ, რომ პატრონისადმი სამხედრო სამსახური, ლაშქრობა-ნადირობა, თავადის კარზე მსახურება და მასპინძლობა აზნაურთა მთავარი მოვალეობა იყო. ეს უკანასკნელი „ძღვენის“ გამოღებასაც გულისხმობდა. აზნაურის სამსახური თავისი ბატონის სასარგებლოდ მჭიდროდ იყო დაკავშირებული ყმა-მამულის მფლობელობასთან. აზნაური კლიმიაშვილი კაციას-შვილი, სარდალმა ალექსანდრე ციციშვილმა, თავის ძმას დაუთმო და თან აფრთხილებდა: „თუ სამსახურზე უარი გითხრას, შვილი არ გაახლოს, მამული რომელიც წინათ ბააკა კლიმიაშვილს ეჭირა და შენ გემსახურებოდა და ახლა კი ამ კაციას-შვილს უჭირავს გამოართვი და შენთვის დაიჭირე-ო.“[5]

სათავადო აზნაურების ყმა-მამულზე საკუთრების უფლება ფაქტიურად ციციშვილების ხელში იყო და მათ სათავადოს შემადგენელ ნაწილად თვლიდა. თავადს შეეძლო აზნაურობა ებოძებინა თავის გლეხისათვის, მხოლოდ საჭირო იყო მეფეს

---

[1] სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან XV-XVIII სს. ქართლში (აზნაურთა ფენა) გ. აკოფაშვილი, თბ., 1965, გვ.75.

[2] შ.ხანთაძე, სოციალური ბრძოლის ეპიზოდი გვიანფეოდალურ საქართველოში, საქ.მუზეუმის მოამბე, ტ.XX-B, 1959, გვ.145.

[3] ო.სოსელია, ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოს ისტორიიდან, თბ., 1966, გვ.58.

[4] გ.ჯამბურია,სათავადოთასაკითხისათვის, საქართველოს ფეოდალური ხანის ისტორიის საკითხები, თბ.,1970, გვ. 11.

[5] ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ფ. Hd, საბ. 9506.

დაემტკიცებინა ეს აქტი.[1] 1791 წელს დავით ციციშვილი აზნაურობას აძლევს თავის ყმას, დათუნა კვეზელს.[2] მისი ბიძა ფარსადან ნოდარის ძე ციციშვილი ბოქაულთუხუცესს თამაზ კლიმიაშვილს ნასყიდობის წიგნს აძლევს, აზნაური კვეზერელი გიორგის ყმა-მამულიანად გაყიდვის თაობაზე.[3] საციციანოში აზნაურებს თავადის კარზე ადგილობრივი მმართველობის სხვადასხვა სამოხელეო თანამდებობები ეკავათ, რომელიც თითქმის იდენტური იყო სამეფო კარის სამოხელეო აპარატის თანამდებობებისა. მოხელეთა კომპეტენციისა და მათი ფუნქციების საკითხები ქართულ ისტორიოგრაფიაში ყოველმხრივაა შესწავლილი. ამიტომ ამ საკითხთან დაკავშირებით ავღნიშნავთ მხოლოდ იმას, რომ ჩვენს ხელთ არსებული ფაქტობრივი მასალების სიმწირის გამო თითოეულ სამოხელეო თანამდებობაზე საციციანოს აზნაურთა საგვარეულოს სრული სურათის აღდგენა სიღრმისეულად ვერ ხერხდება, ამიტომ აღნიშნულ საკითხზე აზნაურთა მხოლოდ რამოდენიმე თანამ-დებობის პირთა მცირე ქრონოლოგიურ რიგზე გაწყობილ სიას წარმოვადგენთ.

სახლთუხუცესობა- ყველაზე მაღალ და შემოსავლიან სახელოდ ითვლებოდა, რომელიც განაგებდა სათავადოს შემოსავალსა და გასავალს. XVII-XVIIIსს. დოკუმენტებში სახლთუხუცესებად მოიხ-სენიებიან:თომა მეღვინეთხუციშვილი,[4] ბეჟან მეღვინეთხუციშ-ვილი[5], წინამძღვრიშვილი, ბუნიათიშვილი,[1] გიორგი გვერდწითელი გვერდწითელი

---

[1] Акты , собранные Кавказской Археографической Комиссией, 1870 т.V I, ч. I,стр.123.

[2] ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, Hd, საბ. 2230.

[3] სცსსა, ფ.1450 დავთ. 38, საქმე 63.

[4] ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, Hd, საბ.8385-ხ.

[5] დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან,წ. I, ბატონ-ყმური ურთიერთობა, (XV-XVIIIსს.),ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, თბ.,1940, გვ.274-275, დოკ.№392.

და ნიკოლოზ გულბადიშვილი[2] ბერუკა კლიმიაშვილი[3], უთნელიშ-ვილი,[4] დავით მამაცასშვილი,[5] ალიბეგისშვილი ბერუკა,[6] ზაალ ორჯონიკიძე.[7]

ბოქაულთუხუცესის სახელო, საპოლიციო ფუნქციების მატარებელი იყო, გამოირჩეოდა მაღალი სამოხელეო სარგოთი. ეს სახელო საციციანოს XVIII საუკუნის დოკუმენტებში ერთდროულად უჭი-რავთ სათავადო აზნაურებს, ბეჟან კლიმიაშვილს,[8] გვერდ-წითელს,[9] ჩინჩალაძეს[10] და გულბადისშვილს.[11]

მოურავი- მირზაშვილი თამაზა, ალექსიძე ,[12] კლიმიაშვილი ტეტია.[13]

მდივან-მწიგნობარი -დავით ალექსის ძე.[1]

---

[1] სცსსა, ფ. 1448, საქმე 4968, საქმე 1282; ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ფ. Hd, საბ.854, საბ.855, საბ.10350; ფ.Qd,საბ.798.

[2] სცსსა, ფ. 1448, საქმე 5048, 5048-a

[3] სცსსა, ფ.1450, დავთ. 38, საქმე 102.

[4] სცსსა,ფ.1450, დავთ. 38, საქმე 70.

[5] ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ფ.Hd, საბ.14708; მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის, წიგნი II, ვალი, იჯარა, ვაჭრობა, მასალები შეარჩიადა გამოსაცემად მოამზადა ნ. ბერძენიშ-ვილმა, თბ., 1953, დოკ.#209, გვ.153.

[6] ქართული სამართლის ძეგლები, ტ.VIII, სასამართლო არზა-ოქმები და კერძო-სამართლებრივი აქტები, ტექსტები გამოსაცემად მოამზადა და შენიშვნები დაურთო ი. დოლიძემ, თბ., 1985, ,დოკ. #878, გვ.865.

[7] სცსსა, ფ.1448, აღწ. 1, საქმე 5401. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ფ. Hd, საბ.3971, ფ. Hd, საბ. 8080, ფ. Hd, საბ,1273.

[8] სცსსა, ფ. 1450, დავთ. 38 საქმე102.

[9] ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ფ. Ad, საბ. 911

[10] სცსსა, ფ. 1448, საქმე 39.

[11] სცსსა, ფ.1450, დავთ.38 საქმე 63, 88; ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ფ. Qd, საბ. 817; საბ.1026; საბ.798; ფ.Hd,საბ. 8020; საბ. 855.

[12] სცსსა, ფ. 1450, დავთ.52 საქმე 66; ქართული სამართლის ძეგლები, ტ.VI, სასამართლო განჩინებანი (XVIII-XIX სს.), ტექსტი გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ი. დოლიძემ, თბ., 1977, დოკ. #342, გვ.363; ქართული სამართლის ძეგლები, ტ. VIII, თბ., 1985, დოკ.#253, გვ.266.

[13] ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ფ. Qd, საბ.730 –D.

ციცისშვილი მანუჩარის **ბაზიერთხუცესი** დავითი.[2]
ნაზირი- მეღვინეთხუციშვილი,[3] გივი გვერწითელი. მას ნაზირობა და წინწყაროს **ნაცვლობა** უბოძა 1778 წელს დედოფლის სახლთ-უხუცესმა, ზაქარია ციციშვილმა:„..ჩვენს ერთგულსა და ერთგულად ნამსახურსა აზნაურიშვილს გვერდწითელს, გივსა და შჳლთა შენთა დაჳთსა, გოგიასა და ნინიას ასე, რომე მოხვედით, კარსა დარბაზისა, ჩვენისას გჳაჯეთ, ნაზირობასა, კარსა ჩვენისასა და ჩვენცა ჳსმინეთ აჯა და მოხსენება თქვენი და გიბოძეთ ნაზირობა ჩვენი.“[4] საციციანოში ისტორიული დოკუმენტების მიხედვით ერთდრო-ულად რამდენიმე ასეთი თანამდებობები სახელდება, რადგან საციციანოს მრავალრიცხოვან საუფლისწულოებსაც ჰყავდათ თავისი მრავალი მოხელეები და მსახურები: მჭედელი, მეჯინიბე, მეუნაგრე, ხაბაზი, ხურო, პირისფარეში და სხვ. ამ აზნაურთა ნაწილი მიუხედავად დაწინაურებისა და სამოხელეო თანამდებობებისა, XIX საუკუნემდე წვრილ მესაკუთრედ დარჩა, მათი საგვარეულო შტოს მეორე ნაწილმა მძიმე მდგომარეობას თავი მეფის მფარველობაში გადასვლით დააღწია.

განსაკუთრებული ერთგულების ნიშნად ზაქარია ციციშვილმა ერთდროულად მეორე სახელო უბოძა აზნაურ ჩინჩალაძესაც: „წიგნი და სიგელი გიბოძეთ ჩინჩალაძეს, ბოქაულთხუცესს იასეს შვილს შენს ტეტიას, ასე, რომ ნეტარად ხსენებულს პაპას ჩვენ ბატონს მილახვარბაშა ქაიხოსროს შენთვის...მამულის წყალობა და სახელო ბოქაულთხუცესობა ებოძა და მხედურეთს აფნის და ქარელის მოურაობა მას უკან სანატრელმა მამაჩვენმა სახთუხუცესმა იოვანემ და ბიძა ჩვენმა ნაზირმან დიმიტრიმ ქარელი რომ გაიყვეს ...გიბოძეთ

---

[1] სცსსა, ფ.1449 ს.2535; ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ფ.Hd, საბ. 806; საქართველოს სიძველენი, ტ.III, რედაქტორი ექ.თაყაიშვილი, თბ.,1910 დოკ.#12, გვ.11-12.

[2] სცსსა, 1450, დავთარი 38 ,საქმე 57.

[3] სცსსა, ფ. 144 8, აღწ. 1,საქმე 5401.

[4] ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ფ. Ad, საბ.59; ფ. Ad, საბ.511.

შენი სახელო ქარელის მოურაობა მხვედურეთს და აფნისს.“[1] „საქვეყნოდ გამრიგე“ მოხელეები, ნაცვალი, გზირი, მამასახლისი მოურავს ექვემდებარებოდნენ. დოკუმენტების მიხედვით მამასახლისი და გზირი ძირითადად გლეხები იყვნენ.[2] ამ სარგოდან მეგატონისათვის წილის შესახებ ცნობა დაცულია 1794 წლის გიორგი ციციშვილის ბარათში: „გიორგი ციციშვილის, მინბაშის იმედო, ხვარბალაძე მამასახლისო, მერე მე რომ ერთი თუმანი რომ მომართვი, ოთხი მინალთუნი ხომ მე დავხარჯე. ეგ ექვსი მინალთუნი ჯავახისშვილის თეიმურაზს მიართვი ახლავე... მიუცემლობა არ იქნება.“[3] მოურავისა და ნაცვალის თანამდებობა გამოირჩეოდა შემოსავლიანი სარგოთი და აზნაურები ინიშნებოდნენ. მცხეთიდან ტაშისკარამდე გადაჭიმულ ციციშვილთა მამულებს მრავალი ასეთი მოხელეები ესაჭიროებოდა. სამოხელეო თანამდებობები მემკვიდრეობითი იყო ამა თუ იმ სააზნაურო გვარში, ან გვარის რომელიმე კონკრეტულ შტოში.

ამდენად, აზნაურთა მოხელეობა საპატიო და შემოსავლიანი სამსახური იყო და შესაბამისად ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების წყარო, მაგრამ აზნაურის ძირითადი მოვალეობა სწორედ ლაშქრობა-ნადირობაში თავადის წინაშე მაინც მასთან ხლების წესი და მსახურობა იყო. ეს ვალდებულება რა თქმა უნდა გარკვეულ ხარჯებს ითხოვდა, რეგულარული თანხლება წყვეტდა მეურნეობას, ამიტომ აზნაურიც დაინტერესებულია თავადის მამულში ყმათა სიმრავლით, მამულიდან შემოსავლების ზრდით, მეურნეობის გაფართოებით, რაც თავის მხრივ უზრუნველყოფდა თავისი წილის გაზრდას და საკუთარი ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას. აზნაურის ხლების წესი სათავადოში ზუსტად იყო

---

[1]. სცსსა , ფ.1448, საქმე 39 .

[2] სცსსა, ფ.1448 ,საქმე 2860.

[3] მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის, წიგნი II, ვალი, იჯარა, ვაჭრობა, მასალები შეარჩიადა გამოსაცემად მოამზადა ნ. ბერძენიშვილმა, თბ.,1953, ,დოკ.#156, გვ. 104.

დადგენილი. სასახლისკაცო ურთიერთობის დროს მნიშვნელოვანი ყურადღება ექცეოდა, თუ რომელი საგვარეულოს აზნაური უნდა იახლოს თავადმა, რომელი სახლის წევრებმა. მერალიბეგ ციციშვილისა და მისი ბიძაშვილების ძმობისა და შერიგების წიგნში სათითაოდ არის ჩამოთვლილი ის აზნაურები და მსახურები, რომლებიც მერალიბეგის ბიძაშვილებს უნდა ხლებოდნენ: „დავითს და პაატას უნდა გახლდესთ: ბუნიათისშვილი ნიკოლოზ თავისის ყმითა მამულითა, ქიმაძე თავის მამულით, ნასყიდაშვილები თავის მამულით, კოპაძე თავის მამულით, ქობულაშვილი თავის მამულითა, აბრამისშვილი თავისის მამულით ამათ არც ეთ-ხოვებოდეს ხემწიფის სათხოვარი, არც ჩვენი, არც ღალა, არც კულუხი. მსახურად უნდა გახლდეს: გვერდწითელი ჯანიბეგ, უზნაძე ნიკოლოზ, ჩინჩალაძე ქაიხოსრო, ჯაგრაშვილი ბერო, ალიბეგისშვილი გოგია, დალაქი ნასყიდა, ღონღაძე ბერო, ფურ-ცელაძე დათუნა, წინამძღვრიშვილი ივანე. ამ მსახურებს მალი არ ეთხოვოს თავის თავათ.“[1] დადგენილი აზნაურის ხლების წესი ხშირად ირღვევოდა, რაც იმით აიხსნება, რომ თვითონ აზნაურები აქტიურად ერეოდნენ სახლისკაცთა დავებში, ემხრობოდნენ ციციშვილთა საგვარეულო სახლის, ხან ერთ, ხან მეორე ოჯახის წევრს. ცდილობდნენ სათავადო სახლის შიგნით დაპირისპირება სახლის წევრებს შორის თავიანთი ინტერესებისათვის გა-მოეყენებინათ, მხარდაჭერას უცხადებდნენ სასურველ, ხშირად ძლიერ და გავლენიან თავადს ან თავადიშვილს. საკუთარი ოჯახის და მეურნეობის დაცულობა-მფარველობის შესაძლებლობის, გავლენის, პირადი თვისებების თუ მასთან დამოკიდებულების და სხვა სუბიექტური ფაქტორის გათვალის- წინებით. ზოგიერთი დიდი

[1] ქართული სამართლის ძეგლები, ტ. IV, სასამართლო განჩინებანი (XVI-XVIII სს.), ტექსტი გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ი. დოლიძემ, თბ., 1972, გვ.896; ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ფ. Hd, საბ.10245.

სააზნაურო სახლი ათეულობით გვერდით შტოდ იყოფოდა და მათ შორისაც გვხვდება სამამულო დავა და ღრმა დაპირისპირებანი. [1]

ზოგჯერ ქვეყანაში შექმნილი მძიმე პოლიტიკური ვითარებიდან გამომდინარე ციციშვილები ამჯობინებდნენ „უდებით“ უკმაყოფილო აზნურების გათარხნებას. იმის შიშით, რომ მამულიდან არ წასულიყვნენ. 1724 წლის წყალობის წიგნით, სეხნია ნოდარის ძე ციციშვილმა მისმა ბიძაშვილებმა, ოთარმა, ციცემ, ბაგრატმა, ნოდარმა, ძმისწულმა ფარსადან, ძმამ დემეტრემ ბიძაშვილმა იესემ, ზურაბმა, ერასტიმ ძმისწულმა ალექსანდრემ, იოთამმა და დავითმა „სულ ჴელი ერთპირ” თავიანთ აზნაურიშვილებს მისცეს, რომ აღარ გამოართმევენ „არც საქორწილოს და არც ვალის თეთრს”. აღიარებენ თუ ვიღებდითო როდისმე თქვენგან უმართებულოდ ვიქცეოდითო, ე.ი. როგორც ჩანს, ამას სისტემატური ხასიათი არ უნდა ჰქონოდა: „არც საქორწილო და არც ვალის თეთრი არც ძველთაგან ეთხოებოდათ. ჩვენ როცა გთხოვდით, უმართებულო იყო და არას გემართლებოდით. რადგან რო ძველადგანაც არ გეთხოვებოდით, ჩვენც ასე გაგათავისუფლეთ და ამოგიკვეთეთ, რომ არც ჩვენი საქორწილო, არც ვალის თეთრი არას ჩვენის დაჭირებისათვის ჩვენგან თქვენ თეთრი არ გეთხოვებოდეს”.[2] რაც შეეხება „უდებს“ – (კანონით დაუწესებელი, დაუდებელი გადასახადი) სისტემატურ და და კანონიერ ხასიათს არ ატარებდა. ამაზე მიანიშნებს ციციშვილთა გაყრილობის წიგნი:„აზნაურიშვილის ყმებს თუ გამოართმევდნენ რასმე, ნახევარს ნიკოლოზ აიღებდეს და ნახევარს ამილღაბარს მისცემდეს-ო.”[3]

XV-XVIII საუკუნის საციციანოს აზნაურის სამფლობელო შედგებოდა სამკვიდრო ყმა-მამულისაგან, ბატონისაგან ნაწყა-

---

[1] მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის,წიგნი III, (აღმშენებლობა, სახელმწიფო ეკონომიკა, ქონება), მასალები შეარჩიადა გამოსაცემად მოამზადა ნ. ბერძენიშვილმა, თბ., 1955, დოკ.#185, გვ.273.

[2] ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ფ. Sd, საბ.427.

[3] სცსსა, ფ. I, საქმე 627.

ლობევი და მის დამოუკიდებლად ნაშოვნი, პირადი გარჯით შეძენილი ყმა-მამული, ე.ი. სათავისთაო საკუთრება (ნასყიდი, ნა-სისხლი, ნამზითვი, ნაჯილდოები და სხვ.). ნაწყალობევი და სამკვიდრო ქონება განიხილებოდა პირობით საკუთრებად, რომელიც მსახურების პირობით ჰქონდა მიღებული ციციშვილებისაგან. ძირითად, არსებით განსხვავებას სათავადო და სააზნაურო მიწათმფლობელობას შორის სწორედ ეს წარმოადგენდა, რომ თავადი ამ ქონების სრული მესაკუთრე და განმკარგველი იყო. ამ ქონების გასხვისების უფლება კი ციციშვილთა აზნაურებს, სხვათა მსგავსად არ ჰქონდათ. აზნაურის ყველაზე მტკიცე საკუთრება ნასყიდი ყმა-მამული იყო, რომელსაც თავის სურვილისამებრ მოიხმარდნენ, თუმცა აქ არ შეიძლება არ ავღნიშნოთ, რომ ნასყიდობის აქტი ბატონის ნებართვით უნდა ყოფილიყო შედგენილი: „ თუ ბატონს ენდომება იმ მამულის სყიდვა, იმისი უპრიანია ... თუ იმის ბატონს არ ენდომება სყიდვა, დასტურს დასცემს წერილის მოცემით და მერე ვისაც უნდა მიჰყიდის“- გარკვევით მიანიშნებდა ვახტანგის სამართალი.[1] სხვა შემთხვევაში შეეძლო დაერღვია ნასყიდობის აქტი და არ მიეცა გაყიდვის უფლება. აქედან გამომდინარე ნასყიდობის პირობები მებატონესთან „შეთანხმებით“ დგებოდა.

თვითონ აზნაურები ყმა-გლეხებისგან გამოირჩეოდნენ პირადი თავისუფლებით, ნასყიდი მამულის განკარგვის უფლებით, სამოხელეო სახელოს შემოსავლის მაღალი სარგოთი. აზნაურის თავადისგან წასვლის უფლების შესახებ გ. აკოფაშვილი ხაზგასმით აღნიშავდა: „აზნაურის პირადი თავისუფლება იყო ბუნებრივი, უდაო უფლება ფეოდალური კლასისა, რომელსაც ეს ფენა ეკუთვნოდა და მას საგანგებო აღნიშვნა არ ესაჭიროებოდა

[1] სამართალი ვახტანგ მეექვსისა, ტექსტი დაადგინა, გამოკვლევა და საძიებლები დაურთო ი. დოლიძემ, თბ.,1981, გვ. 211-213.

საკანონმდებლო ძეგლებში.“[1] თუმცა ამ უფლების გამოყენება დროთა განმავლობაში იმდენად სადაოდ გადაქცეულა და აფერხებდა ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ განვითარებას, რომ საჭირო გამხდარა მეფე ერეკლეს საგანგებოდ გამოეცა 1795 წელს სასამართლო განაჩენი, რომლითაც აზნაურებმა მიიღეს პირადი თავისუფლება: „მებატონემ ყმა ან მამული გაუყიდოს, ან ჩამოართოს და ან კიდევ თითონ აზნაურიშვილმა თავის ნებით ყმასა და მამულზე ჴელი აიღოს და თავისის მამულიდამ ადგეს, თავის მებატონეს საქმე აღარ ექნება“[2] ე. ი. აზნაურს მებატონისგან წასვლის უფლება ჰქონდა, თუ ნასყიდი ქონების გარდა ყმა-მამულს მას დაუტოვებდა.

XVIII საუკუნის მეორე ნახევრის ნასყიდობის აქტებში ხაზგასმითაა მინიშნებული აზნაურის ნასყიდი ქონების გაყიდვის, გასხვისების უფლება. ერეკლე II-ემ თავადებს დავით, პაატა და ნიკოლოზ ციციშვილებს ჩამოართვა აზნაური მეღვინეთხუციშვილი თავისი ძმისწულებით და სახასო ყმად გაიხადა, მეღვი-ნეთხუციშვილების სამკვიდრო მამული ციციშვილებისად სცნო, ხოლო ნასყიდი კი მეღვინეთხუციშვილებს დაუტოვა. „ ციციშვილს პაატას და ნიკოლოზის წილიდამ უმამულოთ გამოვართვით და ჩვენს სახასოთ დავიჭირეთ. ციციშვილებს გაყრა რომ მოუნდეთ, სხვა სახლიკაცებმა ამ მეღვინეთხუციშვილის სამაგიეროდ უმამულოთ სხვა აზნაურიშვილი უნდა აიღონ და ამათთან ციციშვილებს საბატონყმოთ ხელი აღარა აქვსთ ... რომელი მამულები ამ მეღ-ვინეთხუციშვილებს ნასყიდი აქვს და ან მოსული კაცი ჰყავს, რომ ციციშვილებისაგან მიცემული არ ყვანდესთ, ის იმათივე არის და ვერც ვერავინ მოუშლისთ და რომელიც ციციშვილებისაგან ამათ ყმა და მამული მისცემია, ის ისევ ციციშვილებისა არის და მეღვი-

---

[1] გ.აკოფაშვილი , აზნაურთა უფლებრივი მდგომარეობის საკითხისათვის XV-XVIIIსს. მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 32, თბ .,1955, გვ.87.

[2] სცსსა, ფ. 1448, საქმე 873.

ნეთხუციშვილებს ამ ყმასთან და მამულთან ხელი აღარ აქვსთ”[1] მაგრამ თუ აზნაური მძიმე დანაშაულს ჩაიდენდა, ბატონს უფლება ჰქონდა ჩამოერთმია მისთვის მთელი ქონება. პირდაპირი მემკვიდრის გარეშე დარჩენილი, უძეოდ გადაგებული აზნაურის ყმა-მამული, ე.წ. ბეითალმანი მამული მთლიანად თავადის მფლობელობაში გადადიოდა.[2] მოკლული აზნაურის სისხლიც თავადს ეკუთვნოდა. აზნაურის სისხლი ვახტანგ მეექვსის სამართლის მიხედვით მნიშვნელოვნად განირჩეოდა: „გადიდებულის აზნაურის სისხლი-ასოთხმოცდათორმეტი თუმანი, ამასთან ასრე წინამძღვრის სისხლი. ამას ქვემოთის, შუას აზნაურის სისხლი -ოთხმოცდათექვსმეტი თუმანი. ამასთან ასრე - მღვდელ მონაზნის სისხლი. ცალმოგვის, მესამე აზნაურის სისხლი - ორმოცდარვა თუმანი.“[3] აზნაურთა ხარისხის განსხვავების საფუძველი ძირითადად, მათი ქონებრივი მდგომარეობა იყო, რომლის საფუძველი სამეფო კარზე და სათავადოშიც სამოხელეო თანამდებობები იყო, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ დოკუმენტურ წყაროებში საციციანოს აზნაურთა ხარისხებად ასეთი დაყოფა არ გვხვდება.

რაც შეეხება საკითხს, რამდენად შეეძლოთ და თუ სარგებლობდნენ პირადი თავისუფლებით საციციანოს აზნაურები. პასუხი ერთმნიშვნელოვანია, რამდენადაც სათავადოს ძლიერების საფუძველი აზნაურობა იყო, იმდენად ციციშვილები ყველანაირად ცდილობდნენ არ მიეტოვებინათ მათი მამული, ან მეფის სახასო მამულს არ შეჰკედლებოდნენ სამკვიდრო ყმა-მამულის დატოვების შემთხვევაშიც, რადგან სათავადო მეურნეობის გაძღოლის სიმძიმე და ყმა-მამულის მოვლა-პატრონობა აზნაურის მოვალეობად ითვლებოდა და ამდენად მამული მოუვლელი დარჩებოდათ.

---

[1] ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ფ. Qd, საბ.420.

[2] სცსსა, ფ.1448, საქმე 874.

[3] სამართალი ვახტანგ მეექვსისა, ტექსტი დაადგინა, გამოკვლევა და საძიებლები დაურთო ი. დოლიძემ, თბ., 1981, გვ. 189.

სწორედ, ამიტომ დაუწესეს აზნაურებს ყმობიდან განთავისუფლების წიგნის დადების აუცილებლობა.

ხშირად საჯილდაო მამული სადაო ხდებოდა საციციანოს აზნაურთათვის.1783 წლის დოკუმენტში სარდალ დავით ციციშვილს მოახსნებდნენ აზნაური კლიმიაშვილები: „ ლაპარაკი ჩამოვარდა რუისის ღთაების სასაფლაოზედ. კლიმიასშვილები ამბობდენ: ბატონის ჩვენისაგან არ მოგვცემია, ჩვენის კაცობით გვიშოვნია საჯილდაოთა. იმ სისხლის განაჩენში ეწერა: მესამედი სასაფლაო ღთაებისა, როგორც მამული მოგვცემია, ისე ღთაების სასაფლაო მოგვცემია საყდარში. ... ამ სისხლის განაჩენში ასე ეწერა, რომ ატენს ზეით ჩვენი ყმა და მამული, რუისის ღთაების მესამედს სასაფლაოს და ყმასა და მამულს გარდა და არადეთს მუჩათიძეებს გარდა, ჩვენის განაყოფებისათვის დიდის ციცის სისხლში მიეცათ.“[1]

რაც შეეხება ნამზითვ ქონებას, თავისუფლად შეეძლოთ თავიანთი სურვილისამებრ ნამზითვი ყმა-მამულის გაყიდვა, გაჩუქება, დაგირავება, მით უმეტეს, თუკი საკუთარ მებატონეს ეხებოდა, ან მის ინტერესებს არ ეწინააღმდეგებოდა. 1738 წელს აზნაური ოთარ ალექსისშვილი ყმისა და მამულის ნასყიდობის წიგნით აძლევს დედისეულ ნამზითვ ყმა-მამულს ფარსადან ციციშვილს: „...თქვენ ციციშვილს დიდის ნოდარის შვილის შვილის ზაზას შვილს ბატონს ფარსადანს, ძმასა თქვენსა ალექსანდრეს და დავითს ...ოდეს დაგვეჭირა და მოგყიდეთ ჩვენის ნება-წადილით ჩვენი ალალი მამული, დედის ჩემის ზითევი გარკალს[გრაკალს მ.მ.] შემაზაშვილი მელქუა, მისი ძმა ზახუა თავის სახლის მომავალითა და მამულითა, რისაც მქონებელნი იყვნენ. იქავ ტეტიაშვილის პაპას ნაქონი მამული და უმეკაშვილის ზურაბას მამული. ეს ერთი მსახლობელი შემაზაშვილი და ორის აყრილის გლეხის ნაქონი მამული მათის საყდრით და სასაფლაოთი, წყლითა და წისქვილითა,

---

[1] საქართველოს სიძველენი, ტ.III, საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების გამოცემა, რედაქტორი ექ.თაყაიშვილი, თბ., 1910, დოკ. #16; დოკ.#12 გვ.11-12.

ველითა, ვენაჯითა, სახლკარითა, ქვევრ-მარნითა, სახლითა, კარითა, კალო-საბძლითა, შესავლითა, გასავლითა, საძებრითა, უძებრითა, ყოვლის სამართლიანის სამძღვრითა, რისაც მქონებელნი ყოფილიყონ, თქვენთვის მოგვიყიდია...“[1]

სათავადოში „ნებიერად“, წყალობის აზნაურებად, მოსულებს ციციშვილები ხელგაშლით იღებდნენ. ყმა-მამულს და აზნაურობასაც აძლევდნენ, სანაცვლოდ ეკისრებოდათ მებატონის სამსახური. ვახტანგ მეექვსის სამართლით: „თუ სხვას ქვეყნიდამ სხვას საბატონოს მკვიდრი კაცი საყმოდ მოუვიდეს ვისმე, ვისაც უწინ მოუა და ეტყვის, „შენ გყმობივარო“ ან იქიდამ ბირებია, იმას ის კაცი აღარ წაერთმევის, რა გინდ სხვა ბატონი მოინდომოს იმ მოსულმა კაცმა.“[2]

ამდენად, თავისუფალი წასვლის უფლებას მალევე კარგავდნენ და ამ უფლების მიღება წყალობის აზნაურებსაც მხოლოდ ყმობიდან განთავისუფლების წიგნით ეძლეოდათ, ან სახასო აზნაურობით აღწევდნენ თავს. ამის ნათელი მაგალითია საათაბაგოდან საციციანოში წყალობის აზნაურებად გადმოსული გვარამაძეების საგვარეულო ოჯახის ისტორია, რომელთაც ციციშვილებისაგან თავი დააღწიეს მხოლოდ მეფის სახასო ყმობაში გადასვლით.[3]

თავად ციციშვილთა ერთი ნაწილი ყოველ ღონეს ხმარობდა, არა მარტო შეენარჩუნებინათ თავისი ნებით გადმოსულები, არამედ

---

[1] დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან ბატონყმური ურთიერთობა (XV-XVIIIსს) ბერძენიშვილის რედაქციით, თბ.,1940, დოკ.#392, გვ.274-275.

[2] სამართალი ვახტანგ მეექვსისა, ტექსტი დაადგინა, გამოკვლევა და საძიებლები დაურთო ი. დოლიძემ, თბ., 1981, გვ. 238-239;

[3] საქართველოს სიძველენი, ტ.III, რედაქტორი ექ.თაყაიშვილი, თბ., 1910, დოკ. #170, გვ.146-147; ქართული სამართლის ძეგლები, ტ.8,სასამართლო არზა-ოქმები და კერძო-სამართლებრივი აქტები, ტექსტი გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ი. დოლიძემ, თბ., 1985, დოკ. #369, გვ. 388.

თავიანთი სანათესავო კავშირებით, თავად ცდილობდნენ მოეზიდათ საათაბაგოდან, იმერეთიდან, კახეთიდან აზნაურები და ყმაგლეხები, საამისოდ წინასწარ აძლევდნენ პირობისა და გარიგების წიგნებს. ჯავახეთიდან გადმოსულების შესახებ ციციშვილთა საგვარეულოს ურთიერთ შეთანხმების წიგნი შეუდგებიათ, სადაც ხაზგასმითაა აღნიშნული იყო: „ რაც აყრილი კაცი ჯავახეთს არის, ის ვისაც მამულში ჩამოვიდეს, ერთმანეთთან საქმე არა გვაქვს რა, სადაც გლეხს უნდოდეს იქ დასახლდეს-ო."[1] ასევე დაეძებდნენ გაქცეულებს, ტყვედ ჩავარდნილებს და შეღავათებს პირდებოდნენ.

ალექსანდრე ციციშვილის აზნაური ბეჟან დანდლიშვილი ლეკებს ჰყავდათ დატყვევებული და მეფე თეიმურაზ მეორეს გამოუხსნია. სარდალი პირობის წიგნს დებს მეფესთან 1760 წლის 14 თებერვალს, რომ, თუ შეძლებდნენ და ამ აზნაურის დასახსნელ თანხას მიართმევდნენ, მათი აზნაურშვილი ისევ მათთვის ებოძებინა. ციციშვილებს მართლაც მოუხერხებიათ აზნაურის დახსნა: „ესე წიგნი მოგართვით ჩვენ ციციშვილმა, სარდალმა ალექსანდრემ და ჩემა, ბიძაშვილმა გოგიამ, პაატამ, გლახამ და ნიკოლოზ ჩვენს ხელმწიფეს, მეფეს თეიმურაზს, ასე რომე ჩვენი აზნაურიშვილი დანდლიშვილი ბეჟანა ლეკისაგან დატყვევდა და თქვენ დაიხსენით ათ თუმნათ. მერმე თუ ჩვენ შევძელით დახსნა და თქვენი თეთრი ათი თუმანი მოგართვით, ჩვენი აზნაურიშვილი ისევ ჩვენ გვიბოძეთ ... დაგიხსნიათ და ღმერთმა გამარჯვებაში მოგახმაროსთ".[2]

1781 წლის საბუთით, ბეჟან დანდლიშვილი ქალაქის მოურავის ალექსანდრე სარდალის მემკვიდრის დავით ციციშვილის ყმად მოიხსენიება." [3]

---

[1] ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ფ.Hd, საბ. 806.

[2] საქართველოს სიძველენი, ტ.III, საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების გამოცემა, რედაქტორი ექ.თაყაიშვილი, თბ., 1910, დოკ. #16, გვ.14-15.

[3] ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ფ.Ad , საბ.1955.

ტყვეობიდან თავის აზნაურის გამოსახსნელად ციციშვილები, საშიშროების მიუხედავად ლეკებთან უშუალო მოლაპარაკებასაც არ ერიდებოდნენ. შერმაზა გნოლიძე 1766 წლის სიგელში უდასტუ - რებდა პაატა ციციშვილს: „მე გნოლიძე შერმაზას პაატა ციცის-შვილმა მოწმობა მკითხა. ღთის წინაშე ამისი დამსწრე და მნახავი ვარ: ხუცია ლეკებში დატყუებულიყო და სამთავის მეეყვანათ, პატა ჩავიდა და დაეხსნა ლეკისაგან, ცხვილოს ამაიყვანა პერანგა. არ ვიცი რა მისცა, დახსნით ამან დაიხსნა. მე და ჩემმა სულმან და ღმერთმანა მისი მოწმე ვარ.“[1] XVIII საუკუნის მეორე ნახევრიდან ცენტრალური ხელისუფლების მიერ გატარებულ ეკონომიკურ რეფორმებს, მნიშ-ვნელოვანი პროგრესული სოციალურ-ეკონომიკური ცვლილებები მოჰყვა ქვეყანაში. სათავადო სისტემის რღვევამ, ვაჭრობის ზრდამ, 1750 წელს დარიალის ე. წ. „ რუსეთის გზის“ გახსნამ და გაზრდილმა სავაჭრო მოთხოვნილებამ მარცვლეულზე, ხელოსნულ ნაწარმზე, პირველადი მოხმარების საგნებზე, ხელი შეუწყო ფულად-სასაქონლო ურთიერთობის განვითარებას და მანუფაქტურული წარმოების შექმნას. პარალელურად სავაჭრო კავშირ-ურთიერთობა გაფართოვდა ირანთან, ოსმალეთთან, ევროპისა და აღმოსავლეთის ქვეყნებთან, რასაც თავის მხრივ ქვეყნის შიგნით მოჰყვა ფულზე მოთხოვნილების ზრდა, მიწების ყიდვა-გაყიდვა, მამულების „ამოძრავება“, გაფართოება-დამრგვალება, რაციონალურ საფუძველ-ზე მოწყობილი მეურნეობების შექმნა. ეს პროცესი აშკარად აისახა საციციანოს სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაზე და სათავადო აზნაურებზე.

სათავადო აზნაურების ერთი ნაწილი იწყებდა ბრძოლას ციციშვილთა ყმობიდან განთავისუფლებისათვის. მეორენი, სამო-ხელეო თანამდებობების მქონე სათავადოს აზნაურები სარგებ-

[1] დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან, II, ბატონყმური ურთიერთობა(XV-XIXსს.), ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, თბ.,1953, დოკ. #99, გვ.66.

ლობდნენ სათავადოს ფუნქციების მოშლით, მათი გავლენის დასუსტებით, მძიმე ეკონომიკური მდგომარეობით და ციციშვილთა საგვარეულო საკუთრებაზე დამყარებული თავადური ტიპის მეურნეობათა გვერდით, ინდივიდუალურ საოჯახო საკუთრებაზე დაფუძნებულ ახალი ტიპის მამულებში აქტიურად იწყებენ რაციონალური მეურნეობის მოწყობას.

ამ მხრივ დოკუმენტების სიმრავლით გამოირჩევა აზნაურ კლიმიაშვილების საგვარეულო სახლი. მათი ისტორია ნათელ წარმოდგენას გვიქმნის მაღალი სამოხელეო სახელოს მქონე სათავადო აზნაურების სოციალურ მდგომარეობაზე და საციციანო ში მიმდინარე სოციალურ-ეკონომიკურ ცვლილებებზე.

კლიმიაშვილების აზნაურთა საგვარეულო სახლი რუისში პირველად XVII საუკუნის მეორე ნახევრიდან მოიხსენიება შაჰნავაზის (1658-1675წწ.) წყალობის წიგნში. მეფეს ციციშვილთა სამკვიდრო აზნურები, დაუბრუნებია იმერეთში გადასულ, მეფეზე განაწყენებულ ციცი ციციშვილისთვის, თუმცა ჩვენამდე მხოლოდ 1723 წლის ძველი საბუთიდან გადმოწერილმა პირმა მოაღწია. „შეგიწყალეთ და გიბოძეთ ჩვენ ხელმწიფემან მეფემან მეფეთ მეფემან პატრონმან შაჰნავაზი ... ციციშვილს ციცის რომე ცოტა საქმე რამე მოხდა, შემოგვწყერი და იმერეთს წახველ „ჩვენსა ერთგულებას ეცადე და იმერეთის დაჭერას ეცადე“ ამის სანაცვლოდ პირდება დაუბრუნოს თავისი კუთვნილი მამულები და აზნაურები: „ყოვლითურთ უკლებლად დაგიმტკიცო ჴელშეუვალად... შენი სამკვიდრო მამული ...აზნაურიშვილები ქურდევანიძეები, ბუ-ნიათისშვილები, მამუკა მაღრაძე, ...უზნაძეები, ...ჩავაძე ფარემუზ... და ოთარ გვერდწითლები,....გედიაშვილები, ალექსი ალექსიძე, ალაიბეგისშვილი, ბუღუტაური, ჩა~ჯავახი, წინამძღვრიშვილები, ციხის თავისშვილები, მელქისადექისშვილები, ჯზ ~ჩალაძეები, ღანჯა ერანმისშვილები, მ[ს]ტელისშვილი..., გამცემლისშვილი, ლარაძე, ...ალექსიძე ... რუისში კლიმიასშვილები, ბუღუტაური ზაქა-

რია, გოსტამ[ბ]იშვილები... ესეებიცა გვიბოძებია და სხვა წყალობაც ბევრი გიყოთ.“[1]

საციციანოში კლიმიაშვილების აზნაურთა სახლი XVIII საუკუნის დამდეგიდან ეკონომიკურად საკმაოდ დაწინაურებულ, გავლენიან და კარგ მეურნე საგვარეულოდ გვევლინება. აქტიურად ეწევიან, მამულების ყიდვა-გაყიდვას, სარგებლობდნენ მებატონისაგან შეღავათებით. აზნაური დათუნა მამაცასშვილი ნასყიდობის წიგნებით ამოწმებს კლიმიაშვილებისგან მიწების ყიდვას 1708-1710 წლების განჩინებით: „მანგლელი ეფისკოპოზი ნიკოლოზ რუისის მღთაების საყდრის გარიგების საქმეზედ მივედით მამულების გასყიდულობაზედ და მოკითხული ვქენით...მოვიდა დათუნა მამაცასშვილი, ვკითხეთ და წიგნები მოიტანა, რომ ის მამული ციცისშვილის აზნაურიშვილის კლიმიასშვილისაგან ეყიდა, ისრე მიეყიდა, რადგან თავისი ნასყიდი გაეყიდა, ჩვენ ჴელი არ გვქონდა და არცავის ხელი აქვს.“[2]

ამ პერიოდის საციციანოს მამულების ყიდვა-გაყიდვის დოკუმენტების სიმრავლის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ მამულებს აქტიურად ყიდდა საციციანოს გლეხობა და აზნაურები, მათ შორის ფუნქციადაკარგული, მეფე ვახტანგ VI-გან შევიწროვებული, ეკონომიკურად მძიმე მდგომარეობაში ჩავარდნილი ციციშვილთა საგვარეულო. კლიმიაშვილების მეურნეობის ფართობის ზუსტი დადგენა ვერ მოხერხდა, რადგან იშვიათადაა მინიშნებული მიწის ზუსტი ფართობი დღიურ მიწებში. დოკუმენტებში შესყიდული ქონების ჩამონათვალი დაახლოებით წარმოდგენას მაინც გვიქმნის მათ მიერ შეძენილ მეურნეობაზე, სამაგიეროდ შევძელით გაგვერკვია ყიდვა-გაყიდვაში მონაწილე პირთა სოციალური კუთვნილების საკითხი. კლიმიაშვილები სარგებლობენ ციციშვილთა მძიმე

---

[1] სცსსა, ფ. 1449, საქმე 328.

[2] ქართული სამართლის ძეგლები, ტ. IV, სასამართლო განჩინებანი (XVI-XVIII სს.), ტექსტი გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ი. დოლიძემ, თბ., 1972, დოკ.#158, გვ. 232,

ეკონომიკური მდგომარეობით და აქტიურად ყიდულობენ ციციშვილთა ყმებს სამკვიდრო მამულებთან ერთად.[1] ზაალ ციციშვილი ლეკების ტყვეობისგან თავდახსნის მიზნით იძულებული გამხდარა სამწევნელი მკვიდრი ყმა მიჰყიდოს, თავის აზნაურ კლიმიაშვილებს: „ნასყიდობის წიგნი და სიგელი მოგეც მე ზაალ ქვემო ციციშვილმა მერაბის შვილმა მანუჩარის ძმის წულმა შენ რუისელ კლიმიაშვილს დეკანოზ გიორგის და ძმას შენსა ბეჟანს და დავითს, შვილსა შენსა ბერუკას, იოსებს და ქაიხოსროს..."[2]

ჩვენს ყურადღებას იქცევს, ის ფაქტი, რომ XVIII საუკუნის მეორე ნახევრის ცნობილი მოღვაწე, მდივანბეგი, ფარსადან ციციშვილი იძულებული გამხდარა აზნაურ კლიმიაშვილებს სოფელ რუისში მიყიდოს ყმა-მამული, მათ შორის აზნაური, გიორგი კვეზერელი თავისი საკმაოდ დიდი სამკვიდრო ქონებით.

დოკუმენტში პირველად მოიხსენიება თამაზ კლიმიაშვილის სამოხელეო თანამდებობა - ბოქაულთუხუცესობა: „ნოდარიშვილმა ციციშვილმა ბატონმა ფარსადან ძმამან ჩვენმან ალექსანდრემ და დავით და იოთამ შენ ჩვენსა ერთგულსა და მრავალგვარად ნამსახურსა ჩვენსა აზნაურიშვილს ბოქაულთუხუცესს თამაზს, ... დაგვეჭირა და მოგყიდეთ რუისს ჩვენი ალალ ნასყიდი გლეხი ნასყიდაშვილი ნასყიდა და ბერუა და ზურაბა და აქავე ამისი მეზობელი კვეზერელი გიორგი, თავიანთის მამულითა სახლითა კარითა წყლითა წისქვილითა ვენახითა ჭურითა, მარნითა, მიწითა, ხოდაბუნითა, სახნავითა, უხნავითა, სასაფლაოთი, შესავლითა და გასავლითა, საძებრითა და უძებრითა...“ [3]

საციციანოში მიწების ამოძრავების ტენდენციას მძიმე სოციალურ-ეკონომიკური შედეგები მოჰყვა. პრივილეგირებულ კლიმიაშვილთა მიწათმფლობელობის ზრდა - განვითარებას თან სდევდა აზნაურთა მეორე ნაწილის გაღარიბება. აქტიურად იძენენ

---

[1] სცსსა, ფ. 1450, დავთ. 38, საქმე 77.
[2] სცსსა, ფ.1450,დავთ. 38, საქმე 70.
[3] სცსსა, ფ.1450, დავთ. 38, საქმე 63.

მამულებს გაღარიბებული სათავადო აზნაურებისაგან, რომელთაც თავი ვერ გაურთმევიათ მამულის მოვლა-პატრონობისათვის. მოგვიანებით აზნაურ კვეზერელთა საგვარეულოს კიდევ ერთი განაყოფი ოჯახი გამხდარა იძულებული ვენახი და ბოსტანი მიყიდოს კლიმიაშვილების იმავე საგვარეულო ოჯახს: „თამაზს ძმას მისა, ბეჟანს, გიორგის, დავითს ქაიხოსროს შვილსა მისა ბერუკას და ივანეს პაატას კლიმიაშვილებს.“[1] მალე კლიმიაშვილები ვალებში ჩავარდნილ კვეზერელთა სასახლეს და მათ დარჩენილ ქონებას მთლიანად ყიდულობენ „დღეს რისაც მქონებელი იყოს თავისის სასახლით შესავლითა და გასავლითა ვენახითა და მიწითა, წყლითა და წისქვილითა და გზითა და სასაფლაოთი აჯღევით ფასი სრული და უკლებელი აღარა დარჩენილა რა ჩვენსა და თქვენში სასამდურაო და სალაპარაკო.[2] „კვეზერელთა საგვარეულო მიწების ყიდვის შემდეგ, კი მათი ინტერესი მეურნეობის შემდგომ გასაფარ-თოებლად, კვეზერელის მიწის მოსაზღვრე აზნაურ ბუღუტაურის ნაფუზარი მიწის შესყიდვა გახდა საჭირო. ფარსადანსა და ქაიხოსროს შორის გაყრისას, ფარსადანს საუფროსოდ ერგო ყმა-მამული რუისში და მათ შორის სათავადო აზნაურის ბუღუტაურის მამული.[3] მალე კლიმიაშვილთა ეს შტო ეუფლება აზნაურ ბუღუ-ტაურის „გზასა და გზას შუა ორი დღის ნაფუზარ მიწას, კვეზელის მიწის მიდგმამდის...“

დოკუმენტის წაკითხვისთანავე ბუნებრივია იბადება კითხვა, რატომ გახდა საჭირო ნასყიდობის წიგნში ბუღუტაურის მიწის ადგილმდებარეობის საგანგებოდ, ხაზგასმით აღნიშვნა „ კვეზელის მიწის მიდგმამდის“, ჩვენი აზრით აქ მკაფიო მინიშნება გამხდარა საჭირო იმიტომ, რომ გზასა და გზას შორის მდებარე მიწასთან ერთად მისასვლელი გზის ხელში ჩაგდებაა კლიმიაშვილთათვის აუცილებელი, მთლიანი მეურნეობის შემოსაზღვრის, დაცვის,

---

[1] სცსსა, ფ. 1450 ,დავთ. 38, საქმე 83.

[2] სცსსა, ფ. 1450, დავთ. 38, საქმე 80.

[3] ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ფ.Hd, საბ. 806.

მოსავლის გატანა-ტრანსპორტირების და რეალიზაციისათვის. „ერთობას“ გამოხატავენ და ნასყიდობას ხშირად ამოწმებენ სათავადო აზნაურები ნიკოლოზ ტერტერასშვილი, ფრანგისშვილი.[1] რა თქმა უნდა შემთხვევითი არც ის გვგონია, რომ მოწმეები თითქმის ერთი და იგივე აზნაურიშვილები არიან. მიუხედავად ბოქაულ-თუხუცესის მაღალი თანამდებობისა, ნასყიდობის სიგელზე მათი დამოწმება ნასყიდობის იურიდიული დოკუმენტის სანდოობის ხარისხს განსაზღვრავდა და სამომავლო დავის საშიშროებას გამორიცხავდა.

კლიმიაშვილები პარალელურად იძენენ მამულებს, მიწის მესაკუთრე გლეხებისგან ერთი დღის მიწას გელელაშვილებისაგან და მეზვრიშვილების ოჯახისაგან: „იყიდეს კლიმიაშვილებმა: თამაზ, ბეჟან, გიორგი, დავით, ქაიხოსროს, ბერუკასა ივანესა პაატასა და მათთა მომავალთა სახლთა კლდის თავს, ორი დღის მიწა საზენაქროდ.... მტკვრის პირამდე...“.[2] აღნიშნული მამულის ნასყიდობის წიგნის მიხედვით, მათი მეურნეობის საზღვარს უკვე მტკვრის პირამდე მიუღწევია.[3] ჩანს მტკვრის სანაპირო ზოლის დასაკუთრებაც მათი მიზნების არეალში მოქცეულა. ამას ერთი ახსნა აქვს მხოლოდ, მდინარე მტკვარი ამ პერიოდში კვლავ მთავარ სანაოსნო მდინარედ რჩებოდა და სასოფლო - სამეურნეო პროდუქციის გორისა და თბილისის სავაჭრო ცენტრებში გადატანის ყველაზე მოსახერხებელი და მომგებიანი გზა იყო ურმებით ტრანსპორტირებასთან შედარებით. ტვირთი ძირითადად ფიჭვის ტივებით გადაჰქონდათ.[4] ამ ქალაქების სავაჭრო ცენტრების მნიშვნელობის და ბაზრებზე ქართული და უცხოური საქონლის მრავალფეროვნების შესახებ საინტერესო ცნობები გვხვდება მკვლევარების, ნ. ბერძენიშვილის, შ. მესხიას და ე.

---

[1] სცსსა, ფ. 1450, დავთ. 38, საქმე 75.
[2] სცსსა, ფ. 1450, დავთ. 38 , საქმე 76.
[3] ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ფ.1450, დავთ. 38, საბ. 72.
[4] ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ფ.1450 , დავთ 52, საბ. 5.

მამისთვალიშვილის, ი. ანთელავას, მ. სამსონაძის მონოგრაფიებში. ამის შესახებ აღნიშნავდნენ უცხოელი მოგზაურები: შარდენი,[1] გიულდენშტედტი,[2] პეისონელი[3] და სხვ. ქართული წყაროებიდან საქონლის სიუხვეს და მრავალფეროვნებას ხაზს უსვამს იოანე ბატონიშვილი თავის „კალმასობაში“[4] და დასტურლამალი. [5]

პროდუქციის საბაზროდ წარმოების და ვაჭრობის განვითარების იდეა გასდევს ბაგრატ ბატონიშვილის 1816 წლის დათარიღებულ ტრაქტატს „შემოკლებული სოფლის ეკონომია“. მისი ცნობით: „ შემოსავალი ყოველივე მამულისა ... განიყოფების სამად. ერთი ნაწილი აიღების სახლის სახარჯავად, მეორე - შესანახავად; ხოლო მესამე - გაიყიდების .... „მებატონეს მართებს რათა ჰყუანდეს პირუტყვი მრავლებით ... ცხუარი მისცემს დიდს სარგებლობასა, აგრეთვე ღორი უფრორე, ღორის ქონი იხმარება საპნად და სანთლად, ხოლო ხორცი ლორად, მძეხუად და საჭმელად.“[6]

სოფელ რუისში, მროველი ეპისკოპოსის მოწვევით მეფე გიორგის და ბატონიშვილ თეიმურაზის ტივით სტუმრობაზე საუბრობს პლატონ იოსელიანი. რუისიდან გორში მისული მეფე კი

---

[1] ჟან შარდენის ოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში, ფრანგულიდან თარგმნა, გამოკვლევადა კომენტარები დაურთო მზია მგალობლიშვილმა, თბ.,1975, გვ. 296.

[2] გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, გერმანული ტექსტი, ქართული თარგმანითურთ გამოსცა გ. გელაშვილმა, ტ.I, თბ,,1962, გვ. გვ.63, 93;

[3] Ш. А. Месхиа Города и городской строй феодальной Грузии Тб.,1959, გვ.134.

[4] იოანე ბატონიშვილი, კალმასობა, თბ., 1936, გვ.194-195;

[5] ქართული სამართლის ძეგლები, ტექსტები გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევები, ლექსიკონები და საძიებლები დაურთო ი. სურგულაძემ, თბ.,1970, გვ. 82.

[6] ი. ანთელავა, XVIII საუკუნის საქართველოს სოციალურ-ეკონომიური განვითარების ხასიათის საკითხისათვის, თბ.,1977, გვ.82.

დასწრებია გორიჯვრის ეკლესიაში ბატონიშვილ თეიმურაზის ჯვრისწერას ამილახვრის ასულ ელენეზე.[1]

ამდენად, სოფელ რუისის მთავარ სავაჭრო სატრანზიტო გზასთან და სავაჭრო ქალაქებთან სიახლოვემ, ტრანსპორტირების სიიაფემ, მარცვლეულის, ფქვილის, ხილის, ღვინის და სხვა ნაწარმის რეალიზაციით მიღებული დიდი მოგებით და ბაზრის მზარდი მოთხოვნილებით უნდა აიხსნას, ის მოტივაცია და ახალ-ახალი მამულების შემენისაკენ დაუოკებელი სწრაფვა, რაც აშკარად ჩანს კლიმიაშვილების საქმიანობაში. მეურნეობის შემდგომი გაფარ - თოების მიზნით, ნასყიდობის წიგნითა და სიგელებით იბრუნებენ უკან ადრე გაყიდულ მამულებს.[2] მათი მამულების საზღვრებს შორის მოქცეული მიწების გაყიდვაზე უარის შემთხვევაში, ჩანს ძალადობას, შანტაჟს და ინტრიგებსაც არ ერიდებოდნენ და იძულებულს ხდიდნენ ნასყიდი მამულების გაყიდვაზეც დათანხმებოდნენ. ნარიმანაშვილებისაგან ნასყიდობის სიგელში ამაზე მეტად საინტერესო მინიშნებაა: „დრო მიზეზ მოუდევარ მოუსარჩლელ ყოვლის ჩხუბის და ხლათისაგან გამო სულ ნასყიდობის დაგიდევით და მოგყიდეთ ნარიმანაშვილებმან ნინიამან, ხიზანმან და პაპუამ.. თქვენ, კლიმიაშვილებს... მიწა ფიჭვნარში...“[3] როგორც ჩანს, ბოქაულთუხუცესობის მაღალი თანამდებობის წყალობით „ყოვლის ჩხუბის და ხლათისაგან“ შეძლო თამაზ კლიმიაშვილმა, ნარიმანაშვილები რაციონალური მეურ-ნეობისათვის ყოველმხრივ მომგებიანი მიწების გაყიდვაზე დაეყოლიებინა, მათ შორის მშენებლობებისა და საბაზრო პროდუქციის ტრანსპორტირებისათვის მეტად ფასეულ ფიჭვნარზე, სწორედ ეს გამხდარა ნასყიდობის სიგელის მთავარი მიზანი. საყურადღებოა ნასყიდობის ფორმულირება:„...ბატონ ზაალის

---

[1] პ. იოსელიანი, ცხოვრება მეფისა გიორგი მეცამეტისა, რედაქტორი, ა. გაწერელია, თბ.,1978, გვ.83.

[2] სცსსა, ფ. 1450, დავთ. 38, საქმე 78 .

[3] სცსსა, ფ. 1450, დავთ. 38,საქმე 74

დასტურით „თქვენსავ მიწის ნასყიდს მიწის მოდგმამდის... აქეთ თავს ჩემს მიწის მოდგმამდის... კიდევ აქეთ ჩემს მიწის მოდგმამდის.“[1] აღნიშნული ამონარიდი აშკარად მიანიშნებს ერთ მხრეს კლიმიაშვილების საზღვარს, მეორე და მესამე მხარეს მოსაზღვრე ნარიმანაშვილების საგვარეულო მამულებს და თუ მის მიწებს ვერ შეიძენდა, თავისი სურვილისამებრ მეურნეობის გაფართოვება- „დამრგვალებას“ ხელი ეშლებოდა. ამონარიდი იმ მხრივაცაა საინტერესო, რომ მიწების გაყიდვის დასტური თავად ზაალ ციციშვილისაგან მიუღია. სარგებლობენ რა ასეთი მხარდაჭერით კლიმიაშვილები, მოსაზღვრე აზნაურ ნარიმანიშვილს აიძულებენ უკანასკნელი საარსებო მიწის ნაკვეთიც მას მიჰყიდოს. [2] უკანასნელი სარჩოს გარეშე დარჩენილ საზნაურო გვარის შტოს ისღა დარჩენია მეფეს სთხოვოს მფარველობა.[3] თუმცა ეს გვარი 1783 წლის ტრაქტატის დართულ სიებში საერთოდ აღარ მოიხსენიება. საკუთარი მებატონისგან, ზაალ ციციშვილისაგან ასეთმა მხარდაჭერამ თავის მხრივ გააჩინა ინტერესი გაგვერკვია, რატომ არის მებატონე დაინტერესებული კლიმიაშვილების მეურნეობის გაფართოებით, ხომ არ იკვეთება მხარდაჭერის სანაცვლოდ ორივე მხარის პირადი ინტერესები? ვფიქრობთ, ასეთი ურთიერთობა ორივე მხარისთვის სარგებლობის მომტანი უნდა ყოფილიყო. რადგან, ჯერ ერთი, ოდესღაც გავლენიანი ფანასკერტელ-ციცი-შვილთა გვარიშვილობისათვის ამ პირობებშიც კვლავაც სათა-კილოდ, მიუღებლად ითვლებოდა მეურნეობის მოვლა-პატრონობა. სათავადოს უფროსისგან ბოძებული მაღალი თანამდებობით და მხარდაჭერით გამორჩეული, ეკონომიკურად გაძლიერებული აზნაურის შევიწროებისათვის სათანადო ძალები რა თქმა უნდა არ ეყოლებოდა ზაალს, რადგან საგვარეულოს ერთიანობა დიდი ხანია დაკარგულიყო და ურთიერთმტრობას დაესადგურებინა. მეორეც,

---

[1] სცსსა, ფ. 1450, დავთ.38, საქმე 81.

[2] სცსსა, ფ. 1450, დავთ. 38 , საქმე 90.

[3] სცსსა, ფ. 1450, დავთ. 26, საქმე 3, 4, 7; ფ.1449, საქმე 1025.

აცნობიერებდა მთავარ საშიშროებას, რომ ამ საგვარეულო ოჯახთან დაპირისპირებას შესაძლოა მოჰყოლოდა მათი დაახლოება სამეფო კართან და მფარველობის მიღება. ამას მოჰყვებოდა არა მარტო სათავადო აზნაურთა ამ საგვარეულო შტოს დაკარგვა, არამედ მათ მიერ დიდძალი ნასყიდი ყმა-მამულის საბოლოოდ დაკარგვა. მეფის მფარველობაში მყოფი კლიმიაშვილები და მათთან დაახლოებული საციციანოს აზნაურები კიდევ უფრო საშიშროების მომტანნი იქნებოდნენ და შესაძლოა საციციანოს, არაგვის და ქსნის საერის-თავოთა (1743 -1777წწ.) ბედიც გაეზიარებინა.

ამდენად, სამეფო აზნაურებად გადაქცევის საშიშროება ერთგვარად, მათ შორის ურთიერთობებს არეგულირებდა. რაც შეეხება კლიმიაშვილების არჩევანს სათავადო აზნაურებად დარჩენასთან დაკავშირებით, რამდენად პერსპექტიული იყო აღნიშნული გადაწყვეტილება მათი მხრიდან. მინდა ავღნიშნო, რომ ციციშვილებისაგან ასეთი დიდი მხარდამჭერა, მეურნეობის შემდგომი გაფართოების სრული თავისუფლება, რესურსების სიუხვე, სამოხელეო სახელო, მიღწეული შედეგები და სამომავლო გეგმები, ბევრად მომხიბლელი ჩანდა, ვიდრე მათთვის „გაურკვევლი“ სახასო აზნაურობა, რადგან ხშირი იყო ცნობები, როცა მეფე თავისი ნება-სურვილით უწყალობებდა ან ართმევდა ყმა-მამულს და თანამდებობებს როგორც სადედოფლო, ისე საუფლისწულო აზნაურებს, 1791წლის „განწესებანი საქართუელოს მეფის ირაკლისნი ძეთა თჳსადმი სამეფოისათჳს საქართუელოჲსას“ [1] მიხედვით კი ქვეყნის საუფლისწულოებად დაყოფამ, გაზარდა საფრთხე მოსალოდნელი ცვლილებების და უფლისწულებს შორის დაპირისპირების, რაც შეუმჩნეველი არ დარჩებოდათ მაღალი სახელოს მფლობელ კლიმიაშვილებს, თუ გაითვალისწინებდნენ სამეფო კარზე მოსალოდნელ, დინასტიურ ცვლილებებსაც, ცხადია

[1] ქართული სამართლის ძეგლები, II ტ., საერო საკანონმდებლო ძეგლები (X- X I X სს.), ტექსტი გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ი. დოლიძემ, თბ., 1965; გვ.515, 517, 519.

ხელშეუხებლობის სრული დაცვით გარანტირებულნი მაინც ვერ იქნებოდნენ.

რაც შეეხება კლიმიაშვილების მამულების შემდგომი გაფართოების საკითხს, ნარიმანიშვილების მსგავს მდგომარეობაში აღმოჩნდა აზნაური ლომი გვარამაძეც. დოკუმენტი ერთმნიშვნელოვნად მიუთითებს, რომ სწორედ კლიმიაშვილთა ძალმომრეობის გამო გამხდარა იძულებული ვენახი მათთვის მიეყიდა:„...ჟამთა და ხანთა გასათავებლად ყოვლის ჩხუბის ხლათისაგან გამოსავალი ყოველის კაცის უცილობელი ...სამკვიდრო ...ნასყიდობის წიგნი მოგეც მე გვარამაძემან ... ლომმან მომავალთა შვილთა ჩვენთა ... ძმისწულთა...დიაღ საქმე მიჭირდა თათრობა იყო, დიაღ გამოსაღებმან ძალა გჳყო შიმშილობაც ძრიელი მქონდა სხვა ღონე არ მედავა ულაჯოთ ჳყაჳით მოგყიდეთ ჩემის ყმის ბერიკაშვილის ნაქონი ვენახი...ასე რომე ჩემის ბატონის მანუჩარის, ბადურის შვილის ზაალის...ბრძანებით ან დასტურით მომიყიდია ღ˜ნ მოგახმაროს ავიღევით ფასი სრული... ამის მოწამე შემრიგებელი განაყოფი ფრანგიშვილი, (იგი აზნაურია სხვაგვარად დანარჩენების მსგავსად ყმად მოიხსენიებდნენ)... გვარამაძის ყმა პატა ბელეშვილი, ივანე ვარძელაშვილი, ლეთეთელნი ნოდარიშვილის ყმა.“[1]

კლიმიაშვილებზე მემკვიდრეობით გადადის ბოქაულთუხუცესის სახელო. თამაზ კლიმიაშვილისაგან მემკვიდრეობით მიუღია აღნიშნული სახელო მის ძმას ბეჟანს, რაც საათაშვილი იოსებისგან მამულის ნასყიდობის სიგელიდან აშკარად ჩანს: „საათაშვილმა იოსებ და ძმამან ჩემმან...კლიმიაშვილს ბოქაულთუხუცესს ბეჟანს ძმასა თქვენსა მღვდელს გიორგის, ...დავითს...ბერუკას შვილთა იოსებს და ქაიხოსროს...დაგვჭირა და მოვედით ჩვენის ნება წადილითა, მოგყიდეთ მიწა...“ [2] აზნაურ ნარიმანიშვილების ბედი გაიზიარა სათავადო აზნაურმა ბუღუტაურმა. მათ დარჩენილ ბეითალმალ მამულს, რუისში დედოფლის სახლთუხუცესს, ზაქარია

---

[1] სცსსა, ფ.1450, დავთ 38, საქმე 202.

[2] სცსსა, ფ. 1450, დავთ.38, საქმე 88.

ციციშვილისაგან ყიდულობენ თუმანიშვილები.[1] კლიმიაშვილების საგვარეულო ქონება იმდენად გაზრდილა და გამრავლებულა საგვარეულო ოჯახები, რომ ახალი სასახლის მშენებლობაც დაუგეგმავთ და ჩანს სისრულეშიც მოუყვანიათ. თუმანიშვილებისაგან ყიდულობენ საკმაოდ დიდ ქონებას: „ალალ ვენახსა და სასახლის ადგილს თავისის შესავლითა და გასავლითა ავიღევით ფასი სრული და უკლებელი, რითაც ჩვენი გული შეგჯერდებოდათ.“[2] ბოქაულთუხუცესი ბეჟან კლიმიაშვილი ასევე დიდის მონდომებით აგრძელებს მიწების შესყიდვას მეზობელი სათავადოს, საამილახვროს მიწებს გორელი მამასახლისის-ზალიასშვილისაგან.[3]

საარქივო მასალების სიმრავლით გამოირჩევა კლიმიაშვილების მამულების ნასყიდობის სიგელები სოფელ რუისში მცხოვრები გლეხების, [4]თოთასშვილების,[5] ხტისასშვილების[6] და შახუასშვილებისაგან, რომლებიც ჩიტის ხევში ერთმანეთის მიყოლებით მდებარეობდა. ნასყიდობის მიზანი ნათელია ჩიტის ხევის მთლიანად დასაკუთრება, რასაც აღწევენ კიდეც.[7] ყიდულობენ ორი დღის მიწას კოვზიასშვილებისაგან[8] თევდორე ჯანგურიძისგან „ჩიტის ხევის ვენახი, გასავლითა, ნერგითა, სარწყავითა და ურწყავითა, მისის გზითა შესავლითა ყოვლის მისის სამართლიანის საქმითა.“[9] ამ მიწების შესყიდვით მთელი ჩიტის ხევის „თავამდის“ კლიმიაშვილების ხელში აღმოჩნდა. ამას მოსდევს ახალი მცდელობა, მეურნეობის შემდგომი გაფართოების მიზნით ჩვენთვის ცნობილი ნარიმანაშვილების მოსაზღვრე, ნონიაშვილე-

---

[1] სცსსა, ფ. 1450,დავთ.38, საქმე 57.
[2] სცსსა, ფ. 1450,დავთ.38, საქმე 91.
[3] სცსსა, ფ. 1450, დავთ.38, საქმე 102.
[4] სცსსა, ფ. 1450, დავთ. 38, საქმე 64, 65, 66.
[5] სცსსა, ფ. 1450, დავთ.38, საქმე 86.
[6] სცსსა, ფ. 1450, დავთ.38,საქმე 84, საქმე 86.
[7] სცსსა, ფ. 1450, დავთ.38,საქმე 93.
[8] სცსსა, ფ. 1450, დავთ.38 ,საქმე 68.
[9] სცსსა, ფ. 1450, დავთ.38, საქმე 100.

ბისაგან იყიდონ მიწები, „ ჩიტის ხევის ზეით, ნარიმანაშვილის მიდგმამდე“. ეს მინაწერი ნათლად მიუთითებს ნასყიდობის მიზან - ზე და ვფიქრობთ ნონიაშვილებიც სწორედ ამის გამო უნდა გამხდარიყვნენ იძულებულნი გაეყიდათ კლიმიაშვილების სამიზნე მამულები. ეს დოკუმენტი ჩვენი საკვლევი თემისთვის იმ მხრივაა საინტერესო, რომ აქ პირველად ჩანს კლიმიაშვილების ახალი, სამოხელეო სახელო-სახლთუხუცესობა, რომელიც ბერუკა კლიმიაშ-ვილს უჭირავს, იგი ბოქაულთუხუცესს თამაზ კლიმიაშვილის შვილია. სათავადოში ერთობ შემოსავლიანი სახელოს მიღება, თავის მხრივ საციციანოს უფროსთან და საგვარეულოსთან კეთილგანწყობაზე მიუთითებს.“[1] ნასყიდობის დოკუმენტებში ისინი საციციანოს აზნაურებთან ხშირად გვევლინებიან მოწმედ მამულის და ყმა-გლეხების გაყიდვის დოკუმენტებშიც.[2]

ამდენად, ცალკე ოჯახებად დაყოფის მიუხედავად ეს საა-ზ-ნაურო სახლი აგრძელებს მამათა ტრადიციას და შენარჩუნებული აქვთ ერთობა. შედეგიც მალე აისახა მათ მდგომარეობაზე XVIII საუკუნის 90-იანი წლების დოკუმენტები ხაზგასმით მიუთითებენ ახალ-ახალი მამულების შეძენას სოფელ სამწევრისსა და ხვედურეთში. ამ სოფლებში აგრძელებენ ინტენსიურ სამეურნეო საქმიანობას, მიწების შესყიდვას ცდილობენ ჩვენთვის ნაცნობი გზებით, როგორც ჩანს რუისში ახალი ინტენსიური მეურნეობის მოწყობისა და მართვის რაციონალურმა მიდგომებმა, მიღწეულმა შემოსავალმა, გაუმჯობესებულმა ცხოვრების მაღალმა დონემ, მატერიალურმა ინტერესებმა და მოთხოვნილებებმა კლიმიაშვილებს გააუჩინა მოტივაცია აღნიშნულ სოფლებში მეურნეობის რაციო-ნალიზაციის მიზნით მოწყობის. ქვემო ციციშვილმა ზაზამ, მისმა შვილმა მანუჩარმა კლიმიაშვილებს მიჰყიდა ხვედურეთს ბაკუ -

---

[1] სცსსა, ფ. 1450, დავთ.38 , საქმე 97, საქმე 98.

[2] საქართველოს სიძველენი, III, საქართველოს საისტორიო და საეთნგრა-ფიო საზოგადოების გამოცემა, რედაქტორი ექ. თაყაიშვილი, თბ.1910, დოკ.#15, გვ.14.

რაშვილის მამული: „ ვენახით, სასაფლაოთი საყდრით მთით ბარით შესავლით გასავლით“.[1] იგივე კლიმიაშვილთა საგვარეულო ხვედურეთში აქტიურად აგრძელებს (ბევაძე ბიძინასგან, ზურაბის, გიორგის და სეხნიასგან) ვენახების შეძენას.[2] სოფელ ხვედურეთ-შივე ბარძიმ ციციშვილის ოჯახისგან იძენენ დიდძალ ყმა-მამულს: „ჩვენ ციციშვილმა დემეტრეს შვილმა ბარძიმ, ძმამა ჩემმა ... გიორგიმ თქვენ კლიმიაშვილს პატას შენსა ნიკოლოზს ძმის წულსა შენსა...ქვეყანას აღარ გაიძლებოდა ყიზილბაშობაში წამოველ, იქ დამჭირდა და მოგყიდეთ, ჩვენი ალალი ბარათით წილხვდომილი ხვედურეთს ძულიაშვილი შიო თავისის შჯლით, ძმით, ძმის-წულებით ...ვენახით, მიწით, წყლით, მის სასაფლაოთი, მთით, ბარით, შესავა[ლ] გასავალით, დღეს რისაც მქონებელი იყოს. ავიღე ფასი სრული და უკლებრივ, რითაც ჩვენი გული შეჯერდებოდა ...მოწმეებად თავადთა გვერდით დასახელებულია აზნაური-შვილები, დედანაშვილი, წინამძღვრიშვილი, მუჩაიძე, მეღვინეთ-ხუციშვილი“.[3]

ამრიგად, ჩვენს მიერ განხილული დოკუმეტები აშკარა მიუთითებენ, ნაცადი გზებით კლიმიაშვილების ახალი რაციო-ნალური მეურნეობების შექმნაზე საციციანოს სხვა სოფლებში. მათ მიზანმიმართულად მეურნეობის გაფართოება ამოძრავებდათ და არა სხვადასხვა ადგილებში მხოლოდ მუქთად მიწების ხელში ჩაგდების სურვილი, თუმცა არ გამოვრიცხავთ ფულადი შემო-სავლების გაზრდის მიზნით გადადგმულ ამ ქმედით ნაბიჯებსაც. მიზნის მისაღწევად მათთვის ყველა გზა მიღებული იყო, მოსაზღვრე მამულების გაყიდვის მოწინააღმდეგებთან პირველ რიგში აღწევ-დნენ ჯერ შეთანხმებას მიწების გაცვლის თაობაზე, ამის ნათელი მაგალითია ე. წ. გაცვლილობის წიგნი: „ესე გაცვლილობის წიგნი მოგართვი ჩვენ თოთაშვილმა გოდეძიმ ბიძაშვილმა ჩემმა...თქვენ

---

[1] სცსსა, ფ. 1450, დავთ.38 , საქმე 89.
[2] სცსსა, ფ. 1450, დავთ.38 , საქმე 95, 97.
[3] სცსსა, ფ. 1450, დავთ.38, საქმე101.

კლიმიაშვილებსა პატასა, შერმაზანსა და ოტიასა და თამაზასა, ასე რომე, თქვენი ვენახი ჩემზე სამჯროთ იყო და ჩემი ვენახი თქვენზე სამჯროთ ...გავსცვალეთ, რომე ერთმანეთთან სალაპარაკო საქმე აღარა გვქონდესთ რა."[1] მეურნეობის შემდგომი გაფართოვების შედეგად, იგი კვლავ მოსაზღვრე მეზობელი ხდება და საბოლოოდ იძულებული შეიქნა „ახალ აზნაურებს"-კლიმიაშვილებს მიჰყიდონ აღნიშნული მამულები.[2]

ამდენად, საციციანოს სათავადო აზნაურ კლიმიაშვილების მთავარი მიზანი გამოკვეთილია, მეურნეობის გაფართოება მოსაზღვრე მამულების შესყიდვით, მამულების გაერთიანება- „დამრგვლება".

მამულების გაერთიანება- „დამრგვლების" შესახებ საინტერესო მოსაზრება პირველად გამოთქვა პროფ.გ. ნათაძემ „Очевидно здесь мы имеем дело со стремлением к округлению имения с целью вести более рациональное хозяйство".[3] ამ მეტად მნიშვნელოვანი და ანგარიშგასაწევი დეტალების გათვალისწინებით შეგვიძლია ავღნიშნოთ, რომ რა თქმა უნდა ამხელა მეურნეობა მხოლოდ მათი ოჯახების მატერიალური მოთხოვნილების დაკმაყოფილების მიზნით არ შექმნილა. ბაზრის მზარდი მოთხოვილების შესაბამისად წარმოებული სოფლის მეურნეობის პროდუქცია საგანგებოდ ბაზრისთვის მზადდებოდა.

საკვლევ თემიდან გამომდინარე ასევე საყურადღებო ფაქტია, ის რომ ნასყიდობა ყველგან ფორმდება დოკუმენტით, სადაც ხაზგასმულია „დაგვჭირდა და მოგყიდეთ", „ავიღევით ფასი სრული და უკლებელი", ან „ავიღე ფასი სრული, რითაც ჩვენი გული შესჯერ-დებოდა". აშკარაა, მიღწეულია ორივე მხარის შეთანხმება და კმაყო-

---

[1] სცსსა, ფ. 1450, დავთ. 38, საქმე 65.

[2] სცსსა, ფ. 1450, დავთ.38, საქმე 86 .

[3] Натадзе Г., К вопросу об экономическом положении Грузии в конце XVIII столетия. Журн. История классовой борбы в Закавказье. Т.I, 1930 с. 129-130.

ფილება. რაც შეეხება მიწის ღირებულებას, თუ რა იგულისხმებოდა უცვლელ ფორმულირებაში „ავიღევით ფასი სრული და უკლებელი“, დოკუმენტებში ფასის კონკრეტული დასახელება არსად გვხვდება და ვთვლით მხოლოდ ფულადი თანხით ანგარიშსწორებას, რადგან ჩვენს მიერ მოკვლეულ დოკუმენტებში ნახსენები არსად არის ნატურით გადახდილი საფასური. ასეთი დოკუმენტების სიმრავლე კი თავისთავად მიგვანიშნებს სასაქონლო ფულადი ურთიერთობის განვითარებაზე. ფულადი კაპიტალის სოფლის მეურნეობაში შემოჭრამ სოფელი კიდევ უფრო დაუახლოვა ბაზარს. ფულად-სასაქონლო წარმოების განვითარებასთან ერთად იზრდება ციციშ-ვილთა საგვარეულოს მოთხოვნილება ფულზე, რასაც მოჰყვა მათი რაციონალური მეურნეობის შემდგომი გაფართოება. ამას ერთგვარად ხელი შეუწყო, ერეკლე II-ის რეფორმებმა, მათ შორის სახელმწიფო გადასახადების ფულადი სახით მოთხოვნამ, რის შედეგადაც სახელმწიფო გადასახადებში დომინირებდა ფულადი გადასახადები. ფინანსისტ-ეკონომისტი ნ. ქოიავა დამატებით აღნიშნავს, რომ „გლეხთა სახელმწიფო გადასახადებში დომინირებდა ფულადი გადასახადები, ხოლო საბატონო გადასახა-დებში -მისი პროდუქტადი ფორმა“.[1] ფულად გადასახადებზე მიუთითებს 1784 წლის საციციანოს საქვეყნო ხარჯი, დამტკიცებული ერეკლე მეორის მიერ,[2] 1791წლის სახელმწიფო იჯარების სარგოს ანგარიშის წიგნები,[3] 1792 წლის სახელმწიფო იჯარათა და ბაჟების

---

[1] ნ.ქოიავა, ფულის მიმოქცევა , კრედიტი და ფინანსები XVIII ს. ქართლ-კახეთში, თბ.,1963, გვ.152.

[2] მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის, წიგნი III, , (აღმშენებლობა, სახელმწიფო ეკონომიკა, ქონება), მასალები შეარჩია და გამოსაცემად მოამზადა ნ. ბერძენიშვილმა, თბ., 1955, გვ.77-80.

[3] იქვე, გვ.101.

ნუსხა,[1] 1786 წლის სალაროს მოხელეების რუსუმის ნუსხა,[2] ქალაქის ბაჟისა, ყაფნისა და ციხის კარის შართლამა და სხვ.[3] რაციონალური მეურნეობის ტექნიკური ორგანიზაციის სრულყოფაზე მიგვანიშნებს მიზანმიმართული სამეურნეო ღონისძიებანი, კერძოდ: საკანონმდებლო აქტებით აღწევენ შეთანხმებას ყმა-მამულის ყიდვაზე, სარწყავი წყლით სარგებლობაზე, ყიდულობენ არა მხოლოდ სახნავ მიწებს, არამედ მთითა და ბარით, ურწყავი მიწებით, საყდრებით, სასაფლაოთი, მამულებთან მისასვლელი გზებით, წისქვილებით, რომელთა ნასყიდობის სიგელებს მოსდევს სარწყავი წყლით კანონიერად სარგებლობის უფლებების მიღებაზე ზრუნვა. წყლით სარგებლობაზე გარიგების სიგელებიც ნათლად მიუთითებს მოსავლიანობის ზრდით და მიწის რენტაბელობით დაინტერესებაზე. სახეზე გვაქვს ტრადიციული, ფეოდალურ-ბატონყმური თავადური მეურნეობის ნაცვლად, ახალი რენტაბელური, რაციონალური მეურნეობის შექმნის რეალობა, სადაც შრომის დანაწილებაზე და საბაზროდ წარმოებული პროდუქციის მრავალგვაროვაზე უნდა მიგვანიშნებდეს ნასყიდობის დოკუმენტებში საგანგებო ფორმუ ლირება: „ხოდაბუნი“, „ნაფუზარი“, „ვენახი“, „საბოსტნე“, „სანერგე“ და სხვ.

განსაკუთრებით დიდია წისქვილების სამეურნეო მნიშვნელობა კლიმიაშვილთა მეურნეობისათვის. ნასყიდობის წიგნების და სიგელების სიმრავლე ნათელ წარმოდგენას გვიქმნის კლიმიაშვილების მეურნეობის ფართო მასშტაბებზე და ბაზრის მზარდ მოთხოვნილებაზე.[4] 1802 წლის რუსული მმართველობის

---

[1] იქვე, გვ.102-103.

[2] იქვე, გვ.80.

[3] შ. მესხია, მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის, მსკ. ნაკვ.30, თბ.,1954, გვ. 74-75; ქართული სამართლის ძეგლები, ტ.II, საერო საკანონმდებლო ძეგლები(X-XIXსს.), ტექსტი გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ი. დოლიძემ, თბ., 1966, გვ. 392-395.

[4] სცსსა, ფ. 145, დავთ. 38, საქმე 70,71, 79, 82, 84 .

დამყარებისთანავე სახელმწიფო პურის გადასახადის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, საციციანოსა და სათარხნოს მხარეს შესწერდა პურის საკმაოდ დიდი რაოდენობა 874 კოდი პური, რომელიც ბევრად აღემატებოდა ტფილისის განაპირა სოფლების გადასახადს, რომლებსაც უნდა გამოეღოთ მხოლოდ - 519კოდი.[1]

ამდენად, ჩვენს მიერ ზემოთ წარმოდგენილი ნასყიდობის დოკუმენტები აშკარად მიუთითებს სასაქონლო-ფულადი-ურთიერ-თობის განვითარებაზე, საბაზრო კავშირ-ურთიერთობათა გაფარ-თოებაზე, მიწების ყიდვა-გაყიდვის ზრდაზე, მამულების დამრგვალებაზე, შრომის დანაწილებაზე, რაციონალურ საფუძ-ვლებზე მოწყობილ მეურნეობაზე და მანუფაქტურული წარმოების არსებობაზე.

მამულების რაოდენობისა და ყმა-გლეხთა ნასყიდობის სიგელების შედარებისას, აღმოჩნდა, რომ ნასყიდ ყმა-გლეხთა რაოდენობა მიწის ფართობის დასამუშავებელ ძალასთან მნიშვნელონად მცირე იყო. ბუნებრივია ერთგვარად განისაზღვრა ჩვენი კვლევის შემდგომი მიმართულება თუ რა ძალებით შეეძლოთ დაემუშავებინათ ესოდენ დიდი მეურნეობა. ეს ძალები შეიძლებოდა ყოფილიყო:

1. კლიმიაშვილების მიერ შესყიდულ მამულებზე მოსახლე ყმანი და უმამულოდ დარჩენილი მეპატრონეები. დაქირავებული ძალის, ამ სარეზერვო რესურსის წყაროს, კლიმიაშვილები აქტიურად გამოიყენებდნენ გირავნობის, ნასყიდობის, საღალედ მიწების გაცემის, ან სხვადასხვა სახის იჯარის[2] გზით.

---

[1] შ.ხანთაძე, სახელმწიფო პურის გადასახადი(სურსათი) ქართლ-კახეთში მე-19 საუკუნის დამდეგს, მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტო-რიისათვის, ნაკვ. 32, თბ.,1955, გვ.161-162.

[2] აკოფაშვილი გ., ეკონომიური და სოციალური ცხოვრების განვითარება აღმოსავლეთ საქართველოში XVIIIს. 40- 80-იან წლებში, საქართველოს ისტორიის ნარკვევები IV, თბ.,1973 გვ.537.

2. ასევე სახეზე გვაქვს გახშირებული შემთხვევები, როცა გაღარიბებული, მცირე-ყმა მამულიანი აზნაურთა და თავადთა ერთი ნაწილი, რომელსაც მეურნეობის გაძღოლის, არც ეკონომიკური შესაძლებლობა და არც სამოხელეო შემოსავალი გააჩნდა. ფულადი სახელმწიფო გადასახადების სიმძიმე კი აიძულებდა თავისი ყმა ხიზნად სხვის მამულში თვითონვე გაეშვა, ან დაეგირავებინა და ამ გზით ყმისგან ფულადი შემოსავალი მიეღო, თუმცა ხშირი იყო მებატონისგან გაქცევის შემთხვევები. უკიდურეს შემთხვევაში აზნაურს ისღა დარჩენოდა იმ აზნაურისთვის მიეყიდა, ვის მამულშიც მუშაობდა, რათა სამუდამოდ დაკარგვის სანაცვლოდ მცირე სარგებელი მაინც ენახა. ამ საკითხზე დასკვნის გამოტანის შესაძლებლობას გვაძლევს მეფე ერეკლე მეორის ოქმი, რომლის მიხედვით, ყმებად ეკუთვნიან ერთ მებატონეს, ხოლო სახლობენ მეორე მებატონის მიწაზე.[1]

3.XVIII საუკუნის მეორე ნახევრში ერეკლე მეორის მიერ განხორციელებულმა ეკონომიკურმა რეფორმებმა ხელი შეუწყო ქვეყანაში თავისუფალ,[2] თავდაჴსნილ,[3] აზატ ყმა-გლეხთა მნიშვნელოვან ზრდას, რომლებიც სიგელებში, თითქმის ერთი და იგივე მნიშვნელობით გვევლინება. „თავდახსნილ“ ყმათა საკითხს ჯერ კიდევ მეფე ვახტანგის სამართლის 260-ე მუხლი არეგულირებდა: „თუ წიგნი ჴელთ უჭირავს თავის თავის დაჴსნისა, და წავა ეს თავდაჴსნილი კაცი და ერთს კაცს ეყმობა, და მამულს გამოართომს, და ასეთს წიგნსა და პირობას მისცემს, რომე, „როგორც სხვა შენი მკვიდრი ყმა გყვანდესო, მეც ისრე მკვიდრად გყმობივარო“...იმრიგად აყმევით და თუ მკვიდრობის წიგნი და პირობა მიუცია, ადვილად ვეღარ წაუა. თუ ისრე, უწიგნოდ და უპიროდ, წყალობის ყმად მისვლია, რადგან წიგნი არ მიუცია და თავი - სამკვიდროდ ყმათ,

---

[1] ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ფ.Hd, საბ.10578.

[2] სცსსა, ფ. 1448, საქმე 4968.

[3] სცსსა, ფ. 1449, საქმე 2535.

ამრიგად მისული, როდისაც უნდა, მამულს დაუგდებს და წავა, ჭელი არა აქვს.“[1]

4.„ახალი აზნაურების“ მიერ დაქირავებული ძალის სარეზერვო წყარო შეიძლებოდა ყოფილიყო, მეფე ერეკლეს 1765 წლის განჩინებით ტყვეობიდან საკუთარი საშუალებებით დახსნილი და სამშობლოში დაბრუნებული გლეხი,[2] ასევე „უცხოს ქვეყნიდან“ სათავადო აზნაურთა ძალებით გადმოყვანილი ნებიერი, ხიზანი გლეხები, რომელთა გარკვეული რაოდენობა საციციანოში სამცხე-ჯავახეთიდან [3] და იმერეთიდან შემოდიოდა.

XVIII საუკუნის მიწურულს კლიმიაშვილის მეურნეობის შესახებ ცნობები წყდება ისე, რომ მათი შემდგომი საქმიანობის შესახებ ძნელი გახდებოდა დაბეჯითებით რაიმეს მტკიცება, რომ არა დაახლოებით 1812 წლით დათარიღებული, მეტად მნიშვნელოვანი ცნობა, ვალებში ჩავარდნილი და უმწეო მდგომარეობაში მყოფი კლიმიაშვილების მძიმე ყოფის შესახებ. იუსტინე მთავარეპის-კოპოსის გასესხებული ფულის ანგარიში ნათელს ჰფენს არა მარტო ოდესღაც გავლენიან ციციშვილთა გვარის დაკნინებულ, უიმედო მდგომარეობას და ვალებს, არამედ იძლევა ინტერპრეტაციის საფუძველს, რომელშიც ორგანულად ერწყმის ერთმანეთს ამ პერიოდის საციციანოს ისტორიული სინამდვილის კონკრეტული მოვლენები და იმავდროულად ფართო სპექტრის ყოფითი პრობლემები, რომლებიც უფრო პოლიტიკურია, მაგრამ სოცია-ლური პროცესების კონტექსტში პოულობენ ახსნას:„... კლიმი-აშვილს თამაზას მართებს ორი თუმანი თეთრი ფული თავისის სარგებლით, ვექსილი ჭელთ მიჭირავს.

---

[1] სამართალი ვახტანგ მეექვსისა, ტექსტი დაადგინა, გამოკვლევა და საძიებლები დაურთო ი. დოლიძემ, თბ., 1981, გვ.262.

[2] ქართული სამართლის ძეგლები, ტ. IV, სასამართლო განჩინებანი (XVI-XVIII სს.), ტექსტი გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ი. დოლიძემ, თბ., 1972, გვ.513.

[3] ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ფ. Hd, საბ.806.

წელსა ჩყიბ კლიმიაშვილს გლახას მართებს სამი თუმანი და სამი მინალთუნი ვექსილით.
ქ˜კს უჟვ ალექსიძეს სფირიდონს მართებს ოცი თუმანი ვექსილით...“[1]

ფაქტობრივი მასალის და კლიმიაშვილების მეურნეობის ფართო მასშტაბების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ავღნიშნავთ, რომ ეს პროცესი აშკარად მიანიშნებდა სოფლად კაპიტალისტური ურთიერთობის ნიშნებზე, მაგრამ კაპიტალისტური წარმოების ტემპები იმდენად სუსტი და იშვიათი გამონაკლისი იყო, რომ ვერ უძლებდა თავადური რეაქციის შემოტევას, გზას უღობავდა „ახალ აზნაურებს“ და რაციონალური მეურნეობის შემდგომ განვითარებას მნიშვნელოვნად აფერხებდა.

სწორედ თავადურ ძალმომრეობას შეეწირა დაფქვიაშვილების რაციონალური მეურნეობა. ეს სათავადო აზნაურთა სახლი XVIII საუკუნის დამდეგიდან სოფელ რუისში ეკონომიკურად საკმაოდ დაწინაურებულნი ჩანან. ციციშვილების ეს აზნაურები ინტენ-სიურად ეწეოდნენ საეკლესიო და სათავადო მიწების ყიდვას[2] და ყმა-მამულის გაზრდისაკენ თავდაუზოგავად ისწრაფვოდნენ. ასევე აქტიურად ყიდულობენ მიწებს გლეხებისგან, ურბნისელი ელიაშვილისაგან, ხიზანაშვილისგან და ფასიც სრულად გაუღიათ“.[3] აფართოებენ სათავისთაო, ინტენსიურ მეურნეობას: „დაფქვიაშვილ ივანეს და შვილსა ოტიას და ბეჟანს და მრავალსა სახლისა შენისასა ასე, რომ დაგვეჭირა და მოგყიდეთ ჩემი ალალი ნასყიდი ქუმიასშვილისეული და მალუასშვილისეული მამული...ოთხი დღისა... დავითისშვილის მიწის მიდგმამდი...ავიღევით ფასი სრული“.[4] კლიმიაშვილებისაგან განსხვავებით მათ ვერ მოახერხეს

---

[1] მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის, წიგნი II, (ვალი, იჯარა, ვაჭრობა), მასალები შეარჩიადა გამოსაცემად მოამზადა ნ. ბერძენიშვილმა, თბ.,1953, დოკ.#282, გვ. 202.

[2] სცსსა, ფ. 1450, დავთ. 30, საქმე 225, 231, 23, 239.

[3] სცსსა, ფ. 1450, დავთ. 30, საქმე 225.

[4] სცსსა, ფ. 1450,დავთ. 30, საქმე 227, 228.

სამოხელეო თანამდებობის მიღება, მძიმე უფლებრივი მდგომარეობისაგან თავის დაღწევის მიზნით, ამჯობინებენ მეფისთვის ეთხოვათ მფარველობა, როგორც ჩანს შედეგმაც არ დააყოვნა მდივანბეგის ცნობით:„...მეფის თეიმურაზის ოქმი აქვს... მოურავისა და მოხელეებისა, რაც მამული უყიდია იმისი სამყოფი წყალი მიეცითო...მეც ასე გწერთო რაც მაგ სარწყავში მიწა აქვს ამ დაფქვიაშვილს ივანეს ნასყიდი იმისი წყალი დაანებეთ ნუღარ აჩივლინებთ-ო“.[1] ამის შემდგომ, უფრო ინტენსიურად აგრძელებენ მიწების ყიდვას და მეურნეობის გაფართოება-„დამრგვალებას“ სოფელ რუისში[2] ყმებისგან შესყიდული მიწების ნასყიდობას დაფქვიაშვილებს უდასტურებს მთავარეპისკოპოსი კირილე (ციციშვილი-მ.მ.)[3] მათ მხოლოდ საკუთარი შრომითა და გარჯით შეუძენიათ დიდი ქონება, რასაც ამოწმებს ჩვენს მიერ მოკვლეულ წყაროში, გავლენიანი საერო და სასულიერო წარმომადგენლობა: „ჩვენ ქვემო მომწერალნი ერთობით რუისში მცხოვრებნი აზნაურშვილნი და სამღვდელონი კაცნი ხელს ვაწერთ ჭეშმარიტებით, რომ ასე ვიცით რომელიც ამ ნიკოლოზ დაფქვიაშვილისათვის თჳსი სამკვიდრო ყმანი და აზნაურშვილები წაურთმევია ციციშვილი გიორგისა... თჳთ ეს კაცნი მამითა და პაპათ ჩამომავლობით ამ ნიკოლოზის ყმანი არიან, არცარა ციციშვილის გიორგისათვის დაუშავებია ერთგულებისა და სამსახურის მეტი...უსამართლოდაც ერთმევათ ის თავიანთი ყმა-მამული ...არაფერი ციციანთაგან წყალობა არ აქვს ამ ნიკოლოზს. სულ თავის ნასყიდს მამულ-ალაგზე დგას, რომელი მრავალი სიგელი ხელთ უჭირავს ნასყიდობისა”.[4] ხელმომწერთა შორისაა თამაზ კლიმიაშვილი, ივანე მამაცაშვილი,...მოურავი - კლიმიაშვილი ტეტია, მამაცაშვილი დეკანოზი ზაქარია, გვერდწითელი მღვდელი მაქსიმე,

---

[1] სცსსა, ფ. 1450, დავთ. 30, საქმე 229 .

[2] სცსსა, ფ. 1450, დავთ. 30, საქმე 230, 231.

[3] სცსსა, ფ. 1450, დავთ. 30, საქმე 234, 237, 238, 239.

[4] ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ფ.Qd, საბ. 730.

სფირიდონ ალექსიძე... წ~ს ნიკოლოზის ყინწვისის არქიმანდრიტი. სათავადო აზნაურობიდან თავის დასაღწევად სამეფო ხელისუფლებასთან კიდევ უფრო დაახლოებას ცდილობს და როგორც ჩანს მიზანსაც აღწევს. 1771 წელს მეფისაგან იღებს სახელმწიფო ბეგარისაგან განთავისუფლებას, საკუთარ მამულში კოშკის აშენების სანაცვლოდ.[1] გიორგი ციციშვილი ვერ პატიობს ყმის ასეთ განდიდებას და მისი გვერდის ავლით სამეფო კართან დაახლოებას. მათ შორის დავის მოსაგვარებლად 1798 წელს იოანე ბატონიშვილი ავალებს მამუჩაშვილს დაფქვიაშვილები თავის ბატონთან მოერიგებინა".[2] ეს კიდევ უფრო დიდ შეურაცხყოფად მიუჩნევია სამეფო კარის გავლენიან თავადს, მეფის სიმამარს, სარდალ, გიორგი ციციშვილს, ვერ უპატიებია მისთვის ქვეშევდომობაზე უარი. ყმა-გლეხი წაურთმევია და თავის მამულში დაუყენებია. მათ შორის დავა ისეთ სერიოზულ დაპირისპირებამდე მისულა, რომ მისი თავიდან მოცილება თავად გადაუწყვეტია და უთქვამს: „ ვისაც გინდა ეყმეო". როგორც ჩანს გიორგი ციციშვილს არა მარტო სამკვიდრო, არამედ ნასყიდი ყმა-მამულიც წაურთმევია. მძიმე ეკონომიკურ და უფლებრივ მდგომარეობაში ჩავარდნილი დაფქვიაშვილი ციციშვილთან შერიგებას და მამულში დაბრუნებას ითხოვს, თუმცა თავადს ნება აღარ მიუცია:[3] „ კნიაზ ციციან~მა პაატაშვილმა გიორგიმ მოწმობა მთხოვა მისი და წინაშე ღვთისა ამისი დამსწრე და მოწამე ვარ, რომ დაფქვიაშვილს კიკოლას გაუწყრა ეს გიორგი ციციანოვი და უთხრა შენ აზნაურშვილი ხარ გინდ სახელმწიფოთ მიბრძანდი და თუ გინდა ვისაც შენი ნება არის ეყმეო. დავითაშვილები თავისის მამულ - დედულით სულ ჩამოართვა წელიწადია, რომ ამ ყმებზედა და მამულზედ ხელი აუმართა კიკოლასა და თითონ იმსახურებს ეს გიორგი კნიაზი. მიუხედავად იმისა, რომ სთხოვდა ერთგულად მსახურებას ციციშვილს აღარ

---

[1] ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ფ.Hd,საბ.,6029.
[2] ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ფ.Qd,საბ.730.
[3] ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ფ. Hd, საბ. 14708.

მოუსურვებია მისი მამულში დაბრუნება. არტილერიის გენერალ მაიორ ახუნდოვს და დავით ციციშვილსაც შეევედრა შუამავლობას დაფქვიაშვილი:„თავადს გიორგი ციციანოვთან დიდათაც ვეცადე რომ დაებრუნებინა თაჯსი აზნაურიშვილი, მაგრამ..არც ყმა მისცა და არც მამული...აღარც მისი ქვეშევრდომობა მოინდომა,“[1] როგორც ჩანს გავლენიანი ბიძაშვილის, დავით ციციშვილის თხოვნაც აღარ შეუსმენია.

ასევე საგანგებო ყურადღებას იმსახურებს აზნაურ მაღრაძეთა საგვარეულო, რომელიც ფეოდალური ძალმომრეობის გამო იძულებული გახდა მიეტოვებინა სამეურნეო საქმიანობა რაციონალური მეურნეობის მოწყობის მიზნით და დაგროვილი ფულადი რესურსები აქტიურად ჩაება ფულად-საკრედიტო ოპერაციებში.

აზნაურ მაღრაძეთა საგვარეულო პირველად ჯერ კიდევ XVII საუკუნის მეფე როსტომის დროს სარდალ - სახლთუხუცესს პაპუნასთან სამამულო დავისას მოიხსენიება.[2] მეფე შაჰნავაზის დროს (1658-75წწ.) სარდალ ზაზა ციციშვილის მკვლელობას მოჰყვა მისი სახლისკაცთა აწიოკება და მამულების ჩამორთმევა. მეფემ, როგორც ჩანს ზემო საციციანოს მამულები სახასოდ დაიტოვა, მაგრამ შეუსმენია სათავადო აზნაურთა თხოვნა-ვედრება არ გაეყარა თავიანთი მამულებიდან:[3] „...მამუკა მაღრაძე, ომან უზნაძე, ალექსი ალექსიძე, ლარაძე და ქურდვენიძე ჯთაც ჩემს სამკვიდროს სამწყერაძოზედ ესახლენ, შემომახვეწნენ და აღარ გავჰყარე. ბოსლეთს სამი კჯამლი კაცი ხუთათ გაყრილან. ლეთეთს სამი კვამლი კაცი ოთხათ გაყრილა...“ მაღრაძეთა ქონებაზე დავა დიდხანს გაგრძელებულა სარდლების პაპუნასა და ზაზას შთამომავლებს შორის და საბოლოოდ მაინც პაპუნასა და ედიშერს დარჩენიათ: „სარდლის პაპუნას შვილი ზაალ და მისი ძმისწულს ზაზას შვილი უთრუთ ზემო ციციშვილისა პაპუნასა და ედიშერს მაღრაძეს იასეს

---

[1] ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ფ. Hd, საბ. 3307.

[2] სცსსა, ფ. 1450, დავთ. 38 ,საქმე 57.

[3] ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ფ. Hd,საბ. 820.

და მის ბიძაშვილს გიორგისა და სამწყერაძიოს მამულს ამაებს შეცილებოდნენ... ერთმანეთს ამაზედ შეჯერდნენ, რომე: მაღრაძე და სამწყერაძიო მამული, ისევ პაპუნასა და ედიშერს დაანებეს.“ [1]

ერეკლე პირველის (1688-1703წწ.) მეფობისას მაღრაძენი მრავალრიცხოვნებით გამორჩეული და ეკონომიკურად დაწინაურებული ციციშვილთა სააზნაურო სახლია. ზემო და ქვემო საციციანოს სახლისკაცთა გაყრისას კვლავ სადაოდ გადაქცეულან: „ქვემო ციციშვილის სარდლის პაპუნას შვილი ზაალ და მისი ძმისწული სარდლის ზაზას შვილი უთრუთ წარმოდგნენ და ეს იჩივლეს: ოდეს თაობით ჩვენი სახლის კაცნი ერთობით ქვემო ციციშვილები მაგათს სახლს გამოვჰყრივართ და დავშორებულვართო, მაშინ აზნაურიშ - ვილი მაღრაძე, მამუკაშვილები და გიორგიშვილები და ხვედურეთს სამწყერაძო თქვენგან გამოგვყოლიაო...ეს ჩვენი აზნაურიშვილი მაღრაძე და ხვედურეთს სამწყერაძო მაგათ დაუჭერიათო, ჩვენსას ნუ გაიყოფენ, არას გვემართლებიან...მაგრამ სხვა ძველი და ახალი წიგნები ზემო ციციშვილებმაც მოიტანეს, რომე ამათაც უწინაც ჰქონებოდათ და ახლაც ჴელთ ეჭირათ და ჯერიც ითხოვეს. ასრე ფიცი შეგვიძლიაო, რომე: „ როდესაც ქვემო ციციშვილი ჩვენს სახლს გაჰყოდეს, არც მაშინ ეს აზნაურიშვილი მაღრაძე და სამწყერაძო გაჰყოლოდესო”[2]. ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში ჩვენს მიერ მოკვლეული დოკუმენტები, Hd-801; Hd-804; Hd-873 საკმაო საფუძველს გვაძლევენ ვივარაუდოთ, რომ აზნაურ მაღრაძეთა გვარი XVII საუკუნის მეორე ნახევარში რამოდენიმე ერთმანეთისაგან დამოუკიდებელ განშტოებებს ქმნის. სამამულო დავა თვით საგვარეულოს შიგნით სათავისთაო ქონების გამო დაწყებულა. თითოეული სააზნურო სახლი ცალკე დამოუკიდებელ მეურნეობას

---

[1] ქართული სამართლის ძეგლები, ტ. IV, სასამართლო განჩინებანი (XVI-XVIII სს.),ტექსტი გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ი. დოლიძემ, თბ., 1972, დოკ.#227, გვ. 313.

[2]ქართული სამართლის ძეგლები, ტ. IV, სასამართლო განჩინებანი (XVI-XVIII სს.),ტექსტი გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ი. დოლიძემ, თბ., 1972, დოკ.#137, გვ. 206.

აწარმოებს, მათი სათავისთავო ქონება და გავლენა საკმაოდ დიდია საციციანოში. იმავდროულად ბაკა მაღრაძეს საციციანოში მაღალი სამოხელეო სახელო - სახლთუხუცესობა მიუღია. სათავადოს სამოხელეო შემოსავალი და გავლენა სახლთუხუცესისა რა თქმა უნდა აუმჯობესებდა თავის ეკონომიკურ მდგომარეობას, იძენდა ყმა-მამულს, აქტიურად იყო ჩაბმული საგვარეულოს წევრთა სამამულო დავებში: „ჩვენ ბატონი ციცი, არაგვის ერისთვიშვილი ნუგზარ, ჩხეიძე ქაიხოსრო და მისი შვილი თეიმურაზ, ქსნის ერისთავის ბოქაულთუხუცესი ჩერქეზი, აბაშიძის სახლთუხუცესი სავანელი თამაზა და ერთობილნი საციციანო აზნაურიშვილები მოვედით ყრისის ჯევს. სახლისუხუცესი ბაკა და მაღრაძე მამუკა ცილობდენ მთასა და ძველითგან მამა პაპათაგან ჩვენთა გაერიგებინა და იმათს გარიგებულს აღარ დაჯერებულ იყუნენ; კიდევე ცილობდენ...“ ციცი ციციშვილის დამოწმებით მოდავე მხარეები მოურიგებიათ,“...ასრე გაგვირიგებია ერთმანერთთან ძმობისა და მოყურობის მეტი ჯელი არა აქუთ.“[1] მიღწეული მორიგებით კმაყოფილი არ დარჩენილა მამუკა მაღრაძე, სათავისთაო ქონების შესანარჩუნებლად ამჯობინა მეფისთვის ეთხოვა მფარველობა. ნაზარალიხანისაგან იღებს აშკარა მხარდაჭერას რათა, ციცი ციციშვილის ხელყოფისაგან დაეცვა სათავისთავო საკმაოდ დიდი ქონება. რომლის რაოდენობაზე წარმოდგენას გვაძლევს მამუკა მაღრაძის მამულების ნუსხა, რომელიც დაახლოებით 1683 წლითაა დათარიღებული: „მე მაღრაძე მამუკამა, ბიძის ჩემის ფაზიას ნაქონი მამული სასახლე, მისი ბოსტნითა ერთი მისი სახასო ვენახითა, მისი სასაფლაოთი გძელი მიწა ერთი...ურჯამელაშვლის მამულითა, გაბრიელა რისაც მქონებელი არის, ქოქუაშვილი რისაც მქონებელი არის, მისი მამულითა, ვენახს გარდა... დაბრუნდაშვილის მამული, მიწითა, წყლითა, წისქვილითა, ბოსტნითა, სასახლითა და სასაფლაოთი, ღუჯს ჯავახიშვილი რისაც მქონებელი არის, მისი მამულითა, მიწობს

[1] ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ფ. Hd, საბ. 801.

ჯალაბაშვილის სახლკარი, ნაფუზარი მისი მიწებითა რისაც მქონებელი არის, ...იქივ ნასყიდი სასახლე მეცხვარე რომ ესახლა, იქივ ჯადრიაშვილისაგან მოსყიდული ვენახი ჯნაჭ იქივ დათუა მულქან ბიძისაგან მოსყიდული. მიწა ერთი და საბოსტნე ერთი, იქავ მულქან ბიძის შოშიასაგან მოსყიდული მიწა ერთი, იქავ გაბუაშვილისაგან მოსყიდული სასაფლაო... იქავ პაპიაშვილისაგან მოსყიდული მიწა ერთი დღისა, იქავ მიწობს არს სამკვიდრო ხოდაბუნი იქით ჭალის პირამდი და აქათ სამძღვრმდი, კიდევ სახასო ერთი, ხოდაბუნი ტრანკაშვილისაგან მოსყიდული ერთი. ყრცისის ბოლოსა, იქავ ჩაკასაგან მოსყიდული მიწა ერთი ტრანკაშვილისაგან ...მოსყიდული მიწა ერთი იქავ, ჭ...ში გვერდწითელისაგან მოს-ყიდული მიწა ერთი. შრატიაშვილისაგან მოსყიდული მიწა ყრისის ხევს ერთი; იქივ თუთუშიძისაგან მოსყიდული პატარა მიწა ერთი; იქივ ბალ[ო]კაძისგან მოსყიდული მიწა ერთი საბოსტნე ერთი, იქით სახნავი ნახევარდღისა, იქივ შრატიაშვილისგან მოსყიდული საბოსტნე. ერთი მთიულიშვილი, უმამულო. დემეტრაშვილი მისი მამულითა, კიდევ მისი განაყოფი მისი მამულითა. ჯანთუა მისი მამულითა. ხუციშვილი მისი მამულითა, მგელიაშვილი მისი მამულითა, ბესიაშვილი მისი მამულითა, საროზანაშვილი მისი მამულითა. ღუჯს ლაცაბიძე მისი მამულითა, მისი განაყოფი მისი მამულითა, ჩემი ნასყიდი სასახლე ნაფუზარი, ორი ვენახი, ბოსტანი და წისქვილი. ხელმწიფის ბრძანებითა მე სულბათ იასაული ჭილაშვილი ბეჟან გავყავ მაღრაძე მამუკასა რაც ამ ნუსხაში წერია სამკვიდრობითა და ნასყიდობით გამო.“ [1]

მეფე ნაზარალიხანის 1701-1703წწ. განჩინებებით მაღრაძეთა საგვარეულო მამულებს ფლობდნენ სამწყერაოზედ, ლეთეთს,[2]

---

[1] ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ფ. Hd, საბ. 821.

[2] ქართული სამართლის ძეგლები, ტ. IV, სასამართლო განჩინებანი (XVI-XVIII სს.), ტექსტი გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ი. დოლიძემ, თბ., 1972, დოკ.#127, გვ. 194-195.

ხვედურეთში[1] და აფართოებენ მამულებს ზემო საციციანოში XVIII საუკუნის პირველ ნახევარში. [2]

XVIII მეორე ნახევარში მაღრაძეთა სათავადო სააზნაურო საგვარეულოს შესახებ ცნობები მწირეა, რაც სახასო აზნაურობაში გადასვლით აიხსნება. მაღრაძეთა ერთ-ერთ შტოზე მნიშვნელოვან ცნობებს გვაწვდის 1729 წელს მირველ თუმანიშვილის გადაწერილი დასტურლამალი გორის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის უძველესი ხელნაწერი (#138), რომელიც ქრონოლოგიურად ვახტანგ მეექვსის დედანთან ყველაზე ახლოს დგას, თუმცა ჩანს მერმინდელი ჩანართები. ხელნაწერი რომ პროტოპოპი გიორგი მაღრაძის საკუთრებაა, ამაზე მიგვანიშნებს ხელნაწერის ყდის შიგნით ცალკე ფურცელზე, ტექსტისაგან განსხვავებული ხელით, XVIII საუკუნის მეორე ნახევრის მინაწერი: „ პროტოპოპი გიორგი მაღრაძე.“ ჩვენი საკვლევი თემისთვის საინტერესოა ვრცელი მინაწერიდან ამონარიდი: „მაღრაძე ქუმსის ძე გიორგი დაიბადა აპრილის: ი:ქკს: ულბ (1744).

მაღრაძე გიორგი მთავარდიაკვნად ჴელდასმულ იქნა იანვრის: იბ: ქკს: უიე:(1777)

მაღრაძე გიორგი მღვდლათ ჴელდასმულ იქნა იანვრის: კვ: ქკს: უოა: (1783)

...გიორგი მაღრაძე ყიზილბაშშინ შირაზს წავიდა დეკემბრის: გ: ქკს: უიგ(1773)

გიორგი მაღრაძე ყიზილბაშიდამ მოვიდა დეკემბრის: იე: ქკს: უიდ(1776)

ჩანაწერის მიხედვით პროტოპოპი გიორგი მაღრაძე რუსეთს წასულა თავისი დისწულის იოანე კლიმიაშვილის თანხლებით, რაჭის გზით 1783 წლის თებერვალს. მოუვლიათ „ყირიმი, პოლშა, ნოვა[როსია?] ელისაბედის ქალაქი, ეკატირინესლავი, კლემენჩუკი, კიავი, ალექსანდრია, ნიჟნა დუბნა, ხარკოვი, ბელაგოროთი,

---

[1] იქვე, დოკ. # 137, გვ.206-207.

[2] იქვე, დოკ. #227, გვ.313.

ცარიცინი,...., ვორონიში, ნახჩივანი, ჩერქეზ ქირმანი, სტავროპოლი, ასტრახანი, ყიზლარი, მოსდოგი და ხევზე მოვედით ქართლში მშვიდობით და უვნებლად დეკემბრის: იე: ქკს: უოდ (1786წ.). ტექსტი მთავრდება გიორგი მაღრაძის ხელრთვით. ტექსტის გაცნობა ინტუიციურ დონეზე, სრულ შთაბეჭდილებას გვიქმნის, ავღნიშნოთ რომ რომ იგი საკმაოდ განათლებული, მწიგნობარი, ენების მცოდნე, მშფოთვარე და ბურუსით მოცული ცხოვრებით ცხოვრობდა. ვეთანხმებით ვ. გაბაშვილის მოსაზრებას 1773-76 წლებში ირანის ქალაქ შირაზში, ქერიმ-ხან ზენდის კარზე შეიძლებოდა ყოფილიყო წარგზავნილი.[1] არ გამოვრიცხავთ, როგორც განსწავლულ სასულიერო პირს, ანტონ კათალიკოსისგან ჰქონოდა ნდობა და სათანადო ყურადღება. შესაძლოა, სწორედ ამიტომ მიანდო მას მეფე ერეკლემ საგანგებო დავალება. როგორც ჩანს წარმატებით უნდა დაგვირგვინებულიყო მისი სამწლიანი სამსახური შაჰის კარზე. ამაზე ხაზგასმით მიგვანიშნებს ის ფაქტი, რომ ირანიდან დაბრუნებული მაღრაძე გიორგი ჯელდასმულ იქნა მთავარდიაკვნად 1777 წლის იანვარს. არ უნდა იყოს შემთხვევითი მისი მეორედ გამგზავრება უცხო ქვეყანაში, რუსეთში. შესაძლოა მეფე ერეკლეს დავალებით დიპლომატიურ საქმიანობას, კერძოდ - 1783 წლის ტრაქტატის დადებას უკავშირდებოდეს. თავისი დისწულის იოანე კლიმიაშ - ვილის თანხლებით მოუვლია ყირიმი, პოლონეთი და სამხრეთ რუსეთის მთავარი ქალაქები. ვფიქრობ, მოგზაურობისას ეწეოდა კომერციულ საქმიანობასაც. არ გამოვრიცხავ სავაჭრო გამოცდილება სწორედ ირანში ყოფნისას შეეძინა. იგი კარგა ხანს რჩება რუსეთში და მხოლოდ 1786 წელს, დაგროვილი ფულადი რესურსებით ბრუნდება სამშობლოში. უცხოეთიდან დაბრუნებულს ბატონის ყმობიდან გამოსასყიდი თანხით თავი დაუხსნია, ყმა-მამული შეუძენია და საკუთარ ინტენსიურ მეურნეობას ეწევა. მეფე ერეკლეს

[1] ვ. გაბაშვილი, დასტურლამალის 1729წ. ხელნაწერი, მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ.30, თბ.,1954, გვ.86-87.

გარდაცვალების შემდეგ, რადიკალურად შეცვლილა მისი მდგომარეობა. 1800 წელს მდივანბეგობის სახელოს იღებს ნიკოლოზ ციციშვილი, მეფე გიორგის გაფრთხილებას „მდივანბეგობა გიბოძეთ. როგორც მდივანბეგობის რიგი იყოს და მართებული ისე უნდა იმდივანბეგეო.“[1] ადვილად ივიწყებს და თანამდებობის მიღებისთანავე სადაო გახდა არა მარტო მაღრაძის მებატონისაგან გათავისუფლება, არამედ მისი ნასყიდი ყმა-მამულის საკითხი. ნიკოლოზ ციციშვილს 1800 წელს 25 სექტემბრს მეფისათვის მიუმართავს არზით:“ ოცდაშვიდი თუმანი მიბარებია ჩემო ხელმწიფევ, წიგნები გახლავსთ. ახლა ასორმოც თუმანს ამბობს, ყმასა და მამულს მართმევს. ამაზედ ყური მამიგდევით ...კიდევ მიანგარიშონ, რაც დამედება მივცემ. ჩემი ყმა და მამული მე დამნებდეს.[2] ირანსა და რუსეთში ხანგრძლივმა ხიფათით სავსე მოგზაურობამ როგორც ჩანს, სრულიად შეცვალა მისი ცხოვრების წესი. გიორგი მაღრაძე უსამართლობას და ძალადობას ადვილად არ ეგუება, ცდილობს მებატონისგან ძალით დაიბრუნოს კუთვნილი ქონება. ციციშვილი ამის თაობაზე მოახსენებდა მეფეს, 1800 წლის 8 ოქტომბრის არზაში: „ასე უსამართლოდ, ხელი აუმართავთ, აქ დოესს აუკლიათ ჩემი კაცები-ო“.[3] გიორგი მაღრაძის წინააღმდეგობით აღშფოთებული მებატონე მეფეს ახალ,1800 წლის 16 ნოემბრის არზაში მოახსენებდა: „...ამ მაღრაძე ხუცისაგან ილაჯი აღარა მაქვს. ამას წინათ მიმიხდუნა იასაული და შვიდი სული ხარი და ძროხა წამართვეს. მოგახსენე და თქვენის ოქმითა და იასაულით გამოვართვი. ახლა კიდევ ოქმი აუღია და იასაული გაუგზავნია ჩემს კაცებზედ ხელის ასამართავათა. ჴელმწიფევ გამიკითხეთ, ქრისტიანობა არის. ვისთან მომცა ასორმოცი თუმანი და სად მამცა?

---

[1] სცსსა., ფ. 1448 ,საქმე 5084.

[2] ქართული სამართლის ძეგლები, ტ.VIII, სასამართლო არზა-ოქმები და კერძო-სამართლებრივი აქტები, ტექსტები გამოსაცემად მოამზადა და შენიშვნები დაურთო ი. დოლიძემ, თბ., 1985, დოკ.#696, გვ.674.

[3] იქვე, დოკ.#698, გვ.676.

ეს კაცი ასე მიკლებს, ეს მოწყალება მოიღეთ, ის კლიმიაშვილიც აქ დაიბარეთ და ვინც ამ საქმეში დამსწრენ[ი] არიან, ისინიც. თქვენს შვილს იოანეს უბრძანეთ, მოსამართლენი დაისხას და ჭეშმარიტი სამართალი განსაჯოს. მოწყალებას ვითხოვ, უსამართლო ნურც კაცნი მერთმევიან და ნურც მე ვხდები. იმ ჩემს აზნაურიშვილს ჩემი ბატონყმობა არ უნდა და ის მტანჯავს. მაღრაძე მოყვარე არის შეთარხმებული... გაუკითხავად ვხდები და ნუ წამახდენთ. ჭელმწიფევ უსამართლოდ. ამ მაღრაძემ ჯერ აზნაურშვილი მომპარა, რუსეთს წაიყვანა, ოთხი წელიწადი იქ გახლდა. იქიდამ მოვიდნენ, თეთრი მოიტანეს. ახლა ყმასა და მამულსაც მართმევენ."[1] დავის პროცესში დოკუმენტები, ხშირად ტენდენციურია და ამა თუ იმ მებრძოლი მხარის ინტერესებითაა აღწერილი. ამიტომ მოვიძიეთ დამატებითი საბუთები და შედარებითი ანალიზით შევეცადეთ რეალური ისტორიის დადგენას. რეალობა კი ასეთი აღმოჩნდა: საბუთები მას საკმაოდ მკაცრ მებატონედ ახასიათებენ. 1801 წლის 13 იანვარს რუისელების გამოსაღების არზაში, ბატონიშვილ თეიმურაზს მოსახსენებელში სთხოვენ ნიკოლოზ ციცისშვილის ყმები გათარ-ხნებას ერთი წლით მაინც, გაუსაძლისი გაჭირვების გამო: „... სულ აგვიკლეს; პურით, ქერით, ღვინით, საქონლით; რაც გვებადა, სარჩოსაგან გაგვაყენეს; სულების მეტი აღარა შეგვრჩა რა." მართლაც, მძიმე მდგომარეობაში მყოფი ყმები ბატონიშვილის გადაწყვეტილებით გაუათარხნებიათ.[2]

ნიკოლოზ ციცისშვილი მეფესთანაც ტენდენციური და კატეგორიულია. განგებ ამძიმებს თავის მდგომარეობას არზაში, მაშინ როცა, მარტო ყმა-მამულის შემოსავლების გარეშე, მდივანბეგობის სამოხელეო სარგოს -700 მანეთს იღებდა.[3] რაც

---

[1] ქართული სამართლის ძეგლები, ტ.VIII, სასამართლო არზა-ოქმები და კერძო-სამართლებრივი აქტები, ტექსტები გამოსაცემად მოამზადა და შენიშვნები დაურთო ი. დოლიძემ, თბ., 1985, დოკ.#717, გვ.690.

[2] იქვე, დოკ.#737, გვ.707-708.

[3] Акты , собранные Кавказской Археографической Комиссией, 1868, II, #57.

შეეხება არზაში მოხსენიებულ იოანე კლიმიაშვილს, გიორგი მაღრაძის დისშვილს, მის კანონიერ უფლებას ყმობიდან წასვლის შესახებ არ სცნობდა. სწორედ მდივანბეგს ევალებოდა სამართალწესრიგის დაცვა ადგილზე, ამიტომ უიმედო, უპერ-სპექტივო ბრძოლას თავისი მრავალსულიანი ოჯახის გამო ამჯობინა, დაეთმო პირადი თავისუფლება, სამკვიდრო და ნასყიდი ყმა-მამულის დაბრუნების სანაცვლოდ და ისევ ნიკოლოზ ციციშვილის ყმობაში დარჩენილიყო: „ესე წიგნი მოგართვით ჩვენ კლიმიაშვილმა იოანემ შვილმა ჩემან თქვენს ჩვენს ბატონს ნიკოლოზ ციციშვილს, დივანბეგის შვილსა თქვენსა იოანეს, რევაზსა და დავითსა, ასე რომ ჩვენ თქვენთან თქვენი მოწყალე გული ცოტა რაზედმე შემდურდა მოველ და შემოგევედრე და თქუენი მოწყალე გული გამომიბრუნე და შემივედრე...თქვენს ბატონყმობაზედ ხელი ვერ ავიღეთ. ჩვენ ჩვენი თავი მოგვიტანია თქვენთანა ყმათა და ასე უნდა გემსახუროთ როგორც თქუენი მამა პაპისათვის გჯმსახურია დღეს და დღეის იქით. აღარცარა შეგცოდოთ და აღარცარა თქვენი ერდგულობისა და სამსახურის მეტი არა ვქნათ რა. დღეის იქით თუ შეგცოდოთ და დავაშაოთ რამე თქვენზედა ღვთისაც შემცოდე ჯიყვნეთ და თქვენიცა რახან აზნაურიშვილი გახლავარ თქვენს მეტი ბატონი არა მინდოდეს არც მე და არც ჩემს შჯლებსაც არც სხვა ციციშვილთან საბატონოდ საქმე არა მქონდესრა...“[1] ნიკოლოზ ციციშვილის ქვეშევრდომობას არაერთი დოკუმენტი ადასტურებს.[2] ხელნაწერთა ეროვნულ ცენ-ტრში მოკვლეული საინტერესო საბუთების [3] მიხედვით მათ შორის დავა კვლავაც გაგრძელებულა.

ამ მწარე რეალობის თვითმხილველ მაღრაძეს ისღა დარჩენოდა ყმობისგან თავდასაღწევად მეფის მხარდაჭერისთვის მიემართა.

---

[1] ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ფ.Hd, საბ.14 708.

[2] მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის, წიგნი II, გვიანფეოდალური ხანა, (ვალი, იჯარა, ვაჭრობა)მასალები შეარჩია და გამოსაცემად მოამზადა ნ. ბერძენიშვილმა, თბ.,1953, დოკ. #209, გვ.153.

[3] ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ფ. Hd, საბ.14712; ფ. Sd, საბ. 3310.

დავით ციციანოვი მის შთამომავალს მეფე გიორგი XII-ის მოძღვრად მოიხსენიებს 1815 წლის 12 ოქტომბრის-გორის მაზრის სასა-მართლოსადმი ვალის თაობაზე, თუმანიანთ მიერ აღძრული საჩივრის პასუხში:„ 1809 წელსა აგვისტოს დღესა...მოვახსენე თუმანიანთ პასუხად, რომ..ოქმიც მოეტანინებინათ და ამასთანვეცა ეკითხათ ფიცით იმ მეფის გიორგის მოძღვრის იოსებ პროთო პაპისათვის, რადგან იმან გამომიტანა ის ოქმი და მეფემ ოდეს ზედმიწევნით სცნა გარდახდა იმ ვალისა, თამასუქიც აღარ დაუბრუნა იმ თუმანოვთა და დასდვა უქმად, რადგან სრულიად გარდახდილი გვქონდა.“[1] თავად გიორგი მაღრაძემ დავით მემკვიდრის 1801 წლის ოქმიდან ჩანს, რომ მეფის დახმარებით შემ- ლო მდივანბეგის ყმობიდან განთავისუფლება:[2]„ ქ.მაღრაძეს გიორგი მღვდელთან, იმის ძმისწულებთან, იმათ გლეხკაცთან კი საქმე არა აქვს.“ ყმა-მამულის გირავნობის წიგნებში ხშირად მოწმეთა შორის მოიხსენიება. ფართოდ ეწეოდა ფულადი თანხების სესხად, (გირავნობით) გაცემას პროცენტებზე. ამდენად, კრედიტის გამცემად გვევლინებიან აზნაურები, რაც მეორის მხრივ ქვეყნის ეკონომიკური წინსვლის ერთ-ერთი მაჩვენებელიცაა.

რაც შეეხება ციციშვილების აზნაურთა საგვარეულოს, 1783 წლის ტრაქტატზე დართული სიის მიხედვით, საციციანოში სულ 34 სააზნაურო სახლი იყო:[3]

1. მეღვინეთხუციშვილი
2. კლიმიაშვილი
3. დეკანოზისშვილი
4. წინამძღვრისშვილი

---

[1] მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის, წიგნი II, გვიან-ფეოდალური ხანა, (ვალი, იჯარა, ვაჭრობა,),თბ.,1953 დოკ. #294, გვ.213 .

[2] ქართული სამართლის ძეგლები , ტ. VIII, სასამართლო არზა-ოქმები და კერძო-სამართლებრივი აქტები, ტექსტები გამოსაცემად მოამზადა და შენიშვნები დაურთო ი. დოლიძემ, თბ., 1985, გვ.735

[3] ქართული სამართლის ძეგლები, II ტ, საერო საკანონმდებლო ძეგლები (X-XIX სს.), ტექსტი გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ი. დოლიძემ, თბ., 1965, გვ. 487-488.

5. ორჯონიკიძე
6. უთრუთიშვილი
7. ალიბეგისშვილი
8. დანდლისშვილი
9. სტელისშვილი
10. დაფქვიაშვილი
11. ქართველისშვილი
12. აბრამისშვილი
13. ობლიძე
14. მაღრაძე
15. ალექსიძე
16. ბუნიათისშვილი
17. მუჩაიძე
18. გულბადისშვილი
19. ბუღუტაური
20. ფურცელაძე
21. ჩინჩალაძე
22. ქურდევანიძე
23. ჩაკაშვილი
24. იონათამიშვილი
25. მწყერაძე
26. საყუარელიძე
27. ალიყულაშვილი
28. საფარაშვილი
29. გვარამაძე
30. საამისშვილი
31. ავალდაშვილი
32. ხუცისშვილი
33. ტაბარაძე[ხაბარაძე]
34. რევაზისშვილი

საციციანოს აზნაურთა ეს ნუსხა სრულყოფილად ვერ ჩაითვლება. გამოტოვებულია რამოდენიმე სააზნაურო სახლი. საციციანოს ყმა-მამულთა ნუსხებში, გაყრისა და წყალობის წიგნებში აშკარად ჩანს ამ აზნაურთა საგვარეულო ყმა-მამული, რომლებიც სხვადასხვა მიზეზების გამო ვერ მოხვდნენ 1783 წლის ტრაქტატის სიაში. ამის სხვადასხვა მიზეზები სახელდება.

გვერდწითელთა სააზნაურო სახლი ყმა-აზნაურებად ეკუთვნოდათ ციციშვილებს.[1] 1823 წელს დავით ციციანოვი აზნაურობის მოწმობის წიგნს აძლევს გვერდწითლებს და მიუთითებს, თუ რატომ ვერ მოხვდა ეს გვარი სიაში: „ტრაქტატსა შინა არ არიან მოხსენებული, ამის მიზეზი ის არის, რომ როდესაც ტრაქტატი შეუდგენია ირაკლი მეფეს. მამაჩვენი სპარსეთში ყოფილა ელჩად და გვერწითლები უფროსნი კაცნი თან ხლებიან. ჩემის აზნაურების აღწერა მინდობია თავადს მოურავს დავითს ციცია

[1] ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ფ. Hd, საბ. 8516, 855; ფ. Ad, საბ. 911, 511; ფ.Qd, საბ.1026, 798.

კაცების მტრობით და შურით არ დაუწერია, თორემ ესენი ჩვენგან პატივცემულნი და ჩინებულნი აზნაურნი ყოფილან."[1] ციციშვილთა გაყრილობის წიგნებსა და ყმების ნუსხებში, გვერწითლები ხშირად მოწმეთა შორის მოიხსენიებიან. [2]

იასე აბაშიშვილი იმერეთიდან გადმოსულა და დავით ციციშვილს წყალობის ყმად მისვლია. გაწეული ერთგული სამსახურისთვის 1782 წელს ციციშვილი უბოძებს მამულს და სხვა წყალობასაც ჰპირდება:„კიდევ წყალობა გიყოთ, მამული მოგიმატოთ და სახელო მოგცეთ და ვითარცა ჩვენს აზნაურიშვილთ წესი და რიგია, ისე გამყოფოთ." პირობის მიუხედავად მებატონეს ტრაქ-ტატის სიაში არ შეუტანია.[3]

ტერტერაშვილები, XVII-XVIII საუკუნეების ყმათა ნუსხებში აზნაურებად იწოდებიან,[4] თუმცა მეორე შტო ტერტერაშვილებისა, გლეხებად მოიხსენებიან.[5] XVIII საუკუნის ბოლოს მათი აზნაურობა როგორც ჩანს სადავო გამხდარა, ამიტომაც მიუმართავთ იულონ ბატონიშვილისათვის 1796 წლის 21 დეკემბერს არზით, სადაც მოწმეები მათ აზნაურიშვილობაზე იფიცებიან: „ქ. ღმერთმან ბატონიშვილი იულონის ჭირი დუელს (სოფ. დოესი) ტერტე-რაშვილებს მოგვცეს. ჩვენს მეზობლებს ჩვენი თავი მოხარჯე კაცათ შემოუსმენიათ. ჩვენი აზნაურშვილობის მოწამე მთელი საციციანო გახლავთ, რომ აზნაურშვილები გახლავართ. ამას ვითხოვთ, რომ მტრის ენით და შებეზღებით ჩვენ ხარჯი არავინ შემოგვაწეროს, თქვენად გასამარჯვებლად. იმდენი გამარჯვება გაქვსთ, რამდენი გადმოვარდნილი აზნაურშვილნი სხვანი გახლდნენ, რომ ხარჯი არ ეთხოვებოდესთ..."მათი აზნაურიშვილობის მოწმეთა შორისაა

---

[1] ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ფ.Ad, საბ. 911.

[2] სცსსა, ფ.1448, საქმე 5010, 557, 504 ; ფ.1449,საქმე 868, 869

[3] ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ფ. Hd, საბ. 3971.

[4] ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ფ.Hd, საბ. 875, 873, 804.

[5] ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ფ.Sd, საბ. 928, 929; ფ. Ad, საბ.1358; საბ.1429.

გიორგი მინბაში.„...მე მინბაში გიორგი ამას მოვახსენებ ჩვენს ჴელმწიფის შვილს, რომ ამ ტერტერასშვილსა გაგონითაც აზნა-ურის შვილათ გამიგონია და ცოდნითაც ვიცი, რომ აზნაურისშვილი არის-ო.“[1]

უზნაძეთა საგვარეულო, ტრაქტატის სიაში ვერ მოხვდა, მათი აზნაურობა ციციშვილთა საგვარეულოში დოკუმენტურად მტკიც-დება. ქრისტინე შარაშიძე ხაზგასმით მიუთითებს სამცხის მკვიდრ უზნაძეთა საგვარეულო სახლის შესახებ. [2] XVII საუკუნის დამდეგს შენმასურ უზნაძე, სხვა აზნაურების გვერდით ქაიხოსრო და მერაბ ციციშვილების აზნაურებად იხსენიებიან მეფე ლუარსაბ I-ის წყალობის წიგნში, სადაც ვეცნობით საციციანოს სხვა აზნაურთა სახლებს: „ესე წყალობის წიგნი და ნიშანი შეგიწყალეთ და გიბოძეთ ჩუენ მეფემან პატრონმა ლუარსაბ თქუენ ციცისშვილისათვის ქაიხოსროს და მერაბს ... მოკითხული ვქენით; ზოგი თქუენი სამკვიდრო და ზედ სანაცლოდ მოგეცით ნიჩბისი, უ́ფლისა [უფლისციხე], დოესი, ავკეთი, ახალდაბა, ქვენაფლიჯ, ღვ́ვს [ღვლევი]. აზნაურშვილი შენმასურ უზნაძე, დაჯით სიხულარისძე, ივანე ალექსიძე, მერაბა მთიელი, ესეებითა და სახლ-მამულითა მქონებელნი ყოფილან და ანუ არიან.“[3] ციციშვილებსა და უზნაძეთა შორის ურთიერთობა მკვეთრად შეცვლილია. XVII საუკუნის ბოლოს. განაწყენებულ უზნაძეთა შემოსარიგებლად და მათ მამულში დასაბრუნებლად პირობის წიგნსაც სთავაზობენ. ციცი ციციშვილმა და ძმამ ქაიხოსრომ თავიანთ აზნაურიშვილს ანზორ უზნაძეს წიგნი მისცეს:” ცოტა საქმეზე შემოგვწყერი და ჩვენს ბიძაშვილებთან მიხველი, აწე შენისავე ნდომებით შემოგვირიგდი. საჴელოთ კარალეთი გქონდათ და ბატონმა გამოგვართვა [თუ] კარალეთი

---

[1] ქართული სამართლის ძეგლები, ტ. VIII, სასამართლო არზა-ოქმები და კერძო-სამართლებრივი აქტები, ტექსტები გამოსაცემად მოამზადა და შენიშვნები დაურთო ი. დოლიძემ, თბ., 1985, გვ.403-404

[2] ქრ.შარაშიძე, საქართველოს ისტორიის მასალები (XV-XVIსს.), თბ., 1961, გვ. 35.

[3] ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ფ.Ad, საბ.1410.

ვიშოვნეთ შენი სახელო ისევ მოგცეთ თუ არა და...სანაცვლო საჴელო საქურდევანიძო მოგცეთ."[1] XVIII საუკუნის დამდეგისათვის წყაროები საციციანოში ამ გვარის მხოლოდ ორი კომლზე მიუთითებენ სახელოდ კი მიცემული აქვთ კარალეთის მამული.[2] გარდა ზემოთ ჩამოთვლილი აზნაურთა საგვარეულოებისა, ტრაქტატის სიაში ვერ მოხვდნენ აზნაურები, ალადასშვილები და დედანაშვილები, მათ სათავადო აზნაურობას ადასტურობს ჩვენს მიერ მოკვლეული საარქივო მასალა.[3]

ტრაქტატის სიაში მოხვედრილი სტელიშვილების სააზნაურო სახლი, XVIII საუკუნის ბოლოს ყმა-მამულის გარეშე რჩება. 1798 წელს ნიკოლოზ და ამილღაბარ ციციშვილები, წილის ბარათით სტელისშვილების მამულს თავად იყოფენ: „თავიანთ შეფარდებით აზნაური შ[ს]ტელიშვილი უმამულოთ ერგო ციცის-შვილს ნოდარის შვილს ნიკოლოზსა და ამის ძმას ამილღაბარს ერგო აზნაურის შ[ს]ტელისშვილის ფარდათ გოდერძისშვილი უმამულოთ..."[4] ჩვენამდე მეტად მცირე ფრაგმენტულმა ცნობებმა მოაღწია წინამძღვრიშვილების,[5] ალექსიძეების, მუჩაიძეების, რევაზიშვილების,[6] ბუნიათისშვილების,[7] ალაიბეგისშვილის,[8] ფიფიაშვილის, ფხაკაძეების, მანველიშვილების, ფრანგიშვილების[1] სააზნაურო საგვარეულოებზე.

---

[1] ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ფ. Hd, საბ.1789.

[2] ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ფ. Hd,საბ.873; Hd, საბ. 1789.

[3] სცსსა, ფ. 1450, დავთარი 38, ს. 57, ს.101.

[4] დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან, II, ბატონყმური ურთიერთობა (XV-XIXსს) ბერძენიშვილის რედაქციით თბ.,1953 დოკ.#315. გვ195;

[5] სცსსა, ფ.1448,ს.5041; ქართული სამართლის ძეგლები, ტ.IV, სასამართლო განჩინებანი (XVI-XVIII სს.) ტექსტი გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ი. დოლიძემ, თბ., 1972, დოკ. #132, გვ. 200.

[6] ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ფ.Hd, საბ.7886; საბ. 873

[7] ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ფ.Hd, საბ. 5210; ფ.Hd, საბ. 2377.

[8] სცსსა, ფ. 1450 დავთ. 51, საქმე 20.

ამ აზნაურთა დიდ ნაწილს საუკუნის დასასრულამდე ციციშვილთა ყმობიდან თავი დაუღწევიათ და სახასო აზნაურობა მიუღიათ.

ზემოთ განხილულ სათავადო აზნაურთა მიერ სამეურნეო საქმიანობის ამსახველ დოკუმენტებს, შემოსავლის და გასავლის აღრიცხვის, სავაჭრო პროდუქციის და მოგების დაანგარიშების ნუსხებს, მეურნეობაში მომუშავე ყმა-გლეხების მოზიდვის და მათი შრომის ანაზღაურების მასალებს, მეურნეობის ტექნიკური გაუმჯობესების გადაწყვეტილებებს სამწუხაროდ ჩვენამდე არ მოუღწევია, ამიტომ აზნაურთა რაციონალური მეურნეობის სტატისტიკური მონაცემების ნაცვლად, მასალები მხოლოდ ვარაუდის და ინტერპრეტაციის შესაძლებლობებს გვიტოვებდა. მიუხედავად ამისა, სათავადო აზნაურთა მცირე ნაწილის მიერ გეგმაზომიერმა და მიზანმიმართულმა ინდივიდუალური ინტენსიური მეურნეობის შექმნის ზოგადმა მასშტაბებმა, საფუძველი მოგვცა წარმოგვედგინა პროგრესული ხასიათის ცვლილებები და ოპტიმალური გადაწყვეტილებები საციციანოში რაციონალური მეურნეობის შესაქმნელად, რომელსაც სამეფო კარის მხარდაჭერის მიუხედავად, ფუნქციადაკარგული სათავადო სისტემა, სხვა საშინაო და საგარეო ფაქტორებთან ერთად, ყოველმხრივ აფერხებდა სოფლის მეურნეობაში კაპიტალიზმის განვითარების კონტურებს.

---

[1] ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ფ.Hd, საბ. 1636; სცსსა. ფ. 1448, საქმე 5041, ფ.1449, საქმე 868; 1450, დავთ 38, საქმე 202.

2. სამეფო აზნაურები

XV-XVI საუკუნეებში ციციშვილთა საგვარეულო სახლის განუსაზღვრელი უფლებებით შევიწროებულ სათავადო აზნაურებზე, XVII საუკუნის 30-იანი წლებიდან შეიმჩნევა, შედარებით გაძლიერებული სამეფო ხელისუფლებისგან, მათი დაწინაურება, მფარველობა, აზნაურთა უფლებებისა და საკუთრების დაცვა. ქვეყანაში მიმდინარე სოციალურ-ეკონომიკურმა და პოლიტიკურმა ვითარებამ, ცენტრალური ხელისუფლების გაძლიერებამ, სამეფო ხელისუფლების მხარდაჭერამ აზნაურებისადმი, საფუძველი მოამზადა სათავადო აზნაურების მეფის მფარველობაში გადასასვლელად. უფლებრივი თვალსაზრისით, სათავადო და სამეფო აზნაურები თანასწორნი იყვნენ, მაგრამ ფაქტობრივად შედარებით უკეთეს მდგომარეობაში იმყოფებოდნენ. მათ დაწინაურების, სოციალური და ეკონომიკური აღზევების მეტი შესაძლებლობა ჰქონდათ. თუ ციციშვილები XV-XVI საუკუნეებში მიღწეული პოლიტიკური უფლებების შენარჩუნებისათვის და შეუვალობის დასაცავად ხელსაყრელ მომენტს ხელიდან არ უშვებდნენ. XVII საუკუნის 30-იანი წლებიდან შედარებით გაძლიერებული სამეფო ხელისუფლება აღარაფერს ერიდება, აშკარად ცდილობს თავის აზნაურთა რაოდენობრივ გაზრდას სათავადო აზნაურთა ხარჯზე, რომლითაც მოშლიდა სათავადოთა შეუვალობას და საბოლოოდ გატეხდა ურჩ თავადთა წინააღმდეგობას. მფარველობდა და ხელს უწყობდა ციციშვილთა სათავადო აზნაურების ეკონომიკურ მომძლავრებას, დაწინაურებას, რადგან ერთგული სამეფო აზნაურობა ის სერიოზული ძალა იყო, რომელთა მხარდაჭერით სამეფო ხელისუფლება საბოლოო გამარჯვებას მიაღწევდა სათავადოთა სეპარატისტულ მისწაფებებზე, თუმცა ქვეყნის მძიმე საგარეო და საშინაო პოლიტიკური და ეკონომიკური მდგომარეობის გამო, ერეკლე მეორის მეფობამდე ძირეული ცვლილებები საციციანოში ამ მხრივ დოკუმენტური მასალებით არ დასტურდება.

საუკუნეების განმავლობაში სათავადო სისტემის ძირითადი თავისებურებიდან გამომდინარე მეფის ხელისუფლება სათავადო სისტემას ემყარებოდა და იმავდროულად აქტიურად იბრძოდა სათავადოს პოლიტიკური ძლიერების წინააღმდეგ.

ამ პერიოდის საციციანოს მასალებიდან, ისევე როგორც სხვა სათავადოებში აშკარად შეიმჩნევა სამეფო აზნაურთა გაძლიერების და გაზრდის ტენდენციები. საკვლევი თემიდან გამომდინარე შევეცადეთ გაგვერკვია რა მიზეზები განსაზღვრავდა საციციანოში სამეფო აზნაურთა ზრდის ტენდენციას. მეფის ხელისუფლება მათი დაუფლებისათვის ბრძოლაში ადვილად აღწევდა წარმატებას, რადგან სათავადო აზნაურებისაგან განსხვავებით, სამეფო აზნაურს სამეფო კარზე დაწინაურების, ყმა-გლეხების და მამულების მომრავლების მეტი რესურსები ჰქონდათ, ამას ემატებოდა სამოხელეო პრივილეგიების მიღების დიდი შესაძლებლობა. ამდენად, სამეფო აზნაურებს შეღავათების მეტი გარანტიები, დაცულობა-მფარველობის ხარისხი და პერსპექტივები ჰქონდათ სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისა და წინსვლისათვის.

ეს პროცესი შესამჩნევი გახდა ჯერ კიდევ მეფე როსტომის (1633-1658წწ.) მეფობიდან. მეფე 1650 წელს პირობის წიგნს უბოძებს სარდალ პაპუნა ციციშვილს, მისი მამულიდან, თავისივე ძმის ხოხონასთვის წილის მიუცემლობაზე. იმავდროულად, სარდალ პაპუნა ციციშვილსა და მისი ყმის თაზიშვილს შორის ჩამოვარდნილ უთანხმოებაში, მეფე მხარს უჭერს თავისი სარდლის აზნაურს, თაზიშვილის ინტერესებს, რომელსაც საეკლესიო აზნაური გედევანიშვილიც ეცილებოდა „...შეგიწყალეთ და გიბოძეთ თქუენ, ჩუენთა ერთგულათ და ნამსახურთა ყმათა თაზიშვილს ზაალს, პაატას, გივის ბეჟანს, ელიზბარს, ლევანს და მომავალთა სახლისა თქვენისათა ყოველთავე. მას ჟამსა, ოდეს სარდარი ციციშვილი პაპუნა ცუდუბრალოდ თქუენს მთას შემოგეცილა, მოგვიდეგით კარსა და თქვენი სიმართლე გაგვასინჯინეთ... არას დროს არა ჟამს არა ციციშვილი არ გცილებოდა და თქუენი მკუიდრი და მოუდევარი

მამული იყო. ამ წესით და საქმით ასრე დაგიმკუიდრეთ, რომე ვერც ციციშვილი და ვერც ელიოზიძე გედევანიშვილი შემოგეცილოს“ [1]

დოკუმენტი მიგვანიშნებს, შორსმჭვრეტელი როსტომის გამიზნულ და გათვლილ ნაბიჯებზე, რომელიც ერთის მხრივ, ციციშვილთა სათავადო სახლში მოშლიდა ერთიანობას, გააღრმავებდა დაპირისპირებას, დაასუსტებდა ციციშვილთა საგვარეულო სახლის ძლიერებას, შეზღუდავდა საგვარეულოს მეთაურის და სარდლის შეუვალობას, მეორე მხრივ, სათავადოში აზნაურებსა და ციციშვილების დაპირისპირების საფუძველს გაზრდიდა, რითაც გადმოიბირებდა მხარდამჭერ ძალებს. ციციშვილთა აზნაურების მხარდაჭერით გააძლიერებდა მეფის ძალაუფლებას საციციანოში. ორივე შემთხვევაში ცენტრალური ხელისუფლების სიძლიერეს ხელს შეუწყობდა. ეს ყოველივე სათავადოებისა და ძირითადი მოწინააღმდეგის, თეიმურაზის დასასუსტებლად, მეფე როსტომისგან სწორად გამიზნული და გათვლილი ნაბიჯები იყო. სწორედ ამ მიზნით ერთგულ აზნაურს პაპია გოგიბაშვილს, საციციანოს რეზიდენციის სამკვიდრო მამულში - სამწევრისში აძლევს მამულებს.[2]

გარეშე მტრის შემოსევისაგან დროებით მშვიდობიანობის პერიოდში მეფე როსტომის სამეფო ხელისუფლება მტკიცეა, ამიტომ იგი ცდილობს თავისი დასაყრდენი ძალის აზნაურების მფარველობას. ანარქიისა და განუკითხაობის ადგილზე ჩამოვარდა დროებითი მშვიდობიანობა და მეფე როსტომიც ცდილობს აზნაურთა შემომტკიცებას, აწინაურებს აზნაურებს, რათა ეკონომიკურად გაძლიერდნენ, ურთგულონ და განამტკიცონ მეფის ხელისუფლება.

---

[1] ქართული სამართლის ძეგლები, ტ. IV, სასამართლო განჩინებანი (XVI-XVIII სს.), ტექსტი გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ი. დოლიძემ, თბ., 1972, დოკ.#32, გვ.89.

[2] სცსსა, ფ. 1450, დავთ.5,საქმე.47.

XVII საუკუნის 40-70-იან წლებში თითქმის არ მოგვეპოვება ისეთი დოკუმენტური მასალები, რომლის მიხედვით სამეფო აზნაური ასხვისებდეს, ან ყიდდეს ყმა-მამულს. ნასყიდობის წიგნთა უმრავლესობით მეფე მხარს უჭერს სახასო აზნაურთა მიერ მიწების შეძენას, რადგანაც ეს მის ინტერესებში შედიოდა. ამდენად, ბრძოლა აზნაურობისათვის თავადებსა და მეფეს შორის გაძლიერებული სამეფო ხელისუფლების სასარგებლოდ მიმდინარეობდა. მანამდე ხშირი იყო შემთხვევები, როცა მეფე თავის აზნაურებს ყმა-გლეხებთან ერთად, წყალობის სახით უხვად გასცემდა ციციშვილებზე. ციციშვილები სარგებლობდნენ სამეფო ხელი-სუფლების სისუსტით, დინასტიური ბრძოლებით, ან ქვეყანაში შექმნილი მძიმე პოლიტიკური მდგომარეობით და თვითნებურად ისაკუთრებდნენ სახასო აზნაურებს. ასეთი ცვლილებები გან-საკუთრებით გახშირდა „ოსმალობის“ და „ყიზილბაშობის“ ხანაში. ამ პერიოდში სამეფო ხელისუფლების მოშლამ, დამპყრობელთა მძიმე გადასახადებმა სამეფო აზნაურთა რიცხვი მნიშვნელოვნად შეამცირა. აზნაურები ამჯობინებდნენ ძლიერი და გავლენიანი თავადების მფარველობას ქვეშ დარჩენილიყვნენ.

ქვეყანაში შექმნილი პოლიტიკური ვითარების გამო, ზოგჯერ მეფის პოლიტიკური კურსის ცვლილებას ეწირებოდა სამეფო კარისთვის მიუღებელი პოლიტიკური ორიენტაციის თავადთა ყმა-მამული და აზნაურებიანად მეფის საკუთრებაში გადადიოდა. სპარსოფილი სარდლის, ზაზა ციციშვილის მკვლელობის შემდეგ მის საგვარეულო შტოს მეფე შაჰნავაზმა ჩამოართვა არა მარტო ყმა-მამული, არამედ მათ სათავადო აზნაურებზეც ცდილობდა შურისძიებას, თუმცა სათავადო აზნაურები პოლიტიკური პრო-ცესიდან გამომდინარე სწორ არჩევანს აკეთებენ. გამარჯვებულ, მოძლიერებულ მეფის ხელისუფლებას აძლევენ უპირატესობას, მფარველობას და ქვეშევრდომობას სთხოვენ: „დამღაწაურზედ ... მამუკა მაღრაძე, ომან უზნაძე, ალექსი ალექსიძე, ლარაძე და ქურდევანიძე ჯითაც ჩემს სამკვიდროს სამწყერაოზედ ესახლენ,

შემამეხვეწნენ და აღარ გავჰყარე-ო.“ [1] მაგრამ ამ პერიოდში გვხვდება გამონაკლისი შემთხვევა, როცა სამეფო კარი სახემწიფოებრივი მნიშვნელობის, კერძოდ იმერეთის „დაჭერაზე“ საგანგებო დავალების, ერთგულად შესრულებისათვის ციცი ციციშვილს წართმეულ მამულებს, ყმა-აზნაურებს უკან უბრუნებს, დამატებით სარგებელს და სათავადოს სარდლობასაც პირდება:„...სოფ-ლები...წყნეთი, კუმისი დიღომს ზანდარაშვილები, ნიჩბისს შენი კერძი, დოესის ციხე, ავკეთი, ღუვის ხევი მისის შესავლითა ატენს შენი კერძი რაცა იყოს მტლაშაძეებიანად, ვერე გარდატანიანათ, უჭალეთისა რაც შენი კერძი იყოს, შენი არაშენი, რეხა, კარალეთი, თვალათუბანი, რუის შენი კერძი, არადეთს მუჩათიძეები, ქვენა-ფლიზი, ხვედურეთი აფნისი, ქარელი, კეხიჯვარი, ლეთეთი, სამწევრისი - მაზმისშვილი და მღვთისია შვილი, აგარა, ჭალისუბანი, სანებლის ხეობნიანათ, ჴნიცჯსი, ქორაზნა, იმერხევი, მძოვრეთი, გვეძინეთი, სუქითი, მაწლეთი, ბოსლეთი, წრომი, მიწობი, ხალები, თაგუეთი და ბრბონა. აზნაურიშვილები: ქურდევანიძეები, ბუნიათისშვილები, მამუკა მაღრაძე,... უზნაძეები ჩავაძე...ფარემუზ და ოთარ გვერდწითლები...გედიაშვილები, ალექსი ალექსიძე, ალაიბეგისშვილი, ბუღუტაური, ჯავახი, წინამძღვრიშვილი, ციხის თავისშვილი, მელქისედექისშვილები ...ჯზ˜ ჩალაძეები, ღანჯა-ერანმისშვილები, მ[ს]ტელისშვილ ...გამცემლისშვილი, ლარაძე ,..ალექსიძე...რუისში კლიმიაშვილი, ბუღუტაური ზაქარია... სად-გერი, გუჯარეთი...ბაგირეთი, რაც შენის ნასყიდი ნამზითვი სკრას იყოს ესეები. ყველა უკლებლად გვიბოძებია და თუ შენ ის პირობა გაგვითაო და ჩვენ იმერეთი დავიჭიროთ ესეები, რაც გვიბოძებია და სხვა წყალობაც ბევრი გიყო....კვლავაც ასრე როგორმე რომე სხვა გულში არა აღჯარო სარდალსა და შენ სამართალი გიყოთ და სამართლით შეგამკოთ“[2]. დოკუმენტის მიხედვით მეფის ხელისუფლება იმდენად ძლიერია და ქვეყნის გაერთიანების პოლი-

---

[1] ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ფ. Hd, საბ.804.

[2] სცსსა, ფ.1449, საქმე 328.

ტიკური მიზანი კი ურყევი, რომ ერთპიროვნულად წყვეტს საციციანოს სარდლობის მაღალი სამოხელეო სახელოს წყალობის საკითხსაც.

მეფე წყალობის წიგნით, აზნაურ გიორგი ალექსიშვილს 1712 წელს ციციშვილების სამკვიდრო წედისის ციხეს და ყმა-მამულს აძლევს ერთგულების სანაცვლოდ სოფ. წედისსა და გრაკალში. 1719 წელს კი ირანიდან ახლადდაბრუნებულმა ვახტანგ VI-ემ სპარსოფილური ორიენტაციის, გავლენიან ციციშვილთა საგვარეულოს მედგრად შეუტია. ქვემო საციციანო გააუქმა. ზემო ციციშვილთა საგვარეულოს დიდძალი ყმა-მამული, მეფე ვახტანგV-ს ნაწყალობევი ქონება კი მის შვილს, ციცი ციციშვილს აზნაურებიანად ჩამოართვა და სახასოდ დაიჭირა.[1] სწორედ ამით აიხსნება, რომ ამ აზნაურთა საგვარეულოს წარმომადგენლები „სამეფო დასტურლამალაში“ შეტანილი არიან ჭილავის მეთოფეთა სიებში. [2] მისი მეფობისას სახასო ყმა-მამულის და შესაბამისად სამეფო აზნაურთა სიმრავლით გამოირჩეოდა ატენისა და თეძმის ხეობა.[3]

XVIII საუკუნის 40-იანი წლებიდან, მას შემდეგ რაც ქართლ-კახეთის სამეფოებს სათავეში ჩაუდგნენ თეიმურაზ II და ერეკლე II, მათი დიდი მეცადინეობის წყალობით, ოსმალობისა და ყიზილბაშობის ხანაში, თავადთა მიერ მიტაცებული სახასო აზნაურთა დიდი ნაწილი უკან დაიბრუნეს. ამ პერიოდის საციციანოს დოკუმენტებში აღარ გვხვდება მეფეთაგან ციციშვილებისთვის სახასო

---

[1] სცსსა, ფ.1450, დავთ. 37, საქმე.78; ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ფ.Hd, საბ.4231,საბ.1530.

[2] ქართული სამართლის ძეგლები, ტ.II, საერთო საკანონმდებლო ძეგლები (X-XIXსს.), ტექსტი გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ი. დოლიძემ, თბ., 1965, გვ.243-244.

[3] სცსსა, ფ.1448, საქმე 518; ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ფ.Hd, საბ.13738; საქართველოს სიძველენი, ტ.II, საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების გამოცემა, რედაქტორი, ექ. თაყაიშვილი, თბ.,1909 დოკ.#104, გვ.79; დოკ.#320, გვ.182.

აზნაურის ჩუქების ფაქტები. ცნობილია, რომ სამეფო აზნაურების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა, აღზევება-დამცრობა, სამეფო ხელისუფლების სიძლიერეზე და მთლიანად ქვეყნის მდგომარეობაზე იყო დამოკიდებული. შესაბამისად აზნაურებიც თავდაუზოგავად ცდილობდნენ მეფის გაძლიერებას. სამეფო აზნაურთა რაოდენობრივი ზრდა საციციანოში აშკარად შეიმჩნევა მეფე ერეკლეს მეფობიდან. გამოიკვეთა სამეფო აზნაურთა რაოდენობრივი ზრდის გავრცელებული გზები.

მეფე ერეკლემ ჯერ კიდევ 1748 წელს განახორციელა სასამართლოს რეორგანიზაცია და მდივანბეგების სასამართლო უწყება ჩამოყალიბდა, რითაც სათავადოებს სასამართლო ფუნქცია მოუშალა. აზნაურებს საჩივრების წარდგენა თავისუფლად შეეძლოთ სამდივანბეგოებთან. სამამულო დავებს მეფის მსაჯულნი ობიექ-ტურად და ძირითადად სახასო აზნაურების სასარგებლოდ წყვეტდა, რითაც ავსებდა სახასო აზნაურთა რიგებს. ამდენად, საციციანოში სახასო აზნაურების მხრიდან მიწების შეძენა და მათი სიძლიერე მეფის ინტერესებში შედიოდა, საციციანოს შეუვალობის მოშლისა და სამეფო ხელისუფლების გაძლიერების მიზნით.

XVIII საუკუნის მეორე ნახევრიდან მრავლადაა მეფე ერეკლეს ოქმები, სადაც სათავადო აზნაურებთან დავის გამო თითქმის ყველა სასამართლო განაჩენს მეფე ერეკლე მეორე ამტკიცებს და თითქმის ყველგან მიანიშნებს „დღეის იქით იმ კაცთან საქმე არა გქონდეს რაო“, ან მკაცრად აფრთხილებს, „იცოდე ძლიერ მაწყენინებო“.

მეფე ღალატის შემთხვევაში არ ინდობს ციციშვილებს 1782 წელს სახასო საკუთრებად გამოაცხადა ციციშვილების აზნაური თომა მეღვინეთუხუცესი და მისი სახლის წევრები.[1] 1791 წელს მეფე ერეკლეს ოქმით ზაქარია ციციშვილის დანარჩენი ყმები ერთგულ

---

[1] ქართული სამართლის ძეგლები, ტ. V, სასამართლო განჩინებანი (XVIII ს.), ტექსტი გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ი. დოლიძემ, თბ., 1974, გვ.176.

სამეფო აზნაურს ბეჟან რატიშვილს უბოძა.[1] ამგვარ ფაქტებს ადგილი ჰქონდა გიორგი XII-სა და მისი შვილის დავითის ხანმოკლე მმართველობის პერიოდშიც. [2]

გახშირდა შემთხვევები, როცა მაღალი სამოხელეო თანამდებობების გარეშე დარჩენილი, ეკონომიკურად მძიმე მდგომარეობაში მყოფი ციციშვილებისგან მეფე ყიდულობდა მათ აზნაურს, ამას მოწმობს მეფისგან აზნაურ ფარემუზაშვილის ყიდვის ფაქტი 1712 წელს.[3] რასაკვირველია აზნაურების ყიდვა-გაყიდვა ქართული ფეოდალური საზოგადოების წესისა და რიგის დარღვევაა, რადგან აზნაურთა ძირითად ნიშანს, რითაც გლეხებისაგან განსხვავდებოდა, სწორედ პირადი თავისუფლება წარმოადგენდა. ამდენად, აქ იშვიათ შემთხვევასთან უნდა გვქონდეს საქმე, საციციანოში ძალაუფლების განსამტკიცებლად, სამეფო აზნაურების გადაბირება-მომრავლების მიზნით რჯულმდებელი მეფე რადიკალურ ზომებსაც აქტიურად მიმართავდა. რაც შეეხება სახასო ქონებას და ყმა-მამულს ვახტანგისეული სამართალი „ კარი ნასყიდობისა და გაცვლილობისა“ მკაცრად იცავდა და აფრთხილებდა მეფის სახასო მამულიდან ჭემწიფის სახასოს აზნაურიშვილისა და სახასოს გლეხისაგან ჭელმწიფის უდასტუროდ თავადი, ნურც თავადის ყმა, ნურას იყიდის-ო.“ [4]

ასევე გახშირდა შემთხვევები, როცა მეფე სათავადო სახლის გაყრისას გასამყრელოში ითხოვდა სათავადო აზნაურებს.[5]

---

[1] დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან, II, ბატონყმური ურთიერთობა (XV-XIX სს.), ბერძენიშვილის რედაქციით, თბ., 1953, დოკ.#253, გვ.158; დოკ.#262,გვ.164,

[2] Акты , собранные Кавказской Археографической Комиссией. 1870.I. С.195-196.

[3] АКАК - т. I. С.115-121.

[4] სამართალი ვახტანგ მეექვსისა, ტექსტი დაადგინა, გამოკვლევა და საძიებლები დაურთო ისიდორე დოლიძემ, თბ., 1981, გვ.228.

[5] სცსსა, ფ.1449, საქმე1905.

გადახდისუუნარო სამეფო აზნაურთა ყმა-მამულს ხშირად ათარხნებდნენ ვალდებულებებისაგან, სათავადო აზნაურების და-მატებითი გადასახადების ხარჯების გაზრდით. სამეფო აზნაურების გაუმჯობესებულ მდგომარეობაზე თვითონ გლურჯიძეთა განაყოფი, სათავადო აზნაური, სახელმწიფო გამოსაღების თაობაზე 1771 წელს მეფეს არზით მოახსენებდა: „ ჩემი სახლის კაცებს ზოგსა თქვენი წყალობა სჭირს და კიდევ ზოგი თქვენის წყალობით გათარხნდა. დარჩომილ ვარ მე. რაც თქვენი იასაულები მოვა ან ლაშქრისა და ან სურსათისა, ჩამამიდგებიან მე, ან სხვისა რისამე ჩემს წილს გარდა სხვასაც მე მაწუხებენ...“[1] გათარხნება არ ეხებოდა მხოლოდ ლაშქარ-ნადირობას, რომელიც აზნაურთა უპირველეს მოვალეობად ითვლე-ბოდა. დოკუმენტების მიხედვით დაკისრებული ჰქონდათ ზოგიერ-თი სპაციფიკური ვალდებულებანი, მაგალითად, ძღვენი, სამეფო გზების შენახვა, მეფის თავლის ქეშიკობა, სამასპინძლო და სხვ. სანაცვლოდ მეფე ცდილობდა გადასახადების შემსუბუქებას, გა-აზატების გზით. ამის ნათელი მაგალითია 1790 წლის 12 აპრილის ბრძანება ერეკლე მეორისა სოფელ ქვახვრელში მცხოვრებთა გააზატების შესახებ, ზამთრობით მგზავრების მიღებისა და გამასპინძლების გამო.[2] ყველაზე მთავარი, რაშიც ყველაზე მეტად დაცულნი იყვნენ ეს იყო ძალმომრეობა, რასაც განიცდიდნენ სათავადო აზნაურები. მეფისაგან შეწყნარებულნი, ეკონომიკურად და სამსახურებრივად აღზევებული აზნაური, თავადობისაკენ მიისწრაფოდა და ზოგჯერ აღწევდა კიდეც, რასაც ვერასოდეს ფიქრადაც გულში ვერ გაივლებდა ციციშვილთა აზნაური.

აზნაურ წინამძღვრიშვილების ერთ-ერთი განაყოფი, საციცი-ანოში საკმაოდ დიდი რაოდენობის ყმა-მამულს იძენს XVII საუკუნის

---

[1] ქართული სამართლის ძეგლები, ტ. VII, სასამართლო არზა-ოქმები, ტექსტი გამოსცა, წინასიტყვაობა და შენიშვნები დაურთო ი. დოლიძემ, თბ., 1981, დოკ. #187, გვ.187.

[2] სცსსა, ფ.1448, საქმე 5673.

ბოლოსა და XVIII საუკუნის პირველ ნახევარში.[1] ზაალ წინამძღვრიშვილის 1701 წლის ნასყიდობის საბუთში შალუტა ცერცვაძე აცხადებდა: „დამეჭირა და სულს აქეთ გზა და ღონე არა მქონდა, შიმშილობა იყო...და მოგყიდე ჩემგანაც ნასყიდი ერთი დღის მიწა.“[2] ცენტრალური ხელისუფლების გაძლიერებისთავე მეფის მფარველობის ქვეშ გადასულან და დიდ ინტენსიურ მეურნეობას ეწევიან,[3] როგორც ჩანს წინამძღვრიშვილებს თავადობა მიუღიათ. მათი საგვარეულო სიმბოლიკა - საგვარეულო დედაბოძი, თავადური გვირგვინი და დროშა დღემდე შემონახულია.[4]

XVIII საუკუნის მეორე ნახევარში ციციშვილებსა და აზნაურ კლიმიაშვილთა საგვარეულო ერთ-ერთ შტოს შორის არსებული შინაკლასობრივი დაპირისპირებულობა იმდენად გამწვავებულია, რომ საჩივრით მიუმართავთ მეფე ერეკლე მეორისთვის, 1794 წელს კლიმიაშვილთა ქვრივ-ობლებს: „...ციციანი რომ გაიყარნენ, ჩვენ ნიკოლაოზ ციცისშვილს ვერგენით, ჩვენი საკლისკაცები იმის საკლისკაცებს ერგნენ ... რაღაც ორიოთ კომლი კაცი გუყავს, მუდამდღე აწუხებს და ამას ეუბნება, ბატონს თქვენს თქვენთან საქმე არა აქვს, მე უნდა მემსახურნეთო ...ახლა იმათ ან კულუხი და ან ბეგარა პურისაც ზოგი ჩვენ მივეცით და ზოგი იმან გამოართუა და წაიღო. რაც ბეითალმანი მამული გვეჭირა, ნაქრთამები გვქონდა, ისიც გამოგუართვა, თვითონ უჭირამს.” ამ სიტყვებიდან ნათლად ჩანს, თუ როგორი მნიშვნელოვანი გამხდარა შევიწროებული, უუფლებო მდგომარეობაში ჩავარდნილი სათავადო აზნაურისათვის

---

[1] საქართველოს სიძველენი, ტ. II, რედაქტორი ექ.თაყაიშვილი, თბ., 1909, დოკ.#141, გვ.172; დოკ.#142, გვ.173; დოკ.#146, გვ.177; დოკ.# 148, გვ.179. დოკ. 152, გვ.183.

[2] ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ფ. Sd, საბ. 570.

[3] ქართული სამართლის ძეგლები, ტ. VIII, სასამართლო არზა-ოქმები და კერძო-სამართლებრივი აქტები, ტექსტი გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ი. დოლიძემ, თბ., 1985, დოკ. #246, გვ.258-260.

[4] ვადბოლსკი, საქართველოს ჰერალდიკური სიმბოლიკა, თბ.,1980, გვ.96, სურ.177.

მეფის ყმობა. მეფე აშკარად ერევა თავადისა და აზნაურის ურთიერთობაში, ჩანს იგი ამ უკანასკნელის მხრეზეა და მკაცრად ბრძანებს: „ნიკოლოზ ციციშვილს ასე უამბეთ, ...სამართლიანად მოექეც; როგორც აზნაურშვილობის რიგი იყოს, იმ წესით იმსახურე, უსამართლობით ნამეტნავს ნურას მოინდომებ, თორემ თუ კიდევ შემოგვჩივლეს, დიდათ გვაწყევინებ-ო.”[1]

მეფე ერეკლე მეორე უზრუნველყოფდა თავის აზნაურებს ყმა-მამულით, აძლევდა შემოსავლიან თანამდებობას, უნიშნავდა ჯამა-გირს ერთგული სამსახურის სანაცვლოდ.[2]

სახელმწიფო გადასახადის აკრეფის საპასუხისმგებლო დავალება სამეფო კარს საციციანოს აზნაურ, კლიმიაშვილისათვის მიუნდვია. 1786 წლის მაისის ოქმით ერეკლე მეორე აზნაურებს ვახუშტი ჯავახიშვილსა და ჯამასპი კლიმიაშვილს სურსათის აკრეფას ავალებს საციციანოს სოფლებში. [3]

1799 წლის 18 ოქტომბერს მეფე გიორგი XII საგანგებო ოქმით თავისი სიმამრის სარდალ გიორგი ციციშვილის გვერდის ავლით ავალებს აზნაურ, ტეტია კლიმიაშვილს გამოღმა მხარის სალეკო გადასახადი თავლიდარს მიაბაროს.[4] 1800 წლის აგვისტოს ოქმით მეფე ავალებს დათუა თარხნიშვილს და თავლიდარ (შემოსავლების, საანგარიშო დარგის მოხელე) ტეტია კლიმიაშვილს რუსების მისასყიდი პური გამოართვან ციციშვილთა სასარდლო თავად-აზნაურებს.[5] მეფის მდივანი აზნაური ქრისტეფორე მამაცაშვილია.[6]

---

[1] ქართული სამართლის ძეგლები, ტ. VIII, სასამართლო არზა-ოქმები და კერძო-სამართლებრივი აქტები, ტექსტი გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ი. დოლიძემ, თბ., 1985, გვ.304.

[2] სცსსა, ფ. 1448, საქმე 1869.

[3] ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ფ.Hd, საბ. 11549.

[4] საქართველოს სიძველენი, ტ. II, რედაქტორი ექ. თაყაიშვილი, თბ., 1910 დოკ. # 272, გვ.581,

[5] ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ფ. Hd, საბ. 2167.

[6] ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ფ. Hd, საბ. 11508.

1798 წელს მეფის ნაცვალ დავით მამაცაშვილს დაევალა ნაწყალობევ მოჯამაგირე ყმებს ჯამაგირი გადაახდევინოს, სამეფო აზნაურ იოანე კლიმიაშვილისთვის, თან ერთვის გაფრთხილება: „მამაცაშვილო დავით, მერე ამ არზით ეს კლიმიაშვილი ასე რომ ჩივის, ამის კაცებს უნდა დაადგე ... გაურიგებელი არ დააგდო.“ ნარატიული და დოკუმენტური წყაროების მიხედვით მეფის იასაულები არიან: თომა მეღვინეთხუციშვილი,[1] კვეზერელი დავითი,[2] ნინია გლურჯიძე, [3] მაღრაძე დათუა, [4] თულაშვილი ნინია,[5] საყვარელიძე გოგია.[6]

ეშიკაღაბაში, (საპოლიციო აპარატის უფროსი)-იოსები მამაცაშვილი,[7] მამაცაშვილი,[7] ყულარაღასი-გლურჯიძე შალვას შვილი, გლურჯიძე გლურჯიძის ძმისწული.[8]

ყორიასაული[9]-გლურჯიძე ტარიელი.[10]

დედოფლის ფარეშთუხუცესი თულასშვილი იორამ.[11]

მეფის მდივან-მწიგნობარი, დავით ალექსის ძე[12] და სხვ.

---

[1] ქართული სამართლის ძეგლები, ტ. VIII, სასამართლო არზა-ოქმები და კერძო-სამართლებრივი აქტები, ტექსტი გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ი. დოლიძემ, თბ., 1985, დოკ.#33, გვ.45.

[2] იქვე, გვ.499-500, დოკ.#480.

[3] იქვე, გვ.509, დოკ.#492.

[4] იქვე, გვ.520, დოკ.#507.

[5] იქვე, გვ,646, დოკ.#662.

[6] იქვე, გვ.658, დოკ.#676.

[7] იქვე,გვ.504, დოკ. #486.

[8] ქართული სამართლის ძეგლები, ტექსტები გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევები, ლექსიკონები და საძიებლები დაურთო ი. სურგულაძემ, თბ.,1970, გვ.484-486,

[9] ვ.გაბაშვილი, დარბაზის რიგის მოხელენი დასტურლამალის მიხედვით, ენიმკის მოამბე XIII, თბ.,1942, გვ.189-190

[10]ქართული სამართლის ძეგლები, ტექსტები გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევები, ლექსიკონები და საძიებლები დაურთო ი. სურგულაძემ, თბ,.1970, გვ.478-479.

[11] იქვე, გვ, 707.

[12] სცსსა, ფ.1449, საქმე 2535.

ამდენად, ძლიერი სამეფო ხელისუფლების პირობებში მყოფი სამეფო აზნაურთა საგვარეულოები ადვილად ახერხებენ დაწინაურებას, სხვადასხვა თანამდებობების დაკავებას.

აზნაური გლურჯიძეები როსტომ მეფისაგან ყმა-მამულის დიდ წყალობას ღებულობენ 1635 წელს ქვემო ქართლში, ბოლნისში.[1] მომდევნო ხანის დოკუმენტების მიხედვით, შალვა გლურჯიძის ძირითადი მამულები ქართლის შუაგულშია. მეფე გიორგი, მას საციციანოში, სოფელ სასირეთსა და მის მიმდებარე მამულებს აძლევს.[2]

ამის გარდა მივაკლვიეთ, მეფე გიორგი XI-ის 1682 წლის მარტის ბრძანებას, შალვა გლურჯიძისათვის ყოველწლიურ ჯამაგირად სამი თუმნის დანიშვნის შესახებ:„...ქალაქ თბილისის ზარაფხანის ფულის ზაბეთმა (მკრეფელმა) ყოველწლიურ ჯამაგირად დამტკიცებულად იცნოს ხსენებული ფულიდან მუდმივი ქეშიკის შალვა გლურჯიძისათვის ...თანხა სამი თავრიზული თუმნის ოდენობით და წლითი წლამდე აძლიოს მას ...ახალ ბრძანებულებას ნუ მოითხოვენ ... ერწმუნონ.“[3]

XVIII საუკუნის პირველ ნახევარში გლურჯიძეები რამდენიმე ოჯახად არიან გაყოფილნი. ერთ-ერთი განაყოფი ოჯახი სადედოფლო აზნაურია. მანუჩარ გლურჯიძე თავლიდარის (სამეურნეო და საფინანსო ფუნქციების მოხელე) თანამდებობაზეა.[4]

„დასტურლამალაში” იხსენიება, ატენის სადედოფლო ზვრებთან დაკავშირებით, ხასადარი (მეფის მამულების ზედამხედველი) შალვა

---

[1] სცსსა, ფ.1448, საქმე 81.

[2] სცსსა, ფ. 1448,საქმე 524.

[3] ქართულ-სპარსული ისტორიული საბუთები, ტექსტები დაადგინა, თარგმანი და შენიშვნები დაურთო ვ. ფუთურიძემ, თბ.,1955, დოკ.#14, გვ. 337.

[4] დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან ბატონყმური ურთიერთობა (XV-XVIIIსს) ბერძენიშვილის რედაქციით, თბ.,1940, დოკ. #222, გვ. 729.

გლურჯიძე და დედოფლის მეღვინეთხუცესი საამ გლურჯიძე.[1] ოსმალობა-ყიზილბაშობის დროს ისინი გაჭირვებას განიცდიან, მძიმე გადასახადების, „მირის“ და „მალუჯათის“ გადახდას ვერ აუდიან და მამულებს ყიდიან. მათი მამულები ხელთ უვარდებათ როსტევა-ნიშვილებს და ფარსადან ციციშვილს 1746 წლის განჩინებით.[2]

XVIII საუკუნის შუა ხანებიდან გლურჯიძეთა საგვარეულო სახლი მეფეთა სამსახურში კვლავ დაწინარებულა. მეფე ერეკლე 1784 წლის წყალობის წიგნით ავალებს აზნაურ ნინია გლურჯიძეს და თეიმურაზ ჯავახიშვილს თემმის ხეობის მდევართა უფროსობას: „მერმე თეზამს გაღმა რაც სოფლებია ხიდის თავამდის, იმათი მდევრის უფროსობა შენ და გლურჯიძე ნინიასათვის გვიბოძებია. რომელიც ლეკის ჩამოსასვლელი გზები არის, იმაზე ყარაულები უნდა გყვანდესთ დაყენებული; და ყარაულიცა რომ ამბავი მოგიტანოსთ, მაშინვე მდევარს უნდა დაუძახებდეთ, ქუდზე გამოიყვანდეთ და ღმრთით მტრის დამარცხებას ეცადნეთ. რომელ-ნიც მთის გზები არის, იმ გზებზე ყარაულს ნუ გამოსწყვეტთ მაგ სოფლებიდამ. და რომელიც კაცი მდევარს დაგაკლესთ, ის უნდა დაარბიოთ... მაშინ დაირბევა, როდესაც მიზეზი არ ექნება რა და დაგვაკლდება.“[3]

სამეფო სამსახურში ელიზბარ გლურჯიძე ატენის მოურაობას და მოლარეთუხუცესის ორ საველოს ღებულობს, მისი გარდაცვალე-

---

[1] ქართული სამართლის ძეგლები, ტექსტები გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევები, ლექსიკონები და საძიებლები დაურთო ი. სურგულაძემ, თბ.,1970, გვ.705.

[2] ქართული სამართლის ძეგლები, ტ. IV. სასამართლო განჩინებანი (XVI-XVIII სს.), ტექსტი გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ი.დოლიძემ, თბ.,1972, დოკ.#280, გვ. 367; სცსსა, ფ.1448, საქმე 5485; ფ.1450, დავთ. 26, ს.130, ს.131.

[3] ქართული სამართლის ძეგლები, ტ. II, საერო საკანონმდებლო ძეგლები (X-XIXსს.), ტექსტი გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ი. დოლიძემ, თბ., 1965, დოკ.#136, გვ. 492.

ბის შემდეგ მისი შვილი იღებს ამ თანამდებობას.[1] ისტორიული დოკუმენტებიდან ჩანს, რომ სამეფო აზნაურობა თანამდებობას ხშირად, ყმების მიტაცება - დასაკუთრების მიზნით იყენებდა, მათ შორის უარს არც სახასო ყმებზე ამბობდნენ. მათგან შევიწროვებული იასე და იოსებ ტლაშაძე, მეფე ერეკლესგან ითხოვს დახმარებას 1792 წლის არზით: „უწინაც სახასო ვყოფილვართ და ახლაც ხიდისთავს ჩვენს მამულზედ მივედით, აქამდი დოესს ზაქარია ციციშვილის წილად ვიყავით და დავთარშიაც იქ ვეწერეთ და გამოსაღებშიაც აქ ვდგებოდით. ახლა გევედრებით, რომ ერთი ოქმი გვიბოძოთ გლურჯიძეზედა, დავთარშიაც იქ დაგვწერონ და რაც შეგვიძლია გამოსაღებშიაც იქ მიუდგებით. ღმერთსა ვფიცამთ, რომ ჩვენთან საქმე არავის არა აქვს რა. თქვენი სახასო ვყოფილვართ, პაპის თქვენის წიგნებიცა გვაქვს ...გვაწუხებენ და ყველანი გვლეჯენ და სამართალი გვაღირსეთ.“ საინტერესოა ცნობა მეფის ოქმიდან,

„ ჩვენი სახასო ყოფილიყო ატენელი... შენს სამოურაოს ატენელებში დააყენე, თვალი და ყური მიუგდე, უბრალოთ არავის გააგლეჯინო.“[2]

სამეფო აზნაურების რაოდენობრივი ზრდის ერთ-ერთი გზა იყო განსაკუთრებული მფარველობა ტყვეობიდან დაბრუნებულ-თათვის. 1765 წლის 23 აპრილს ერეკლე მეორისა და კათალიკოს ანტონ პირველის თაოსნობით, გამოიცა „განწესება“ შინ დაბრუ-ნებულ ტყვეთა ყმობიდან გათავისუფლების შესახებ.

ტყვეთა ყმობიდან გათავისუფლების ბრძანების საფუძველზე ევსტათი ციციშვილის ყმობიდან ადვილად აღწევს თავს შავდა-თუაშვილი ივანე და მეფის სახასო ყმა ხდება: „ თავობით გუჯარელი გახლავარ, მერმე ხიზნად ქარელში ვიდექით ფაშა რომ შემომადგა მაშინ წამოველ და ქალაქის პირს ზედ დავდექ. ამას უკან ორჯელ

---

[1] ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ფ.Hd, საბ.14075, საბ.2458, საბ.2188, საბ. 9327, საბ. 2507; საქართველოს სიძველენი, რედაქტორი ე. თაყაიშვილი, ტ. II; თბ.,1909, დოკ. # 272, გვ.581.

[2] ქართული სამართლის ძეგლები. ტ. VIII, სასამართლო არზა-ოქმები და კერძო-სამართლებრივი აქტები, ტექსტი გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ი. დოლიძემ, თბ., 1985, დოკ.#160, გვ.174.

დავტყვევდი, ერთხელ ოსმალოდამ გამოვეპარე ... ისევ ქალაქს გიახელ ახლა ქალაქის მოურავი მაწუხებს ჩემი ყმა ხარო მე თავადაც სახელმწიფო გახლავარ და ტყვეობაშიდამაც თქვენს საფარველს მივმართე, ერთი ოქმის წყალობას ვითხოვ, რომ არავინ შემაწუხოს და თქვენს ყმად გახლდე.... „ გიორგი მეფე მაშინვე ამტკიცებს მის სახასო ყმობას და თან განმარტავს : „რადგან პირველადაც სახასო ყოფილხარ და მერმე ტყვეობაც გამოგივლია შენთან საბატონყმოდ საქმე არავის აქვს და როგორც ჩვეულება არის ტყვეობიდამ მოსულის კაცისა შენც ისე სახასოდ უნდა იყო ჩვენს ყმათა. სხვა ვერავინ შეგაწუხებს...თუ სიტყვა ვინმეს ქონდეს ჩვენ მოგვახსენოს.... არავის საქმე არ აქვს ამ კაცთან, ჩვენი სახასო ყმა არის“. [1]

საციციანოს დოკუმენტებიდან ირკვევა, რომ ოსმალთა ძალ-მომრეობით გახშირებული ტყვეთა სყიდვით შეშინებული და ადგილობრივ თავადთაგან შევიწროებული აზნაურთა ოჯახები არა მარტო ჯავახეთიდან, არამედ იმერეთის სამეფოდანაც საცი-ციანოში ითხოვდნენ თავშესაფარს. სათავადოში სამეფო აზნაურების რიცხვის რაოდენობრივად ზრდას მნიშვნელოვნად ხელს უწყობდა სხვადასხვა კუთხეებიდან, დასავლეთ საქართველოდან, ქსნის საერისთავოდან გადმოსული ხიზნები. ძირითადად მაინც გადმოყვანა და სახასო მფლობელობაში შეყვანა ხდებოდა სამცხე-ჯავახეთიდან, თურქების მიერ მიტაცებული ტერიტორიებიდან.[2] მოძიებული დოკუმენტები საფუძველს იძლევა ავღნიშნო, რომ ერეკლე ფარულად, მაგრამ მიზანმიმართულად მიმართავდა ჯავახეთიდან არა მარტო გლეხების, არამედ აზნაურების გადმოყვანას. ასახლებდა მათ სახასო მიწებზე, რითაც უზ-რუნველყოფდა ქართლის სამეფო საზღვრის დაცვას, გაუკაცრიელებული სოფლების მოშენებას. მეფე ხაზგასმით აფრთხილებდა, იქიდან გადმოსულთაგან ვინც აზნაურებს შეეხიზ-ნებოდა ამ ყმებზე ციციშვილებს ხელი არ მიუწვდებოდათ.

---

[1] სცსსა, ფ.1450, დავთ. 30, საქმე 240.

[2] ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ფ. Hd, საბ.1560.

მიუხედავად მეფის ბრძანებისა, ტყვეობიდან და ჯავახეთიდან გადმოსულებს მებატონის თავისუფალი არჩევანის უფლებას ართმევდნენ. გადმოსულების ძალით დასაკუთრებაში აქტიურად მონაწილეობდა მეფის სიძე, დავით ციციშვილი.[1] იცოდნენ რომ გადმოსულები ძირითადად ამჯობინებდნენ მეფის სახასო მამულებში დამკვიდრებას, ამიტომ ციციშვილები ცდილობდნენ ძალდატანებით და მოტყუებით თავიანთ ყმობაში მოექციათ. ამის საილუსტრაციოდ არც თუ იშვიათი ისტორიებია შემონახული დოკუმენტურ წყაროებში. ამათგან ძალზე საინტერესოა, საათაბაგოდან, ოსმალთა ბატონობას გამოქცეული ჩუტკერაშ-ვილების ხვედრი. მღვდელი ნიკოლოზ ჩუტკერაშვილი თავის არზაში, 1794 წლის 26 მარტს მოახსენებდა: „ ურჯულოს ქვეყნიდამ ამისთვის გიახლნენ მამა და ბიძა, რომ პირველად ქრისტიანობა უნდოდათ და მერე თქვენი ყმობა სურდათ. შენს საბრძანებელს ატენში გიახლნენ და ფურცელაძიაანთ ქალმა დანათლა, რომ იმათი დამნათლავი დღესაც ქალაქში გახლავსთ. გამოვიდა ათი, თერთმეტი წელიწადი... ერთი ჩვენი სახლისკაცი დემეტრე ციციშვილს ყმათა ჰყავდა. იმ აზრით მოვიდა, დაგვიჭირა: თქვენც ჩვენი ყმა ხართო... მამაჩემი ახალი ქრისტიანე გახლდათ და აქაურის სამართლების გამოცდილება არა იცოდა რა...გირაოდ მიმცა მამაჩემ[მ]ა, თეთრი აიღო ვალათ და თავი დაიხსნა... წმიდის გიორგის კარზედ თორმეტი თუმანი მიბარდა დემეტრეს. თავდახსნილობის სიგელი მოგვცა .....როდესაც ატენი აშენებულ იყო, იქ უნდა დავეყენეთ თქვენი ბრძანებით. ალის ხეობაზედ თქვენ და იმერელ მეფემ ერთმანერთი რომ ნახეთ, იმჟამს ...ელისე ალექსიძემ ....ასე გაგაშინჯად, რომ გამეცით და ელისე ალექსიძეს მიმეცით. არც თეთრი მომეცა ჩემის თავდახსნილობისა და არც თავი დამნებდა ....თუ არა მეშველება რა ...სადიდამაც ჩემი მამა და ბიძა მოსულა, მეც იქ წავალ ...წინაზედაც გიახელ, შეიტყეს, დამიჭირეს, ერთი კვირა ტუსაღათ გახლდი. ახლა

[1] სცსსა, ფ.1450, დავთ. 52, საქმე 50.

გიახელ დაფარულათ, შიშით ვერ გამოვცხადებულვარ და ღმერთსა და შენს სამართალს უყურებ“. მეფე ერეკლემ თავის სახასო ყმად გამოაცხადა და მკაცრად გააფრთხილა „არავის შეეწუხებინათ“.[1]

სამცხე-ჯავახეთის ძირძველ „ქართველობისათვის“ ბრძოლებით გამორჩეულ გვარამაძეთა საგვარეულოდან [2] გადმოსახლება საციციანოში, დოკუმენტური საბუთების მიხედვით XVII საუკუნის მეორე ნახევრიდან იწყება. ჯავახეთიდან ოსმალთა ბატონობას თავდაღწეული გვარამაძეთა სააზნაურო სახლი საციციანოს შემოჰკედლებია და დიდი წყალობაც მიუღია, რაც ცნობილი ხდება 1701 წლის სარდალ ზაზა ციციშვილის ასულის წყალობის წიგნიდან: „...პატრონმა ანუკამა ფანასკერტელმან ციციშვილმან, ძემან ჩემმან ზაზამ და მანუჩარ, თქვენ, ჩვენსა ერთგულსა და თანამკვიდრად ნამსახურს ჩვენს აზნაურიშვილს გვარამაძეს ლომსა, ძმასა შენსა ზაალს და იესეს, შვილსა შენსა სეხნიასა, რევაზს და ნიკოლოზს, ძმის-წულსა შენსა იორამს და მომავალთა სახლისა თქვენისათა ყოველთავე მას ჟამსა, ოდეს მოგვიდეგით და წყალობას დაგვაჯენით...გიყავით წყალობა და გიბოძეთ კახი ბერუკაშვილების მამული, ორს მიწას გარდა, ერთი თვალპირთ მიწა და ერთი ზვრის ბოლოს მიწა სახასოთ დაგვიჭირავს... გვიბოძებია მისის სასახლითა, სასაფლაოთა, ვენახითა, მისის შესავლითა და გამოსავლითა, საბოსტნითა, მთითა, ბარითა, საწისქვილოთა, საძებრითა და უძებრითა, რაც რამე მისის მამულისაგან დაკარგული რამ გამოიგო, ისიც წყალობად გვიქნია. გქონდეს და გიბედნიეროს ღ˜ მან ჩვენსა ერთგულად

---

[1] ქართული სამართლის ძეგლები, ტ. VIII, სასამართლო არზა-ოქმები და კერძო-სამართლებრივი აქტები, ტექსტი გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ი. დოლიძემ, თბ., 1985, დოკ.#253, გვ.266-267. საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფ.1450, დავთ.14, საქმე 148.

[2] მ. მიჩიტაშვილი, ივანე გვარამაძის საისტორიო და საზოგადოებრივი შეხედულებები, თბ.,1995, გვ.95-104.

სამსახურსა შიგან, არაოდეს არ მოგეშალოს არა ჩვენგან და არა ჩვენთა მომავალთა და სახლის კაცთაგან."[1] მათ შთამომავალთა მდგომარეობა მძიმე და აუტანელი ხდება ოსმალობისა და ყიზილბაშობის პერიოდში აზნაურები ლომი და ბეჟან გვარამაძეები ჯერ კიდევ ყიზილბაშობის დროს ქვეყნიდან წასულ გლახა ციციშვილს, თავის სახლისკაც ფარსადანისათვის მიუბარებია.[2] ქვეყნის შედარებით მშვიდობიანი მდგომარეობით უსარგებლია გვარამაძეებს, თავისი მეურნეობის ფეხზე დაყენების მიზნით ჯავახეთიდან გლეხები გადმოუყვანიათ და თავის მამულში დაუსახლებიათ. გაღარიბებულ გლახა ციციშვილს იოლი გამ-დიდრების წყარო „აღმოუჩენია" მათი აზნაურშვილების არა მარტო სამკვიდრო, არამედ ნასყიდ მამულებისა და ყმა- გლეხების გაყიდვა დაუწყვია. აზნაურები, ლომი და ბეჟან გვარამაძე „ყიზილბაშჩი წაუყვანია." სამშობლოდან უცხო მხარეში გადმოხვეწილმა გვარამაძეებმა, რომლებმაც ოსმალთა ბატონობის მძიმე სოციალურ-ეკონომიკურ და ეროვნულ-პოლიტიკურ მდგომარეობას თავი დააღწიეს, მოღალატე, გამდიდრებას დახარბებული თავადის წყალო-ბით ყიზილბაშთა ტყვეობის ხვედრი ერგოთ წილად. მეურნეობის მოშლით, ყმა-მამულის დაკარგვით დაშინებულნი, გამოუვალ მდგომარეობაში ჩავარდნილი გვარამაძეები 1765 წლის არზით მეფე ერეკლეს მიმართავენ დასახმარებლად, საიდანაც ცნობილი ხდება საგვარეულოს თავსდატეხილი უბედურება: „...ბაადურისშვილისა აზნაურშვილი გახლდით ობლები წვრილნი დავრჩით და გამყიდეს, ყიზილბაშჩი წამიყვანეს, თქვენისა დოვლათითა მოველ და ჩემი სააზნაურშვილო ბაადურისშვილსა გლახასა ქალანთრისთვინა მიეცა ...მოიკითხეთ, თუ ჩემი მამული უსამართლოთ ეჭიროს, სამართალი

---

[1] საქართველოს სიძველენი, ტ. III, საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების გამოცემა, რედაქტორი ექ. თაყაიშვილი, თბ.,1910, დოკ.№170, გვ.146-147.

[2] ქართული სამართლის ძეგლები, ტ. IV, სასამართლო განჩინებანი (XVI-XVIII სს,), ტექსტი გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ი. დოლიძემ, თბ., 1972, დოკ.#330, გვ.418.

მაღირსეთ... ეს ამბავი ფარსადან დივანბეგმაც იცის, თავარე ეფისკოფოსმაც იცის, ზაზა ქვემო ციცის-შვილმაც. მამულით ყმით ვარ, თქვენს მეტი პატრონი არ მყავს“.[1] სოლომონი და გრიგოლ გვარამაძეები მეფეს კვლავ სთხოვენ დახმარებას. მეფის ძის ფარნავაზის განჩინების მიხედვით ყიზილბაშებისაგან ლომი გვარამაძე წინწყაროელს გურგენ ბეგს დაეხსნა და გაეთა-ვისუფლებინა. გურგენ ბეგისაგან მიცემული თავისუფლების წიგნი გვარამაძეებს ჯელთ ჰქონიათ. ამ ლომის ძმა, ბეჟანაც მთავარ-ებისკოპოზს, კირილე ციციშვილს დაესხნა და თავისთან ჰყოლოდა და მას აქეთ ეს გვარამაძეები, მეფის სახასოდ ყოფილან... ამ გვარამაძეების, ნამზითვი ყმა მამესწარაშვილებიც დავით მირზაშვილისათვის მიუყიდნია ციციშვილ გლახას, ეს მამეს-წარაშვილები ნეტარად ხსენებულის მამის ჩვენისა და ჩვენის ბრძანებით, ისევ გვარამაძეებს დავახსნევინეთ და დავით მირზაშ-ვილისთვისაც თეთრი მივაცემინეთ. რადგანაც ამათი ყმა და მამულიც ციცისშვილს ბაადურის შვილს გლახას გაუყიდნია, ესენიც იმისის ყმისა და მამულის გულისათვინ გასყიდულან და ამდენი მიზეზები მისცემიათ ამათთან საბატონო ყმათ ციცის შვილებს საქმე აღარავისა აქუს..ამისთვის რომ აზნაურ შვილს რომ თავისმა მებატონემ ყმა და მამული გაუყიდოს, ან ჩამოართოს და ან კიდევ თითონ აზნაურშვილმა, თავს ნებით ყმასა და მამულზედ ჯელი აიღოს და თავისის მამულიდამ ადგეს თავის მებატონეს საქმე აღარ ექნება და მეორედ ამისათვის, თითონ ეს გვარამაძეები გლახას ყმისა და მამულის ხარჯის გულისათვის გასყიდულან სხვად დაუხსნიათ და გაუაზატებიათ.“[2] როგორც ჩანს, გლახა ციციშვილი კვლავ აგრძელებდა გვარამაძეების დაფანტული ყმების მოძებნას და ძალით დასაკუთრებას. 1790 წლის არზით გვარამაძეებმა მეფისგან კვლავ

---

[1] დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან, II, ბატონყმური ურთიერთობა (XV-XIXსს.), ბერძენიშვილის რედაქციით, თბ., 1953, დოკ. # 92. გვ.62.

[2] იქვე, დოკ. # 92. გვ.62

ითხოვეს დახმარება ჯავახეთიდან გადმოსული თავიანთი მემკვიდრე გლეხის დასაბრუნებლად„... ჩემო ხელმწიფევ, ყმა ხომ ნასყიდი გვყავს, მამული თქვენი გვიჭირავს... თქვენს მეტს ჩვენთან ხელი არავის აქვს.“ მეფემ სათანადო ყურადღება და წყალობა გამოიჩინა[1] სამეფო კარმა ამ გვარამაძეებზე ციციშვილების ბატონობა ძალადაკარგულად გამოაცხადა. საკვლევი თემისათვის საინტერესოა გამოტანილი განაჩენის სამართლიანობის დასაბუთება, რასაც საფუძვლად უდევს მეფის გამოცემული კანონი ტყვეობიდან დაბრუნებული, ან გამოსყიდული აზნაურის მეფის ყმობაში მიღების შესახებ: „პირველად ამისათვის, რომ აზნაურშვილს რომ თავისმა მებატონემ ყმა და მამული გაუყიდოს, ან ჩამოართვას და, ან კიდევ თითონ აზნაურშვილმა თავის ნებით ყმასა და მამულზედ ჴელი აიღოს და თავისის მამულიდამ ადგეს, თავის მებატონეს საქმე აღარ ექნება და მეორედ იმისათვის თითონ ეს გვარამაძეები გლახას ყმისა და მამულის ხარჯის გულისათვის გასყიდულან, სხვათ დაუხსნიათ, გაუაზატებიათ... სამართლიანის საქმით ამათთან საქმე აღარავისა აქვს არც ციციშვილს რამაზას და არც სხვა ციციშვილებს და ჩვენს სახასო აზნაურშვილად დავწერეთ ესენი.“ [2]

იმერეთიდან გადმოსული აზნაური ზურაბ ფურცელაძე დედოფალ დარეჯანს შეუფარებია. სადედოფლო აზნაური არზა-მოხსენებებით ხშირად მიმართავს სრულიად საქართველოს დედოფალს დახმარებისთვის.[3]

ამდენად, მეფე ერეკლე განახლებული და განხორციელებული საკანონმდებლო ინიციატივებით უზრუნველყოფდა მეფის ჩარევას თავადებისა და აზნურების ურთიერთობაში რითაც განამტკიცა უშუალო კავშირი აზნაურობასთან.

---

[1] ქართული სამართლის ძეგლები, ტ. VIII, სასამართლო არზა-ოქმები და კერძო-სამართლებრივი აქტები, ტექსტი გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ი. დოლიძემ, თბ., 1985, დოკ.# 65, გვ.76-77.

[2] სცსსა, ფ. 1448, საქმე 873

[3] სცსსა, ფ.1448, საქმე 417.

ამდენად, აღნიშნული საკითხების მოგვარებას სამეფო კარი სახელმწიფოებრივი საკანონმდებლო ინიციატივებით ახორციელებდა, რაც აისახა კიდეც იოანე ბაგრატიონის „სჯულდებაში“.[1] სხვა საკითხია, რამდენად შეეძლო სარგებლობის მოტანა პროექტს ქვეყნისათვის იმ პერიოდში, თუმცა საკვლევი თემისთვის წყაროთმცოდნეობითი მნიშვნელობის თვალსაზრისით მეტად საყუ - რადღებოა.

ამრიგად, მიუხედავად მეფისგან მკაცრი გაფრთხილებისა, ციციშვილები ხიზნების დაყმევებას და მამულიდან მათ უნებართოდ წასვლას სასტიკად ეწინააღმდეგებოდნენ. ყოველნაირად ცდილობდნენ სახასო ყმებიც თავის მამულებში დაებრუნებინათ. ამ მხრივ საინტერესოა XVIII საუკუნის პირველ ნახევარში იმერეთიდან ქართლს გადმოსული აზნაური გიორგი საყვარელიძის ისტორია. აღნიშნული ისტორია შესწავლილი აქვს მკვლევარ გ. აკოფაშვილს.[2] ზემოდასახელებულ აზნაურთა ისტორიებს აერთიანებთ ის, რომ ყმა-მამულის დატოვების და წასვლის შემთხვევაშიც თავადები აზნაურებს თავიანთ ყმებად თვლიდნენ, ეწინააღმდეგებოდნენ მეფის მფარველობაში გადასვლას და მათ დაბრუნებას ყოველი გზით ცდილობდნენ.

სამეფო აზნაურთა შორის იყვნენ ისეთებიც, რომელთაც ყმა-მამული საერთოდ არ გააჩნდათ და არსებობის ერთადერთ საშუალებას სამეფო კარზე გაწეული სამსახურის სანაცვლოდ მიღებული გასამრჯელო წარმოადგენდა, თუმცა თავს მაინც უზრუნველად და დაცულად გრძნობდნენ.[3]

---

[1] იოანე ბაგრატიონი სჯულდება, ქართლ-კახეთის სამეფოს სახელმწიფოებრივი რეფორმების პროექტი, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა შესავალი, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო ივ. სურგულაძემ, თბ.,1957გვ.19[15-25]; გვ.35[15-25];.

[2] გ. აკოფაშვილი, სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან, XV-XVIIIსს. ქართლში, თბ., გვ.176-177

[3] Акты , собранные Кавказской Археографической Комиссией. I. С. 259-261.

სახასო აზნაურების ზრდას ხელი შეუწყო ასევე თეიმურაზ II-ის და ერეკლე II-ეს მიერ სათავადო სისტემის წინააღმდეგ მიმართულმა პოლიტიკამ. არაგვისა და ქსნის საერისთავოს გაუქმება, ეს იყო ერთგვარი გაფრთხილება. მეფის წინააღმდეგობის შემთხვევაში, არ იყო გამორიცხული სათავადოებს და მათ შორის საციციანოსაც იგივე ბედი გაეზიარებინა. ამ ფაქტმა, როგორც ჩანს გავლენა მოახდინა ციციშვილებზე, რადგან ამ პერიოდის დოკუმენტებში შეინიშნება მეფისადმი საინტერესო მიმართვა: „თქვენის წყენის უღონო გახლავართ თორემ... „ე.ი. აღიარებენ რა მეფის ძალას, ადვილად ვეღარ ბედავდნენ ძალის დემონსტრირებას, სადამსჯელო ინიციატივებს ყმების დასამორჩილებლად.

მაღრაძეთა საგვარეულო სახლის დოკუმენტური მასალის სიმრავლე ერთობ საინტერესოა იმით, რომ მაღრაძეთა საგვარეულო განაყოფი ქონების შემენას და დაცვას ჯერ კიდევ XVII საუკუნის ბოლოს მეფესთან დაახლოვებით ცდილობს. ამ სააზნაურო გვარიდან სათავადო აზნაურებს იმდენად მჭიდრო კონტაქტები აქვთ სამეფო კართან, რომ მეფე ერეკლე გიორგი მაღრაძეს დესპანად აგზავნის ირანსა და რუსეთში.

გიორგი მეთერთმეტის ბრძანებიდან ჩანს, რომ მაღრაძეთა მეორე შტოს ციციშვილთა ყმობიდან გამოსვლა და სამეფო ყმად გახდომა მტკიცედ განუზრახავს, მეფე თანხმობას აძლევს: „...ჩვენთან ხლება რომ მოგინდომებიათ, ღვთის მოწყალებით, ჩვენც მწყალობელნი ვიქნებით...სააზნაურშვილო მამულზედაც დაგაყენებთ და არცარა გაგიჭირდება და არცარა გეთხოებათ რა კარზე სამსახურის მეტი და არც არავის სხვას კაცს თქვენთან საქმე ექნება ჩვენი და ჩვენი შვილების მეტს“.[1]

ერთგულებით გამორჩეულ სახასო აზნაურ ზურაბ მაღრაძეს მეფისაგან 1798 წლის თავდახსნილობის წიგნიც დაუმსახურებია. იმდენად გავლენიანი, ძლიერი ფეოდალია გიორგი XII-ის მეფო-

[1] ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ფ.Qd, საბ.707.

ბისას, რომ მეფისაგან თავისი ასულის, ნინოს ქორწინებაზეც მიუღია თანხმობა, დედაქალაქში ჩაუყვანია მეფეს. მართალია პირობა მეფეს აღარ შეუსრულებია, მაგრამ თვით ეს ფაქტი ნათელი მაგალითია სამეფო აზნაურების დაწინაურებისა და აღზევებისა: „....სანატრელს მამათქვენს ჩვენი თავი თქვენ აცნობეთ. ქართლიდამ ქალაქს რომ ჩამოგვიყვანეთ, თქვენს ქალს ნინოს გვატანდით და მერე ხომ აღარ ინებეთ; და ამ გზით ჩვენი ამ სოფელში ყოფნა თქვენი მოწყალება არის. ჩვენო ჴელმწიფევ, პირველად რომ ჩვენ ბაადურის შვილის ყმანი ვყოფილვართ, იმან ყმა და მამული გაგვიყიდა და მერე ჩვენც გასყიდვა შევიტყვეთ, სამართალში ველაპარაკენით, განაჩენი მოგვცა და ჩვენი სახსარიც სანატრელმა მამა თქვენმა უბოძა, ყმითა და მამულით განვთავისუფლდით, განაჩენიც დაგვიმტკიცა და თავდახ-სნილობის წიგნიც გვიბოძა, რომ სახასოდ დავიდევით“. სადაო საქმის გადასაწყეტად მოწმედ მოუწვევიათ ციციშვილების ყმობიდან მეფის დახმარებით თავდაღწეული თომა მეღვინეთხუცისშვილი.[1]

გიორგი მაღრაძის მსგავსად, ერთგვარ გამონაკლსს წარმოადგენს ვახტანგ მეექვსეს 1710 წლის ზაქარია გვერდ-წითელისადმი ბოძებული წყალობის წიგნი. ღალატის მსგავსად მეფეები არ პატიობდნენ ურჩობას აზნაურებს, რასაც ეწირებოდა მათი სამკვიდრო მამული. მეფეს, ზაქარიას ძმისწულ ჯანიბეგი-სათვის ყანდაარს მეფე ქაიხოსროსთან წასვლა უბრძანებია, ჯანიბეგი კი ეურჩა და სხვა ქვეყანაში გაიჭრა. ზაქარიას ჯანიბეგის მაგიერ ყანდაარს წასვლა უკისრია და ამის საჯილდაოდ ვახტანგი მას ჯანიბეგის წილ ყმა-მამულს უბოძებს.[2]

XVIII საუკუნის მეორე ნახევრიდან საციციანოს შესახებ ჩვენს მიერ მოძიებული დოკუმენტებიდან ყურადღებას იქცევს გაცემული მეფის ოქმები, რომელთა დიდი ნაწილი საციციანოს სამეფო

---

[1] ქართული სამართლის ძეგლები, ტ. VIII, სასამართლო არზა-ოქმები და კერძო-სამართლებრივი აქტები, ტექსტი გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ი. დოლიძემ, თბ., 1985, დოკ.#450, გვ.472-73.

[2] ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ფ.Hd, საბ. 8516.

აზნაურების დაცვას, მათი ყმა-მამულის შენარჩუნებაზე ზრუნვას და ინტენსიური მეურნეობის ხელშეწყობას ითვალისწინებდა. სამეფო აზნაურებს ერეკლე მეორე თავისი იასაულის ზურაბ საგინაშვილის დახმარებით დაფანტულ ყმა-გლეხებს უბრუნებს და სთხოვს საციციანოს სოფელ ხვედურეთიდან აღებული ღალიდან მეფის წილი ლუა წინამძღრიშვილს ყაბზით მიაბაროს."[1]

მეფე ერეკლე მეორემ აზნაურთა თავისუფალი წასვლის უფლება, რომლითაც ადრე თითქმის ვერ სარგებლობდნენ ახლა რეალურ უფლებებში აღადგინა. აზნაურთა ამ უფლების დამკვიდ-რებამ ჩანს ციციშვილთა უკმაყოფილება გამოიწვია. სათავადოში აღმოჩნდნენ აზნაურები, რომლებიც ამჯობინებდნენ სამკვიდრო ქონების დატოვებას და წასვლას. სწორედ ამას გამოუწვევია გაუთავებელი დავა თომა მეღვინეთხუციშვილისა - ციციშვილებთან. მეფისაგან ითხოვენ, რომ ეს უფლება ცნონ ციციშვილებმა და აზნაურთა ნასყიდ და ნაწყალობევ მამულზე ხელი აიღონ. ამ აზნაურებს მეზობელი მებატონეებიც ავიწროებენ და კუთვნილ ყმა-მამულში ეცილებიან. რა თქმა უნდა, ეს იწვევდა იმის შიშს, რომ მასობრივად არ დაწყებულიყო სათავადო აზნაურთა წასვლა მამულიდან და მეფის მხარეზე გადასვლა. მიუხედავად იმისა რომ ყმა-მამული ციციშვილებს რჩებოდა, მაინც სასტიკად ეწინააღ-მდეგებოდნენ, რადგან თავადები უშუალოდ არ იყვნენ ჩაბმულნი მეურნეობის მოვლა-პატრონობაში, ნაკლებად ზრუნავდნენ ინტენსიური მეურნეობის განვითარებაზე, ვერ უღებდნენ ალღოს დროის ცვლილებას, არ ფიქრობდნენ მეურნეობის რაციონალურად მოწყობასა და რენტაბელობის ზრდაზე, ძირითად მწარმოებელ ძალად კვლავ აზნაურები და გლეხები მიაჩნდათ.

მეფესთან დამოკიდებულების საინტერესო სურათს იძლევა საციცინოს საგვარეულო სახლის, აზნაურ მეღვინეთხუციშვილთა ამსახველი დოკუმენტები. როგორც ზემოთ ავღნიშნეთ, მეფემ

---

[1] ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ფ. Hd, საბ. 863.

ზაქარია ციციშვილის ღალატის გამო ჩამოართვა მისი სახლთუ-ხუცესი თომა მეღვინეთხუციშვილი თავისი ძმისწულებით და ლუარსაბ წინამძღვრიშვილი სახასო ყმებად გაიხადა, მეღვინეთ-ხუციშვილების სამკვიდრო მამული ციციშვილებისად სცნო, ხოლო ნასყიდი კი მეღვინეთხუციშვილებს დაუტოვა.[1] მეფე სრულ თავისუფლებას აძლევს მოძებნონ და დაისაკუთრონ სახასო ბეითალმანი მამულები ხიდისთავსა და წედისში[2]. XVIII საუკუნის 80-იან წლებში ატენის სამოურავოს ცენტრმა სოფელ ხიდისთავში გადმოინაცვლა. მეფის მფარველობით წაქეზებულები დროთა განმავლობაში ციციშვილთა მიწების ხელში ჩაგდებასაც ახერხებენ. 1787 წლის 21 თებერვლის არზით, ერეკლე მეფისგან თომა და პაატა მეღვინეთხუციისშვილები ორმოცდაათ დღიურ მიწას და ყმებს ღებულობენ. დამატებით თავიანთი ყმებისთვის მამულებს და თავშესაფარის წყალობასაც ღებულობენ: „...თქვენგან რომ ყმისა და მამულის წყალობა დაგვემართა, ჩვენი თან გამოყოლილის კაცებისაც ასე წყალობის იმედი გვებრძანა: თქვენ იქავ წედისის გარშემო ბეითალმანი მამული მოძებნეთო და იმათთვისაც წყალობა დაგემართებათო. ჩვენ ეს მოხსენება იმან გაგვაბედვინა, რომელიც ერთი-ორი თან გამოყოლილი კაცნი გვყავს, თავის შესაფარებელი ადგილი არა აქვსთ და ამისათვის ქვეყნის სამსახურსაც აკლიან ... ხიდისთავის გარშემო თქვენი სახასო ბეითალმანი მამულები არის, რომ იქაურის მემკვიდრეს მოთაბარისა კაცისაგან ვიცით. ამას გევედრებით, რომ იმ გამოყოლილი კაცებისათვინაც ერთი საკომლო მამულის წყალობა დაგვემართოს და ბინა მიეცესთ, რომ ან თქვენს საქვეყნოს ხარჯში არ გამოაკლდენ და ჩვენც გვარგონ რამე. ზედელებიც ხომ თავეთს მამულს ვეღარ უდგებიან და ამ დროებში ისინიც იმათ შემოვახვიოთ, რომ არსად დაგვეფანტნენ.“ საბუთის

---

[1] ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ფ. Qd, საბ.420.

[2] ქართული სამართლის ძეგლები, ტ. VII, სასამართლო არზა-ოქმები, ტექსტი გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ი. დოლიძემ, თბ., 1981,გვ.770-771

თავში განსხვავებული ხელით საინტერესო მინაწერია, „ხიდისთავს ჩვენის ყმების ...ერთი მთელი საკომლო მიწა უპოვნია. ჩვენ ეს მოხსენება გავუგონეთ ... რაც ხიდისთავს ჩვენის ყმების ატენელების ბეითალმანი მიწები არის, ხიდისთავის მამასახლისო....მთელი ზომით გაურჩიეთ და მოაბარეთ...“[1] არსად არის მინიშნება „ნაპოვნი“ მიწები ხომ არ ეკუთვნოდათ ციციშვილებს, ან ხიდისთავში ბეითალმანი მიწები ატენელების სახასო იყო თუ არა. ე.ი მთავარია მეფისგან ჰქონოდათ ბრძანება, რომ ორმოცდაათი დღიური უნდა მოუზომონ და ზომით მისცენ.

თომა და პაატა მეღვინეთხუციშვილების ისტორია არზების სიმრავლით და სამამულო დავებით გამოირჩევა. მშვიდობიანი ცხოვრებისა და მეფე ერეკლე მეორის ძლიერ ცენტრალური ხელისუფლების არსებობის პირობებში მეღვინეთხუციშვილის აზნაურთა სახლი წინსვლასა და დაწინაურებას აგრძელებს. აფართოვებენ ინტენსიურ მეურნეობას მეფის მფარველობითა და ხელშეწყობით. სამეფო ხელისუფლება იცავს მას მეზობელი აზნაურებისა და ციციშვილთა ძალმომრეებისაგან. „მრავალჯერ თავი გვიწყენია და თქვენი წყალობა ხუთი ოქმი გვაქვსო“ აცხადებს თომა მეღვინეთხუციშვილი, მაინც უკმაყოფილოა იმით, რომ „ოცამდის დღის მისას სახელი დაგვირქვეს შორსაა და გამოუყენებელი-ო“. 1795 წლის 6 თებერვლის ერეკლე მეორის ოქმით იღებს სასურველ მიწებს ინდივიდუალური რაციონალური მეურნეობის მოსაწყობად.[2] მეფის მფარველობაში მყოფი ვერ პატიობს ადგილობრივ გლეხს, სამი დღის მიწის დანებებაზე უარს და მეფეს ახალი თხოვნით მიმართავს. შედეგმაც არ დააყოვნა, 1801 წლის 4 მაისის არზით დავით ბატონიშ-

---

[1] მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის, წიგნი III, (აღმშენებლობა, სახელმწიფო ეკონომიკა, ქონება),მასალები შეარჩია და გამოსაცემად მოამზადა ნ. ბერძენიშვილმა, თბ., 1955, გვ. 214.

[2] ქართული სამართლის ძეგლები, ტ. VIII, სასამართლო არზა-ოქმები და კერძო-სამართლებრივი აქტები, ტექსტი გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ი. დოლიძემ, თბ., 1985, დოკ. #303, გვ.319-320.

ვილი აზნაურისთვის სასარგებლო გადაწყვეტილებას იღებს. ავალებს თარხნიშვილ დავითს სამართლის აღსრულებას.[1]

თომა მეღვინეთხუციშვილის მეფისადმი ერთგულებაზე, ლაშქრობაში საბრძოლო დამსახურებასა და კუთვნილ სარგოზე საინტერესო ცნობებს იძლევა ერეკლე მეორის ოქმი: „ ჩემო ხელ-მწიფევ თქვენი შვილი იულონ, რომ ოსებში გაისტუმრეთ და იქა ბრძანდებოდა, რომელიც დასაქცევი ციხე იყო, ხომ და[ა]ქცე-ვინა...იმათ თავისი მოყადაღეები დაუყენა, რომ ამათი წახდენა ჩემის ჯარისაგან არ იქნებაო. მას უკან მოყადაღე[ე]ბმა ვერ შეიმაგრეს. და მე მიბრძანა თქვენმა შვილმა, წაველ რამთონჯერა და მოვაცალე ის ჯარი და ჯაფაც კარგი გადამხდა. თქვენმა შვილმა წყალობა მიყო-კოშკზე თითო თუმანი მისცენ თომასაო...ახლა მოყადაღდაე[ე]ბმა თავისიც აიღეს და ჩემიცა და ორივ იმათ უჭირავს.“ მეფე მკაცრად ითხოვს ოქმით „ვისაც აეღოს, ახლავ გამოურთვი და მოეც. ამაზედ უსაბუთოდ ნუ ილაპარაკებენ. თორემ თუ გამტყუნდებიან ერთი-ორად წავართმევთ-ო.“[2]

ზაალ, ნოდარ, ზურაბ და გივი თულაშვილების აზნაურთა საგვარეულო სახლი დასტურლამალის მიხედვით სადედოფლო აზნაურებად მოიხსენიება.[3] სამეფო კარის მფარველობით, მუყაითი შრომითა და გარჯით ეკონომიკურად მოძლიერებულები ჩანან. თულაშვილი იოსები და ლუარსაბი ყიდულობს ღართისუბანში „...ხოდაბუნებს, ნასახლარს, სახნავსა და უხნავს ...აზნაურიშვილის მიწის გზამდის“, როგორც ჩანს სათავისთავო ინტენსიური მეურნეობის მოსაწყობად.[4] მეფე ვახტანგ VI-გან საკმაოდ დიდი

---

[1] ქართული სამართლის ძეგლები, ტ. VIII, სასამართლო არზა-ოქმები და კერძო-სამართლებრივი აქტები, ტექსტი გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ი. დოლიძემ, თბ., 1985, დოკ. #768, გვ.733.

[2] იქვე, დოკ.# 298, გვ.313-314.

[3] ქართული სამართლის ძეგლები, ტექსტები გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევები, ლექსიკონები და საძიებლები დაურთო ი. სურგულაძემ, თბ.,1970, გვ.720-721.

[4] სცსსა, ფ. 1450, დავთ. 51, საქმე 39.

წყალობა ნასოფლარები ღორისთავი და ბევრეთი მიუღიათ.[1] დასტურლამალის მიხედვით გზების შენახვა თულაშვილებს და გლურჯიძეებს ევალებოდათ.[2] დასტურლამალის სამეფო კარის მათდამი დამოკიდებულებას კარგად ასახავს სვიმონ ბატონიშვილის წყალობის წიგნზე დართული თანადგომის გამომხატველი სიტყვები: „ჰემწიფისათა ჩვენ ქართველთა მეფისა ჩვენის ძმის მეფის, პატრონის ვახტანგის მაგიერად მყოფმან საქართველოს გამგებელმან ბატონიშვილმან პატრონმან სვიმონ...შეგიწყალეთ და გიბოძეთ, ჩვენსა ერთგულსა და მრავალგვარად თავდადებულს ყმას თულაშილს, ბეჟანიშვილს ლუარსაბს და მამაშენს იოსებს ზრბითს მამული... დღეს რისაც მქონებელნი იყვნენ.[3] თულაშვილების თხოვნას, თავიანთივე სახლისკაცის ბეითალმანი მამულების წყალობის შესახებ, მეფე გიორგი XII-ის შემდეგი სიტყვებით აკმაყოფილებს, „თავდადებით ნამსახურსა და ჩვენგანვე სიყრმიდგან აღზრდილს თულაშვილს... ასე რომე შენი სახლის კაცი ... უყმოთ ამოვარდა და ამის წილ ყმასა და მამულს დაგვეაჯე ჩვენც შენის ნამსახურებისა და ერდგულების სანუქფოთ გიბოძეთ... ნაქონი ყმა-მამული ნასყიდი და უსყიდი რისაც მქონებელი ყოფილა მთითა, ბარითა სათიბითა, უთიბითა, ტყითა ველითა სახნავითა, უხნავითა, ქვევრ მარნითა, წყლითა წის- ქვილითა, სასახლითა თავის შესავალ გასავლითა, თავისის სამართლიანის სამძღვრებითა ...სახლისა შენისათვის გვიბოძებია.“[4]

ეს კიდევ ერთი ეპიზოდია გაძლიერებული სამეფო ხელი-სუფლება როგორ უწყობს ხელს სამეფო აზნაურების ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას. პასუხობენ დროის მოთხოვნებს, ქვეყნის ეკონომიკური აღმავლობის და ვაჭრობის განვითარებასთან

---

[1] სცსსა, ფ. 1450, დავთ. 51, საქმე 48.

[2] ქართული სამართლის ძეგლები, ტექსტები გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევები, ლექსიკონები და საძიებლები დაურთო ი. სურგულაძემ, თბ.,1970, გვ.532-533.

[3] სცსსა, ფ. 1450, დავთ. 51, საქმე 63.

[4] სცსსა, ფ. 1450, დავთ. 51, საქმე 44.

ერთად, ეწევიან რაციონალური მეურნეობის მოწყობას, რითაც კიდევ უფრო უახლოვდება და საიმედო ძალა ხდება მეფის ხელისუფლებისათვის.

სადედოფლო აზნაურობა მიუღიათ ნარიმანიშვილებს და ლარაძეებს.[1] ციციშვილთა ყმობას თავს აღწევენ და მეფის მფარველობაში გადადიან, ცნობილი აზნაურთა საგვარეულო ოჯახები ქურდევანიძეები,[2] ალექსიძეები,[3] ალაიბეგაშვილი.[4] მოკვლეული მასალების მიხედვით საციციანოს სათავადო აზნაურებიდან სახასო აზნაურობაში გადასული საგვარეულოებიდან 1783 წლის ტრაქტატის სახასო აზნაურთა სიაში[5] ბევრი მათგანი ვერ მოხვდა სხვადასხვა მიზეზების გამო. ძირითადად სიაში ასახვა ჰპოვა მხოლოდ, XVIII საუკუნის 80-იანი წლების ცნობილ აზნაურთა საგვარეულო სახლებმა. საციციანოს აზნაურთა ერთმა ნაწილმა დაკარგა აზნაურობა, ნაწილი ციციშვილებთან და სასამართლოსთან დავას კვლავ აგრძელებდა, რა თქმა უნდა სიებში ვერ მოხვდებოდნენ ტრაქტატის შემდგომ პერიოდში მნიშვნელოვნად გაზრდილი სამეფო აზნაურები.

ამდენად, სახასო აზნაურთა რაოდენობა, ისევე, როგორც მათი სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური მდგომარეობა, მჭიდროდ იყო დაკავშირებული ქვეყნის საშინაო და საგარეო ვითარებასთან, ცენტრალური ხელისუფლების სიძლიერესთან.

---

[1] სცსსა, ფ.1449, ს.1025; ფ. 1450, დავთ. 26, ს. 26, 3,4,7.

[2] ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ფ.Hd, საბ. 804.

[3] ქართული სამართლის ძეგლები, ტ. VIII, სასამართლო არზა-ოქმები და კერძო-სამართლებრივი აქტები, ტექსტი გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ი. დოლიძემ, თბ., 1985, დოკ.# 269, გვ. 282; დოკ.#550, გვ.556; АКАК- I. С.361-368.

[4] სცსსა, ფ. 213, საქმე 523, გვ.36.

[5] ქართული სამართლის ძეგლები, II ტ., საერო საკანონმდებლო ძეგლები, (X-XIX სს.), ტექსტი გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ი. დოლიძემ, თბ., 1965, დოკ.#135, გვ. 485-486.

ზემოთ განხილულ საციციანოს მასალებში, მწირი და ფრაგმენტული ცნობების მიუხედავათ, შეგვიძლია ავღნიშნოთ სამეფო აზნაურების ინდივიდუალური ინტენსიური მეურნეობის შექმნის პროგრესული ცვლილებები. მიუხედავად სამეფო აზნაურების გაზრდილი რაოდენობისა და მათი სოციალური პირობების გაუმჯობესებისა, არსებითი ხასიათის ცვლილებები სათავადოს სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაზე არ ასახულა.

3. გლეხები

სათავადოს სიძლიერეს განსაზღვრავდა, არა მხოლოდ მამულების რაოდენობა, არამედ ყმა-გლეხების სიმრავლე. ამდენად, მათი შოვნის გზები, ყმების სოციალური და უფლებრივი მდგომარეობა, სათავადოს სოციალური ურთიერთობის კვლევისას ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია. საციციანოს გლეხობა, მამულების მფლობელობა-კუთვნილების მიხედვით სამი სახის გვხვდება: სამეფო, სათავადო და საეკლესიო.

გლეხობის კატეგორიებად დაყოფის შესახებ მკვლევართა შორის(ლ.მუსხელიშვილი, ივ.ჯავახიშვილი, გ.აკოფაშვილი, დ. გვრიტიშვილი, ნ.ბერძენიშვილი, გ.ჯამბურია და სხვ.) აზრთა სხვადასხვაობაა. საკვლევ თემაში დოკუმენტური მასალებით გამოიკვეთა გლეხთა შემდეგი ძირითადი კატეგორიები: მკვიდრი, მსახური, ნასყიდი, ნებით მოსული, ანუ „ნებიერი“,თარხანი ანუ აზატი, შეწირული.

მკვიდრი გლეხები,ძირითადად მემკვიდრეობით, მამა-პაპათაგან ღებულობდნენ თავიანთ ყმურ მდგომარეობას. საციციანოს მამულში თაობათა მანძილზე დაწესებული ბეგარა-გადასახადების ძირითადი გადამხდელები იყვნენ და ინტენსიურ მეურნეობას ეწეოდნენ. მონაწილეობდნენ ნადირობასა და ლაშქრობებში და იხდიდნენ სახელმწიფო გადასახადს. მკვიდრ გლეხს მემკვიდრეობით ეჭირა როგორც საკუთარი, ან ნასყიდი მიწა, ასევე თავადის ნაწყალობევი მამული, რისთვისაც უხდიდა გადასახადს და ეკრძალებოდა მამულიდან თავისი ნებით წასვლა. სამკვიდრო მამულს გლეხი კარგავდა გადასახადების გადაუხდელობის, ვალის, შემთხვევით დანაშაულის ჩადენის სანაცვლოდ. 1657 წლის დოკუმენტში ვკითხულობთ:„... ეშმაკის ცთუნებითა შენი შვილი მამულა შემომაკვდა და მერმე დამიჭირეთ... სიკუდილს მიპირებოდეს და მერმე ნეფესთან რომ სასიკუდილოდ წამაყენეს, ბატონი კათალიკოზი და ბატონი თბილელი და სახლთუხუცესი, ციციშვილი ყაია... და სრულად საქართველოს ეფისკოპოზნი, და ხელმწიფის კარის

მდივანნი შუა შემოვიდენ და აღარ მომკლეს. და ჩემი კერძი მამული და დედული მკუდრისათვის სააღაპოდ დადუეს.“[1]

მკვიდრ გლეხებს შორის გამოირჩევიან კარის მსახურები, რომელთა ძირითადი მოვალეობა ლაშქარ-ნადირობა და მებატონის კარზე სამსახური იყო.[2] გლეხთა კატეგორიაში ბატონის კარზე ყმის სამსახური ყველაზე საპატიო მოვალეობად ითვლებოდა. მსახურს მებატონის სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულებისთვის ეძლეოდა მიწა, მაგრამ იგი ამ მიწის მხოლოდ დროებითი მფლო-ბელი იყო და ამ მოვალეობის დაკარგვასთან ერთად მიწასაც კარგავდა.

ვახტანგ VI-ის სამართლით, „გლეხის სისხლზე ერთი ორად მსახურისა არის, მსახურზე ერთი ორად -ცალმოგვი აზნაურისა...“[3] ციციშვილებს საკმაოდ მრავალი მსახური უნდა ჰყოლოდათ „საერთო“, „საუფლისწულო“, და „სათავისთავო” მამულში, თუმცა მათი რაოდენობის შესახებ ფაქტობრივი ცნობები არ მოგვეპოვება. მსახურ გლეხთა კატეგორიაში შემავალი ფენა შედარებით პრივილეგირებულნი იყვნენ. მსახურის ოჯახიდან ერთ-ერთი კაცი ყოველთვის ბატონს უნდა ხლებოდა. ამდენად, პატრონისადმი მთავარი მოვალეობა მსახურება, თან ხლება და მოლაშქრეობა იყო, თავისი შეიარაღებითა და ხარჯით. სახლის უფროსს შეეძლო უფლისწულისათვის მიეცა მსახურად და დაესაჯა კიდეც „მართებულს დანაშაულზე.” მოვიპოვე მეტად საინტერესო

---

[1] ქართული სამართლის ძეგლები, ტ. IV, სასამართლო განჩინებანი (XVI-XVIII სს.), ტექსტი გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ი. დოლიძემ, თბ., 1972, დოკ.#43,გვ.102.

[2] ქართული სამართლის ძეგლები,ტ. VIII, სასამართლო არზა-ოქმები და კერძო-სამართლებრივი აქტები, ტექსტი გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ი. დოლიძემ, თბ., 1985, დოკ. #342, დოკ.#481, გვ. 363; დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან, I; ბატონყმური ურთიერთობა, (XV- XVIII სს.) ნ. ბერძენიშვილის რედაქ-ციით, თბ.,1940. დოკ. # 172, გვ.126.

[3] სამართალი ვახტანგ მეექვსისა, ტექსტი დაადგინა, გამოკვლევა და საძიებლები დაურთო ისიდორე დოლიძემ, თბ., 1981,გვ. 489.

დოკუმენტი, სადაც ერთგული სამსახურისთვის ციცი ციციშ-ვილისაგან მეუნაგრე ბაბანა, 1658 წლის წყალობის წიგნით საჩუქრად იღებს ერთ კომლ ყმას:„...ესე წიგნი და ნიშანი დაგიწერეთ და მოგეცით ჩუენ ფანასკერტელმან ბატონმა ციციშვილმა ციციმან თქვენ, ჩვენს ნამსახურს მეუნაგრეს ბაბანას, შვილთა თქუენთა ვაშყულასა და იმანყულასა, მუსტაფას, სახლისა მომავლისა თქუენთა ყოველთავე. ასრე და ამა პირსა ზედან: რადგან ჩუენი დიდი ნამსახური იყავ და ფეშქაშიც მოგუართუი, ავდეგ და მეც ერთი კობლი ყმა მოგეც წყნეთელი გოგია თავისის ცოლითა და ოთხის ვაჟითა. მოგცეს და გაგითაოს ღ'თმა როგორც ფერათ იმსახურო, იმა-გუარათ, არავინ იყოს შენი მოცილე-მოდავე: არა მე, არა ჩემი ბიძა ქაიხოსრო, არა ჩემი სახლის, არა ჩემი გუარი კაცი, თუნიერ ერთის უტყუარის ღთის მეტი...“[1]

ამ პერიოდის ისტორიული დოკუმენტებით გახშირებული იყო ყმა-გლეხის უმამულოდ გაყიდვა.[2] იგი მხოლოდ 1770 წელს გამოცემული კანონით აიკრძალა. ასეთ გლეხს დაკარგული ჰქონდა მიწის მემკვიდრეობით სარგებლობის უფლება. საციციანოში ნასყიდი გლეხობის წარმოქმნის მთავარი მიზეზები გამოწვეული იყო, ქვეყნის მძიმე სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური მდგომარეობით, როგორიცაა: ყმა-გლეხთა ტყვედ ჩავარდნა, გაჭირვება, დავალიანება, გამიზნულად, ან უნებურად ჩადენილი მძიმე დანაშაული, რაც აიძულებდა თავი მიეყიდა მეზატონისათვის. 1657 წლის დოკუმენტში ვკითხულობთ:„....ერთი ეშმაკის ცთუნებითა შენი შვილი მამულა შემომაკვდა და მერმე დამიჭირეთ და სამდივნოთ საქმე გამიჯდა და სიკუდილს მიპირებოდეს და მერმე ნეფესთან რომ სასიკუდილოდ წამაყენეს... სრულად საქართველოს ეფისკოპოზნი, და ხელმწიფის

---

[1] დოკუმენტები თბილისის ისტორიისათვის (XVI-XIXსს.), წიგნი I, შედგენილი ნ. ბერძენიშვილის და მ. ბერძნიშვილის მიერ, თბ.,1962, გვ.21

[2] დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან ბატონყმური ურთიერთობა (XV-XVIIIსს) ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, I, თბ.,1940, დოკ.# 270, გვ.195-196.

კარის მდივანნი შუა შემოვიდენ და აღარ მომკლეს. და ჩემი კერძი მამული და დედული მკუდრისათვის სააღაპოდ დადუეს...ამგუარად გაგვირიგეს."[1] გაღარიბებული და ვალში ჩავარდნილი ციციშვილები ძირითადად უთითებდნენ გაყიდვის ზოგად მიზეზებს. 1741 წლის ნასყიდობის წიგნში ვკითხულობთ: „სიგელი დაგიწერეთ და მოგეცით ჩვენ ციცისშვილმა სარდლის ძემან ქაიხოსრომ, ძმამან ჩემმან ფარსადან და თეიმურაზმან, გოდაკაანთ ჰოანაშვილს გრიქოლას, ძმასა შენსა დავითას ...ასრე რომე დაგვეჭირა და მოვედით ჩუენის ნება-წადილითა და მოგყიდეთ ჩემი მკუიდრი ყმა ნიჩბელი ოსიყმიანთ აბრამაშვილი ბერიძე და ამისი ძმა ივანე. ავიღევით შენგან ფასი სრული..."[2]

ნასყიდობის წიგნების სიმრავლის მიხედვით, ეს პროცესი საციციანოში შესამჩნევი ხდება ძირითადად XVII-XVIII საუკუ-ნეების დოკუმენტებიდან.[3]

1704 წლის ყმის ნასყიდობის წიგნის მიხედვით კი, მეფის მდივან გივი თუმანიშვილისთვის, მრავალი სიკეთის გასამრჯელოს საფა-სურად, ყმა გლეხი მეტად შეღავათიან ფასად მიუყიდიათ: „ციციშვილმან მ[ა]ნუჩარმა და ძმამ[ა]ნ ჩემ[მა]ნ ყიამა...ჩვენზედ მრავალს გ[ა]ისარჯენით და მრავალი სიკეთეც ჰქენით. ახლა ამისდა ნუქფათ მოგეცით ჩვენი ყმა დაღელი ხურო ოსია წატურ[ა]სშვილი თავისის ცოლ-შვილითა. ცოტა რამ კიდეც ფასი გამოგართვით"[4]

---

[1] ქართული სამართლის ძეგლები, ტ. IV, სასამართლო განჩინებანი (XVI-XVIII სს.), ტექსტი გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ი. დოლიძემ, თბ., 1972. დოკ.#43, გვ.102;

[2] დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან,ბატონყმური ურთიერთობა (XV-XVIIIსს), ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, I, თბ.,1940, # 425,გვ. 299.

[3] ქართული სამართლის ძეგლები, ტ. VIII, სასამართლო არზა-ოქმები და კერძო-სამართლებრივი აქტები, თბ., 1985. დოკ. #756, გვ.723; დოკ.#757, გვ.724; დოკ.#856, გვ.847.

[4] დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან ბატონყმური ურთიერთობა (XV-XVIIIსს), I, თბ.,1940, დოკ. #174, გვ.126-127.

ჩვენს ხელთ არსებული მასალების მიხედვით საციციანოში გლეხის უმამულოდ გაყიდვის ერთ-ერთი მიზეზი იყო მკვიდრი გლეხების თვითნებურად აყრა და გაქცევა. გლეხთა აყრა-გაქცევა განსაკუთრებით ინტენსიური ხდებოდა ქვეყნის მძიმე საგარეო პირობების გამო, ოსმალობის, ყიზილბაშობის და ლეკიანობის დროს, როცა გლეხთა ისედაც მძიმე ყოფა, სრულიად გაუსაძლისი ხდებოდა. მებატონეთა მამულებიდან გარბოდნენ ხიზანი გლეხებიც. XVIII საუკუნის დამდეგს, ვახტანგ VI-ის მეფობისას, ცენტრალური ხელისუფლება ქვეყნის ეკონომიკური და პოლიტიკური მდგომარეობის წინსვლისათვის, ფეოდალურ ურთიერთობათა გაუმჯობესების მიზნით შეეცადა გლეხთა მდგომარეობის მოგვარებას და სათანადო პირობების შექმნას, მათი ინტენსიურ მეურნეობაში ჩასაბმელად. ამ მიზნით ვახტანგის სამართლის მიხედვით მებატონეს გლეხობასთან დამოკიდებულება უნდა შეეცვალა. მათ ლმობიერებისაკენ მოუწოდებდა. უკრძალავდა გლეხობაზე „უდების დადებას“ ე. ი. ზედმეტი გადასახადების დაკისრებას. მართალია გლეხთა ძებნის ვადა ისევ 30 წლით განისაზღვრებოდა, მაგრამ მებატონისაგან გაქცეული ყმა თუ სამეფო მამულს შეეხიზნებოდა, მაშინ, მისი მოძებნის ვადა მხოლოდ 12 წელი იყო. მეფის ახალი სამართლის მიხედვით, თუ გაქცეული გლეხები 6 წლის შემდეგ მეფის მამულზე სახასო ყმად დასახლდებოდა, თავისი მებატონე მასზე ყოველგვარ უფლებას კარგავდა: „ თუ აქადამ აყრილი გლეხი სხვის საბატონოში წავიდეს, თუ იქ ექუსი წელიწადი დაყოს და ისრე ჴელმწიფეს ყმად მიუიდა, თუ უნდა, მისცემს ჴემწიფე, და თუ უნდა, არ მისცემს, ჴემწიფის გუნებაზე ჰკიდია”. მეფე თან დასძენდა „...რომე ნურა კაცი თავის ყმას ძალას ნუ დაატანს, თორემ წავა, ექუს წელიწადს სხვაგან დაჰყოფს, მოვა, ჴელმწიფეს ეყმობა და ყმა დაეკარგება.”[1]

---

[1] სამართალი ვახტანგ მეექვსისა, ტექსტი დაადგინა, გამოკვლევა და საძიებლები დაურთო ისიდორე დოლიძემ, თბ., 1981,გვ.239.

მებატონეთა მამულებიდან გლეხთა ძალით დაბრუნებისას, შეთავაზებული კარგი საფასურის სანაცვლოდ, ან მათი სამუდამოდ დაკარგვის შიშის გამო, ხშირად ამჯობინებდნენ მიეყიდათ ადგილობრივი მებატონისთვის. ასეთი ურჩი გლეხი, თუნდაც ბარათით წილში ნარგები ყოფილიყო მათი ინტენსიური მეურნეობისათვის საიმედო მწარმოებელ ძალად აღარ ითვლებოდა. ამ მხრივ საინტერესოა 1690 წლის მკვიდრი ყმის ნასყიდობის წიგნი, მიცემული ფარსადან და სხვა ციის-შვილების მიერ ბებურ და სხვა ვაჩნაძეთადმი: „...ჩვენი მემკვიდრე, წილში ბარათით გამოყოლილი გლეხი ნიჩბელი ზალაშვილი ხურო, ნიჩბისიდამე აგვეყარა და იქ კახეთს თქვენს მამულში ჩამოვიდა და თქვენ გეყმოთ. მერმე მეფე ნაზარალი რომ ქართლში ჴემწიფედ მობრძანდა, თქვენ იმათ ახლდით ...იმ გლეხის ფასი გამოგართვით ...ჩვენ მოგყიდეთ თავის ცოლ-შვილითა ხურო ზალა."[1]

სათავადოდან გლეხების აყრა-გაქცევის შესაჩერებლად, ურჩ ყმებს აიძულებდნენ თავდებად მოეძებნათ სხვა გლეხი, რომელიც თავად იკისრებდა პასუხისმგებლობას ყმის გაქცევის შემთხვევაში. ასეთი თავდებობის წიგნები XVII საუკუნის მეორე ნახევრიდან გვხვდება, რაც საინტერესოა მამულში ყმების დამაგრების მცდელობის თვალსაზრისით. ზაალ ციციშვილს, რომელიც 1679-1684 წლების საბუთებშია მოხსენიებული ასეთი წიგნი მოუთხოვია: „ ესე თავდებობის წიგნი მოგართვი მე, მაზმნიშვილმა როსტომმან და ბეჟუამან თქუენ, ციციშვილს ბატონს ზაალს, ასრე რომე თუ თქუენ ეს თქუენი ყმა მნათაშვილი ოთია და მისი შვილები ლამაზა, ბერი და ეუა წაგივიდნენ სადმე, მე თქუენ ასრე გაგცე პასუხი, რომე თავისათვინ თავი მოგცეთ. ცოლისათვინ-ცოლი, შვილისათვინ-

[1] დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან I, ბატონყმური ურთიერთობა (XV-XVIIIსს.), ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, თბ.,1940, დოკ. #522, გვ. 372-373.

შვილი, საქონლისათვინ - საქონელი. თუ თქუენ ამაში გაგიმტყუნნე, ჯერ მე ვიყო მხთისა შემცოდე, მერე ქართლისა ჴემწიფის."[1]

1781 წლის თავდებობის წიგნით დავით სარდალ-მოურავს, ნადირა და ბასილა ფცქიალაძე პირდებოდა: „თქვენი ყმა გოდერძიშ-ვილი კაცია აგეყარა და ჯავახეთს გადავიდა ცოლ-შვილითა, ...ღმერთმა თქვენ მოგცათ და დაიჭირეთ, ხუნდი შეუყარეთ და თავდებსა სთხოვდით...ერთი წლის თავდებობის წიგნი მოგვირ-თმევია." როგორც ჩანს ასეთი პირობა დიდად საიმედოდ არ ჩაუთვლია დავით ციციშვილს, რის გამოც თავდებობის წიგნის ბოლოს მზადყოფნას აცხადებენ გლეხები, „...თუ კიდევ თქვენი გული არ ენდოს...წელიწადს იქითაც კიდევ ჩვენ ვდგავართ ამ კაცის თავდებობაში-ო."[2]

აყრილი და დაფანტული გლეხების მონახვას და უკან დაბ-რუნებას საათაბაგოდან ხშირად გარკვეული დაპირებებით ახერ-ხებდნენ. 1769 წლის დოკუმენტით ყმა-გლეხების, დანდურიშვი-ლების 15 სულიანი ოჯახი, რომელიც სამეფო კარის მოხელის დაპი-რებითა და ნდობით დაბრუნებულან ჯავახეთიდან ქართლში, აცხადებდნენ, რომ ძველ მეზატონეებს აღარასოდეს დაუბრუნდე-ბოდნენ: „უსამართლობამ გაგვრეკა საქართველოდამო."[3] ასეთი ხასი-ათის დოკუმენტები მეტად მცირეა,[4] რადგან თავდებად დადგომა ერთობ სარისკო საქმე იყო. ვახტანგის სამართლის 235-ე მუხლი „თავდებობისათვის" მოითხოვდა, „თავდები...თვითონ ნებით

---

[1] საქართველოს სიძველენი, ტ. II, საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების გამოცემა, რედაქტორი ექ.თაყაიშვილი, თბ., 1909, გვ.143.

[2] დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან, II, ბატონყმური ურთიერთობა (XV-XIXსს.), ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, თბ.,1953, დოკ. #185, გვ.118.

[3] იქვე, დოკ.#110, გვ,72.

[4] დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან I, ბატონყმური ურთიერთობა (XV-XVIIIსს.), ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, თბ.,1940, დოკ.#466, გვ.329-330.

მოვიდეს და უთავდებოს, ჴელში გამოაბაროს ...ძალად თავდების დაყენება ცოდვა არის“. მაგრამ თავისი ნებით მოსული „თავდები“ იმისი პირობა ისე მისცეს და მოწმე[ე]ბი დაისწრას, - იმას სწორი თავდები ჰქვიან “, მაგრამ თუ „ის კაცი ან მოკვდა, ან გაიპარა, ან იმ პირობაზედ გარდაჴდა, თავდებსა სთხოვენ“.[1] ამიტომ გაქცეულ და უკან დაბრუნებულ გლეხს ადვილად აღარ ენდობოდნენ და კვლავ გაქცევის შიშის გამო, ამჴობინებდნენ პირობის წიგნი მაინც ჩამოერთმიათ, რომლის ძალითაც ადვილი შესაძლებელი იქნებოდა მამულში დაბრუნება. პაატა და პაპუნა რევაზასშვილები 1736-1742წწ. პირობის წიგნს აძლევენ მერალიბეგ ციციშვილს „...ასე რომ გუჴარეთს თქვენს მამულში ვესახლე და ავიყარე, ჴავახეთს გადაველ. ახლა ისევ თქვენს მამულში ჩამოველ, ცხვარი ჩამოვასხი, თქვენს მამულში დავაყენე, ცოლ-შვილი ისევ ჴავახეთს მყავს. რამ წამს გზა გაიხსნასდა მთა გატყდეს, მაშინვე გადმოვიდე. თუ ამაში გაგიმტყუნდე და არ გადმოვიდე ...ცხვარი ღმერთმა მოგახმაროს.”[2] ციციშვილები არა საიმედო გლეხებს, ბატონყმობის განახლების წიგნებსაც სთხოვდნენ. ქაიხოსრო ციციშვილს მამულიდან გაქცეული მღებრიშვილი გოდერძისათვის ბატონყმობის განახლების წიგნი მოუთხოვია, რომელიც დათარიღებულია 1744 წლის მაისით: „...ასე რომე ქართლი აირივა... მეც გამიჭირდა საქმე და ავიყარე და კახეთს ჩამოველ, თქვენც ჩამობრძანდით და მეფეს თეიმურაზს იახელით... ჩემი თავი ისევ ბატონმა გიბოძათ... ეს წიგნი მოგართვით, რომე ჩემი თავი ყმობით არ დაგეკარგოს: თქვენ ბატონი და მე ყმა.”[3]

სათავადოს დოკუმენტებიდან ჩანს გლეხების არამარტო უმამულოდ გაყიდვის, არამედ მზითევში მიცემის ფაქტები. ამ მხრივ საინტერესოა სამეფო კარის 1788 წლის სასამართლო გადაწყვეტი-

---

[1] სამართალი ვახტანგ მეექვსისა, ტექსტი დაადგინა, გამოკვლევა და საძიებლები დაურთო ისიდორე დოლიძემ, თბ., 1981, გვ.254-255.

[2] დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან, I, ბატონყმური ურთიერთობა (XV-XVIIIსს.), ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, თბ.,1940, დოკ.#374, გვ.262.

[3] იქვე, დოკ.#453, გვ.321-322.

ლება, მზითევში ნარგებ გლეხზე, ამილღაბარ ციციშვილის უფლების შეუვალობის დაცვის თვალსაზრისით. დოკუმენტში ვკითხულობთ: „...მირაქაშვილი არუთინა, მუსხელაშვილისაგან გლახა ციცისშვილს უყიდია, გლახას ობოლი ქალი მე შევირთე, სხვა არა ჰქონდათ რა, ეს მირაქაშვილი მზითვად გამოატანეს და ნასყიდობის წიგნიც მომცეს... ახლა ამ ჩემს მზითევს იოანე ბოგველის სიდედრი მიყიდის, სამართალი მაღირსეთო....ეს სამართალი მივეცით, რადგან ეს მირაქაშვილი გლახა ციციშვილის ნასყიდი ყოფილა და თავისი ნასყიდი კაცი მზითვად გაუტანებია, ვერავინ რას შეუვა. თავის ნასყიდს თუნდა გაყიდის, თუნდ მზითვად გაატანს, უყიდია და მზითვად გაუტანებია.”[1]

საციციანოში ჩვეულებრივ მოვლენას წარმოადგენდა მზითევში ნარგები ყმა-გლეხების და მათი მემკვიდრეების გაყიდვის ფაქტებიც. „...ჩემი მზითვის კაცი მე მებოძა... მოვალეები ცალკე მაწუხებდნენ და ჩემი სიღარიბე ცალკე. ახლა ეს კაცი ეფთიმე წინამძღვარს მივყიდე. ამ წყალობას ვითხოვ, ერთი ოქმი მიბოძეთ... ეს კაცი ... აჰყაროს და წინამძღვარს მააბაროს.”[2]

დოკუმენტებზე მუშაობისას ცხადი გახდა, რომ მებატონეები გაჭირვების და ხელმოკლეობის ჟამს პირველ რიგში სწორედ მზითევში გამოყოლილ ყმა-მამულს ყიდიდნენ. პირობის წიგნში, გაყიდულთა შესახებ ვკითხულობთ: „ მას ჟამსა ოდეს დაგვეჭირა და მოგყიდეთ ჩვენის ნება-წადილით ჩვენი ალალი მამული, დედის ჩემის ზითევი გარკალს შემაზაშვილი მელქუა, მისი ძმა ზახუა, თ[ა]ვის ს[ა]ხლის მომა[ა]ვალითა და მამულითა, რისაც მქონებელნი იყვნენ. ია[ა]ვ ტეტიაშვილის პაპას ნაქონი მამული და უმეკაშვილის ზურაბას ნაქონი მამული...ორის აყრილის გლეხის ნ[ა]ქონი მამული

---

[1] ქართული სამართლის ძეგლები, ტ.V, სასამართლო განჩინებანი (XVIIIს.), ტექსტი გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ი. დოლიძემ, თბ.,1974, დოკ. # 239, გვ.409

[2] დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან, I, ბატონყმური ურთიერთობა (XV-X VIII სს.), ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, თბ.,1940, გვ.409.

მ[ა]თის ს[ა]ყდრით და ს[ა]ს[ა]ფლ[ა]ოთი, წყლითა წისქვილითა ველითა ვენახითა ს[ა]ხლკ[ა]რითა..“ [1] გვხვდება მკაცრი პირობით გაყიდული გლეხები: „...ეს ჩვენგან მოსყიდული ბიჭი გინდა გაყიდე და გინდა მიეც როგორც სხუას მონას ყიდეს... ეხმაროს ისე თქვენ მოიხმარეთ..“ [2]

პირის სანახავად ყმის მირთმევის უჩვეულო შემთხვევასთან გვაქვს საქმე 1735 წლის დოკუმენტით.[3]

სასაქონლო ფულადი ურთიერთობის ზრდასთან ერთად, საციციანოს დოკუმენტური მასალების მიხედვით, გახშირდა ვალის სანაცვლოდ ნასყიდი გლეხის გირავნობის წიგნები.[4] თავადაზნაურობა იოლად როდი მიდიოდა მამულების გაყიდვაზე. ხშირად მათ აგირავებდა, სესხს იღებდა და მიღებული ფულით რთული ვითარებიდან გამოსვლას ცდილობდა. გირაოდ აძლევდნენ საკუთარ ყმა-მამულს იმ იმედით, რომ როგორმე მოახერხებდა ვალის გადახდას და დაგირავებულის უკან დაბრუნებას. ხშირად კი ვალების აღება დაგირავებული მამულების დაკარგვით მთავრდებოდა. XVIII საუკუნის მეორე ნახევრიდან ხშირია ციციშვილთა სახლისკაცებს შორის გირავნობის წიგნები: „ბიძაშვილმა ნოდარ თქვენ, ჩემის ბიძაშვილის ბატონის ბაგრატისაგან ოთხი თუმანი და ნახევარი თეთრი ავიღევით ... ამისად გირაოდ მოგეც თქვენგან გამოსყიდული და ჩემგან ნასყიდი გლეხი ხვედურეთს ვიგრიაშვილი ხოსია და ივანა და თამაზას შვილები თავისის მამულითა...სანამდი ეს გლეხი თქვენ გეჭიროს და თქვენს თეთრს მოგართმევდე. მე გლეხის გამოსავალი არა გთხოო და თქვენ თეთრის სარგებელი არა

---

[1] დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან, I, ბატონყმური ურთიერთობა (XV-X VIII სს.), ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, თბ.,1940, დოკ. # 392, გვ. 274-275.

[2] სცსსა, ფ. 1450, დავთ. 51, ს.3.

[3] დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან I, ბატონყმური ურთიერთობა (XV- X VIIIსს.), თბ.,1940, დოკ.#356, გვ.245.

[4] ქართული სამართლის ძეგლები, ტ. VIII , სასამართლო არზა-ოქმები და კერძო-სამართლებრივი აქტები, თბ., 1985. დოკ. #465, გვ.486.

მთხოოთ; და როდისაც თქვენი თეთრი მოგართვა, ჩემი გლეხი ისევ უნდა მევე დამანებო...”[1]

რაც უფრო დიდი იყო ვალის რაოდენობა, შესაბამისად ყმის გირავნობის დრო მეტად იზრდებოდა. მინბაშის გიორგი ციციშ-ვილისგან თამასუქით აღებული თხუთმეტი თუმანი ვალის სანაცვლოდ ყმას ცამეტი წელი უნდა ემუშავა მამულში: „ პარ-კუაშვილი ისაია ცამეტს წელიწადს შენს თეთრში მოგეცით, რომ ამ ცამეტ წელიწადში ჩვენ კარზე აღარ გაუაროთ, არცა არა ეთხოვოთ არც სახელმწიფო, არცა საქვეყნო, არც ჩვენი სამსახური ვთხოვო. ამ ცამეტ წელიწადში თქვენი თეთრი უნდა აიღოთ ამ კაცისაგან. ჩვენ არაფერი საქმე ამ კაცთან არ გვექნება რა. ამ ცამეტ წელიწადს უკან ამ პარკუაშვილთან თქუენ საქმე აღარ გექნებათ, ისევ ჩვენი იქნება-ო“.[2]

ხშირად სახელმწიფო გადასახადების გადაუხდელობის სანაცვლოდაც, ციციშვილები გლეხებს გარკვეული ვადით აგი-რავებდნენ: „თეიმურაზ მდივანბეგ საუპატიო რომ დაედო სნ (250) თუმანი ციცისშვილს კიკოლას, აქედამ ბატონმან დედოფალმან იპატივა რ (100) თუმანი, დარჩა რნ (150)თუმანი ეს უნდა კიკოლას მიეცა. მაგრამ არ მისცა... ეს კაცნი წავკისის მეოთხედის მამულით გირაოდ უნდა ყუანდეს, ოცი თვე ვადა. თუ ამ ოც თვეზე ეს ასორმოცდაათი თუმანი თეთრი მიაბარა მდივანბეგ ეშიკაღასბაშის სახლობას ამ ვადაზე, ეს მამული და ის კაცნი უნდა უკლებრივ მიაბაროს კიკოლას”.[3]

---

[1] დოკუმენტები საქართველოს სოციალურიისტორიიდან I, ბატონყმური ურთიერთობა (XV- X VIIIსს.), ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, თბ.,1940, დოკ.#310, გვ.217.

[2] დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან I, ბატონყმური ურთიერთობა (XV- X VIIIსს.) თბ.,1940, გვ.153.

[3] ქართული სამართლის ძეგლები, ტ.V,სასამართლო განჩინებანი (XVIIIს.), ტექსტი გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ი. დოლიძემ, თბ.,1974, დოკ.#89, გვ.149-151; დოკ .#239,გვ.409; დოკ.# 243, გვ.416.

ციციშვილთა საგვარეულო სახლის გაყრის შემდგომ, სახლისკაცებს შორის ურთიერთობის გაუარესება ხშირად გლეხ-თათვის არასასურველ შედეგებს იღებდა. არ ინდობდნენ ერთმანეთს, გახშირდა ერთმანეთის მამულებზე თავდასხმა და გლეხების ტყვეებად გაყიდვა. [1] ამას იმდენად სერიოზული ხასიათი მიუღია ყიზილბაშობის პერიოდში, რომ თვით ციციშვილებს შემოსავლის წყაროდაც კი გაუხდიათ. ამ მხრივ საინტერესოა, მერალიბეგ ქალანთარის 1747-1749 წლებით დათარიღებული არზა, სადაც აღწერილია პაატა, დავით და ზაზა ციციშვილის მიერ ტყვეებად დაყიდული და ამოწყვეტილი გლეხებისა და აზნაურების დავთარი: ჯავახეთში გადასული ზაზა ციციშვილი მოულოდნელად ესხმოდა თავს საციციანოს. მარტო მძოვრეთიდან„ ... წაასხა ხატუნაშვილი ოვანეზა კვამლი ერთი -სული იყო რვა, თავისი საქონლითა.
გოგლიძე ნინია კვამლი ერთი- სული იყო ხუთი, თავის საქონლით...
ლუკასშვილი კვამლი ერთი-სული იყო შვიდი, თავის საქონლითა...
ბერუაშვილი თავის საქონლით, კვამლი ერთი ...სული იყო რვა.
ვარდიაშვილი თავის საქონლით, კვამლი ერთი...სული იყო შვიდი.
აზნაურიშვილი ქურდევანიძე თავის საქონლით, სული ხუთი.
აზნაურშვილი ჩინჩალაძე სული ორი.
ფიტარიძე ერთი კვამლი ერთი თავის საქონლით,სული ოთხი.
კბილაძე კვამლი ერთი თავის საქონლით, სული რვა.“[2]

სულ საციციანოდან კი ტყვედ წაიყვანეს: „ იქნა ამ ტყვის ჯამი სული ასორმოცდა თხუთმეტი, საქონელსა და სახლის ავეჯულობის გარდა.“[3]

„ნებიერ“, დროებით ყმად მოსულ გლეხებს, საციციანოს დოკუმენტები ძირითადად ხიზნებად მოიხსენიებს. ხიზანი არის საკუთარი საცხოვრებლიდან აყრილი და სხვა მემამულის მიწაზე დასახლებული გლეხი, რომელიც ამ მემამულისაგან ღებულობდა

---

[1] სცსსა, ფ.1448, საქმე.5048- a.
[2] სცსსა, ფ.1448, საქმე 5048 -b.
[3] სცსსა,ფ.1448, საქმე 5048 - a, b, c.

მიწას უვადო სარგებლობაში, ზოგჯერ ვადითაც. ოღონდ ასეთ შემთხვევაში ცდილობდა, რომ ეს ახლად დადებული უღელი რაც შეიძლება მსუბუქი ყოფილიყო. ცდილობდა, რამდენადაც შესაძლებელი იყო პიროვნული თავისუფლება შეენარჩუნებინა, დაეტოვებინა ბატონისაგან თავისუფალი წასვლის უფლება."[1] ურთიერთ შეთანხმების წიგნებში ციციშვილები პირდებოდნენ: „რაც აყრილი კაცი ჯავახეთს არის, ის ვისაც მამულში ჩამოვიდეს, ერთმანეთთან საქმე არა გვაქვს რა, სადაც გლეხს უნდოდეს იქ დასახლდეს-ო". ხიზანს ყოველთვის შეეძლო აყრილიყო და სხვაგან წასულიყო თუმცა მისი მამულიდან წასვლას ადვილად არ ეგუებოდნენ და ყოველნაირად აფერხებდნენ: „...ციციისშვილებმაც თავეთის ყმების დავთარი წარმოაყენეს, რომელშიც ტურიაშვილი თავეთ ყმათ ეწერათ, მაგრამ „თავეთივე სახლისკაცნი ამტყუნებდნენ: ჩუენი სამკვიდრო ყმანი არ არიან ტურიაშვილები, ჩუენთან ხიზნად მდგარან-ო." [2]

ქართულ ისტორიოგრაფიაში მეცნიერულად შესწავლილი ხიზან გლეხთა წარმოშობის სხვადასხვა ვერსიებიდან,[3] საციციანოს ხიზან გლეხთა დოკუმენტურ მასალებზე მუშაობისას გამოიკვეთა შემდეგი: 1.ციციშვილთა ოჯახის გაყრისას თუ ერთ მემკვიდრეს მიწა ერგებოდა და მეორეს უმამულო ყმა. ეს ყმა პირველი მემკვიდრის ხიზანი ხდებოდა. 2. მზითევში მოყოლილი გლეხი მებატონის

---

[1] აკოფაშვილი გ., გლეხთა კატეგორიების საკითხისათვის XVII-XVIII სს. აღმოსავლეთ საქართველოში, მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 34, თბ.,1962, გვ.80.

[2] ქართული სამართლის ძეგლები, ტ.V, სასამართლო განჩინებანი (XVIIIს.), ტექსტი გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ი. დოლიძემ, თბ.,1974, დოკ. # 360, გვ.626.

[3] აკოფაშვილი გ.,გლეხთა კატეგორიების საკითხისათვის XVII-XVIII სს. აღმოსავლეთ საქართველოში, მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ.34, თბ.,1962, გვ.68-80; შდრ. ბერძენიშვილი ნ., XVIIIს. საქართველოს ისტორიიდან, მსკ, ნაკვ. I, თბ.,1944, გვ.189-191; გუჩუა ვ., კლასობრივი ბრძოლა ხიზნებსა და მემამულეებს შორის გვიან ფეოდალურ საქართველოში, მსკ. ნაკვ. 34, თბ.,1962, გვ. 62; თბ.,1963, ნაკვ. 35, გვ.145; „სახალხო გაზეთი" 1914წ. №1175.

ხიზანი იყო და ცოლის ყმა; 3.საციციანოში თავადის ან აზნაურის მოვალე, ვალში თუ უმიწო ყმას მიიღებდა, ეს გლეხი მისი ხიზანი იყო; 4.ოსმალობის, ყიზილბაშობის და ლეკიანობის შიშით საციციანოს ხშირად დროებით ეხიზნებოდნენ; 5.საათაბაგოში შევიწროებული გლეხები საციციანოს ხიზნების მთავარი წყარო იყო; 6.მოკლული გლეხის ოჯახი ყმობისაგან თავისუფალი იყო და შეეძლო სხვა მემამულეს შეხიზნებოდა. დაჭრილი ან დახეიბრებული გლეხი თუ მოისურვებდა ხიზნად იცხოვრებდა; 7. გაყიდული გლეხის მცირე ნაწილი, რომელიც თავის დახსნას ახერხებდა საციციანოს ეხიზნებოდა; 8. შედარებით იშვიათი იყო გაქცეული და თავისუფალი ყმის ხიზნობა საციციანოში; 9. დამნაშავე ყმა იძულებული ხდებოდა თავის გადარჩენის მიზნით მკვიდრი მამული დაეტოვებინა საციციანოში და ხიზნად წასულიყო. 10.იზრდებოდა ციციშვილთა თვითნებობისა და გაზრდილი გადასახადების სიმძიმის გამო ხიზნობა. საციციანოდან გაქცეულ გლეხებს საათაბაგოს გარდა, ხიზნებად ვხვდებით საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში, მათ შორის, თბილისის მიდამოების სოფლებსა და ლიახვის ხეობის მცხოვრებთა შორის, რასაც ადასტურებს XVIII საუკუნის მეორე ნახევრის ხალხის აღწერის დავთრები. [1]

„ნებიერი" საციციანოში ნებით მისული გლეხია. საციციანო უშუალოდ ესაზღვრებოდა საათაბაგოს. იცოდნენ რა ციციშვილების წარმომავლობაც, მძიმე ჩაგვრის ყმობიდან სხვადასხვა გზით თავდაღწეულ ყმა-გლეხებს საკუთარ სამშობლოში არსებული სოციალურ-ეკონომიური, რელიგიური და პოლიტიკური პირობები მას დამოუკიდებელი არსებობის საშუალებას არ აძლევდა, ამიტომ ამჯობინებდა მოეძებნა ახალი ბატონი და მის მფარველობაში შესულიყო. ნებიერი ყოველნაირად ცდილობდა ეს „მფარველობა" რაც შეიძლება მსუბუქი ყოფილიყო. შეენარჩუნებინა პირადი

---

[1] ჯავახიშვილი ივ., საქართველოს ეკონომიური ისტორიის ძეგლები, I აღმოსავლეთ საქართველოს XVIIIს. ხალხის აღწერის დავთრები, თბ.,1967, გვ.164, 248-255 .

თავისუფლება და ბატონისაგან წასვლის უფლება. ნებიერი ყმის და მებატონის შეთანხმება სიტყვიერად ან წერილობით ფორ-მდებოდა. საციციანოში შედარებით დაცულად გრძნობდნენ თავს. სარგებლობენ გარკვეული შეღავათებით, მაგ. მიწის ყიდვის უფლე-ბით. 1768 წლის განჩინებით:„ ...ზაქარია ციციშვილის აზნაურ-შვილები ჯობინაშვილს საბასა და გულასპაზე რომ დაობდენ ...ციციანი თავის მემკვიდრე ყმობით ედავებოდნენ....ეს ჯობინაშ-ვილი ჯავახეთიდამ რომ გარდმოსულა, პეტრე ავალიშვილს მოსვლია. ქალანთარი წასდავებია, გამოურთმევია, სკრას დაუ-ყენებია, მამაც იქ მოჰკდომია. სკრა რომ დაცლილა, ეს ჯობინაშ-ვილები ტირძნისს მისულან და იქ დამდგარან ... უწინ იმას ციციშ-ვილის ზაქარია სალთხუცის მემკვიდრე ყმა ყოფილა და სამართლით დარჩა ციციშვილს...“[1] თუ ნებიერი ახალ ბატონს მიატოვებდა და ისევ ძველ მებატონესთან ამჯობინებდა დარჩენას, ახალ ბატონთან შემენილი ქონების ნახევარი მისთვისვე უნდა დაეტოვებინა. თუ ასეთმა ყმამ 30 წელი დაჰყო, იგი უკვე კარგავდა მისგან თავისუ - ფალი წასვლის უფლებას. თუ წავა ბატონს უფლება ჰქონდა უკან დაებრუნებინა. ძალით კი ასეთ გლეხს ყოველთვის შეეძლო წასულიყო, სადაც კი მოისურვებდა და თან წაეღო თავისი შემენილი ქონება. შესწავლილი საბუთების მიხედვით ციციშვილები ამჯო-ბინებდნენ ახალგადმოსულებთან სიტყვიერ შეთანხმებას, შემდეგ ივიწყებდნენ მათ „ნებიერობას“, მკვიდრ ყმებად თვლიდნენ და წასვლის უფლებას ართმევდნენ. სახასო მამულებში მისულ ნებიერებზეც პრეტენზიებს აცხადებდნენ, იმ მოტივით, რომ ატენის სახასოში მისვლამდე, მათ მამულში მცირე ჟამს ყოფნისას „პატრონობდნენ“. ციციშვილმან პაპუნას შვილმან დიმიტრიმ უჩივლა ფურცელაძე ზურაბს ერთ კომლ ჩუტკერაშვილ ბერუაზედ. ჯავახეთიდან გადმოსული ჩუტკერაშვილი, არც ერთის ყმად არ

---

[1] ქართული სამართლის ძეგლები, ტ. IV, სასამართლო განჩინებანი (XVI-XVIII სს.). ტექსტი გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ი. დოლიძემ, თბ., 1972, დოკ. #445, გვ.567.

თვლიდა თავს„...არც მამაჩემი და არც მე არც მამიშენისა და არც შენ ყმად არ ვყოფილიყოთ. ჯავახეთიდამ გარდმოვედით ატენს, ბატონის სახასოში მოვედით და სამს წელიწადს იქ ვიყავით-ო".[1] ჯავახეთიდან გადმოსულთა ძირითადი ნაწილი ცდილობდა და ახერხებდა კიდეც მეფის მფარველობაში შესულიყო და ციციშვილთა ძალადობისგან თავი ასე დაეცვა. ჯავახეთიდან გადმოსული ნიკოლოზ ჩუთ-კერაშვილი 1794 წლის არზაში მეფეს მოახსენებდა, თუ ბატონის ყმობიდან არ გაათავისუფლებდა „...სადიდამაც ჩემი მამა და ბიძა მოსულა, მეც იქ წავალ. მრავალი ქრისტიანე არის უსჯულოში ტყვეთ და მეც იქ წავალ-ო."[2]

„თარხანი" ანუ აზატი-საბატონო გამოსაღებისაგან მთლიანად ან, ნაწილობრივ გათავისუფლებული გლეხი იყო, რომელსაც წერილობითი საბუთი ჰქონდა, სადაც მითითებული იყო თუ რისგან ათავისუფლებდნენ. ყმის გათავისუფლება ფეოდალური სამართლით დაშვებული იყო.

ვახტანგ მეექვსე თავისი სამართლის 234-ე მუხლში, სპეციალურად განიხილავდა აზატობის საკითხს და საამისო წესსაც მტკიცედ განსაზღვრავდა: „ვინ ინებოს განთავისუფლება თავის ყმისა და აზატი უყოს, იმისი ასრე იქნას. უნდა დაუწეროს წიგნი, რითაც მამულით, რითაც სამსახური, საქონლით გააზატა თავისი ყმა, ან აღაპი დაადვა ან სხვა თავისის სულის სამსახური, და მაშინ შეიქნება წიგნითა და მოწმე[ე]ბით ის კაცი აზატი."[3] თუ ყმას წიგნი არ ექნებოდა, არც მოწმეები დაუმოწმებდნენ, მაშინ ითვლებოდა, რომ

---

[1]ქართული სამართლის ძეგლები, ტ. IV, სასამართლო განჩინებანი (XVI-XVIII სს.), ტექსტი გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ი. დოლიძემ, თბ., 1972, დოკ .#76, გვ.472.

[2] ქართული სამართლის ძეგლები, ტ. VIII, სასამართლო არზა-ოქმები და კერძო-სამართლებრივი აქტები, ტექსტი გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ი. დოლიძემ, თბ., 1985. დოკ. #253, გვ.266.

[3] სამართალი ვახტანგ მეექვსისა, ტექსტი დაადგინა, გამოკვლევა და საძიებლები დაურთო ისიდორე დოლიძემ, თბ., 1981, გვ. 254.

„ყმა ტყუის, ყმაც ბატონისა არის და საქონელიცა“ [1] ბატონყმური ურთიერთობისაგან გათავისუფლებული გლეხები დოკუმენტებში „თავდახსნილად“ მოიხსენიებიან. მკვლევარ ო.სოსელიას მართებული მოსაზრებით გათარხნება არაწოდებრივი ხასიათის მქონე ვალდებულებისაგან განთავისუფლებას გულისხმობდა.[2] საციციანოს გლეხების სითარხნის წიგნები საკმაოდ იშვიათია.[3] ამდენად, სითარხნის, ან აზატობის მოპოვება ყმა გლეხისათვის ადვილი საქმე არ იყო.

ვახტანგის სამართლის დაცვით გაუცია 1785 წელს აზატობის წიგნი, დავით სარდალ-მოურავ ციციშვილს ყმების მიწიანად განთავისუფლების შესახებ. ასეთ საბუთებს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების თვალსაზრისით დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, თუმცა სათავადოში მცირე რაოდენობა იყო აზატი, თავდახსნილი გლეხებისა: „ჩვენ ფანასკერტელმან ალექსანდრე სარდლის ძემან დავით, სარდალ ქალაქის მოურავმან ციციშვილმან დავით და უსასურველესმან თანამეცხედრემან ჩვენმან საქართველოს მპყრობელის ირაკლი მეორისა მეფისა ასულმან ბატონისშვილმა მარიამ ...ძეთა ჩვენთა ალექსანდრე, ევსტათი, ნიკოლაოს და ი[ვ]ანემ. ჩვენსა სასოებასა და შესავედრსა რუისს...ჩვენი მკვიდრი ყმა რუისელი ჩხიკვაძე პაპუნა, ძმა შენი, სვიმონ თქვენისავე შვილებით ...თქვენისავე მამულითა ვენახითა, მიწითა, წყლითა და წისქვილითა ...წყალობა და განთავისუფლება მოგეცით...არა გეთხოვებოდეს არა სააღაპო, არა საქვრივო, არა საუდიერო, არა საშობაო, არა სააღდგომო, არა სასტუმრო, არა ზვრისა, და ხოდაბუნის მუშაობა, არა

---

[1] სამართალი ვახტანგ მეექვსისა, ტექსტი დაადგინა, გამოკვლევა და საძიებლები დაურთო ისიდორე დოლიძემ, თბ., 1981, გვ.262.

[2] სოსელია ო., აზატ გლეხთა კატეგორია დასავლეთ საქართველოში (XIX საუკუნის 20-იან წლებამდე), მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ.33, თბ.,1960, გვ.185.

[3] დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან, I, ბატონყმური ურთიერთობა, (XV- XVIII სს.),ნ.ბერძენიშვილი რედაქციით, თბ.,1940. დოკ. #171, გვ.125; სცსსა, ფ.1448, საქმე 4968.

მკა, და არა ბარვა, არა ღალა და კულუხი. არა საჭირო და არა სალხინო ყოველს ჩვენს სათხოვარისა. სამსახურისა და სეფეზედ ჴელი აგვიღია. ამ სახით თავისუფლება, აზატობისა მოგვიცია- შენთან საყმოდ ჴელი აღარა გვაქვს. არცა ჩვენ არცა შჳლთა ჩვენთა და არცა ჩვენთა მოხელეთა. მაგრამ როდესაც ლაშქრობა დაიძახებდეს ...ჩვენს სასარდლოზედ გამოხვივოდეთ. ამისდა ნაცვლად სულთა ჩვენთა საოხად და ჩვენთა ცოდვათა მოსატევებლად წელიწადში ლიტრა ნახევარს ჩამოსხმულს წმიდა სანთელს მიართმევდე. ეკლესიასა რუისისასა სამს ჩარექს...აღდგომის დღესა და სამს ჩარექს წმიდას ფერისცვალების დღეს... შეწირულება ესე იქმნა საქარ-თველოს მპყრობელისა ირაკლი მეორისა მეფისა...დაიწერა ჴელითა ალექსის ძის დავითისა.“[1] რუისელი მკვიდრი ყმა, სამკვიდრო მამულით თავისუფლდება, აზატობის წიგნი, ათავისუფლებს ბეგარა გამოსაღებისაგან, ბატონყმური რიგისა და სხვა ბატონყმური ურთიერთობისაგან. სათავადოს სარდალი უმთავრეს პირობად ითხოვს ლაშქრობას და მცირე შემოწირულების გადახდას. ამდენად, თარხანი ანუ აზატი გლეხები მეტად პრივილეგირებულ მდგომა-რეობაში იმყოფებოდნენ.

ყმა-გლეხებს ზოგჯერ დაკისრებული ჰქონდათ ზოგიერთი სპეციფიკური ვალდებულებანი (მაგ. ძღვენი, სამეფო გზების შენახვა და მეფის თავლის ქეშიკობა, სამასპინძლო) დაკისრებულის სანაც-ვლოდ მეფე ცდილობდა გადასახადების შემსუბუქებას, გააზატების გზით. ამის ნათელი მაგალითია 1790 წლის 12 აპრილის ბრძანება ერეკლე მეორისა, სოფელ ქვახვრელში მცხოვრებთა გააზატების შესახებ, ზამთრობით მგზავრების მიღებისა და გამასპინძლების გამო.[2] მეფე ნაზარალიხანი წყალობის წიგნით ხატის ყმებს უთარხნებს ციციშვილებს:„ ჩვენთა ერთგულთადა ნამსახურთა ყმათა ციციშვილს მანუჩარს,ზაალს, მერებს, ზაზას, ლევანს და ლიპარს სხვათა ძმათა და შვილთა... ზემო ციციშვილს რომელიც ხატის ყმანი

---

[1] სცსსა, ფ.1449, საქმე 2535.

[2] სცსსა, ფ.1448, საქმე 5673.

ჰყვანდათ ის გაუთარხნეთ, მაშინ თქვენც გვეაჯენით და სადაც თქვენი ხატის ყმანი იყვნენ იმის სითარხნეს თქვენც შემოგვეხვეწენით, ვისმინეთ აჯა და მოხსენება თქვენი, ეს გლეხნი ასრე გითარხნეთ: ზაალის ყმა ქვენაფლას იმამაშვილები, ხვედურეთს გაგუნაშვილი და ლეთეთს რაც სახასო და ან ამის აზნაურშვილის ყმაა დედაბრიშვილი ესტატე და ლევანისა, ყ'წცჯს გუბიშვილი და ლეთეთს ბელეშვილი, მერებისა ყ'წცჯს (ყინწვისი) სუროშვილი, ეს გლეხნი ასრე ვათარხნეთ და ვათავისუფლეთ არაფრის ჩვენის სათხოვარი არ ეთხოებოდეს, არა კოდისპური, არა ცხვრისა და ღორის, საბალახე არა პირისთავი, არა ნახირისთავი, არა სამეჯინიბო, ერთის სათათროს საურისა და ლაშქარ ნადირობის მეტი, არა ეთხოებოდეს რა მეფებისა.“ [1] მკვიდრ გლეხებს შორის გვხვდება ბოგანო ყმა-გლეხები. თავისი ეკონომიკური მდგომარეობით ყველაზე დაბალ საფეხურზე მდგომნი, გადასახადის გადახდის უნარმოკლებული გლეხები. მეფე ვახტანგის სამართალი საგანგებოდ განმარტავს ბოგანოს მნიშვნელობას, „ბოგანო იმას ქვიან, რომე ვენაჯი არა ქონდეს, თვითო სახლი და რჩომის ალაგი ექნების და მიწა ან ექნების და ან არა ...ვენახის მქონეს გლეხს ბოგანო არა ჰქვიან, რაგინდ სხვა მამული ნაკლებად ჰქონდეს“[2] ე. ი. სიზუსტეს მოკლებულია ბოგანოს განსაზღვრა. ისინი მოკლებულნი არიან მეურნეობის წარმოების საშუალებას. ჩანს, რომ მებატონე თავად წყვეტდა ყმის ბოგანობის საკითხს, თავად აძლევდა თავშესაფარს, მიწას სხვადასხვა პირობით, რომლის ოდენობა ვახტანგის სამართლით განსაზღვრული არ იყო. ბოგანოები იხდიდნენ შემცირებულ სამეფო გადასახადებს. დასტურლამალის მიხედვით „კარი 12. საურისა თუ როგორ აიღების“[3] მკვიდრი იხდიდა კომლზედ თოთხმეტ შაურს, „ბოგანოზედ ორი შაურის ...სძეს“ საურის გარდა ლაშქარნადირობისაგან არ

---

[1] ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ფ. Ad, საბ.1222

[2] სამართალი ვახტანგ მეექვსისა, ტექსტი დაადგინა, გამოკვლევა და საძიებლები დაურთო ისიდორე დოლიძემ, თბ., 1981, გვ.212.

[3] იქვე, 518.

თავისუფლდებოდნენ. ბოგანოები გვხვდება საციციანოს ყმათა ნუსხებში [1] და 1721 წლის მეწინავე სადროშოს დავთარში,[2] სადაც ციციშვილთა მამულებში ბოგანოები მოლაშქეებად მოიხსენიებიან.

XVIII საუკუნიდან საციციანოს ყმა-გლეხების დიდი ნაწილი სახასო ან საეკლესიო ყმობაში გადასვლით ფიქრობდნენ თავი დაეღწიათ მძიმე ყოფისათვის. ამის საილუსტრაციოდ საკმაოდ მდიდარი მასალაა ჩვენამდე მოღწეული, სადაც ეკლესიის ყმებად შეწირვას ითხოვენ. იასე გასიტაშვილი ითხოვს:„...ამ ეკლესიას შემწირეთ, ამ წყალობას ვითხოვ: საციციანო მოხელეებს ჩემთან ხარჯის სათხოვნელად ჯელი არა ჰქონდესთ, რისაც შემძლებელი ვარ, ეკლესიის საყმოში ვემსახურები-ო.”[3] ტყვეობიდან გამოხსნილი გლეხები ეკუთვნოდნენ თანხის გამღებს.[4] ვახტანგ ციციშვილის მეუღლეს მზითვის ფულით გამოჯსნილი ტყვე წმ. ნიკოლოზის ეკლესიისათვის შეუწირავს 1701 წელს: „არაგვის ერისთავის ოთარის ასულმან პატრონმან თინათინ და თანამეცხედრემან ჩვენმან ციციშვილმან პატრონმან ვახტანგ და ძემა ჩვენმა ედიშერ... დიდს მღვდელთმღვარ წმიდას ნიკოლაოზ და შემოგწირეთ მცირე და უნდო შესაწირავი ჩვენის ზითვით თათრის ჯელისაგან გამოჯსნილი მაზიაშვილი პაატა მისის ცოლითა და შვილებითა...”[5] შედარებით მცირეა დოკუმენტური მასალა ციციშვილების მიერ ეკლესიისათვის შეწირულ გლეხებზე, სადაც ბეგარისგანაც კი გაუთავისუფლებიათ

---

[1] სცსსა,ფ. 1448, საქმე 5041; ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ფ. Hd , საბ.14 534.

[2] თაყაიშვილი ექვ., მასალანი საქართველოს სტატისტიკურის აღწერილობისა მეთვრამეტე საუკუნეში, თბ.,1907, გვ. 28-37.

[3] ბერძენიშვილი ნ., XVIII ს.. საქართველოს ისტორიიდან, მსკ, ნაკვ. I, თბ., 1944, გვ.38.

[4] დოკუმენტები, საქართველოს სოციალური ისტორიიდან, II , ბატონ-ყმური ურთიერთობა (XV-XIX), ნ. ბერძენიშვილის რედაქციით თბ., 1953, დოკ. #99, გვ.66.

[5] დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან, I, ბატონ-ყმური ურთიერთობა, (XV- XVIII სს.) ნ.ბერძენიშვილის რედაქციით, თბ.,1940. დოკ.#156, გვ.115.

გლეხები. 1682 წელს შეწირულობისა და პურის ბეგრის ამოკვეთილობის წიგნის მიხედვით: „ფანასკერტელმა...პატრონმან ციცემ ...შენ, ფეიქრიშვილს მამულასა...ბიძაჩემი დივანბეგი ვახტანგ ჩამოვიდა შუა და ბატონი მამიდაჩემი თამარი და ჩემი და დარეჯან ჩამოვიდნენ და მათის შუამავლობითა წმინდას ნიკოლოზს შეგწირეთ და პურის ბეგარა ამოგიკუეთეთ, რომე პურის ბეგარა აღარ გეთხოვებოდეს, არა სხვა ჩვენი სათხოვარი აღარა გეთხოებოდეს რა. წმიდის ნიკოლოზისათვის შეგვიწირავხართ."[1]

ეკლესია არ გამოდიოდა გლეხობის წინააღმდეგ ახალ-ახალი კაბალური ვალდებულებების მოთხოვით და სასტიკად ილაშქრებდა გლეხობის ტყვედ გაყიდვის წინააღმდეგ. სწორედ ამიტომ, გლეხობის ერთი ნაწილი ცდილობდა თავი შეეფარებინა ეკლესიის ყმობისათვის, ან სამეფო გლეხები გამხდარიყვნენ და ასე დაეღწიათ თავი მძიმე ყმობიდან. [2]

XVIII საუკუნის მასალებიდან გამომდინარე ნათელი ხდება, რომ გლეხობა ცდილობდა შეემსუბუქებინა მძიმე ხვედრი და მკაცრი მებატონისგან თავის დაღწევის სხვადასხვა გზებს მიმართავდა. საგრძნობლად იზრდება საციციანოდან ყმა-გლეხების აყრა-გაქცევის, ხიზნობის, ეკლესიისა და მეფის სახასო მამულებში თავის შეფარების მცდელობა, რაც აშკარად მიგვანიშნებს სოციალური თავისუფლებისათვის ბრძოლის წინაპირობაზე. ამ პერიოდის საციციანოს დოკუმენტებიდან ყურადღებას იქცევს ისეთი შემთხვევები, როდესაც მხოლოდ სამეფო კარის ჩარევით ახერხებდნენ ისინი გაქცეული გლეხების დაბრუნებას მამულში: „...სრულიად საქართველოს მემკვიდრის დავითის წინაშე მოსახსენებელი ...ციცისშვილის ამილ-

---

[1] დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან, I, ბატონყმური ურთიერთობა (XV- XVIII სს.), ნ.ბერძენიშვილის რედაქციით, თბ.,1940. დოკ.# 101, გვ.71-72.

[2] დოკუმენტები, საქართველოს სოციალური ისტორიიდან, II, ბატონყმური ურთიერთობა (XV-XIX), ნ. ბერძენიშვილის რედაქციით თბ., 1953, დოკ. # 12, გვ. 9; სარგის კაკაბაძე, ისტორიული საბუთები, წიგნი I V, ტფ., 1913, გვ.71.

ღაბარისა და იოსებისა... გევედრებით რომ, საცა ან აზნაურიშვილი და ან გლეხი კაცნი იყოს დაფანტული, ერთი ოქმი და იასაული გვებოძოს რომ ავყაროთ და საცა ჩვენი ნება იყოს, იქ დავაყენოთ. ეშიკაღაბაშო მარვანოზ! ეს ჩვენი წყალობა კაცნი ამილღაბარს საცა უნდოდეს, აუყარე და იქ დაუსახლე. ამისთვის, რომ ყოველ კაცს თავისი ყმა თავის ნებაზე უნდა. ამაში ვერც არავინ ხმას ამოიღებს."[1]

ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის საფრთხე და ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა აიძულებდა სამეფო კარს, გადამწყვეტი ღონისძიებები გაეტარებინა ქვეყანაში გლეხთა მდგომარეობის გასაუმჯოსებლად. 1787 წელს ერეკლემ აკრძალა გლეხის უმიწოდ გაყიდვა. ფეოდალს არ ჰქონდა უფლება თავისი ნებით გლეხი და მისი მიწა ურთიერთისაგან დაეშორებინა. ამას მოჰყვა ახალი აკრძალვა გლეხის ოჯახის წევრების ცალ-ცალკე გაყიდვისა, რაც გლეხის ოჯახს ინტენსიური მეურნეობის სტიმულს აძლევდა. 1746 წელს ქართლის თავადების მოთხოვნით „მყრელობა" გამოცხადდა. მეფეებმა თორმეტწლიანი ხანდაზმულობა შემოიღეს. ე.ი. ქართლის ფეოდალებს მხოლოდ იმ გლეხთა აყრის უფლება მისცეს, რომლებიც „ოსმალობის" შემდეგ 1735 წლის შემდეგ გახიზნულიყვნენ. მკაცრი მებატონის მიმართ ხელისუფლება ბრძანებდა: „შაღავათით მოექეც და რიგიანათ, რომ აღარ იჩივლოს, შენც გამოგადგეს და შენს შვილსაცაო." მათ მიუთითებდა მხოლოდ კუთვნილი სარგოს აღებაზე, „შენს სარგოს აიღებდე და უსამართლოს ნურას აიღებ, ნურც არას უსამართლოს მოინდომებ." ამ ღონისძიებებით მეფის ხელისუფლება აქტიურად იწყებდა ზრუნვას სახასო გლეხობის გაზრდა-გაძლიერებისათვის. 1765 წლის დადგენილებით ტყვეობიდან დაბრუნებული თავისუფლდებოდა ყმობიდან და უმეტეს შემთხვევაში სახასო მამულში ასახლებდა, რაც პირდაპირ აისახა საციციანოს სახასო გლეხთა რაოდენობის ზრდაზე. ამ მხრივ

---

[1] ქართული სამართლის ძეგლები, ტ. VIII, სასამართლო არზა-ოქმები და კერძო-სამართლებრივი აქტები, ტექსტი გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ი. დოლიძემ, თბ., 1985, გვ.173.

ეფექტური იყო ერეკლეს განკარგულება, რომელიც ითვალისწინებდა უცხო ქვეყნებში თავშეფარებული თანამემამულეების სამშობლოში დაბრუნების შეღავათიან პირობებს: „უცხოს ქვეყნიდან ვინც კაცს მოიყვანს...მომყვანისა იქნება, ვისიც ყმა უნდა იყოს.“ აქამდე კერძო მებატონეებს აძლევდა ამ უფლებას, მაგრამ გადმოყვანილ ყმას ძველი მებატონე წამოედავებოდა და კანონის ძალით ართმევდა. ახალი კანონით კი მდგომარეობა ძირფესვიანად იცვლებოდა. გადმომყვანს უფლება ენიჭებოდა სხვა მებატონის გაქცეული ყმა თავისთვის მოეყვანა. ბატონყმური ურთიერთობის გაჯანსაღების მიზნით, ბატონისა და ყმის ურთიერთობაში „ბატონყმობის რიგის“ დაცვა, მეფის „ზრუნვის“ საქმედ იქცა. სწორედ განუკითხავობის მიზეზებით იკარგებოდა უცხოეთში, შევიწროებული გლეხობა. ხიზნობა მეფის მფარველობაში შესვლის აუცილებლობასაც გულისხმობდა. ასეთ საიმედო მფარველად, ხიზნებს ძლიერი სამეფო კარის ქვეშევდომობა მიაჩნდათ. ზოგჯერ გლეხობა ერთიანდებოდა და ერთიანი ძალით მშვიდობიანად ახერხებდა მთელი სოფელი სახასო მფლობელობაში გადასულიყო. თეიმურაზ ციციშვილისგან სოფელმა თელეთმა ყმობისაგან თავდახსნა დიდი თანხის გადახ-დით მოახერხა კიდეც.

ამდენად, საციციანოს დოკუმენტების მიხედვით გლეხთა კატეგორიების სიღრმისეულად შესწავლამ, ცხადი გახადა იმდროინდელი საციციანოს მძიმე სოციალ-ეკონომიკური მდგო-მარეობა. სახეზე გვაქვს საციციანოს გლეხთა სოციალური ბრძოლის ფორმები, ჩივილი, ბოგანობა, აყრა-გაქცევა, ხიზნობა. სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით ყმა-გლეხები ამჯობინებენ ძლიერი მეფის ხელისუფლების მფარველობას. სამეფო ყმების რაოდენობრივი ზრდა არის შედეგი სათავადოში დაწყებული მწვავე კლასობრივი ბრძოლისა. გაძლიერებულ ფეოდალურ ჩაგვრას ყველა კატეგორიის გლეხები ერთნაირი სიმწვავით პასუხობდნენ, რაც სათავადო სისტემის რღვევის პროცესის დაწყებაზე აშკარად მიუთითებდა.

History of Satsitsiano

Summary- Conclusions

From the history of Kartli, the history of Satsitsiano is less analyzed and is not monographically studied which can be explained by lack of historical sources. This monograph, through the comparative analysis, sets the date for resettlement of the Panaskerteli in Kartli, in the second half of the 14th century. The research covers the movement and settlement of the Panaskerteli on the right side of the Mtkvari river, in the gorges of Tana and Tedzmi that determined the historical and geographical area of establishment of princely. How the Panaskerteli – Tsitsishvili, with the support of "Province" kings, became unapproachable by the side of "Kings of Kings"- the weakened central authority- is analyzed on the bases of historical documents. With the new interpretation of the important historical sources, the history of establishment of the princely in the middle of 15th century is better explained. From this period the Panaskerteli-Tsistishvili become one of the active and authoritative force in the political processes of the country.

The role of Panaskerteli-Tsitsishvili is also studied in the creation of the military army district/banner for the King which was established in the Sixties of 15th century and existed until the end of 18th century. A necessity of creation of the military army districts was caused by both internal and external situation of the country.The monograph clarifies the borders of the military district of the king that varied in the mentioned centuries due to the attitudes of the Tsitsishvilis towards the royal family and as a result of severe political changes in the Kingdom of Kartli. On the basis of the documentary material, the monograph describes the functions of the commander of the military district for the king. Beside the key military function, the commander was fulfilling the administrative and judiciary functions. Some of important or special cases were not considered without the commander since he was obliged to report to the king about the ongoing legal cases within his authority. The commander was also responsible for operational readiness and immediate provision of the army, protection of the boarders and battle reconnaissance, react on

the enemy movements in case of a call to fight proclaimed by the king. In addition, the commander, on the request of the king, was collecting the state taxes and ensuring the fighting trim of the fortresses as well as their safety. For Satsitsiano, being the commander was the most significant, honored, though highly responsible, position. As a result of our interpretation of the primary sources, the chronological shifts of the commanders are identified. The first commander of the military army district/banner for the King was the chief of Satsitsiano, a well-known public figure ZazaPanaskerteli- Tsitsishvili, who was supported by the king. There were rare facts of creation of the second military army districts. The commanders from the Tsitsishvili noble family, were devotedly serving the royal family and the state interests of the country.

The Political situation both internally and externally in Kartl-Kakheti region of Georgia in the 17th century stands out with the difficult political processes. The political opposition between the King Rostom and the King Teimuraz divided the family of Tsitsishvili into two hostile, irreconcilable camps. The fight between the offspring of commander and Pharsadan lasted nearly a century. The Tsitsishvilis were very active that time in the political life of Georgia, they held high "hereditary offices" at the courtyard of the kingdom. Their political activities fulfilled and often significantly changed the difficult political processes in the country. In the Sixties through Eighties of the 17th century the different political orientation of Satsitiano leaders further complicated the inter-feudal opposition which impacted the social, political and economic state in the Satsitsiano. The Upper Satsitsiano supported the uncompromising liberating battle against Iran while the Lower Satsitsiano was devoted to the compromising policy towards Iran. The constant battles between these two mentioned divisions throughout the 17th century, although hindered the social-political and economic development of both the country and the princely, but positively affected safeguarding the Georgian statehood.

The situation changes from the beginning of the 18th century. Through our interpretation of important documentation recorded by

Vakhushti Bagrationi, as well as the historical sources of the same period, the monograph explains the reasons of losing immunity by the Tsistishvilis‘ in Kvemo- Satsitsiano lands. The political situation in Iran, facing a fall, was considered to be a good moment by Janishin to start an immediate fight to defeat and subject the strengthened princely estates and fiefdoms remaining without any support from the Shah of Iran. This was the time when an abolition of lower Satsitsiano was raised with the well-hidden reasons. According to the commander of the military army district-Vakhushti Batonishvili, the part of estates of the Tsitsishvili family was under his authority in 1721. Some of the estates are mentioned as the dominion and some are enlisted under the patriarchate lands. The fact how the villages of the lower Satsitsiano appeared in the list of patriarchate lands is fragmentally described in ”Description of the Georgian Kingdom”, the fundamental research of Vakhushti Batonishvili. The historical documents and information provided by Vakhushti Batonishvili, as well as the mapping done by him, gave us an opportunity to identify the strategic location of Satsitsiano and both political and economic interests of the Royal Court. The scientific value of the documentation left by Vakhushti Batonishvili for the comprehensive study of history of political relations between the Tsitsishvili Family and the Royal Court is underlined in the monograph.

The monograph studies the history of Satsitsiano on the bases of Georgian and Ottoman sources in the period of reign of Ottoman Turkey as well. The researched material chronologically describes distinctively anti-Ottoman position of Satsitsiano. The information preserved in the Ottoman resources proves the biased nature of the evaluations made by the Tsitsishvili family that is widely covered in the scientific literature. Through the comparative analysis of the Georgian and Ottoman resources the battles carried out in 1723-1724 on the territory of this noble family are comprehensively presented. The negative results befallen upon the local population of the Tsitsishvilis’ Satavado hindered socio-economic and political development of Satsitsiano. According to “1728 Tbilisi

Vilayati Big Register" the Satsitsiano Nahiesh lost strategic places and villages. Description of conquered country and registering the territory in the registry meant abolition of the social-economic systems, therefore, the Tsitishvili's were obliged to obtain the ownership rights on their estates from the Ottoman authority. Renewing the ownership rights was related to huge financial costs. Impoverished members of feudal house of the Tsitsishvili family often were rejected their rights on the estate, the proof to this are the Georgian and Ottoman documents.

The monograph, through the analysis of "1728 Tbilisi Vilayati Big Register" presents the introduction of the Ottoman Turkish rules regulating the relations between landowner and land user being different from Georgian feudal relations. The Ottoman Turkish taxation system that was introduced in Satsitsiano Nahiesh is also described. The taxation policy is described by the Ottoman Turks in details in "the register" for the registered villages, settlements, cultivating lands and also for households. The heavy Ottoman Turkish taxes are well described and calculated including the household tax amount which clearly shows the predatory politics and hard social economic situation of Satsitsiano Nahiesh.

In the political life of Satsitsiano, the period of Kizilbash ruling is also reflected in the monograph. The hard social- economic situation of the Satsitsiano was further complicated by the constant raids of Lezgians in that time. The relations of the Tsitsishvilis' with Kizilbash and their approach towards the political and socio-economic processes in the country are carefully analyzed. The monograph studies the history of the Kizilbash state official, the Mayor's work, not being until now researched. Through the comparative analysis of narratives, historical records and sources it became possible to identify the Mayor- Meralibeg Tsitsishvili. The precise genealogical tree of Meralibeg Tsitsishvili, the Kartli Mayor's work for public good is described. The state official's field of work, rights and obligations, relations with the Royal family and Georgian feudal society is also in-depth analyzed. The research revealed

the transformation of relations between the Kartli Mayor and the King Teimuraz. The study of the above mentioned issues significantly complimented the lack of factual material in the history of the Satsitsiano in the period of Kizilbash state official's ruling in Kartli and the socio-economic and political situation of that time.

The monograph presents the structure of Satsitsiano governance and describes the types of the feudal ownership in Satsitsiano. The liabilities of head of Satsitsiano and a strive of the princes to increase their authority is highlighted. It also covers the issues related to the benefits of seniors and juniors in Satavado as well as the regulations on its governance. The critical analysis of the historical documents gives a deep insight that in the beginning of the 18th century there were clear changes in the governance of Satsitsiano. The unity of the Tsitsishvili family starts collapse, losing the political functions. From the second half of the 18th century, Satsitsiano, alike the other estates, alongside with the political unification and strengthening of the central governance, gradually loses its immunity in the political life.

On the basis of the documents written with a dictation of the situation or events of that time, that are deeds of grant, mercy and purchase; also, the books of separation, brotherhood and friendship, the lists of slaves, inventory and other legal documents (petitions, proceeding , the court verdicts, ect.) the monograph comprehensively researches Satsitsiano's social- economic and political support power - legal state of the landed gentry (Aznauri) and the relationship of the Tsitishvilis. Also, the progressive changes occurring within the 17th - 18th centuries in Georgia, affecting the social- economic state of the Satsitsiano landed gentry, are depicted on the basis of the historical material.

The Satsitsiano royal nobilities are studied as a separate issue in the monograph. A tendency of an increase in the number of the royal nobilities on the account of a decrease of the number of the Satavado landed gentry alongside with the causing reasons and the relationships existed between these two groups are described. An attempt of the royal governance to win over the Satavado landed gentry in order to

strengthen the position through an empowerment of the royal nobilities is discussed. With this attempt the immunity of the Satavado immanence would collapse and would eradicate the Satavado's separative aspiration.

In addition, the monograph studies the social situation of the Satsitiano peasants. Each category is described separately, giving the focus to the reasons of their origin and hard social-economic situation of that time. The oppressed peasants from the side of the Tsitsishvilis' violence preferred to escape from their landowner. In the 17th-18th centuries, in the condition of the strengthened royal governance, the majority of peasants preferred to find a shelter on the dominion. This is the signal of empowerment of the central governance and development of political, social and economic situation in the country.

Thus, with the key issues covered in the monograph the history of the Satsitsiano is studied from the Fifties of 15th century until the second half of 18th century. The historical role of the Satavado is focused in the social–political life of the Kartli Kingdom. The main priorities of the epoch have been identified through the analysis of the presented historical material for the further research of social and political relations.

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა

საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო
საისტორიო არქივი

1. სცსსა, ფ.1446, ანაწ.1, ს.105
2. სცსსა,ფ.1446, ს. 703.
3. სცსსა,ფ.1448, ს. 64.
4. სცსსა,ფ.1448, ს.2316.
5. სცსსა, ფ.1448, ს.5546.
6. სცსსა, ფ.1448, ს. 5715.
7. სცსსა, ფ.1448, ს.345.
8. სცსსა, ფ.1448,ს .5010 ა-ბ.
9. სცსსა, ფ.1448, ს.9662.
10. სცსსა, ფ.1448 ,ს. 5048-a, b. c.
11. სცსსა, ფ., 1448, ს. 39.
12. სცსსა,ფ.1448, ს.4486.
13. სცსსა, ფ.1448, ს.2860.
14. სცსსა, ფ. 144 8, აღწ. 1,ს. 5401.
15. სცსსა, ფ.1448, ს. 874 .
16. სცსსა, ფ.1448,ს.518.
17. სცსსა, ფ. 1448, ს. 4968.
18. სცსსა,ფ.1448, ს. 5557.
19. სცსსა,ფ.1448, ს. 504.
20. სცსსა, ფ. 1448, ს. 5084.
21. სცსსა, ფ.1448,ს.5673.
22. სცსსა, ფ. 1448, ს.1869.
23. სცსსა,ფ.1448, ს. 81.
24. სცსსა, ფ. 1448,ს. 524.
25. სცსსა,ფ. 1448, ს.873 .
26. სცსსა, ფ.1448, ს.417.
27. სცსსა, ფ. 1448, ს.1282.
28. სცსსა, ფ.1449, ს.2225.
29. სცსსა, ფ.1449,ს. 868,
30. სცსსა, ფ.1449, ს.869 .
31. სცსსა, ფ.1449, ს.1905.
32. სცსსა, ფ.1449, ს. 2535.
33. სცსსა, ფ.1449,ს.1025.
34. სცსსა, ფ.1449, ს. 328.
35. სცსსა, ფ.1449, ანაწ,1 ს.814.
36. სცსსა, ფ.1449, აღწ,1დოკ.327.
37. სცსსა,ფ.1449,ს.1055.
38. სცსსა, ფ. 1450, დავთ. 26, ს. 3, 4, 7.
39. სცსსა, ფ. 1450, დავთ. 30, ს. 23.
40. სცსსა, ფ.1450, დავთ.30, ს.225, ს.227,228, 229,230,.
41. სცსსა, ფ.1450, დავთ. 30,ს. 231 234, 237, 238, 239, 240.
42. სცსსა, ფ.1450, დავთ. 37, ს.78.
43. სცსსა, ფ. 1450, დავთ. 38, ს. 57, 63, 64, 65, 66, 68, 70.
44. სცსსა, ფ. 1450, დავთ.38 ს. 71, 72, 74, 75, 76, 77, 78, 79.
45. სცსსა, ფ. 1450, დავთ.38 ს. 80, 81, 82, 83, 84, 86, 88, 89.
46. სცსსა, ფ. 1450, დავთ. 38 ს. 90, 91, 93, 95, 97, 98.

1. სცსსა, ფ. 1450, დავთ. 38 ს. 100, 101, 102.
2. სცსსა, ფ.1450,დავთ 38, ს.202.
3. სცსსა ფ.1450, დავთ. 51, ს. 1, 3, 4,6, 8ა, 12ა, 14, 14ა,,15ა,16ა.
4. სცსსა, ფ.1450,დავთ. 51, ს.20, 21, 22-22ა, 23, 24, 25, 26.
5. სცსსა, ფ.1450, დავთ. 51 , ს. 91, 95, 96,101.
6. სცსსა,ფ.1450, დავთ. 52ს.15.
7. სცსსა, ფ.213,ს.252.
8. სცსსა, ფ. 213, ს.523 გვ.36
9. სცსსა, ფ. 1450 დავთ. 51 ს.39. 44, 48 , 63.
10. სცსსა, ფ1450, დავთ. 52 ს.50.
11. სცსსა, ფ.1450, დავთ.52 ს.66.

სერგი მაკალათიას სახ. გორის ისტორიულ - ეთნოგრაფიული მუზეუმი

გსიემ -7486, გვ. 146.

ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი

1. ფ. Ad, საბ. 1410.
2. ფ.Ad ,საბ.1292.
3. ფ._Ad, საბ.1080
4. ფ. Ad,საბ.1218
5. ფ. Ad, საბ.59.
6. ფ. Ad,საბ. 911.
7. ფ. Ad,საბ. 511.
8. ფ.Ad, საბ.1955.
9. ფ. Ad,საბ.1347.
10. ფ. Ad, საბ.1358.
11. ფ. Ad, საბ.1429.
12. ფ.S, საბ.3729.
13. ფ. Sd,საბ.256.
14. ფ. Sd, საბ.928.
15. ფ. Sd, საბ.929.
16. ფ.Sd,საბ.570.
17. ფ.Sd, საბ.427.
18. ფ.Sd, საბ.1085.
19. ფ. Hd,საბ.14903.
20. ფ.Hd,საბ.1818.

21. ფ.Hd, საბ. 14.
22. ფ.Hd, საბ.1442.
23. ფ.Hd,საბ. 14534.
24. ფ. Hd, საბ.508.
25. ფ.Hd,საბ.848.
26. ფ.Hd, საბ.495.
27. ფ. Hd, საბ.11508.
28. ფ.Hd, საბ.1887.
29. ფ. Hd, საბ.13679;
30. ფ. Hd, საბ.14611
31. ფ. Hd, საბ.2142.
32. ფ. Hd,საბ.2141.
33. ფ. Hd ,საბ.13700.
34. ფ. Hd,საბ.2612.
35. ფ., Hd, საბ.9506.
36. ფ.Hd, საბ. 2230.
37. ფ.Hd, საბ. 8385,b.
38. ფ.Hd, საბ., 854.
39. ფ.Hd, საბ.10350.
40. ფ.Hd,საბ.806.
41. ფ.Hd, საბ.10578.
42. ფ.Hd,საბ.6029.
43. ფ. Hd,საბ.14708.
44. ფ. Hd,საბ. 3307.
45. ფ. Hd,საბ. 820.
46. ფ. Hd, საბ.801.
47. ფ. Hd, საბ.821.
48. ფ. Hd,საბ.8516.
49. ფ. Hd,საბ. 855.
50. ფ. Hd,საბ.3971.
51. ფ.Hd,საბ.875.
52. ფ.Hd,საბ. 873
53. ფ.Hd,საბ. 804.
54. ფ.Hd,საბ. 1789.
55. ფ.Hd,საბ.7886.
56. ფ.Hd,საბ. 5210.
57. ფ.Hd,საბ. 1636.
58. ფ.Hd, საბ.4231.
59. ფ.Hd, საბ.1530.
60. ფ.Hd, საბ.11549.
61. ფ. Hd,საბ. 2167.
62. ფ.Hd, საბ.11508
63. ფ.Hd, საბ.14075.
64. ფ.Hd, 458.
65. ფ.Hd, 2188.
66. ფ.Hd, 9327.
67. ფ.Hd, 2507.
68. ფ. Hd, საბ.1560.
69. ფ.Hd.საბ.8516.
70. ფ.Hd, საბ.863.
71. ფ. Qd,საბ.730 –D.
72. ფ.Qd, საბ.420.
73. ფ.Qd, საბ.1026.
74. ფ.Qd, 798.
75. ფ.Qd,საბ. 707.
76. ფ. Qd, საბ.949

ლიტერატურა

1. აბულაძე ც., ოსმალობის ხანის სამი თურქული ფირმანი, აღმოსავლური ფილოლოგია, III, თბ.,1973.
2. აბულაძე ც., ჩილდირის ვილაიეთის დიდი დავთარი, 1694-1732წწ. თბ.,1979.
3. ავიტაბილე დონ პიეტრო, ცნობები საქართველოზე, (XVII საუკუნე) შესავალი, თარგმანი და კომენტარები ბეჟან გიორგაძისა, თბ., 1977.
4. ასათიანი ნ., მასალები XVII ს. ისტორიისათვის, საქართველოს აღწერილობა შედგენილი პავლე ალეპოელის მიერ, თბ., 1972.
5. აკოფაშვილი გ., აზნაურთა უფლებრივი მდგომარეობის საკითხისათვის XV-XVIIIსს. საქართველოში, მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 32, თბ., 1955.
6. აკოფაშვილი გ., ეკონომიური და სოციალური ცხოვრების განვითარება აღმოსავლეთ საქართველოში XVIIIს. 40-80-იან წლებში, საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ.IV, თბ.,1973.
7. აკოფაშვილი გ., გლეხთა კატეგორიების საკითხისათვის მე-XVII-XVIIIსს. აღმოსავლეთ საქართველოში, მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 34, თბ.,1962.
8. აკოფაშვილი გ., სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან XV-XVIII სს. ქართლში (აზნაურთა ფენა)თბ., 1965.
9. ანთელავა ი., XVIII საუკუნის საქართველოს სოციალურ-ეკონომიური განვითარების ხასიათის საკითხისათვის, თბ.,1977.
10. ბარათაშვილი იესე, ცხოვრება-ანდერძი, ტექსტი გამოსცა შესავლით, შენიშვნებით, ლექსიკონითა და საძიებლებით ავთ. იოსელიანმა, მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 28, თბ.,1950.
11. ბაგრატიონი იოანე, სჯულდება, ქართლ-კახეთის სამეფოს სახელმწიფოებრივი რეფორმების პროექტი, ტექსტი გამოსა-

ცემად მოამზადა შესავალი, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო ივ. სურგულაძემ, თბ.,1957.
12. ბატონიშვილი იოანე, კალმასობა, თბ., 1936.
13. Царевич Давид, Обозрение истории грузии по части прав и законоведения, 1813.
14. ბერძენიშვილი დ., ფანასკერტელთა ფეოდალური საგვარეულოს ისტორიიდან (წერაქვის უცნობ წარწერასთან დაკავშირებით), საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული, ტ. I, თბ.,1960.
15. ბერძენიშვილი დ., ნარკვევები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიიდან, ზემო ქართლი-თორი, ჯავახეთი, თბ.,1985.
16. ბერძენიშვილი ნ., ფეოდალური ურთიერთობიდან XV საუკუნეში, მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. I, თბ.,1937.
17. ბერძენიშვილი ნ., გზები რუსთაველის ეპოქის საქართველოში, თბ.,1966.
18. ბერძენიშვილი ნ., XVIII ს. საქართველოს ისტორიიდან, საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. II. თბ.,1965.
19. Бердзенишвили Н., Очерк из историй развития феодальных отношенй в Грузии XIII-XVI вв. Тб., 1938.
20. გაბაშვილი ვ., ქართული ფეოდალური წყობილება XVI-XVII სს, თბ., 1958
21. გაბაშვილი ვ., დასტურლამალის 1729 წლის ხელნაწერი, მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 30, თბ.,1954.
22. გაბაშვილი ვ., XVIIIს. მეორე მეოთხედის ქართული დოკუმენტური მასალები, როგორც წყარო მახლობელი აღმოსავლეთის სოციალურ-ეკონომიური ისტორიისათვის, თსუ შრომები ტ.91, თბ.,1960.

23. გვასალია ჯ., აღმოსავლეთ საქართველოს ისტორიული გეოგ-
რაფიის ნარკვევები (შიდა ქართლი), თბ.,1983.
24. გვრიტიშვილი დ., ფეოდალური საქართველოს სოციალური
ურთიერთობის ისტორიიდან, (ქართლის სათავადოები),
თბ.,1955.
25. გურჯიზადე, თბილისის დაპყრობის წიგნი, თურქული
ტექსტი ქართული თარგმანით და შენიშვნებით გამოსცა ც.
აბულაძემ, თბ., 1975.
26. გელეიშვილი პ., ერთი აჯანყების კლასობრივი სახე, მეც-
ნიერების მოამბე, I, თბ.,1936.
27. გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, გერმანული
ტექსტი, ქართული თარგმანითურთ გამოსცა გ. გელაშვილმა,
ტ.I, თბ.,1962.
28. ფარსადან გორგიჯანიძის ისტორია, სარგის კაკაბაძის
გამოცემა, საისტორიო მოამბე, წ. II, თბ., 1925.
29. გუჩუა ვ., კლასობრივი ბრძოლა ხიზნებსა და მემამულეებს
შორის გვიანფეოდალურ საქართველოში, მასალები საქარ-
თველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 34, თბ.,1962.
30. დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან I,
ბატონყმური ურთიერთობა (XV-XVIIIსს.) ნ.ბერძენიშვილის
რედაქციით, თბ.,1940.
31. დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან II,
ბატონყმური ურთიერთობა (XV-XIXსს.) ნ. ბერძენიშვილის
რედაქციით, თბ.,1953.
32. დუნდუა ნ., აღმოსავლეთ საქართველოს მეფეების ბატონიშ-
ვილების და ხანების მიერ გაცემული სპარსული სიგელები,
თბ., 2010.
33. ევლია ჩელები, მოგზაურობის წიგნი თურქულიდან თარგმნა,
კომენტარები და გამოკვლევა დაურთო გ. ფუთურიძემ, ნაკვ. 2
თბ., 1973
34. ვადბოლსკი, საქართველოს ჰერალდიკური სიმბოლიკა,
თბ.,1980.

35. თაყაიშვილი ე., არქეოლოგიური ექსპედიცია კოლა-ოლთისა და ჩარგალში, თბ.,1907.
36. თაყაიშვილი ე., მასალანი საქართველოს სტატისტიკურის აღწერილობისა მეთვრამეტე საუკუნეში, გამოცემული ექვთიმე თაყაიშვილის რედაქტორობით, ქართველთა შორის წერა კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამოცემა, თბ.,1907.
37. თაბუაშვილი ა., მეფის სადროშოს აღწერის დავთარი XVIII საუკუნის II ნახევარი, თსუ შრომები V, თბ., 2012.
38. ისქანდერ მუნშის ცნობები საქართველოს შესახებ. სპარსული ტექსტი ქართული თარგმანითა და შესავლითურთ გამოსცა ვლ. ფუთურიძემ, თბ.,1969.
39. ისქანდერ მუნში, აბასის ქვეყნის დამამშვენებელი ისტორიის გაგრძელება. ტექსტი სპარსულიდან თარგმნა, გამოკვლევა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ნ. გელაშვილმა. თბ.,1981.
40. იოსელიანი ა., დოკუმენტები რუსეთ-საქართველოს დიპლო-მატიური ურთიერთობის ისტორიიდან, კახეთის სამეფოს ელჩობა რუსეთში თავად როსებ გიორგის ძის მეთაურობით, საქ, სსრ.შსს საისტორიო მოამბე, თბ., 1946.
41. იოსელიანი პ., ცხოვრება მეფისა გიორგი მეცამეტისა, რედაქ-ტორი, ა. გაწერელია, თბ.,1978.
42. კაკაბაძე ს., თორელთა გვარეულობის შესახებ, წერილები და მასალები საქართველოს ისტორიისათვის, ტფ.,1914.
43. კაკაბაძე ს., კვლევა-ძიებანი საქართველოს ისტორიის საკით-ხების შესახებ, მე-XIV-XVI საუკუნის მესხეთის თავადების სია, ტფ., 1920.
44. კაკაბაძე ს., შოთა რუსთაველი და მისი ვეფხისტყაოსანი, თბ., 1966.
45. კაკაბაძე ს., ისტორიული საბუთები, წიგნი II, ტფ.,1913.
46. კაკაბაძე ს., ისტორიული საბუთები, წიგნი III, ტფ.,1913.
47. კაკაბაძე ს., ისტორიული საბუთები, წიგნი IV, ტფ.,1913.
48. კაკაბაძე ს., ისტორიული საბუთები, წიგნი V, ტფ.,1913.
49. კაკაბაძე ს., საისტორიო კრებული IV, თბ.,1929.

50. კაციტაძე დ., XVI-XVII საუკუნეთა სპარსული დოკუმენტური წყაროები საქართველოს ისტორიისათვის, კავკასიურ - ახლო აღმოსავლური კრებული, II, თბ.,1962.
51. კლიმიაშვილი ა., მასალები XV-XVIII საუკუნეები ქართლისა და კახეთის სადროშოების ისტორიისათვის, კრ.:XIV-XVIII საუკუნეების რამდენიმე ქართული ისტორიული დოკუმენტი, თბ., 1964.
52. კუცია კ., ისპაჰანის ქართველი ტარუღები (1618-1722) მახლო-ლობელი აღმოსავლეთის ისტორიის საკითხები, II, თბ.,1972.
53. კუცია კ., კავკასიური ელემენტი სეფიანთა ირანის პოლი-ტიკურ სარბიელზე, მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიის საკითხები, თბ.,1963
54. კუცია კ., აღმოსავლეთ ამიერკავკასიის ქალაქები XVI-XVIII სს., თბ., 1976.
55. ლომინაძე ბ., სამწირველო XIII საუკუნეში, მიმომხილველი, თბ.,1949
56. ლორთქიფანიძე ი., ქვემო ქართლი, XVIII საუკუნის პირველ მეოთხედში, I-II, ნაწ.თბ.,1935.
57. ლორთქიფანიძე ი., ქვემო ქართლი, XVIII საუკუნის პირველ მეოთხედში, III-IV ნაწ., თბ.,1938.
58. ლომიძე მ., ყიზილბაშობა 1735-1749 წლების აღმოსავლეთ საქართველოში, თბ., 2007.
59. მამისთვალიშვილი ე., იერუსალიმის ჯვრის მონასტრის ისტო-რია, თბ.,2002.
60. მამისთვალიშვილი ე., ქართველები და ბიბლიური სამყარო, თბ., 1998.
61. მამისთვალიშვილი ე., ამილახვრები, თბ.1996.
62. მამისთვალიშვილი ე., საქართველოს საგარეო პოლიტიკა და დიპლომატია, I, (XV-XVIსს.) თბ., 2009.
63. მამისთვალიშვილი ე., გორის ისტორია, I, თბ.,1994.
64. მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის, გვიან-ფეოდალური ხანა, წიგნი II, (ვალი, იჯარა, ვაჭრობა) მასალები

შეარჩია და გამოსაცემად მოამზადა ნ. ბერძენიშვილმა, თბ.,1955.
65. მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის, წიგნი III, (აღმშენებლობა, სახელმწიფო ეკონომიკა, ქონება), მასალები შეარჩია და გამოსაცემად მოამზადა ნ. ბერძენიშვილმა, თბ.,1955.
66. მასალები ქართლ-კახეთის სამეფოს სამოხელეო წყობის შესახებ, მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორი-ისათვის, შესავალი წერილი, შენიშვნები და საძიებელი დაურთო შ. მესხიამ, ნაკვ. I, (26), თბ., 1948.
67. მესხია შ., მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათ-ვის, II, მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორი-ისათვის, ნაკვ, 30, თბ.,1954.
68. მესხია შ., საისტორიო ძიებანი, II, თბ.,1983.
69. Месхиа Ш. А., Города и городской строй феодальной Грузии Тб.1959.
70. მეტრეველი ე., მასალები იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიისათვის, თბ.,1962.
71. მიჩიტაშვილი მ., ივანე გვარამაძის საისტორიო და საზო-გადოებრივი შეხედულებები,თბ., 1995
72. მოჰამედ თაჰერის ცნობები საქართველოს შესახებ. ტექსტის თარგმანი და შენიშვნები ვლ. ფუთურიძისა, მასალები საქარ-თველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 30. თბ.,1954.
73. მუსხელიშვილი დ., „მთა ქართლის“ ისტორიულ-გეოგრაფი-ული შესწავლისათვის, წიგნში: სამეცნიერო სტატიები, წერილები და პუბლიცისტიკა, თბ.,2014.
74. ნატროშვილი გ., ისტორიულ-ლიტერატურული ძიებანი, „მნათობი“, #1, თბ., 1976.
75. ნიკო მარი, აღაპნი ჯვარის მონასტრისანი იერუსალიმსა შინა, ს.პეტერბურგი., 1914.
76. ნინიძე დ., ბაგრატიონთა სამეფო სახლის განშტოებათა ისტორია, თბ., 2004.

77. Натадзе Г., К вопросу об экономическом положении Грузии в конце XVIII столетия. Журн. История классовой борбы в Закавказье. Т.I, 1930.
78. ორბელიანი პ., ამბავი ქართლისანი, ტექსტი დაადგინა, შესავალი, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო ე. ცაგარეიშვილმა, თბ.,1981.
79. ჟორჟოლიანი გ., საქართველო XVII საუკუნის 30-50-იან წლებში, თბ.,1987.
80. რატიანი ლ., აღმოსავლეთ საქართველოს შინა პოლიტიკური ვითარება XVIII საუკუნისის 40-50-იან წლებში, მრავალთავი, ფილოლოგიურ-ისტორიული ძიებანი, VI, თბ.,1978.
81. საქართველოს სიძველენი, ტ.II, საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების გამოცემა, რედაქტორი ექვთ. თაყაიშვილი, თბ.,1909 .
82. საქართველოს სიძველენი, ტ.III, საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების გამოცემა, რედაქტორი ექვთ. თაყაიშვილი, თბ.,1910.
83. საქართველოს ისტორიის ქრონიკები, XVII-XIXს.ს. ტექსტები გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევები, შენიშვნები და განმარტებები დაურთო ავთ. იოსელიანმა, თბ., 1980.
84. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ.IV, თბ. ,1973.
85. სამართალი ვახტანგ მეექვსისა, ტექსტი დაადგინა, გამოკვლევა და საძიებლები დაურთო ისიდორე დოლიძემ, თბ.,1981.
86. სპარსული ისტორიული საბუთები საქართველოს წიგნთსაცავებში, ტექსტები დაადგინა, თარგმანი და შენიშვნები დაურთო ვლ. ფუთურიძემ, წიგნი 1, ნაკვეთი I2, თბ.1962.
87. სპარსული ისტორიული საბუთები საქართველოს წიგნსაცავებში, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, ქართული თარგმანი და წინასიტყვაობა დაურთო ვლ. ფუთურიძემ, I3 თბ., 1965.
88. სპარსული ისტორიული საბუთები საქართველოს წიგნსაცავებში, წ. I4, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, ქართული თარგმანი და წინასიტყვაობა დაურთო ვლ. ფუთურიძემ, თბ., 1977.

89. სვანიძე მ., საქართველო-ოსმალეთის ისტორიის ნარკვევები, თბ.,1990.
90. სვანიძე მ., ატენის ბრძოლის ზოგიერთი საკითხის დაზუსტე-ბისათვის თურქული წყაროების მიხედვით, საქართველოს ისტორიის აღმოსავლური მასალები, წიგნი II, თბ.,1979.
91. სურგულაძე ივ., საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიისათვის, ქართლის სახელმწიფოებრივი წყობილება გვიანფეოდალურ ხანაში, თბ., 1952.
92. სოსელია ო., ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოს ისტორიიდან, სათავადოების სისტემა, თბ.,1966.
93. ტლაშაძე ი., ბაქარიანი, მოამზადა ს. ყუბანეიშვილმა, თბ.,1963
94. ფანასკერტელ-ციციშვილი ზაზა, სამკურნალო წიგნი, ტექსტი მოამზადა, გამოკვლევები, შენიშვნები, საძიებლები დაურთო მ. შენგელიამ, თბ., 1978,
95. ფუთურიძე ვლ., მოჰამედ თაჰერის ცნობები, საქართველოს შესახებ, მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორი-ისათვის, ნაკვ. 30, თბ.,1954 .
96. ფუთურიძე ვლ., ირანის სპასალარი როსტომ-ხან სააკაძე, წიგნში: კავკასიის ხალხთა ისტორიის საკითხები, თბ.,1966.
97. ქართლის ცხოვრება, ტ.II, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითა-დი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ; თბ.,1959.
98. ქართლის ცხოვრება, ტ. IV. ვახუშტი ბაგრატიონი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. თბ.,1973.
99. ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, I; თბ.,1984,
100. ქართული სამართლის ძეგლები, ტექსტები გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევები, ლექსიკონები და საძიებლები დაურ-თო ი. სურგულაძემ, თბ.,1970.
101. ქართული სამართლის ძეგლები ტ.II; საერო საკანონმდებლო ძეგლები(X-XIXსს.), ტექსტი გამოსცა, შენიშვნები და საძიებ-ლები დაურთო ი. დოლიძემ, თბ., 1966.

102. ქართული სამართლის ძეგლები, ტ.III, საეკლესიო საკანონ-მდებლო ძეგლები (XI—XIXსს.). ტექსტი გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ი. დოლიძემ, თბ., 1970
103. ქართული სამართლის ძეგლები, ტ. IV, სასამართლო განჩინე-ბანი (XVI-XVIII სს.), ტექსტი გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ი. დოლიძემ, თბ., 1972.
104. ქართული სამართლის ძეგლები ტ. V, სასამართლო განჩინებანი (XVIIIს.), ტექსტი გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურ-თო ი. დოლიძემ, თბ., 1974.
105. ქართული სამართლის ძეგლები, ტ. VI, სასამართლო განჩინე-ბანი (XVIII-XIXსს.), ტექსტი გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ი. დოლიძემ, თბ., 1977.
106. ქართული სამართლის ძეგლები, ტ. VII, სასამართლო არზა-ოქმები, ტექსტი გამოსცა, წინასიტყვაობა და შენიშვნები დაურთო ი. დოლიძემ, თბ., 1981.
107. ქართული სამართლის ძეგლები, ტ. VIII, სასამართლო არზა-ოქმები და კერძო-სამართლებრივი აქტები, ტექსტი გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ი. დოლიძემ, თბ., 1985.
108. ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, კ. კეკელიძის ხელნაწერთა ინსტიტუტი, რედ. მეტრეველი ელ., ტ. 12, თბ., 1976.
109. ქართული დოკუმენტური საბუთების კორპუსი, II, (XIV-XVსს.), შეადგინეს და გამოსაცემად მოამზადეს თ. ენუქიძემ, ნ. თარ-ხნიშვილმა, ბ. ლომინაძემ, თბ.,2013.
110. ქართულ-სპარსული ისტორიული საბუთები, ტექსტი დაად-გინა, თარგმანი და შენიშვნები დაურთო, ვლ. ფუთურიძემ, თბ.,1955.
111. ქართულ-თურქული და თურქულ-ქართული ლექსიკონი, შემდგნელი, ორჰან მემიში, თბ., 2009.
112. ქიქოძე მ., ქართლის სათავადოების ისტორიიდან XV-XVIIIსს. (საამილახვრო), მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორი-ისათვის, ნაკვ. 35, თბ.,1963.

113. ქოიავა ნ., ფულის მიმოქცევა, კრედიტი და ფინანსები XVIII ს. ქართლ-კახეთში, თბ.,1963.
114. ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა. შევსებულია, ქრონოლოგიურად დალაგებული და ახსნილია თ. ჟორდანიას მიერ. ტ. II. ტფ., 1897.
115. ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა. შევსებული, ქრონოლოგიურად, დაწყობილი და ახსნილია თ. ჟორდანიას მიერ, წიგნი მესამე,(1700 წლიდან XIX საუკუნის 60-იან წლებამდე), გამოსაცემად მოამზადეს გ. ჟორდანიამ და შ. ხანთაძემ, თბ., 1967.
116. შარაშიძე ქრ., საქართველოს ისტორიის მასალები (XV-XVIIIსს.), მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 30; თბ.,1954.
117. შარაშიძე ქრ., საქართველოს ისტორიის მასალები (XV-XVIსს.), თბ., 1961
118. ჟან შარდენის ოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში, ფრანგულიდან თარგმნა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო მზია მგალობლიშვილმა, თბ.,1975.
119. შენგელია, გადასახადები და საგადასახადო სისტემა XVI საუკუნის ოსმალეთში, თსუ შრომები ტ.VI, ნაკვ. 2, თბ.,1962.
120. შენგელია ნ., ოსმალური გადასახადები და ვალდებულებანი „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთრის მიხედვით“, თსუ შრომები 91, აღმოსავლეთმცოდნეობის სერია II,თბ.,1960.
121. შენგელია ნ., XVI-XVIII საუკუნეების ოსმალური დოკუმენ-ტური წყაროები ნ. შენგელია, წ. I, თბ.1987, გვ.285.
122. შენგელია ნ., XV-XIX საუკუნეების საქართველოს ისტორიის ოსმალური წყაროები, თბ.,1974.
123. შოშიაშვილი ნ., თორელთა ფეოდალური სახლის ისტორია და შოთა რუსთაველი, კრებ. შოთა რუსთაველი, თბ., 1966.
124. ჩხეიძე ს., საქართველოს ცხოვრება, ზ. ჭიჭინაძის გამოცემა, თბ.,1913.
125. ჩუბინიშვილი დ., ქართლის ცხოვრება, II, თბ.1894.

126. ცინცაძე ი., რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიის წარსულიდან. ისტორიის ინსტიტუტის შრომები. ტ. I. თბ., 1955,
127. ცნობები ქუჩუკ ჩელები ზადეს ისტორიიდან, თარგმანი ცისანა აბულაძისა, წიგნში გურჯიზადე, თბილისის დაპყრობის წიგნი, თბ.,1975.
128. ცხოვრება საქართველოსი (პარიზის ქრონიკა), ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო გ. ალასანიამ, თბ., 1980.
129. ძველი საქართველო, ტ. II, საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების კრებული, რედაქტორი, ექვთ. თაყაიშვილი, თბ.,1913
130. ხანთაძე შ., სოციალური ბრძოლის ეპიზოდი გვიანფეოდალურ საქართველოში, საქ. მუზეუმის მოამბე, ტ.XX-B, თბ., 1959.
131. ხანთაძე შ., სახელმწიფო პურის გადასახადი (სურსათი) ქართლ-კახეთში მე-19 საუკუნის დამდეგს, მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 32, თბ,.1955.
132. ხუბუა მ., საქართველოს მუზეუმის სპარსული ფირმანები და ჰოქმები, თბ.,1949.
133. ჯამბურია გ., დოკუმენტები ქართლის სათავადოების ისტორიისათვის (XVII-XVIIIსს.) მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 33, თბ.,1960.
134. ჯამბურია გ., სათავადოთა საკითხისათვის, საქართველოს ფეოდალური ხანის ისტორიის საკითხები, თბ.,1970.
135. ჯავახიშვილი ივ., სინის მთის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, თბ., 1947.
136. ჯავახიშვილი ივ., საქართველოს ეკონომიური ისტორიის ძეგლები, XIII-XIX, წ. II, თბ., 1974.
137. ჯავახიშვილი ივ., საქართველოს ეკონომიური ისტორია, თბ., 1930.

138. ჯიქია ს., აჰმედ III-ის ფირმანი ბაქარ ბაგრატიონს, ქართული წყაროთმცოდნეობა III, თბ.,1971.
139. ჯიქია ს., ოსმალური იურიდიული დოკუმენტები XVIII საუკუნის პირველი ნახევრის ქართლში, აღმოსავლური ფილოლოგია, I, თბ.,1969.
140. ჯიქია ს., XVIII საუკუნის თურქული დოკუმენტები ოქროს ციხის შესახებ, თსუ შრომები 91, აღმოსავლეთმცოდნეობის სერია, II, თბ..1960
141. ჯიქია ს., მაწევანი და ატენი თურქულ საბუთებში, II, აღმოსავლური ფილოლოგია, თბ., 1972.
142. ჯიქია ს., XVIIIს. ორი თურქული დოკუმენტი, თსუ შრომები, ტ.99, აღმოსავლეთმცოდნეობის სერია, I I I, თბ., 1962.
143. 1728 წლის თბილისის ვილაიეთის დიდი დავთარი, წ. I, ოსმალური ტექსტი ქართული თარგმანით, შესავლით, გამოკვლევით და ფაქსიმილეებით გამოსაცემად მოამზადეს, ს. ჯიქიამ და ნ. შენგელიამ, თბ., 2009.
144. ჰასან რუმლუს ცნობები საქართველოს შესახებ. სპარსული ტექსტი თარგმანითა და შესავლით გამოსცა ვ.ფუთურიძემ, შენიშვნები დაურთო რ. კიკნაძემ, თბ.,1966.
145. ჰიპოტაკე მაედა, ქართველები სეფიანთა ირანში, თბ., 2008.
146. Армяно-русские отношение в первой трети XVIII в.,сборник документов, т.II,ч,2, под. Ред.А. Иоанесияна,1964.
147. Акты, собранные Кавказской Археографической Комиссией, 1870 т.II, V;
148. Переписка на иностранных языках грузинских царей с русскими государями, СПБ., 1861
149. Тверитинова А., Второй трактат Кочибея, Учебные записки института Востоковедения, VI, М., 1953.

საციციანოს ნაჰიეს გადასახადები „1720 წლის თბილისის ვილაიეთის დიდი დავთრის მიხედვით“, ტ I. თბ.2009

N	საციციანოს ნაჰიეს სოფლები	კაცი	ისფენჯი	ცარიელი სოფლები	ეშრის გადასახადი ვენახზე	მარცვლეულის გადასახადი 1.ხორბალი 2.ქერი 3.ჭვავი 4.ფეტვი		გადასახადი ღორზე	გადასახადი სვაზე	გადასახადი ერბოზე	გადასახადი ცხვარზე	გადასახადი თიოზე	გადასახადი ხიოზე	გადასახადი წისქვილზე	დეშთიბანი და მიწაზე თავეს გადასახადი	არუსანე-საქორწინო	ყველა დანარჩენი გადასახადები	გადასახადების ჯამი ასჩებში	შენიშვნა „დავთარი, “გვ.1.ტ. თბ.2009
						ქილოებით	ასჩებით												
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16	17	18	19	20
1	სოფ.სახდინეთი ეკლესიის სასაფლაოსთან	51	6120		6400	630	21750	180	120	500	420	120	150	180	220	-	200	25560	გვ.132
2	სოფ.სათალ კამსი, ახლოასახდინეთთან	-		☑	-	-	-	-	-	-	-	-	-		-	-		2000	გვ.133
3	სოფ. ძეგვი	55	6600		8000	880	14200	120	200	450	300	190	150	2040	180	180	220	32030	გვ.133
4	სოფ.სასხორი	48	5760		2400	470	8550	120	120	250	250	90	120	60	120	180	150	18190	გვ.134
5	სოფ.კუდალითი ახლოსა	99	11880		8000	700	11500	300	120	400	900	120	50	900	180	180	200	35730	გვ.135

	აზათის დასახლებასთან																		
6	სოფ. ქვედა ხანდაკი , ცარიელია	-	-	☑	-	-	-	-	-	-	-	-	-		-	-	-	2000	გვ.137
7	სოფ. ქსოვრისი -ახლოსაა მტკვართან	-	-	☑	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	1900	გვ.137
8	სოფ.აზანი-ახლოსაა ხანდაკთან	7	840		400	145	2575	24	20	90	30	-	-	600	50	120	120	3869	გვ.137
9	სოფ. ვანდათუბანი-ახლოსაა კავთისხევთან	10	+	-	+	+	+	+	+	+	-	-	-	-	+		-	4500	გვ.138
10	სოფ. საკურთხისი-ცარიელია	-	-	☑	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	2500	გვ.138
11	სოფ. თუდისი- ცარიელია რეიასაგან	-	-	☑	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	1200	გვ.138
12	სოფ. სახანის ზურგა-ცარიელია	-	-	☑	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	გვ.138
	სოფ. ქვათახევის ცარიელი ეკლესია	-	-	☑	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	1000	გვ.138
13	სოფ. ზნადიქიშუვარკას დასახლება	55	6600	-	6400	560	9950	200	180	300	800	120	150	720	120	180	200	26050	გვ.139
14	სოფ.ხუკურისი	17	2040	-	800	200	3000	90	80	120	90	-	-	300	90	120	200	6930	გვ.140
15	სოფ.ქონსხო	17							=	-	-	-	-		-		-	-	გვ.141
	შუა უბნის დასახლება	30		-	-	-	-		-	-	-	-	-	-	-		-	-	გვ.141

	ბაშ უბანის დასახლება	32	8480	-	3200	840	14600	150	-	340	330	150	-	200	200	180	300	29250	გვ.142
16	თელეუბანის დასახლება სოფ.ქონსხოში	4	-		-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	2000	გვ.143
17	სოფ.თელეთ გორი	28	3360	-	1200	380	6500	80	90	200	200	90	-	-	120	120	120	12080	გვ.143
18	სოფ.ქვემო ჯვარი	18	2160	-	800	210	3650	90	90	120	90	-	-	-	80	120	200	7300	გვ.144
19	სოფ.თუსი	39	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-		-	-	გვ.145
20	სოფ.ახალშენის დასახლება	5	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-		-	-	გვ.145
21	კაბრისუბნის დასახლება-- სულ 53	9	6360	-	1600	510	8750	160	120	400	900	90	150	240	180	180	200	19350	3-სოფ. კობლი-
22	სოფ.ოდნისი	12	2400	-	800	290	5400	150	120	200	190	150	120	360	180	180	200	10450	გვ.146
23	სოფ.მიჰათი -ცარიელია	-	-	☑	-	-	-	-	-	-	-	-	-		-	-	-	2300	გვ.147
24	სოფ.სიხვითი	17	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	გვ.147
25	საჯიესუბნის დასახლება	9	3120	-	1200	320	5850	90	90	120	90	50	-	-	120	120	150	11000	გვ.147
26	სოფ.შინხავირი	11	+	-	+	+	+	+	+	+	+	-	-	-	+	+	-	5600	გვ.148
27	სოფ.გურდინე ახლოსაა გიდის დასახლებასთან	21	2520	-	1200	220	3750	150	120	120	300	50	-	600	200	120	200	10410	გვ.148

28	სოფ.მითაჯი	24	2880	-	1600	380	6500	150	120	200	190	-	-	360	120	120	150	12240	გვ.149
29	სოფ.ერთაწმინდა ახლოსაა ბავთისის უბნის დასახლებასთან	52	6240	-	2400	470	8100	200	120	200	200	150	-	240	120	180	200	18350	გვ.150
30	სოფ.ახალქალაქი, ახლოსაა სოფ. ერთაწმინდასთან	54-კაცი	6360	-	-	-	-	180	-	300	1800	-	-	240	1200	180	3500	13760	სახლი20, ქვორები-
31	სოფ. გომი	20	2400	-	1600	290	4950	150	120	200	150	-	-	120	180	120	200	10190	გვ.153
32	სოფ. ჩოჩითი	3	+	-	+	+	+	+	+	+	-	-	-	-	+	+	+	9200	გვ.153
33	სოფ. სანატრისი	21	2520	-	1600	830	14300	48	120	250	360	90	-	240	180	120	300	20128	გვ.154
34	სოფ. რუქუნი	30	3600	-	1600	410	7150	180	120	250	300	90	-	740	180	120	200	14530	გვ.155
35	სოფ. ბილი	11	+	-	-	+	+	+	+	+	+	-	-	-	+	-	+	5200	გვ.156
36	სოფ. რაგვი	25	3000	-	1200	320	5800	120	120	200	200	-	-	240	120	120	200	11320	გვ.156
37	სოფ.მილსი	10	+	-	+	+	+	-	+	+	+	-	-	+	+	-	+	3900	გვ.157
38	სოფ. ზათათრისი	8	+	-	+	+	+	+	+	+	+	-	-	-	+	-	+	3900	გვ.157
39	სოფ. ქუნათრისი	7	+	-	+	+	+	+	+	+	+	-	-	+	+	-	+	5500	გვ.158
40	სოფ. ხანდაკი	18	2160	-	800	210	3650	90	90	120	200	-	-	-	80	120	200	7510	გვ.158
41	სოფ. სურუნისი	3	+	-	+	+	+	+	+	+	+	-	-	-	+	+	+	2200	გვ.159

42	სოფ. ხული	59	7080	-	800	560	9300	180	250	500	300	150	150	360	200	180	250	22900	გვ.159
43	სოფ.აბანო	22	2640	-	800	330	5650	120	90	120	190	-	-	-	180	120	250	10160	გვ.160
44	სოფ.წნისი	23	2560	-	800	295	4475	120	90	120	190	-	-	240	120	120	250	10145	გვ.161
45	სოფ.წნისი	10	+	-	+	+	+	+	+	+	+	-	-	+	+	+	+	4200	გვ.162
46	სოფ.ყარა აღაჯი	7	+	-	+	+	+	+	+	+	+	-	-	+	+	+	+	3500	გვ.163
47	სოფ.საკური	13	1560	-	400	160	2700	60	30	120	60	-	-	-	120	120	150	5320	გვ.163
48	სოფ. თული	10	+	-	+	+	+	+	+	+	+	-	-	+	+	+	+	2500	გვ.163
49	სოფ. ნადარბაზევი მიწის დღიური მფლობელი- 20	13	+	-	+	+	+	+	+	+	+	-	-	+	+		+	3500	გვ.164
50	სოფ.ფარსვანი მიწის დღიური მფლობელი-20	6	-	-	+	-	-	+	+	+	-	-	-	+	+	+	+	2800	გვ.164
51	სოფ.ფიტარეთი	3	+	-	-	+	+	-	+	+	+	-	-	-	+	+	+	1200	გვ.165
52	სოფ.სახულისქედი მიწის დღიური მფლობელი- 20	6	+	-	-	+	+	-	+	+	+	-	-	+	+	+	+	2500	გვ.165
53	სოფ.ჯვარი	18	2120	-	800	270	4650	120	90	100	90	20	-	300	80	120	250	8740	გვ.165
54	სოფ.ძამა მიწის დღიური მფლობელი20	7	+	-	-	+	+	+	+	+	+	-	-	+	+	-	+	3000	გვ.166
55	სოფ.ბადანუდი	9	+	-	-	+	+	-	+	+	+	-	-	+	+	+	+	3200	გვ.166

56	საჯიე- მიწის დღიური მფლობელი-100, თავისუფალი მფლობელი 20	1		-	-	+	+	-	-	-	-	-	-	-	+	+	+	800	გვ.166
57	სოფ. ჩანჩათი- ცარიელია რეაიასაგან, ახლო სოფ. ჯვართან.	☑		☑														500	გვ.167
58	სოფ. ხარაბა-ცარიელია, ახლოსაა სოფ. კონასთან. .	☑		☑														600	გვ.167
59	სოფ.კარკო, ცარიელია მიწა ახლოსაა კონასთან.	☑		☑														700	გვ.167
60	სოფ.ჰალიქაჯვარი	8	+	-	-	+	+	+	+	+	+	-	-	-	+	+	+	2400	გვ.167
61	სოფ.სასირეთი	12	1440	-	400	130	1250	90	80	100	90	-	-	-	80	120	150	4800	გვ.167
62	სოფ.აგარა	3	+	-	-	+	+	-	+	+	+	-	-	-	+	-	+	1500	გვ.168
63	სოფ.ხიდისთავი	13	1560	-	800	290	5450	128	120	200	200	-	-	60	90	120	120	8840	გვ.168
64	სოფ.ქვახვრელი	16	1980	-	800	335	5700	180	90	120	390	-	-	-	120	120	200	9700	გვ.169
65	სოფ.ატენი	100		-	800													--	გვ.170
	ეგრაელთა დასახლება (ატენში)	52																	გვ.171

	(ცალკეა) დასახლება- 23 (ატენში) ერთადაა დაანგარიშებული . ცალკეავენახის დღიური მფლობელობა.	სულ 175	2100	-	1200	118	2380	48	50	120	45	-	5	360	56	180	8426	15000	გადასახადი მურახხასე
66	სოფ.ვარიანი	33	3960	-	1200	375	6325	120	80	350	400	-	-	720	80	120	200	13555	გვ.173
67	სოფ.ქარჯაღი	20	2400	-	800	200	3400	180	80	120	200	-	-	-	80	120	150	7230	გვ.174
68	სოფ.გრაკალი	12	1440	-	800	190	3100	120	80	200	190	-	-	-	80	120	200	6330	გვ.175
69	სოფ.წედისი	106	1272	-	800	120	2100	-	120	53	220	15	-	72	80	180	150	5000	გვ.175
70	სათესველი დანასირი სოფ.რადანისთან	11	+	-	+	+	+	-	+	+	+	-	-	-	+	-	+	67	გვ.177
71	სათესველი ბნავისი სოფ.რედანისთან	33	396	-	80	112	340	18	80	20	30	-	-	48	18	18	25	933	გვ.178
72	სოფ.ოქითი	18	2160	-	800	220	3800	180	80	200	190	-	-	-	120	120	250	7900	გვ.178
73	სოფ.ანსაკიმი	16	1920	-	800	230	3950	120	120	200	290	-	-	-	180	120	200	7900	გვ.179
74	სოფ.ავნუზი ახლოსაა სათესველ ღავადიდთან და რადაქ სურნისთან	58	6960	-	900	340	2800	30	20	220	180	30	-	540	80	120	120	12000	მხოლოდ ბადიაკვ
75	სოფ.გორისა	13	1560	-	800	210	3650	80	90	120	250	-	-	-	120	120	250	7040	გვ.181
76	სოფ.დირა	6	+	-	+	+	+	-	+	+	+	-	-	-	+	-	+	3500	გვ.181

77	სოფ.ანთაგუჯუ	4	+	-	-	+	+	-	+	+	+	-	-	-	+	+	+	2000	გვ.182
78	სოფ.ღვერდი	14	1240	-	200	90	1150	30	10	20	30	-	-	120	30	120	150	3000	გვ.182
79	სოფ.საქალეთი	15	1800	-	1200	230	3950	90	120	220	260	-	-	-	90	120	2500	10450	გვ.183
80	სოფ.ხანდისი	11	+	-	+	+	+	-	+	+	+	-	-	-	+	-	+	4500	გვ.183
81	სოფ.გვირდი/	18	2120	-	1200	210	3550	90	80	220	190	-	-	120	90	120	150	7930	გვ.184
82	სოფ.ბნისი	-	-	-	-	+	+	-	-	-	-	-	-		+	-	+	7930	გვ.184
83	სოფ.ბუნბადი	43	5160	-	2000	370	7000	180	90	200	350	-	-	1200	280	120	350	16930	გვ.184
84	სოფ.ორბიუთი	15	1800	-	800	210	3150	90	90	200	290	-	-	-	190	120	25,5	6980	გვ.185
85	სოფ.ზედოსანი	9	+	-	+	+	+	+	+	+	-	-	-	+	+	+	+	3500	გვ.186
86	სოფ.ავნისხევი	10	+	-	-	+	+	+	+	+	+	-	-	+	+	+	+	3000	გვ.186
87	სოფ.თახლითარა	11	+	-	-	+	+	+	+	+	+	-	-	-	+	+	+	4500	გვ.187
88	სოფ.ქარბუდეთი	8	+	-	+	+	+	-	+	+	+	-	-	-	+	-	+	3000	გვ.187
89	სოფ.საკურისი	17	2040	-	1200	270	4650	160	120	200	250	-	-	-	180	120	250	9170	გვ.187
90	სოფ.ჯუდსარჯი	4	+	-	+	+	+	+	+	+	+	-	-	-	+	+	+	2000	გვ.188
91	სოფ.ესქიჯა, სათესველ თისხუნთან	101	3212	-	8000	103	1870	380	400	478	900	350	-	240	1500	180	2500	20000	გვ.188
92	სოფ.ჯოხისი	62	6840	-	3200	600	10750	180	120	200	250	150	-	-	2000	180	2500	28620	გვ.190

											0								
93	სოფ.დონისი	5	+	-	-	+	+	-	+	+	+	-	-	-	+	+	+	2500	გვ.191
94	სოფ.ვანითა	25	3000	-	1600	340	5820	150	120	250	250	-	-	-	380	120	1250	12940	გვ.192
95	სოფ.ზენითი	14	1680	-	1200	180	3100	120	120	200	350	-	-	240	280	120	500	7910	გვ.192
96	სოფ.ლიქანლანიქი	42	4040	-	2000	400	7000	150	120	300	350	-	-	1080	380	120	900	24340	გვ.193
97	სოფ.ზენასლანიქი	10	+	-	+	+	+	-	+	+	+	-	-	-	+	+	+	3500	გვ.194
98	სოფ.ქუდირი	122	14640	-	12000	1450	24350	500	300	500	3500	200	-	1440	2500	180	3400	59510	გვ.194
99	სათესველი ბერხო სოფელ ქუდირეთთან	9	+	-	-	+	+	-	+	+	+	-	-	-	+	+	+	2500	196
100	ღულუ	26	3120	-	1200	250	4350	180	120	250	250	-	-	-	280	120	250	10120	გვ.197
101	სოფელი სანატრისი ახლოსაა სათესველ გომთან	110	13200	-	12000	1500	26500	800	200	600	5200	200	250	1200	3500	180	4500	68430	გვ.198
102	სოფ.ზარდიე ახლოსაა სოფელ ბიჯნისთან, ცარიელია რეიასაგან	☑	-	☑	-	+	+	-	-	-	-	-	-		-	-	-	1500	გვ.199

103	სოფ.იფნისი	33	3960	-	2000	340	5900	150	100	250	290	-	-	120	180	120	250	13470	გვ.200
104	სოფ.ლათითი	39	4680	-	3200	530	10500	200	120	350	400	-	-	120	380	180	500	20780	გვ.200
105	სოფ.ქაღდო	12	1440	-	800	210	3550	120	100	200	90	-	80	-	120	120	200	6820	გვ.201
106	სოფ.ქიხვადი	9	+	-	+	+	+	-	+	+	+	-	-	-	+	+	+	2500	გვ.202
107	სოფ. ქარელი, ახლოსაა სოფ. აბისასთან	6	+	-	+	+	+	+	+	+	+	-	-	-	+	-	+	2000	გვ.202
108	სოფ.ბოჯნისი ახლოსაა სოფ.სახიჯვართან	48	5760	-	3200	430	7700	200	200	400	500	-	-	480	1200	-	2000	21960	სკაზე ორჯერაა გადასახადი
109	სოფ.ოხრა	☑	-	☑	-	+	+	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	1000	გვ.204
110	სოფ.აგარა, ახლოსაა ჩანაბეთთან	10	+	-	-	+	+	-	+	+	+	-	-	+	+	+	+	4500	გვ.204
111	სოფ.ჩანაბეთი	53	6360	-	4000	550	9100	250	200	400	800	-	200	360	520	180	1500	22270	გვ.204
	ხსენებულ სოფელს მიწა არა აქვს, რეაია ებრაელების მოდგმისანი არიან , მეურნეობას ეწევიან	28	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-		-	-	თავადი -28

	ებრაელთა დასახლება (დუქნები-15, სამღვბროები-1)	112	+	-	+	+	+	+	+	+	+	-	+	+	+	+	+	40000	გადასახდი სამღვბროებზე
112	სოფ.გურნითი	31	3720	-	3200	430	7450	180	120	250	450	-	-	150	350	180	900	17310	გვ.208
113	სოფ.გორაზინა	56	6720	-	3600	650	10950	180	200	500	1200	-	-	600	1200	180	2500	27980	გვ.208
114	სოფ.ოქროს უბანი	7	+	-	+	+	+	-	+	+	-	-	-	-	+	-	+	3500	გვ.210
115	სოფ.ამირხო ახლოსაა სათესველ მონასტერთან	27	3240	-	3200	390	6850	180	200	350	500	150	-	120	280	120	425	15615	გვ.210
116	სოფ.სუქითი ახლოსაა სათესველ მაჯლითთან	45	5400	-	3200	410	7250	250	120	200	900	-	-	-	250	120	520	18210	გვ.211
117	სოფ.კილეთი	22	2640	-	3200	330	5750	120	120	200	300	-	-	-	180	-	250	12880	არ სრულ ყარა
118	სოფ.მირვეთი	41	4920	-	4000	660	9800	180	120	250	1200	-	-	-	350	120	520	21460	გვ.212
119	სოფ.ბოსლეთი	14	1680	-	800	180	3100	120	100	200	500	-	-	-	180	120	250	7050	გვ.213
120	სოფ.ზემოვეთი, ახლო თხილნარასთან	18	2160	-	800	230	3900	180	90	120	250	-	-	-	180	120	250	8050	გვ.214
121	სოფ.კათისირი	27	3240	-	1600	320	5600	180	120	350	350	-	-	-	200	120	250	12010	გვ.215
122	სოფ.ავჯა	11	+	-	+	-	-	+	+	+	+	-	-	-	+	-	+	3500	გვ.216

123	სოფ.თრუმი, ახლოსაა სათესველ ღამლეთთან	58	6960	-	3600	770	13550	300	120	500	1200	-	-	-	450	180	950	27810	გვ.216
124	სოფ.ქირზისხევი ახლოსაა სათესველ ღართასთან	58	6960	-	4000	780	13700	300	200	500	1300	-	150	600	450	180	800	29140	გვ.217
125	სოფ.შულიშკური	9	+	-	-	-	-	+	+	+	+	-	-	-	+	+	+	3000	გვ.218
126	სოფ.კალიბი	20	2400	-	800	260	4500	120	120	250	250	-	-	-	200	120	390	9150	გვ.219
127	სოფ.კოდუმანი	4	+	-	+	+	+	+	+	+	+	-	-	-	+	-	+	2500	ბადიჰავა და თაიარეთ საირე
128	სოფ.საბადრა -ცარიელია რეაიასაგან	☑	-	☑	-	+	+	-										1000	გვ.220
129	სოფ.მაქვითი	23	2760	-	1200	300	5200	180	120	200	350	-	-	150	280	120	500	11400	გვ.220
130	სოფ.ბურბუთი	15	1800	-	800	190	3250	120	120	200	250	-	-	240	200	120	350	7450	გვ.221
131	სოფ.მუხლეთი -ცარიელია რეაიასაგან	☑		☑	+	+												1500	გვ.221
132	სოფ.კურთია--ცარიელია რეაიასაგან	☑		☑														2000	გვ.221
133	სოფ.აბუჰალო -ცარიელია რეაიასაგან	☑		☑														1200	გვ.221

134	სოფ.ყინწვისი	79	9480	-	8000	620	11750	250	180	400	350	90	230	-	200		430	31360	ხილზე-150 ახჩა საბოსტნე
135	სოფ.მეორე კუდულეთი ექვემდებარება -გივი ამილახვარს (სახლი-1, კაცი-4)	4	+	-	+	+	+	-	+	+	+	+	-	-	+	+	+	3200	გადასახადი მალი გაიფის და მალი
136	სოფ.ერკნეთი- ექვემდებარება ხსენებულს	9	1020	-	4000	130	2200	80	-	130	120	80	-	120	80	120	100	8050	სახლი 5 კაცი-9
137	სოფ.გუნი ცარიელია რეაისაგან	☑		☑														1200	გვ.224
ჯამი თითოეული	3422 კაცი	293 700 ახჩა		174 780 ახჩა	28 663 ქილა	500 235 ახჩა	11 856 ახჩა	8 870 ახჩა	18351ახჩა	38 015 ახჩა	2985 ახჩა	1955 ახჩა ახჩა	19660 ახჩა	25184 ახჩა ახჩა	9955 ახჩა	51911 ახჩა ახჩა	1360672 ახჩა	1 კომლი იხდიდა 398000 ახჩას	ჯამი თითოეული გადასახადისა

☑ - აღნიშნავს- „ცარიელია რეაისაგან “

+ აღნიშნულია მცირეკომლიანი სოფლები, სადაც გადასახადების საერთო ჯამია შეწერილი. #18-ე სვეტში ყველა დანარჩენ გადასახადებში შედის: ზადიჰავასთან ერთად, გადასახადი მურახხასიე გაბრანი,[გვ. 173], ჯურუმ ჯიბაიეთ, იავა ვე კაჩკუნ, ვე ბეითალმანი, ამე ვე ხასე, თაიარეთ საირე, დიმე დიეთის გადასახადები[202, 187გვ.], მალი გაიფის და მალი მეფკუდის[გვ.223]

- სულ საციციანოს ნაჰიე იხდის 1 360672 ახჩას
- საციციანოს ნაჰიეში 1კომლი იხდის -398 000 ახჩას



ფანასკერტელ-ციციშვილთა საგვარეულოს არასრული გენეალოგიური სქემა. [ფ. 213 -1, საქმე 252]

საძიებლები

I.პირთა

ალექსანდრე I დიდი (1412-1442) 10,12, 16, 17, 18,23, 27, 34, 35, 36, 37
ალ-აშრაფ საიდ ად-დინ კაიტბეი (1468-1496) ეგვიპტის მბრძანებელი 41
ამირინდო ზევდგინიძე, გორის მოურავი 38, 39, 235
აიას ფაშა, არზრუმის გამგებელი 48
ავიტაბილე დონ პიეტრო 71
ალექსანდრე (ალი-მირზა) ქართლ-კახეთის ვალი 1735წ. დავითის(იმამ-ყული-ხანის ძე,) მოგვიანებით (1735-1738წწ.) კახეთის მეფე 158, 159, 160, 241
ასლამაზ-ხანი(ორბელიანი) ალი მირზას თანაშემწე (1735-36წწ.) სარდალი(1738-1740წწ.) (იხ.ხანჯალ-ხანი) 164, 165, 194
ამილახვარი გივი 159, 160, 164, 165,166, 167, 168, 186
ალი-ხანი ტომით ხორასნელი (1743- 1744წ.) 163, 164,165, 181, 197
ალი -ყული-ბეგი(ამირეჯიბი) ირანის შაჰის ვექილი 158, 171
აჰმედ III (სულთანი, 1603-1613წწ.) 118
ალი ყული მირზა ნადირ შაჰის ძმისშვილი თეიმურაზ II-ის სიძე 161
ამილახვარი გივი 119,128, 158, 160, 164, 165
ამილახვარი ამირინდო 38,225
ალაიბეგისშვილი 87, 94, 246, 247, 294, 300,304,324, 325
ალექსიძეები 247, 259, 279,281, 293, 294, 299, 300, 312, 324, 325
ალიყულაშვილი 290
აბრამიშვილი 290
ავალდაშვილი 290
ალადასშვილები 294

ბაგრატ VI, იმერეთის მეფე (1466-1478წწ.) ალექსანდრე I, დიდის ძმისწული 25, 36, 37, 38, 39
ბაგრატ-ხანი (1616-1619წწ.) 67
ბაქარ ბატონიშვილი 101, 110,111,112, 115,116,119,121,122, 123
ბატონიშვილი იულონ 61, 292, 323
ბატონიშვილი დავით 177, 289, 303, 322
ბატონიშვილი ბაგრატ 264
ბატონიშვილი თეიმურაზი 264
ბატონიშვილი იოანე 34, 264,316
ბატონიშვილი ელენე 229
ბარათაშვილები 36,40,47, 49
ბოქაულთუხუცესები(კლიმიაშვილი ბეჟან, გვერდწითელი, ჩინჩალაძე, გულ-ბადისშვილი) 247
ბუღუტაურები 86, 259, 262, 291, 300
ბუნიათისშვილები 94, 246, 250,259, 290,294, 300

გიორგი VII (1393-1407წწ.) 22
გიორგი VIII (ერთიანი საქ. მეფე 1446-1466; კახეთის მეფე1466-1476წწ.) 15, 26, 34, 35, 37
გიორგი XII 289
გორგიჯანიძე ფარსადან (ისტორიკოსი) 70, 76 , 79
გიულდენშტედტი 263
გურჯიზადე 120, 121, 122, 123, 124, 126

გიორგი XI 220, 308
გიორგი XII 318, 303, 306, 324
გვარამაძეები 189, 256,267, 314, 315, 316
გვერდწითლები 195,246, 247, 248, 250, 259, 269, 283, 300, 319
გულბადისშვილი 247, 290
გედიაშვილები 86, 259, 300
გოსტამ[ბ]იშვილები 259, 269
გამცემლისშვილი 259,269, 300
გიორგაშვილები 224, 282
გლურჯიძეები 99, 151,161,290,300, 304,307, 308, 309, 313, 314, 323
გნოლიძე შერმაზან 257
გოგიბაშვილები 42, 298

დავით X (1505-1525წწ) 34, 40,47, 48
დემეტრე უფლისწული ალექსანდრე დიდის ძე, (გარდაცვ.1452წ.) 23, 24,26, 27, 35, 36,37
დაფქვიაშვილები 278, 279, 280
დანდლიშვილები 255,256
დედანასშვილები 271,294
დეკანოზისშვილი 290

ერეკლე I-ის ნაზარალიხანი(1688-1703წწ.) 88, 91, 92, 281. 283, 284,344
ევლია ჩელები 148
ერეკლე II 62, 174, 212, 317,273, 275,310,314, 316, 318,349
ერისთავი შანშე 151
ერანმისშვილები 259, 300

ვახტანგ I V ქართლის მეფე, ალექსანდრე დიდის ძე (1442-1446) 9, 26, 35.
ვახტანგ V შაჰნავაზ I (1658-1675) 82, 83,84, 85, 86, 87, 88, 89, 90, 111, 130, 224, 258, 259, 281, 301
ვახუშტი ბატონიშვილი 34, 43, 93, 97,98 101, 103, 107,110, 117, 118, 124,126,127, 130, 192, 194, 216
ვახტანგ VI, 54, 55, 94, 115, 117, 157, 158,212, 234, 235, 236, 237, 260, 276, 301,323, 328, 330

ზევდგენიძე თაყა, თანამეცხედრე ზაზა ფანასკერტელის ასულისა ულუმპია 38, 39

თაყაიშვილი ექვთიმე 27, 28,29,58
თემურ-ლენგი 7, 8, 22, 123
თეიმურაზ I (კახეთის მეფე) 72,75
თეიმურაზ II 3, 17, 43, 56, 157,158, 159, 160, 161, 166, 168, 172, 173, 174,190, 191,192,198, 203, 221, 226, 318, 334
თულაშვილები 307, 323, 324
მოჰამედ თაჰერი(სეფიანთა ირანის ისტორიკოსი) 75, 84, 190

ისქანდერ მუნში(ისქანდერ-ბეგ თორქემანი) (ისტორიკოსი 1560-1634წწ) შაჰ-მოჰამედ-ხოდაბანდეს დროს(1578-1587) 49, 50, 52
იაყუბ -ყაენი (უზუნ -ჰასანის მემკვიდრე) 47
იესე (ალი ყული-ხანი (1714-1716წწ.) 116, 125, 126
ისჰაკ-ფაშა, ახალციხის ფაშა (ჯაყელთა, ათაბაგთა გამაჰმადიანებული შთამომავალი)121,122,125, 127,130
იბრეიმ ხანი(აზერბაიჯანის სპასალარი, ნადირ-შაჰის ძმა) 159, 161, 170, 172,241
იუსტინე მთავარეპისკოპოსი 276, 277
იონათამიშვილი 290

კათალიკოსი ელიოზი(1399-1419წწ.) 9,10
კათალიკოსი დოროთეოსი 40
კაკაბაძე სარგის 14
კათალიკოსი დომენტი 53,54, 83, 95, 103,104,105,106, 236
კაკაბაძე სარგის 14, 19
კონსტანტინე I(1407-1712წწ.)
კონსტანტინე II (ქართლის მეფე) 18,19,20, 35, 36, 37, 38,40,116
კონსტანტინე (მაჰმად ყული-ხანი) 116 117,118, 119,120 , 121, 122, 124, 126, 180
კლიმიაშვილები 212, 222, 229, 230, 245, 246, 247, 248, 254, 258,259, 260, 261,262, 265, 267, 268, 269, 270, 271, 273,274, 275, 277, 287, 305, 306, 307
კვეზერელი 245, 246, 261, 262, 307

ლუარსაბ I (1527-1556წწ.) 47, 48,49, 51, 52, 293
ლუარსაბ I I 65,66, 67
არქანჯელო ლამბერტი 71
ლარაძეები 87, 281, 299, 300, 324, 325

მეჰმედ III,ოსმალეთის სულთანი (1595-1603წწ.), 52
მეტრეველი ელენე, აკადემიკოსი 8
მირზა მოჰამედ თაჰერე ვაჰედი
სეფიანთა ირანის ცნობილი ისტორიკოსი 75, 79
მირზალი ბეგი და მირზა თურაბა, მუმეიზები 1741წლის 162
მელქისადექისშვილები 259, 300
მ[ს]ტელისშვილი 259, 300
მაღრაძეები 224, 259, 280, 281, 282,283,284, 286, 287, 288, 289, 290, 299,307, 318, 319
მუჩაიძეები 271, 290, 294, 300
მანველიშვილები 290, 294
მეღვინეთხუციშვილები 230,246, 247, 248, 253,271, 290, 302, 320, 321, 322
მამაცაშვილები 247, 259, 273, 290, 306, 307
მამუკაშვილები 224, 282
მწყერაძე 290

ნადირ-შაჰი (1736-1747წწ.) 55, 56, 158, 159, 160, 161, 162, 166, 167,168, 179, 182,183,186,192,193,194
ნაზირი, ციციშვილი დიმიტრი ქალან-თარი 179, 195, 196, 198, 199, 200, 201 202, 204, 205, 207, 208, 248
ნარიმანიშვილები 265,267,269, 324

ორბელიანი პაპუნა 56, 57, 130, 164, 167, 172, 173,176,178, 179, 181, 185,198, 201
ობლიძე 290

პავლე ალეპოელი 82
პეისონელი 263

როსტომ მეფე (1633-1658წწ.) 53, 68. 69, 72,73, 74, 76, 77, 78, 79, 80, 81, 116, 207, 297,298
როსტომ ხან საკაძე, როსტომ მეფის სპასალარი 69, 70, 71
რეჯეფ-ფაშა, (თბილისის მუჰაფიზი 1723წ.) 121, 122, 124, 126, 127
რევაზიშვილები 182,290, 294, 334
როჭიკაშვილები 153,169, 190,191

სააკაძე როსტომ 68,69,70, 71
საკაძე გიორგი 65, 67, 68
სითიხათუნი 1442წ. (ვახტანგ ალექსანდრეს ძის თანამეცხედრე, თაყა ფანასკერტელის და) 9, 10, 16,17,
სარდალი ფანასკერტელი ზაზა (ტაოს ერითავთ-ერისთავი

მეჭურჭლეთუხუ- ცე სი) 19, 20, 21,28,29, 30, 31,32 , 46
სარდალი ფანასკერტელ-ციციშვილი ქაიხოსრო, ზაზა ფანასკერტელის უფროსი ვაჟი 47,293
სარდალი ფანასკერტელ-ციციშვილი მერაბ, ზაზა ფანასკერტელის უმცროსი ვაჟი 47,48, 293
სარდალი ფარსადან ციციშვილი, მეფე (ლუარსაბ I თანამებრძოლი) 49, 50, 51, 52
სარდალი ზაზა ფანასკერტელ-ციციშვილი(სიმონ მეფის სახლთუხუცესი) 52, 53
სარდალი ციციშვილი ზაზა გიორგი სააკაძის დასის წევრი 53, 65
სარდალი ციციშვილი პაპუნა (1633-1663წწ.) 54, 68, 69, 70, 72,73,74, 207,297
სარდალი ზაზა პაპუნას ძე ციციშვილი (1660-1673წწ.) კათალიკოზ დომენტის დისწული 54, 82, 83,84,88, 89,90
სარდალი ქაიხოსრო ციციშვილი (1737-1746წწ.) 46, 55, 56, 209
სარდალი ალექსანდრე ციციშვილი (1750- 1773წწ.) 57, 58, 201, 202, 208, 209, 245,255, 257
სარდალ-მოურავი დავით ალექსანდრეს ძე ციციშვილი 30, 32, 57, 58, 60, 61,62, 242, 245, 255, 258
სარდალ-მოურავი, გიორგი ციციშვილი(მეფე გიორგი XII-ის სიმამრი) 63, 64, 280,306
სიმონ I (სიმონ-ხანი ქართლის მეფე) 52, 53
სულეიმან კანუნი (1520-1566წწ.) 134
სეფი-ხანი 160, 161,170
სევინ დუქ ბეგი (ირანელი დიდებული) 48
სახლთუხუცესები (საციციანოს) 246
საყვარელიძეები 290, 307, 316
საფარაშვილი 290
საამისშვილი 290
სტელისშვილები 290, 294

ტლაშაძეები 126, 290, 309, 310
ტერტერაშვილები 262, 290, 292
ტაბარაძე(ხაბარაძე) 290

უზუნ-ჰასანი 38, 40,41, 47
ულუმპია ფანასკერტელ-ციციშვილი, ზაზა ფანასკერტელის ასული 39
უსტაჯლუ შაჰ -ყულუ ბინ ჰამზა მირზა(ირანელი დიდებული) 48
უსუფ ფაშა 125, 167, 168
უზნაძეები 86,245,250, 259, 281,290, 292, 293, 300
უთნელიშვილი 247, 290

ფანასკერტელები 5, 6,7,8, 13,16,18,19,20, 22,23, 24, 32, 34,35, 42, 56
ფანასკერტელი ზაზა(ტაოს ერითავთ-ერისთავი მეჭურჭლეთუხუცესი - იხ.შემდგომ საციციანოს სარდალი) 19, 20, 21,28,29, 30, 31,32, 39, 46
ზაზას შვილები(ქაიხოსრო,გიორგი, სიაუში, მერაბი, ზაქარია) 21
ფანასკერტელი ზაქარია 5, 6,17, 18,19,20
ფანასკერტელი თაყა 9, 10, 12, 13,16,17,25, 35
ფანასკერტელი გრიგოლი 8, 9.
ფანასკერტელი ციცი 4, 29, 30, 31,32, 259
ფაფიაშვილები 290, 294
ფრანგიშვილები 262, 290, 294
ფხაკაძეები 294
ფურცელაძე 250, 290, 312, 316, 341
ფარემუზაშვილი 303

ქეთეონ-ქრისტინე(გიორგი VIII-ს ასული) 15,16
ქუჩუკ -ჩელები ზადე 123, 126
ქალანთარი (მერალიბეგ ციციშვილი)165, 176, 178, 179, 181, 182, 183, 185,186,187, 188, 189,190, 191, 192, 193, 194,195, 196, 197,198, 199, 200, 206,237, 238, 250, 334, 336, 338,341
ქურდევანიძეები 259, 281, 290, 299, 324, 325,338
ქართველიშვილი 290

შაჰ სულეიმანი, (1666-1694წწ.) 83, 87,89
შაჰ-თამაზ I (1524-1566წწ.) 49
შაჰ-აბას I 66, 67
შაჰ-აბას II 74
შარდენი, ფრანგი მოგზაური 89, 263
შაჰი- სეფი I 72

ჩხეიძე სეხნია 159,160,170
ჩალაძეები 269, 300
ჩავაძე 86, 259,269
ჩაკაშვილი 290, 299
ჩინჩალაძე 245, 248, 250,290, 338
ჩუტკერაშვილები 312, 341, 342

ციციშვილი ქაიხოსრო 42, 43, 47, 56, 66, 74,75, 91, 92, 163, 164, 168, 169,171, 172,174, 196,203, 204, 241, 242,293, 334
ციციშვილი ევსტათი 58, 59, 310, 343
ციციშვილი ედიშერი 55, 56, 100, 113, 115, 116, 175, 179, 199,237,238, 239,281
ციციშვილი ფარსადან 49, 67, 68, 69, 71, 72, 74,75, 92, 154, 169,171, 172, 213 , 225, 229, 230, 237, 241, 246, 251,255, 260, 261, 309, 314, 332
ციციშვილი დემეტრე 189, 206, 238, 251, 270, 312, 341
ციციშვილი სეხნია 251
ციციშვილი იოთამ 261
ციციშვილი ბარძიმ 270, 271
ციციშვილი ნოდარ ფარსადანის ძე, თეიმურაზ I-ის მომხრე 68, 75,76,77, 78, 79,80, 81
ციციშვილი ციცი 83, 84, 251, 282, 283, 300, 301, 327, 328,345
ციციშვილი ზაალ 54, 90, 104, 222, 224, 230, 260, 266, 268, 270, 281, 332, 344
ციციშვილი უთრუთ 109, 224, 227, 240,282
ციციშვილი ზაზა 82, 90, 100, 104, 109, 165, 170, 171, 196, 224,242, 243, 255,299, 313, 336, 338, 344
ციციშვილი კირილე (მთავარეპისკოპოსი) 278, 279, 315
ციციშვილი, მანუჩარ 108,109, 216, 217, 247, 270, 330, 344
ციციშვილი ყაია 108, 327, 329, 330
ციციშვილი გლახა 314, 315, 109, 217, 335
ციციშვილი ბაადურ 216,217,218,222
ციციშვილი ხოხონა 217, 218
ციციშვილი ლუარსაბი 108, 109, 217
ციციშვილი გოგია 229, 230
ციციშვილი ვახტანგ 241, 346
ციციშვილი პაპუნა 68, 72, 73, 74, 109, 238, 297
ციციშვილი ბაგრატ 117, 128, 151,215, 216, 240, 251, 336
ციციშვილი გივი(ფარეშუხუცესი) 175, 240
ციციშვილი ოთარი 164, 165, 196, 251
ციციშვილი თეიმურაზ 169, 348, 337, 349
ციციშვილი ედიშერ (ედია), ქალანთარის შვილი 189,197, 200, 201, 205, 207, 209,239
ციციშვილი იოანე 189,203, 206, 207, 237
ციციშვილი იესე 251
ციციშვილი გივი, ფარეშთუხუცესი 232, 240
ციციშვილი ნოდარ 240, 251, 336

ციციშვილი ნიკოლოზ 212, 230, 236, 242, 286, 287, 288, 289, 251, 253, 287, 289, 305
ციციშვილი გიორგი 232, 241,249, 279, 280, 337
ციციშვილი პაატა 189, 195,196, 197, 230, 238, 242, 245, 250, 253, 257, 338
ციციშვილი დავით 164, 195, 196,197, 221, 245, 251, 254, 257, 311, 336, 338, 343
ციციშვილი ბაადურ 189, 217,218
ციციშვილი ამილღაბარ 251, 335, 347, 348
ციციშვილი მერაბ 21, 47,48, 293, 344
ციციშვილი ვარამ 108
ციციშვილი ადამ 108, 109
ციციშვილი ზაქარია (დედოფლის სახლთუხუცესი)199, 201, 205, 206, 211, 242, 243, 248, 302, 310, 320, 341
ციხისთავიშვილი 87, 259, 300

წინამძღვრიშვილები 195, 246, 250, 259,271, 290, 300, 304, 320

ხალილ-ბეგ ბეგთაში, უზუნ ჰასანის სარდალი 47
ხოჯა-ხანი 164
ხუციისშვილი 290
ხანჯან ხანი(1735-36წწ. სარდალი. 1738-1740წწ. ქართლის ხანი და აღმ. საქართველოს ბეგლარბეგი. იხ.ასლამაზ-ხანი) 186,196

ჯაჯანა ბეგი (დიდი ფანასკერტელი) 52
ჯვარის მამა პიმენ 19, 20
ჯავახიშვილები 36, 229, 239, 249,283
ჯავახი 259, 300

ჰიპოტაკე მაედა, იაპონელი მკვლევარი, 69
ჰასან -ბეგ რუმლუ, სეფიანთა ხანის (XVIს.) ისტორიკოსი 50, 51

II. გეოგრაფიული

ატენი 10,12, 13, 25,27, 33, 36, 50,65, 80, 87,98,99 114, 122, 125, 127, 128, 146, 147, 148, 254, 255, 300, 301, 308, 310, 312, 321, 374
ატენის ციხე 12, 27,50, 80
არადეთი 46, 255, 300
ახალშენს 108, 109,137, 300
ავკეთი 66, 105, 229, 230,231, 293, 300
აზანი 138, 372
აბანო 140 ,373
აკურისი(საკური) 140
აგარა 87,94, 142, 300, 375
ახალდაბა 43, 66, 103, 106, 293
აფნისი 87, 94, 248,300 , 378
ავაზანი 142, 225
ამირხო 137
აყქანდი (სოფ. შულავერის ოლქში) 171
არაგვისა და ქსნის საერისთავო 266, 282
ახალქალაქი 137
არაშენდა 170, 300

ბარეთი 105
ბრბონა 86, 94, 300
ბრეთი 106, 107

ბევრეთი 107, 323
ბაგინეთი 94, 113, 115,117, 300
ბეშთაშენი 100
ბერხო 129
ბნავისი 129, 148
ბიჯნისი 137
ბურბუთი 137
ბოსლები(ბოსლეთი) 86,94, 137, 281,300, 379
ბილი 142

გვეძინეთი 91, 92, 93
გრაკალი 61, 62, 98, 255, 300, 335, 375
გვერდისძირი 118
გუჯარეთი 42, 91, 92, 93, 94, 97,100, 106, 113, 115, 117, 119, 122, 130, 182,229 , 230, 300, 334
გომარეთი 94, 130
გულსუნდა 94
გუდარეხი 95
გომი 94, 104,137, 189, 373
გორი 263
გვეძინეთი 86,300
გომის ციხე 104
გორის ჯუარი 106
გორაზინა 137
გარდატენი 87, 300

დოესი 61, 62, 66,238, 239, 292,293,298, 300,310
დრისი 94
დაღეთი, დიდი დაღეთი 108, 109.
დანასირი 129,131
დამჩხერლო 94
დიაღარა 169

ვაჩეძორის მონასტერი 27, 28, 29, 30
ვერეს ციხე 51, 78
ვეძისი 108, 109, 113
ვერე 78, 300
ვანდათუბანი 142, 372

ზოვრეთი 21, 78,79, 80
ზოვრეთის ციხე 78, 79
ზაკვი 106
ზენაფლაზი 113
ზედაველა 61, 125,126
ზემოვეთი 137
ზნადიქი 138, 372
ზათათრისი 373
ზარდიე 378

თეძმის ხეობა 12, 22, 301
თორი 41, 42, 93.
თბილისი 263,274
თვალათუბანი 61, 62, 106, 300
თაგოეთი 86,94, 300
თხილნარა 86,87,94
თრეხვი 87,94
თეზი, თრიალეთის სოფ. 101, 137, 372
თელათ გორი 103, 372
თედოწმინდა 106,125

იის ციხე 229, 230, 231
იმერხევი 86,94,100, 300
იერუსალიმის ჯვრის მონასტერი 8,13,14,16,19,20,35

კლარჯეთი 5, 6, 7
კეხიჯვარი 21, 154, 100, 300
კორტანეთი 43, 44
კავთისხევი 94
კრკონი 94,106
კლდუ 87,94
კრისის ხევი 94
კუწათუბანი 94
კლიკიჯვარი (თეძმის ხეობის სოფელი) 97

კარსანი 103
კოდმანი 103
კრწანისი 107, 108
კარალეთი 20, 77,116,125, 293
კალიბი 137
კუმისი 300
კუდალეთი 371

ლოჭინის ხევი 41
ლეთეთი 87, 94, 284,300, 345,378
ლავრა 103

მელესი, (მილისი) 97,142, 373
მცხეთა 66, 103,104, 120, 249
მიჰათი 129
მწყნეთა 108
მძოვრეთი 42, 49, 94, 145, 164, 197,242, 239 , 240, 300, 338
მუხალეთი 94
მუხადგვერდი 103
მაქვითი 137
მიწობი 86, 94, 300
მიტარბი 94
მითაჯი 372
მაწლეთი 300

ნიჩბისის ხეობა 54, 94,95, 103,300
ნიჩბისი 66, 95,130, 227, 175, 293
ნადარბაზევი 374

ორმოცა(სოფ.) 97
ოსი(ოსთუბანი) 94
ოჯერა 103
ოფრეთი 114
ოქითი 137
ოძისი 113
ოდნისი 137,372
ორჭოშანი 225
ოძისი 113

პაწისი 107

რუისი, 33, 61, 62, 94, 254, 255, 258, 259,260, 261, 264, 270, 300, 343
რეხა(თრიალეთის სოფ.) 100, 108, 113,130, 300

სამწევრისი 86, 94, 114, 145,175, 260, 270, 298, 300
სანებელი 87,94, 300
სადგერი 42, 43, 45, 93, 98,105, 113,115, 130, 300.
სასირეთი 61, 62, 375
სახორცე 97, 100, 113
სოინარი 94
სხალნარი 94
სასხორი 103, 138,147, 371
სამღერეთის მონასტერს 108, 109
სამღერეთი 108
საპონაური 108
სკრა 19, 22,78,113, 190, 230, 300,341
სახდინეთი 133, 171.
სიხვითი 372.
საჯიე 100 ,129,137
სანატრისი 137, 373
სურუნისი 140
სუქითი 300

ტაო 5, 6, 7, 18, 27,28
ტანას ხეობა 12, 22, 94, 100
ტინისხიდი 106, 175
ტაშისკარი 43,44, 53, 65, 249

უ'ფლისა [უფლისციხე] 20,66, 293
ფანასკერტი 5,6
ფიტარეთი 374
ქვენაფლიზი 66, 293, 300, 345

ქარელი 61, 62, 94, 100, 108, 238, 248, 300, 378.
ქვახვრელი 20, 62, 138, 304, 344, 375
წიმოეთი 86
ქორაზინა 86,94, 300
ქვათეთრისი 94.
ქონსხო 129, 372
ქსოვრისი 372
ქუდირი 137
ქაღდო 137
ქარბუდეთი 142
ქუნათრისი 373
ქვემო ჯვარი 372

ღვ́ვი [ღვლევი] 62, 66, 90, 95, 293
ღუვისხევი 300
ღინტური 94
ღართა 94
ღულუ 137
ღორისთავი 323

ყარაღაჯი 62
ყელეთი 86, 94
ყინწვისი 54, 83, 86,87,93, 94, 300, 343, 345, 374, 381
[კ]ყრისის ხევი 86,94, 283,284

შავშეთი 4,5, 6, 7,18
შინხავირი 372

ჩიტალა, 109
ჩრდილისუბანი 94
ჩიტის ხევი 269
ჩოჩეთი 373

ციხია 94
ცუქეთი 86, 94
ციხედიდი 103

ძეგვი 103 , 371
ძამა 118, 142, 152
ძამის ციხე 23, 195
ძოვრეთი 238, 239, 242

წედისის ციხე 51, 98
წედისი 98, 113, 145,147,148, 300,375
წრომი 86, 94, 300
წვიმეთი 94
წივწივა 94
წყაროსუბანი 94
წინარეხი 86,
წუნარი 106
წოდორეთი 107
წერაქვი 108, 109,169,171
წავკისი 107, 108, 109, 158, 227
წყნეთი 300
წნისი 373

ჭოროხის ხეობა 19
ჭალისუბანი 87,300

ხოვლე 6, 12,61, 62, 78
ხახული 6
ხვედურეთის ხეობა 117
ხვედურეთი 12, 21, 87, 94, 224, 238, 239, 248, 270, 284 , 282, 284, 300, 336
ხანდაკი 62
ხალები 86,94, 300
ჴცისი 94
ხიდისთავი 310, 321, 375
ხეკორდი 103, 105
ხუკურისი 372.
ხანდაკი 62, 373
ხული 373
ხანდისი 152, 136, 142

ჯვრის მონასტერი 8,9,13, 14,19, 20, 35
ჯოხისი 137
ჯავახეთი 7,121,196, 198,255, 256, 276, 311, 313, 314,316,333, 334, 338, 339, 341

1722-1723 წწ. ქართლის სოფლების წყალობის წიგნი, მიცემული მეფე კონსტანტინეს მიერ ედიშერ ციციშვილისადმი. [ფ. 1448, საქმე 5546]



რუკა - სომხით საბარათიანო და საციციანო (ვახუშტი ბატონიშვილის გეოგრაფიული ატლასიდან)
[ფ. 1446 - 1, საქმე 105.]



რუკა - შიდა ქართლის სასარდლოები (ვახუშტი ბატონიშვილის გეოგრაფიული ატლასიდან)
[ფ. 1446- 1, საქმე 105.]

ფანასკერტელ-ციციშვილთა საგვარეულო გერბი

ზაზა ფანასკერტელ-ციციშვილი
(ყინწვისის მონასტრის ფრესკა)

ყინწვისი

ს ა რ ჩ ე ვ ი

ავტორისაგან 3

თავი I

საციციანოს დაარსება 5

თავი II

საციციანოს პოლიტიკური ისტორიის საკითხები

1 .მეფის სადროშოს და სარდლის სახელოს ისტორიულ -ქრონოლოგიური საკითხები 34

2. XVII საუკუნის საციციანოს პოლიტიკური ისტორიიდან 65

3. ვახუშტი ბატონიშვილი საციციანოს შესახებ 93

თავი III

საციციანო ოსმალობის პერიოდში

1. საციციანო ოსმალობის პერიოდში 115

2. ოსმალური გადასახადები და სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა საციციანოს ნაჰიეში 132

თავი IV

საციციანო XVIII საუკუნის 40—50-იან წლებში

1. საციციანო ყიზილბაშობის ხანაში 157

2. ქართლის ქალანთარი - მერალიბეგ ციციშვილი 176

თავი V

საციციანოს მართვა-გამგეობა 210

თავი VI

სოციალური ურთიერთობა

1. სათავადო აზნაურები 244

2. სამეფო აზნაურები 296

3. გლეხები 327

რეზიუმე 350
დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა..... 356
დანართი 371
საძიებლები
ა) პირთა 385
ბ) გეოგრაფიული..... 390